საქართველოს მეცნიერებათა აკადემია
ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტი

ეთერ ორჯონიკიძე

რუსული მმართველობის დამყარება საქართველოში

(XIX ს-ის პირველი ნახევარი)

„მეცნიერება"
თბილისი
1992

63.3 (2Г)
ო 718

მონოგრაფიაში დეტალურადაა შესწავლილი საქართველოში რუსული ხელისუფლების დამკვიდრების ძირითადი ეტაპები; დახასიათებულია თითოეული მთავარმართებლისა და მეფისნაცვლის პიროვნება. განხილულია მათი საქმიანობა სამხედრო თუ სამოქალაქო მმართველობის სფეროში, გარკვეულია მათი წვლილი ადმინისტრაციულ მმართველობაში ცვლილებების შეტანის თვალსაზრისით და ყოველი მათგანის გავლენა ამ მხარის მართვა-გამგეობის მიმართულებაზე.

წიგნში გათვალისწინებულია XIX ს-ის პირველი ნახევრის საქართველოს პოლიტიკური, სოციალური და ეკონომიკური ვითარება, რომელიც აიძულებდა მეფის ხელისუფლებას მთავარი მიზნის — რუსეთთან საქართველოს საბოლოოდ შერწყმის განსახორციელებლად ქვეყნის მართვა-გამგეობის სფეროში უფრო მოქნილი პოლიტიკისათვის მიემართა. მეორე მხრივ, ასეთი პოლიტიკა ობიექტურად ეროვნული თვითშეგნების გაღვივებასაც უწყობდა ხელს.

რედაქტორი ისტ. მეცნ. დოქტორი გ. მ ა რ გ ი ა ნ ი

რეცენზენტები: ისტ. მეცნ. დოქტორი ო. ჟ ო რ დ ა ნ ი ა
ისტ. მეცნ. კანდიდატი ნ. ნ ა ც ვ ლ ი შ ვ ი ლ ი

ო 0503020906 / M 607(06)—92 140—91

© გამომცემლობა „მეცნიერება“, 1992

ISBN 5—520—00969—9

შესავალი

XVIII—XIX საუკუნეების მიჯნა საქართველოსათვის საბედისწერო გამოდგა. საქართველომ საუკუნეების განმავლობაში მრავალრიცხოვან მტრებთან ბრძოლაში დიდის ვაივაგლახით შენარჩუნებული სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა დაკარგა და ბაგრატიონთა 1200-წლოვანმა დინასტიამ არსებობა შეწყვიტა. საქართველოს მეფეების უმეტესობა, რომელთაც თითქმის მთელი სიცოცხლის მანძილზე თავის ხალხის გვერდით ხმალამოღებული ბრძოლა უხდებოდათ სხვადასხვა მხრიდან შემოჭრილი მტრის წინააღმდეგ, ეროვნულ გმირებს უფრო წააგავდნენ, ვიდრე ჩვეულებრივ მონარქებს. აკი მრავალი მათგანის სახელი, გმირის დიდებით შემოსილი, ხალხურ თქმულებებში დღემდე შემორჩა და ქართველი ხალხიც, თავისი მეფის „ჩქარი სამართლის“ მოიმედე, მრავალ გაჭირვებას და ჭირ-ვარამს მხნედ უმკლავდებოდა. 1802 წლის 8 მაისიდან კი საქართველოში რუსული მმართველობა მყარდებოდა და ერთბაშად უქმდებოდა ყველა ის წეს-ჩვეულება თუ კანონი, რასაც ასე სათუთად ინახავდა აქამდის ხალხი და რაც ასე ახლო და გასაგები იყო მისთვის.

XVIII საუკუნის ბოლოსა და XIX საუკუნის დასაწყისისათვის დიდი სახელმწიფოების: ინგლისის, საფრანგეთისა და რუსეთის მხრიდან აღმოსავლეთის ქვეყნებისადმი გაზრდილი ინტერესის, ამ ქვეყნებისაკენ მიმავალი გზების ხელში ჩაგდებისა და იქ გაბატონებისათვის ერთმანეთთან კოხკურენციის პირობებში, რუსეთის იმპერიის ზრახვების განხორციელებას საქართველოს უკანასკნელი მეფის—გიორგი XII-ისა და მისი შემკვიდრეების უნიათო პოლიტიკამაც დიდად შეუწყო ხელი. თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ იმ პერიოდისათვის, როცა რუსეთს ამიერკავკასიაში „ვასალურ სახელმწიფოთა“ შექმნა კი აღარ აწყობდა, არამედ აქაური ქვეყნების აშკარა ანექსია-დაპყრობაზე გადადიოდა[1],

---

[1] Иоаннисян А. Р. Присоединение Закавказья к России и международные отношения в начале XIX столетия. Ереван, 1958, с. XXI.

მისი ინტერესების წინაღობვას სუსტი და უნებისყოფო გიორგი XII კი არა, მისი სახელოვანი მამა ერეკლე II-ც კი ვეღარ შეძლებდა.

ერეკლე II-ის გარდაცვალების შემდეგ გამეფებული გიორგი XII (1798 წ.) დაქვრივებული დარეჯან დედოფლისა და მისი შვილების მოთხოვნით იძულებული გახდა თავის ძმებისათვის წერილობითი პირობა მიეცა, რომლის მიხედვითაც მის შემდეგ სამეფო ტახტი მის შვილებზე კი არ გადავიდოდა, არამედ მისი ძმა იულონი გამეფდებოდა[2]. ამავე დროს გიორგი XII-მ ელჩი გარსევან ჭავჭავაძე გაგზავნა იმპერატორ პავლე I-თან, რომელსაც თავის გამეფებას ატყობინებდა და საგანგებო მიმართვით მემკვიდრედ თავისი შვილის — დავითის ცნობას ითხოვდა. ამ აქტით გიორგი XII სამეფო ტახტის ირგვლივ ბატონიშვილების უფროს და უმცროს შტოს შორის ატეხილ დავაში რუსეთს ერთგვარი არბიტრის როლს ანიჭებდა. პავლე I-მაც დიდ ხანს აღარ დააყოვნა და საქართველოს ტახტზე გიორგი XII-ის, ხოლო მის მემკვიდრედ დავითის დამტკიცების სიგელებთან ერთად საქართველოში თავის მუდმივ წარმომადგენლად მინისტრი კოვალენსკი გამოგზავნა[3]. მასთან ერთად საქართველოში „მუდმივად დასარჩენად" შემოვიდა გეორგიევსკის ტრაქტატით გათვალისწინებული და ამდენი ხნის ნანატრი რუსის ჯარი — ეგერთა ერთი პოლკი, გენერალ ლაზარევის მეთაურობით.

1799 წლის დეკემბერში, სიონის ტაძარში მოხდა გიორგი XII-ის საზეიმოდ მეფედ კურთხევა, სადაც კოვალენსკიმ მას პავლე I-ის მიერ გამოგზავნილი სიგელი და სამეფო ინვესტიტურის ნიშნები გადასცა და საჯაროდ გამოაცხადა, რომ რუსეთის იმპერატორი პავლე I საქართველოს თავისი მფარველობის ქვეშ იღებდა, მის კანონიერ მეფედ გიორგი XII-ს ამტკიცებდა და ტახტის მემკვიდრედ დავით ბატონიშვილს აღიარებდა[4]. დავით ბატონიშვილის მემკვიდრედ საჯაროდ აღიარებამ, რაც აქამდე საიდუმლოდ ინახებოდა, კიდევ უფრო დაძაბა ურთიერთობა ტახტის მრავალრიცხოვან პრეტენდენტებს შორის, კიდევ უფრო მკაფიოდ გამოიხატა ორი დაპირისპირებული დაჯგუფება (ერთი მხრივ, დარეჯან დედოფლის ირგვლივ შემოკრებილი ერეკლე II-ის შვილები

---

[2] Цагарели А., Грамоты и другие исторические документы XVIII столетия, относящиеся к Грузии. — СПБ, 1891, т. II, с. 143.

[3] Акты, собранные Кавказской археографической комиссией (შემდეგში АКАК), т. I—XII, 1866—1904 гг., т. I, с. 98.

[4] Бутков П. Г., Материалы для новой истории Кавказа с 1722 по 1803 год. — СПБ, 1869, ч. II, с. 451.

და მათი მომხრეები და, მეორე მხრივ — გიორგი XII-ის შვილები თავისი მომხრეებით), რომლებიც ფაქტიურად სხვადასხვა ორიენტაციისა იყვნენ. უკმაყოფილო ბატონიშვილები თავიანთ საუფლისწულოებში ჩაიკეტნენ და ბრძოლისათვის ემზადებოდნენ. საქართველოში რუსის ჯარის გამოჩენამ ირანი და მეზობელი სახანოებიც შეაშფოთა, ისინიც აშკარად ხმალს ლესავდნენ. საქართველოში მყოფი მცირერიცხოვანი რუსის ჯარი, რა თქმა უნდა, მათ წინააღმდეგ ვერაფერს გააწყობდა და შეშფოთებულმა გიორგი XII-მ, რომელიც ამ დროისათვის უკვე დასნეულებული და საბოლოოდ სარეცელს მიჯაჭვული იყო, გადაწყვიტა რუსეთის დასაინტერესებლად მაქსიმალურად დაეთმო თავისი ინტერესები, უკიდურესობამდე შეეზღუდა საქართველოს ავტონომია და ამ ვითარების გათვალისწინებით შედგენილი სათხოვარი პუნქტები თავისი რწმუნებულების: გარსევან ჭავჭავაძის, გიორგი ავალიშვილის და ელიაზარ ფალავანდიშვილის ხელით რუსხელმწიფესთან გააგზავნა. სათხოვარმა პუნქტებმა პეტერბურგში 1800 წლის ნოემბრისათვის მიაღწია. ამ დროისათვის პავლე I-ს უკვე მიღებული ჰქონდა საქართველოს დაზვერვის მისიით გაგზავნილი რეზიდენტის — მუსინ-პუშკინის საიდუმლო მოხსენება, რომელშიც ეს უკანასკნელი არწმუნებდა იმპერატორს, რომ საქართველოს მოსახლეობის ყველა ფენა რუსული ორიენტაციისა იყო, რომ გიორგი XII-ის მოახლოვებული გარდაცვალების შემთხვევაში ამ ღვთისგან კურთხეულ, მდიდარ და სამოთხისებური ჰავით შემკულ მხარეს სპარსელები ან თურქები ჩაიგდებდნენ ხელთ, ან სამუდამოდ განადგურდებოდა სამეფო ტახტის პრეტენდენტთა ბრძოლის შედეგად. მისი რუსეთთან შეერთებით კი იმპერიას შეემატებოდა ბარაქიანი და ხვავრიელი მიწები, კავკასიის ხაზს აღარ გაუჭირდებოდა იმიერკავკასიის ხალხების დამორჩილება, რადგანაც ისინი ორივე მხრიდან რუსის ჯარს შორის აღმოჩნდებოდნენ, რუსეთს გაეხსნებოდა სპარსეთსა და ინდოეთისკენ მიმავალი სავაჭრო გზები, ოტომანთა პორტასთან უთანხმოების შემთხვევაში კი საქართველოს მხრიდან რუსეთის განკარგულებაში იქნებოდა მნიშვნელოვანი სავაჭრო პუნქტები. იგივე ითქმოდა სპარსეთის შესახებაც, სალიანში ჩაყენებული მცირე რაზმი უზრუნველყოფდა იქაური ხანების რუსეთისადმი ერთგულებას და თავის ტერიტორიაზე გამავალ გზებზე ინდოეთთან ვაჭრობის წარმართვის საშუალებას მისცემდა[5].

რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი გრაფი როსტოპჩინი, რომელსაც პავლე I ყველაზე მეტად ენდობოდა, დიდი გატაცებით უმტკი-

[5] Бутков П. Г. Материалы..., с. 464.

ცებდა იმპერატორს იმ შედეგების პოლიტიკურ და სავაჭრო მნიშვნელობას, რომელიც საქართველოს რუსეთთან შეერთებას უნდა მოჰყოლოდა. მისი აზრით, საქართველოს ხელში ჩაგდებით რუსეთს შესაძლებლობა ეძლეოდა სერიოზულად დამუქრებოდა თურქეთს, შემდგომში კი, კასპიის ზღვის სანაპირო ზოლზე გაბატონების პირობებიც იქმნებოდა. როსტოპჩინის როლი საქართველოს რუსეთთან შეერთების საქმეში თვალნათლივ ჩანს მის მიერ 1804 წ. ციციანოვისადმი მიწერილი წერილიდანაც. იმ დროს, როდესაც ციციანოვს დასავლეთ საქართველოს სამეფო-სამთავროები რუსეთის მფარველობის ქვეშ შეჰყავდა, განჯის სახანოს იარაღით იპყრობდა და ერევნის სახანოს ემუქრებოდა, უკვე სამსახურიდან გადამდგარი, პავლე I-ის დროს კი ყოვლისშემძლე კარისკაცი გრაფი როსტოპჩინი სწერდა: „მოგილოცავ ახალ წარმატებებს. მე მიხარია, რომ ჩემი მეგობარი ახორციელებს იმას, რასაც მე ჩემს ოცნებად ვთვლიდი. მე მივეცი დასაბამი ამ საქმეს ქაღალდზე, შენ დაამკვიდრე მიწაზე. პირველი არაფერს ნიშნავს, მეორე კი მნიშვნელოვანია და დიდებული“[6].

ყოველივე ზემოთქმულის შემდეგ ცხადია, რომ პავლე I-ის მიზნები უფრო შორს მიდიოდა, ვიდრე ეს გიორგი XII-ის სათხოვარი პუნქტებით იყო გათვალისწინებული. კერძოდ, ავტონომიის მაქსიმალურად შეზღუდვის მიუხედავად, გიორგი XII მეფის ტიტულის სამკვიდროდ დატოვებას მოითხოვდა, რაც სულაც აღარ შეესაბამებოდა პავლე I-ის გეგმებს, მაგრამ იმპერატორი, მძიმედ დაავადებული მეფის მოსალოდნელი გარდაცვალების შემთხვევაში, ბრძანებას აძლევდა კავკასიის ხაზის უფროსს, გენერალ კნორინგს, რაც შეიძლება მეტი ჯარი შეეყვანა საქართველოში და უმაღლესი ბრძანებულების მიღებამდე სამეფო ტახტზე მემკვიდრის აყვანისათვის არ ეზრუნა[7]. ამავე დროს 1800 წლის 19 ნოემბერს პავლე I-მა მოიწონა მომაკვდავი მეფის სათხოვარი პუნქტები, ავალიშვილი და ფალავანდიშვილი უკანვე გააბრუნა საქართველოში, რათა ამ უკანასკნელებს გაერკვიათ, ურყევად იდგა თუ არა გიორგი თავის პოზიციებზე. თანხმობის შემთხვევაში ელჩის წოდებამინიჭებული რწმუნებულები სამადლობელო სიგელით გიორგი XII-ს უკანვე უნდა გაეგზავნა პეტერბურგს, რათა მათ საბოლოოდ, ორმხრივად გაეფორმებინათ საქართველოს რუსეთის ქვეშევრდომობაში შესვლის აქტი[8]. მაგრამ პავლე I-მა, გატაცებულმა მუსინ-

[6] Письма гр. Ростопчина к кн. П. Д. Цицианову. — Девятнадцатый век; Исторический сборник, изд. Бартеневым, 1872, кн. II, с. 38.

[7] АКАК, т. I, № 116.

[8] АКАК, т. I, № 121.

პუშკინის მოხსენებითა და გრაფ როსტოპჩინის მტკიცებით, არამც თუ ელჩების თბილისიდან დაბრუნებას, არამედ რაიმე ცნობის მიღებასაც აღარ დაუცადა და 1800 წლის 18 დეკემბერს საქართველოს სამეფოს რუსეთთან შეერთების სახელდახელოდ შედგენილი მანიფესტი გამოაქვეყნა. იმპერატორმა მანიფესტი კნორინგს გაუგზავნა და დაავალა, რომ იგი მხოლოდ ავალიშვილისა და ფალავანდიშვილის მისიის შესრულებისა და გიორგი XII-ის გარდაცვალების შემთხვევაში გამოექვეყნებიათ საქართველოში[9]. მანამდის კი შუაგულ ზამთარში, კავკასიის ქედის თითქმის გაუვალი უღელტეხილებით კნორინგი რუსული ჯარის პოლკებს ზედიზედ აგზავნიდა საქართველოში, რათა მანიფესტის გამოცხადებისას რაიმე მოსალოდნელი საფრთხე თავიდან აეცდინა. მაგრამ მოხდა პავლე I-სათვის სრულიად გაუთვალისწინებელი ამბავი: ქართველმა რწმუნებულებმა მეფეს ცოცხალს ველარ ჩამოუსწრეს, გიორგი XII 1800 წლის 28 დეკემბერს მიიცვალა. ავალიშვილმა და ფალავანდიშვილმა იმპერატორის სიგელი გიორგი XII-ის მემკვიდრეს დავითს გადასცეს და მისი უმაღლესობის სახელით საქართველოს მმართველობა დავითს ჩააბარეს, რომელსაც ქვეყანა გენერალ-მაიორ ლაზარევთან ერთად უნდა ემართა. დავითმა სათანადო სიგელები შეადგინა, რწმუნებულებს ელჩის სახელი მიანიჭა, რჩეული თავადაზნაურებისა და ბატონიშვილებისაგან დელეგაცია შეადგინა და ყველა ესენი პეტერბურგს გაგზავნა, რათა პავლე I-საგან ტახტზე ასვლის ნებართვა ჩამოეტანათ. მაგრამ ამჯერად ქართველმა ელჩებმა პავლე I-ს ველარ ჩაუსწრეს ცოცხალს.

ალექსანდრე I-მა ტახტზე ასვლის უმალ უარყო პავლე I-ის მიერ უკვე თითქმის გადაწყვეტილი საკითხი საქართველოს რუსეთთან შეერთებისა და აქ რუსული მმართველობის დამყარების შესახებ და ამ საკითხის განხილვა სახელმწიფო საბჭოს დაავალა. ალექსანდრე I 1801 წლის 19 აპრილის რესკრიპტით კავკასიის ხაზის სარდალს გენერალ კნორინგს ავალებდა: „ვინაიდან ჩვენი მთავარი მამოძრავებელი ძალა არის მხოლოდ ჰეშმარიტი და უცილობელი სამართლიანობა და საერთო სახალხო უფლებების ხელშეუხებლობა, ვინაიდან ჩვენი ყველა საშინაო და საგარეო საქმეების საფუძველს ეს ჰეშმარიტება წარმოადგენს, საქართველოს შესახებ რაიმე გადაწყვეტილების მიღებამდე გვსურს დავრწმუნდეთ: პირველი — ქართლ-კახეთის სამეფოს საშინაო მდგომარეობა მართლა ისე უნუგეშოა, რომ საკუთარი ძალებით ვერ შეძლებს იგი ვერც სპარსეთისა და იმიერკავკასიის მთიელების წინააღ-

[9] Бутков П. Г. Материалы.., с. 465.

მდეგ გამკლავებას და ვერც შინაომების ჩაქრობას, რომ საქართველოს ცალკე, თვითმყობად სახელმწიფოდ მიტოვება ბედისანაბარად, შეუფერებელი იქნებოდა როგორც ძველთაგანვე საქართველოს მფარველი ჩვენი იმპერიის დიდებისა, ისე ჩვენი სულგრძელობისათვის და მეორე — ჰეშმარიტად დარწმუნებულია თუ არა მთელი ქართველი ხალხი, რომ რუსეთის იმპერიის ფარგლებში საქართველოს მოქცევა მათი გადარჩენის ერთადერთ გზას წარმოადგენს"[10]. აი, ამ ორი საკითხის გარკვევას ავალებდა იმპერატორი კნორინგს და თან აფრთხილებდა, რომ მას გაეთვალისწინებია ის გარემოება, რომ ამ მხარის შემოერთება რუსეთის იმპერიის სარგებლობას კი არ ისახავდა მიზნად, არამედ ყოველივე ეს კეთდებოდა მხოლოდ და მხოლოდ აქაური მოსახლეობის მშვიდობისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით. ამის გამო კნორინგს ამ ქვეყნისათვის უნდა შეეხედა, არა როგორც რუსეთისათვის სარგებლობის მომტანი მხარისათვის, არამედ უნდა გაეთვალისწინებია, რომ ეს იყო ხალხი, რომელთაც შეერთება ითხოვეს საკუთარი ბედნიერებისათვის და კნორინგიც უნდა ცდილიყო, რომ მათ უბედურებას რაიმე საშველი დადგომოდა[11]. მაგრამ ამავე დოკუმენტში იმპერატორი თავის ნამდვილ მიზნებსაც ვერ მალავდა და მიუთითებდა კნორინგს: „არ დაგიმალავთ, რომ იმპერიის ღირსება, ჩვენი საზღვრების უშიშროება, ოტომანთა პორტას ზრახვები, მთიელების თავდასხმები, საკუთრივ რუსეთის სარგებლობის გათვალისწინება ძველთაგანვე აიძულებდა ხელისუფლებას, ეზრუნა ამ საქმისათვის და მისი შესრულების სურვილი ჰქონოდა. მხოლოდ და მხოლოდ ჩვენი სარგებლიანობის თვალსაზრისით რომ განვსაზღვროთ მისი არსი, ჩვენ არ შეგვიძლია არ ვსცნოთ მისი ძალა"[12]. რა თქმა უნდა, ამ მითითების შემდეგ ზემოთ მოყვანილი მსჯელობა საქართველოს ბედ-იღბლით უანგაროდ დაინტერესების შესახებ ლიტონ სიტყვებად იქცეოდა და კნორინგისათვის ცხადი უნდა გამხდარიყო როგორი მიმართულებით წაეყვანა ამ საკითხის გამორკვევა. მართლაც, მან 22 დღის განმავლობაში შეძლო საქართველოში განლაგებული რუსული პოლკის უფროსის გენერალ-მაიორ ლაზარევის შემწეობით შერჩეულ რუსული ორიენტაციის პირებთან შეხვედრა და მათი ჩვენებების საფუძველზე მეფისათვის სასურველი დასკვნის გაკეთება. კნორინგი, ხელმწიფისადმი მირთმეულ მოხსენებაში გულმოდგინედ ამტკიცებდა, რომ მაჰმადიანური სახელმ-

[10] АКАК, т. I, с. 419, იხ. სცსსა, ფ. 2, ან 1, საქ. 4, ფურც. 3—5.

[11] იქვე.

[12] იქვე.

წიფოებით გარშემორტყმულ საქართველოს დამოუკიდებლად არსებობის და შინაფეოდალური ომების ლიკვიდაციის საშუალება აღარ ჰქონდა და რომ, მართალია, აქ იყო თავადაზნაურთა ნაწილი ქართველი მეფისა და ძველი მმართველობის მსურველი, მაგრამ „საფუძვლიანად მოაზროვნე“ თავადაზნაურობას მთელ ქართველ ხალხთან ერთად რუსეთის იმპერატორის უშუალო ქვეშევრდომობა და რუსეთის იმპერიის კანონების საქართველოზე გავრცელება სურსო[13]. რა თქმა უნდა, კნორინგის ეს მოხსენება სიმართლეს არ შეეფერებოდა და იგი მხოლოდ და მხოლოდ რუსეთის იმპერიის ინტერესების გამართლებას ისახავდა მიზნად. „მართალი კი ის იყო, — წერს ნ. ბერძენიშვილი, — რომ მთელ ქართველ ხალხს რუსეთთან კავშირი მართლაც რომ სრულის გულით სურდა, მაგრამ სურდა სწორედ იმისთვის, რომ „გამოხსნა-აღდგომა“ მას „ქართველობით“ შესძლებოდა. ხოლო თუ როგორ ფორმებში წარმოედგინა ქართველ ფეოდალურ საზოგადოებას ეს კავშირი რუსეთთან, ამის მოწმობა იყო ერთის მხრივ უმრავლესობის პოზიცია, რომელიც 1783 წლის ტრაქტატის დაცვას გულისხმობდა, ხოლო მეორეს მხრით ქართველი ელჩების მიერ წარდგენილი მოხსენება-პროექტები, რომლებიც ქართული ფეოდალური საზოგადოების შეორე დიდი ნაწილის პოლიტიკურ შეხედულებათა გამოსახულება იყო“[14]. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ კნორინგის „დასკვნის“ სისწორეში რუსეთის ზოგიერთმა პროგრესულად მოაზროვნე სახელმწიფო მოღვაწემაც შეიტანა ეჭვი. სახელმწიფო საბჭოზე კნორინგის დასკვნის განხილვისას გრაფი ვორონცოვი და გრაფი კოჩუბეი აცხადებდნენ, რომ მთელი ქართველი ხალხისა და მათი მმართველობის თანხმობა სახელმწიფოს გაუქმებაზე რაღაც „საეჭვო“, „საიდუმლო ხერხებით“ უნდა ყოფილიყო მიღწეული. ხოლო რაც შეეხებოდა ქართლ-კახეთის სამეფოს დამოუკიდებლად არსებობის შესაძლებლობას, ისინი აცხადებდნენ, რომ „ოტომანთა პორტის უკიდურესი დასუსტება და ამ მხარის მოსაზღვრე საფაშოების დაუმორჩილებლობა, სავსებით უზრუნველყოფს მათ ამ მხრიდან. სპარსელებმა კი, ვიდრე რუსის ჯარი იქა დგას, ძნელი წარმოსადგენია, რომ რაიმე გაბედონ მათ წინააღმდეგ, ვინაიდან საკმაოდ ცნობილია, რომ ამ ბოლო ხანების უძლიერესი მმართველი აღა-მაჰმად-ხანიც კი ვერ გაბედავდა 1795 წელს საქართველოზე თავდასხმას თავისი მრავალრიცხოვანი ბრბოთი, თავის დროზე აქ რუსის ჯარის მცირე

---

13 სცსსა, ფ. 2, ან. 1, საქ. 4. უურც. 5—13.

14 ნ. ბერძენიშვილი. საქართველოს ისტორიის საკითხები, თბ., 1965, ტ. II, გვ. 255.

რაოდენობაც რომ ყოფილიყო გამოგზავნილი"[15]. მაგრამ სახელმწიფო საბჭოს მხოლოდ ორი წევრის აზრი საკითხს ვერ გადაწყვეტდა და საბჭომაც საქართველოს რუსეთთან შეერთებას დაუჭირა მხარი, რასაც მოჰყვა 1801 წლის 12 სექტემბრის ალექსანდრე I-ის ცნობილი მანიფესტი, რომლის საქართველოში გამოქვეყნება მხოლოდ 1802 წლის 12 აპრილისთვის მოხერხდა, როცა აქ უკვე საკმაო რაოდენობით იყო რუსის ჯარი გადმოყვანილი და სიონის ტაძარში ჯარით ალყაშემორტყმულ ქართველ ფეოდალებს რუსხელმწიფის ერთგულებაზე ფიცის მიღების მეტი სხვა გზა არა დარჩენოდათ-რა. აი, როგორ აღწერდნენ მანიფესტის გამოქვეყნების გარემოებას დამსწრენი: „დიდ მარხვის ვნების კვირაში, ოთხშაბათს, მოვიდა აქ თბილისს ქალაქში ღენერალი კნორრინღი თავისის შემდეგი მოხელეებით და დიდს შაბათ დღეს დაუძახა აქაურთ შემძლეთ და სხვათა, რომ გამოუცხადებს დიდის ხელმწიფის ნებას. ამისათვის მივიდნენ, ვისაც შეეძლოთ მისვლა და როგორც შეიყარნენ დანიშნულ ადგილს, მაშინვე შემოახვია მათ მხედრობა ყოვლისა რუსეთისა შეიარაღებული, როგორც საშტურმოდ, და გამოუცხადა, რომ დაიფიცონ ახალ განწესებულ კანონზე და შტატზედ. როდესაც ხალხმა დაინახა, რომ ძალით აპირებს კნორრინღი და მისი ამხანაგნი ამათს დაფიცებას, მაშინ ზოგნი გამოსცვივდნენ და ზოგნი დარჩნენ და დაიფიცეს, მაგრამ რადგანაც ძალა იყო და ჯარიც გარშემო ეხვიათ, რა უნდა ექნათ.

მასუკან დედოფლებმა რომ შეიტყვეს ეს მისი ნამოქმედები, დაიბარეს მაინდამ მოსული მთავრები და უთხრეს — შენ პირველად შენს აქ ყოფნაში გვარწმუნე და აღგვითქვი, რომ ჩვენ ისევე ჩვენი მეფე გვეყოლება და კიდეც ეცდები და შენის სიტყვისამებრ ხელმწიფეც ინებებს ჩვენს ოჯახში მეფის დასმას და დამტკიცებას და ეხლა სრულად შენგან აღთქმულის წინააღმდეგ იქცევი აჰა და საქმობ!"[16].

ქართველი ხალხი, რა თქმა უნდა, ასე ადვილად ვერ შეეგუა სამეფოს გაუქმებასა და დამოუკიდებლობის დაკარგვას და შეიძლება თამამად ითქვას, რომ შეერთების პირველივე დღიდან დაიწყო ბრძოლა დამოუკიდებლობის აღსადგენად. მაგრამ ამ უთანასწორო ბრძოლაში ქართველი ხალხის შემართება დიდი ხნის განმავლობაში მარცხისათვის იყო განწირული. თვით რუსი მოხელე ა. ბერჟე, რომელსაც საქართველოსადმი მიკერძოებას ვერ დავწამებთ, იძულებული იყო ეღია-

---

[15] Архив Государственного Совета, т. III, ч. II, с. 1206.

[16] ციტირებულია „საქართველოს ისტორიის ნარკვევებიდან", ტ. IV, გვ. 818.

რებინა, რომ რუსის ჯარს ხელახლა მოუხდა „ნებაყოფლობით“ შეერთებული საქართველოს დაპყრობა. რომ მშვიდობა, უშიშროება მოსახლეობისა საქართველოს ყველა მხარეში, თბილისიდან დაწყებული ყველა ქალაქში და თითქმის ყველა სოფელში სამხედრო მოქმედებებით იყო მიღწეული[17].

* * *

საქართველო-ამიერკავკასიაში რუსული ადმინისტრაციის დამკვიდრება და ამ ადმინისტრაციის დამახასიათებელი თვისებების შესწავლა ჯერ კიდევ XIX საუკუნეში დაიწყო. მეფის ოფიციალური ისტორიკოსების: დუბროვინის, პოტოს, ივანოვის, ესაძისა და სხვათა ნაშრომებში მრავალი საყურადღებო ფაქტია მოტანილი, მაგრამ მასალა ხშირად ტენდენციურადაა შერჩეული და აქედან გამომდინარე, დასკვნებიც ტენდენციურია. თანამედროვე ქართულ ისტორიოგრაფიაში რუსული ხელისუფლების მიერ საქართველოში შექმნილი მართვა-გამგეობის სისტემის დამყარება და მისი ევოლუცია საფუძვლიანად შეისწავლა პროფესორმა შ. ჩხეტიამ, რომლის ნაშრომში — „რუსული მმართველობის სისტემა საქართველოში 1801—1864 წლებში“ სრულყოფილად არის გათვალისწინებული საკვლევი თემის გარშემო არსებული, გამოქვეყნებული თუ არქივში დაცული მასალა. დასახელებულ ნაშრომში XIX საუკუნის პირველი ნახევრის საქართველოში მოქმედი რუსული მმართველობის სისტემა ორ პერიოდად არის გაყოფილი. პირველი პერიოდი — 1801-დან 1840 წლამდე, როდესაც, მართალია, მმართველობა უმთავრესად სამხედრო ხასიათს ატარებდა, მაგრამ მეფის მთავრობა იძულებული იყო ანგარიში გაეწია ქართული წეს-ჩვეულებებისა და კანონმდებლობისათვის და მმართველობის აპარატში მეორეხარისხოვან თანამდებობებზე ადგილობრივი ელემენტიც გამოეყენებია. მეორე პერიოდში (1841-დან 1864 წლამდე) ხდება საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური უნიფიკაცია რუსეთთან და მყარდება ისეთი მმართველობა, რომელიც თითქმის აღარაფრით განსხვავდებოდა წმინდა რუსულ გუბერნიებში მოქმედ თვითმპყრობელურ-ბიუროკრატიული ადმინისტრაციული სისტემისაგან.

---

[17] Берже А. П. Присоединение Грузии к России 1799—1801 гг. — Русская старина, 1880, т.XVIII май м-ц, с. 1—30, июнь, с. 159—177.

საქართველოს ისტორიის ნარკვევების მრავალტომეულის IV და V ტომში გარკვეული ადგილი ეთმობა რუსული მმართველობის დაძყარებასა და მისი ევოლუციის შესწავლას. აქ, განსაკუთრებით რუსული მმართველობის დამყარების შესახებ, ბევრი საგულისხმო და დღემდე უცნობი ფაქტია მოტანილი, რაც საშუალებას გვაძლევს ახალი თვალით შევხედოთ რუსული მმართველობის დამყარებას და ამის თაობაზე სწორი დასკვნებიც გავაკეთოთ.

პრობლემის შესწავლის ასეთ ფონზე, ჩვენ მიერ კვლავ მიბრუნება ამ საკითხისადმი იმ გარემოებით არის განპირობებული, რომ საბჭოურ ისტორიოგრაფიაში ამა თუ იმ პიროვნების როლს ისტორიულ პროცესებზე ზემოქმედების თვალსაზრისით დღემდე ნაკლები ყურადღება ექცეოდა. შეიძლება თამამად ითქვას, რომ თანამედროვე ისტორიულ ლიტერატურაში თითქმის არ არსებობს რაიმე ცნობები საქართველოს ამა თუ იმ მთავარმართებლის, ან მეფისნაცვლის პიროვნების შესახებ. ეს მაშინ, როცა თითოეული მათგანი თავისი ხასიათის, შესაძლებლობისა და მისწრაფების მიხედვით გარკვეულ დაღს ასვამდა ქვეყნის მართვა-გამგეობას. წინამდებარე ნაშრომში დახასიათებულია თითოეული მთავარმართებლისა და მეფისნაცვლის პიროვნება, განხილულია მათი საქმიანობა სამხედრო თუ სამოქალაქო მმართველობის სფეროში და შეძლებისდაგვარად გათვალისწინებულია ის ცვლილებები, ნაკლი, ან დამსახურება, რომელიც მათ მიუძღოდათ ქვეყნის ბედიღბლის გადაწყვეტაში. მოვლენების შეფასებისას ვცდილობდით სრულყოფილად გაგვეთვალისწინებია ქვეყნის პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური ვითარება.

ნაშრომი, გამოცემული და საარქივო საბუთების პარალელურად, ემყარება თანამედროვე მკითხველისათვის თითქმის სავსებით უცნობ იმ მემუარულ და ეპისტოლურ მასალას, რომელიც აგრერიგად უხვად ქვეყნდებოდა XIX საუკუნის პერიოდიკაში და რომელთა შეჯერება-ანალიზი მრავალი დეტალის დაზუსტებისა და ამა თუ იმ საკითხის ახლებურად შეფასების საშუალებას გვაძლევს.

თავი I

რუსული მმართველობის დამყარება XIX საუკუნის პირველ მეოთხედში

1. მმართველობის პირველი წლები

ალექსანდრე I-ის 1801 წლის 12 სექტემბრის მანიფესტით ქართლ-კახეთის სამეფოს დამოუკიდებლობა საბოლოოდ უქმდებოდა და საქართველო რუსეთის იმპერიის შემადგენელ ნაწილად ცხადდებოდა. მანიფესტში ნათქვამი იყო, რომ „არა ძალების შესამატებლად, არა ანგარებისათვის, არა საზღვრების გაფართოების მიზნით ისედაც უვრცელესი ამ ქვეყნად იმპერიისა, ვიტვირთეთ ჩვენ საქართველოს სამეფოს მართვა. მხოლოდ ღირსება, მხოლოდ პატიოსნება და ადამიანობა გვაკისრებს ჩვენ წმინდა მოვალეობას ვისმინოთ ტანჯულთა ვედრება, ავარიდოთ ჰმუნვას — დავაარსოთ საქართველოში მმართველობა, რომელიც შესძლებს მართლმსაჯულების დამყარებას, მიანიჭებს მათ პირად და ქონებრივ უსაფრთხოებას და პიროვნების კანონისმიერ დაცვას“[1].

თუ რამდენად საქართველოს ინტერესებიდან გამომდინარე აპირებდა რუსეთი მის შეერთებას და არავითარი ანგარება, რუსეთის სახელმწიფოებრივი სარგებლობა არ ამოძრავებდა, ამის შესახებ უკვე გვქონდა საუბარი, ახლა კი არ შეიძლება არ გავიხსენოთ ფ. ენგელსის ციტატა, რომელიც წერს, რომ „ყოველგვარ დაპყრობას ტერიტორიისა, ყოველგვარ ძალადობას, ყოველგვარ ჩაგვრას ცარიზმი ახორციელებდა მხოლოდ განათლების, ლიბერალიზმის, ხალხთა განთავისუფლების ნიღაბით“[2].

რა თქმა უნდა, სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის გაუქმებას და ახალი, სრულიად უცხო მმართველობის დაარსებას, რაც არ უნდა სამართლებრივ საფუძველზე ყოფილიყო დამყარებული ეს უკანასკნელი, არც ერთი ერისთვის არ შეეძლო დადებითი შედეგის მოტანა, მაგრამ ჩვენს კონკრეტულ შემთხვევაში ამ უბედურებას, სა-

---

[1] АКАК, т. I, док. 547.

[2] Маркс К. и Энгельс Ф. Соч., изд. II, т. XXII.

ხელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის გაუქმებას, რუსი მოხელეების საქვეყნოდ ყბადაღებული თვითნებობა, უზნეობა და ვერცხლისმოყვარულობა ემატებოდა, რაც მოსახლეობის ყველა ფენისათვის სავსებით აუტანელს ხდიდა ახალ მმართველობას და აძნელებდა მასთან შეგუებას. მართალია, იმპერატორი აფრთხილებდა გენერალ კნორინგს, რომელსაც დავალებული ჰქონდა საქართველოში ახალი მმართველობის მოწყობა, ისე ჩაეტარებინა ეს ღონისძიება, რომ მოსახლეობას მტკივნეულად არ განეცადა ცვლილებები და ისეთი წესრიგი დაემყარებინა, რომლის აჩრდილიც კი დღევანდელამდე მათ არ უნახავთო[3], მაგრამ ეს სიტყვებიც, 12 სექტემბრის მანიფესტისა არ იყოს, ლიტონ სიტყვებად რჩებოდა, რადგან რუსეთს თავის ცენტრალურ გუბერნიებშიც კი არ შესწევდა ძალა წესრიგის დასამყარებლად. ჩვენს მიერ უკვე ნახსენები რუსი მოხელე ა. ბერჟე წერდა, რომ მართალია, ადმინისტრაციას თვით რუსეთის ცენტრალურ გუბერნიებშიც არ ჰყავდა იმათზე უკეთესი შემსრულებლები, ვისაც საქართველოში ავზავნიდა. მაგრამ ეს უცილებელი ისტორიული ფაქტი სულაც არ ამცირებდა კავკასიაში მოხელეების მიერ ჩადენილ ბოროტმოქმედებებს, რაიც ქვეყნის მშვიდობიან მოსახლეობას რუსეთის საწინააღმდეგოდ განაწყობდა[4].

მკვეთრად გამოხატული უარყოფითი შეხედულება ჰქონდა რუსი მოხელეების შესახებ ტახტის ერთგულ გენერალს, ნ. მურავიოვს, რომელმაც თავისი სამსახურის უმეტესი ნაწილი საქართველო-კავკასიაში გაატარა. აი, რას წერდა იგი: „რუსული ხელისუფლება, რომელიც ამჯერად აქ არის დამკვიდრებული, უეჭველია, ბევრ მავნე ჩვეულებებს მოსპობს ამ ქვეყანაში (ლაპარაკია დაღესტანზე, — ე. ო.), მაგრამ ამავე დროს ლეკების გახრწნასაც შეუწყობს ხელს, რომ აღარაფერი ვთქვათ იმ საყოველთაო სიძულვილზე, რომლის მოპოვებაც მან აქ უკვე მოასწრო. ამის მიზეზია მოხელეების გარყვნილება, ანგარება და უპატივცემულობა იმათ მიმართ, ვისაც ხალხი თავის მოსამართლედ და შუაკაცად მიიჩნევს. ჩვენი განათლებული მოხელე, შეპყრობილი ყოველგვარი მანკიერებით და განსაკუთრებით კი მედიდური წინასწარგანწყობით, რომ ყოველივეს, რაც ჩვენს ჩვეულებებს არა ჰგავს, გაუნათლებლობის ბეჭედი აზის, წესიერ ადამიანად თვლის მხოლოდ იმას, ვისაც მაღალი ჩინი აქვს, პატივცემულ მოხუცებულს კი, რომელსაც ხალხის საყოველთაო ნდობა აქვს მოპოვებული, ის სრულ არა-

---

3 სცსსა, ფ. 2, ან. 1, საქ. 4, ფურც. 17—18.

4 ბ ე რ ჟ ე ა., დასახელებული ნაშრომი.

რაობად მიიჩნევს მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ, რომ წვერმოშვებულია, ან წმინდა მაუდის ტანსაცმელი არ აცვია. ეს უსამართლო დამოკიდებულება არის მიზეზი იმ საყოველთაო სიძულვილისა, რომელსაც ჩვენი ხელისუფლება თავისი მოხელეების საშუალებით უმოკლეს ხანაში იმკის"[5].

შეიძლება გადაუჭარბებლად ითქვას, რომ მურავიოვის ეს სიტყვები, ნათქვამი ჯერ კიდევ XIX საუკუნის დასაწყისში (1818 წ.), როდესაც რუსეთს დაღესტანი თავისი ერთგული ეგონა, მართლაც რომ წინასწარმეტყველური აღმოჩნდა. მოკლე ხანში დაღესტნელმა წვერმოშვებულმა მოხუცმა, უბრალო, შინ ნაქსოვ ტანისამოსში გამოწყობილმა ყაზი მოლამ, რომელსაც რუსმა მოხელეებმა თავის დროზე უურადღებაც კი არ მიაქციეს, შთააგონა იმიერკავკასიის მთიულებს, რომ სიძულვილი, რომელსაც ისინი რუსების მიმართ განიცდიდნენ, მათ რელიგიურ მოვალეობას წარმოადგენდა. მან თავისი ცეცხლოვანი, ფანატიკური მოძღვრებით საფუძველი ჩაუყარა აღმოსავლეთ იმიერკავკასიის ჭრელი მოსახლეობის მჭიდრო სამხედრო გაერთიანებას და რელიგიურ ომს „ჰაზავათს" ურწმუნო რუსეთის წინააღმდეგ, რომელიც თითქმის 30 წელიწადი გაგრძელდა და წარმატებით უწევდა წინააღმდეგობას უშველებელი იმპერიის უსაზღვრო ძალების დამპყრობლურ ზრახვებს.

კავკასია-საქართველოში წამოსული მოხელეების კიდევ უფრო ამაზრზენ სურათს გვიხატავს მოხელე ძიუბენკო, რომელმაც 1829 წლიდან 1876 წლამდე, თითქმის ნახევარი საუკუნე გაატარა აქ. მისი გადმოცემით, კავკასიაში ცოტად თუ ბევრად განათლებული მოხელეების მოზიდვას ვერც აქ მოსამსახურე მოხელეებისათვის დაწესებული შეღავათები შველოდა. პირიქით, ეს შეღავათები უარყოფითად მოქმედებდა, ვინაიდან კავკასიაში მოხელეები იმ გარემოებით წახალისებული მოისწრაფოდნენ, რომ მიიღებდნენ კოლეგიის ასესორის ჩინს, რისთვისაც რუსეთის შიგა გუბერნიებში სერიოზული გამოცდის ჩაბარება სჭირდებოდათ. ესენი უმთავრესად მსმელი ხალხი, ან თავაწყვეტილი ახალგაზრდობა იყო, რომლებიც ორმაგი სამგზავრო ფულისა და ნახევარი წლის ჯამაგირის წინასწარ მიღების შემდეგ მთელი გზა არყისა და ღვინის სმას ანდომებდნენ და ძალიან ხშირად გეორგიევსკამდე ძლივს აღწევდნენ, სადაც ასეთი უმსგავსო საქციელისა და

---

5 Записки Николая Николаевича Муравьева. Русский архив, 1888, выпуск II, с. 388.

ჰავის მკვეთრი ცვლილების შედეგად ციებ-ცხელება ემართებოდათ და მრავალი მათგანი იქვე ჰპოვებდა თავის აღსასრულს. ამის გამო გეორგიევსკს კოლეგიის ასესორთა სასაფლაოსაც კი ეძახდნენ, დასძენს ძიუბენკო[6]. ძიუბენკოს მოგონებებს ის ფაქტიც ადასტურებს, რომ საქართველოს მთავარმართებელი გუდოვიჩი დაბალი რანგის მოხელეების საყოველთაო ლოთობის შედეგად იძულებული გაძხდარა ღამღამობით მათთვის ყარაული დაეყენებინა, დღისით კი ზედამხედველობა დაეწესებინა[7]. სამწუხაროდ, არც მაღალი რანგის მოხელეების ზნეობა იყო უმწიკვლო. ზოგმა მათგანმა საქართველოში სამსახურის დროს მნიშვნელოვანი ქონების შეძენაც კი მოახერხა[8]. ყოველივე ზემოთქმულის ძერე სულაც აღარ გვეჩვენება გადაჭარბებულად ის სხარტი და ლაკონური დახასიათება, რომელსაც თეიმურაზ ბატონიშვილი აძლევდა XIX საუკუნის პირველი მესამედის საქართველოს მთავარმართებლებს: ტორმასოვი — „კაცი მძვინვარე, ამპარტავანი და უწყალო". პაულუჩი — „კაცი ელამი, რაგვარადაც თვალითა, ეგრეთვე სულითა და მოქმედებითა". რტიშჩევი — „კაცი ეს იყო ფრიად მექრთამე, ვინც მისცემდის ქრთამსა, გაუშვებდის და ვინც არა — წარგზავნიდეს ციმბირსა და გარდა ამისა, შტერიცა". ერმოლოვი — „კაცი ესე იყო არა უგუნური, არამედ იყო ქუეგან მხედველი, ქუებუდან, მცბიერ და ფიცხელ..."[9].

საქართველოს უკანასკნელი მეფე გიორგი XII 1800 წლის მიწურულს გარდაიცვალა. რუსული მმართველობა საქართველოში 1802 წლის აპრილ-მაისიდან დაარსდა, შუალედში კი საქართველოში გარდამავალი მმართველობა არსებობდა. გიორგი XII-ის გარდაცვალებისთანავე გენერალ-მაიორმა ლაზარევმა, რომელსაც საიდუმლო ინსტრუქცია ჰქონდა მიღებული, არავინ დაესვა სამეფო ტახტზე[10], ქართლ-კახეთის სამეფოს მმართველად იოანე ბატონიშვილი დანიშნა, თვითონ კი მის ზურგს უკან ამოეფარა და ისე მართავდა ქვეყანას. ეს მმართველობა დიდ ხანს არ გაგრძელებულა. 1801 წლის 16 თებერვალს სიონისა და ვანქის ეკლესიებში გამოცხადდა პავლე I-ის მანი-

---

[6] Воспоминания В. А. Дзюбенко. Полувековая гражданская служба в Закавказье 1829—1876 гг. — Русская старина, т. XXV, 1879, май-август, с. 639.

[7] АКАК, т. III, № 33, т. IV, № 49.

[8] იქვე, ტ. V, 276.

[9] თეიმურაზ ბაგრატიონი. ახალი ისტორია, თბ., 1983, გვ. 74—75, 78—79, 87.

[10] АКАК, т. I, № 125.

ფესტი ქართლ-კახეთის სამეფოს რუსეთთან შეერთების შესახებ, მაგრამ ხალხის დაფიცებას იმპერატორის ერთგულებაზე არ ჩქარობდნენ. ამასობაში პეტერბურგიდან გიორგი XII-ის ელჩებიც დაბრუნდნენ და იქაური ხელისუფლებისაგან მიღებული სიტყვიერი ინსტრუქციის თანახმად, საჯაროდ გამოაცხადეს, რომ საქართველოს მმართველად მეფის მემკვიდრე დავითი ინიშნებოდა, რომელსაც ქვეყანა ლაზარევთან ერთად უნდა ემართა[11]. დავითმა, რამდენადაც შესაძლებელი იყო, მოიშორა ლაზარევის კონტროლი და მეფისათვის მინიჭებული უფლებები მიითვისა. იგი განაგებდა სამეფოს მთელ შემოსავალს, თავისი მეტოქის, იულონ ბატონიშვილის მომხრე თავადებს ართმევდა მამულებს და სახელოებს და თავის მომხრეებს უბრუნებდა და სხვ.[12] თეიმურაზ ბაგრატიონი დავითის მმართველობის ამ პერიოდს შემდეგნაირად ახასიათებდა: „ამან იწყო მართვად ქართლისა ფ(რია)დ გონიერად, ვინადგან იყო ესე აღზრდილ მეცნიერებასა შინა ვ(ითარც)ა საღმრთოთა და ფილასოფიათა, ეგრეთვე სამხედროსაცა შინა, ვინადგან უწყოდა მან ვ(ითარც)ა კანონი სამოქალაქო და სამხედრო აზიისა, ეგრეთვე ევროპისა. ამან ანიჭა კ(ვალა)დ ძეთა ქსნის ერისთვისათა მამულიე მათი სრულიად მიღებული მეფისა ირაკლისაგან, ერთგულებისა გამო მათისა, მით რამეთუ აქვნდათ ფრიადი შეკრულება მის თანა და ერთგულება, და მოელოდა მეფობისა დამტკიცებასა როსიით“[13]. მაგრამ, როგორც უკვე აღვნიშნეთ, რუსეთის კარზე ქართლ-კახეთის სამეფოს აღდგენას აღარავინ აპირებდა და 1801 წელს, მაისის ბოლოს საქართველოში ჩამოსულმა გენერალმა კნორინგმა, რომელიც ალექსანდრე I-ის მიერ საგანგებო მისიით იყო გამოგზავნილი, დავითი მმართველობიდან გადააყენა და აქ დროებითი მმართველობა დააარსა. დროებითი მმართველობის თავმჯდომარედ ლაზარევი იყო დანიშნული, წევრებად — ქართველი მდივანბეგები: ზაალ ბარათაშვილი, ივანე ჩოლოყაშვილი, ეგნატე და სულხან თუმანიშვილები. თბილისის საქმეების განმგებლად დროებით მმართველობაში თბილისის ყოფილი მამასახლისი დარჩა ბებუთაშვილიც შეიყვანეს. ამ კოლეგიის კომპეტენციაში შედიოდა ყველა ის საქმე, რასაც უწინ მეფე წყვეტდა, კერძოდ, იგი განაგებდა მთელ სახელმწიფო შემოხავალს, იძლეოდა განკარგულებებს საჩივრებისა და თხოვნების შესახებ, წყვეტდა სამოქალაქო და სისხლის სამართლის უმნიშვნელოვანეს სხ-

[11] Бутков П. Г. Материалы.., т. II, с. 471.

[12] АКАК, т. I, № 368.

[13] თეიმურაზ ბაგრატიონი. ახალი ისტორია, გვ. 67—68.

ქმეებს. ყველა საქმე დროებითი მმართველობის მიერ საბოლოოდ გადაწყვეტილი უნდა ყოფილიყო ქვეყნის წეს-ჩვეულებების მიხედვით, გარდა სისხლის სამართლის განსაკუთრებული შემთხვევებისა, რაც საბოლოო დასკვნისათვის კნორინგს ეგზავნებოდა.

საინტერესოა დავით ბატონიშვილის დახასიათება ე. წ. „დროებითი მმართველობისა". იგი აღნიშნავდა, რომ დროებითი მმართველობა რამდენიმე „პლუტი" და „დურაკისაგან" შედგებაო და მწარედ ჩიოდა: „ვსთქვათ, რომ უბედურება სოფლისაგან დიდი ხანია ჩვეულებად შემოსულა, და ვითომც მეც ერთი გავუბედურდი, მაგრამ ამ მთელმა ქვეყანამ, თვის შორის დამკვიდრებული ერით, რა დააშავეს და ან რას შესცოდნენ, რომ ამისთანას უკანონოს და უწესოს უბედურებაში მიაწიეს, რომ ოთხთ უწიგნოთა, უწვრთნელთა და უისტორიოთა გვამთაგან ეს მთელი სამეფო იტანჯებოდეს და ასე მოუვლელად და მწუხრად რჩებოდეს"[14]. მაგრამ რუსეთში უკვე მტკიცედ იყო გადაწყვეტილი საქართველოს შეერთება და დავითის მიერ დაწუნებული დროებითი მმართველობაც მხოლოდ გარდამავალ ეტაპს წარმოადგენდა, ვიდრე საქართველოში საკმარისი რაოდენობით რუსის ჯარს შემოიყვანდნენ, 1801 წ. 12 სექტემბრის მანიფესტს გამოაცხადებდნენ და რუსი ხელმწიფის კარზე საქართველოს მმართველობის სისტემას საბოლოოდ დაამუშავებდნენ.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, იმპერატორი მოუწოდებდა, საქართველოს მმართველობის დებულების შემუშავებისას ანგარიში გაეწიათ ქართველი ხალხის ზნე-ჩვეულებების, ხასიათისა და ადათისათვის და მათი გონება-განწყობილების შესაბამისი მმართველობა დაეწესებიათ. მაგრამ რუსეთის მეფის კარზე შემუშავებული საქართველოს მმართველობის დებულება ძალიან ცოტათი განსხვავდებოდა რუსეთში არსებული, ჩვეულებრივი საგუბერნიო მმართველობისაგან და ყოველად უცხო და მიუღებელი იყო ქართველი ხალხისათვის.

ახლად შემუშავებული დებულების თანახმად, „საქართველოს მმართველობის" სათავეში იდგა მთავარსარდალი ანუ მთავარმართებელი, რომელსაც ეკითხებოდა როგორც სამხედრო, ისე სამოქალაქო საქმეები. საქართველოს უმაღლესი მთავრობა იყოფოდა ოთხ ექსპედიციად. ესენი იყო აღმასრულებელი ექსპედიცია ჩვეულებრივი საგუბერნიო მმართველობის ფუნქციებით, სახაზინო ექსპედიცია, რომელიც განაგებდა ფინანსურ და სამეურნეო საქმეებს და ორი სასამარ-

[14] ე. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი, „საქართველოს ხიძველნი", ტ. III, გვ. 345.

თლო ექსპედიცია: სისხლის სამართლის საქმეთა და სამოქალაქო საქმეთა. ექსპედიციის უფროსები იყვნენ რუსი მოხელეები, წევრები, ანუ მრჩევლები — ქართველი თავადი ან აზნაური. ქართველი მოხელეების ძირითადი ფუნქცია იყო განემარტათ ექსპედიციის უფროსებისათვის ჩვენი წეს-ჩვეულებები, ფაქტიურად თარჯიმანის მოვალეობა შეესრულებინათ და დაეკავშირებინათ რუსი მოხელეები ხალხთან. მაგრამ XIX საუკუნის დასაწყისისათვის საქართველოში რუსული ენის გვარიანი მცოდნე იშვიათად თუ მოიძებნებოდა და ამ შედარებით იოლი ფუნქციის შესრულება გართულებული იყო. თვით მმართველობაში კი ქართველი მოხელეების როლი ფრიად შეზღუდული იყო. ყველა ექსპედიციის უმაღლეს საპელაციო ინსტანციას წარმოადგენდა „უმაღლესი მთავრობის საერთო საკრებულო“, რომელიც ყველა ექსპედიციის უფროსებისა და წევრებისაგან შედგებოდა. თავმჯდომარე იყო მთავარსარდალი, ანუ მთავარმართებელი, მოადგილე— საქართველოს მმართველი.

ქართლ-კახეთის სამეფო ახალ ადმინისტრაციულ ერთეულებად — მაზრებად და დისტანციებად იყოფოდა. სულ იყო ხუთი მაზრა: ლორის — სამაზრო ქალაქი თბილისით, გორის, დუშეთის, თელავისა და სიღნაღის მაზრები. თათრული მოდგმის მოსახლეობისათვის დაარსდა დისტანციები: ბორჩალოს, ყაზახის, შამშადილოს, ბამბაკისა და შორაგელის. სამაზრო მმართველობა შედგებოდა სამაზრო სასამართლოებისა და საერობო პოლიციის გამგეობისაგან. სამაზრო სასამართლოებში მოსამართლეებად რუსი მოხელეები იყვნენ დანიშნული. ასევე საერობო პოლიციის უფროსები რუსი ოფიცრები — კაპიტან-ისპრავნიკები — იყვნენ, ორ-ორი წერი კი ქართველი თავადი ან აზნაური.

სამაზრო სასამართლო სამოქალაქო და სისხლის სამართლის უველა საქმის პირველი ინსტანცია იყო. ყველა სამოქალაქო საქმის და სისხლის სამართლის უმნიშვნელო საქმეების გადატანა შესაბამის ექსპედიციებში თვით დაინტერესებული პირების გასაჩივრების შედეგად ხდებოდა: მნიშვნელოვან სისხლის სამართლის საქმეებს საბოლოო განაჩენის გამოსატანად სამაზრო სასამართლო თავისი აზრის დართვით წარადგენდა სისხლის სამართლის ექსპედიციაში. გარდა ამისა, სამაზრო სასამართლოს ფუნქციებში შედიოდა უძრავი ქონების ნასყიდობის სიგელების შედგენა-დამტკიცება.

საერობო პოლიციის ძირითად საქმიანობას პირველადი სამძებრო საქმეებისა და წინასწარი გამოძიების წარმოება შეადგენდა. საერობო

პოლიციას ევალებოდა ხელისუფლების მითითებებისა და სასამართლო განაჩენის შესრულება. აგრეთვე მაზრის უსაფრთხოებისა და კეთილდღეობისათვის თვალყურის დევნებაც მისი ვალი იყო.

ქალაქებში პოლიციის მოვალეობას კომენდანტები — რუსი ოფიცრები — ასრულებდნენ, რომელთაც თანაშემწედ ნაცვალის სახელწოდებით ქართველი მოხელეები ენიშნებოდათ. მოსალოდნელი უკმაყოფილების თავიდან ასაცილებლად თათრული დისტანციების მოსახლეობისა და თუშ-ფშავ-ხევსურების მართვა-გამგებლობისათვის კვლავ ქართული მოურავობის ინსტიტუტი იყო დატოვებული, ოღონდ ქართველ მოურავებს ჭეშმარიტი გზიდან რომ არ გადაესვიათ, თანაშემწეებად, უკეთ რომ ვთქვათ, ზედამხედველებად, რუსი მოხელეები ენიშნებოდათ.

საქართველო-იმიერკავკასიის მთავარმართებლად კნორინგი დანიშნეს, საქართველოს სამოქალაქო მმართველად კი — ჯერ კიდევ გიორგი XII-ის კარზე გამოგზავნილი მინისტრი — კოვალენსკი. 1802 წლის აპრილ-მაისში საზეიმოდ ზედიზედ გაიხსნა საქართველოს უმაღლესი მმართველობა და სამაზრო დაწესებულებანი.

კნორინგმა ყველა სამთავრობო დაწესებულებას სახელმძღვანელოდ დაურიგა დაწვრილებითი ინსტრუქციები და როგორც თვით ცარიზმის ოფიციალური ისტორიკოსი აღიარებდა, ამ ინსტრუქციებში არც ერთი მუხლი არ იყო ორიგინალური. იგი უბრალოდ შესაბამისი წესდებიდან გადმობეჭდილი მუხლების გროვა იყო, რომელშიც ცალკეული დანაშაულის შემადგენლობა ისე ბუნდოვნად და კაზუისტიკურად იყო განსაზღვრული, რომ სურვილის შემთხვევაში არაკეთილსინდისიერ მოხელეებს სულ ადვილად შეეძლოთ მძიმე დანაშაულის მსუბუქად შერაცხვა და პირიქით, მსუბუქი დანაშაულის დამძიმება[15].

საქართველოს მმართველობა რუსეთის საერთო საგუბერნიო მმართველობისგან განსხვავებით, პირველ ხანებში განთავისუფლებული იყო მმართველი სენატის კონტროლისაგან და არ ჰყავდა კანონების ზუსტად შესრულების მეთვალყურე-პროკურორები, რაც საშუალებას აძლევდა მთავარმართებელსა და საქართველოს მმართველს რუსეთში მოქმედი კანონები ქართველი ხალხის სამართლის შეგნებისათვის დაეახლოებინათ და ქართველი ხალხის კულტურული თავისებურებებისათვის შესაფერისი ანგარიში გაეწიათ. გარდა ამისა, თუ გავითვალისწინებთ, რა რთული საშინაო და საგარეო პოლიტიკური

15 Утверждение русского владычества на Кавказе, под ред. Потто. — Тифлис, 1901, т. 12, с. 35—37.

ამოცანები დაეკისრათ საქართველოს მთავარმართებელსა და საქართველოს მმართველს, კერძოდ, ქართველი თავადაზნაურებისათვის მემკვიდრეობაში მიცემული თანამდებობების ჩამორთმევა და მათ ნაცვლად სათანადო პენსიების დანიშვნა; ქვეყანაში მშვიდობის უზრუნველყოფის მიზნით ბაგრატიონთა დინასტიის სახლის წევრების (რომელთა რიცხვი ამ დროისათვის 26-დე იყო) რუსეთში გადასახლებაზე ნებაყოფილობით დათანხმება; მეზობელი მთავრებისა და ხანების: ერევნის, ბაქოს, განჯის, შაქის, შირვანისა და სხვათა, რუსეთისათვის მიმხრობა და მათი რუსეთის მფარველობაში შეყვანა; შავი ზღვისაკენ მიმავალი კომუნიკაციების ფრთხილი დაზვერვა, ისე რომ ოსმალეთს რაიმე ეჭვი არ აეღო და სხვა, ნათელი გახდება რა დიდი მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა ამ პირველ ეტაპზე მაინც, მთავარმართებლისა და საქართველოს მმართველის თანამდებობაზე სათანადო პირების შერჩევას. მაგრამ რუსეთის ფეოდალურ-ბიუროკრატიულ ადმინისტრაციას ასეთი შორს მიმავალი მიზნების განსახორციელებლად სათანადო მოქნილობა არ შესწევდა. იმის მაგივრად, რომ ახლად შემოერთებული ქვეყნის მართვა-გამგებლობა საგანგებოდ შერჩეული პირებისათვის მიენდო, რომლებიც შესძლებდნენ მაქსიმალურად გაეწიათ ანგარიში ადგილობრივი თავისებურებებისათვის და თანდათანობით განეხორციელებიათ რუსულ მმართველობაზე გადასვლა, ახლად შემოერთებული ქვეყნის ბედ-იღბალი სავსებით შეუფერებელ პირებს: კნორინგსა და კოვალენსკის ჩაუგდეს ხელთ. კნორინგმა ახალი მმართველობის საზეიმო გახსნის შემდეგ საქართველოში განლაგებული ჯარების და საერთოდ სამხედრო საქმის უფროსად კელავ ლაზარევი დასტოვა, სამოქალაქო მმართველობა მთლიანად კოვალენსკის მიანდო, თვითონ კი გიორგიევსკში გაბრუნდა. საქართველოს ახალმა მმართველმა კოვალენსკიმ ჯერ კიდევ გიორგი მეფის კარზე თავისი ბრიყვული საქციელითა და მექრთამეობით გააოცა ბაგრატიონთა სახლის წევრები. თითქმის განუსაზღვრელი უფლებების ხელში ჩაგდების მერე კი მისი მთავარი საზრუნავი მხოლოდ და მხოლოდ საკუთარი თავმოყვარეობისა და ანგარების დაკმაყოფილება იყო. მან თავისი ნათესავებითა და თანამზრახველებით დააკომპლექტა თითქმის მთელი სამოქალაქო მმართველობა, შექმნა მათგან მძარცველი მოხელეების მჭიდრო ქსელი და მათი საშუალებით ახორციელებდა თავის მიზნებს — უწყალოდ ძარცვავდა ქართველ ხალხს. განურჩევლად იგდებდა ხელთ ყველაფერს: ფულს, მიწებს, სურსათ-სანოვაგეს, თავისი პირადი სარგებლობისათვის იყენებდა შრომით ბეგარას და ა. შ. ქარ-

თველი თავადაზნაურობის მიერ გლეხობის ექსპლოატაციას დაემატა მისთვის სრულიად უცხო, მისი ზნე-ჩვეულებებისა და ყოფისათვის მიუღებელ ფორმებში წარმოებული ძარცვა-გლეჯა, რაც ამ ჩაგვრას განსაკუთრებით მძიმე ხასიათს აძლევდა, განმკითხავი კი არსად იყო. ქართველი გლეხისათვის სავსებით უჩვეულო და ძნელად შესაგუებელი იყო მრავალინსტანციანი სასამართლო, სადაც საკითხის საბოლოოდ გადაწყვეტა ბიუროკრატიული მოხელეების მიერ უსაშველოდ ჭიანურდებოდა. ამას ზედ ერთვოდა ის გარემოება, რომ მომჩივანს საჩივარი სასამართლო დაწესებულებაში რუსულ ენაზე დაწერილი უნდა ჩაებარებინა, ზეპირადაც საჩივარი ასევე რუსულ ენაზე უნდა გამოეთქვა, რაც იმ დროისათვის სავსებით შეუძლებელი იყო. რუს მოხელეებს ქართველი თანამშრომლებისა არა ესმოდათ რა და ასეთ პირობებში, როდესაც კოვალენსკი მხოლოდ პირადი გამდიდრებით იყო დაკავებული და ქვეყნის მართვას არავითარ ყურადღებას არ აქცევდა იქამდე, რომ სახელმწიფო დაწესებულებებში არც კი მიდიოდა, ქვეყანაში სრული განუკითხაობა გამეფდა. იმატა საჩივრებისა და უკმაყოფილოთა რიცხვმა. გლეხები რუსი მოხელეების მხრიდან ზომაზე მეტ ძარცვა-გლეჯას უჩიოდნენ, მაგრამ სამართალს ვერსად პოულობდნენ. უფრო მეტად უკმაყოფილო იყო რუსული მმართველობით თავადაზნაურობის უმეტესი ნაწილი, რომელმაც ქართველი მეფის ხელისუფლების გაუქმებით ძველი პრივილეგიები დაკარგა და რუსი მოხელეებისაგან ყოველ ნაბიჯზე დამცირებასა და შეურაცხყოფას აწყდებოდა. თითქმის ყველა მათგანი ახლა მზად იყო ბაგრატიონების დინასტიის აღდგენისათვის ეზრუნა და დაებრუნებინა ქართველი მეფე, რომლის დროსაც მრავალი უფლებები ჰქონდათ მითვისებული. სერიოზულად შეშფოთებული ლაზარევი კნორინგს ატყობინებდა, რომ თავადაზნაურობიდან რუსეთის მომხრე მხოლოდ უმცირესი ნაწილი თუღა დარჩა და ეს ნაწილიც ბოლომდე სანდო არ არისო, სანდო არ არიან არც ყაზახ-ბორჩალოს თათრები, არც გენჯა და არც ერევანიო[16]. მართლაც, ჯერ სამი თვეც არ იყო გასული რუსული მმართველობის დამყარებიდან, რომ ივლისის ბოლოს კახეთში, სოფ. კელმეჩურში, თავდაზნაურობამ შეთქმულება მოაწყო. მათ ბოდბელი მიტროპოლიტი იხმეს, იულონ ბატონიშვილის ერთგულებაზე დაიფიცეს და რუსეთის ხელისუფლებას თხოვნა გაუგზავნეს, რომლითაც 1783 წლის ტრაქტატის დაცვას, საქართველოსათვის დიდად ღვაწლ-

[16] АКАК, т. I, № 359.

შოსილი მეფის ერეკლეს ანდერძის მიხედვით მეფის დამტკიცებას, რუსეთის მფარველობაში შესვლას მოითხოვდნენ და შეძლებისდაგვარად სამსახურს პირდებოდნენ[17].

რუსული ხელისუფლება განსაკუთრებით იმ გარემოებამ შეაშფოთა, რომ ბაგრატიონთა სახლის მრავალრიცხოვანმა წევრებმა საშეფო ტახტის დაკარგვის შემდეგ ერთმანეთს შორის ტახტის გარშემო ატეხილი შუღლი და ჭიშპობა საბოლოოდ დაივიწყეს და გადაწყვიტეს გაერთიანებული ძალებით ყველა ღონე ეხმარათ, რათა თავისი სახლის რომელიმე წევრი კვლავ გაემეფებინათ და ბაგრატიონთა დინასტია აღედგინათ[18]. კახელი თავადაზნაურებისათვის დახმარების გასაწევად, ჯერ კიდევ უკანასკნელი მეფის გიორგი XII-ის სიცოცხლეში სპარსეთის შაჰის კარზე გაქცეული ალექსანდრე ბატონიშვილი ერევანს მოსულიყო, აქვე მოვიდა სპარსეთის შაჰის ბაბახანის შიერ გამოგზავნილი სარდალი ფირ-ყული-ხანი, რომელსაც ყარაბაღში უნდა შეეკრიბა ჯარები, მიემხრო სხვა ხანებიც და ალექსანდრე ბატონიშვილს დახმარებოდა. შეთქმულები დუშეთში თავის საუფლისწულოში მჯდომ ვახტანგ ბატონიშვილს დაუკავშირდნენ და საქართველოს სამხედრო გზის ჩაკეტვა სთხოვეს. იმერეთში, სოლომონ II-ის კარზე გახიზნული იულონ და ფარნაოზ ბატონიშვილებიც მცირე რაზმით ქართლის საზღვრებისკენ წამოვიდნენ. ყველაფრიდან ჩანდა, რომ შეთქმულებას საერთო ხელმძღვანელობა ჰყავდა. რუსულ ხელისუფლებას შეთქმულება მოღალატე დავით ჩოლოყაშვილმა ამცნო. რამდენიმე თავადის დაშერისა და დაკითხვის შემდეგ მთავრობა დარწმუნდა, რომ სასწრაფო და გადამწყვეტი ზომების მიღება იყო საჭირო. პირველ რიგში ერთი ბატალიონი რუსის ჯარი, მძარცველ ლეკი აბრაგებისაგან დედოფლის დაცვის საბაბით, აყლაბარში შეიყვანეს, რადგანაც დარეჯან დედოფლის სასახლესთან არსებული ქართლისა და კახეთის დამაკავშირებელი ერთადერთი ხიდი ნავთწასმული და დასაწვავად გამზადებული რომ ნახეს, ეშვი აღარავის ეპარებოდა, რომ შეთქმულების ცენტრი დარეჯანის სასახლე იყო და რომ შეთქმულთა მთელი მამოძრავებელი ძალები ამ ჭკვიანი და გამოცდილი დედოფლის ხელში იყრიდა თავს[19]. კახეთში შეთქმულების ჩასაქრობად გაემართა ეგერთა ბატალიონი ლაზარევის მეთაურობით. დუშეთში კი ვახტანგ ბატონიშვილის ჩამოსაყვანად გენერალ-მაიორი ტუჩკო-

[17] АКАК т., I, с. 387.

[18] АКАК, т. I, с. 381; Бутков, Материалы..., т. II, с. 539.

[19] Бутков, Материалы... т. II, с. 535.

ვი გაგზავნეს. სულ მალე შეთქმულება ლიკვიდირებული იყო. ფიქ-
ყული-ხანი სპარსეთში გაბრუნდა და იულონ და ფარნაოზ ბატონი-
შვილებმა კვლავ სოლომონ II-ის კარს მიაშურეს. მაგრამ ხელისუფ-
ლებისათვის უკვე აშკარა იყო, რომ ვიდრე ბაგრატიონთა სახლის წევ-
რები საქართველოში იმყოფებოდნენ, სასურველი სიმშვიდე არ დამ-
ყარდებოდა. საჭირო იყო მათი სასწრაფოდ გამგზავრება რუსეთს, მით
უმეტეს, რომ ალექსანდრე ბატონიშვილი ფარსმალს არ ყრიდა და
რუსეთის წინააღმდეგ ერთობლივი მოქმედებისათვის ახლა ჭარ-ბელა-
ქნელ ლეკებს უთანხმდებოდა. მშვიდობის პირი არც განჯის სახანო-
დან ჩანდა. ამ დაძაბულ სიტუაციაში საჭირო იყო ბაგრატიონთა სახ-
ლის წევრები ისე გაესახლებიათ საქართველოდან, რომ ქართველი
ხალხის ახალი აღშფოთება არ გამოეწვიათ და ისედაც დაძაბული
მდგომარეობა კიდევ უფრო არ გაემწვავებინათ. რუსხელმწიფის კარ-
ზე კნორინგ-კოვალენსკის მმართველობით უკმაყოფილო თავადაზნაუ-
რობის საჩივარი საჩივარზე მიდიოდა და ალექსანდრე I მისვდა, რომ
ამ საპასუხისმგებლო ამოცანისთვის შესაფერი მმართველები ვერ შე-
არჩია და ახალი მმართველობის ცხრა თვის თავზე, 1802 წლის სექ-
ტემბერში კნორინგი და კოვალენსკი გადაყენებული იყო.

2. ციციანოვის მმართველობა (1802—1806 წწ.)

ისეთ კრიტიკულ მომენტში, როდესაც არამც თუ ამიერკავკასია-
ში სამფლობელოების გაფართოებაზე ზრუნვა აღარ შეიძლებოდა,
არამედ ახლად შემოერთებული ქართლ-კახეთის სამეფოს შენარჩუ-
ნებაც ბეწვზე ეკიდა, უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ისეთი მთა-
ვარსარდლის შერჩევას, რომელიც ხელმწიფის პოლიტიკურ განზრა-
ხვათა სისრულეში მოსაყვანად საჭირო, გამჭრიახ ჭკუა-გონებას გამო-
იჩენდა და მთელ თავის ძალ-ღონესაც არ დაიშურებდა. ალექსანდრე
I-მა სათანადო პიროვნების შესარჩევად დიდი გულმოდგინება გამო-
იჩინა და თამამად შეიძლება ითქვას, რომ ამჯერად მისი არჩევანი
რუსეთის იმპერიის საზღვრების გაფართოების თვალსაზრისით ჩინე-
ბული გამოდგა: მან საქართველოს მთავარსარდლად და მთავარმარ-
თებლად რუსეთის ტახტის მამაცი დამცველი და თავისი უერთგულე-
სი ყმა გენერალი პავლე დიმიტრის ძე ციციანოვი დანიშნა. პავლე
ციციანოვი წარმოშობით ქართველი იყო. მისი პაპა პაატა (რუსეთში
პავლედ წოდებული) ციციშვილი ვახტანგ VI-სთან ერთად გადასახლ-
და რუსეთში, სადაც ქართველ ჰუსართა პოლკში მსახურობდა. და რუ-

სეთის იმპერიისათვის ბრძოლაში დალია სული. მამამ — დიმიტრიმ განათლება კადეტთა კორპუსში მიიღო, სადაც მასთან ერთად სწავლობდნენ შემდგომში რუსეთის სახელგანთქმული სამხედრო თუ სამოქალაქო მოღვაწეები: რუმიანცევ-ზადუნაისკი, ვიაზემსკი, სუმაროკოვი და სხვები. დიმიტრი ციციანოვმა სამოქალაქო სამსახური აირჩია და პირდაპირი, განათლებული და უანგარო მოხელის სახელი მოიხვეჭა. პავლე ციციანოვის დედაც — ელისაბედ მიხეილის ასული დავიდოვა — წარმოშობით ქართველი დავითაშვილებისაგან იყო, მაგრამ როგორც ცნობილი რუსული ჟურნალის — „რუსული არქივის“ რედაქტორი პეტრე ბარტენევი აღნიშნავდა, „... ციციანოვი აღმოსავლური წარმოშობის მიუხედავად, რუსეთის უერთგულესი შვილი იყო“[20], რაც მან არაერთხელ საქმით დაამტკიცა კიდეც. პავლე ციციანოვი დაიბადა 1754 წ. მოსკოვში. ჯერ კიდევ მცირეწლოვანი, სამხედრო სამსახურში პრეობრაჟენსკის პოლკის ბომბარდირთა რაზმში ჩაეწერა და უკვე ცხადი იყო, რომ მისი მომავალი სამხედრო ასპარეზით წარიმართებოდა. იგი იმ დროისათვის დიდად განათლებულ სამხედრო მოხელედ ითვლებოდა. სრულყოფილად იცოდა ფრანგული ენა და მთელ თავის თავისუფალ დროს სამხედრო და საინჟინრო ლიტერატურის შესწავლასა და თარგმნას ანდომებდა. 1786 წელს მან უკვე პოლკოვნიკის ხარისხი და პეტერბურგის გრენადერთა პოლკის უფროსობა მიიღო.

ციციანოვმა რუსეთ-თურქეთის ომში მონაწილეობა მიიღო ხოტინთან (1789), იზმაილთან და ბენდერთან ბრძოლებში, მას 1793 წელს გენერალ-მაიორობაც მისცეს, მაგრამ განსაკუთრებით 1794 წელს, ვარშავასა და ვილნოში მომხდარი აჯანყების ჩაქრობის დროს ისახელა თავი. აქ მან შეძლო სისხლის ღვრის გარეშე ქ. გროდნოს შენარჩუნება, ქმედითი დახმარება გაუწია გენერალ კნორინგს აჯანყებულ ვილნოს აღებაში, მინსკის გუბერნიაში, დაბა ლუბლიანასთან დაამარცხა და დაატყვევა პოლონელი პოლკოვნიკი გრაბოვსკი და სხვ. შემდგომში, როდესაც ამ ბრძოლების მონაწილეები დაჯილდოვდნენ თითოეული 500—500 სული ყმით, ეკატერინე II-მ ციციანოვის გვარის გასწვრივ აღნიშნულ 500 სულ ყმას საკუთარი ხელით წინ ერთიანი მიაწერა და, ამრიგად, ციციანოვმა მინსკის გუბერნიაში 1500 სული ყმა მიიღო სამემკვიდრო მფლობელობაში. 1794 წლის ლაშქრობამ ციციანოვს იმდენად გაუთქვა სახელი, რომ ვარშავისაკენ მიმავალი სუვოროვი თავის ჯარისკაცებს მოუწოდებდა: „იბრძოლეთ თავგან-

[20] Девятнадцатый век, Исторический сборник, изд. Бартеневым, кн. II, 1872, с. 2.

წირვით, როგორც იბრძვის მამაცი გენერალი ციციანოვი"[21]. 1796 წელს ციციანოვმა საკუთარი სურვილით მიიღო მონაწილეობა ამიერკავკასიაში ზუბოვის ლაშქრობაში და 1896—97 წლებში ბაქოს კომენდანტად იყო, სადაც დაუმეგობრდა ბაქოს ჰუსეინ-ყული-ხანს, რაც ბოლოს აგრერიგად საბედისწერო გამოდგა მისთვის.

ეკატერინე II-ის გარდაცვალების შემდეგ ციციანოვი სამხედრო სამსახურიდან გადადგა და მინსკის გუბერნიაში თავის მამულში ცხოვრობდა. და აი, გადამწყვეტ მომენტში ალექსანდრე I-მა გაიხსენა ენერგიული და ერთგულად ნამსახური გენერალი, დააბრუნა სამხედრო სამსახურში და 1802 წლის 11 სექტემბერს გენერალ კნორინგის ადგილზე დანიშნა. ალექსანდრე I-ის ამ გადაწყვეტილების მიღებაში ციციანოვის ქართული წარმოშობაც გარკვეულ როლს თამაშობდა. იმპერატორი ამ ჟესტით ქართველი ხალხის გულის მოგებას აპირებდა, მით უმეტეს, რომ იგი არაფერს კარგავდა, რადგან ციციანოვის სრულ გარუსებასა და ერთგულებაში ეჭვი არ ეპარებოდა და კარგად იცოდა, რომ ახალი მთავარსარდალი რუსეთის იმპერიის ინტერესებს არაფრით უღალატებდა. გათვალისწინებული იყო ისიც, რომ თავისი ქართული წარმოშობისა და ზუბოვის ლაშქრობის დროს კავკასიაში ყოფნის წყალობით ციციანოვი აქაურ პოლიტიკურ სიტუაციაში სხვებზე მეტად იყო გარკვეული.

კნორინგისა და კოვალენსკის მიერ გაფუჭებული საქმის გამოსასწორებლად ციციანოვს თითქმის უსაზღვრო უფლებები მიანიჭეს და იმპერატორის საიდუმლო რესკრიპტით აღჭურვილი, საქართველოში გამოგზავნეს. რესკრიპტში განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა ბაგრატიონთა სახლის წევრების რუსეთში გაგზავნას, რისი შესრულებაც კნორინგმა ვერ მოახერხა. ციციანოვის უპირველეს მოვალეობად სწორედ ამ საქმის შესრულება იყო მიჩნეული, ვინაიდან ვიდრე ბაგრატიონები საქართველოში იმყოფებოდნენ, ქართველი ხალხის დაწყნარება შეუძლებელი ჩანდა. ციციანოვს ურჩევდნენ ყველა ღონე ეხმარა იმისათვის, რომ ქართველი მეფის სახლის წევრები რუსსელმწიფის მოპატიჟებით ნებაყოფლობით გაესტუმრებინა რუსეთში საცხოვრებლად, რათა მათი გაუბედურების შემყურე ამიერკავკასიის სახანოების მფლობელები არ დამფრთხალიყვნენ და რუსეთის მფარველობაში შესვლის სურვილი არ გაქრობოდათ, მაგრამ ახალ მთავარ-

---

[21] Кавказский календарь, 1864, Кн. Павел Дмитриевич Цицианов, с. 69—88.

სარდალს ნებას რთავდნენ, ერეკლეს ჩამომავლობასთან ხებაყოფილობით თუ ვერას გახდებოდა, ძალაც გამოეყენებინა[22]. ამ მეტად ძნელი და საყოყმანო საქმის მოსაგვარებლად ციციანოვმა სრულად გამოამჟღავნა თავისი უტეხი და ულმობელი ხასიათი და კიდეე ერთხელ დაუმტკიცა ხელმწიფეს, რომ რუსეთის ტახტის უერთგულესი ქვეშევრდომი და მისი ბრძანებების განუხრელი შემსრულებელი იყო. ციციანოვმა მრავალგზის მოთხოვნაზე დარეჯან და მარიამ დედოფლებისგან, ისევე როგორც ყველა ბატონიშვილისაგან, სხვადასხვა გარემოებების მომიზეზებით რუსეთში გამგზავრებაზე გადაჭრილი უარი რომ მიიღო, შემდეგ ხერხს მიმართა: მან დედოფლებისა და ბატონიშვილების ყმა-მამული სრულად აღრიცხა, ჩამოართვა მათ და ხაზინას გადასცა, რათა ეს უკანასკნელნი აეძულებინა მის ნებას დაყოლოდნენ. მაგრამ რადგანაც ამ ხერხითაც საწადელს ვერ მიაღწია, აშკარა ძალადობას მიმართა და 1803 წლის შუა ზამთარში, 19 თებერვალს, სნეული დავით და ვახტანგ ბატონიშვილები გენერალ ლაზარევის ძლიერი რაზმით გარშემორტყმულები, რუსეთის ძნელ გზას გაუყენა[23].

ამის შემდეგ ჯერი დედოფლებზე მიდგა, მაგრამ ვინაიდან ხნიერი დარეჯან დედოფალი, როგორც თვითონ ციციანოვი პირადად დარწმუნდა, მართლაც სერიოზულად გამხდარიყო ავად, მისი გადასახლება დროებით გადაიდო. საქართველოს უკანასკნელი მეფის, გიორგი XII-ის ქვრივი მარიამი კი ყველა ღონეს ხმარობდა, როგორმე მოელბო მთავარმართებლის გული, რომელიც მას ნათესავადაც კი ერგებოდა (მარიამი ციციშვილის ასული იყო), რათა მართალია, ყმა-მამულის ჩამორთმევის შემდეგ ქონებრივად შეჭირვებული, თავის ქვეყანაში, შეჩვეულ გარემოში მაინც დაეტოვებინათ და გარდაცვალების შემდეგ თავისი მეუღლის, მეფე ბატონის გვერდით განესვენებინათ[24]. მარიამმა უშუალოდ ხელმწიფესაც მიმართა და ყოველგვარი დიპლომატიის გარეშე პირდაპირ აუწყა, რომ არც თვითონ, არც მის შვილებს საქართველოს ტახტის პრეტენზიები აღარ ჰქონდათ და მხოლოდ თავის ქვეყანაში ცხოვრების ნებართვას ითხოვდნენ[25]. მაგრამ ყოველივე ეს ამაო გამოდგა. ბაგრატიონების რუსხელმწიფის კარზე გასახლება მტკიცედ იყო გადაწყვეტილი და რუსეთის ტახტის უსა-

22 АКАК, т. II, № 1.
23 АКАК, т. II, с. 263.
24 АКАК, т. II.
25 АКАК, т. II, с. 77.

ზღვროდ ერთგული გენერალი ციციანოვი ბაგრატიონთა სახლის ხა-ქართველოდან გადაშენებისათვის თავის მოჭარბებულ ენერგიას არ იშურებდა. მან დედოფალ მარიამის არც ის თხოვნა შეიწყნარა, რომლითაც იგი მცირეწლოვანი შვილებით შორ და ძნელ გზებზე მგზავრობის ცოტად თუ ბევრად ხელსაყრელი ამინდისთვის გადადებას მოითხოვდა.

ამასობაში ციციანოვის მიერ მარიამის სახლისათვის მიჩენილმა ერთგულმა მზვერავებმა მრისხანე მთავარმართებელს მოახსენეს, რომ დედოფლის ირგვლივ საეჭვო პირები იყრიდნენ თავს, რომ მარიამისა და მისი შვილების ფშავ-ხევსურეთში გაპარებასა და ახალი შეთქმულების მოწყობას აპირებდნენ. ციციანოვმა გენერალ ლაზარევს უბრძანა სასწრაფოდ მიეღო გადამწყვეტი ზომები, „რათა რუსთა ჯარების შერცხვენა თავიდან აეცდინათ“ და მარიამი შვილებითურთ დავით და ვახტანგ ბატონიშვილების მსგავსად შეიარაღებული რაზმით მოზდოკამდე მიეცილებინა.

ლაზარევმა 19 აპრილს გათენებისას ალყა შემოარტყა მარიამის სახლს და იმდენად ტლანქად და უხეშად აპირებდა ამ დავალების შესრულებას, რომ განრისხებული დედოფლის თუ მისი მხლებლის მსხვერპლი გახდა — ხანჯლით გულგანგმირული უსულოდ ძირს დაეცა. მარიამი, თვითონაც მხარსა და ხელში დაჭრილი, შეიპყრეს და ბაგრატ ბატონიშვილთან და აწიოკებულ ბავშვებთან ერთად, გაძლიერებული რაზმით გარშემორტყმული რუსეთს გაამგზავრეს. „... დედოფალი, დაკოდილი ბრალეულ ჰყვეს რეცა მან მოჰკლა იგი (ლაზარევი, — ე. ო.), და შვილებითურთ თვისით, რომელნიცა იყვნენ მას ჟამსა ფრიად წვრილმანი ასაკითა, წაიყვანეს როსიად, რომლისა ჰვრეტა მშვრეტელთათვის იყო საზარო“, მოგვითხრობს თეიმურაზ ბატონიშვილი[26]. უაღრესად განრისხებულმა ციციანოვმა ესეც არ აკმარა დედოფალს და მისი მსვლელობის მთელ გზაზე სპეციალური შიკრიკები დაგზავნა და ყველა მომავალი მხლებელი გააფრთხილა, რომ დედოფალს მოპყრობოდნენ ისე, ვით ტყვესა და მკვლელს შეშვენოდა.

მარიამი ვორონეჟში ჩაიყვანეს, აქედან კი ბელგოროდის მონასტერში გაგზავნეს, სადაც პატიმრად იყო გამოკეტილი და მხოლოდ მისი შვილების დაჟინებით და მრავალგზის თხოვნის შედეგად 8 წლის შემდეგ ნება დართეს მოსკოვში თავის შვილებთან დასახლებულიყო (მარიამ დედოფლის ცხოვრების დაწვრილებითი აღწერა იხ. წიგნში

[26] თეიმურაზ ბაგრატიონი, ახალი ისტორია, გვ. 69.

„მარიამ უკანასკნელი დედოფალი საქართველოსი“, თამარ და აკაკი პაპავა. ბუენოს აირესი).

მარიამის გასახლების შემდეგ 1803 წლის 25 ოქტომბერს ციციანოვმა დარეჯან დედოფალიც გააგზავნა რუსეთს. ამჯერად ამით გათავდა მეფის სახლეულთა გასახლება, რადგან დანარჩენი ბატონიშვილები, დაქსაქსულნი, სხვადასხვა სამეფო-სამთავროებსა და სახანოებს აფარებდნენ თავს. იულონ და ფარნაოზ ბატონიშვილები კვლავ იმერეთში სოლომონ II-ის კარზე იყვნენ გასიზნულნი, თეიმურაზ ბატონიშვილი კი ჭარ-ბელაქანს ალექსანდრე ბატონიშვილთან მისულიყო.

ალექსანდრე I-ის მიერ ციციანოვისათვის მიცემულ საიდუმლო რესკრიპტში ბაგრატიონთა სახლის წევრების გასახლებასთან ერთად უდიდესი მნიშვნელობა ენიჭებოდა ამიერკავკასიის მრავალრიცხოვან სახანოსთან ურთიერთობის მოგვარებას, მათ შორის სპარსეთის გაძლიერებული გავლენის შეზღუდვას და ამ სახანოების შეძლებისდაგვარად რუსეთის მფარველობა-მორჩილებაში შეყვანას[27]. რაც შეეხებოდა დასავლეთ საქართველოს, მთავარმართებელს განსაკუთრებით საიდუმლოდ ატყობინებდნენ, რომ როცა კი მას ხელსაყრელი შემთხვევა მიეცემოდა, იმერეთის სამეფოსა და გურია-სამეგრელოს სამთავროების ხელში ჩაგდებაზედაც ეზრუნა[28].

ციციანოვმა პირველ რიგში ყურადღება ჭარ-ბელაქანს მიაპყრო, რომელიც ადრე ე. წ. ელისუს სასულთანოსთან ერთად კახეთის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენდა, მაგრამ ჯერ კიდევ XVII საუკუნეში ჰქონდათ ლეკებს მიტაცებული, ქართველი მოსახლეობა კი დამონებულ-დამორჩილებული და ნაწილობრივ გამაჰმადიანებული ჰყავდათ. ამის შემდეგ კახეთს ზღუდე მორღვეული ჰქონდა, რადგანაც ჭარ-ბელაქანი ლეკების საიმედო ბუდეს წარმოადგენდა, საიდანაც ისინი განუწყვეტლივ თავს ესხმოდნენ კახეთისა და ქართლის სოფლებს და განუკითხავად ძარცვავდნენ. სწორედ ჭარ-ბელაქნის ლეკებისაგან გამოხსნა იყო ერეკლე II-ის ერთ-ერთი მთავარი საზრუნავი, 1783 წლის გეორგიევსკის ტრაქტატს რომ დებდა რუსეთთან.

ამჯერად ციციანოვს უმთავრესად ის გარემოება აწუხებდა, რომ ჭარ-ბელაქანი რუსული მმართველობით უკმაყოფილო ბატონიშვილთა და თავად-აზნაურთა თავშესაყრად ქცეულიყო და რაც მთავარია, აღმოსავლეთ ამიერკავკასიის სახანოებს შემოერთებისათვის ბრძოლის ღრის ყოველთვის მოსალოდნელი იქნებოდა ზურგიდან ლეკების

27 АКАК, т. II, № 1.

28 АКАК, т. II, № 688.

და უკმაყოფილო ქართველების შემოჭრა. ციციანოვმა მოხერხებულად ისარგებლა ლეკების მიერ გაუთავებელი ძარცვა-რბევით და ქართლ-კახეთის მოსახლეობის შეწუხებით, ჭარ-ბელაქნის წინააღმდეგ ბრძოლა მხოლოდ და მხოლოდ მათი ინტერესების დასაცავ ბრძოლად გამოაცხადა და ქართველებს მონაწილეობის მისაღებად მოუწოდა. ჭარ-ბელაქნის კელავ შემოერთებასა და ლეკიანობის მოშლაში ქართლ-კახეთის მოსახლეობა იმდენად იყო დაინტერესებული, რომ მარტო ჭიზიყის თავადაზნაურობამ უმოკლეს ვადაში 4500 მეომარი გამოიყვანა.

1803 წლის მარტში ქართველთა და რუსთა შეერთებულმა ლაშქარმა, რომელსაც გენერალი გულიაკოვი მეთაურობდა, ბელაქანი და ქარი დაიჭირა (აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ამ ლაშქარში რუსი ჯარისკაცების რიცხვი 1800-ს არ აღემატებოდა). ალექსანდრე და თეიმურაზ ბატონიშვილებმა გაქცევით უშველეს თავს. ჭარ-ბელაქნის აღების შემდეგ ციციანოვი ლეკებს დაუზავდა, ჭარ-ბელაქანი რუსეთის იმპერიის ქვეშევრდომად გამოაცხადა და ყოველწლიური ხარკი— 220 ფუთი აბრეშუმი დაადო. მომავალში უსაფრთხოების მიზნით კი ჭარ-ბელაქნის საზღვარზე სამი გამაგრებული ბანაკი შექმნა (ურდოს ფონთან, დედოფლის წყაროსთან და ყარაღაჯთან).

ამ გამარჯვების შემდეგ ციციანოვი ქართველ ხალხს სპეციალური პროკლამაციით ულოცავდა, რომ საქართველოს სამეფოს ძველისძველი საკუთრება რუსეთის დახმარებითა და წყალობით მასვე დაუბრუნდა. მაგრამ როგორც სავსებით მართებულად აღნიშნავს ნ. ბერძენიშვილი, ციციანოვს საქართველოს ინტერესების დაცვა რომ ჰქონოდა მიზნად დასახული, ის პირველ რიგში ჭარ-ბელაქნის ქართველ მოსახლეობას ლეკთა ჯამაათის ბატონობისაგან გაანთავისუფლებდა და ისტორიულ უსამართლობას გაასწორებდა. მაგრამ მთავარმართებელს, იმის შიშით რომ ამიერკავკასიის ხანები არ დაეფრთხო, ჭარის საშინაო მმართველობისათვის ხელიც არ უხლია[29]. ჭარ-ბელაქნის დროებით დამორჩილების შემდეგ ციციანოვმა მთავარი ყურადღება განჯის სახანოს მიაქცია, რომელსაც ხელსაყრელი მდებარეობის გამო რუსეთში „აზიის გიბრალტარს“ უწოდებდნენ, და რომლის დაპყრობის შემდეგ აღმოსავლეთ ამიერკავკასიის დასამორჩილებლად მთავარმართებელს ხელები გახსნილი ექნებოდა, რუსეთ-სპარსეთის მოსალოდნელი ომის შემთხვევაში კი ხელსაყრელ პოზიციებს დაიკავებდა. 1803 წლის 22 ნოემბერს ციციანოვი განჯის წინააღმდეგ სალაშქროდ

29 ბერძენიშვილი ნ., საქართველოს ისტორის საკითხები, ტ. II, გვ. 278.

გაემართა. აქვე განსაკუთრებით გვინდა აღვნიშნოთ ციციანოვისათვის ერთობ დამახასიათებელი შტრიხი: იგი ისევე, როგორც ჭარ-ბელაქნის წინააღმდეგ ბრძოლას, განჯის დასაპყრობად ლაშქრობასაც საქართველოს ინტერესების დაცვად აცხადებდა. „პირველი და მთავარი მიზეზი ჩემი აქ მოსვლისა ის არის, — წერდა იგი განჯის ხანს, — რომ განჯა თამარ მეფის დროიდან მოყოლებული საქართველოს ეკუთვნოდა და მხოლოდ საქართველოს დასუსტების შემდეგ მოსწყდა მას. რუსეთი გულგრილად ვერ უყურებს საქართველოს რღვევას და არც შეფერის უძლიერესსა და ღვთით ამაღლებულ რუსეთის იმპერიას საქართველოს კუთვნილი და მისი ნაწილი განჯა უცხო ხელში დატოვოს“. რა თქმა უნდა, ცბიერებით განთქმულ და პოლიტიკაში კარგად გაწვრთნილ გახჯის ხახს, რომელსაც თავისი თვალით ნახა, რუსეთს ძინდობილი ქართლ-კახეთის სამეფო ოჯახის წევრები როგორ გაასახლეს საქართველოდან, ციციანოვი ასე ადვილად ვერ მოატყუებდა. მან მთავარსარდლის მიერ შემოთავაზებულ საქვეშევრდომო პუნქტებზე დათანხმებას სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა აირჩია და 1804 წლის იანვარში ცხარე ბრძოლის შემდეგ ციციანოვის ჯარებმა განჯა აიღეს. ბრძოლაში დაიღუპნენ განჯის ჯავად-ხანი და მისი შუათანა შვილი ჰუსეინ-ყული-აღა, რომელთაც გაქცევას მტერთან ხელჩართულ ბრძოლაში სიკვდილი ირჩიეს. განჯის აღების უმალ ამ ქალაქს ციციანოვმა ელისავეტოპოლი უწოდა, აქ ისეთივე მმართველობა დააყარა, როგორც საქართველოს სხვა მაზრებში და ეს მხარე უშუალოდ შეუერთა რუსეთს.

ციციანოვი ჯერ კიდევ განჯასთან იდგა, როცა ხელმწიფის რესკრიპტი მოუვიდა, რომლითაც მას ევალებოდა მთელი თავისი ძალები ამჯერად იმერეთის დასაკავებლად მიეპყრო. მას პეტერბურგიდან ატყობინებდნენ, რომ ხელმწიფის კარზე იმერეთის რუსული ჯარებით დაკავება გადაწყვეტილია და მისგან ყოველგვარი გაჭიანურებისა და გადადების გარეშე ამ საქმის დაუყოვნებლივ შესრულებას მოითხოვდნენ. როგორც უკვე აღვნიშნავდით, ამიერკავკასიაში ფეხის შემოდგმის შემდეგ რუსეთის მთავარ საზრუნავს შავი ზღვისაკენ მიმავალი გზების გაკვალვა — ხელში ჩაგდება წარმოადგენდა, მაგრამ იმის გამო, რომ რუსეთს ოსმალეთთან ამჯერად მეგობრული ურთიერთობა ჰქონდა, საქართველოს მთავარმართებლებს კნორინგსა და ციციანოვს პირველ ხანებში ამ საკითხისადმი მეტისმეტი სიფრთხილის გამოჩენას ურჩევდნენ. მას შემდეგ კი, რაც სულთნის კარზე მყოფმა რუსეთის ელჩმა იტალინსკიმ გაარკვია, რომ ოსმალეთი, რომელსაც დიდი ხა-

ნია დასავლეთ საქართველოზე ფაქტიურად ხელი აღარ მიუწვდებოდა, რუსეთის აქ გაბატონებას გულგრილად შეხვდებოდა, მთავარმართებლებს ამ ქვეყნის მიმართ მოქმედების თავისუფლება ეძლეოდათ.

თუ რა შორს მიმავალ მიზნებს უკავშირებდნენ რუსეთში დასავლეთ საქართველოს დამორჩილებას, კარგად ჩანს გრაფ როსტოპჩინის მიერ ცინციანოვისადმი მიწერილი წერილიდან: „შენ თუ წარმატებებს მიაღწევ რუსეთის ქვეშევრდომად იმერეთის შემოყვანაში, ამით არსებით და მნიშვნელოვან სარგებლობას მოუტან როგორც რუსეთს, ისე საქართველოს. ამაზე მეც მიფიქრია თავის დროზე, მაგრამ უნდა გამოვტყდე, რომ მიუღწეველ ქიმერად მიმაჩნდა... ეს გზა შეიძლება უფრო საიმედოც კი იქნეს, ვიდრე პოტიომკინის მიერ ტავრიდაზე გაკვალული გზა, ცარგრადისაკენ რომ მიმართა და კარიბუეზე წააწერა: „გზა სოფიისაკენ“[30]. როგორც ვხედავთ, რუსეთში დასავლეთ საქართველოს დამორჩილებას კონსტანტინოპოლისაკენ გზის გაკაფვას უკავშირებდნენ. მაგრამ რუსეთის მეფის კარზე ძალზე აღელვებდათ იმერეთის მეფის სოლომონ II-ის პოლიტიკა, რომელიც სამეფო-სამთავროებად დაშლილ დასავლეთ საქართველოს გასაერთიანებლად წარმატებით იბრძოდა, თავის სამეფოს შენარჩუნებას ცდილობდა და ქართლ-კახეთის სახელმწიფოებრიობის აღდგენისათვის მებრძოლ ბატონიშვილებს აქტიურად ეხმარებოდა. ამავე დროს იმერეთის მეფეს რუსხელმწიფის კარზე ბრძენი კანცლერი სოლომონ ლიონიძე ჰყავდა გაგზავნილი, რომელიც ადრე ერეკლე II-ის ერთგული თანამზრახველი იყო, ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმების შემდეგ კი იმერეთის სამეფოს გადასარჩენად იღვწოდა. ლიონიძე მთელი დასავლეთ საქართველოს კანონიერ ბატონ-პატრონად იმერეთის მეფეს აცხადებდა და ოსტატურად ცდილობდა ისე მოეგვარებინა საქმე, რომ იმერეთის სამეფოს გაძლიერებისათვის ზრუნვა რუსეთის მთავრობის პოლიტიკური წარმატებების საწინდრად წარმოედგინა. მაგრამ, როგორც უკვე აღვნიშნეთ, რუსეთის მთავრობის ინტერესებს ამ დროისათვის ამიერკავკასიაში ძლიერი ვასალური სახელმწიფოების არსებობა სულაც აღარ შეესატყვისებოდა და ლიონიძის დიპლომატიური მოღვაწეობის შარცხი წინასწარ იყო განსაზღვრული.

ცინციანოვმა ჯერ კიდევ განჯას სალაშქროდ წასვლამდე სოლომონ II-ის დასუსტების მიზნით სამეგრელოს მთავარ გრიგოლ დადიანთან ცალკე დაიწყო საქვეშევრდომო პირობებზე მოლაპარაკება. საქვეშევ-

[30] Письма гр. Ростопчина..., с. 8.

რდომო პუნქტების მიხედვით დადიანს სამთავროს მემკვიდრეობითი მფლობელობა დაუმტკიცდებოდა და შინაური თუ გარეშე მტრისაგან სამთავროს დასაცავად სამეგრელოში მუდმივ სამყოფლად რუსის ჯარს შეიყვანდნენ. ამ პირობების განხორციელების შემდეგ სოლომონ II არამც თუ გრიგოლ დადიანის დამორჩილებაზე ვეღარ იფიქრებდა, არამედ აქ ჩაყენებული რუსის ჯარი მის დამოუკიდებლობასაც დაემუქრებოდა.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, განჯასთან მოპოვებული გამარჯვების შემდეგ რუსეთის ხელისუფლება ციციანოვისაგან იმერეთის დაკავებასა და მის უშუალოდ შემოერთებას მოითხოვდა, მაგრამ მთავარსარდალს ირანთან ურთიერთობის გამწვავების პირობებში, როცა ყოველ წუთს მოსალოდნელი იყო რუსეთ-სპარსეთის ომის დაწყება, მის განკარგულებაში კი ჯარის მეტად შეზღუდული რაოდენობა იყო, დასავლეთ საქართველოს იარაღით დაპყრობა შეუძლებლად და შემდგომი მიზნების განხორციელების თვალსაზრისით გაუმართლებლად მიაჩნდა. ამიტომ მან მეტად მოხერხებული გეგმა შეიმუშავა. ციციანოვი თანახმა იყო დროებით გაეხანგრძლივებია დასავლეთ საქართველოს მეფე-მთავრების არსებობა იმ პირობით, თუ კი ისინი „ნებაყოფლობით“ ან გარკვეული ძალდატანების შემდეგ დათანხმდებოდნენ მის მიერ შემუშავებული „სათხოვარი პუნქტების“ მიხედვით რუსეთის ქვეშევრდომობაში შესვლას. „სათხოვარი პუნქტები“ კი ციციანოვის მიერ ისე ოსტატურად იყო შედგენილი, რომ მეფესა თუ მთავარს რეალური ძალაუფლება გამოცლილი ჰქონდათ და მათ რუსეთის მონა-მორჩილ ქვეშევრდომად აქცევდა. რა თქმა უნდა, სოლომონ II-ისათვის ასეთი „ქვეშევრდომობა სრულიად მიუღებელი იყო, მაგრამ ციციანოვმა ყველა ღონე იხმარა, რათა მისთვის რუსეთის ეს „მფარველობა“ იძულებით მოეხვია თავზე. მთავარსარდალი არ მორიდებია არც გავლენიანი თავადაზნაურების მოსყიდვას და არც მუქარას: „ქარი-შხალი გემუქრებათ ჩრდილოეთიდანო“, მაგრამ ვიდრე ქართლის საზღვართან ახლომდებარე იმერეთის სოფლებში რუსის ჯარი არ შეიჭრა და ძალით არ დაიწყო გლეხების დაფიცება რუსხელმწიფის ერთგულებაზე, ვერა გააწყო რა. ამის შემდეგ კი სოლომონ II იძულებული გახდა 1804 წლის 25 აპრილს ქართლისა და იმერეთის საზღვარზე სოფელ ელაზნაურში შეხვედროდა ციციანოვს, „საზეიმოდ“ მიეღო ფიცი ხელმწიფის ერთგულებაზე და ხელი მოეწერა „სათხოვარ პუნქტებზე“. თუ რა „ნებაყოფლობითა და ზეიმით“ უნდა ყოფილიყო ეს ფიცი სოლომონის მიერ მიღებული, კარგად ჩანს ციციანოვის ერთ-

გული მეგობრის, გრაფ როსტოპჩინის წერილიდანაც, სადაც ის ცინიკურად წერდა, რომ „შენ მიერ ამ ფიცის მიღწევას მეტად მნიშვნელოვნად მივიჩნევ და ვასკვნი, რომ ადამიანების უმრავლესობისათვის ზარბაზნის ლაფეტი არის საუკეთესო საწიგნე, ზარბაზნის ჰურვი კი— საუკეთესო მჭევრმეტყველება და შენ წარმატებით გამოიყენე ეს სოლომონის წინააღმდეგ“[31].

1804 წლის 4 ივლისს ალექსანდრე I-მა უცვლელად დაამტკიცა იმერეთისა და სამეგრელოს რუსეთის ქვეშევრდომობაში შესვლის ტრაქტატები[32].

დასავლეთ საქართველოს სამეფო-სამთავროების რუსეთის ქვეშევრდომობაში შეყვანას განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა, მით უმეტეს მას შემდეგ, რაც შავი ზღვის პირას, მდ. ხობის შესართავთან, ყულევში რუსებმა ააშენეს მცირე რედუტი, რედუტკალედ წოდებული, სადაც 1804 წლის ოქტომბრის მიწურულისათვის შესაძლებელი გახდა ყირიმიდან ერთი პოლკი ჯარის გადმოხსმა და საქართველო ახლა უკვე მეორე გზითაც — შავი ზღვის საშუალებით დაუკავშირდა რუსეთს.

დასავლეთ საქართველოში საქმეების ასე თუ ისე მოგვარების შემდეგ ციციანოვმა ყურადღება აღმოსავლეთ ამიერკავკასიის სახანოებისაკენ მიმართა, რათა რუსეთში დასახული გეგმის — რუსეთის სამფლობელოების კავკასიონის ქედიდან მდინარე არეზამდე და შავი ზღვიდან კასპიის ზღვის კიდემდე გავრცელების რეალურ განხორციელებაზე ეზრუნა. წარმატებებით გათამამებული ციციანოვი ამჯერად ერევნის სახანოს დასამორჩილებლად გაეშურა. მართალია, ამ დროისათვის რუსეთ-ირანს შორის ოფიციალურად ომი გამოცხადებული არ ყოფილა, მაგრამ რუსეთის ასეთ აგრესიულ პოლიტიკას შაჰი გულგრილად ვერ შეხვდებოდა და ერევნის ხანის დასახმარებლად აქტიურად ამოქმედდა. ფათალიშაჰის კარზე დიდძალ ჯარს უყრიდნენ თავს. აქვე, ალექსანდრე და თეიმურაზ ბატონიშვილებთან, რუსეთის მმართველობით უკმაყოფილო ქართლ-კახეთის თავადაზნაურობაც გროვდებოდა. თვითონ ციციანოვს კი სალაშქროდ ჯარის გამოყვანა მეტად შეზღუდული რაოდენობით შეეძლო. მის განკარგულებაში მხოლოდ 3500-დან 4000-დე ქვეითი ჯარისკაცი და 1000-დე ცხენოსანი (მათ შორის 200-დე ქართველი თავად-აზნაური) იყო. ამავე დროს

---

31 Письма гр. Ф. В.Ростопчина, с. 50.

32 АКАК, т. II, 780.

ერევანს ლაშქრობისათვის მოხალისეების შესაგროვებლად ანანურში გაგზავნილი თავადაზნაურობის წინამძღოლ თორნიკე ერისთავისგან ამბავი მოვიდა, რომ მთა აჯანყებულიყო და საომრად თავშეყრილი მთიულები ერევანში ლაშქრობის ნაცვლად რუსული ხელისუფლების წინააღმდეგ აპირებდნენ ბრძოლას. ასეთი გართულებული მდგომარეობის მიუხედავად ციციანოვმა ერევნის ლაშქრობა მაინც არ დაიშალა. მან მთის დაწყნარება და აჯანყებულების სასტიკი დასჯა ქსნისა და არაგვის ერისთავებსა და საქართველოს მმართველს — ვოლკონსკის მიანდო, თვითონ კი 1804 წლის ივნისის დასაწყისში ერევნისკენ გაეშურა. 20 ივნისს ეჩმიაძინთან მოხდა შეტაკება სპარსული ჯარების ავანგარდსა და ციციანოვს შორის, რომელიც რუსების გამარჯვებით და სპარსელების უკან დახევით დამთავრდა. 30 ივნისს კი ციციანოვი ერევნის მისადგომებთან მოულოდნელად დაესხა თავს სპარსეთის შაჰის მემკვიდრის — აბას-მირზას მთავარ ბანაკს, სპარსელები სასტიკად დაამარცხა და არეზს იქით გადარეკა. ამის შემდეგ ციციანოვს უკვე საშუალება ჰქონდა ერევნისათვის ალყა შემოერტყა და ერევნის ხანისაგან სრული მორჩილება მოეთხოვა. საქმეს ისეთი პირი უჩანდა, თითქოს მუჰამედ ხანს ველარაფერი იხსნიდა, მაგრამ დამარცხებულ აბას-მირზას საშველად თვით ირანის შაჰი ბაბახანი (იგივე ფათალი-ხანი) წამოსულიყო და შეერთებული ლაშქრით მოალყე რუსის ჯარს გარედან შემოეწყო. ამიერიდან ციციანოვს ორმაგი ბრძოლა ელოდა მეციხოვნეებსა და გარსშემომდგარ სპარსელების წინააღმდეგ. მიუხედავად იმისა, რომ სპარსელების ჯარის რაოდენობა თითქმის ათჯერ აჭარბებდა რუსებისას, ციციანოვმა ერევნის ალყა მაინც არ მოხსნა. პირველ ხანებში იგი მედგარ წინააღმდეგობას უწევდა გარშემომდგარ სპარსელებს და შეტაკებებში გამარჯვებული გამოდიოდა, მაგრამ თანდათან მდგომარეობა დაიძაბა. მას შემდეგ, რაც ალექსანდრე ბატონიშვილი ბამბაკში გამოჩნდა, ბორჩალოსა და ყაზახის თათრები მას მიემხრნენ და საქართველოდან ჯარისათვის სურსათის, ფურაჟისა და ტყვიაწამლის მისაწოდებელი გზები შეკრეს. ციციანოვის მიერ სურსათის მოსაპოვებლად გაგზავნილ მცირე რაზმს ყარაკლისთან მოულოდნელად თავს დაესხა ალექსანდრე ბატონიშვილი და მთლიანად გაანადგურა. ბრძოლაში მოკლეს რაზმის მეთაური მაიორი მონტრეზორიც. ბაბა-ხანმა ერევნის გარშემო პურის ნათესები გადაწვა და რუსის ჯარს შიმშილით ამოწყვეტის საფრთხე დაემუქრა. ამავე დროს 40-გრადუსიანი სიცხეები მოულოდნელმა სიცივემ შეცვალა. დამშეულ ჯარში ავადმყოფობა ადვილად გავრცელდა.

ასეთ პირობებში რუსის ჯარის სრული განადგურება თითქმის გარდაუვალი ჩანდა, მაგრამ სპარსეთში მომხდარი არეულობის გამო ბაბა-ხანი იძულებული გახდა გაბრუნებულიყო და ციციანოვს მოქმედების თავისუფლება მიეცა. თუმცა მან ერევანზე გადამწყვეტი იერიშის მიტანა მაინც ვეღარ შეძლო, რადგანაც არც საიერიშო საშუალებები ჰქონდა და რაც მთავარია, საქართველოდან მეტისმეტად საგანგაშო ცნობები მოდიოდა. მთიულეთში დაწყებული აჯანყება მთელ ქართლის მთიანეთს მოდებოდა, რუსეთთან დამაკავშირებელი ერთადერთი გზა დარიალის ვიწრო და კლდოვან ხეობაზე გამავალი, საქართველოს სამხედრო გზა, აჯანყებულებს ჩაეგდოთ ხელში, თერგზე გადებული ყველა ხიდი დაეწვათ, გზები ჩაეხერგათ, რუსეთთან ყოველგვარი კავშირი გაეწყვიტათ და საქართველოს შეშინებულ მმართველს ვოლკონსკის, სხვა რომ ვეღარა გაეწყო რა, აჯანყებულების თავდასხმის მოლოდინში, თბილისის გამაგრება დაეწყო. 1804 წლის 4 სექტემბერს ციციანოვმა ერევნის ალყა მოხსნა და საქართველოსაკენ წამოვიდა. გოროზი და ამაყი სარდალი, რომელიც კავკასიის ხანებს არაფრად აგდებდა და მხოლოდ მბრძანებლური კილოთი ელაპარაკებოდა, არწმუნებდა მათ, რომ განა მართლა შეგიძლიათ თქვენ იფიქროთ, წინააღმდეგობა გაუწიოთ მთელს ევროპასა და აზიაში დიდებითა და ძლიერებით სახელგანთქმულ ისეთ სახელმწიფოს, როგორიც რუსეთია? განა ბუზს შეუძლია ებრძოლოს არწივს, ან კურდღელს — შეებას ლომს? დარწმუნებული იყავით, საკმარისია ჩემი ბრძანება, რომ თქვენი სახანო ისევე აღარ იარსებებს, როგორც განჯისო, ამჯერად გაწბილებული და ნირწამხდარი დაბრუნდა თბილისს, სადაც რუსეთის ადმინისტრაცია იმდენად იყო დაშინებული მთიანეთის აჯანყებით, რომ მთავარმართველის სახლიდან ყველა ნივთი, ხაზინა, საქმიანი ქაღალდი ციხე-სიმაგრეში გაჭონდათ, რითაც კიდევ უფრო მეტ შიშსა და დაბნეულობას თესავდნენ მოსახლეობაში. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ქართლის მთიანეთში, კერძოდ კი მთიულეთში, აჯანყება ჯერ კიდევ ციციანოვის ერევანში სალაშქროდ წასვლამდე დაიწყო. მაგრამ მთავარსარდალმა აჯანყების მოსალოდნელი მასშტაბები ვერ გაითვალისწინა და მისი ჩაქრობა უმთავრესად ქსნისა და არაგვის ერისთავებს მიანდო, რომელთა ერთგულებაში მას ეჭვი არ ეპარებოდა, რადგანაც ჩინ-მენდლებით უხვად დაჯილდოების გარდა მან ერისთავებს ერეკლეს მიერ ჩამორთმეული 4000 კომლი ყმა დაუბრუნა და ამ ღონისძიებით ეს გავლენიანი ფეოდალები რუსულ ხელისუფლებას საძუდამოდ გაუერთგულა. ერისთავები კი ბოლომდე ერთგული დარჩნენ

თავისი კეთილისმყოფელი ბატონისა, მაგრამ რუსული მმართველობის შემოღებიდან უკვე სამი წლის განმავლობაში იმდენი უსამართლობა, დარბევა-დაწიოკება, აოხრება, დაკნინება და შეურაცხყოფა იწვნია ქართველმა ხალხმა, რომ მთის ერთ პატარა ხეობაში — მთიულეთში დაწყებული აჯანყება მთელ ქართლის მთიანეთს ცეცხლივით მოედო და მისი ჩაქრობა ვერც ერისთავებმა და ვერც ციციანოვის მოადგილემ — საქართველოს მმართველმა ვოლკონსკიმ დამოუკიდებლად ვერარ შეძლო.

ახლად შემოღებული რუსული მმართველობა გარდა იმისა, რომ ყოვლად მიუღებელი, უცხო და გაუგებარი იყო ქართველი ხალხის ყოფისა და ზნე-ჩვეულებებისათვის, უმთავრესად ისეთი არაკეთილსინდისიერი და უზნეო მოხელეებით იყო დაკომპლექტებული, რომ მოკლე ხანში ერთმორწმუნე რუსეთის კალთას ამოფარებულ ქართლ-კახეთში სრული განუკითხაობა გამეფდა, რომელიც თუ არ აჭარბებდა, დიდად არაფრად ჩამოუვარდებოდა ძნელბედობის ჟამს ე. წ. „ყიზილბაშობისა“ და „ოსმალობის“ დროინდელ განუკითხაობას. რაც მთავარია, არაკეთილსინდისიერი საქციელით სახელი გაითქვეს არა მარტო წვრილმა მოხელეებმა, არამედ უმაღლესი რანგის მოხელეებიც ხშირად უარს არ ამბობდნენ ქრთამის აღებასა თუ სხვა რამ უგვან საქციელზე. ამის დასამტკიცებლად ისიც კმარა, რომ პირველი ოთხი წლის განმავლობაში საქართველოს მმართველებად დანიშნული ხუთი მოხელიდან სამი — ძმები კოვალენსკები და ტარასოვი უკანონო მოქმედების გამო სამსახურიდან დათხოვილი და სამართალში მიცემული იყვნენ ციციანოვის მიერ. ამის შემდეგ გადაჭარბებულად აღარ გვეჩვენება პლატონ იოსელიანის მამის — ეგნატე მოძღვრის მიერ რუსების უარყოფითი დახასიათება. აი, რას ეუბნება იგი თეკლა ბატონიშვილს: „... არვინ ველოდით რუსისაგან ამას, რასაცა თქვენ მიბრძანებთ. ახლა ეხედავთ, რაოდენ ძნელი ნათესავი ყოფილა. ძლიერნი ძალითა სიმრავლითა, თურმე ყოფილან სუსტნი ზრდილობითა. უცნობნი კაცთა, არადამფასებელნი ღირსებათა, ცივად მხედველნი, ცივად მგრძნობელნი; ... აზიურთა და ძველთა ჩვენთა სჯულის-დებათა ეცინიან რუსნი. განიხილონ რომელია უკეთესი, უმოკლესი და უმეტეს მართლ-მსაჯულებითი? ქრთამიო, იტყვიან, გარნა ესოდენი და ესრეთი მექრთამეობა შესაძლებელია სადსამე?“[33]. მართალია, ციციანოვი ყველა ღონეს ხმარობდა, რომ შედარებით კეთილსინდისიერი

[33] პლატონ იოსელიანი, ცხოვრება გიორგი მეცამეტისა.. თბ., 1978, გვ. 201—202.

მოხელეები მოეზიდა საქართველოში და შეძლებისდა გვარად გაეკონტროლებინა მათი საქციელი, მაგრამ შედეგი ნაკლებად ჩანდა. ენერგიული და გულადი მთავარსარდალი, რომელიც უკიდურესად საშიშ სამხედრო ოპერაციასაც კი არაფრად აგდებდა, ადმინისტრაციულ ბოროტმოქმედებასა და განსაკუთრებით ანგარების წინააღმდეგ ბრძოლაში თავს უძლურად თვლიდა[34]. ამ ასპარეზზე მის მოღვაწეობას გრაფი როსტოპჩინი ჰერკულესის საგმირო საქმეებს უდარებდა და იქვე დასძენდა, რომ ჰერკულესმა მეფე ავგიის საჯინიბოები გაწმინდა, ჩვენი პატივი კი სამშობლოს მძარცველი ჩინოვნიკების კეთილდღეობას ხმარდებაო[35].

გამუდმებული ბრძოლებით დაკავებულ მთავარმართებელს, რომელიც ქალაქში შედარებით წესრიგის დამყარებას ასე თუ ისე მაინც ახერხებდა, სოფელზე ნაკლებად მიუწვდებოდა ხელი და იქ კაპიტან-ისპრავნიკების ძალმომრეობას არაფერი ზღუდავდა. ქართველი გლეხი მართლმსაჯულებისა და აღმასრულებელი ფუნქციების გაყოფას მიჩვეული არ იყო და ყველა გასაჭირის დროს კაპიტან-ისპრავნიკს მიმართავდა, რითაც ეს უკანასკნელი კარგად სარგებლობდა. თუმცა არც სასამართლოს კარამდე მიღწეულ გლეხს ადგა კარგი დღე, რადგანაც აქ გამეფებული ბიუროკრატიული რეჟიმი მისგან ფორმის მიხედვით გამართულ და რუსულ ენაზე დაწერილ საჩივარს მოითხოვდა, რისი შესრულებაც იმ დროისათვის თითქმის შეუძლებელი იყო. განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაში დარიალის ვიწრო ხეობაში სამხედრო გზის გასწვრივ მოსახლე გლეხები ჩაცვივდნენ, რომელთაც რუსეთთან საქართველოს დასაკავშირებელი ერთადერთი გზის დარსა თუ ავდარში შეკეთება, ზვავისაგან გაწმენდა, ბარგის, განსაკუთრებით მძიმე ზარბაზნების გადასატანად გამოსვლა და გამწევი საქონლის გამოყვანა ევალებოდათ. აქ მყოფი კაპიტან-ისპრავნიკების თავგასულობას და უზნეობას ხომ საზღვარი არა ჰქონდა. ჩვენ აქ თავიდან ბოლომდე აღარ მოვიყვანთ საყოველთაოდ გახმაურებულ დოკუმენტებს კაპიტან-ისპრავნიკების წრესგადასულ უზნეობას რომ ააშკარავებს. მხოლოდ მოკლედ აღვნიშნავთ სოფელ ჟამურში მომხდარ ფაქტს, ანანურის კაპიტან-ისპრავნიკმა ძაღლების სალაფავ ჯამში ჩასხმული სხვადასხვა უწმინდურობა რომ აჭამა ოს გლეხებს[36], და მთიულების მიერ წერილობით მოხსენებულ გაჭირვებას, სადაც აღწერილია აუტანელი სი-

[34] АКАК, т. II, 99.

[35] Письма гр. Ф. В. Ростопчина..., с. 43.

[36] АКАК, II, с. 305.

ცივისა და ზვავების პერიოდში მათრახებითა და ხმლის ცემა-ტყეპით როგორ აიძულეს გლეხები ეხვეტათ გზები, სადაც მრავალი მათგანი ზვავის მსხვერპლი გახდა, როგორ აყურებინეს, უღელში შებმული დედაკაცები მათრახების ცემით მარხილს რომ ეზიდებოდნენ, როგორ შეაწერეს ნატურალური გადასახადის ნაცვლად ფული და რაკიღა ფული არა ჰქონდათ, აიძულეს ეკლესიებიდან ხატები გაეძარცვათ, ბარგის ზიდვით ცხენი და ხარი აღარ შეარჩინეს და ქირა კი არა მისცეს რა და მრავალი სხვა უბედურებანი, რის შედეგადაც მთიულები ისეთ უკიდურეს სასოწარკვეთილებაში ჩავარდნენ, რომ წერდნენ: „ჩვენ ერთობით აწ ეს ვირჩიეთ, თუ სხვა არა მოგვევლინა-რა განსაცდელი ამ მოუთმენელის მწუხარებისაგან, ჩვენის ხელით ჩვენს სახლს ცეცხლი უნდა მოუკიდოთ, ცოლ-შვილი შიგ შევყაროთ, ჩვენც შიგ შევიდეთ, და დავიწვნეთ. ამ ტანჯვას და მათრახით სიკვდილს და ჩვენის ცოლებისას უწესოს საქმით დანახვას ეს გვირჩევნია, რომ ასე დავიხოცნეთ, — მარტო მთიულეთში ცემით ოცდასამი კაცი მომკვდარა სხვას გარდა“[37]. ასეთ გასაჭირში მყოფი მთიელები თორნიკე ერისთავმა ერევანს ლაშქრობისათვის რომ შეყარა, იარაღასხმულმა ხალხმა თავისი რისხვა რუსების წინააღმდეგ მიმართა. აჯანყებულებმა პირველ რიგში საქართველოს სამხედრო გზის ჩახერგვა-ამოყორვას მიჰყვეს ხელი და მოკლე ხანში ეს ტანჯვა-წამებით ნაკეთები გზა ანანურიდან კაიშაურამდე ისეთ დღეში ჩააგდეს, რომ მასზე მიმოსვლა შეუძლებელი გახდა, შემდეგ ისინი თავს დაესხნენ კაიშაურის საგუშაგოს, აქ ჩაყენებულ რუსის რაზმის 17 კაზაკიდან 15 მოკლეს, ორმა კი გაქცევით უშველა თავს. ამის შემდეგ აჯანყების ცეცხლი სწრაფი ტემპით მოედო ქართლის მთელ მთიანეთს: გუდამაყრის, ხანდოს, ჭართლის, თრუსოს ხეობებში თაგაურელებსა და ფშავ-ხევსურებს.

აღელვებული მთის დასაწყნარებლად გამოგზავნილი ერისთავები, რომელთაც აჯანყების სხვადასხვა უბნები ჩააბარეს: შამშე ერისთავს — დიდი ლიახვის ხეობა, მის ძმას თორნიკეს — არაგვის ხეობა, მიხეილს — ქსანი, ელიზბარ ერისთავს კი — პატარა ლიახვი, დიდ გასაჭირში ჩაცვივდნენ. ისინი ატყობინებდნენ საქართველოს შმართველს ვოლკონსკის, რომ მას რაც შეიძლება მეტი რაოდენობით შოეშველებია რუსის ჯარი, რადგანაც ასეთი საყოველთაო უკმაყოფილების პერიოდში ჩვენი ყმები სანდონი აღარ არიან და აჯანყების ჩასაქრობად მათი გამოყენება ხეირს არ დაგვაყრისო[38]. მაგრამ ვოლ-

[37] AKAK, т. II, с. 311.
[38] AKAK, II, с. 603.

კონსკის განკარგულებაში მცირე რაოდენობით ჰყავდა ჯარი. უმთავრესი ძალები ერევნის ასაღებად ჰყავდა წაყვანილი ციციანოვს, საქართველოში დარჩენილი პოლკები კი ლეკთა გახშირებული თარეშის ალაგმვას და ერევანში მებრძოლი ციციანოვისათვის სურსათისა და ტყვია-წამლის მიწოდებას ვერ უმკლავდებოდნენ. აჯანყებულმა მთიულებმა იულონ და ფარნაოზ ბატონიშვილებს მოციქული გაუგზავნეს, რათა მოსულიყვნენ და თვითონ ეხელმძღვანელათ ბრძოლისათვის, მანამდე კი რამდენიმე რაზმად გაყოფილნი გზასაყარებზე მდებარე სტრატეგიული პუნქტების ხელში ჩასაგდებად იბრძოდნენ. ერთ-ერთი ასეთი პუნქტი ხევში სტეფანწმინდა (დღევანდელი ყაზბეგი) იყო, რომლის ბატონმა გიორგი ყაზბეგმა აჯანყებულთა მრავალგზის თხოვნის მიუხედავად არ მოინდომა მათთან შეერთება და ბოლომდის რუსების ერთგული დარჩა. მისი მედგარი წინააღმდეგობის შედეგი იყო, რომ სტეფანწმინდისათვის ბრძოლა დიდხანს გაგრძელდა, მაგრამ 17 ივლისს აჯანყებულთა რაზმმა, რომელიც თაგაურელების, ხევსურებისა, მთიულებისა და გუდამაყრელებისაგან შედგებოდა, სტეფანწმინდა აიღეს, ციხე-სიმაგრეში მყოფი მთელი ქონება, ტყვია-წამალი გაიყვეს, ტყვედ ჩავარდნილი რუსის ჯარისკაცები და კაზაკები თბილისს გამოაგზავნეს[39]. ამავე ხანებში თაგაურელმა ოსებმა ლარსის საგუშაგოც აიღეს და როგორც ნ. ბერძენიშვილიც აღნიშნავს, საქართველოს სამხედრო გზა მთლიანად ჩაიკეტა[40]. კიდევ უფრო შეუპოვარი ბრძოლა დასჭირდა აჯანყებულთა იმ რაზმს, რომელიც ლომისას გამაგრებული პუნქტისათვის იბრძოდა. ლომისა არაგვის ხეობიდან ქსნის ხეობაში გადამავალ ყველა გზას ჰკეტავდა. ლომისას აღების შემდეგ აჯანყება ქსნის ხეობასაც სწრაფად მოედებოდა. ამ გარემოებით გულგახეთქილი ქსნის ერისთავები რუსის ჯარის რაზმებთან ერთად თავს არ ზოგავდნენ მის დასაცავად, მაგრამ აჯანყებულებიც გააფთრებით იბრძოდნენ. ლომისას ასაღებად შეტაკება შეტაკებას მოსდევდა, სტეფანწმინდის აღების შემდეგ კი იქ მებრძოლი რაზმიც წამოეშველა და 9 აგვისტოს შეერთებულმა ძალებმა, რომელშიც მონაწილეობას იღებდნენ მთიულები, ხევსურები, ჟამურელები, ლომისელები და სხვ., ლომისას დაცვის ხელმძღვანელებს, მაიორ მელლას და შამშე ერისთავს სასტიკი დამარცხება აწვნიეს[41]. მელლამ იმის შიშით, რომ აჯანყებულებს იარაღი ხელთ არ ჩავარდნოდათ, განკარგულება გასცა სამხედრო ბანა-

---

39 AKAK, c. 323, № 640.

40 ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. II, გვ. 325.

41 AKAK, т. II, № 647, 648.

კის მთელი ქონება — თოფის წამალი, იარაღი დაეწვათ, ზარბაზნები გაეფუჭებიათ და მიწაში ჩაეფლათ, თვითონ კი მცირერიცხოვანი რაზმით, რომელიც აჯანყებულების თავდასხმების გამო გზადაგზა ხელში ადნებოდა, დიდის ვაი-ვაგლახით ღამით გამოიკვლია გზა თბილისისაკენ[42]. ლომისას აღების შემდეგ აჯანყება ქსნის ხეობაშიც ელვის სისწრაფით გავრცელდა, გლეხები რუსების მომხრე ერისთავიანთ ქონებას უწყალოდ ანადგურებდნენ, გარდა ამისა, საშიშროება ემუქრებოდა თბილისსა და პეტერბურგს შორის საფოსტო გზის საბოლოოდ ჩაკეტვასაც, რომელიც აჯანყებულების მიერ მოპოვებული გამარჯვების შემდეგ მხოლოდ ქსნის ხეობით თუ-ღა ხორციელდებოდა.

აჯანყებულებს შორის მრავლად ვრცელდებოდა ალექსანდრე ბატონიშვილის მიერ გამოგზავნილი გამამხნევებელი და კიდევ უფრო მედგარი ბრძოლისაკენ წამქეზებელი წერილები. რაც შეეხება იულონ და ფარნაოზ ბატონიშვილებს, მართალია ისინი ივნისის დამდეგს იმერეთიდან ქართლში გადმოვიდნენ, მაგრამ მათ ამჯერად ვერც ქართლის თავადების მიმხრობა მოახერხეს და მთიანეთისკენაც ვერ გაიკვლიეს გზა. 29 ივნისს კი ულევის ეწერში, საწურბლეთ წოდებულ ადგილიდან უღრან ტყეში თავშეფარებულ ბატონიშვილებს სავსებით მოულოდნელად თავს დაეცა რუსის მცირე რაზმი თავად იაგორ ამირაჯიბის წინამძღოლობით და იულონ ბატონიშვილი შეიპყრეს. ფარნაოზმა და იულონის ახალგაზრდა შვილმა ლევან ბატონიშვილმა გაქცევით უშველეს თავს[43]. აქედან ფარნაოზი და ლევანი დიდი წვალების შემდეგ ბამბაკს მოვიდნენ ალექსანდრე და თეიმურაზ ბატონიშვილებთან. სექტემბრის დასაწყისში ფარნაოზ ბატონიშვილი კახეთის გავლით ქართლის მთიანეთისკენ გაეშურა, რათა სათავეში ჩასდგომოდა აჯანყებას და კიდევ უფრო გაეფართოვებია იგი. კახეთში, ალავერდობას თავშეყრილმა თავადაზნაურობამ ერთმანეთს შეჰფიცა ბაგრატიონთა ერთგულება და ფარნაოზ ბატონიშვილს აედევნა[44]. ფარნაოზ ბატონიშვილი მთიანეთის ყველა ხეობაში წერილებს გზავნიდა, აჯანყებულებს ერთგულებას უქებდა, ქუდზე კაცის გამოსვლას მოითხოვდა და კიდევ უფრო მედგარი ბრძოლისთვის მოუწოდებდა. აგვისტოს დამლევისათვის აჯანყებულთა ხელში დუშეთიც გადავიდა, ანანური კი ძალზე შეავიწროეს. ყოველივე ამას ერევანთან ციციანოვის მარცხიც ზედ ერთოდა და ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, რომ საქართველოში

---

42 AKAK, т. II, № 647, 648.

43 AKAK, т. II, с. 133.

44 AKAK, т. II, с. 136, 138, 142.

შემწყვდეულ რუსის ჯარს ვეღარაფერი უშველიდა და რუსეთის ხელისუფლება იძულებული იქნებოდა თუ სამუდამოდ არა, ამჯერად მაინც აეღო ხელი საქართველო-კავკასიაში დამკვიდრებაზე. მაგრამ აჯანყებულთა წარმატებებით და ერევანთან ციციანოვის უნუგეშო მდგომარეობით სასოწარკვეთილმა გენერალმა ვოლკონსკიმ აგვისტოს შუა რიცხვებში კაცი აფრინა იმპერატორთან და სასწრაფო და სერიოზული დახმარება ითხოვა. ვიდრე ვოლკონსკის გაგზავნილი კაცი მიაღწევდა პეტერბურგამდე, ხელმწიფის კარზე უკვე უხვად იყო გავრცელებული ხმები საქართველოში მყოფი ჯარის განწირული მდგომარეობის შესახებ. 1804 წლის 25 ოქტომბერს როსტოპჩინი ციციანოვს სწერდა: „გუშინდელი დღე ჩემთვის განსაკუთრებული იყო, რადგან მოსკოვიდან მივიღე ცნობა, რომ შენ ცოცხალი ხარ და თბილისში დაბრუნდი... ახლა მე მშვიდად დაველოდები შენ წერილს. შენ წარმოიდგინე ჩემი მდგომარეობა: 6 კვირის განმავლობაში აქ მეტს არაფერს ამბობდნენ თუ არ შემდეგს: თავად ციციანოვის შესახებ არავითარი ცნობები არ არის, ყოველგვარი კავშირი გაწყვეტილია, მთაში კაზაკთა პოლკს ერთიანად მუსრი გაავლეს, ციციანოვი თვით შაჰმა დაამარცხა, იმერეთი აჯანყდა, საქართველოში მიმავალ პოლკებს გზა გადაკეტილი აქვთ და ყიზლარში დგანან“[45].

ალექსანდრე I-მა კავკასიის ჯარების უფროსს გენერალ გლაზენაპს უბრძანა, სასწრაფო და გადამწყვეტი ზომები მიეღო აჯანყების ჩასაქრობად და შეწყვეტილი კომუნიკაციების აღსადგენად. ოქტომბრის დასაწყისში ვლადიკავკაზიდან გენერალ ნესვეტაევის სარდლობით რამდენიმე პოლკი წამოვიდა 3000 კაცითა და 30 ქვემეხით. ამავე დროს ერევნის ლაშქრობიდან დაბრუნებული ციციანოვი ვოლკონსკის უგერგილობით გაღიზიანებული, პირადად წარუძღვა თბილისიდან ანანურისაკენ მიმავალ რაზმს. გულხელდაკრეფილი არც ერისთავები იყვნენ, ასე რომ აჯანყებულ მთიანეთს ყოველი მხრიდან შეუტიეს.' ვლადიკავკაზიდან წამოსულმა ჯარმა იერიშით აიღო დარიალი, ლარსი, ყაზბეგი, სადაც ფარნაოზ ბატონიშვილს დაასწრო მისვლა და რუსის ჯარსა და აჯანყებულებს შორის გადამწყვეტი ბრძოლა სიონთან მოხდა. ბატონიშვილი დამარცხდა, სამხრეთიდან მომავალმა კაპიტანმა მატუშევიჩმა კი დუშეთი აიღო. ამის შემდეგ აჯანყების ბედი ფაქტიურად გადაწყვეტილი იყო. ფარნაოზ ბატონიშვილმა სპარსეთში წასვლა სცადა, მაგრამ ოქტომბრის ბოლოს ისა და მისი მხლებლები ყაზახში დააკავეს.

---

[45] Письма гр. Ф. В. Ростопчина..., с. 64.

1804 წლის ნოემბერში ციციანოვმა ლიახვის ხეობა დალაშქრა და აქ მაცხოვრებელი ოსები აჯანყებაში მონაწილეობისათვის სასტიკად დასაჯა. მან მაღლა მთებში მდებარე სოფლები კროჟა და კოშკი გაანადგურა, რითაც მორჩილებაში მოიყვანა ოსები.

აჯანყება დამარცხდა, მაგრამ მთა მაინც არ წყნარდებოდა, გუდამაყრის ხეობაში კაპიტან ისპრავნიკს არ უშვებდნენ, გზებს აფუჭებდნენ და ციციანოვის მუქარას: თუ ურჩობას განაგრძობთ, გამძვინვარებული მხეცივით მოგეკვლინებითო[46], არაფრად აგდებდნენ. უჭირდა მთას ახალ რეჟიმთან შეგუება, იგი ბაგრატიონთა დინასტიას აგრე ახირებულად ვერ შელეოდა და თავისი სათაყვანებელი ერეკლე მეფის სახლეულთა დასაცავად ბრძოლას უწმინდეს მოვალეობად მიიჩნევდა. 1804 წლის დეკემბერში მირმანოზ ერისთავის რჩევას: ფარხაოზ ბატონიშვილი შეპყრობილია და თქვენც დაწყნარდითო, აჯანყების მეთაურთაგანნი ვინმე ბარამი და გედეონი შემდეგნაირად პასუხობდნენ: „მებოძა თქვენ-მიერი წერილი, რომელმაც რომ გული და გონება ჩვენი განგმირა და იფიქრე ჩემის ხელმწიფის მეფის ძის ფარნავაზის დაჭერის ხმა, რაგვარი საბავთოს ხმის მოწევნადი არის და ვაი სასმენელთა ჩვენთა! და მწყალობლობა მეგობრობითი გებრძანათ, შენ ნუ მომიკვდები, თუ ფარნავაზ ბატონისშვილი არა მყავს, ჩალად მჩანს ყოვლი ქვეყანა, მისთვისვე შემიწონია. თუ ქრისტიანი ვართ, ვერც ხმალი, ვერც ცეცხლი, ვერც წყალი და ვერც სხვა რამ განმასწორებს და განმდრეკს მის სიყვარულზედ და თუ იმისის გულისათვინ კიდენ ერთ წელიწადს ხმალს არ ვიქნევთ, რა სიყვარული არის? და თუ იმის ერთგულებაზე დაგვხოცს ვინმე, ასე მგონია ღვთის მოწყალებით სასუფეველი მზა არს ჩვენთვის.

„გებრძანათ: ამის უარესად თქვენს თავს ნუ გააუბედურებთო, და ფუ, ჩვენს კაცობასა, რომ თუ ფარნაოზ მეფის-ძე გაუბედურდება, ჩვენთვის სიკვდილი სანატრელი არ იყოს. ასე მოხსენდეს თქვენს მაღალბრწყინვალებას, — ჩვენც ამ ხეობაში ერთი ამათთანა მოძმე გახლავართ და გაფიცულნი გახლავართ: თუ გარიგება იქნება, ჩვენ და ეს ხეობა ერთად გავრიგდებით.

„ვიცი მწყალობ, მაგრამ თუ მესვრიან, მეც ვესვრი, — ასე არის ჩვენი საქმე. როკამდის კუდარომდის, ქურთაულამდის და ჩერქეზამდის გზა გვაქვს სავალი, არ გვეშინიან ჯარის მოსვლისა: აქ რომ მოვა ზეით წავალთ...

---

[46] АКАК, II, с. 336—337.

„რა ვქნა, ჩემო ხელმწიფევ, თუ ფარნაოზ დაიჭირეს, — ალექსანდრე, თეიმურაზ და ლევან ხომ ისევ არიან და თუ ფარნაოზ ამ განსაცდელს შემთხვევია, ჩვენთვის სიკვდილი სანატრელია. ჩვენ მოგახსენებთ პირ აქეთ გარდმოიხედოთ, სულ აგრე არ იქნება, შენ ნუ მოშიკვდები. ვითხოვთ არ უგულებელს გვყოთ და თუ მართალია, ბატონი-შვილის ნაწერი ბარათი გვებოძოს თავისის პატარა ბეჭდით დაბეჭდილი: „წამოდითო ქალაქს ვიმყოფებიო“, და ჩვენც ყელზედ ხმალს დავიკიდებთ და ისე შენ გიახლებით, თუნდა შენ დაგვხოცე და თუნდა ციციანოვმა, — ნება თქვენი აღსრულდეს და ამ ხეობასაც შემოგირიგებთ, როგორც თქვენი ნება არის. საცა ათასი სული კაცი კაცთან მოკვდება, იქ რომ კაცი განდრკეს, წაწყნდება. ჩვენი მოხსენება ეს არის და სხვას ჩვენს სიტყვას ეს უფროს-უფროსნი კაცნი მოგახსენებენ“[47].

ციციანოვი ყოველ ღონეს ხმარობდა მთის დასაწყნარებლად, მან ჯანყების მეთაური თუ მონაწილე 300-დე თავად-აზნაური და მთიელი გლეხი დააპატიმრა, რომელთა საქმეს სპეციალურად შედგენილი საიდუმლო კომისია წლების განმავლობაში იძიებდა. 1805 წლის აპრილში კი იულონ და ფარნაოზ ბატონიშვილები გაძლიერებული დაცვით რუსეთში ტულასა და ვორონეჟში გადაასახლა, მაგრამ მას კარგად ესმოდა, რომ მარტო სიმკაცრით მთასთან ვერაფერს გახდებოდა და შეეცადა შეძლებისდაგვარად მოეწესრიგებინა მათი ბეგარა-გადასახადები და უფლება-მოვალეობანი. მის მიერ 1804 წლის 31 ოქტომბერს სპეციალურად გამოცემულ ბრძანებაში განსაზღვრული იყო ფასები, რომელიც უნდა გადაეხადათ გზისპირა მოსახლეობისათვის სურსათ-სანოვაგის თუ ტყვია-წამლის გადატანაში, ჯარისა და რეკრუტების გადაყვანაში და სხვ. თუ კი ეს განაწესი არ შესრულდებოდა, მთიულებს უფლება ჰქონდათ თვით მთავარმართებელთან ეჩივლათ.

საერთოდ ციციანოვი ყველა ღონეს ხმარობდა, რომ თუ მთლიანად ვერ აღმოფხვრიდა, ცოტა მაინც შეემცირებინა ის ბოროტმოქმედებანი, რაც სამოქალაქო მმართველობაში თითქმის საყოველთაოდ გაბატონებული იყო. უპირველეს ყოვლისა, მან ქართველი ხალხისათვის უცხო, სხვადასხვა ფორმალობათა დაცვით გადატვირთულ და გაუგებარ რუსულ ენაზე სასამართლოწარმოებას მიაქცია ყურადღება. მისი წარდგინების შედეგად, 1805 წლის მაისში ხელმწიფის ხელმოწერილი ბრძანების თანახმად, საქართველოში სამართლის წარმოების ფორმალობანი შედარებით შემსუბუქებული იყო და ქართველ

[47] AKAK, II, c. 145.

შემჩივანს ნება ეძლეოდა ქართულ ენაზე, ფორმალობათა დაცვის გარეშე დაწერილი არზა წარედგინა სასამართლოში.

ციციანოვის მთავარი საზრუნავი მაინც შედარებით კეთილსინდისიერი და კვალიფიცირებული მოხელეების მოზიდვა იყო. იგი მოითხოვდა საქართველოში გამოგზავნილ მოხელეებზეც გავრცელებულიყო ის პრივილეგიები, რომლითაც სარგებლობდნენ ცენტრიდან ძლიერ დაშორებული (მაგ., ირკუტსკის) გუბერნიის მოხელეები[48]. თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ამ პრობლემის გადაჭრა არამც თუ ციციანოვმა ვერ მოახერხა, არამედ საქართველოში მთელი XIX საუკუნის მანძილზე მწვავედ იგრძნობოდა განსწავლული და კეთილსინდისიერი მოხელეების ნაკლებობა.

რუსული მმართველობის შემოღების შემდეგ ქართველი თავადაზნაურობის უკმაყოფილების ერთ-ერთი მთავარი მიზეზი მოურავობის ინსტიტუტის გაუქმება იყო. მოურავობა ქართველ თავადებს სამემკვიდროდ ჰქონდათ ბოძებული და გარდა იმისა, რომ მრავალი მათგანისთვის შემოსავლის მთავარ წყაროს წარმოადგენდა, ამ ინსტიტუტის წყალობით ქვეყნის მართვა-გამგეობაში მათი მონაწილეობაც უზრუნველყოფილი იყო. მართალია, სამაზრო სასამართლოების და კაპიტან-ისპრავნიკების თანამდებობის შემოღების შემდეგ მოურავობას შინაარსი გამოეცალა, მაგრამ ციციანოვი ამ ინსტიტუტის ერთი ხელის დაკვრით გაუქმებას მაინც ვერ ბედავდა და თანდათანობით მის გასაუქმებლად უმაღლესად დამტკიცებული შემდეგი ხერხი შეიმუშავა: ამა თუ იმ მოურავზე შემოსული პირველივე საჩივრის შემდეგ მოურავს თანამდებობიდან ათავისუფლებდნენ ისე, რომ მის ნაცვლად აღარავის ნიშნავდნენ. ასევე აღარავის ნიშნავდნენ გარდაცვლილი მოურავის ნაცვლადაც[49]. ასე თანდათანობით ეღებოდა ბოლო თავადაზნაურების აქტიურ მონაწილეობას ქვეყნის მართვა-გამგეობაში. რაც შეეხება თათრებით დასახლებულ დისტანციებს, იქ ციციანოვმა არამც თუ მოურავობა არ მოსპო, არამედ მოურავის თანაშემწის თანამდებობა გააუქმა და მათ ნაცვლად მოურავებს თარჯიმნები დაუნიშნა[50].

ციციანოვმა სამოქალაქო და სისხლის სამართლის ექსპედიციები ერთ—სამართლისა და მართლმსაჯულების ექსპედიციაში გააერთიანა. მან ამ ღონისძიებით დაზოგილი თანხით გადაწყვიტა ყველა მაზრაში

---

48 АКАК, т. II, с. 37.

49 АКАК, т. II, с. 44.

50 Утверждение русского владычества нв Кавказе, т. XII, с. 44.

შეექმნა ახალი თანამდებობა — ოლქის უფროსისა. ოლქის უფროსად შტაბის ოფიცერი უნდა ყოფილიყო დანიშნული. რადგანაც ქართველი ხალხი მიჩვეული იყო ერთი პიროვნების ხელში სასამართლო და აღმასრულებელი ფუნქციების გაერთიანებას და ძალიან მტკივნეულად განიცდიდა მრავალინსტანციან სასამართლოწარმოებას, მთავარმართებელმა გადაწყვიტა, ოლქის უფროსი ექცია ისეთ უფლებამოსილ პიროვნებად, რომლის ხელში გაერთიანებული იქნებოდა ეს ორივე ფუნქცია და მაზრის ფარგლებში ყოვლისმომცველი უფლებებით აღჭურვილს იმოდენა ავტორიტეტი ექნებოდა, რომ შეძლებდა თავადაზნაურობის დამორჩილებას. ალექსანდრე I-მა, რომელიც მზად იყო ციციანოვის ყველა შთხოვნისათვის აება მხარი, ამჯერად ეს წამოწყება არ გაიზიარა, რადგანაც ჯერ ერთი, მაზრის სათავეში ასეთი უფლებამოსილი პიროვნების დაყენების შედეგად აღმასრულებელი, სახაზინო და მართლმსაჯულების ექსპედიციების არსებობას ეკარგებოდა აზრი და რაც მთავარია, შტაბს-კაპიტნებიდან ისეთი კანდიდატურების შერჩევა, რომლებიც თავის განუსაზღვრელ უფლებებს ბოროტად არ გამოიყენებდნენ, მეფეს თითქმის შეუძლებლად მიაჩნდა. ამის გამო ოლქის უფროსის უფლება-მოვალეობა სამაზრო სასამართლოს თავმჯდომარის უფლება-მოვალეობებით განისაზღვრა და ყველა სამაზრო დაწესებულება საქართველოს უზენაესი მმართველობის ექსპედიციების დაქვემდებარებაში დარჩა. ყოველივე ამის გამო ციციანოვმა თავისი ჩანაფიქრი საყოველთაოდ აღარ განახორციელა და ოლქის უფროსი მხოლოდ გორის მაზრაში დანიშნა. მართალია, ციციანოვს უმთავრესად ბრძოლის ველზე უხდებოდა ყოფნა, მაგრამ იგი თავის მჩქეფარე ენერგიას გაუთავებელი ომიანობისა და ძარცვა-გლეჯის შედეგად გაოხრებულ-გაპარტახებული ქვეყნის მოსაშენებლადაც არ იშურებდა. იგი ყველა ხელსაყრელ შემთხვევას იყენებდა იმისათვის, რომ თათრული დისტანციებიდან და სახანოებიდან ქრისტიანული სომხური მოსახლეობა საქართველოს გავერანებულ და გლეხობისაგან დაცლილ კუთხეებში დაესახლებინა. „მაგრამ ციციანოვის ეს საქმე ერეკლეს საახალშენო პოლიტიკისაგან იმით განსხვავდებოდა, რომ ამ ღონისძიებას ახლა საქართველოს პოლიტიკური გაძლიერება კი არ ჰქონდა მიზნად, როგორც ეს იყო ერეკლეს დროს, არამედ ეს იყო სხვადასხვა ქრისტიან ხალხთა თავმოყრა გარკვეულ ტერიტორიაზე, რომელსაც ჯერ კიდევ „საქართველო“ ეწოდებოდა,

და რომელსაც ეკისრებოდა რუსეთის მთავრობის ექსპანსიური პოლიტიკის სამსახურში მდგარიყო"[51].

ენერგიული მთავარმართებელი საქართველოში უმთავრესად ისეთი დარგების განვითარებისათვის ზრუნავდა, რომლის პროდუქცია შესაძლებელს გახდიდა საქართველოში ყოველწლიურად მზარდი რაოდენობით შემოყვანილი რუსის ჯარის საკვებითა და ტანისამოსით მომარაგება ადგილზევე გადაჭრილიყო. ამ მიზნით მან განსაკუთრებული ზომები მიიღო პურეულის მოყვანის გასაძლიერებლად. ცდილობდა კვლავ აეღორძინებინა საქართველოში ადრე განვითარებული და აწ მივიწყებული სელის ქსოვილის წარმოება. ამავე მიზნით შალისა და ტყავის დამამზადებელი-დამმუშავებელი ქარხნების დაარსებასაც ფიქრობდა, მაგრამ ამ წამოწყების განხორციელება მან რუსი მრეწველების გადაულახავი წინააღმდეგობის გამო ვეღარ შეძლო, რადგანაც უკანასკნელთა პროდუქციის გამსაღებელი უმთავრესად კავკასიაში მოქმედი რუსის ჯარი იყო და საქართველოში სელის, მატყლისა თუ ტყავის გადამმუშავებელი ქარხნების დაარსება მათ ხელს არ აძლევდა.

განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ციციანოვის კულტურულ-საგანმანათლებლო მოღვაწეობა. მან გადადგა კონკრეტული ნაბიჯები თბილისში თეატრის დაარსებისათვის და აწარმოებდა მიწერ-მოწერას პეტერბურგთან, რათა საქართველოში გამოეგზავნათ მუდმივ სამუშაოდ სამხატვრო აკადემიაში განსწავლული არქიტექტორი, გააკეთა თბილისის მოსახლეობის აღწერა, განკარგულება გასცა სამოქალაქო არქივის შენობის აგების შესახებ. მისი თხოვნით მეფის ყოფილმა მდივანმა ომან ხერხეულიძემ აღწერა ერეკლე II-ის ცხოვრება და ა. შ.[52] მაგრამ ამ მხრივ გაწეული მოღვაწეობიდან მისი მთავარი დამსახურება თბილისში კეთილშობილთა სასწავლებლის გახსნა, ამ სასწავლებლის სახელმძღვანელოებითა და კვალიფიცირებული მასწავლებლებით უზრუნველყოფა და საქართველოში არსებული ტიპოგრაფიის აღდგენა-განახლებისათვის განუხრელი და ნაყოფიერი ზრუნვა იყო. თუმცა აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ვერ გავიზიარებთ ჯ. ვათეიშვილის შეფასებას, რომელიც ციციანოვის კულტურულ-საგანმანათლებლო მოღვაწეობის განხილვის შემდეგ მასში ხედავს არა მარტო რუსეთის იმპერიის ერთგულ ქვეშევრდომსა და კარისკაცს, არამედ მას თავისი წინა-

---

51 ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. II, გვ. 340.

52 Ватеишвили Д. Л., Русская общественная мысль и печать на Кавказе. М., 1973, с. 71.

პრების საყვარელ სამშობლოსთან, საქართველოსთან პირადი ერთგულებით დაკავშირებულ დიდ პატრიოტადაც მიიჩნევს[53]. საქმე იმაშია, რომ ციციანოვი, როგორც გონიერი მოხელე, კარგად ხედავდა იმ სიძნელეებს, რაც ერთი ხელის დაკვრით, საქართველოში რუსული ენის საყოველთაო უცოდინარობის პირობებში რუსული მმართველობის შემოღებას მოჰყვა და ყველაფერს აკეთებდა ამ სიძნელეებით გამოწვეული უკმაყოფილების შესანელებლად. მის მიერ კეთილშობილთა სასწავლებლის დაარსება სწორედ იმ მიზნით იყო განპირობებული, რომ რუსული ენის გავრცელებისათვის შეეწყო ხელი და ამ სკოლებში რუსულად განსწავლული თავადაზნაურობა ფართოდ მოეზიდა სამოქალაქო თუ სამხედრო სახელმწიფო სამსახურში. „ამ ამოცანის ერთადერთი და სწორი, ბუნებრივი გადაწყვეტა კი, — აღნიშნავს ნ. ბერძენიშვილი, — მმართველობის გაქართულება არც ციციანოვს მოსვლია აზრად“[54]. თუმცა რა პატრიოტობა ან რა ეროვნული საქმის გაკეთება მოეთხოვებოდა ისეთ სულითხორცამდე გარუსებულ ადამიანს, რომელიც საუკუნეების განმავლობაში დახვეწილ ქართულ საეკლესიო საგალობელს თხის პეტელს ამსგავსებდა და ანტონ კათალიკოსს ურჩევდა წირვის დროს კიევის ნოტა გამოეყენებინა[55].

როგორც არაერთხელ აღვნიშნეთ, ციციანოვის მთავარ საზრუნავს მაინც რუსეთის ისედაც ვრცელი იმპერიის საზღვრების კიდევ უფრო გაფართოება, შავი ზღვიდან მოყოლებული კასპიის ზღვამდე ტერიტორიის რუსეთის სამფლობელოებში მოქცევა და სამხრეთის საზღვრის მტკვარ-არეზზე გატანა წარმოადგენდა.

ჯერ კიდევ 1804 წელს განჯის აღების შემდეგ ციციანოვი ყარაბაღის და შაქის სახანოების რუსეთის მფლობელობაში შეყვანას ცდილობდა. განჯაში დაბანაკებული ციციანოვი ყარაბაღელ იბრაიმ-ხანს მუქარით აღსავსე წერილებს უგზავნიდა: „გაკვირვებული ვარ თქვენი საქციელით, თვეზე მეტია, მე აქ ვიმყოფები რუსეთის ძლევამოსილი ჯარით, უკვე ექვსი დღე გავიდა მას შემდეგ, რაც იერიშით ავიღე ციხე-სიმაგრე, თქვენ კი, ასე ახლო მდებარე სახანოდან, იმის მაგივრად რომ ძლიერის მფარველობას ეძებდეთ, არ მიგზავნით მოლოცვას. ჯავად-ხანის სიამაყე სისხლით განიბანა... და მე იგი არ მეცოდება, რადგანაც ამაყს ღმერთი სჯის... იმედი მაქვს, რომ თქვენ არ მოინდომებთ მის მიბაძვას, საერთო კანონზომიერებას გაითვალისწინებთ, რო-

---

[53] Ватеишвили Д. Л., დასახელებული ნაშრომი, გვ. 73.

[54] ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, II, გვ. 346.

[55] АКАК, т. II, с. 268.

მლის მიხედვითაც სუსტი ძლიერს ემორჩილება და მასთან შებმაზე არც კი ოცნებობს. ასე რომ, ისღა დაგრჩენიათ აირჩიოთ საუკეთესო გზა"[56]. მეორე წერილში კი წერდა: „გახსოვდეთ, რომ ძლიერს მბრძანებლობა სჩვევია, სუსტი კი იმიტომ იბადება, რომ ძლიერს დაემორჩილოს"[57]. მაგრამ ამჯერად ერევანთან წარუმატებელმა ბრძოლამ და ქართლის მთიანეთის აჯანყებამ ხელი შეუშალა ციციანოვს ამ გეგმების განხორციელებაში.

1805 წელს კი ციციანოვს საგრძნობი წარმატებები ხვდა. ჯერ იყო და ერევნის ხანისაგან შევიწროებულმა პატარა, მაგრამ ხორბლის უხვი მოსავლით განთქმულმა შურაგელის სასულთნომ დახმარება სთხოვა რუსის ჯარს. ბუდაღ-სულთანმა რუსეთის მფარველობაში შესვლის სურვილი გამოაცხადა და რუსეთის ერთგულების ფიცი მიიღო. ამიერიდან სულთანი ვალდებული იყო 2000 მანეთი ვერცხლით ხარკი ეხადა და ერთ-ერთი შვილი მძევლად მიეცა მთავარსარდლისათვის. საამაგიეროდ, ციციანოვი გარეშე მტრებისაგან სასულთნოს დაცვას კისრულობდა, მისი გვარისათვის სულთნობის სამუდამოდ შენარჩუნებას ჰპირდებოდა და სასულთნოს შემოსავალსა და სამართალწარმოებას მის განკარგულებაში ტოვებდა.

1805 წლის 14 და 21 მაისს კი ციციანოვმა სისხლისღვრის გარეშე სამფარველო ტრაქტატები გააფორმა ყარაბაღის იბრეიმ-ხანთან და შაქის სელიმ-ხანთან, რომელთაც სპარსეთის ორიენტაციას რუსეთის მფარველობაში შესვლა ამჯობინეს. ტრაქტატის მუხლების თანახმად, იბრეიმ-ხანს 800 000, სელიმ-ხანს კი 700 000 მანეთი ხარკი უნდა ეხადათ ციციანოვისათვის ყოველწლიურად, მძევლები მიეცათ მისთვის, შუშაში და ნუხაში 500-კაციანი რუსული გარნიზონი არტილერიით ჩაეყენებინათ, სპარსეთისაგან სახანოების დაცვის საჭიროების შემთხვევაში კი გარნიზონის გაძლიერება იყო გათვალისწინებული. ადმინისტრირება, სამართალი და შემოსავალი ხანების განკარგულებაში რჩებოდა. ხანის უფლებამოსილებანი მემკვიდრეობით უნდა გადასულიყო[58].

წარმატებით გახარებული ციციანოვი ამ სახანოების დამორჩილებით მიღებულ სარგებლობას და სამომავლო გეგმებს შემდეგნაირად აუწყებდა ხელმწიფეს: შაქისა და ყარაბაღის რუსული გარნიზონით დაკავების შემდეგ ერთი მხრივ ჰარ-ბელაქნელების ურჩობასა და აქე-

56 АКАК, т. II, № 1416.

57 АКАК, т. II, № 1417.

58 АКАК, т. II, № 1436 и 1315.

დან ლეკების საქართველოში შემოჭრას უნდა დასდებოდა ზღვარი, მეორე მხრივ კი, საქართველოში სპარსეთის მოულოდნელი შემოჭრა რთულდებოდა. ყარაბაღი საქართველოს ბაქოსთან აახლოვებდა, რომლის აღებაც შემოდგომისათვის იყო ნავარაუდევი. ბაქოს, სალიანისა და ჯავათის დაკავების შემდეგ კი თბილისი განჯა-შუშა-ჯავათის გზით ასტრახანს დაუკავშირდებოდა. ასე და ამგვარად ფიქრობდა ციციანოვი მშვიდობიანი სავაჭრო-სამიმოსვლო გზის გაჭრას და ასტრახანიდან მოსული გემებით მოტანილი უმნიშვნელო საქონლის ნაცვლად ყარაბაღ-შამახიიდან აბრეშუმის გატანას[59].

რუსეთის წარმატებებით შეშფოთებული სპარსეთი თავრიზში დიდძალ ლაშქარს უყრიდა თავს და რუსეთს ომით ემუქრებოდა. ციციანოვს საქართველოში ჯარი მცირე რაოდენობით ჰყავდა, რუსეთ-საფრანგეთის გართულებული ურთიერთობის გამო კი დახმარების მიღების იმედიც არსაიდან იყო.

1805 წლის ზაფხულში სპარსელებმა ისარგებლეს რუსული ჯარის სიმცირით, არეზი გადმოლახეს და ყარაბაღში შემოიჭრნენ. სპარსეთიდან შემოჭრილი ლაშქრის სხვადასხვა რაზმებს ბაბა-ხანი, აბას-მირზა და ფირ-ყული-ხანი სარდლობდნენ. მაგრამ არც ერთი მათგანის შეტევას შუშასთან, განჯასა და შამქორთან ციციანოვისა და მისი გენერლების თავგანწირული ბრძოლის შედეგად წარმატება არ მოჰყოლია. სპარსელები იძულებული გახდნენ უკანვე გაბრუნებულიყვნენ.

ამის შემდეგ ციციანოვის გეგმის განსახორციელებლად შარვანის სახანოს (სადაც ჯავათი მდებარეობდა) შემოერთება იყო საჭირო. შარვანის ხანთან მოლაპარაკება ციციანოვმა ჯერ კიდევ ადრე, შაქისა და ყარაბაღის ხანებთან მოლაპარაკების პარალელურად დაიწყო, მაგრამ შარვანის მუსტაფა-ხანი ვერ იქნა და რუსეთის ქვეშევრდომობის მიღებაზე ვერ დაიყოლია. მაშინ უტეხი ნებისყოფის მქონე მთავარსარდალი თავისი ჯარებით შარვანის სახანოს საზღვრებში შეიჭრა და ზედ ქრისტეშობის დღეს, 1805 წლის 25 დეკემბერს მუსტაფა-ხანი აიძულა რუსეთის ქვეშევრდომობა მიეღო[60]. ამგვარად, ციციანოვის მიერ მოხაზულ სავაჭრო-სამიმოსვლო გზის ასამოქმედებლად ბაქოს სახანოს დამორჩილება-ღა იყო საჭირო. ჯერ კიდევ 1805 წლის დასაწყისში ციციანოვმა ასტრახანიდან გენერალ-მაიორ ზავალიშინის მეთაურობით გაგზავნა ესკადრა, რომელსაც ენზელის, რეშტისა და ბა-

[59] АКАК т. II, № 1301, 1436.

[60] АКАК, т. II, № 1366.

ქოს აღება დაავალა, მაგრამ ზავალიშინმა ვერცერთი დავალების შესრულება ვერ შეძლო და სპარსელებისაგან ძლეული, ლენქორანისაკენ გამობრუნდა. ამ მარცხმა თავმოყვარე მთავარსარდალს წონასწორობა დააკარგვინა: „ავადმყოფობით ილაჯგაწყვეტილი, ყავარჯნებზე დაყრდნობილი რომ არ დავდიოდე ოთახიდან ოთახში, — წერდა იგი დამარცხებულ გენერალს, — მე თვითონ გამოვფრინდებოდი რუსული დიდების გადასარჩენად და უმალ უსულოდ დავეცემოდი ბაქოს კედლებთან. ვიდრე ჰუსეინ-ყული-ხანს მივცემდი ტრაბახის საშუალებას: რუსები ისე ვიფრინე, რომ ვერაფერი დამაკლესო“[61]. ციციანოვმა უბრძანა ზავალიშინს, ხელახლა წაეყვანა ესკადრა, ბაქოსთან გადაესხა დესანტი და რადაც არ უნდა დასჯდომოდა, იძულებულეყო ჰუსეინ-ყულიხანი, ხელი მოეწერა მის მიერ შედგენილ საქვეშევრდომო პუნქტებზე[62]. მაგრამ რადგანაც ჰუსეინ-ყული-ხანი ადვილად არ აპირებდა დანებებას, ციციანოვი იძულებული გახდა პირადად წაეყვანა ექსპედიცია ბაქოს, შარვანისა და ერევნის ასაღებად. ეს გადაწყვეტილება დამახასიათებელი იყო ციციანოვისათვის. იგი შავი ზღვიდან კასპიის ზღვამდე რუსეთის მფლობელობის დამყარებას იდეით გატაცებული, აღარც იმას აქცევდა ყურადღებას, რომ თვითონ ჯერ კიდევ საბოლოოდ გამოჯანმრთელებული არ იყო, არც ზამთრის სიცივეებში შორსა და ძნელ გზასა და შეუპოვარ ბრძოლას უფრთხოდა. პირიქით, იგი თავისთვის ხელსაყრელად თვლიდა, რომ თავრიზიდან ყარაბაღამდე გაუვალი თოვლი ჩამოყარა, რადგანაც ასეთ პირობებში შაჰი ვერ დაეხმარებოდა ხანებს და რუსის ჯარის მიერ ბაქოსა და ერევნის აღების შემდეგ იძულებული იქნებოდა ციციანოვის მიერ შეთავაზებულ პირობებზე — მტკვარ-არეზზე საზღვრის გავლებით რუსეთთან ზავზე დათანხმებულიყო. და აი, აკვიატებული იდეის განხორციელების სურვილით შეპყრობილი მთავარსარდალი თოვლსა და ყინვაში წამოუძღვა ჯარს ბაქოსაკენ. გზაზე ციებცხელების საზარელი პაროქსიზმების გამო მხლებლებს რამდენჯერმე მოუხდათ ციციანოვის ცხენიდან გადმოყვანა და თოვლში ჩაწვენა.

1806 წლის 30 იანვარს ციციანოვის ლაშქარი ზავალიშინის რაზმს შეუერთდა და ბაქოს შორი-ახლო დაბანაკდა. მთავარსარდალმა ჰუსეინ-ყული-ხანს ქალაქის ჩაბარება მოსთხოვა. რამდენიმე დღის ყოყმანის შემდეგ ჰუსეინ-ყული-ხანმა განაცხადა, რომ რუსხელმწიფის

---

61 АКАК, т. II, № 681.

62 АКАК, т. II, № 1511.

მოწყალებას ნებდებოდა. როგორც ჩანს, ციციანოვს ბაქოს ხანის განცხადების გულწრფელობაში ეჭვი არ შეპარვია და ჰუსეინ-ყული-ხანისგან წამოყენებული პირობისამებრ მისგან ქალაქის გასაღების ჩასაბარებლად მხოლოდ პოლკოვნიკ ელიზბარ ერისთავის თანხლებით გაემართა. ძნელი ასახსნელია, თუ რამ გამოიწვია ციციანოვის ასეთი ნდობა, რადგანაც იგი ხანების „აზიურ“ ვერაგობას კარგად იცნობდა. შეიძლება მისი ჯანმრთელობის მდგომარეობაც იყო იმის მიზეზი, რომ გადამწყვეტ მომენტში სიფხიზლემ უღალატა, ან და უფრო წარმოსადგენია, რომ მთავარმართებელს, უკიდურესობამდე მისული მედიდური ხასიათის გამო თავის ძლიერებაში ეჭვიც არ ეპარებოდა და ჰუსეინ-ყული-ხანის მხრიდან საფრთხე არაფრად ჩააგდო. აქ არ შეიძლება არ გავიხსენოთ თეიმურაზ ბატონიშვილისეული დახასიათება ციციანოვისა: „კაცი ესე იყო გონება-ენებულ და ცნობა-მიხდილ...“ და ... „ვერ ჰსცნა უგუნურმან მცბიერობაჲ ხანისა და მსწრაფლ წარვიდა“[63]. ასე იყო თუ ისე, ჰუსეინ-ყული-ხანმა კარგად ისარგებლა შექმნილი მდგომარეობით და გასაღების გადაცემის ცერემონიალის დროს მისმა მხლებლებმა ვერაგულად მოკლეს ციციანოვი და ელიზბარ ერისთავი, ციციანოვს თავი მოაჭრეს და შაჰს გაუგზავნეს.

ციციანოვის მუხანათური მკვლელობით თავგზააბნეულმა ზავალიშინმა ბაქოზე იერიშის მიტანის ნაცვლად, მთელი ჯარი გემებზე დასხა და სასწრაფოდ გაეცალა იქაურობას, ისე რომ, თბილისში ამბის წამღებიც კი არავინ დარჩა. მხოლოდ ერთი თვის შემდეგ გაირკვა, რომ ზავალიშინი თავისი ჯარით კუნძულ სარიზე იმყოფებოდა. მას გაუგზავნეს დახმარება, ყიზლარში ჩაიყვანეს და იქ დატოვეს.

3. გუდოვიჩის მმართველობა (1806—1809 წწ.)

ციციანოვის უეცარი მკვლელობის შემდეგ რუსეთის ხელისუფლებას ამიერკავკასიაში თავისი სამფლობელოების არამც თუ გავრცელება-გაფართოებაზე ზრუნვა აღარ შეეძლო, არამედ უკვე შემოერთებული მიწების შენარჩუნებაც კი საეჭვოდ გამხდარიყო. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ციციანოვმა სულ რაღაც სამნახევარი წლის განმავლობაში, ჯარის შეზღუდული რაოდენობით, საქართველოს სამეფო-სამთავროებისა და ამიერკავკასიის სახანოების რუსეთთან უშუალოდ შეერთებისა თუ მფარველობა-ქვეშევრდომობაში შეყვანის გზით რუსეთის საზღვრები თითქმის მტკვარ-არეზამდის გაიტანა და შავი ზღვი-

[63] თეიმურაზ ბაგრატიონი, ახალი ისტორია, გვ. 69, 72.

დან კასპიის ზღვამდე ვრცელი ტერიტორია იმპერიის მფლობელობაში მოაქცია. მაგრამ ამ სამფლობელოების საბოლოოდ შემომტკიცება ჯერ კიდევ შორს იყო და მათი მორჩილებაში ყოლისათვის ამიერკავკასიაში განლაგებული ჯარის რაოდენობა საკმარისი სულაც არ ჩანდა, რუსეთიდან დამხმარე ჯარის გამოგზავნა კი, რუსეთ-საფრანგეთის გართულებული ურთიერთობის გამო და აუსტერლიცთან რუსეთის მარცხის შემდეგ, რეალური არ იყო. ასეთ პირობებში, ვიდრე ხელმწიფის კარზე ციციანოვის შემცველს მონახავდნენ, ამიერკავკასიაში საყოველთაო მღელვარება სუფევდა. შარვანის, შაქისა და ყარაბაღის ხანები თავისი დამოუკიდებლობის აღდგენისათვის ზრუნავდნენ და მოკავშირედ ლეკებს იწვევდნენ; საზღვრებთან სპარსული ჯარი იყრიდა თავს; იმერეთის მეფე სოლომონ II რედუტ-კალედან მოსული რუსის ჯარის ქუთაისში შემოყვანით დიდ უკმაყოფილებას გამოსთქვამდა, ამ ჯარის სურსათით მომარაგებაზე უარს აბობდა და მის დაუყოვნებლივ გაყვანას მოითხოვდა. უკმაყოფილება სუფევდა ქართლ-კახეთშიც. 1804 წლის აჯანყების შემდეგ მთა საბოლოოდ დაწუნარებული არ იყო. აჯანყების მონაწილე თავადაზნაურობა ჯერ კიდევ სატუსაღოებში იყო. რუსული მმართველობით კმაყოფილი არც თავისუფლად მყოფი თავადაზნაურობა ჩანდა, რომელიც, 1806 წლის ივნისში, გენერალ პეტრე ბაგრატიონის მოწოდებაზე, ერთგულად ემსახურათ რუსხელმწიფისათვის, თავის უმთავრეს მოთხოვნებს შემდეგნაირად აყალიბებდა: „ჩვენი სურვილია, სისხლის უკანასკნელ წვეთამდე ვემსახუროთ რუსეთის იმპერატორს, მაგრამ უმორჩილესად ვითხოვთ: 1. სამართლის წარმოება საქართველოში აქაური წესით უნდა ხდებოდეს, რადგანაც ჩვენ არც რუსული ენა ვიცით და არც რუსული კანონებისა გაგვეგება რა. 2. თავადებს ნამსახურობისათვის სახაზინო სოფლების მოურავობა საუკუნოდ ჰქონდათ ნაბოძები. ამიტომ, მოურავობა სამუდამოდ უნდა იყოს შენარჩუნებული და კაპიტან-ისპრავნიკები საჭირონი არ არიან. 3. ქურდი რუსული სისხლის სამართალში კი არ უნდა იქნეს მიცემული, არამედ მას ვახტანგის კანონის მიხედვით უნდა მოეკითხოს“[64]. როგორც ვხედავთ, ქართველი თავადაზნაურობა ქართულ მმართველობას და ქართულ სამართალს მოითხოვდა, მაგრამ მათი ეს და სხვა მრავალი მსგავსი მოთხოვნა კავკასიის უზენაეს მმართველობას უბრუნდებოდა და უმრავლეს შემთხვევაში უყურადღებოდ რჩებოდა.

[64] АКАК, т. III, № 6.

ვიდრე საქართველო-ამიერკავკასიის მთავარმართებლად შესაფერის მოხელეს შეარჩევდნენ, კავკასიის ხაზის ჯარების უფროსმა გენერალ-ლეიტენანტმა გლაზენაპმა თავის განკარგულებაში მყოფი ჯარებიდან ერთი ქვეითი პოლკი 6 ქვემეხით თბილისში გამოგზავნა და აქ განლაგებული ჯარების უფროსობა გენერალ ნესვეტაევს ჩააბარა. 1806 წლის მაისში, როდესაც სპარსეთის ჯარები ყარაბაღის სახანოს საზღვრებს მოუახლოვდნენ, შუშაში განლაგებული რუსული გარნიზონით შევიწროებულმა იბრეიმ-ხანმა, რომელმაც თავის დროზე მედგარი წინააღმდეგობა გაუწია აღა-მაჰმად-ხანის შემოსევას, გადაწყვიტა სპარსელებს მიმხრობოდა. როგორც შუშის გარნიზონის უფროსი ლისანევიჩი ამტკიცებდა, იგი ცოლშვილის თანხლებით აბას-მირზასთან შესაერთებლად გაეშურა, მაგრამ ლისანევიჩის რაზმთან შეტაკებაში 80 წელს მიტანებული იბრეიმ-ხანი, მისი მეუღლე, ვაჟიშვილი და ქალიშვილი ამოხოცეს. გენერალმა ნებოლსინმა კი ყარაბაღის სახანოს საზღვრებში შემოჭრილი აბას-მირზა თავისი ჯარებით არაქსს იქით გადარეკა.

აბას-მირზას ჯარების ყარაბაღის საზღვრებთან მიახლოების პარალელურად, ერევნის მხრიდან შამშადილში შემოიჭრა ალექსანდრე ბატონიშვილი შვიდი ათასიანი სპარსული რაზმით. აქ იგი აბას-მირზას ჯარებს უნდა შეერთებოდა და გაერთიანებული ძალებით შეეტიათ საქართველოსათვის, მაგრამ აბას-მირზას დამარცხების შემდეგ ალექსანდრე ბატონიშვილი ერევანს გაბრუნდა. ყაზახის მოურავმა იოსებ ბებუთაშვილმა, როგორც ჩანს, რუსული ხელისუფლების დავალებით, ალექსანდრე ბატონიშვილის ხელში ჩაგდების მიზნით, ვითომდა საიდუმლო მიმოწერა გაუმართა ბატონიშვილს. იგი რუსი ხელისუფლების მხრიდან ათასნაირი წყალობის დაპირებებით ცდილობდა მის საქართველოში შემოტყუებას, მაგრამ ფრთხილი და გამოცდილი ბატონიშვილის მოტყუება არც თუ ეგრე ადვილი საქმე იყო. „მეფის ძე ალექსანდრე სიყვარულით მოგიკითხავ,—სწერდა იგი ბებუთოვს, — მერე შენი წიგნი მომივიდა და საკურლათ საჩქაროდ მაშურებ და ასე ჩქარა ჩემი მოსვლა როგორ იქნება თუ თვითონ ხემწიფის ხელწერილი არ მომივა, მე არც ღუდოვიჩის სიტყვით მოვალ და არც სხვის სიტყვით. არ იცი, რომ ეგენი არათა მჩანს და არც არათ ჩავაგდებ. თუ თითონ ხემწიფის ხელწერილი არ მომივა, არც შენ სიტყვას ვერწმუნები და არც მაგათს. მახლას ეს არის, რომ რუსეთში რაც იარანალები არიან, სუყველას წიგნი რომ მომივიდეს არც ერთს ფულად არ ჩავაგდებ, თუ ხემწიფის ხელწერილი არ მომივიდა არც

ვერწმუნები და თუ ჩემი მოსვლა უნდა ხემწიფიდან ერთი ხელწერილი მომიტანონ, რომ დავერწმუნო და კიდეც მოვალ და კიდეც ვემსახურები ხემწიფეს, და ასე არ იქნება და ნურც იმედი გაქვსთ რომ მოვიდე მე ამეებითა"[65].

1806 წლის 2 ივნისს ალექსანდრე I-მა საქართველოს მთავარმართებლად გენერალ-ანშეფი ივანე ვასილის ძე გუდოვიჩი დანიშნა, რომელიც ამ დროისათვის უკვე 65 წელს გადაცილებული იყო. გუდოვიჩმა თავისი ხანგრძლივი სამხედრო კარიერის განმავლობაში რამდენჯერმე იწვნია მეფეთა რისხვა და წყალობა, რასაც მისი ისედაც მიუკარებელი და პირქუში ხასიათისათვის კარგი დაღი არ დაუმჩნევია. თავიდან გუდოვიჩმა, თავისი ძმის, ანდრია ვასილის ძის წყალობით, რომელიც პეტრე III-ის ყველაზე საყვარელი გენერალ-ადიუტანტი იყო, თავბრუდამხვევი კარიერა გააკეთა, მაგრამ ეკატერინე II-ის გამეფების შემდეგ 3 კვირა დაპატიმრებულიც კი იყო, თუმცა იმპერატორმა მალე მოიბრუნა მასზე გული და ივანე ვასილის ძე წარმატებით განაგრძობდა სამსახურს. მან აქტიური მონაწილეობა მიიღო რუსეთ-თურქეთის ომებში. 1790 წელს გუდოვიჩს გენერალ-ანშეფის წოდება მისცეს და კავკასიის ხაზის უფროსობა ჩააბარეს. მისი საბრძოლო დამსახურებიდან ყველაზე მნიშვნელოვანი ანაპის აღება იყო, რომელიც მან 1791 წელს განსაკუთრებით სისხლისმღვრელი ბრძოლის შედეგად შეძლო და მთელი სიცოცხლის განმავლობაში ამაყობდა ამ წარმატებით. ანაპის აღების შემდეგ გუდოვიჩმა ენერგიულად მოჰკიდა ხელი კავკასიის ხაზის მოწყობას, ყუბანზე კაზაკთა პირველი დასახლებების გაჩენა მის სახელთანაა დაკავშირებული. 1796 წელს კი რუსეთ-ირანის ომის დაწყებისა და მთავარსარდლად ვალერიან ზუბოვის დანიშვნის შემდეგ გუდოვიჩი იძულებული იყო სამსახურიდან გადადგომა ეთხოვა და თავის მამულში წამოსულიყო, მაგრამ ჯერ ვორონეჟამდე მისული არც კი იყო, კურიერი რომ წამოეწია, რომელმაც პავლე I-ის გამეფება აუწყა და კავკასიაში დაბრუნების ბრძანება გადასცა. პავლე I-მა გამეფებისთანავე გაიხსენა თავისი მამის, პეტრე III-სადმი ერთგულად ნამსახური ძმები გუდოვიჩები და თავისი წყალობა უხვად გაავრცელა მათზე. გეორგიევსკში დაბრუნებული გენერლის განკარგულებაში გადაიცა როგორც კავკასიის ხაზზე განლაგებული, ასევე ზუბოვის მიერ რუსეთ-სპარსეთის ომში წაყვანილი ჯა-

---

65 ალექსანდრე ბატონიშვილისა და იოსებ ბებუთაშვილის მიწერ-მოწერა, — ჟოამბე, 1900, II, გვ. 63—64.

რებიც, რომელთა გამოყვანა სპარსეთიდან და საქართველოდან ასევე გუდოვიჩს დაევალა.

1797 წლის 5 აპრილს, პავლე I-ის კორონაციის დღეს, გუდოვიჩს გრაფის წოდება მიენიჭა, მალე იგი კამენეც-პოდოლსკის სამხედრო გუბერნატორად დანიშნეს და სამი გუბერნია — პოდოლსკის, ვოლინსკის და მინსკის გუბერნიები დაუქვემდებარეს, მაგრამ აქ მისი სამსახური დიდხანს არ გაგრძელებულა, 1800 წელს კინბურგში ჯარების დათვალიერების დროს გუდოვიჩმა თავისი მწყალობელი იმპერატორის რისხვა დაიმსახურა და სამხედრო სამსახურიდან გადაყენებულ იქნა[66]. ამის შემდეგ იგი 1806 წლამდე გამოუსვლელად ცხოვრობდა თავის მამულში, მაგრამ ციციანოვის გარდაცვალებისა და საქართველო-ამიერკავკასიაში დაძაბული სიტუაციის შექმნის შემდეგ ხელმწიფის კარზე გაიხსენეს 1790—1797 წლებში კავკასიის ხაზზე ნამსახური გენერალი, რომელსაც აქ სამსახურის დროს საქართველოსთან დაკავშირებულ საქმეებში გარკვეული მონაწილეობა ჰქონდა მიღებული. ალექსანდრე I-მა გუდოვიჩს მეფეების რისხვა კვლავ წყალობად შეუცვალა და საქართველო-ამიერკავკასიის მთავარმართებლის წოდებით დააბრუნა სამსახურში. საქართველოში ბაგრატიონთა სახლის წევრებს გუდოვიჩის სახელთან მწარე მოგონებები ჰქონდათ დაკავშირებული. „... ეგ ის ღუდოვიჩია, რომ მეფეს ერეკლეს ამთენი ტყუილი წიგნი სწერა და იმედი აძლია, რომ ბოლოს იმის მიზეზით მაჰმად-ხანს ვეღარც სწორეთ შეება და ვეღარც შეურიგდა და მოვიდა მაჰმად-ხან და წაახდინა ქალაქი...,"[67] — წერდა ალექსანდრე ბატონიშვილი.

1806 წლის 27 ივლისს, წლების განმავლობაში უმოქმედობით გაღიზიანებული გუდოვიჩი გეორგიევსკში ჩამოვიდა. მან ყველაფერი დაიწუნა, რაც გლაზენაპის მიერ იყო აქ გაკეთებული, მის მაგივრად კავკასიის ხაზზე განლაგებული ჯარების უფროსად თავისი ერთგული გენერალი ბულგაკოვი დანიშნა და მისი ხელმძღვანელობით გააგზავნა ექსპედიცია ბაქოს ასაღებად. 1806 წლის 3 ოქტომბერს ყოველი მხრიდან რუსის ჯარით გარშემორტყმული ბაქო უბრძოლველად დანებდა რუსებს, ჰუსეინ-ყული-ხანმა კი გაქცევით უშველა თავს. იმავე დღეს მოსახლეობა დაიფიცეს იმპერატორის ერთგულებაზე, ბაქომ სამუდა-

---

[66] გუდოვიჩის ბიოგრაფიის შესახებ მასალები იხ. П о т т о. Описание картин и биографические очерки к портретам Военно-исторического музея; Кавказцы, изд. Исвоселова, 1858, вып. 17—22.

[67] ალექსანდრე ბატონიშვილისა და იოსებ ბებუთაშვილის მიწერ-მოწერა, გვ. 62—63.

მოდ დაკარგა დამოუკიდებლობა და უშუალოდ შეუერთდა რუსეთს. ამის შემდეგ ბულგაკოვი გაეშურა ყუბის დასამორჩილებლად, რომელიც ასევე უბრძოლველად დანებდა. მერე რუსის ჯარებმა უკვე მერამდენედ დააფიცეს იმპერატორის ერთგულებაზე ყაზიყუმუხელი სურხაიხანი და ამით ბულგაკოვის ლაშქრობა დამთავრებული იყო. ამასობაში სელიმ-ხანმა, ისარგებლა რა ციციანოვის უეცარი მკვლელობით, ნუხის გარნიზონში ჩაყენებული ჯარი გარეკა და დამოუკიდებლობა აღიდგინა. ამის საპასუხოდ, გუდოვიჩმა გაგზავნა ჯარი შაქის სახანოში და 22 ოქტომბერს ნუხას ალყა შემოარტყეს. ნუხელებმა თავგანწირული ბრძოლა გაუმართეს რუსებს, მაგრამ 23 ოქტომბერს ალმოდებული ნუხა იერიშით აიღო რუსის ჯარმა, სელიმ-ხანმა კი გაქცევით უშველა თავს.

ნუხაში რუსული ძალაუფლების აღდგენის შემდეგ ალაზნის ნაპირებზე რამდენიმე პოლკი რუსის ჯარი და 2000-დე ქართული ცხენოსანი მილიცია შეგროვდა ჭარ-ბელაქანს სალაშქროდ, სადაც ლეკთა ცხენოსანი ლაშქარი ავარიელი ახმედ-ხანისა და ყაზი-ყუმუხელი სურხაი-ხანის სარდლობით მოსულიყვნენ და ქართლ-კახეთის დასარბევად ემზადებოდნენ, მაგრამ რუს-ქართველთა შეერთებული ჯარის სარდალმა დიმიტრი ორბელიანმა ლეკთა 10 000-იანი ლაშქარი ისე მოხერხებულად ჩაკეტა ჭარში, რომ მოლაპარაკებაზე დაიყოლია. ახმედ-ხანს რუსის მთავრობამ ციციანოვის მიერ შეწყვეტილი ჯამაგირი აღუდგინა, რის შედეგადაც ახმედ-ხანი თავისი ხალხით უკან გაბრუნდა. მარტო დარჩენილი ჭარელები იძულებული შეიქნენ ხარკი გადაეხადათ და პირობა დაედოთ, რომ საქართველოზე აღარც თვითონ ითარეშებდნენ და არც სხვა თემის ლეკებს გამოატარებდნენ ჭარზე. გუდოვიჩმა ხელახლა დამორჩილებული სახანოები კი არ გააუქმა და უშუალოდ კი არ შემოუერთა რუსეთს, არამედ ყველა ამ სახანოში რუსული ორიენტაციის ხანები დანიშნა. მაგალითად, დარუბანდისა და ყუბის სახანო ტარკის საშამხლოს შეუერთა და მმართველად რუსეთის ერთგული შამხალი დატოვა, ნუხაში სელიმის ნაცვლად სპარსეთიდან გამოქცეული ვინმე ჯაფარ-ყული-ხანი დასვა, ყარაბაღში კი იბრაიმ-ხანის კანონიერი მემკვიდრის ნაცვლად მეხტი-ყულიხანი დანიშნა. დაღესტნის გაერთგულებასაც ჩინმენდლების საშუალებით შეეცადა გუდოვიჩი და ტაბასარანის ყადის და ყარაყაიტაღის უცმიას გენერალ-მაიორობა და გენერალ-ბრიგადირობა უბოძა. ასეთი პოლიტიკის შედეგი იყო, რომ ჭარ-ბელაქნის გვერდით მდებარე ელისუს სულთანმა თვითონ ჩამოიყვანა მძევლად თავისი შვილი თბილისში და მისი კეთილ-

შობილთა სასწავლებელში მიბარება ითხოვა. ასე რომ, გუდოვიჩმა თავისი მმართველობის პირველ წელიწადს არამც თუ ციციანოვისგან მოპოვებული სამფლობელოების შენარჩუნება შეძლო, არამედ ბაქოს სახანო სამუდამოდ შემოუერთა რუსეთს და ერევანზე სალაშქროდ ემზადებოდა, მაგრამ ამ დროისათვის საერთაშორისო სიტუაცია მკვეთრად შეიცვალა. ნაპოლეონის ეშისრებით წაქეზებულმა თურქეთმა 1806 წლის 18 დეკემბერს ომი გამოუცხადა რუსეთს. ასეთ პირობებში გუდოვიჩს ევალებოდა დაზავებოდა სპარსეთს, რათა თურქეთთან ომში ხელები გახსნილი ჰქონოდა. ამჯერად სპარსეთთან დაზავება მართალია ვერ მოხერხდა, მაგრამ ირანის შაჰმა დროებით შეაჩერა საომარი მოქმედება და მოვლენების შემდგომი განვითარების მოლოდინში ნელ-ნელა თავის ჯარებს არაზისა და ერევნის მახლობლად უყრიდა თავს.

რუსეთის ხელისუფლება გუდოვიჩისაგან თურქეთის საზღვრებში შეჭრას და რაც შეიძლება მეტი რაოდენობით თურქული ძალების დაბანდებას მოითხოვდა, რაც ბალკანეთში საომარი მოქმედებების წარმატებას შეუწყობდა ხელს. ამიერკავკასიაში ამ დროისათვის რუსეთის ჯარებიდან მხოლოდ ერთი, მე-20 დივიზია იმყოფებოდა, მაგრამ ძალების სიმცირის მიუხედავად, გუდოვიჩმა მაინც რამდენიმე მიმართულებით გადაწყვიტა ომის დაწყება. მან ერთი რაზმი სპარსეთის საზღვართან დააყენა, რათა სპარსელების არაზთან მოახლოების შემთხვევაში თვითონ დაესწროთ და შეტევაზე გადასულიყვნენ. მეორე რაზმი, გენერალ ნესვეტაევის მეთაურობით ბამბაკში იყო განლაგებული და ყარსის წინააღმდეგ აპირებდა მოქმედებას. ცენტრალური რაზმი თვით გუდოვიჩის ხელმძღვანელობით ახალქალაქისა და ახალციხის ასაღებად ემზადებოდა. იმერეთსა და სამეგრელოში მყოფი ბელევსკის პოლკი კი, რომელსაც გენერალი რიკჰოფი სარდლობდა, თუ საშუალება მიეცემოდა, ფოთის აღებას უნდა ცდილიყო. პირველი შეტევა 1807 წლის გაზაფხულზე სამივე მიმართულებით რუსების შარცხით დამთავრდა. განსაკუთრებით სისხლისმღვრელი იყო ახალქალაქის იერიში, სადაც გუდოვიჩს ათასამდე ოფიცერი და ჯარისკაცი დაეღუპა[68]. გუდოვიჩმა წალკისაკენ დაიხია და რიკჰოფსა და ნესვეტაევსაც უბრძანა შეტევა შეეწყვიტათ და მხოლოდ თავდაცვაზე ეზრუნათ. რუსების უკანდახევით გათამამებული თურქები თვითონ გადმოვიდნენ შეტევაზე და ერზერუმის სერასკირი იუსუფ-ფაშა 20 000-

[68] АКАК, т. III, № 947.

იანი კორპუსით ყარსის მიმართულებით დაიძრა. ნესვეტაევი იძულებული იყო გუმრისკენ დაეხია, სადაც 19 მაისს მასსა და თურქების 7 000-იან ავანგარდს შორის ხელჩართული ბრძოლა გაჩაღდა, რომელიც მცირე ძალების მიუხედავად, ნესვეტაევმა მოიგო. გუდოვიჩმა სასწრაფოდ დაძრა წალკაში განლაგებული ჯარები და ნესვეტაევის საშველად გუმრისაკენ გამოეშურა, მის მოსვლამდე კი ნესვეტაევი გმირულად უმკლავდებოდა იუსუფ-ფაშას, რომლის იერიში იერიშს მოსდევდა. გადამწყვეტი ბრძოლა რუსების მთავარ ძალებსა და თურქებს შორის მდ. არფაჩაისთან მოხდა, სადაც ანატოლიის 25 ათასიანი კორპუსი იყო დაბანაკებული. მწვავე ხელჩართული ბრძოლის შემდეგ, რომელიც მთელი დღე გრძელდებოდა, გუდოვიჩმა, განსაკუთრებით გენერალ ნესვეტაევის რაზმის წარმატებული მოქმედების შედეგად, თურქების სრული დამარცხება და მათი არფაჩაის იქით გადარეკვა შეძლო.

არფაჩაის ბრძოლის მოგებისათვის, რომელმაც გადაწყვიტა 1807 წლის მთელი კამპანიის ბედი, გუდოვიჩს ფელდმარშლობა უბოძეს. რუსეთ-საფრანგეთის (ტილზიტის) ზავის შემდეგ კი, როდესაც 1807 წლის აგვისტოს ბოლოს რუსეთ-ოსმალეთს შორისაც დროებითი ზავი დაიდო, გუდოვიჩი სპარსეთის საქმეებს მიუბრუნდა. მართალია, საქართველოში განლაგებული რუსული ჯარი გაუთავებელი ლაშქრობა-ბრძოლების შემდეგ სერიოზულ დასვენებას და შევსებას საჭიროებდა, მაგრამ სპარსეთის შაჰი გუდოვიჩის მიერ შეთავაზებულ პირობებზე — სასაზღვრო ხაზის მტკვარ-არეზზე გავლებაზე — არაფრით არ თანხმდებოდა, რადგანაც ამ შემთხვევაში ერევნისა და ნახჭევანის სახანოები დაპყრობის გარეშე რუსეთის ფარგლებში ექცეოდა. სპარსეთის შაჰი რუსეთის მიერ დაპყრობილი ტერიტორიების დაკარგვასაც კი ვერ შეგუებოდა და, რა თქმა უნდა, რომ ნებაყოფლობით ერევნისა და ნახჭევანის სახანოებს არ დათმობდა. გუდოვიჩმა, რომელმაც არფაჩაის ბრძოლაში გამარჯვების შემდეგ იმპერატორის ნდობა და მოქმედების სრული თავისუფლება მოიპოვა, გადაწყვიტა დაესწრო სპარსეთისათვის და ძალით ჩაეგდო ხელში ის, რასაც ირანი ნებაყოფლობით არ თმობდა. 1808 წლის სექტემბერში მან ბამბაკის ხეობით ერევნის სახანოს დასალაშქრავად წაიყვანა ჯარები. ამავე დროს კი მეორე რაზმი გენერალ ნებოლსინის მეთაურობით ნახჭევანის ასაღებად გაგზავნა იმ მოსაზრებით, რომ ნახჭევანის აღების შემდეგ შაჰს ერევნის დასახმარებლად გზა მოჭრილი ექნებოდა და გუდოვიჩს მისი აღება გაუადვილდებოდა. ერევანს მიახლოებულმა გუდოვიჩმა სა-

ხანოს მოსახლეობას შემდეგი შინაარსის პროკლამაცია გაუგზავნა: ახლანდელი ლაშქრობა ამასწინანდელი წარუმატებელი ერევნის ალყა არ გეგონოთ, მაშინ სულ სხვა ვითარება იყო, ახლა კი სულ სხვაო. მაშინ ჯარებს მოუძღოდა გენერალი ციციანოვი, ახალგაზრდა და სამხედრო ხელოვნებაში გამოუცდელი კაცი, ახლა კი სარდალი მე ვარ. 30 წელიწადია რუსეთის ძლევამოსილი ჯარი ჩემი ხელმძღვანელობით წარმატებას წარმატებაზე აღწევს. გაიხსენეთ თუნდაც ანაპა, სუჯუკ-კალე, ჰაჯი-ბეი და ა. შ. ამიტომ გირჩევთ, ნებაყოფლობით დამნებდითო[69]. მთავარსარდლის ტრაბახმა, როგორც ჩანს, ვერ მოახდინა სათანადო შთაბეჭდილება და ერევნის ხანი სერიოზული წინააღმდეგობის გაწევისათვის ემზადებოდა. გუდოვიჩმა ერევანს ალყა შემოარტყა, ალყაშემორტყმულ გარნიზონს წყალიც დაუწყვიტა, მაგრამ სასურველ შედეგს — ერევნის დანებებას ვერა და ვერ მიაღწია. ქალაქის კომენდანტი და მისი დამცველები უმალ სიკვდილს არჩევდნენ, ვიდრე ნებაყოფლობით დანებებას. ამასობაში დრო გადიოდა და მოალყე ჯარის მდგომარეობა თანდათან უარესდებოდა. ადრე წამოსულმა თოვლმა საქართველოსთან დამაკავშირებელი ყველა გზა შეკრა და გუდოვიჩს ერევნის იერიშით აღების მეტი სხვა გზა აღარ დარჩენოდა. 17 ნოემბრის გათენებისას მთავარსარდალმა ერევნის ციხეზე ოთხი მხრიდან შიიტანა იერიში, მაგრამ დიდი მსხვერპლის მიუხედავად, ვერც ერთი მხრიდან წარმატებას ვერ მიაღწია. გუდოვიჩი ციხე-სიმაგრის დამცველებს ემუქრებოდა, რომ ხელახლა წამოიწყებდა იერიშს და უმალ ციხის კედლებთან მოკვდებოდა, ვიდრე ხელმოცარული გაბრუნდებოდა, მაგრამ ხანგრძლივი ალყისა და სისხლისმღვრელი იერიშის შემდეგ მისი ჯარი ისეთ დღეში იყო, რომ ერევნის აღების ძალა აღარ შესწევდა. ამავე დროს მთავარსარდალს უკან დაბრუნებაზეც უნდა ეზრუნა, რადგანაც სუსხიან ზამთარში ვიწრო ხეობები ისე შეიკვრებოდა, რომ თუ დროზე არ წამოვიდოდა, შეიძლება გზაში ჩარჩენილიყო. ამიტომ ნოემბრის ბოლოს გუდოვიჩმა ალყა მოხსნა და თბილისისკენ წამოვიდა. ასევე ნებოლსინის რაზმსაც ებრძანა უკვე დაპყრობილი ნახჭევანის დატოვება და უკან დაბრუნება. ზამთრის სუსხსა და ყინვაში, თოვლით დაფარულ ხეობებში დიდის ვაივაგლახით მიიკვლევდა გზას რუსის ჯარი, რომელსაც სპარსელები ფეხდაფეხ მოსდევდნენ და მნიშვნელოვან ზიანს აყენებდნენ. ერევნის მარცხით გაწბილებული, ყინვასა და თოვლში მგზავრობით სერიოზულად დაავა-

[69] АКАК, т. III, № 443.

დებული, 70 წელს მიღწეული გუდოვიჩი, რაღა თქმა უნდა, ქვეყნის მმართველად ვეღარ იქარგებდა და 1809 წლის დასაწყისში მთავარმართებლის პოსტზე იგი გენერალმა ტორმასოვმა შესცვალა.

4. ტორმასოვის მმართველობა (1809—1811 წწ.)

კავალერიის გენერალმა ალექსანდრე პეტრეს ძე ტორმასოვმა საქართველოში მთავარსარდლად და მთავარმართებლად დანიშვნამდე სამხედრო სამსახურში 15 წელზე მეტი დაჰყო. ამ ხნის განმავლობაში მან მონაწილეობა მიიღო რუსეთ-თურქეთის ომში, კუტუზოვის წარჩინებული რეკომენდაციაც დაიმსახურა, მაგრამ მისი მთავარი ღვაწლი მაინც პოლონეთში კოსტიუშკოს აჯანყების ჩაქრობასა და პრაღის აღებისათვის ბრძოლაში გამოიხატებოდა. ერთ ხანს იგი რიგის სამხედრო გუბერნატორიც იყო, ასე რომ საქართველოში მოსვლამდე მას ეროვნული აჯანყებების ჩაქრობის და ეროვნულ უმცირესობათა მართვის რუსული სამხედრო სკოლა ჰქონდა გავლილი და ალბათ ამ გამოცდილებასაც ითვალისწინებდა ალექსანდრე I, როდესაც დაძაბულ საგარეო და საშინაო პოლიტიკურ ვითარებაში ტორმასოვს საქართველო-ამიერკავკასიის მთავარსარდლობა და მთავარმართველობა ჩააბარა. ადგილობრივ ვითარებაში გასარკვევად ტორმასოვი 1808 წლის ივნისიდან გუდოვიჩის განკარგულებაში იყო და მის მოადგილედ ითვლებოდა, 1809 წლის 5 მარტიდან კი უკვე ოფიციალურად იყო დანიშნული მთავარმართებლის პოსტზე.

ტორმასოვი, გარდა იმისა, რომ როგორც თეიმურაზ ბატონიშვილი ახასიათებდა, „კაცი ესე იყო მძვინვარე, ამპარტავან და უწყალო“[70], ვერცხლის მოყვარულიც უნდა ყოფილიყო. ალბათ, სწორედ ვერცხლის სიყვარული ამოძრავებდა მას, როდესაც 1808 წლის ბრძანებულების შესრულების ნაცვლად, საქართველოში შინაფეოდალური ბაჟების მოსპობას რომ ითვალისწინებდა, სოფლებიდან ქალაქში შემოტანილ სურსათ-სანოვაგეზეც დატოვა გადასახადი, რომლის აკრეფა იჯარით ჰქონდა გაცემული და მძიმე ტვირთად აწვა როგორც ქალაქის, ისე სოფლის მოსახლეობას[71]. ამავე დროს, როგორც საქართველოს ადმინისტრაციის რევიზიისათვის ჩამოსული სენატორების — მეჩნიკოვისა და კუტაისოვის მოხსენებიდან ჩანს, ტორმასოვი იმ მო-

---

70 თეიმურაზ ბატონიშვილი, ახალი ისტორია, გვ. 74—75.

71 АКАК, т. VIII, с. 7—8.

ხელეთა რიცხვს ეკუთვნოდა, რომელნიც ხშირად არღვევდნენ სამართლისა და მართლმსაჯულების ექსპედიციის გადაწყვეტილებებს და მსაჯულებს აიძულებდნენ მათთვის სასურველი განაჩენი გამოეტანათ. ყოველივე ამის შედეგად ტორმასოვის მთავარმართებლობის ხანაში ადგილობრივი მოხელეების მექრთამეობამ, შეიძლება თამამად ითქვას, კულმინაციას მიაღწია[72].

როგორც აღვნიშნეთ, ტორმასოვის მთავარმართებლად დანიშვნის დროისათვის საქართველო-ამიერკავკასიაში პოლიტიკური სიტუაცია დაძაბული იყო. ერევანთან გუდოვიჩის მარცხის შემდეგ რუსეთის სამხედრო ავტორიტეტი შერყეული იყო და მხოლოდ პოლიტიკური მოლაპარაკებით საზღვრის მტკვარ-არეზზე გავლება ყოვლად მიუწვდომელი ჩანდა; საქართველოსა და ამიერკავკასიის საზღვრებზე სპარსეთის ჯარები იყრიდნენ თავს და მოსალოდნელი იყო საქართველოში მათი შემოჭრა. გაურკვეველი მდგომარეობა იყო თურქეთის მხრიდანაც. აქაც შესაძლებელი იყო დროებითი ზავის შეწყვეტა და საომარი მოქმედებების განახლება. თვით ქვეყნის შიგნით მდგომარეობა კი, მოხელეთა თვითნებობისა და განუკითხაობის შედეგად, დროებით უმოქმედო ვულკანს წააგავდა, რომლის ამოფრქვევა ყოველ წუთს იყო მოსალოდნელი, ასე რომ, არამც თუ ათასობით კილომეტრზე გადაჭიმულ ვრცელ საზღვარზე, არამედ ქვეყნის შიგნითაც სტრატეგიულ პუნქტებში საჭირო იყო ჯარის ჩაყენება, მაგრამ ტორმასოვის განკარგულებაში მყოფი ჯარის რაოდენობა ამის საშუალებას არ იძლეოდა. ამის გამო ტორმასოვმა მთავარ ძალებს დმანისის მიდამოებში გატეხილ ხიდთან მოუყარა თავი, რადგანაც აქედან შესაძლებელი იქნებოდა სპარსეთიდან თუ ოსმალეთიდან შემოჭრილი მტრისათვის გაეცა პასუხი. მართლაც, 1809 წლის ზაფხულის განმავლობაში ტორმასოვი სპარსეთიდან შემოჭრილი რაზმების მოგერიებასა და ახალციხის ფაშისა და ალექსანდრე ბატონიშვილის ერთობლივი თავდასხმის აცილებას მოუნდა.

1809 წლის ზაფხულზევე ჰქონდა გადაწყვეტილი ტორმასოვს დასავლეთ საქართველოში საფუძვლიანად დამკვიდრება, რისთვისაც მცირე ნავსადგურის, რედუტ-კალეს ფლობა სრულებითაც არ იყო საკმარისი და შავი ზღვისპირა ნავსადგურებს შორის ყველაზე მნიშვნელოვანის — ფოთის ხელში ჩაგდება აუცილებლად მიაჩნდა.

დასავლეთ საქართველოში განლაგებული ჯარების უფროსი, გენერალი დიმიტრი ორბელიანი ფოთის მნიშვნელობის შესახებ სწერდა

[72] АКАК, т. VIII, с. 7—8.

ტორმასოვს, რომ ეს ნავსადგური „ჩვენთვის ყველაზე საჭიროა, როგორც გემებიდან პროვიანტის გადმოსატვირთად და უსაფრთხო გზით — მდ. რიონით იმერეთში მისატანად, ასევე თურქების ავაზაკური ურთიერთობის შესაწყვეტად იმერეთ-სამეგრელოსთან. ფოთის ხელში ჩაგდების შედეგად შესაძლებელი გახდება რუსეთისადმი მტრულად განწყობილი პირების გაიძვერობის საბოლოოდ აღკვეთა“[73]. ფოთის მნიშვნელობა ტორმასოვსაც კარგად ესმოდა, მაგრამ რადგანაც მას ამისთვის არ ჰყავდა საჭირო რაოდენობით სამხედრო ძალები, ორბელიანს დაავალა მშვიდობიანი გზით მოქმედება: მას ფოთის მფლობელი ქუჩუკ-ბეი მოქრთამვა-მოსყიდვით უნდა დაეთანხმებია რუსეთის ქვეშევრდომობაზე. მიღებული ზომების მიუხედავად ქუჩუკ-ბეის დათანხმება ვერ მოხერხდა და ორბელიანმა 1809 წლის 14 აგვისტოს ხმელეთის მხრიდან ალყა შემოარტყა ნავსადგურს, მაგრამ ფოთი გაცილებით უფრო უკეთ აღმოჩნდა გამაგრებული, ვიდრე ამას ორბელიანი მოელოდა და ალყა თითქმის 3 თვე გაგრძელდა. მხოლოდ მამია გურიელის და დადიანის თანადგომის შემდეგ შეძლო ორბელიანმა ქუჩუკ-ბეის დასახმარებლად მოსული შერიფ-ფაშის დამარცხება და ფოთის აღება 1809 წლის 15 ნოემბერს[74].

ფოთის ნავსადგურისათვის ბრძოლის პარალელურად ტორმასოვი ზომებს იღებდა თავისი მთავარი ამოცანის შესასრულებლად, რომელიც მას ალექსანდრე I-მა დაუსახა, — იმერეთის სამეფოს ლიკვიდაცია.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ჯერ კიდევ 1804 წელს ციციანოვმა აიძულა სოლომონ II ხელი მოეწერა რუსეთის სამფარველო ტრაქტატზე, რომელიც ციციანოვის მიერ ისე ოსტატურად იყო შედგენილი, რომ სოლომონ II-ის მეფობას რეალური საფუძველი გამოცლილი ჰქონდა და იმერეთის მეფე ამიერიდან რუსეთის მთავრობის მოხელეს უფრო გავდა, ვიდრე პატარა, მაგრამ სუვერენული სახელმწიფოს გამგებელს. სოლომონ II შეეცადა ოდნავ მაინც შეეცვალა „სათხოვარი პუნქტები“ თავის სასარგებლოდ. ამ ცდის შედგად იყო, სოლომონ II-მ ციციანოვს საიდუმლო წერილობითი პირობა რომ ჩამოართვა, რომლის მიხედვითაც ვიდრე იმპერატორი თვითონ არ გადაწყვეტდა ლეჩხუმის კუთვნილების საკითხს, მანამდე ოდიშ-ლეჩხუმის ციხეები იმერეთის მეფის გამგებლობაში რჩებოდა. საქმე იმაში იყო, რომ ლეჩხუმი დიდი ხანია იმერეთის მეფისა და სამეგრელოს

[73] Потто, Утверждение русского владычества..., т. II, с. 22.
[74] АКАК, т. IV, № 1158, 1161.

მთავრის საცილებელ მხარედ ქცეულიყო. სოლომონ II, რომელიც დასავლეთ საქართველოს სამეფო-სამთავროების გაერთიანების სახელით გამოდიოდა, ლეჩხუმის კუთვნილებას დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა. რუსეთის ხელისუფლება კი იმერეთის მეფის ძალაუფლების დამცირებისა და დადიანის მიმხრობის მიზნით, ლეჩხუმის საკითხში სამეგრელოს მთავარს უჭერდა მხარს და ციციანოვის მიერ შედგენილ „სათხოვარ პუნქტებში" ერთ-ერთი მუხლი სწორედ ოდიშ-ლეჩხუმის ციხეების დაცლას მოითხოვდა სოლომონისაგან. მართალია, სოლომონი სულაც არ იყო დაიმედებული, რომ ციციანოვისაგან მიღებული წერილობითი პირობის შედეგად ლეჩხუმი საბოლოოდ მას დარჩებოდა, მაგრამ ამ პირობის ჩამორთმევა მაინც სოლომონ II-სა და მისი ბრძენი კანცლერის სოლომონ ლიონიძის ნაწილობრივი წარმატების მაჩვენებელი იყო. ელაზნაურის ტრაქტატის დადების დროს იმერეთის მეფის სასარგებლოდ გადაწყდა გურიის საკითხიც, რომელიც ციციანოვმა იმერეთის სამეფოს პროვინციად სცნო. ამ გამარჯვებათა მიუხედავად, ელაზნაურის ტრაქტატით რუსეთის „მფარველობა" მაინც ნაძალადევად იყო სოლომონისათვის თავს მოხვეული და იმერეთის მეფე სულაც არ აპირებდა რუსხელმწიფესთან მძევლებისა და დეპუტაციის გაგზავნას. იგი გულმოდგინედ ადევნებდა თვალყურს ამიერკავკასიის გარშემო შექმნილ პოლიტიკურ სიტუაციას და იმერეთის სამეფოს შენარჩუნება-განმტკიცებისათვის ხელსაყრელი მომენტების გამოყენებას ცდილობდა, თუმცა მას შემდეგ, რაც რუსეთმა შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე რედუტ-კალეს ნავსადგურიდან ჯარის გადმოსხმა მოახერხა, სოლომონი ხვდებოდა, რომ მისი სამეფოს დღეები დათვლილი იყო. დასავლეთ საქართველოში გადმოსხმული ჯარების უფროსმა გენერალმა რიკჰოფმა ქუთაისში შეიყვანა ჯარი; 1808 წელს კი გუდოვიჩმა, მას შემდეგ რაც იმპერატორის ბრძანება მიიღო იმერეთში სამეფო ხელისუფლების გაუქმებისა და იქ „დროებითი მმართველობის" დამყარების შესახებ[75], ქუთაისის გარნიზონი ერთი ბატალიონით გააძლიერა. სასახლეში დამკვიდრებული ჯარები სოლომონ II-ს უდიერად ექცეოდნენ. გარდა ამისა, იმერეთის მეფეს უტყუარი ცნობები ჰქონდა მიღებული ხელმწიფის განკარგულების შესახებ, ხელსაყრელი მომენტის შექმნისთანავე მის მოცილებას რომ აპირებდნენ, და თავის სასახლესა და სამეფო ქალაქს ახლოს აღარ

---

75 Чудинов В., Имеретинская неурядица в 1809 и 1810 годах. — Кавказский сборник, т. XV, с. 277.

ეკარებოდა[76]. ფრთხილი და შორსმჭვრეტელი მეფე მრავალრიცხოვანი ამალითა და შეიარაღებული რაზმით ახალციხის საზღვართან სხვადასხვა სოფლებში მონაცვლეობით აფარებდა თავს. ამავე დროს იგი სამეფოს შემოსამტკიცებლად ყველა ღონეს ხმარობდა: რუსეთთან მტრულად განწყობილ სახელმწიფოებს უკავშირდებოდა, ალექსანდრე ბატონიშვილთან შიკრიკებს გზავნიდა, ლეჩხუმის დაბრუნებასა და ქუთაისიდან ჯარის გაყვანას გადაჭრით მოითხოვდა.

ტორმასოვმა დიმიტრი ორბელიანს დაავალა იმერეთის მეფის უკმაყოფილო თავადაზნაურობისაგან რუსული ხელისუფლების მომხრე პარტიის შექმნა და მათი მეშვეობით, სამხედრო ძალის ჩარევის გარეშე, სოლომონ II-ის დატყვევება, თუმცა იმერეთის მეფე ლიონიძის დახმარებით ისე ოსტატურად ახერხებდა რუსული ხელისუფლების ზრახვების ამოცნობას, რომ ორბელიანის მიერ ამ საქმის წარმატებით შესრულებისა თვით მთავარმართებელსაც არ სჯეროდა: „საეჭვო პირი უჩანს, რომ დიმიტრი ორბელიანმა მოახერხოს სოლომონის ნდობის მოპოვება, ან მისი სიფხიზლის მოდუნება, კიდევ უფრო ძნელი დასაჯერებელია, რომ პირდაპირი გზით მან სოლომონის ხელში ჩაგდება შეძლოს“[77], წერდა იგი. მართლაც, ორბელიანმა არამც თუ იმერეთის მეფის ხელში ჩაგდება ვერ შეძლო, არამედ უხვად გაღებული რუსული ოქროს მიუხედავად, სახლთუხუცეს ზურაბ წერეთლისა და ორიოდე თავადის გარდა მომხრეც ვერავინ გაიჩინა. რუსული ჩინმედლებით უხვად დასაჩუქრებულ ზურაბ წერეთელსაც საკმაოდ ორჭოფული პოზიცია ეკავა და ბოლომდის სანდო არც ის ჩანდა. სწორედ მისი რჩევით იყო ტორმასოვმა, სოლომონ II-ის გვერდის ავლით, უშუალოდ უმაღლეს სასულიერო წოდებასა და თავადაზნაურობას რომ გაუგზავნა მიმართვა, დაერწმუნებიათ მეფე, უსიტყვოდ დამორჩილებოდა რუსული ხელისუფლების მოთხოვნებს. რა თქმა უნდა, რუსული სამხედრო სკოლის გენერალს წარმოდგენაც კი არ ჰქონდა იმის შესახებ, რომ სამეფოს გაერთიანება-დამოუკიდებლობისათვის მებრძოლ მეფეს ისეთი საყოველთაო თაყვანისცემა ექნებოდა დამსახურებული, რომ მისი მიმართვა საწინააღმდეგო შედეგს გამოიღებდა და მეფის გარშემო შეკრებილი თავდადებული მეომრები კიდევ უფრო შემჭიდროვდებოდნენ, ხოლო მათი რიცხვი ერთიორად გაიზრდებოდა. ან კი როგორ შეიძლებოდა ისეთი მთავარმართებლის ნდობა, რომელიც 1809 წლის 2 მაისის მიმართვაში საჯაროდ აცხადებდა,

---

76 Чудинов В., Имеретинская неурядица..., с. 274.

77 АКАК, т. II, 194.

რომ თუ მეფე ყველა მის მოთხოვნას შეასრულებდა და სასახლეში დაბრუნდებოდა, ტორმასოვი ქუთაისიდან ჯარებს გაიყვანდა, იმავე წლის 6 მაისს კი ორბელიანს ავალებდა, ქუთაისში მიტყუებული მეფე შეეპყრო[78].

ფოთის ციხის აღების შემდეგ ტორმასოვმა იმერეთში განლაგებული ჯარების უფროსად ორბელიანის ნაცვლად პოლკოვნიკი სიმონოვიჩი დანიშნა და დაქირავებული აბრაგული რაზმი ყაზიყუმუხელი ხანის ძმისწულის, ასლან-ბეის მეთაურობით ჩააბარა, რათა მას ეს აბრაგები საჭიროების შემთხვევაში მათი „ცხოვრების ნირისა და ხელობის შესაფერისად“ გამოეყენებინა, ანუ იმერეთის სამეფოს საძარცვავად შეესია[79]. ვფიქრობთ, ეს შტრიხი ტორმასოვის მორალური სახის წარმოდგენისათვის კომენტარს არ საჭიროებს.

სიმონოვიჩი, ტორმასოვისაგან განსხვავებით, ადვილად გაერკვა ადგილობრივ ვითარებაში, დაინახა, რომ იმერელი ხალხი მტკიცედ უჭერდა მხარს თავის მეფეს და ასე ადვილად არ აპირებდა სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის დათმობას. მან მთავარმართებელს მოახსენა თავისი აზრი, რომ „ადგილობრივი ვითარების გათვალისწინებით, გაცილებით უფრო სასარგებლო იქნება, თუ სამეფოს უფროსის არსებობას შევურიგდებით, მმართველად ისევ მას დავტოვებთ, ოღონდ მაქსიმალურად შევზღუდავთ მის უფლებებსო“[80]. მაგრამ იმერეთის სამეფოს ლიკვიდაცია რუსხელმწიფის კარზე უკვე გადაწყვეტილი იყო და ტორმასოვს ამ გადაწყვეტილების შესაცვლელად საჭირო არც ძალა გააჩნდა და არც სურვილი. თავის მხრივ, სოლომონ II სულაც არ იყო თანახმა სამეფო უფლებების მაქსიმალურად შეზღუდვაზე. ელაზნაურის ტრაქტატის დარღვევაში იგი რუსულ ხელისუფლებას დებდა ბრალს და პუნქტებად ჩამოთვლიდა თავის პრეტენზიებს, რომელთა შორისაც განსაკუთრებულ ყურადღებას იმ გარემოებას აქცევდა, რომ ციციანოვის დაპირების მიუხედავად ლეჩხუმი არ დაუბრუნეს და ასკაციანი რაზმის ნაცვლად, რომელთა ადგილსამყოფელი თვით სოლომონს უნდა განესაზღვრა, ქუთაისში მრავალრიცხოვანი ჯარი ჩაუყენეს, „ესოდენთა წელიწადთა დგანან მხედრობანი რუსეთისანი სამეფოსა შინა ჩემსა, ვითარცა სახლსა შინა თვისსა, და იზრდებიან შეშითა, სახლითა ჩვენ მიერ მიცემულითა, პროვიანტითა, ფურაჟითა, ხარითა, ცხენითა, ურმითა, სასმელითა და საზრდე-

[78] AKAK, т. IV, с. 195—196.
[79] AKAK, т. IV, 209.
[80] AKAK, т. IV, 213.

ლითა, და წარვლიან დღეთა ზამთრისა და ზაფხულისათა მშვიდობით, გარნა ნაცვლად მადლობისა გვაგინებენ და შეურაცხჰყოფენ თავადთა და კეთილშობილთა ჩვენთა...“[81] ამასთან ერთად სოლომონ მეფე მოითხოვდა, რომ ციციანოვის მიერ შედგენილი „სათხოვარი პუნქტები“ შეეცვალათ, მისთვის იმპერატორთან უშუალო ურთიერთობის დამყარების ნებართვა მიეცათ და სრული საშინაო დამოუკიდებლობა შეენარჩუნებიათ[82].

რუსულმა ხელისუფლებამ, რაკიღა გულუხვად გაღებული ოქროვერცხლისა და დაპირებების მიუხედავად, სოლომონ II-ის საწინააღმდეგო პარტიის შედგენა ვერა და ვერ შეძლო, რომ მეფის ტახტიდან ჩამოგდება თვით იმერელი ხალხის სურვილად გამოეცხადებინა, ასევე ვერ მოიტყუა სოლომონი ქუთაისში და უერთგულესი ხალხის დეპუტატებად და მძევლებად გამორთმევაზეც ვერაფრით დაიყოლია, გადაწყვიტა უკიდურესი ზომებისათვის მიემართა და სამხედრო ძალის ჩარევით დაეტყვევებინა მეფე. ამისთანა რთული ოპერაციის შესასრულებლად, როდესაც იმერეთის თავადაზნაურობის უმრავლესობა, სამღვდელოება და ხალხი თავის მეფეს სრულ ნდობას უცხადებდა, იმერეთში განლაგებული ჯარები საკმარისი არ იყო, და გადაწყდა ქართლიდან დამატებითი ჯარების შეყვანა. ამავე დროს ზურაბ წერეთელს დაევალა, უზრუნველეყო დადიანისა და მამია გურიელის თანადგომა. ზურაბ წერეთელმა ამ დავალებას ჩინებულად გაართვა თავი და სოლომონ II-ის ქვეშევრდომი და მისი მომხრე მამია გურიელი სამთავრობო უფლებების გაფართოების დაპირებით რუსულ ხელისუფლებას გაუერთგულა.

ტორმასოვი სიმონოვიჩს ურჩევდა, განსაკუთრებული ყურადღება სოლომონ ლიონიძის მოსყიდვისათვის მიექცია, რადგანაც ეს უკანასკნელი თავისი გამჭრიახი ჭკუა-გონებისა და დიპლომატიური ნიჭის წყალობით რუსული ხელისუფლების მზაკვრულ განზრახვებს წინ ეღობებოდა და მათ მეფის მოტყუება-მინდობის საშუალებას არ აძლევდა. ტორმასოვის მიერ სიმონოვიჩისადმი მიწერილი წერილიდან ჩანს, რა მედიდური დამოკიდებულება, და აქედან გამომდინარე, რა მცდარი წარმოდგენა ჰქონდა მთავარმართებელს იმერეთის წარჩინებული საზოგადოების, კერძოდ კი სოლომონ ლიონიძის შესახებ. იგი წერდა: „განსაკუთრებით ეცადეთ თავად ლიონიძის მომხრობას, რომელიც

[81] АКАК, т. IV, с. 214—216.
[82] АКАК, т. IV, с. 299.

როგორც ეშმაკი და გაიძვერა კაცი, მიჩვეულია სხვადასხვა ცვლილებებს, მან 7 მეფეს უღალატა და ფულისა და დაპირებების ხათრით ახლაც იგივეს გააკეთებსო"[83]. მართლაც, არაფერი უნდა ესმოდეს კაცს და არც არავითარი სურვილი ჰქონდეს ჭეშმარიტების გარკვევისა, რომ ასეთი უკუღმართი წარმოდგენა იქონიოს ადამიანზე, რომელმაც ჯერ აღმოსავლეთ, და შემდეგ დასავლეთ საქართველოს სამეფოების შენარჩუნება-განმტკიცებას არამც თუ პირადი ინტერესები ანაცვალა, არამედ მთელი თავისი ოჯახის კეთილდღეობაც მასვე შესწირა.

1810 წლის ზამთარში გორსა და სურამში თავი მოიყარა რუსული ჯარის ნაწილებმა, რათა ისინი სიმონოვიჩის პირველი მოთხოვნისთანავე შეეყვანათ იმერეთში. სოლომონ II კარგად ხედავდა, როგორი საფრთხე ემუქრებოდა მისი სამეფოს დამოუკიდებლობას და დროის გაჭიანურების მიზნით, რათა გაზაფხულამდე როგორმე მიეღწია, როცა ტყე შეიფოთლებოდა, შემოჭრილ ჯარს გზის გაკვლევა გაუძნელდებოდა, ჩასაფრება და წინააღმდეგობის გაწევა გაადვილდებოდა და შესაძლებელია, საფაშოებიდანაც დახმარება მოვიდოდა, ტორმასოვთან მოსალაპარაკებლად მისი კანცელარიის უფროსის, მოგილევსკის გამოგზავნას ითხოვდა. მოგილევსკისა და სოლომონ II-ის მოლაპარაკებამ უშედეგოდ ჩაიარა და 1810 წლის 11 თებერვალს სიმონოვიჩმა ბრძანება გასცა, დაეწყოთ გადამწყვეტი მოქმედებები იმერეთის მეფეზე ზეგავლენის მოსახდენად. ამავე დროს მან ტორმასოვის წერილი გაუგზავნა სოლომონ II-ს, რომელშიაც ჩამოთვლილი იყო ბოლო 5 წლის განმავლობაში მეფის მიერ ჩადენილი „ურჩობანი": რომ არ გზავნიდა დეპუტატებს პეტერბურგში, ურთიერთობა ჰქონდა ალექსანდრე ბატონიშვილთან, სპარსეთთან, ახალციხის სელიმ-ფაშასთან, გზას უხერგავდა ფოთის მოალყე ჯარის დასახმარებლად მიმავალ სიმონოვიჩს და სხვ. ამრიგად, ტორმასოვი მოითხოვდა სოლომონისაგან: 1. სამი დღის განმავლობაში მიეცა სიმონოვიჩისათვის ამანათი და პეტერბურგში გასაგზავნი დეპუტატები: ბატონიშვილი კონსტანტინე, მალხაზ ანდრონიკაშვილი, სოლომონ ლიონიძე, სეხნია წულუკიძე, ქაიხოსრო წერეთელი და როსტომ ნიჟარაძე. 2. დაუყოვნებლივ დაბრუნებულიყო ქუთაისში, თავის სასახლეში; 3. დეპუტატების ხელით გაგზავნილ უქვეშევრდომილეს თხოვნაში გამოეთქვა თავისი მადლიერება იმერეთის სამეფოს რუსეთის მფარველობაში მიღების გამო,

[83] Потто., Утверждение русского владычества..., т. II, с. 78.

ეთხოვა პატიება და მომავლისათვის რუსხელმწიფის ერთგული ქვეშევრდომობისა და უსიტყვო მორჩილების პირობა მიეცა. თუ კი სოლომონ II ამ მოთხოვნებს შეასრულებდა, ტორმასოვი პირდებოდა, რომ მისი შუამდგომლობის შედეგად იმპერატორი „დანაშაულს“ აპატიებდა და სამეფოს შეუნარჩუნებდა.

პოლიტიკურ ბრძოლაში გამოცდილი მეფისათვის ძნელი გასარკვევი არ უნდა ყოფილიყო, რომ ტორმასოვის მიერ წაყენებული პირობები მხოლოდ და მხოლოდ ფანდი იყო და მისი უერთგულესი და პოლიტიკაში გამობრძმედილი მრჩევლების ჩამოშორებასა და სასახლეში მის მიტყუებას ითვალისწინებდა და მეფემაც წერილი უპასუხოდ დატოვა. ტორმასოვის ეს წერილი რომ მართლაც მეფის მიმატყუებელი ფანდი იყო, იქიდანაც ჩანს, რომ წერილთან ერთად მან სიმონოვიჩს გაუგზავნა პროკლამაცია, რომელიც მას სოლომონის მიერ ამ პირობების მიუღებლობის შემთხვევაში უნდა გამოექვეყნებია, თან ამავე დროს დაეწყო სამხედრო მოქმედება და იმერელი ხალხის დაფიცება იმპერატორის ერთგულებაზე.

1810 წლის 10 თებერვლიდან დაიწყო შეტევა იმერეთის სამეფოზე ყოველი მხრიდან. პოლკოვნიკმა სტალმა ერთი რაზმი სოფელ ალის გზით გააგზავნა იმერეთში, მეორე რაზმი კი სურამის გზით მიდიოდა. მალე ისინი უკვე საჩხერეში ,სვირში, ქვეშსა და ჩხარში შეკრებილ ხალხს უკითხავდნენ ტორმასოვის პროკლამაციას, რომელშიც სოლომონ II გამოცხადებული იყო იმერელი ხალხის მშვიდობის დამრღვევად, იმპერატორის მოწინააღმდეგედ; მას აბრალებდნენ ტრაქტატის შეუსრულებლობას, ფიცის გატეხვას და ხელშეწყობის ღალატს. ყოველივე ამის გამო ტორმასოვი მიმართავდა სასულიერო წოდებას, თავადაზნაურობას და იმერელ ხალხს, მიეღოთ ფიცი იმპერატორის ერთგულებაზე[84]. 20 თებერვლის მერე სიმონოვიჩმა ქუთაისის ყველა ეკლესიაში, შტაბის ოფიცრების, კაპიტხებისა და სათანადო სამხედრო რაზმის თანდასწრებით გამოაქვეყნა ტორმასოვის პროკლამაცია და ქალაქის მოსახლეობა დააფიცა იმპერატორის ერთგულებაზე. აღმოსავლეთ იმერეთის დამორჩილების პარალელურად დაიწყო შეტევა დასავლეთისა და ჩრდილოეთის მხრიდანაც, საიდანაც ბელევსკის პოლკის რაზმებთან ერთად მოდიოდა სამეგრელოდან ლევან დადიანის მილიცია, გურიიდან კი მამია გურიელი და ლეჩხუმის მილიცია ბერო გელოვანის მეთაურობით. მათ დაიკავეს ჯიხაიში და რაჭა,

[84] АКАК, т. IV, № 219.

ხოლო ქუთაისის მხრიდან კავკასიის გრენადერთა პოლკის ნაწილები მოქმედებდნენ. 10 მარტისათვის მხოლოდ სამხრეთ იმერეთის მოსახლეობა რჩებოდა დაუმორჩილებელი. ვარციხეში 4 000 კაცით გაძაგრებული იმერეთის მეფე წინააღმდეგობისათვის ემზადებოდა. სიმონოვიჩმა სოლომონისათვის ერთგული მომხრეების ჩამოშორების მიზნით კიდევ ერთი ბრძანება გამოაქვეყნა, რომლის მიხედვითაც მეფის ერთგულ თავადაზნაურობას ყმა-მამული ჩამოერთმეოდა და ხაზინას გადაეცემოდა. ამავე დროს მეფის გარშემოსარტყმელად სიმონოვიჩმა პოლკოვნიკი ლისანევიჩი ეგერთა რაზმით გააგზავნა ლოსიათხევზე სოფელ ხანში, თვითონ კი ყოველი მხრიდან შეუტია ვარციხეში გამაგრებულ მეფეს და აიძულა ხანისწყლის ვიწრო ხეობაში გაქცეულიყო. აქ სოლომონს განზრახული ჰქონდა, თუ თურქეთიდან დახმარება ვერ მოუსწრებდა, უკიდურეს შემთხვევაში ხანისწყლის ძნელად მისაგნები და გაუვალი ბილიკებით ახალციხის საფაშოსთვის შეეფარებინა თავი, მაგრამ ზურგში, ფერსათის ქედიდან დაშვებული ლისანევიჩის უცაბედად გამოჩენამ მეფეს უკანასკნელი იმედი გადაუწურა. იგი მიხვდა, რომ დანებების მეტი სხვა გზა აღარ დარჩენოდა. მეფემ სიმონოვიჩსა და მოგილევსკის აღუთქვა, რომ ქართლის რომელიმე სოფელში შეხვდებოდა ტორმასოვს მოსალაპარაკებლად, ოღონდ მათგან ხელშეუხებლობის გარანტიას მოითხოვდა. მოიტანეს ჯვარი და სახარება და მრავალრიცხოვანი ხალხის თანდასწრებით, საჯაროდ, ჯერ სიმონოვიჩმა, მერე კი მოგილევსკიმ პირჯვარი გადაიწერეს და სახარებაზე შეჰფიცეს სოლომონს, რომ არ დაიშერდნენ და საერთოდ, რუსული ხელისუფლების მხრიდან არავითარი ძალადობა არ ელოდა. პირიქით, მეფის სადარ პატივს მიაგებდნენ და თვითონაც და თავის ჯარიც პატიებას მიიღებდა[85]. ამის შემდეგ ხუთასამდე ერთგული მხლებლით გარშემორტყმული სოლომონი გამოეშურა ქართლისაკენ, ტორმასოვთან შესახვედრად, სოლომონ ლიონიძე და მალხაზ ანდრონიკაშვილი (მეფის სიძე, მისი დის ქმარი) კი ახალციხეში წავიდნენ. სულ მალე გაირკვა, რომ მეფე და მისი მხლებლები მთელი მოგზაურობის განმავლობაში მათთვის შეუმჩნეველად რუსის ჯარით იყვნენ გარშემორტყმულნი და როცა ეჰვმიტანილმა მეფემ სოფელ დირბიდან ღამით გაქცევა გადაწყვიტა, იგი შეიპყრეს და როგორც ტყვე, ისე მიგვარეს ტორმასოვს, ტორმასოვმა სოლომონ II თბილისში, სუმბათაშვილის საკმაოდ ხალვათ სახლში მოათავსა, რომელიც მტკვრის მარჯვენა სა-

[85] Чудинов В. Неурядица в Имеретии...

ნაპიროზე მდებარეობდა და უშველებელი, მესერით გარშემორტყმული ბაღი ერტყა, მთავარმართებელმა სოლომონს გამოუცხადა, რომ მისი შემდგომი ბედის გადაწყვეტა უკვე იმპერატორზე იყო დამოკიდებული და აქ უნდა დალოდებოდა თავის განაჩენს. სინამდვილეში კი, როგორც იმერეთის მეფის გაქცევის შემდგომ იმართლებდა თავს ტორმასოვი, ყაბარდოში და ჩეჩნეთში მომხდარი აჯანყების გამო ალმოდებულ სამხედრო გზაზე ტყვედშეპყრობილი მეფის დაუყოვნებლივ პეტერბურგში გამგზავრება, ვიდრე აჯანყება არ ჩაცხრებოდა, ვერ გაებედა.

მთავარმართებლის ბრძანებით სოლომონისათვის მეფის დარი პატივი უნდა მიეგოთ, მის შესანახად ხაზინიდან ყოველთვიურად 1000 მანეთი ვერცხლით გაიცემოდა, მაგრამ ამავე დროს „შეუმჩნეველი, მაგრამ მკაცრი მეთვალყურეობის ქვეშ“ უნდა ჰყოლოდათ. სოლომონ II-ზე უშუალო ზედამხედველობის დაწესება თბილისის კომენდატს, მაიორ კომნენს დაევალა. კომენდანტმა თითქოს ყველა წვრილმანის გათვალისწინებით, მეფეზე მეთვალყურეობის მთელი სისტემა შეიმუშავა. სუმბათაშვილს უბრძანეს თვალყური ედევნებინა, ჩაეწერა და მოეხსენებინა ვინ მოდიოდა მეფესთან, შეეძჩნია, თუ რაიმე იქნებოდა ავის მომასწავებელი, შებინდების შემდეგ კი არავინ მიეღო. თბილისის პოლიცმეისტერს ბარათაშვილს ევალებოდა მეფისათვის, გასაგზავნგამოსაგზავნად და მომსახურებისათვის გამოეყო ორი სანდო ათისთავი, ასეულის მეთაურთან ერთად, მათაც თვალყური უნდა ედევნებინათ მეფის ყველა მნახველისათვის და მოეხსენებინათ მათ შესახებ. მეფესთან მუდმივად იმყოფებოდა ერთი ოფიცერი, ხოლო მზის ჩასვლის შემდეგ ჭიშკართან უნდა მდგარიყო სამი პოლიციელი, რომლებიც მიუთითებდნენ ყარაულს, ვინ შეეშვა და ვინ არა. ზედამხედველობა იყო დაწესებული მეფისა და მისი ამალის ცხენებზედაც, რომლებიც ქალაქის რემასთან ერთად მტკვრის მარცხენა სანაპიროზე ჰყავდათ მოთავსებული და პოლიცმეისტერის მიწერილობის გარეშე მათი წამოყვანა არ შეიძლებოდა.

ყველა ამ ზომის მიუხედავად, სოლომონმა მაინც მოახერხა გაპარვა. მან და მისმა ერთგულმა თავად-აზნაურებმა ისარგებლეს იმ გარემოებით, რომ მეფის ამალის შესანახი ხარჯების შემცირების მიზნით, ტორმასოვის ბრძანების თანახმად, ამალის წევრებს იმერეთში გაბრუნების ნებართვას კომენდანტი დაუბრკოლებლად აძლევდა და ყოველდღიურად რამდენიმე თავადი და აზნაური ქალაქიდან გადიოდა. ასე რომ, მეფის გაპარვის წინა დღეს, 9 მაისს, ქაქუცა აბაშიძემ პოლიც-

მეისტერ ბარათაშვილს რომ მოახსენა, ამალის გასაბრუნებლად რამდენიმე ცხენი არის საჭიროო და თავისი სიტყვების დასტურად კომნენის მიერ გაცემული ბილეთის ნაცვლად ქაღალდის ნაგლეჯი შორიდან დაანახვა, შას ეჭვი აღარაფერში შეპარვია და დაუბრკოლებლად მისცა ცხენების გაყვანის ნებართვა. ამ გზით ნაშოვნი ცხენები შებინდებისას სუმბათაშვილის სახლის მახლობლად მოიყვანეს. იმ დღეს მეფე ჩვეულებრივზე უფრო ადრე გავიდა თავის საწოლში, გადაიცვა მედუქნე ბეჟან მურასაშვილის მიერ წინასწარ ნაშოვნი ტანისამოსი, ზევიდან თავისი ერთგული მსახურის, თაბუკაშვილის მოსაცმელი ჩაიცვა, თმა-წვერზე ნაცარი წაისვა, ბრძანა, თავისი ტანისამოსი მედუქნე მურასაშვილისათვის გადაეცათ გაწეული სამსახურის სანუქფოდ და დოქით ხელში, ქაიხოსრო წერეთელთან ერთად გამოვიდა სახლიდან. პოლიციელის შეკითხვაზე უპასუხა, რომ მტკვარზე მიდიოდა წყლის მოსატანად და ასე შეუმჩნეველად დატოვა სუმბათაშვილის სახლი. ქუჩაში მათ იმერელი პოლიციელი დახვდათ, რომელმაც მეფე და მისი თანამგზავრი დაუბრკოლებლად გაიყვანა ქალაქგარეთ, სადაც ჯერ კიდევ დილიდან თავისუფლად წამოსული ამალის წევრები ელოდნენ და სოლომონმა წერეთლების, ერისთავების, აბაშიძის და სხვების, სულ 23 ცხენოსნის თანხლებით სასწრაფოდ დატოვა ქალაქი[86].

იმერეთის მეფის გაქცევამ ქალაქში დიდი არევ-დარევა გამოიწვია. სასწრაფოდ დაადევნეს მდევრები, ახალციხისაკენ მიმავალი გზები გადაკეტეს, სიმონოვიჩს შეუთვალეს, მკაცრი მეთვალყურეობა გაეწია დედოფლისათვის, მაგრამ ვერაფერს გახდნენ. 13 მაისს სოლომონ II თავისი მხლებლებით მშვიდობით მივიდა ახალციხის საფაშოში სოფელ კოთელიაში, სადაც იმ დროს ალექსანდრე ბატონიშვილი ცხოვრობდა. სულ მალე ამის შემდეგ იმერეთში ხელიდან ხელში გადადიოდა სოლომონ II-ის ცეცხლოვანი წერილები და მოწოდებები. იგი თავის ქვეშევრდომებს სწერდა, რომ ხელი გამოეღოთ დამოუკიდებლობისა და მეფის შესანარჩუნებლად, მოაგონებდა, რა დღეში ჩააგდო ქართლ-კახეთი რუსული მმართველობის დამყარებამ. როცა რუსები თქვენც დაგიმონებენ, თქვენი მდგომარეობა კიდევ უფრო მძიმე იქნება და ისინი, ვინც დღეს თქვენ ოქროს გპირდებიან, ხვალ არსებობის საშუალებას მოგისპობენ. დღეს თუ პატივით გეპყრობიან, ხვალ ფეხქვეშ გათელავენ თქვენს ღირსებას და პატიოსნებას — ეს ის თვისებებია, რომლითაც ისინი ყველა ხალხისაგან განსხვავდებიანო. ბოლოს, იმერეთიდან განდევნილი მეფე დასძენდა, რომ

[86] Чудинов В. Неурядица в Имеретии..., с. 261—326.

მე თუ იმერეთს რაიმე სამსახური დავაკელი, ის ხომ მაინც საყოველთაოდ ცნობილია, რომ თქვენი სიყვარულითა და პატივისცემით მე გული არ მიჯერებია. დარწმუნებული იყავით, რომ ცაზე იქნება თუ დედამიწაზე, მე ჩემი სიცოცხლე იმერეთისათვის უნდა დავამთავროო[87].

სოლომონ II სპეციალური მოწოდებით მიმართავდა იმერეთის უმაღლეს სამღვდელოებას, რომელსაც ჯერ კიდევ ჰქონდა ერთმორწმუნე რუსეთის იმედი და სჯეროდა, რომ რუსეთს მართლაც სამართლიანობა ამოძრავებდა და მისი ქვეშევრდომობა ქართველ ხალხს ბედნიერებასა და კეთილდღეობას მოუტანდა. მეფე სთხოვდა პატიოსნებითა და გულუბრყვილობით ცნობილ ეპისკოპოსებს, ექვთიმე გენათელსა და სოფრომ ნიკორწმინდელს, ეშუამდგომლათ რუსეთის ხელისუფლების წინაშე, დაეტოვებინათ იგი მეფედ, რომ საშუალება ჰქონოდა ხელმწიფისათვის თავისი ერთგულება და გულმოდგინე სამსახური ეჩვენებინა[88]. დოსითეოს ქუთათელს სოლომონი სწერდა, როცა საბოლოოდ დავრწმუნდი, რომ რუსეთში გაგზავნას მიპირებდნენ, იმერეთთან და თქვენთან სამუდამოდ განშორების გამო გულზე ცეცხლი წამეკიდა. ყველა ამქვეყნიურ სიკეთეს მე თქვენთან ყოფნა, თქვენთან სიხარული, თქვენთან ერთად ცხოვრება და სიკვდილი ვარჩიე. სწორედ ამიტომაც გავიმეტე თავი და წამოვედი ქალაქიდან. ახლა მთელი ჩემი იმედები თქვენსკენ და იმერეთისკენ არის მიპყრობილი და „თუ იმერეთს ჩემის დაკარგვით ბედნიერება და თავისუფლება მიეცემოდეს, როგორც თქვენი მოუშორებლობისათვის თავი გამოვიმეტე, ისე თქვენთვის დაკარგვას სასიხარულოდ მივიღებდი“[89].

მართალია, სოლომონ II-ს ეჭვი არ ეპარებოდა თავისი ხალხის ერთგულებასა და სიყვარულში, მაგრამ როგორც ნ. ბერძენიშვილი აღნიშნავს, მან კარგად იცოდა, რომ უცხო ჯარების, განსაკუთრებით კი ლეკ-ოსმალთა გამოყენება, მათი იმერეთში შემოყვანა და ქრისტიანული რუსეთის წინააღმდეგ მაჰმადიანური ძალების დაპირისპირება მას იმერეთის ფართო ფენების სიყვარულსა და ნდობას დაუკარგავდა. ამავე დროს საკუთარი ძალებით, იგი, რა თქმა უნდა, რუსის ჯარს ვერ გაუმკლავდებოდა, ამიტომ ცდილობდა, იმერეთის აჯანყება სპარსეთ-ოსმალეთის მიერ რუსეთის საწინააღმდეგოდ წარძოებული პოლიტიკისათვის შეეთანხმებინა, როდესაც ორმხრივ ომში ჩაბმული

---

87 АКАК, т. IV, № 343.
88 АКАК, т. IV, № 342.
89 АКАК, т. IV, № 343.

რუსეთი იძულებული შეიქნებოდა დასავლეთ საქართველოში სოლომონის მეფობა აღედგინა და მისი სუვერენიტეტი ეღიარებინა[90].

სულ მალე იმერეთში აჯანყებამ იფეთქა. სოლომონ მეფის მოტყუებით თბილისს წაყვანის შემდეგ ქართლიდან შემოყვანილმა რუსის ჯარებმაც დატოვეს იმერეთი. და აი, 1810 წლის ივნისის დასაწყისში სოლომონ II-ის წერილებითა და მოწოდებებით ერთ მუშტად შეკრულმა იმერელმა ხალხმა ქუთაისში, ვარციხეში, ჩხარისა თუ სხვა ციხეებში ჩაყენებული რუსული გარნიზონები ალყაში მოამწყვდია. ათასობით აჯანყებულებს, ქაიხოსრო აბაშიძის მეთაურობით, შეტაკებები ჰქონდათ რუსულ რაზმებთან ლოსიათხევში, ეაკის ოლქში და სხვაგან. აჯანყების დასაწყის პერიოდშივე აჯანყებულებმა თითქმის სავსებით გაწყვიტეს კავშირი იმერეთსა და თბილისს შორის, ისე რომ ტორმასოვი ხაკლებად იყო იხფორძირებული იმერეთში მომხდარი ამბების შესახებ. მან მხოლოდ 17 ივნისს, ისიც ზურაბ წერეთლისაგან გაიგო, რა ხდებოდა იმერეთში. რაც მთავარია, როგორც თვითონ სიმონოვიჩი შესჩიოდა ტორმასოვს ჯერ კიდევ სოლომონ II-ის გამოჩენამდე, რუსული ხელისუფლების ერთგული მთელ იმერეთში აღარავინ მოიძებნებოდა. „ჩვენ მდგომარეობას ისიც ართულებს, — სწერდა იგი ტორმასოვს, — რომ ჰეშმარიტად ჩვენი ერთგული არც ერთი თავადი და არც ერთი აზნაური არ არის. სხვებზე რომ აღარაფერი ვთქვათ, თვით სახლთუხუცესი ზურაბ წერეთელი, იმის მაგივრად რომ შექმნას თავისი მომხრეთა პარტია და ხალხზე თავისი გავლენის წყალობით ჩვენ რაიმე სარგებლობა მოგვიტანოს, მიუკერძოებელ მაყურებლის როლში გამოდის და თუ ფარულად არ ეხმარება აჯანყებულებს, ყოველ შემთხვევაში, ჩვენ სასარგებლოს არაფერს აკეთებს“[91]. ივნისის ბოლოს იმერეთში სოლომონ II-ის ათასკაციანი რაზმით გამოჩენის შემდეგ კი აჯანყებამ იმდენად ყოვლის მომცველი ხასიათი მიიღო, რომ გაოგნებული სიმონოვიჩი იმერეთში მომხდარ ამბებს შემდეგში „საყოველთაო რევოლუციას“ უწოდებდა და ჩიოდა, რომ იმერლები „საყოველთაო რევოლუციის“ სულით ისე იყვნენ გაჟღენთილნი, რომ ყოვლად შეუძლებელი იყო რომელიმე მათგანის რაც გინდა დაპირების ფასად ჩვენს მხარეზე გადმობირებაო[92].

---

90 ბერძენიშვილი ნ., საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. II, გვ. 386—387.

91 AKAK, т. IV, 278.

92 AKAK, т. IV, 323.

სოლომონ II-ის იმერეთში გამოჩენამ სერიოზულად შეაშფოთა მთავარმართებელი, რომელმაც განწირულ მდგომარეობაში ჩავარდნილი სიმონოვიჩის დასახმარებლად სასწრაფოდ გააგზავნა 2 ბატალიონი ჯარი გენერალ-მაიორ ორბელიანის მეთაურობით. ორბელიანისთვისვე მიცემულ ბრძანებაში, სადაც დაწვრილებით იყო განმარტებული როგორ უნდა მოქცეოდა გენერალი აჯანყებულებს, სავსებით გამჟღავნდა მთავარმართებლის მორალური სახე. „იმერეთში შესვლისთანავე, — ბრძანებდა იგი, — დაუყოვნებლივ მოსთხოვეთ სამეგრელოსა და გურიის მთავრებს გამოიყვანონ ჯარი ჩვენს დასახმარებლად. აჯანყებულების დასასჯელად და სხვების შესაშინებლად ნება დართეთ მათ და ჩვენ მომხრე იმერლებს შეესიონ აჯანყებულთა სოფლებს საძარცვავად, ამავე დროს არ დაგავიწყდეთ პირველ რიგში მისი იმპერატორობითი უდიდებულესობის ჯარების მომარაგება სურსათით, აჯანყებულებისათვის პირუტყვისა და სხვა სურსათ-სანოვაგის უფასოდ წართმევის გზით. ყოველმხრივ ეცადეთ, უდანაშაულონი არ დაზიანდნენ, აჯანყებულების მიმართ კი ნებას გაძლევთ, სამაგალითო სიმკაცრე გამოიყენოთ. არ დაინდოთ არავინ, მიუხედავად მისი წარმოშობისა და მდგომარეობისა. დაჭერილი აჯანყებული, თავადი იქნება იგი თუ აზნაური, ბორკილგაყრილი სასწრაფოდ გამოგზავნეთ თბილისში, ხოლო თუ ამის შესაძლებლობა არ იქნება, ციმბირში გაგზავნამდე საიმედო ციხეში ჩააგდეთ და მკაცრი ზედამხედველობა მიუჩინეთ. რამდენიმე უბრალო წარმოშობის აჯანყებული, თუ კი ამას ადგილობრივი ვითარების მიხედვით საჭიროდ და სასარგებლოდ მიიჩნევთ, სხვების დაშინების მიზნით შეგიძლიათ ჩამოახრჩოთ. საერთოდ კი, ყველა ცოცხლად დაჭერილ აჯანყებულს მოეპყარით მთელი სიმკაცრით და ბორკილებგაყრილი იყოლიეთ“[93].

აზიელი სატრაპისათვის დამახასიათებელი თვისებები ტორმასოვმა კიდევ უფრო მეტად სოლომონ მეფისადმი დამოკიდებულების საკითხში გამოამჟღავნა. იგი დაჟინებით მოითხოვდა სიმონოვიჩისაგან არ დაეშურებინა არც ოქრო-ვერცხლი, არც ძალ-ღონე სოლომონ II-ის მკვლელის დასაქირავებლად. იგი სიმონოვიჩს უბრძანებდა, მთელი სისასტიკით ეძოქმედა ამ მიმართულებით, ერთი საათიც კი არ მოესვენებია მეფე, მოეჭრა მისთვის ყველა გზა, რათა იგი ხელიდან არ გასხლტომოდა, გამუდმებული დევნით ისეთ დღეში ჩაეგდო, რომ ყვე-

[93] Потто. Утверждение..., т. II, с. 121.

ლა თანამზრახველს მიეტოვებია. „ასეთ დროს ყველაფრის გაკეთება იქნება შესაძლებელი, — სწერდა იგი სიმონოვიჩს, — ან ვაიძულოთ ბრძენი და ვერაგი დაემორჩილოს უძლიერესს, ან მისივე ვერაგობის წინააღმდეგ გამოვიყენოთ ასეთივე ვერაგული ხერხები, რადგანაც მლიქვნელურად მოღიმარი ბოროტების წინააღმდეგ წმინდად ვერ მოიქცევი. წინასწარგანზრახულ მზაკვრობას იგივე საზღაური უნდა მიეზღას. ასეთი საქციელი განსაკუთრებით გამართლებულია, როცა მიმართულია კაცობრიობის გადასარჩენად, რომელიც შემდგომში აუცილებლად დაიტანჯება, თუ ვერაგი კაცის ღიმილი მკვდრის ძილით არ წაიშალა. თქვენმა აღმატებულებამ ახლა იცის, რაში მდგომარეობს საქმე, ასე რომ იმოქმედეთ შეუნელებლად, არ დაინანოთ არავითარი იარაღი ბოროტების გასანადგურებლად, იქნება ეს რკინა, ოქრო, ძალა თუ სხვა რამ ხერხი. ყოველივე ეს გამოიყენეთ ისე, როგორც ამ საქმის დამთავრებამ მოითხოვოს; მაშინ ექსპედიცია წარმატებულად ჩაითვლება და მრავალი გაბედნიერდება“[94].

ასე მაღალფარდოვანი სიტყვებით მიანიშნებდა ტორმასოვი სიმონოვიჩს სოლომონ II-ის მოკვლის აუცილებლობას, რასაც ხალხის გაბედნიერებით ამართლებდა და ძალიან უკვირდა, დიდი ანაზღაურების ფასადაც კი რატომ არავინ მოინდომა იმერეთის გაბედნიერება თუ არა, საკუთარი გამდიდრება მაინც. ასევე ვერაფრით გაიგო ტორმასოვმა, რატომ ვერ მოახერხა საქართველოს მმართველმა ახვერდოვმა მისი ბრძანების შესრულება, რომელიც თუშ-ფშავ-ხევსურებისაგან ათასკაციანი რაზმის შექმნას ითვალისწინებდა იმერეთის საძარცვავად.

იმერეთის აჯანყება 4 თვეს გაგრძელდა. პირველ ხანებში აჯანყებულები წარმატებით უმკლავდებოდნენ რუსეთის რეგულარულ ჯარებს და დიდ ზიანსაც აყენებდნენ მათ, მიუხედავად იმისა, რომ თანდათანობით იმერეთში არტილერიითა და ქვემეხებით აღჭურვილმა 8 ბატალიონმა მოიყარა თავი. აჯანყებულები განსაკუთრებით აღაფრთოვანა ალის ხეობაში მოპოვებულმა გამარჯვებამ, როცა ბნელათხევში მომწყვდეული მაიორ ტიხოცკის რაზმის დასახმარებლად მოსული გენერალი ორბელიანი მრავალრიცხოვანი ჯარით იძულებული იყო სურამისკენ გაბრუნებულიყო და იმერეთში შეჭრას ახლა ვახანის ხეობით ცდილიყო. ბნელათხევის ბრძოლის მეთაურები მალხაზ ანდრონიკაშვილი და როსტომ წერეთელი დიდის ამბით აუწერდნენ სოლომონ II-ს ამ ბრძოლას და გამარჯვებასა და ბედნიერებას ულოცავდნენ[95]. ეს

[94] Потто. Утверждение..., т. II, с. 141.

[95] АКАК, т. IV, № 395, 398.

გამარჯვება, მართლაც, დიდი მიღწევა იყო აჯანყებულთათვის, მაგრამ მაინც მხოლოდ ერთ-ერთი ეპიზოდი იყო იმ უკიდეგანო ბრძოლაში, რომელსაც ერთი მუჭა იმერლები აწარმოებდნენ რუსეთის იმპერიის შეიარაღებული ძალების წინააღმდეგ. რაც დრო გადიოდა, იმერეთში განლაგებულ რუსის ჯარს ახალი ძალები ემატებოდა, რუსეთის წინააღმდეგ სპარსეთ-ოსმალეთის შეთანხმებულ მოქმედებას კი, რისი იმედითაც დაიწყო ეს ბრძოლა სოლომონ II-მ, პირი არ უჩანდა. აგვისტოს შიწურულს, როგორც იქნა, ერევნის ჰუსეინ-ხანი, ალექსანდრე ბატონიშვილთან ერთად 10 000 კაცით ახალქალაქის მახლობლად დაბანაკდა. აქ იგი შერიფ-ფაშასა და მის ლაშქარს ელოდებოდა, რომ ერთობლივი ძალით ქართლში შემოჭრილიყვნენ, მაგრამ შერიფ-ფაშას თავისი გასაჭირი ადგა, იგი ყოველ წუთს ელოდებოდა აჭარის მხრიდან სელიმ ხიმშიაშვილის თავდასხმას და მისი შიშით ადგილიდან ვერ იძვროდა. ტორმასოვმა დრო ხელთა და ვიდრე ჰუსეინ-ხანს ან დახმარება მოუვიდოდა, ან ლოდინით გულგაწყალებული უკან გაბრუნდებოდა, შეადგინა მსუბუქი რაზმი ათასი კაცის შემადგენლობით და გენერალ პაულუჩის სარდლობით სასწრაფოდ გაგზავნა მის დასარბევად. 8 სექტემბერს ისე მოულოდნელად დაესხა თავს პაულუჩის რაზმი ღრმა ძილში მყოფ სპარსელთა ბანაკს, რომ ჰუსეინ-ყული-ხანმა და ალექსანდრე ბატონიშვილმა ძლივს მოასწრეს გაქცევა. ჰუსეინ-ყული-ხანმა თავისი დამარცხება ახალციხის შერიფ-ფაშას დააბრალა და ამის შემდეგ რუსეთის წინააღმდეგ მათ შეთანხმებულ მოქმედებაზე ლაპარაკიც მეტი იყო. ასე რომ, სოლომონის იმედებს, ორმხრივ ომში ჩაბმული რუსეთი იმერეთისათვის ველარ მოიცლიდა და ისიც შედარებით ადვილად შეძლებდა თავის სამეფოს აღდგენას, განხორციელება არ ეწერა. რუსის ჯარით შევიწროებული აჯანყებულები თანდათან თმობდნენ პოზიციებს. ბოლოს სოლომონ II თავისი უერთგულესი მომხრეებით ხანისწყლის ვიწრო ხეობაში შეიკეტა. ბევრს ეცადა სიმონოვიჩი მთავარმართებლის კატეგორიული მოთხოვნის შესრულებას — ცოცხალი არ გასხლტომოდა ხელიდან იმერეთის მეფე, მაგრამ არაფერი გამოუვიდა. აჯანყებულებს მრავალგზის ჩაუვარდა ხელში ტორმასოვისა და სიმონოვიჩის მიწერ-მოწერა, საიდანაც შეფემ კარგად იცოდა მთავარმართებლის განზრახვები და ყველა შეტაკებისა თუ ბრძოლის შემდეგ ოსტატურად ახერხებდა გაცლა-გაუჩინარებას. 25 სექტემბერს კი, უკანასკნელი თავგანწირული ბრძოლის შემდეგ სოლომონმა თავისი ამალით იმერეთი დატოვა და უღრანი ტყეებით დაფარული ხეობების გადალახვით ახალციხეს შეაფარა თავი. აქედან მან

ბერძენი არქიმანდრიტი ბენედიქტე მოციქულად გაუგზავნა ტორმასოვს და დედოფალ მარიამის მასთან გამოშვება თხოვა. თავისი სახლიდან გადახვეწილ მეფეს ტორმასოვმა ეს სურვილიც არ შეუსრულა. პასუხად იგი თვითონ სოლომონს იწვევდა საქართველოში და ყოვლად მოწყალე ხელმწიფის სახელით სრულ პატიებას, ბედნიერებასა და კეთილდღეობას პირდებოდა[96], მაგრამ სოლომონმა კარგად იცოდა მთავარმართებლის სიტყვის ფასი და მის დაპირებებს არ დაუჯერა.

ასე დამთავრდა იმერეთის სისხლიანი აჯანყება და მის დამთავრებასთან ერთად ბოლო მოეღო იმერეთის სამეფოს არსებობასაც. ტორმასოვმა იმერეთის მეფის განდევნა არ იკმარა და სამეფო სახლის წევრები: სოლომონ II-ის მეუღლე დედოფალი მარიამი, სოლომონ II-ის და — მარიამ ანდრონიკაშვილი (მალხაზ ანდრონიკაშვილის მეუღლე და დედა შემდეგში ცნობილი გენერლის ივანე ანდრონიკაშვილისა) შვილებით, მისთვის ჩვეული ორპირობით მოინდო და რაკიღა თბილისს ჩამოსვლაზე დაიყოლია, მერე მათთვის მიცემული ფიცის გატეხვას აღარ მორიდებია და შუაგულ რუსეთში, ქ. ვორონეჟში გადაასახლა.

ტორმასოვმა აჯანყება კი ჩააქრო, მაგრამ ის „ბედნიერება“, რაც უნდა მოჰყოლოდა „მოღალატე და ცბიერი“ მეფის გადაგდებას, არ ჩანდა. აჯანყების ცეცხლით დამწვარ-გადაბუგულ იმერეთს 1810 წლის შემოდგომაზე ადვილად მოედო ახალციხის ლაშქრობის შემდეგ ტორმასოვის ჯარების მიერ შემოტანილი შავი ჭირი. ამას მოუსავლიანი წელიწადიც დაემატა და რუსების გამოჩენამდე საქართველოს ყველაზე უფრო მოშენებული, წალკოტისდარი კუთხე ისე გავერანდა, რომ ამ მხარეში წლების განმავლობაში სიცოცხლე ძლივს-ღა ფეთქავდა. ალბათ იმერეთის ამ მდგომარეობის გამო იყო, რომ ახალციხეში გადახვეწილმა მეფემ ხელახალი ლაშქრობა ვეღარ წამოიწყო, 1815 წელს კი ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა, 42 წლის ასაკში ტრაპიზონში აღესრულა[97].

იმპერიის ზრახვების სრულ გამოაშკარავებას, რა თქმა უნდა, იმერეთში რუსეთის ავტორიტეტისა და რუსული ხელისუფლებისადმი ნდობის დაცემა უნდა მოჰყოლოდა. იმერეთის მმართველად დანიშნული სიმონოვიჩი მწარედ შესჩივლა მთავარმართებელს, რომ იმერლების ნდობით ვერ დავიტრაბახებ, თუმცა მე ყველაფერს ვაკეთებ იმი-

96 АКАК. т. IV, № 508, № 1241.

97 ახლახანს იმერეთის დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი მრავალტანჯული მეფის ნეშტი ტრაპიზონიდან გელათში, მეფეთა საძვალეში გადმოასვენეს.

სათვის, რომ მათი ნდობა დავიმსახურო, მაგრამ მას შემდეგ, რაც მე ხალხის თანდასწრებით, ჯვარზე და სახარებაზე შევფიცე მეფეს, რომ არ დავიშერდით, ჩვენ კი დავიჭირეთ, ასევე შევფიცე დედოფალ მარიამს, რომ თბილისში ვაცხოვრებდი, მერე კი რუსეთში გადავასახლეთ, ეჭვი მეპარება, რომ საწადელს მივაღწიოთო[98]. სიმონოვიჩის მიერ ადრე შედგენილი და ტორმასოვის მოწონებული პროექტის მიხედვით იმერეთის მმართველობაში ძირეული ცვლილებების შეტანას, რუსული კანონმდებლობისა და რუსული დაწესებულებების შემოღებას არ აპირებდნენ, რათა არ გაემეორებიათ ის შეცდომები, რაც აღმოსავლეთ საქართველოში იყო დაშვებული. ამ პროექტის მიხედვით, დროებით საოლქო მმართველობაში იმერელი თავადაზნაურობის მონაწილეობა ფართოდ იყო გათვალისწინებული, მათ უმთავრესად ადგილობრივი კანონებითა და ადათ-წესებით უნდა ეხელმძღვანელათ, მაგრამ მას შემდეგ, რაც იმერეთის თავადაზნაურობამ საყოველთაო მონაწილეობა მიიღო აჯანყებაში, რუსული ხელისუფლება მათ აღარ ენდობოდა. ამიტომ სიმონოვიჩმა იმერეთის მმართველობის ახალი პროექტი შეადგინა, რომელიც საბოლოო რედაქციის გავლის და უმაღლესად დამტკიცების შემდეგ აღმოსავლეთ საქართველოს მმართველობისაგან დიდად არ განსხვავდებოდა. ამჯერად არც ამ მმართველობას ეწერა განხორციელება. შავი ჭირისა და შიმშილობის შედეგად იმერეთის მოსახლეობის თითქმის ნახევარი (32 ათასი სული) ამოწყდა, დიდმა ნაწილმა მიატოვა თავისი კარ-მიდამო და სხვადასხვა ადგილებში აფარებდა თავს. ასეთ პირობებში რუსულმა ხელისუფლებამ მიზანშეწონილად არ ცნო ახალი მმართველობის შემოღება და ქვეყნის მართვა-გამგეობა მთლიანად სიმონოვიჩის ნება-სურვილზე მიანდო, რაშიაც მას ზურაბ წერეთელი და 2 რუსი მოხელე ეხმარებოდა.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ 1810 წლის 19 ივნისს გურიის მთავარს, მამია გურიელს, იმ დახმარებისათვის, რაც მან რუსეთის ხელისუფლებას გაუწია იმერეთის მეფის სოლომონ II-ის წინააღმდეგ ბრძოლაში. რუსეთის მთავრობამ ხელმწიფის ქვეშევრდომობაზე დამოუკიდებელი ტრაქტატი გაუფორმა[99].

1810 წლის ოქტომბერში რუსეთის ქვეშევრდომობა და მფარველობა მიიღო აფხაზეთის მთავარმა გიორგი (სეფერ-ბეი) შარვაშიძემ. აფხაზეთის მთავრის სახლის წევრებს — არსლანსა და გიორგის შორის შექმნილ წინააღმდეგობებში ტორმასოვმა გიორგის ენერგიულად და-

98 AKAK, т. IV, № 501.

99 AKAK, т. IV № 607.

უჭირა მხარი. შავი ზღვიდან სოხუმში გადმოსმულმა დესანტმა 1810 წლის ივლისში თურქებს წაართვა სოხუმი და სუჯუკ-კალე (შემდეგში ნოვოროსიისკი). სოხუმში რუსული გარნიზონი ჩააყენეს, ხოლო 1810 წლის ოქტომბერში ტორმასოვმა გიორგი შარვაშიძეს მთავრის ინვესტიტურის ნიშნები გაუგზავნა და სოხუმი გადასცა. ამრიგად, 1810 წლიდან შავი ზღვისპირა უმთავრესი ნავსადგურებიდან თურქები განდევნილი იყვნენ და თითქმის მთელი დასავლეთ საქართველო: იმერეთი, გურია, სამეგრელო და აფხაზეთი რუსეთის ხელში იყო გაერთიანებული. იმერეთისაგან განსხვავებით, რომელიც უშუალოდ იყო შეერთებული რუსეთთან, გურიის, სამეგრელოსა და აფხაზეთს თავთავიანთი მთავრები მართავდნენ ამ კუთხის ადათ-წესებისა და კანონების მიხედვით. ტორმასოვი თვლიდა, რომ ჯარის იმ რაოდენობით, რომელიც მის განკარგულებაში იყო, ამგვარად უფრო იოლად შეძლებდა მათ მორჩილებაში ყოლას. მით უმეტეს, რომ საჭიროების შემთხვევაში ყოველთვის მოახერხებდა ერთი მთავრის მეორისათვის დაპირისპირებას. ამის გამოცდილება მას საკმარისი ჰქონდა, აკი გამოიყენა კიდეც ფოთის აღებისა და სოლომონ II-ის წინააღმდეგ ბრძოლის დროს გურიელისა და დადიანის სამხედრო ძალა.

იმერეთის აჯანყების ერთდროულად, 1810 წლის 26 ივლისს, ახალციხე-იმერეთ-რაჭის გზით ლიახვის ხეობაში, სოფ. კეხვში შეიპარა სრულიად ახალგაზრდა, 18—19 წლის ჭაბუკი ბატონიშვილი ლევან იულონის ძე. ლევან ბატონიშვილი, როგორც აღვნიშნავდით, ჯერ კიდევ 1804 წელს თავის მამა-ბიძასთან, იულონ და ფარნაოზ ბატონიშვილებთან ერთად იმერეთიდან ქართლში შემოვიდა, სადაც იგი მათ დასაჭერად გამოგზავნილ მდევარს ოსტატურად გაუსხლტა ხელიდან და ამის შემდეგ თავის ბიძასთან, ალექსანდრე ბატონიშვილთან ერთად იმყოფებოდა სპარსეთში. ლიახვის ხეობაში შემოპარულმა ლევან ბატონიშვილმა მოუწოდა ქართველ თავადაზნაურობას, მათი მეფე-ბატონის წყალობა და დამსახურება დავიწყებული თუ არ ჰქონდათ, მასთან შეკრებილიყვნენ. ასეთ ხელსაყრელ შემთხვევას მეორეს თქვენ ვეღარ ნახავთო, წერდა იგი, ქვემო მხრიდან შაჰი მოვიდა დიდი ჯარით, ალექსანდრე ბატონიშვილი დღეს-ხვალ 12 ათასი კაცით აქვე გაჩნდება, იმერეთი კი ისე აჯანყდა, რომ სადაც კი შეხვდა რუსებს, სულ ერთიანად გაწყვიტა და ზურგზე ბოლი ადინაო. მთიულებიც ფეხზე დგანან და თქვენც ნუღარ დააგვიანებთ მოსვლასო, ურჩევდა იგი[100]. ოსე-

[100] АКАК, т. IV, № 143.

ბი, რომელთაც იმედი ჰქონდათ, რომ ქართული სამეფო წყობილების აღდგენით ერისთავიანთ ყმობას თავს დააღწევდნენ, ადვილად მიემხრნენ ლევან ბატონიშვილს. მის მხარეზე იყვნენ ამ კუთხის ყველაზე გავლენიანი თავადები — მაჩაბლებიც. ქართლის დანარჩენ თავადაზნაურობასაც მერყეობის ნიშნები დააჩნდა და რუსეთის ხელისუფლების მოთხოვნას, გამოეყვანათ თავისი ხალხი ახლად დაწყებული აჯანყების ჩასაქრობად, სხვადასხვა საბაბის მომიზეზებით თავს არიდებდნენ[101].

ლევან ბატონიშვილის ხელში ჩასაგდებად ტორმასოვმა მისთვის ჩვეულ ყველა ხერხს მიმართა. ჯერ იყო და ბატონიშვილს მისი აღმზრდელი დეკანოზი იოანე ქართველიშვილი მიუგზავნა, რომელსაც დავალებული ჰქონდა, დაერწმუნებინა ყმაწვილი კაცი, თუ იგი მონანიებით გამოცხადდებოდა მთავარმართებელთან, უხვად დაასაჩუქრებდნენ და ხელმწიფესთანაც შუამდგომლობას აღუძრავდნენ მის საპატიებლად. რაც მთავარია, ასეთივე აზრის იყვნენ ლევანის მშობლებიც, რომლებიც შვილს რუსულ ხელისუფლებასთან შერიგებასა და ხელმწიფის მფარველობით ცხოვრებას ურჩევდნენ, მაგრამ ფიცხელმა ბატონიშვილმა არა თუ მთავარმართებლის დაპირებები არად ჩააგდო, არამედ რუსხელმწიფესთან შერიგებულ მშობლებზედაც სამუდამოდ უარი განაცხადა[102]. რუსული ხელისუფლების წინააღმდეგ საომრად შემართული ჭაბუკის განწყობილება ვერ გაანელა იულონ ბატონიშვილის მხლებლის, დავით აბაშიძის ორგზისმა მისიამაც, რომელზეც ტორმასოვი განსაკუთრებულ იმედებს ამყარებდა. დავითს ლევან ბატონიშვილისთვის უნდა ემცნო ახალქალაქთან ალექსანდრე ბატონიშვილისა და ერევნის ჰუსეინ-ხანის დამარცხება, რის შემდეგაც სპარსეთ-თურქეთის ერთობლივი გამოსვლა რუსეთის წინააღმდეგ მოსალოდნელი აღარ იყო. დავით აბაზაძესვე უნდა გაეგებინებინა ლევან ბატონიშვილისთვის მისი მეგობრისა და ბიძაშვილის, თეიმურაზ ბატონიშვილის თავის მოდრეკა რუსული ხელისუფლების წინაშე, რომელიც ახალქალაქთან ალექსანდრე ბატონიშვილის დამარცხების შემდეგ მონანიებით გამოცხადდა ტორმასოვთან. ლევან ბატონიშვილს ამ არგუმენტებმა ბრძოლაზე ხელი ვერ აღებინა. ასევე ვერ მოახერხა ტორმასოვმა ბატონიშვილის მოსაშორებლად მკვლელის დაქირავება, რომლის გასამრჯელოდაც თუ თავიდან 500 მანეთი ჰქონდა გადადებული, ბოლოს 2 000-იც გაიმეტა, მაგრამ ვერას გახდა.

---

101 АКАК, т. IV, № 640.

102 АКАК, т. VI, № 640, 652.

აჯანყებული ოსების მოსათვინიერებლად ტორმასოვმა პოლკოვნიკ სტალის მეთაურობით შეიარაღებული რაზმი გააგზავნა, მიუხედავად იმისა, რომ ოსებმა, დურმიშხან ტუსიშვილის მეთაურობით, გააფთრებული ბრძოლა გაუმართეს, რუსეთის რეგულარულმა ჯარის ნაწილებმა მაინც მოახერხეს ციცაბო და მიუვალ ადგილებში შეხიზნული ოსების წინააღმდეგობის გატეხა და მათი საცხოვრებლების დაწვა-განადგურება, მაგრამ ლევან ბატონიშვილი მაინც ვერ იგდეს ხელთ. იგი კავკასიონის ქედის ჩრდილო ფერდობზე გადავიდა და ნარას ხეობას შეაფარა თავი. ახლა ოსების შევიწროებითა და მათთან მოლაპარაკებით შეეცადა ტორმასოვი ლევან ბატონიშვილის შეპყრობას. მართალია, მთავარმართებელმა საწადელს ვერ მიაღწია, მაგრამ მის მიერ მიღებული ზომების შედეგად ბატონიშვილს იქ აღარ ედგომებოდა და მან 1811 წელს ახალციხეში გაპარვა გადაწყვიტა, რათა სოლომონ II-სთან და ალექსანდრე ბატონიშვილთან ერთად კვლავ თავისი საქმის გაგრძელებაზე ეზრუნა, მაგრამ მის გეგმებს განხორციელება არ ეწერა, ახალციხეში მიმავალი, სიცოცხლითა და ბრძოლის უნარით სავსე ახალგაზრდა ბატონიშვილი შემთხვევით ლეკმა აბრაგებმა გამოაჯალმეს წუთისოფელს.

1810 წლის ნოემბერში ტორმასოვმა გადაწყვიტა ახალციხის საფაშოზე გალაშქრება. ამ განზრახვის შესასრულებლად თითქოს ყოველმხრივ ხელსაყრელი მომენტი იყო შერჩეული. ცხადი იყო, რომ შერიფ-ფაშას პასიურობის გამო ახალქალაქთან დამარცხებული სპარსეთი ფაშას დასახმარებლად ხელს აღარ გამოიღებდა; იმერეთის აჯანყება დამარცხებული იყო და ქვეყანა საფუძვლიანად იყო დასჯილი (ასევე ჩამქრალი იყო ყუბის აჯანყებაც). ასე რომ, ტორმასოვს ახალციხის წინააღმდეგ მაქსიმალურად შეეძლო ჯარის მობილიზება. საქართველო-კავკასიაში თავისი მფლობელობის განმტკიცებისათვის რუსეთს აუცილებელ პირობად მიაჩნდა ახალციხის საფაშოს შემოერთება, რადგანაც ეს მხარე რუსეთ-თურქეთის ომების დროს საქართველოში შემოსაჭრელ მეტად მოხერხებულ პლაცდარმს წარმოადგენდა. გარდა ამისა, ვიდრე ახალციხის საფაშო თურქეთის ხელთ იყო, საქართველოში მშვიდობიანობის დამყარება თითქმის შეუძლებელი ჩანდა. ახალციხის საფაშო იყო ჭარბ-ბელაქნიდან შემოჭრილი დაღესტნელი აბრაგების ბუდე, რომელთა თარეში თითქმის განუწყვეტელ ხასიათს ატარებდა. ამავე დროს, XIX საუკუნის პირველი მეოთხედის განმავლობაში, საქართველოში რუსეთის წინააღმდეგ არცერთი აჯანყება არ ჩატარებულა ისე, რომ აჯანყებულებს დახმარება არ მიეღოთ ახალ-

ციხის საფაშოდან. ამჯერადაც, ტორმასოვის „მოსისხლე მტერი“, იმერეთიდან ლტოლვილი სოლომონ მეფე ახალციხის საფაშოში აფარებდა თავს და იმერეთის საზღვარზე, ოძრხის ციხეში დაბინავებული, ახალი აჯანყებისათვის ემზადებოდა.

აქვე უნდა აღვნიშნოთ ის ფაქტიც, რომ საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ, თითქმის პირველი დღეებიდან დაწყებული ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის მიუხედავად, არც ერთი რუსეთ-თურქეთისა თუ რუსეთ-სპარსეთის ომი არ ჩატარებულა ისე, რომ ქართველებს ამ ომებში მხურვალე მონაწილეობა არ მიეღოთ. ე. წ. „ქართულმა მილიციამ“ რუსეთის გამარჯვებებში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა. მოწინავე ქართველები ამ ბრძოლას დაკარგული მიწა-წყლის დაბრუნებისათვის საუკუნოვანი ოცნების განხორციელებას უკავშირებდნენ და მიუხედავად იმისა, რომ ამჯერად ამ მიწა-წყლის შემოერთება რუსული სამფლობელოების გაფართოებას ნიშნავდა, მაინც იმედს არ კარგავდნენ, რომ ნახევრად გამაჰმადიანებული პროვინციების შემოერთება-გაქრისტიანებით გარდა იმისა, რომ ლეკების მხრიდან საქართველოს ძარცვა-რბევასა და „ტყვის სყიდვას“ მოეღებოდა ბოლო, ადრე თუ გვიან ერთიანი საქართველოს აღორძინებასაც ჩაეყრებოდა საფუძველი. მხოლოდ ამ გარემოებით შეიძლება აიხსნას, რომ 1810 წლის გვიან შემოდგომაზე ახალციხის აღებისათვის ტორმასოვის მიერ წამოწყებულ ლაშქრობაში აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ იმერლები, რომლებიც სულ რაღაც რამდენიმე კვირის წინ, საყვარელი მეფის გარშემო ერთსულოვნად შემოკრებილნი, თავგანწირვით ებრძოდნენ რუსის ჯარს. ამჯერად, რუსებთან ერთად გენერალ სიმონოვიჩის მეთაურობით ახალციხის წინააღმდეგ მიმავალ იმერლებს თან მიჰქონდათ მრავალ ომში გამოვლილი და სასწაულებრივად აქამდე შენარჩუნებული დავით აღმაშენებლის დროშა, რომელიც ერთიანი, ძლიერი და დამოუკიდებელი საქართველოს სიმბოლოდ აღიქმებოდა და რომელიც, სამწუხაროდ, ამ ბრძოლაში დაიკარგა[103].

რუს-ქართველთა ლაშქარი ახალციხის საფაშოში სამი მხრიდან შევიდა და 15 ნოემბერს ახალციხე ყოველი მხრიდან გარშემორტყმული იყო, მაგრამ შერიფ-ფაშა ეგრე ადვილად არ აპირებდა დანებებას. გარნიზონი თავგამოდებით იცავდა ქალაქს და საგრძნობ ზიანსაც აყენებდა ტორმასოვს. სულ მალე რუსის ჯარს სურსათი შემოელია, ახალციხის გარშემო სოფლებში დაგზავნილმა რაზმებმა პურის მარაგი

---

103 თ ე ი მ უ რ ა ზ ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი, ახალი ისტორია, გვ. 78.

ვერსად აღმოაჩინეს, საქართველოდან წამოსული პურით დატვირთული ურმების ქარავანი შემოდგომის თოვლჭყაპიან ამინდებში ისედაც გაძვალტყავებულმა ხარებმა ვეღარ ზიდა და ახალციხისაგან 50 ვერსის დაშორებით, ბორჯომის ხეობაში, გოგიას ციხის მიდამოებში დადგა. სასოწარკვეთილი მთავარსარდალი საქართველოს მმართველს ახვერდოვს უბრძანებდა, ქართლის მოსახლეობაში სატვირთო ცხენები შეეგროვებინა, ფქვილით დაეტვირთა და სასწრაფოდ უმოკლესი გზით გაეგზავნა ახალციხისაკენ[104]. ყოველივე ამასთან ერთად რუსეთის რეგულარულ ჯარში და ქართულ მილიციაში საზარელმა სენმა, შავმა ჭირმა იჩინა თავი, რომელიც, როგორც გაირკვა, ახალციხეში და გარშემო სოფლებში ყოფილა გავრცელებული. სერიოზულად შეშფოთებულმა მთავარმართებელმა 26 ნოემბერს სასწრაფოდ მოხსნა ალყა ქალაქს და საქართველოსაკენ გამობრუნდა.

ახალციხის ლაშქრობის ასე უშედეგოდ დამთავრების გამო ნირწამხდარ ტორმასოვს მომავალი 1811 წელიც კარგს არაფერს უქადდა. აჯანყებებითა და საომარი მოქმედებებით გადაბუგულ ქვეყანას მოუსავლიანი წელიწადიც დაუდგა და ახალციხის საფაშოდან შემოტანილი შავი ჭირი და შიმშილი უწყალოდ ცელავდა მოსახლეობას. არანაკლებ საგანგაშო იყო საგარეო მდგომარეობაც. ინგლისელი ემისრებით წაქეზებული სპარსეთი გამალებული ემზადებოდა საომარი მოქმედებების განახლებისათვის. რუსული ხელისუფლების წინააღმდეგ სპარსეთთან ერთობლივი ბრძოლისათვის ემზადებოდა ერზერუმის სერასკირიც. ქვეყანაში შექმნილ დაძაბულ მდგომარეობას ისიც ამუქებდა, რომ რუსეთი, ნაპოლეონთან გადამწყვეტი ომის მოლოდინში მთელი თავისი ძალების მობილიზაციას ახდენდა და ტორმასოვისათვის ჯარის ნაწილების დამატების ნაცვლად, მისგან მოითხოვდა ოთხი პოლკის რუსეთში გაგზავნას. ყოველივე ამან აიძულა ტორმასოვი სამხედრო სამსახურიდან გადადგომა ეთხოვა. 1811 წლის ივლისის რესკრიპტით ტორმასოვის თხოვნა დაკმაყოფილებული იყო, მის ადგილას კი იმავე რესკრიპტით გენერალ-ლეიტენანტი მარკიზი პაულუჩი იყო დანიშნული.

ტორმასოვის სახელთანაა დაკავშირებული ქართველი ერის სულიერი და კულტურული ცხოვრებისათვის მიყენებული ის უდიდესი ზიანი, რომელიც თავისი უარყოფითი შედეგებით თითქმის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის დაკარგვის ტოლფასი იყო. ეს გახლ-

---

104 АКАК, т. IV, № 1233.

დათ 15-საუკუნოვანი ტრადიციებითა და ქართველი ერის სულიერი ცხოვრების ლიტერატურული ასახვის საგანძურით მდიდარი ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმება და მისი დაქვემდებარება რუსეთის სინოდისადმი. ეს დაქვემდებარება იყო პირველი ნაბიჯი მძლავრი ქართული სულიერ-კულტურული ცენტრის მოშლისა და ქართველი მღვდელთმსახურების რუსეთის სამსახურში ჩაყენების გზაზე. ამ საქმის განხორციელება წილად ხვდა გენერალ ტორმასოვს.

ჯერ კიდევ 1801 წლის თებერვალში, რუსეთის იმპერატორის ბრძანებულებით, კათალიკოს ანტონ II-ს დაევალა შეედგინა ქართული ეკლესიისა და სამღვდელოების რეალური მდგომარეობის ზუსტი აღრიცხვა. მას უნდა აღეწერა საეკლესიო მმართველობა და წარედგინა თავისი მოსაზრება ამ მმართველობაში სასურველი ცვლილებების შეტანის შესახებ. ვინაიდან კათალიკოსს ქართული ეკლესიის კეთილმოწყობა მისი ნება-სურვილის მიხედვით კი არ მიანდეს, არამედ მხოლოდ ცვლილებების პროექტის წარდგენა შესთავაზეს, ანტონ II მიხვდა, რას მოითხოვდნენ მისგან და დროის მოგების მიზნით ამ ბრძანებულების შესრულებას საერთოდ უგულვებელყოფდა. რუსული ხელისუფლება კი თავისი მიზნების განხორციელების ხანგრძლივი ვადით გადადებას სულაც არ აპირებდა და 1811 წელს 10 წელიწადი ლოდინის შემდეგ „დააკმაყოფილა“ მთავარმართებლის მოხსენება იმის შესახებ, რომ კათალიკოსს არ ძალუძს ქართულ ეკლესიაში წესრიგის აღდგენა არა მარტო თავისი ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო, არამედ უმთავრესად იმ მიზეზით, რომ იგი თვითნებურ მბრძანებლობას და უპასუხისმგებლობას არის მიჩვეული, რის უფლებასაც მას ადგილობრივი ადათ-წესების მიხედვით მისი მეფური წარმოშობა აძლევს, ამიტომ სასარგებლოდ მივიჩნევ საქართველოში უწმიდესი სინოდის ეგზარქოსად არქიეპისკოპოს ვარლამის დანიშვნასო[105]. თუ რა ფასი უნდა ჰქონოდა ტორმასოვის ამ სიტყვებს, იქიდანაც ჩანს, რომ ცოტა უფრო ადრე, 1810 წლის თებერვალში, იგივე ტორმასოვი რუსული ხელისუფლების წინაშე სრულიად საწინააღმდეგო თვისებების პიროვნებად წარმოადგენდა ანტონ კათალიკოსს: „სამართლიანობა მოითხოვს ითქვას, რომ კათალიკოსი ანტონ II იშვიათი თვისებების ადამიანი და წესრიგის მოყვარული პიროვნებაა, რომელსაც საყოველთაო პატივისცემა აქვს მოპოვებული“[106], — წერდა ტორმასოვი. აქვე თუ გავითვალისწინებთ, რომ 1811 წლისათვის ანტონ II მხოლოდ 47

[105] АКАК, т. IV, 162—163.
[106] АКАК, т. IV, с. 147.

წლისა იყო და თავისი ასაკისა და ტორმასოვის ამ დახასიათების თანახმად, ჩინებულად შეეძლო გაძღოლოდა ქართული ეკლესიის რეორგანიზაციის საქმეს, გასაგები ხდება, რომ მთავარმართებლის მოხსენება ანტონ კათალიკოსის შეცვლის შესახებ სინოდისადმი დაქვემდებარებული ეგზარქოსით, უმაღლესი ხელისუფლების მოთხოვნის შესაბამისად იყო შედგენილი და თვით მთავარმართებლის პიროვნების უარყოფით თვისებებს ამცღავნებდა, რომელიც მზად იყო უმაღლესი მოთხოვნის შესაბამისად კარდინალურად შეეცვალა თავისი აზრი.

კათალიკოსი ანტონ II ნიჟნი ნოვგოროდში გაასახლეს და გარდაცვალების შემდეგ ერმოლოვმა ამ ღირსეული და ღვაწლმოსილი ადამიანის უკანასკნელი თხოვნა — საქართველოში ჩამოსვენება და მშობლიური მიწისთვის მიბარებაც კი არ შეასრულა, „სამშობლოს საზღვრებთან ახლოსაც კი არ გაბედოს განსვენება"[107], — წერდა იგი.

1811 წლიდან კათალიკოსის ნაცვლად სინოდის დიკასტერიისადმი დაქვემდებარებული ეგზარქოსი დანიშნეს და პირველ ეგზარქოსად რუსეთში განსწავლული არქიეპისკოპოსი ვარლამ ერისთავი გამოგზავნეს. არქიეპისკოპოს ვარლამისა და გენერალ ტორმასოვის ხელმძღვანელობით მოხდა საქართველოს ეკლესიის მმართველობის რეორგანიზაცია და რუსეთის ეკლესიასთან მისი ურთიერთობის განსაზღვრა, რაც საეკლესიო კანონების უხეში დარღვევა იყო, და რასაც შემდგომში სავსებით საფუძვლიანად აპროტესტებდა ავტოკეფალიის დაბრუნებისათვის მებრძოლი ქართული ეკლესია, რომელიც ამ აქტს ანომალიურ, ანტიკანონიკურ და ანტიეკლესიურ აქტად აცხადებდა[108].

5. პაულუჩის (1811—1812 წწ.) და რტიშჩევის (1812—1816 წწ.) მმართველობა

მარკიზი ფილიპე ოსიპის ძე პაულუჩი წარმოშობით იტალიელი იყო. მან ძალიან ახალგაზრდამ დაიწყო მონაწილეობა იტალიის რევოლუციურ ომებში და მალე დიდ წარმატებასაც მიაღწია, მაგრამ ნაპოლეონის მიერ შექმნილ პოლიტიკურ წყობას ვეღარ შეეგუა და 1807 წელს იტალიიდან გადმოხვეწილმა, რუსეთის სამხედრო სამსახურში პოლკოვნიკის ჩინით დაიწყო მოღვაწეობა. მან მონაწილეობა მიიღო თურქეთთან ომში, ხოლო 1808 წელს შვეციაში ლაშქრობის დროს გენერალ-მაიორის ჩინი მიიღო. 1810 წელს პაულუჩი საქართველოში

---

107 АКАК, т. VI, ч. I, с. 280.

108 Правда об автокефалии Грузинской церкви. Кутаиси, 1905.

გამოგზავნეს გენერალ-კვარტირმეისტრად და მორიგ გენერლად და ამავე წელს, ახალქალაქთან აბას-მირზასა და ალექსანდრე ბატონიშვილის დამარცხებისათვის გენერალ-ლეიტენანტობა უბოძეს. 1811 წელს საქართველოს მთავარმართებლის თანამდებობიდან ტორმასოვის გადადგომის შემდეგ, ამ პოსტზე, როგორც უკვე აღნიშნული იყო, მარკიზი პაულუჩი დანიშნეს. მან მაშინვე გადაწყვიტა, რომ ვიდრე რუსეთი თურქეთთან დაზავდებოდა, საჭირო იყო ახალქალაქი წაერთმია თათრებისათვის, რათა ზავის დადების ჟამს ახალციხის საფაშოს ნაწილის შეერთება მაინც გაადვილებულიყო. ამ მიზნით მარკიზმა ახალქალაქში სიმამაცით განთქმული პოლკოვნიკი კოტლიარევსკი გაგზავნა, რომელმაც თოვლით დაფარული თითქმის გაუვალი ბორჯომის ხეობით წაიყვანა ჯარი და 8 დეკემბერს გათენებისას, თურქებისათვის სრულიად მოულოდნელი იერიშით ახალქალაქი აიღო, სადაც რუსული გარნიზონი ჩააყენა.

მარკიზი პაულუჩი რუსეთში სულ რაღაც სამიოდე წლის სამსახურის შემდეგ ჩამოვიდა საქართველოში, სადაც მალე უმაღლეს თანამდებობას — მთავარმართებლობასაც მიაღწია. ასე რომ, მას არამც თუ საქართველოს ყოფა-ზნე-ჩვეულებისა უნდა სცოდნოდა რა, არამედ რუსეთში გამეფებული მმართველობის წესიც ნაკლებად უნდა ყოფილიყო მისთვის ცნობილი. ასევე, ქართულ ენაზე რომ აღარაფერი ვთქვათ, უნდა ვიგულისხმოთ, რომ რუსულიც არ ეცოდინებოდა სრულყოფილად, რასაც, რა თქმა უნდა, არ შეიძლებოდა უარყოფითი გავლენა არ მოეხდინა და გარკვეული დაღი არ დაესვა მთავარმართებლისა და მისი ქვეშევრდომების ურთიერთობაზე. თუმცა სულ სხვაგვარი სურათი იხატება 1812 წელს საქართველოდან მიმავალი პაულუჩის წერილიდან, რომელშიც ის ახალ მთავარმართებელს თავის მართვა-გამგეობის გამოცდილებას შემდეგნაირად უზიარებდა: „აზიელი ხალხები ჩქარ მართლმსაჯულებას არიან მიჩვეული, ასე რომ მთავარსარდლის მთელი სიფხიზლე შეიძლება ვერც კი გაწვდეს ამ საგანს. მე ჩვეულებად მქონდა ყოველდღე, დილიდან შუადღემდე მთხოვნელების მიღება და სათითაოდ მათგანთან საუბარი. მეორე დღეს დილის 8 საათიდან წარმომიდგენდნენ ქართულად და თათრულად დაწერილი თხოვნების თარგმანს, რომელთა შესახებაც მე ჩემს გადაწყვეტილებას ვიძლეოდი და შუადღისათვის ყველა მთხოვნელს, როშელთაც წინადღით წარმოადგინეს თხოვნა, სათანადო რეზოლუცია უკვე ხელში ეჭირათ. ასეთი სისტემა, ჩემის აზრით, დამაკმაყოფილებელი

უნდა ყოფილიყო მათთვის"[109]. ასეთივე სისტემის გატარებას დაჟინებით ურჩევდა იგი თავის მომდევნო მთავარმართებელსაც. როგორც ვხედავთ, პაულუჩის არა მარტო მოუხერხებია საქართველოსათვის დამახასიათებელი მართლმსაჯულების არსის გაგება, არამედ ქვეყნის განვითარების დონის შესაბამისად, რუსეთში გაბატონებულ ბიუროკრატიულ მმართველობასთან შედარებით, უპირატესობაც კი მიუნიჭებია მისთვის. გარდა ამისა, მთავარმართებლად დანიშვნის დღიდან პაულუჩი შეეცადა წესრიგი დაემყარებინა საქართველოში განლაგებულ ჯარის ნაწილებში. მის მიერ გამოქვეყნებული ბრძანებულებები უმკაცრეს სასჯელს ითვალისწინებდნენ რიგით ჯარისკაცებსა და ოფიცრებს შორის გავრცელებული ლოთობის აღსაკვეთად. ასევე მკაცრად ილაშქრებდა მთავარმართებელი როგორც სამხედრო, ისე სამოქალაქო მოხელეებს შორის დამკვიდრებული მექრთამეობისა და ე. წ. „საჩუქრების" წინააღმდეგ. პაულუჩი უმაღლესი ხელისუფლების მიერ ხანების მოსყიდვა-მოქრთამვის პრაქტიკასაც აპროტესტებდა და სავსებით მართებულად ამტკიცებდა, რომ ასეთი პოლიტიკა ისედაც საეჭვო ზნეობის მოხელეების საყოველთაო გახრწნა-გადაგვარებას უწყობდა ხელს. ასეთი მონდომების მიუხედავად, პაულუჩიმ ვერც წესრიგის დამყარება შეძლო და შექმნილ სიტუაციასაც ვერ აუღია ალღო; მის მიერ დაშვებული საბედისწერო შეცდომა გახდა საბაბი 1812 წლის კახეთის მრისხანე აჯანყების დაწყებისა. საერთოდ 1812 წელი რუსული ხელისუფლებისათვის განსაკუთრებით მძიმე გამოდგა. ასობით კილომეტრზე გადაჭიმულ ვრცელ საზღვარზე გაბნეულ და ქვეყნის შიგნით სხვადასხვა საგუშაგო-ციხე-სიმაგრეებში წვრილ-წვრილ გარნიზონებად ჩაყენებულ რუსის ჯარს თითქმის ერთდროულად მოუხდა ბრძოლა გარედან შემოჭრილი მტრისა, თუ შიგნით მყოფი მეამბოხეების წინააღმდეგ.

1812 წლის დამდეგს ყარაბაღის სახანოში შემოჭრილმა აბას-მირზამ სერიოზული ზიანი მიაყენა რუსის ჯარს და მხოლოდ გენერალ კოტლიარევსკის მეთაურობით გაგზავნილი რაზმის ბრძოლების შედეგად შესაძლებელი გახდა იმ საფრთხის აცილება, რაც მოელოდა ყარაბაღის სახანოში რუსეთის მფლობელობას.

1811 წლის ბოლოსა და 1812 წლის დამდეგისათვის რუსული მმართველობის წინააღმდეგ აჯანყებამ იფეთქა ყოფილ ყუბის სახანოში. პაულუჩის მიერ დროზე მიღებული გადამწყვეტი ზომების შე-

[109] AKAK, т. V, с. 52—53.

დეგად ყუბის ყოფილი ხანი შიხ-ალი დამარცხებულ და განდევნილ იქნა.

1812 წელს თითქმის ერთდროულად მომხდარ მოვლენებს შორის თავისი მასშტაბებით და შედეგებით რუსული მმართველობისათვის ყველაზე უფრო მძიმე კახეთის აჯანყება იყო, რომლის შესახებ პაულუჩი მოახსენებდა სამხედრო მინისტრს, რომ „ცოტას გაწყდა რუსის ჯარი კინაღამ სულ ერთიანად არ ამოჟუჟესო“[110].

საქართველო-ამიერკავკასიაში რუსეთის მფლობელობის გაფართოებასთან ერთად იზრდებოდა აქ განლაგებული ჯარის რაოდენობაც, რომელმაც 1812 წლისათვის 28 000-დე მიაღწია, საქართველოს რუსეთთან შეერთების დღიდან 1812 წლამდე სხვადასხვა საშეფო-სამთავროებსა თუ სახანოებში რუსული მმართველობის წინააღმდეგ აჯანყება აჯანყებას მისდევდა, ასევე ბოლო არ უჩანდა რუსეთ-თურქეთისა და რუსეთ-სპარსეთის ომებს, რის შედეგადაც ქართველ გლეხობას განსაკუთრებული ჯაფა ადგებოდა, რადგანაც მთელი სამხედრო ამუნიციის, საჭურელისა და ბარგის გადაზიდვა, ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში განლაგებული ჯარის ნაწილებისათვის სურსათისა და ფურაჟის მიტანა დარსა თუ ავდარში, ყინვასა, ქარბუქსა და თოვლჭყაპში მკვიდრ მოსახლეობას უმძიმეს ბეგარად დაეწვა მხრებზე. საითაც კი დაიძვროდა რუსის მხედრობა — განჯას, გუმრს, ახალციხეს, ნუხას, ერევანს, იმერეთს თუ სხვაგან, უკან პურითა და ამუნიციით დატვირთული ურმების ქარავანი მისდევდა. ხშირად გლეხები იძულებული იყვნენ თავისი მეურნეობა უპატრონოდ მიეტოვებინათ და საკუთარი ურმებით, ხარ-კამეჩითა და ბარგის მზიდავი ცხენებით ამ მოვალეობის შესასრულებლად გამოსულიყვნენ; უზომოდ დატვირთული ურმები გზაში იმტვრეოდა, პირუტყვი მთაგორიან გზებზე თოვლსა და ყინვაში სიარულს ვეღარ უძლებდა და უწყალოდ იყლიტებოდა. სასოწარკვეთილი მეურმეები კი გაძვალტყავებული, დაავადებული და ცარიელ-ტარიელი ბრუნდებოდნენ შინ, სადაც უპატრონოდ მიტოვებული მეურნეობა გაჩანაგებული ხვდებოდათ. მართალია, სამხედრო ტვირთის გადაზიდვისათვის ხელისუფლების მიერ გადაკვეთილი ფასები იყო დაწესებული, მაგრამ ის მცირე ანაზღაურებაც კი, რომელიც რეალური ხარჯის ერთ მეხუთედსაც არ შეადგენდა, მოხელეთა ბოროტმოქმედებისა და საყოველთაო განუკითხაობის გამო იშვიათად ხვდებოდა სამხედრო ბეგარით წელში გატეხილ გლეხის ხელში. თვით

110 Маркова О. П. Восстание в Кахети 1812 г. — М., 1951, с. 83.

ცარიზმის ოფიციალური ისტორიკოსებიც ვერ უარყოფდნენ, რომ „უკიდურესად გამანადგურებელი საურმე ბეგარა უკანასკნელ ძალღონეს აცლიდა მოსახლეობას“[111]. კიდევ უფრო მძიმე იყო ქართველი გლეხობისათვის სახლებში ჯარის ჩაყენება, რაც აგრერიგად იყო გავრცელებული რუსული მმართველობის პირველ წლებში. ლოთი და უზნეო ჯარისკაცების საქციელით შეწუხებული გლეხობა ითხოვდა ოღონდ ესენი აქედან გაგვაცილეთ და ყაზარმებს ჩვენის ხარჯით ავუშენებთო. 1812 წლის კახეთის აჯანყების მიზეზების გამომკვლევ კომისიაში შესული მოხსენებები აჭრელებულია იმ ენით აუწერელი შეურაცხყოფის, დამცირებისა და ოჯახის პატიოსნების შელახვის აღწერით, რის მოთმენაც უხდებოდა გლეხობას; ისეთი უბედურება, რაც რუსობამ დაგვატეხა თავს, ოსმალობის, ყიზილბაშობის და ლეკიანობის დროსაც კი არ გამოგვივლია... მტერიც კი არ დააწიოკებს ისე სოფელს, როგორც მაგათ აგვიკლესო — ჩიოდნენ გლეხები[112]. თვით მთავარმართებელი რტიშჩევი, რომელმაც პაულუჩი შეცვალა, მოახსენებდა იმპერატორს, რომ 9 წლის განმავლობაში კახეთში დაბანაკებული ნარვის პოლკის შეფის პორტნიაგინის სახელის ხსენებაზეც კი კახელი გლეხები ზიზღს ვერ მალავენო. სამწუხაროდ, ნარვის პოლკი და მისი შეფი გამონაკლისი არ ყოფილა, კახეთშივე განლაგებულ ყაბარდოს ქვეითი ჯარისკაცების პოლკში ლოთობა, ჯარისკაცებისაგან მკვიდრი მოსახლეობის აკლება-შეურაცხყოფა, სამხედრო და პროვიანტის მოხელეების მიერ გლეხებისათვის გასაცემი სახელმწიფო ფულის გაფლანგვა იმდენად ყოფილა გავრცელებული, რომ ასეთი ამაზრზენი ფაქტებისათვის გვერდი ვერ აუვლია ზისერმანსაც კი, რომელმაც ყაბარდოს პოლკის გმირულ ბრძოლათა ასახვას 5-ტომიანი ნაშრომი მიუძღვნა[113].

ისტორიკოსი ო. მარკოვა თავის მონოგრაფიაში — „აჯანყება კახეთში 1812 წ.“ — ყურადღებას ამახვილებს რუსი ჯარისკაცების უზნეობასა და მრუშობაზე და აღნიშნავს, რომ ქვეყანაში, სადაც ოჯახის პატიოსნებას კანონმდებლობა ისე მკაცრად იცავდა, რომ პატიოსნების შემლახველი ბატონის მკვლელობის შემთხვევაშიც კი კანონი მკვლელი გლეხის დასჯას არ ითვალისწინებდა, ქვეყნის დასაცავად შემოსული ჯარის მიერ ყოველ ფეხის ნაბიჯზე ოჯახის შეუ-

---

111 Потто, Утверждение..., т. II, с. 344.

112 ალექსანდრე ფრონელი. ამბოხება კახეთისა (1812 წ.), ისტორიული ამბავი — ტფილისი, 1907.

113 Зиссерман А. История 80—20 пех. Кабардинского ген.-фельдм. кн. Барятинского полка — (1726—1880), — СПБ, 1881, т. I.

რაცხყოფა-შეგინება განსაკუთრებით მტკივნეული და ძნელად ასატანი უნდა ყოფილიყო ქართველი გლეხისათვის[114].

საგზაო-საურმე ბეგარასთან ერთად გლეხს უმძიმეს ტვირთად აწვა ე. წ. „პურის იძულებით გაწერა“, ანუ ხელისუფლების მიერ დაწესებულ ფასებში ჯარის გამოსაკვებად საჭირო პურის იძულებითი შესყიდვა. გარდა იმისა, რომ ხელისუფლების მიერ დაწესებული ფასები პურის საბაზრო ფასებთან შედარებით გაცილებით უფრო იაფი იყო, ამ მოვალეობას .საინტენდანტო მოხელეების არაკეთილსინდისიერებაც ამძიმებდა. პურის შემსყიდველი კომისიონერები კაპიტან-ისპრავნიკებთან და ესაულებთან შეთანხმებული მოქმედებით, უზომოდ გაზრდილი საწყაოებით, თუ სხვა რამ ხრიკებით უკანასკნელ ლუკმას ართმევდნენ გლეხებს და მეურნეობის გაძღოლის ხალისს უკარგავდნენ. განმკითხავი კი არსად იყო, რადგანაც ქართველ გლეხს რუსული სამართლისა არაფერი გაეგებოდა და კიდეც რომ მოეხერხებინა და მიემართა სასამართლოსათვის, იქ გამეფებული ბიუროკრატიული წესებისა და საყოველთაოდ გავრცელებული მექრთამეობის შედეგად ზარალის მეტს ვერაფერს ნახულობდა. ან კი რა სამართალზე შეიძლებოდა ლაპარაკი, როდესაც კანონიერების სადარაჯოზე მყოფი უმაღლესი მოხელე პროკურორი პლახოტინი თვითონ ჩადიოდა უკანონობას და ებრაელებთან შეთანხმებული, მაგარი სასმელებით ვაჭრობდა. სამართლის მაძიებელ გლეხს სამხედრო და სამოქალაქო მოხელეები ცინიკურად პასუხობდნენ: ტყუილად გარჯილხართ, რადგანაც აქედან „ღმერთი ძალიან მაღლაა და ხელმწიფე კი ძალიან შორს არის“. აქ არ შეიძლება ალ. ფრონელის მოსწრებულად გამოთქმული შენიშვნა არ გავიზიაროთ, რომელიც წერდა, რომ „... თორმეტის წლის უსამართლო მართვა-გამგეობამ და დარბევამ საქართველო აოხრა, გაატიალა; ძველი წესი და ჩვეულება მილეწ-მოლეწა და მის ნანგრევებზე ისეთი შენობა ააგო, რომ პირუტყვს არ შეესვლებოდა შიგა“[115].

ყველა ჩვენს მიერ აღწერილ უბედურებას გამუდმებული წვიმების გამო 1811—1812 წლების მოუსავლიანობა და ახალციხის საფაშოდან შემოტანილი შავი ჭირიც ზედ დაერთო და ქვეყანაში უაღრესად დაძაბული მდგომარეობა შეიქმნა. ასეთ პირობებში საქართველოს უმაღლეს ხელისუფლებას განსაკუთრებული მოქნილობის გამოჩენა მოეთხოვებოდა, რათა ისედაც გართულებული მდგომარეობა უფრო

---

114 Маркова О. П. Восстание..., с. 149.

115 ალექსანდრე ფრონელი. ამბობება კახეთისა (1812 წ.), ისტორიული ამბავი. — ტფილისი, 1907, გვ. 83.

მეტად აღარ დაემძიმებინა, მაგრამ პაულუჩიმ ქვეყნისათვის თავსდატეხილი გაჭირვების გათვალისწინების ნაცვლად წინა წლის პურის გადასახადის აკრეფაც მოითხოვა და შესასყიდი ფასებიც არ გაზარდა. კოდ პურში ხელისუფლება 6 აბაზს უხდიდა გლეხს მაშინ, როცა ბაზარზე კოდი მარცვლეული 4—5 მანეთი ღირდა. მარტო სიღნაღის მაზრას 40 000 კოდის მისყიდვა შეაწერეს. მაზრის მოსახლეობას 10 000 კოდის მეტის გამოღება არ შეეძლო. ასეთივე მდგომარეობა იყო სხვა მაზრებშიც. მაშინ მთავარმართებელმა უკიდურეს ზომას მიმართა. ჯარისათვის საჭირო სურსათის ამოსაგებად შიმშილობითა და შავი ჭირით შეწუხებულ სოფლებს სამხედრო ძალა — ეგზეკუციები შეუსია. მარკიზმა აღმოსავლეთ საქართველო 7 ოლქად დაყო, კახეთის (სიღნაღისა და თელავის მაზრა) ოლქის უფროსად გენერალი პორტნიაგინი დანიშნა, რომელმაც 10-დან 50-მდე კაციანი რაზმები დააყენა სოფლებში პურის შესაკრებად. საეგზეკუციო რაზმების ენით აუწერელი ძალადობა გახდა ის უკანასკნელი წვეთი, რომელმაც კახელების მოთმინების ფიალა აავსო და წლების განმავლობაში დაგროვილი ბოღმა გადმოანთხევია. აჯანყება 1 თებერვალს თიანეთიდან დაიწყო, ელვის სისწრაფით მოედო მთელ კახეთს და სულ რაღაც 8 დღის განმავლობაში ანანურის მაზრაშიც გაერცელდა.

თანამედროვე ქართულ ისტორიოგრაფიაში სავსებით მართებულად მიღებულია მოსაზრება, რომ, მართალია, კახეთის აჯანყება ერთის შეხედვით თითქოს სტიქიურ ხასიათს ატარებდა, მაგრამ სინამდვილეში აჯანყება კარგა ხნის განმავლობაში მზადდებოდა, მას გამოცდილი ხელმძღვანელობა ჰყავდა, რომელსაც სამოქმედო გეგმის გარდა აჯანყების იდეური პროგრამა და მიზანდასახულობაც ჰქონდა შემუშავებული[116].

აჯანყებულებს თავადები ჩაუდგნენ სათავეში და კახეთის ციხესიმაგრეებში, შტაბ-ბინებსა თუ სოფლებში მცირერიცხოვან რაზმებად გაბნეულ ჯარს სწრაფი და გეგმიანი მოქმედებით ისე აურიეს თავგზა, რომ ჯარმა გაერთიანება და სერიოზული წინააღმდეგობის გაწევა ვეღარ შეძლო. 2 თებერვალს თელავსა და სიღნაღს შორის ყოველგვარი კავშირი გაწყვეტილი იყო. იმავე დღეს სიმონ ბებურიშვილისა და ივანე მაყაშვილის ხელმძღვანელობით აჯანყებულებმა თელავი ჩაიგდეს ხელთ. 50 კაცამდე რუსულმა გარნიზონმა კომენდანტ შმატო-

116 ნ. ბერძენიშვილი. საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. II, გვ. 432; ა. ბენდიანიშვილი. ეროვნული საკითხი საქართველოში 1801—1921 წწ. — თბ., 1980, გვ. 66—71.

ვის მეთაურობით ძლივს მოასწრო თელავის ციხეში გამაგრება. გენერალ პორტნიაგინის მიერ თელავის გარნიზონის საშველად გაგზავნილმა რაზმებმა ქალაქს ვეღარაფერი უშველეს. აჯანყებულებთან ბრძოლაში ამ რაზმების თითქმის ნახევარი დაიღუპა, დანარჩენმა დიდის ვაი-ვაგლახით გაიკაფა გზა ციხისაკენ და აქ გამომწყვდეულ გარნიზონს შეუერთდა, სადაც 300-მდე რუსი მეომარი, კახელების მიერ ალყაშემორტყმული, 32 დღის განმავლობაში სავსებით მოწყვეტილი იყო გარესამყაროს[117].

აჯანყება უსწრაფესად ვრცელდებოდა. კახეთის სოფლები ერთიმეორის მიყოლებით გადადიოდნენ აჯანყებულთა მხარეზე. კახეთისათვის ღვთის რისხვად მოვლენილი გენერალი პორტნიაგინი ისე დაიბნა, რომ აჯანყებულებზე გადამწყვეტი შეტევის ნაცვლად საგარეჯოში, თავის შტაბ-ბინაში შეკეტილი თბილისში თხოვნას თხოვნაზე აგზავნიდა დამხმარე ჯარის გამოგზავნის თაობაზე. რამდენიმე დღეში ამბოხებულთა სხვადასხვა რაზმებმა ძმების სიმონ და ადამ ბებურიშვილების, ნინია ანდრონიკაშვილის და ოთარ ქობულაშვილის მეთაურობით თითქმის ერთდროულად აიღეს სიღნაღი, გადაწვეს სოფელი ბოდბისხევი, სადაც მიწასთან გაასწორეს ყაბარდოს ქვეითი პოლკის შტაბი, ხელთ იგდეს პოლკის მთელი ქონება, გადარჩენილმა განიარაღებულმა ნაწილებმა ძლივს მოასწრეს ყარაღაჯის ციხეში შესვლა, სადაც ჯარის სხვა გადარჩენილ ნაწილებთან ერთად ალყაშემორტყმულნი აღმოჩნდნენ; ასევე ალყაში მოექცა სოფელ ქოდალოში დაბანაკებული რუსული გარნიზონიც. სიღნაღის მაზრის სოფელ ანაგაში აჯანყებულებმა ხელთ ჩაიგდეს კაზაკთა პოლკის ბინა. აჯანყებულთა შეტევა იმდენად გააფთრებული იყო, რომ კაზაკთა პოლკიდან მხოლოდ ესაული კუზნეცოვი და რამდენიმე კაზაკი გადარჩა. კახელებმა იერიში მიიტანეს საგარეჯოზეც, სადაც ნარვის დრაგუნთა პოლკის შტაბ-ბინაში თავი მოიყარა სხვადასხვა სოფლებში დამარცხებულმა ესკადრონების ნაწილებმა, თბილისიდან დახმარების მიღების იმედი აღარ იყო და პორტნიაგინი 9 თებერვალს ღამით ერთი მუჭა გადარჩენილი ჯარისკაცებით (261 კაცით ნაცვლად 1200-სა) გაემეპარა გარშემორტყმულ ალყას და მოვლითი გზებით გამოეშურა თბილისისაკენ[118]. ამგვარად, სულ რაღაც ათიოდე დღის განმავლობაში, თუ არ ჩავთვლით თელავში, ყარაღაჯსა და ქოდალოში ნახევრად განიარაღებულ ალყაშემორტყმულ რაზმებს, კახეთში რუსის ჯარი აღარ დარჩა.

117 AKAK, т. V, с. 67—82.

118 AKAK, т. V, с. 72.

10 თებერვალს აჯანყება ანანურის მაზრასაც მოედო, სადაც იოსებ სიდამონიშვილის ხელმძღვანელობით ფშავ-ხევსურების და თიანელების ათასკაციანი რაზმი მოვიდა. სიდამონიშვილმა შიკრიკები დააგზავნა დარიალის ხეობაში მთიულებთან, მოხევეებთან, გუდამაყრელებთან, თაგაურელებთან და მოუწოდა მათ შეერთებოდნენ, რათა საბოლოოდ შეეკრათ საქართველოს რუსეთთან შემაერთებელი ეს ერთადერთი გზა. მხოლოდ თავადების: ყაზბეგის, კონსტანტინე მუხრანბატონის და თორნიკე ერისთავის ენერგიული მოქმედების მეოხებით რუსული ხელისუფლებისათვის ვითარებამ კრიტიკულ ზღვარს არ მიაღწია.

ვლადიკავკაზიდან გამოგზავნილი როტა და ქართლიდან მოშველებული გრენადერები თავგანწირვით იბრძოდნენ მეამბოხეთა წინააღმდეგ. რუსებმა დაიბრუნეს ანანური, დუშეთი, საშაბუროსთან დაამარცხეს სიდამონიშვილის რაზმი, მაგრამ საქართველოს სამხედრო გზა საბოლოოდ გაწმენდილი მაინც არ იყო.

კახეთ-თბილისის მიმართულებით აჯანყებულები თბილისთან სულ ახლოს მარტყოფში გამოჩნდნენ, მართალია, მათ წინააღმდეგ გაგზავნილმა ჯარმა დაამარცხა ისინი, მაგრამ მეამბოხეებმა უკან დაიხიეს და ხაშმის სამებასთან გამაგრდნენ.

20 თებერვლისათვის ქართლიდან კახეთში შევიდა ბატონიშვილი გრიგოლ იოანეს ძე, რომლის გასახლებაც რუსულ ხელისუფლებას რატომღაც გამორჩენოდა. ბაგრატიონთა სახლის ერთ-ერთი წევრის გამოჩენამ აჯანყებულები იდეურად გააერთიანა და შემდგომი ბრძოლის ხტიმული მისცა, მაგრამ ამავე ხანებში ყარაბაღიდან სასწრაფოდ დაბრუნდა მთავარმართებელი, რომელიც ენერგიულად შეუდგა გადამწყვეტი ზომების მიღებას. პაულუჩიმ ბრძოლის დაწყებამდე მშვიდობიანი მოლაპარაკება სცადა აჯანყებულებთან. იგი მათ ღალატსა და ფიცის გატეხას აბრალებდა, დიდი ჯარითა და საბოლოო დაქცევით აშინებდა და ამავე დროს პირდებოდა, რომ ვინც იარაღს დაყრის და დანაშაულს მოინანიებს, არ დაისჯებაო[119]. მეამბოხეებმა პაულუჩის ღირსეული პასუხი გასცეს. მათ მოღალატეობისაგან თავი შორს დაიჭირეს და ყველაფერში ადგილობრივი ხელისუფლება დაადანაშაულეს — თქვენ გადახვედით ხელმწიფის ბრძანებას, უსამართლოდ გვევქცეოდით, გვხოცავდით, თოკით გვაბრჩობდით, ცოლშვილს შეურაცხყოფას აყენებდით, ამდენი უბედურება ჩვენ ვერ ავიტანეთ, ასეთ

[119] АКАК, т. V, с. 82.

სიცოცხლეს სიკვდილი ჯობნებინეთ და მტკიცედ გადავწყვიტეთ, რომ ბრძოლაში უნდა დავიხოცოთო[120]. ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მკვლევრები ამ პასუხში სავსებით მართებულად აჯანყების იდეურ პროგრამას ხედავენ და ასკვნიან, რომ 1812 წელს მომხდარი უდიდესი კონფლიქტის მიუხედავად, ქართველი ხალხი რუსულ ორიენტაციაზე კი არ იღებდა ხელს, არამედ შესაძლებლად მიაჩნდა 1783 წლის ტრაქტატით გათვალისწინებული უფლებების მოპოვება, მაგრამ რუსეთის იმპერია სულაც არ აპირებდა უკვე შეერთებული ქვეყნისათვის ავტონომიის მინიჭებას[121].

პაულუჩიმ პირველი შეტევა ხაშმის სამებასთან გამაგრებულ ამბოხებულებზე მიიტანა, ცხარე ბრძოლის შემდეგ მან მიწასთან გაასწორა „აჯანყებულთა ბუდე", 40 კაცი დაიღუპა, 2 ტყვედ ჩავარდნილი, მარკიზის ბრძანებით სხვების დაშინების მიზნით, იქვე ჩამოახრჩვეს. ამის შემდეგ მთავარმართებელმა გეზი სიღნაღისკენ აიღო. არტილერიით აღჭურვილი რეგულარული ჯარის უპირატესობამ ჰაი-ჰარად შეიარაღებული მეამბოხეების წინაშე თავისი გაიტანა და პაულუჩი ზედიზედ ამარცხებდა აჯანყებულებს, ათავისუფლებდა ალყაში მომწყვდეულ რუსული ჯარის ნაწილებს; პაულუჩიმ აიღო საგარეჯო, ქოდალო, სიღნაღი, შემდეგ გაეშურა თელავისაკენ, მაგრამ გზაში სოფელ ჩუმლაყთან სერიოზულ წინააღმდეგობას წააწყდა. აქ 4000 ფშავ-ხევსური და ლეკი გრიგოლ ბატონიშვილის წინამძღოლობით ისე გააფთრებულნი ეკვეთნენ რუსის ჯარს, რომ დროებით მათი შეჩერებაც კი მოახერხეს. გრიგოლ ბატონიშვილი უკანამხარის სოფლების გლეხებთან გაგზავნილ მოწოდებაში შეერთებოდნენ მის რაზმს, ჩუმლაყთან ბრძოლას თავის დიდ გამარჯვებად მიიჩნევდა და წერდა, რომ „... გათენებისას ისევ იქნება ბრძოლა. ღმერთი არის ჩვენი შეშწე, ვიდრე ერთი კახელი მაინც არის ცოცხალი, კახეთი არ დანებდება"[122]. მაგრამ დილით რუსებმა ჩუმლაყი აიღეს და გადაწვეს, გრიგოლ ბატონიშვილი ანწუხში ლეკებთან გაიქცა, ჩუმლაყის ბრძოლის შემდეგ თელავის დაკავებას და მის ციხეში გამოკეტილი რაზმის განთავისუფლებას წინ აღარაფერი უდგა. საერთოდ 10 მარტისათვის აჯანყებულთა წინააღმდეგობა ყველგან გატეხილი იყო, განსაკუთრებით ურჩი სოფლები გადამწვარი და ირგვლივ სახელდახელოდ ჩასმულ ბოძებზე მეამბოხეები იყვნენ ჩამოხრჩობილნი.

---

120 AKAK, т. V, с. 82—85.

121 ა. ბენდიანიშვილი. ეროვნული საკითხი..., გვ. 69—71.

122 AKAK, т. V, с. 44.

პაულუჩიმ კარგად იცოდა, რომ მარტო სასტიკი ზომებით ვერაფერს გააწყობდა და რომ გარკვეულ დათმობებზე წასვლაც საჭირო იყო. იგი აჯანყებაში მონაწილეთ ამნისტიის გამოცხადების გარდა კახეთის ძმართველობის რეფორმის გატარებასაც დაპირდა, რომლის მიხედვითაც მმართველობის სათავეში კახეთის ოლქის უფროსი, მაზრის მოურავი და მაზრის თავადაზნაურთა მარშალი უნდა ყოფილიყვნენ. გააუქმებდა ხალხისათვის განსაკუთრებით საძულველი კაპიტან-ისპრავნიკების ინსტიტუტს და მათ ადგილას კვლავ მოურავებს დააბრუნებდა. გააუქმებდა აგრეთვე მაზრისა და საერობო სასამართლოებს, სადაც კახელი გლეხი სამართალს ვერ პოულობდა, ახლადშემოღებულ საოლქო სასამართლოში თავმჯდომარედ ოლქის უფროსი იქნებოდა, წევრებად — თავადაზნაურობის წარმომადგენლები; სამოქალაქო სამართალში ვახტანგის კანონებით იხელმძღვანელებდნენ. თუ თეიმურაზ და დავით ბატონიშვილებს დავუჯერებთ, პაულუჩი იძულებული გამხდარა კიდევ უფრო მნიშვნელოვან დათმობაზე წასულიყო აჯანყებულების მიმართ და ჩუმლაყთან ბრძოლის დროს რუსეთიდან ბატონიშვილების მოყვანას პირდებოდა. „გარნა იხილა რა მარკიზმან ჟინადგან ვერ ძალუძს პირისპირობა კახთა, ეევდრა ზავსა და აღუთქვა კახთა რ(ომე)ლ მოგგვრიო მეფის ძეთა თქვენთა რუსეთით. ამას ზედან შხიარულ იქმნეს კახნი და ჰყვეს ზავ და მოჰგვარეს გაღმა-მხრელთ უმეტეს სამასისა სალდათნი შეპყრობილნი აფიცრებითურთ, რომელნიცა შეიპყრეს ამბოხსა მას...“[123] რა თქმა უნდა, ყველა ამ პირობის, განსაკუთრებით კი უკანასკნელის შესრულება პაულუჩის კომპეტენციას დიდად აჭარბებდა და, ალბათ, როგორც ალ. ფრონელიც აღნიშნავს, ეს გარემოებაც უნდა ყოფილიყო მიზეზი იმისა, რომ კახეთიდან თბილისში დაბრუნებულ პაულუჩის იმპერატორის ბრძანება დახვდა, რომლითაც მას პეტერბურგში იწვევდნენ, მის ადგილზე კი რტიშჩევს ნიშნავდნენ, მარკიზმა ყველა ღონე იხმარა, რაც შეიძლება სწრაფად გასცლოდა აქაურობას; კახელმა თავადაზნაურობამ კი, ალბათ, ამავე მიზეზით დელეგაცია გაგზავნა იმპერატორთან და მისი დატოვება ითხოვა, მაგრამ მათ თხოვნას ხელმწიფემ ყურადღება არ მიაქცია.

1812 წლის 20 აპრილს საქართველოში ჩამოვიდა ახალი მთავარმართებელი გენერალ-ლეიტენანტი ნიკოლოზ თევდორეს ძე რტიშჩევი, რომელიც 1811 წლიდან კავკასიისა და ასტრახანის გუბერნატორად იყო დანიშნული. პაულუჩის პეტერბურგს გაწვევის შემდეგ

[123] თეიმურაზ ბაგრატიონი. ახალი ისტორია..., გვ. 83.

ამ გუბერნიებისა და საქართველო-ამიერკავკასიის მმართველობა კვლავ ერთი პიროვნების — რტიშჩევის ხელში გაერთიანდა. ახალი მთავარმართებელი უინიციატივო და უნიათო პიროვნება იყო, რომელიც არაფრით გამოირჩეოდა არც სამხედრო და არც სამოქალაქო სამსახურის სარბიელზე, მან 22 წლის სამსახურის შემდეგ ძლივს მიაღწია გენერალ-ლეიტენანტის ჩინს. საქართველო-ამიერკავკასიაში არსებული გამწვავებული საგარეო და საშინაო პირობების დროს ამ მხარის მთავარსარდლად და მთავარმართებლად ასეთი უფერული პიროვნების დანიშვნა საერთაშორისო მდგომარეობით უნდა ყოფილიყო გამოწვეული; რუსეთი გამალებული ემზადებოდა ნაპოლეონთან გადამწყვეტი ომისათვის, მთელ თავის საუკეთესო სამხედრო და ადმინისტრაციულ ძალებს მოსკოვ-პეტერბურგში უყრიდა თავს და კავკასიისათვის დიდად აღარ ეცალა.

პაულუჩი ჯერ კიდევ 1812 წლის მარტში მოახსენებდა ალექსანდრე I-ს, რომ „უჩკუოების ამპარტავნება და თავხედობა გათელილია. კახეთში მშფოთვარე სული მოსპობილი, წყობილება აღდგენილი და მთელი საქართველო დამშვიდებულია“[124]. მაგრამ კახეთი საბოლოოდ დაწუნარებული რომ არ იყო, ეს პაულუჩმაც კარგად იცოდა და რტიშჩევმაც მოსვლის უმალ შეამჩნია, რომ თებერვლის თვიდან დაწყებული აჯანყება კახელი მოსახლეობისა მხოლოდ მიჩუმებული იყო და არა შეწყვეტილი. კახელ მეამბოხეებს პაულუჩის ამნისტიისა მაინცდამაინც არა სჯეროდათ და სულ სასჯელის მოლოდინში იყვნენ. მათი ეს მოლოდინი მაინცდამაინც უსაფუძვლო არ იყო, ვინაიდან გარდა იმისა, რომ ყოფილი მთავარმართებელი თვითონვე არღვევდა თავის მიცემულ პირობას და მოსანანიებლად მისულ თავადებს იჭერდა და სამაგალითოდ სჯიდა, რტიშჩევსაც საიდუმლო გამოძიების წარმოებასა და დამნაშავეების მოულოდნელ დაჭერას ურჩევდა. ასეთი უნდობლობის პირობებში, როდესაც კახელებს თავისი მიზნები შესრულებულად არ მიაჩნდათ, აჯანყებამ კვლავ იფეთქა და აპრილის ბოლოსა და მაისის დასაწყისისათვის თითქმის მთელ კახეთსა და ანანურის მაზრას მოედო, ამბოხებულებმა კინაღამ შეკრეს საქართველოს სამხედრო გზა. შეშფოთებულმა რტიშჩევმა კახეთში დიდი ჯარით გააგზავნა გენერალი სტალი და გენერალი დიმიტრი ორბელიანი. ამავე დროს გააუქმა პაულუჩის მიერ დაარსებული კომისია, რომელიც აჯანყების მიზეზებს იკვლევდა და რომლის მე-8 მუხლი აჯანყების მოთავეების

124 АКАК, т. V, с. 80.

გარკვევას ითვალისწინებდა. ნაწილობრივ დამსჯელი ექსპედიციებითა და ნაწილობრივ დათმობებით ამჯერადაც მოხერხდა აჯანყების მინელება, მაგრამ ქვეყანა საბოლოოდ დაწყნარებული მაინც არ იყო.

1812 წელს, კუტუზოვის მიერ დუნაიზე მიღწეული გამარჯვებების მერე შესაძლებელი გახდა თურქეთთან ბუხარესტის ზავის დადება, რომელიც ალექსანდრე I-ის მიერ ზედ საფრანგეთთან ომის დაწყების წინ, 1812 წლის 11 ივლისს იყო რატიფიცირებული და რომლის მიხედვითაც რუსეთი თურქეთს უბრუნებდა ახალქალაქსა და ფოთს. გარდა ამისა, თურქეთსავე უბრუნდებოდა ვალახია და მოლდავეთი, სამაგიეროდ რუსეთი თურქეთის მხრიდან შემოტევისაგან უზრუნველყოფილი იყო. ასეთივე გარანტიის მიღწევა იყო საჭირო სპარსეთის მხრიდანაც და ცენტრალური ხელისუფლება დაჟინებით მოითხოვდა რტიშჩევისაგან ყველა ღონე ეხმარა იმისათვის, რომ როგორმე დაედო ზავი სპარსეთთან. რტიშჩევი იმდენად იყო მონდომებული, შეესრულებინა უმაღლესი დავალება, რომ ადვილად წამოეგო შაჰის პროვოკაციულ წინადადებას: საზავო მოლაპარაკებისათვის შეხვედროდნენ ერთმანეთს რუსეთ-სპარსეთის საზღვარზე. ამ მიზნით რტიშჩევი არა მარტო თვითონ გაემგზავრა ყარაბაღისაკენ, არამედ ირანზე გავლენის მოსახდენად 3000-იანი რაზმიც თან წაიყვანა. რტიშჩევისა და აბას-მირზას წინასწარი შეთანხმებით 40 დღიანი დროებითი ზავი გამოცხადდა და მთავარმართებელი დარწმუნებული იყო, რომ სასურველ შედეგს მიაღწევდა, მაგრამ სპარსეთი სულაც არ ფიქრობდა ზავის დადებას, მისი ეს მანევრი, როგორც შემდეგში გაარკვია მთავარმართებელმა, იქითკენ იყო მიმართული, რომ რტიშჩევი გამოეტყუებინა საქართველოდან და საშუალება მიეცა ალექსანდრე ბატონიშვილისათვის საქართველოში შეჭრილიყო[125].

1812 წლის თებერვალში, ჯერ კიდევ კახეთის აჯანყების პირველ ეტაპზე, ალექსანდრეს კახელი თავადების 40-კაციანი დელეგაცია მიუვიდა. ბატონიშვილი კახეთში მიიწვიეს და „აღუთქვეს პირი მტკიცე, რათა ჰყონ მეფედ თვისსა ზედან". ბატონიშვილის მოწოდებანი, რომლებშიც იგი კახელებს, თუშ-ფშავ-ხევსურებს და მოხევეებს ერთგულებას, მამულისათვის გარჯას და მხნეობას უქებდა და კიდევ უფრო მეტი თავგანწირვისა და შეურიგებელი ბრძოლისაკენ მოუწოდებდა, მთელ საქართველოში იყო მოფენილი. 12 წლის განმავლობაში სამშობლოდან გადახვეწილმა ბატონიშვილმა საქართველოში შე-

---

125 AKAK, т. V, с. 714—715.

მოსასვლელად მეტად ხელსაყრელი დრო შეარჩია. რუსეთი ნაპოლეონთან სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში იყო ჩაბმული და კავკასია-საქართველოსათვის არ ეცალა; მთავარმართებელი, ჯარის მნიშვნელოვანი ნაწილით ყარაბაღში იდგა და ამაოდ ცდილობდა აბას-მირზასთან მოსალაპარაკებლად შეხვედრას, საქართველო კი რტიშჩევზე უფრო უგერგილო გენერლის, დიმიტრი ორბელიანის ანაბარა იყო მიტოვებული. მიუხედავად იმისა, რომ ორბელიანი დროზე იყო გაფრთხილებული თავისი მსტოვრების მიერ, ბატონიშვილის საქართველოში მოსალოდნელი შემოსვლის შესახებ და თითქოს სათანადო ზომებიც ჰქონდა მიღებული — მტკვარზე გადმოსასვლელი ყველა ფონი გამაგრებული იყო და თვითონაც ორი დღე და ღამე დიღომთან ყარაულობდა, მაინც ალექსანდრემ ასკაციანი ამალით ისე გადმოიარა თრიალეთი, კავთისხევთან კოწახურის ფონზე გადალახა მტკვარი, მუხრანზე გაიარა და თიანეთში ისე მივიდა, რომ ორბელიანმა ვერა გაიგო რა.

თიანეთიდან ბატონიშვილმა ქვეყნის ყველა კუთხეში შიკრიკები აფრინა და ქართველ ხალხს თავის დროშის ქვეშ დარაზმვისაკენ მოუწოდა. მოწოდებას თუშ-ფშავ-ხევსურებთან და კახელებთან ერთად ქართლის მრავალი თავადაზნაურიც გამოეხმაურა და ალექსანდრე ბატონიშვილთან მნიშვნელოვანმა ძალამ მოიყარა თავი, რომელიც რაზმებად დაყოფილი, ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში ებრძოდა რუსულ ხელისუფლებას. მათ შორის განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა გორჯასპი ნათალიშვილისა და პაპოა აბელიშვილის ხელმძღვანელობით მოქმედ რაზმებს, კავკასიის ხაზიდან მომავალი რუსის ჯარისათვის საქართველოს სამხედრო გზის ჩაკეტვას რომ ცდილობდნენ. თვითონ ალექსანდრემ კახეთში მოქმედ რაზმს უთავა და მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს ყველა კუთხიდან კახეთში რეგულარული ჯარის ნაწილები გაიგზავნა და იქ მნიშვნელოვანი სამხედრო ძალა შეგროვდა, ბატონიშვილმა მაინც მოახერხა თავისი ცვალებადი რაოდენობის რაზმებით 3—4 თვის განმავლობაში სერიოზული წინააღმდეგობა გაეწია და ზიანიც მიეყენებინა არტილერიით აღჭურვილი რეგულარული ჯარებისათვის. ალექსანდრე ბატონიშვილმა თავიდანვე იგდო ხელთ ინიციატივა და მის წინააღმდეგ მოქმედი ჯარების მთავარსარდალს — დიმიტრი ორბელიანს პარტიზანული ბრძოლა მოხვია თავს. როგორც საკითხის გარშემო არსებულ პირველწყაროებსა და გამოკვლევებში ერთხმადაა აღნიშნული, დიმიტრი ორბელიანის ხელმძღვანელობით სამხედრო მწყობრში დარაზმული ქვეითი ჯარი ზარბაზნებით, მძიმე არ-

ტილერიითა და აღალით გარშემორტყმული ზლაზვნითა და ტაატით ვიდრე ერთი პუნქტიდან მეორისკენ გადაინაცვლებდა, ალექსანდრე ბატონიშვილის მსუბუქი და მოუხელთებელი ცხენოსანი რაზმი მოულოდნელად ხან სად დაესხმოდა თავს და ხან სად, ზიანს მიაყენებდა და მსწრაფლ გაეცლებოდა. ორბელიანი პირველ ხანებში ყველა ამ იერიშს თავის გამარჯვებად ითვლიდა და ყარაბაღში მყოფ მთავარმართებელს, რომელმაც ვერა და ვერ მოახერხა აბას-მირზასთან საერთო ენის გამონახვა და ზავის დადება, მოხსენებითი ბარათებით ისეთ შთაბეჭდილებას უქმნიდა, რომ ამ უკანასკნელს კახეთი უკვე დაწუნარებული ეგონა და შამშადილის მოურავს განკარგულებას აძლევდა გზები შეკარით, დამარცხებული ბატონიშვილი ირანში არ გაგეპაროთო. მალე ბატონიშვილის მიერ გამწარებული ორბელიანი იძულებული იყო ეღიარებინა, რომ „უფლისწული თავს მარიდებს და ადვილად ინაცვლებს ერთი ადგილიდან მეორისკენ, მე კი... ყველგან დავდევ, ვიბრძვი და ვკარგავ მეომრებს, რადგანაც სრულიად აღსდგა მთელი ერი (вся нация) ჩვენს წინააღმდეგ, მას ყველგან იღებენ და ადვილად მისხლტება ხელიდან“[126]. 13 ოქტომბერს ყარაბაღიდან დაბრუნებულ მთავარმართებელს უნუგეშო სურათი დახვდა: კავკასიის ხაზთან ურთიერთობა თითქმის გაწყვეტილი იყო, მთელ კახეთში აჯანყების ცეცხლი გიზგიზებდა, ქართლის მოსახლეობაც მეამბოხეობისაკენ მიდრეკილებას იჩენდა. გენერლების სიმონოვიჩისა და სტალის ხელმძღვანელობით გაგზავნილმა ჯარის ნაწილებმა საქართველოს სამხედრო გზის გაწმენდის შემდეგ კახეთში გადაინაცვლეს და შეერთებული ძალებით მიიტანეს იერიში ალექსანდრე ბატონიშვილის წინააღმდეგ. აჯანყების პირველი და მეორე ეტაპისაგან განსხვავებით, ამ ეტაპზე, რტიშჩევის მითითების თანახმად, ხელისუფლება არავითარ დათმობაზე აღარ მიდიოდა და საგანგებოდ სასტიკ ზომებს იღებდა. რუსის ჯარი უწყალოდ ჰკაფავდა ბაღ-ვენახებს, ცეცხლს უკიდებდა და ნაცარტუტად აქცევდა კახეთის აყვავებულ სოფლებს. იმის საილუსტრაციოდ თუ რამდენად დაუნდობლად უსწორდებოდა რუსეთის ხელისუფლება აჯანყებულებს, კახეთის აჯანყებისათვის მიძღვნილი მონოგრაფიის ავტორს მარკოვას შემდეგი მრავალისმთქმელი მაგალითი აქვს მოტანილი: ბაღ-ვენახებით გარშემორტყმული მდიდარი და მჭიდროდ დასახლებული სოფელი ახმეტა, საიდანაც დაიწყო 1812 წლის აჯანყება, 1813 წლის სტატისტიკურ-ეკონომიკურ აღწერილობაში გაპარტახებულ, უკაცრიელ ადგილად არის

[126] ციტირებულია ო. პ. მარკოვას დასახ. ნაშრომიდან, გვ. 112.

მოხსენიებული[127]. გაუთავებელმა ბრძოლებმა ხალხი დაღალა, რაც დრო გადიოდა აჯანყებულებს უფრო მეტად უჭირდათ რეგულარული ჯარების წინააღმდეგ ბრძოლა. რტიშჩევმა სისასტიკესთან ერთად რუსული ხელისუფლების მიერ მრავალგზის ნაცად ხერხს — მოსყიდვასაც მიმართა და 26 ნოემბერს მანავთან გამართულ გადამწყვეტ ბრძოლაში ბატონიშვილის დასახმარებლად მოსულმა ლეკების რაზმმა რტიშჩევისაგან მოსყიდვის შედეგად უცაბედად რომ მიატოვა ბრძოლის ველი, ხოლო ბარძიმ ჩერქეზიშვილმა რუსთა ჯარს ქართველთა ბანაკის შესასვლელი უჩვენა, აჯანყებულები საბოლოოდ დამარცხდნენ. ბატონიშვილი თიანეთში გაიქცა, იქიდან კი ხევსურეთში ავიდა. ალექსანდრე ბატონიშვილის ხევსურეთში ყოფნას, საიდანაც იგი ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში მოწოდებებს გზავნიდა და კვლავ ახალი ბრძოლისთვის რაზმავდა ხალხს, რტიშჩევი ადვილად ვერ შეეგუებოდა. მან ჯერ წერილებით სცადა ალექსანდრე ბატონიშვილის ხევსურეთიდან გამოტყუება, მაგრამ როცა არაფერი გამოუვიდა, 1813 წლის მაისში ხევსურეთს ერთდროულად ოთხი მხრიდან შეუსია ჯარი. უთანასწორო თავგანწირულმა ბრძოლამ 600-დე ხევსური შეიწირა. რუსებმა შატილი ბრძოლით აიღეს, მაგრამ ალექსანდრე ბატონიშვილი მაინც ვერ შეიპყრეს, იგი ჯარს ხელიდან გაუსხლტა და ლეკებთან ანწუხში შეაფარა თავი.

რტიშჩევმა კახელები სამაგალითოდ დასაჯა, მან გლეხებს კონტრიბუციის გადახდა შეაწერა. კომლზე სამი კოდი პური, ერთი კოდი ქერი და სამი მანეთი ფულად გადაახდევინა. კონტრიბუციის გარდა ისედაც წელში გაწყვეტილი გლეხებისაგან სახელმწიფო გადასახადსაც კრეფდნენ — კომლზე ორ კოდ პურს და ერთ კოდ ქერს. გარდა ამისა, გლეხებსვე შეაწერეს დამსჯელი ექსპედიციის ხორცითა და ღვინით უზრუნველყოფა. აჯანყებული სოფლების ნაცვლები და ქევხები გაროზგეს. სამხედრო-საველე სასამართლომ 5 გლეხს ჩამოხრჩობა მიუსაჯა. კახეთის აჯანყებაში მონაწილე თავადაზნაურობას ყმა-მამული ჩამოართვეს. ნაწილი აჯანყებულებისა ირანში გაიქცა, ნაწილი კი სამხედრო სასამართლომ გაასამართლა და ვორონეჟის, კურსკის, ტობოლსკის, პერმის გუბერნიებში გადაასახლა როგორც სახელმწიფო დამნაშავეები. განსაკუთრებით აქტიურ მოჯანყეებს თავადაზნაურის წოდება ჩამოართვეს და სამუდამო კატორღა მიუსაჯეს.

როგორც აღვნიშნეთ, პაულუჩი აჯანყებული კახელების დასაშოშმინებლად მმართველობის რეფორმის გატარებასაც აპირებდა. რტიშ-

127 მ ა რ კ ო ვ ა ო. პ., დასახ. ნაშრომი, გვ. 130.

ჩევმა პაულუჩის პროექტი გარკვეული სახეცვლილებებით განახორციელა. კერძოდ, მან მართალია თელავში და სიღნაღში სამაზრო და საერობო სასამართლოების ნაცვლად საოლქო სასამართლო შემოიღო, მაგრამ პაულუჩის პროექტისაგან განსხვავებით საოლქო სასამართლოებს საპოლიციო და საფინანსო ფუნქციებიც დააკისრა, რის შედეგადაც სასამართლოს შემადგენლობაში უმთავრესად ოფიციალური მოხელეები, ოლქის უფროსი, მაზრის თავადაზნაურობის წინამძღოლი, ოლქის მოურავი და მაზრის ხაზინადარი შევიდნენ[128]. მთავარი პირობა, რომელსაც პაულუჩი აჯანყებულ ხალხს აძლევდა, ეს გლეხობისათვის განსაკუთრებით საძულველი კაპიტან-ისპრავნიკობის ინსტიტუტის გაუქმება და მოურავობის ოფიციალურად აღდგენა იყო. რტიშჩევმა კაპიტან-ისპრავნიკობა კი გააუქმა, მაგრამ მოურავობის ნაცვლად ზედამხედველები დანიშნა. ზედამხედველებს ქართველი თავად-აზნაურებისაგან ნიშნავდნენ, ოღონდ მოურავებისაგან განსხვავებით მათი თანამდებობა მემკვიდრეობითი აღარ იყო და ისინი სახელმწიფო მოხელეებისაგან აღარაფრით განსხვავდებოდნენ[129].

მთიულეთისა და კახეთის აჯანყებების დროს რუსული ხელისუფლებისადმი ერთგულად ნამსახურებ გაბრიელ ყაზბეგს 1815 წელს გენერალ-მაიორის ჩინი უბოძეს და დუშეთის მაზრის მთიულების, მოხევეების, გუდამაყრელების და სხვ. მმართველობა ჩააბარეს. რადგანაც დუშეთის მაზრის მოსახლეობის უმეტესობას სწორედ ეს მთიულები წარმოადგენდნენ, დუშეთში სამაზრო სასამართლოს არსებობას აზრი დაეკარგა და იგი გააუქმეს[130].

რუსეთის უზენაესი ხელისუფლება რტიშჩევის უდიდეს დამსახურებად თვლიდა 1813 წლის ოქტომბერში სპარსეთთან დადებულ გულისტანის საზავო ხელშეკრულებას, რომელიც გენერალ კოტლიარევსკის მიერ ასლანდუზასთან და ლენქორანთან მოპოვებული გამარჯვებების შედეგად იყო მიღწეული.

გულისტანის ზავის მიხედვით სპარსეთმა რუსეთის მფლობელობაში სცნო თალიშის, ყარაბაღის, განჯის, შაქის, შარვანის, ყუბის, დარუბანდის და ბაქოს სახანოები. სპარსეთს მხოლოდ ერევნის და ნახჭევანის სახანოები რჩებოდა. კასპიის ზღვაზე ფლოტის ყოლა მხოლოდ რუსეთის პრივილეგიას შეადგენდა და რუს ვაჭრებს სპარსეთში განსაკუთრებულ პრივილეგიებს ანიჭებდნენ. რუსეთისათვის ასეთი ხელ-

---

128 AKAK, т. V, № 272.

129 AKAK, т. V, № 553.

130 იქვე, № 127, 326.

საყრელი პირობებით საზავო ხელშეკრულების მიღწევისათვის რტიშჩევს ინფანტერიის გენერლის ჩინი უბოძეს. როგორც ნ. ბერძენიშვილი სამართლიანად აღნიშნავს, „1813 წლის აქტი — გულისტანის ზავი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საფეხური იყო „საქართველოს“, როგორც რუსული პოლიტიკურ-ადმინისტრაციული შინაარსის ცნების გაქრობისა და მის ნაცვლად „ზაკავკაზიეს“ წარმოქმნის პროცესში. ამის შემდეგ ამიერკავკასიის სამთავრო-სახანოების მოჩვენებითი არსებობა სულ მთლად რუსეთის მთავრობის ადმინისტრაციული მშენებლობის დღედათველილი ობიექტი ღა იყო“[131]. შემდგომი ვითარებიდან გამოჩნდა, რომ რტიშჩევი ასეთი გადამჭრელი პოლიტიკის გამტარებლად არ ივარგებდა; ცალკე უინიციატივობისა და ცალკე პირადი სარგებლობის გამო იგი სულაც არ ჩქარობდა სახანოების რუსეთისათვის უშუალოდ შეერთებას. თალიშისა და შაქის ხანების გარდაცვალების შემდეგ რტიშჩევი მათ მემკვიდრეებს აქტიურად დაეხმარა ტახტის მოპოვებაში, რაც თუ გავითვალისწინებთ ხანების მიერ მთავარმართებლებისათვის ძვირფასი საჩუქრების მირთმევის ჩვეულებას, სულ მთლად უანგაროდ გაკეთებული არ უნდა ყოფილიყო. საქართველოდან მიმავალი რტიშჩევი ალბათ პაულუჩივით ვერ დაიტრაბახებდა, რომ მას მთავარმართებლად ყოფნის განმავლობაში იმპერატორის კეთილგანწყობილების მეტი არაფერი შეუძენია. ყოველ შემთხვევაში 1816 წელს, როცა მან 42 წლის სამხედრო სამსახურის შემდეგ განთავისუფლება ითხოვა, მისთვის უარი არ უთქვამთ და საქართველო-კავკასიის მთავარსარდლად და მთავარმართებლად ისეთი პიროვნება დანიშნეს, რომელიც შეუპოვარ პოლიტიკას განახორციელებდა და სახანო-სამთავროების რუსეთისათვის უშუალოდ შესაერთებლად იღვაწებდა.

6. ერმოლოვის მმართველობა (1816—1827 წწ.)

გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ XIX საუკუნის პირველი მესამედის საქართველო-ამიერკავკასიის მთავარმართებლებს შორის ყველაზე კოლორიტულ ფიგურას ალექსი პეტრეს ძე ერმოლოვი წარმოადგენდა. 1812 წლის სამამულო ომის ბრწყინვალედ დასრულებისა და მოკავშირე არმიასთან ერთად მოპოვებული გამარჯვებების შემდეგ რუსეთს საშუალება მიეცა სათანადო ყურადღება მიექცია შე-

131 ბერძენიშვილი ნ., საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ.II, გვ. 483.

დარებით ახლად შემოერთებული მხარისათვის და კავკასიაში თავისი სამფლობელოების შემომტკიცება-გაფართოებისათვის ეზრუნა. ამ მიზნით საქართველოს მთავარმართებლად, ცალკეული კავკასიის კორპუსის მთავარსარდლად და ასტრახანის და კავკასიის გუბერნატორად 1816 წელს დაინიშნა მთელ რუსეთში სახელმოხვეჭილი, ბოროდინოსა და კულმის ბრძოლების გმირი, ჯარში ყველაზე პოპულარული ახალგაზრდა გენერალი ალექსი პეტრეს ძე ერმოლოვი.

ალექსი ერმოლოვი დაიბადა 1777 წლის 24 მაისს, ქ. მოსკოვში. მამამისი, პეტრე ალექსის ძე ერმოლოვი, ორიოლის გუბერნიის ერთ-ერთი ძველი გვარის წარმომადგენელი იყო, მაგრამ საკმაოდ ხელმოკლედ ცხოვრობდა. როგორც თვით ალექსი ერმოლოვი თავის თავზე აღნიშნავდა, მის უმთავრეს და უძლიერეს მისწრაფებას სამხედრო სამსახური წარმოადგენდა. სამხედრო სამსახური მისთვის იყო ერთადერთი საშუალება ცოტად თუ ბევრად სასიამოვნო საარსებო პირობების შესაქმნელად და მთელი მისი სამხედრო კარიერა მხოლოდ თავისი პირადი დამსახურების შედეგად ჰქონდა მოპოვებული.

გენერლის დედა მარიამ დენისის ასული დავიდოვა განთქმული იყო თავისი პირუთვნელობით და მახვილსიტყვაობით. ეს თვისებები ჭარბად ჰქონდა მინიჭებული ალექსი ერმოლოვსაც, რომლის მახვილგონივრულ გამოთქმებსა და ფრაზებს მთელი რუსეთი იმეორებდა. მაგრამ ამ თვისებებმა ერთი მხრივ თუ სახელი გაუთქვა ერმოლოვს, მეორე მხრივ მრავალი მტერი შესძინა და მის კარიერას გამოუსწორებელი ზიანი მიაყენა.

1787 წელს ალექსი ერმოლოვი უნტერ-ოფიცრის ჩინით ლეიბ გვარდიის პრეობრაჟენსკის პოლკში იქნა ჩარიცხული, მაგრამ ერმოლოვმა კარგად იცოდა, რომ გვარდიის ნაწილებში სამსახურისათვის მისი ქონება არ იყო საკმარისი და იგი ნიჟეგოროდის 44-ე დრაგუნთა პოლკში გადავიდა, სადაც განსაკუთრებით მოიწადინა საარტელერიო საქმის შესწავლა. 1793 წელს გამოცდის ბრწყინვალედ ჩაბარების შემდეგ ერმოლოვმა არტილერიის კაპიტნის ჩინი მიიღო, რის შემდეგაც მას არამც თუ არ შეუწყვეტია საარტილერიო საქმის შესწავლა, არამედ მთელი თავისი ენერგიით დაეწაფა სამხედრო ისტორიის, არტილერიის, ფორტიფიკაციისა და ტოპოგრაფიის საფუძვლიან შესწავლას და როგორც შემდეგში აღნიშნავდნენ მისი თანამედროვეები, რუსეთში საუკეთესო საარტელერიო ოფიცრის სახელი მოიხვეჭა[132].

---

[132] Сборник императорского русского исторического обшества, 1890, СПБ, т. 73, с. 474.

1794 წელს ერმოლოვი პოლონეთის ეროვნულ-განმათავისუფლებელი აჯანყების ჩასაქრობად გამართულ ბრძოლაში მონაწილეობდა. ვარშავის მისადგომებთან პრაღასთან გამართულ ბრძოლაში მან პირველი საბრძოლო ნათლობა და პირველი ჯილდო, წმინდა გიორგის მეოთხე ხარისხის ორდენი მიიღო, რომელიც 17 წლის ერმოლოვს ამ ბრძოლების მთავარსარდალმა სუვოროვმა გადასცა. შემდეგში ერმოლოვი განსაკუთრებით ამაყობდა ამ ჯილდოთი.

1796 წელს ერმოლოვმა მონაწილეობა მიიღო „კასპიის საექსპედიციო კორპუსის“ მიერ დარუბანდის ასაღებად ზუბოვის სარდლობით წარმოებულ ბრძოლაში, რისთვისაც წმინდა ვლადიმერის სახელობის მე-4 ხარისხის ორდენით დაჯილდოვდა.

პავლე I-ის მკაცრი, უსულგულო რეჟიმით და ყველასთვის სათაყვანებელი მხედართმთავრის, სუვოროვის შერისხვით უკმაყოფილო ოფიცრობამ, სმოლენსკის გუბერნიაში, ჩამოაყალიბა საიდუმლო წრე, რომელსაც ერმოლოვის ნახევარი ძმა, გადამდგარი პოლკოვნიკი კახოვსკი ედგა სათავეში. როგორც შემდეგ გაირკვა, ეს წრე საკმაოდ მრავალრიცხოვანი ორგანიზაცია ყოფილა, რომლის წევრები გმობდნენ წოდებრივ წყობას და საყოველთაო თანასწორუფლებიანობას ქადაგებდნენ. 1798 წელს ამ წრის საქმიანობა გამომჟღავნდა. მისი წევრობა დაბრალდა ერმოლოვსაც, რომლის შესახებაც გამომძიებელი ლინდენერი წერდა, რომ „ერმოლოვი ნამდვილად ეკუთვნის კახოვსკის, დეგტიარევის და სხვების ხროვას“[133]. ერმოლოვი 1798 წლის დეკემბერში დაიჭირეს და პეტრე-პავლეს ციხის ალექსეევის რაველინის საკანში ხანმოკლე ყოფნის შემდეგ 1799 წლის იანვარში კოსტრომაში სამუდამო გადასახლება მიუსაჯეს[134].

პავლე I-ის გარდაცვალებისა და ალექსანდრე I-ის ტახტზე ასვლის შემდეგ ბევრი პოლიტიკური პატიმარი გაათავისუფლეს. გაათავისუფლეს სმოლენსკის ოფიცერთა წრის წევრები, მათ შორის ერმოლოვიც, რომელსაც აღარ ჰქონდა იმედი, რომ როდისმე მოახერხებდა გადასახლებიდან დაბრუნებას.

გადასახლებიდან ჩამოსული ერმოლოვი პოლკოვნიკის ჩინით ჩაირიცხა მე-8 არმიის საარტილერიო პოლკში. მან განსაკუთრებით გა-

---

[133] Новые подробности из молодой жизни А. П. Ермолова. — «Русский архив», 1878, кн. 2, с. 480.

[134] Записки о службе артиллерии генерал-майора Ермолова до 1812 года включительно. Лондон, 1863, с. 7.

ითქვა სახელი და გამოიჩინა თავი 1812 წლის სამამულო ომში. ბოროდინოს სახელოვან ბრძოლაში ერმოლოვი ფაქტიურად კუტუზოვის შტაბის უფროსის როლს ასრულებდა. ბაგრატიონის დაჭრის შემდეგ კი ერმოლოვის მიერ ორგანიზებულმა თავდადებულმა შეტევამ „რაევსკის ბატარეაზე“, როგორც ერთხმად აღნიშნავდნენ ომის მონაწილეები, გადაწყვიტა ბრძოლის ბედი.

1814 წელს მოკავშირე ჯარების დრეზდენთან დამარცხების შემდეგ მთელი ომის მსვლელობისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა რუსის ჯარის მიერ კულმთან მიღწეულ გამარჯვებას, რომელიც თითქმის მთლიანად ერმოლოვის დამსახურება იყო. აქვე ჩვენ გვინდა ხაზი გავუსვათ ერთ პატარა ინციდენტს, რომელსაც ადგილი ჰქონდა 1815 წელს, პარიზში მოკავშირე სახელმწიფოების ჯარების საზეიმო ცერემონიალის ჩატარების დროს და რომელმაც ნიკოლოზის გამეფების შემდეგ, ჩვენი აზრით, ერმოლოვის კარიერის უდროოდ შეწყვეტაში გარკვეული როლი შეასრულა. საქმე შემდეგში იყო: საზეიმო ცერემონიალის დროს მარშის ცუდად შესრულების გამო ალექსანდრე I-მა ერმოლოვს რამდენიმე პოლკოვნიკის დასჯა მოსთხოვა, მაგრამ საზეიმო პარადების მოძულე ერმოლოვმა არამც თუ ეს ბრძანება არ შეასრულა, არამედ უფლისწულ ნიკოლოზს საკმაოდ უხეშადაც შეეპასუხა. ამ ინციდენტის დროს გამოვლინდა ის კარდინალური განსხვავება, რომელიც მომავალი იმპერატორისა და ერმოლოვის შეხედულებებს შორის არსებობდა. ნიკოლოზი გარეგნული ფორმისა და გარეგნული წესრიგის მომხრე იყო და უსიტყვო, ბრმა მორჩილებას მოითხოვდა ყველასაგან. გამეფების შემდეგ მან ეს თვისებები კიდევ უფრო განავითარა და მისი მმართველობის სისტემის არსი სწორედ ბრმა მორჩილებაში გამოიხატებოდა. ერმოლოვი კი, რომელსაც ნიკოლოზზე არანაკლებად მტკიცე და უფლების მოყვარე ხასიათი ჰქონდა, თავისი ხელქვეითებისაგან მოვალეობის შეგნებულ შესრულებას მოითხოვდა. იგი ყოველგვარი ფორმალური წესრიგის, გარეგნული პარადების და უაზრო ბრანებების დაუძინებელი მტერი იყო. ამიტომაც ერმოლოვი ხშირად აპროტესტებდა ისეთ უზენაეს ბრძანებებს, რომლებიც სახელმწიფოს კეთილდღეობისათვის საზიანოდ მიაჩნდა და იყო შემთხვევები, როდესაც ალექსანდრე I მის პროტესტებს ითვალისწინებდა. პარიზში მომხდარი ინციდენტიდან კი აშკარად ჩანდა, რომ ნიკოლოზი თავისი მეფობის დროს, ალექსანდრესაგან განსხვავებით, თავისი ხელქვეითი გენერლის ასეთ საქციელს ვერ აიტანდა.

1812 წლის სამამულო ომში ერმოლოვის მიერ მოხვეჭილი სახელი და დიდება მხოლოდ კუტუზოვის სახელს თუ ჩამოუვარდებოდა. რუსეთის მოწინავე საზოგადოების ყურადღება ერმოლოვისაკენ იყო მიპყრობილი. იხატებოდა მისი პორტრეტები, მის გმირულ საქმეებს მრავალი პოეტი უგალობდა, მათ შორის ისეთი გამოჩენილი პოეტები, როგორებიც იყვნენ ჟუკოვსკი, იგავ-არაკების ცნობილი ოსტატი კრილოვი, რილეევი და მრავალი სხვა.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, 1816 წელს ერმოლოვი კავკასიის კორპუსის მთავარსარდლად და მთავარმართებლად დაინიშნა. ამ დროისათვის მისი მეგობარი, გენერალი პ. გრაბე წერდა: „მთელი რუსეთის ყურადღება მისკენ იყო მიმართული. ყველაფერს, რაც კი მისი ბაგეებიდან გადმოიფრქვეოდა, ან მისი მძაფრი კალმით დაიწერებოდა, თვალუწვდენელი რუსეთის ყოველ კუთხეში სასწრაფოდ იმეორებდნენ და იწერდნენ. მთელს რუსეთში ასეთ საყოველთაო და ძლიერ ყურადღებას მის მეტი არავინ იპყრობდა. იშვიათად ვინმეს თუ შეხვდება წილად ღვთისაგან მომადლებული ნიჭი, თავის გარეგნობით და მეტყველების ძალით გააოგნოს როგორც მასები, ისე ცალკეული პირები. ერთი სიტყვით იგი უსაზღვრო ერთგულებას იმსახურებდა“[135].

იმდენად პოპულარული იყო ერმოლოვის სახელი მთელ რუსეთში, იმდენად გავრცელებული იყო აზრი მისი თავისუფლებისმოყვარეობის შესახებ, რომ მისი ხანგრძლივი ცხოვრების მანძილზე ხალხი ყოველგვარი პროგრესული მოძრაობის მეთაურობას მას აკუთვნებდა, მიუხედავად იმისა, ჰქონდა თუ არა საამისოდ რაიმე საფუძველი.

თანამედროვე ისტორიოგრაფიაში არსებობს მოსაზრება იმის შესახებ, რომ თითქოს კავკასიის კორპუსში არსებობდა დეკაბრისტული საიდუმლო ორგანიზაცია, რომლის მეთაური ერმოლოვი იყო. ამ მოსაზრების შესახებ ჩვენ ქვემოთ გვექნება მსჯელობა, ახლა კი მხოლოდ იმას აღვნიშნავთ, რომ დეკაბრისტები ერმოლოვსა და კავკასიის კორპუსზე დიდ იმედებს ამყარებდნენ და დროებითი მთავრობის წევრად სპერანსკის, მორდვინოვსა და რჟევსკისთან ერთად ერმოლოვსაც ასახელებდნენ.

ისმის კითხვა, რამდენად გამართლებული უნდა ყოფილიყო ასეთი თავისუფლად მოაზროვნე და თავისუფლების მოყვარული აღშობის დანიშვნა ახლად შემოერთებულ მხარის მთავარსარდლად, იმ მხა-

[135] Г р а б б е Л. Х. Из памятных записок, М., 1879, с. 17.

რისა, რომლის საბოლოოდ შემომტკიცება ჯერ კიდევ ძალიან შორს იყო. მაგრამ საქმე ის არის, რომ ერმოლოვის ე. წ. „вольнодумство“-ს შესახებ არსებული ხმები ნაკლებად შეეფერებოდა სინამდვილეს. 1816 წელს საქართველო-ამიერკავკასიაში მთავარსარდლად მოდიოდა საქვეყნოდ აღიარებული გმირი, რომლის მოსვლასაც გარკვეული ცვლილებები უნდა გამოეწვია ახლადშემოერთებული მხარის მართვის საქმეში. მრავლისმეტყველი იყო პუშკინის მიერ ერმოლოვისადმი მიძღვნილი სტროფი—„Смирись, Кавказ—идёт Ермолов!“.

ყველაზე უფრო სწორ, და შეიძლება ითქვას, ამომწურავ წარმოდგენას ერმოლოვის პიროვნების შესახებ გვაძლევს თვით მისი პირადი დღიურები, მისი ვრცელი მიმოწერა საქართველოს მართვაგამგებლობასთან ასე თუ ისე დაკავშირებულ პირებთან და ის ცხოველი ინტერესი საქართველოში დატრიალებული ამბების მიმართ, რომელიც მას სიცოცხლის ბოლომდე არ განელებია.

ერმოლოვის პიროვნების რაობის დადგენის თვალსაზრისით ფრიად ყურადსაღებია მისი წერილი მიხეილ ვორონცოვისადმი. აი რას წერდა იგი: „მართლაც ჰეშმარიტად უნდა გიყვარდეს და გინდოდეს სამშობლოსათვის სასარგებლო საქმის გაკეთება, რომ შეძლო ისეთ ხალხს შორის ხანგრძლივი ცხოვრება, როგორც აქაურები არიან. მე ვერ ვამჩნევ ვერც მადლიერებას მმართველობისადმი, რომელმაც ამდენი კეთილდღეობა მოუტანა მათ და ვერც მათთვის ესოდენ გულმოწყალე ხელმწიფისადმი ერთგულებას. გამონაკლისი მხოლოდ მცირერიცხოვანი სამხედრო პირები არიან, დანარჩენებმა კი სულაც არ დაიმსახურეს ის მზრუნველობა, რომელსაც მათდამი იჩენენ; განა დიდი ხანი გავიდა მას შემდეგ, რაც აჯანყება იყო ბატონიშვილის სასარგებლოდ, ბატონიშვილისა, რომელსაც არც უგუნურებით და არც ფლიდობით ბადალი არა ჰყავს. ხვალ, აქაურ მალემრწმენ და უგუნურ თავადაზნაურობას ოდნავ მაინც ხელსაყრელი ვითარება რომ მოეჩვენოს, საქართველოს უმეტესი ნაწილი უყოყმანოდ კვლავ ბატონიშვილის მხარეზე დადგება. ერთი სიტყვით, — ეს ხალხი ღირსი არ არის ალექსანდრე I-ის სათნო მმართველობისა, მას რკინის კეერთხი ესაჭიროება. **სხვა აქაური ხალხები გაცილებით უკეთესები არიან. მათ შეგნებული მაინც აქვთ თავიანთი უმეცრება და ადამიანობაზე პრეტენზია არცა აქვთ...** მე თანდათან ვრწმუნდები, რომ უდიდესი გმირობაა საჭირო, იღვწოდე ისეთი ხალხის სასარგებლოდ, რომლის დამახასიათებელი თვისებაა უმადურობა, და რომელსაც რუსეთისადმი მიკუთვნება ბედნიერებად არ ეჩვენება, რომელსაც მრავალჯერ უღალატია მისთვის და კიდევ

მზად არის უღალატოს. ყოველივე ამის მიუხედავად მე ნელ-ნელა ვცდილობ წესრიგის დამყარებას. რა არის წესრიგი აქ არც იციან, ამ სულელებს ყველაფერი ეს უცნაურობად ეჩვენებათ, ბუზღუნებენ და მე ძალიან არ ვუყვარვარ, მაგრამ მე ჩემი ბრძანებების განუხრელ შესრულებას მოვითხოვ"[136]. 1819—1820 წლების იმერეთის აჯანყებით აღშფოთებული ერმოლოვი თავის მეგობარს, გენერალ ზაკრევსკის სწერდა: „აქაური მეფეებისა და მთავრების მთელი ჯილაგი ერთ ცოფიან ძაღლადაც კი არ ღირს"[137]. ეს წერილები, განსაკუთრებით ჩვენს მიერ ხაზგასმული ფრაზები, კომენტარს აღარც კი საჭიროებს. კარგად ჩანს, რა სიკეთე შეუძლია მოუტანოს ხალხს ამგვარად განწყობილმა მთავარმართებელმა, რომელსაც თავის სამართავ ქვეყანაში ყოფნა სასჯელად მიაჩნია, ვერ გაუგია, რატომ შეიძლება იყოს უკმაყოფილო ხალხი, რომელსაც ურიცხვ საგარეო მტერთან საუკუნებრივ ბრძოლაში შენარჩუნებული სახელმწიფოებრივი დამოუკიდებულების დაკარგვასთან ერთად ეკლესიის ავტოკეფალიაც წაართვეს და რომლის ადამიანობასაც კი ეპვს ქვეშ აყენებენ. უფრო მოგვიანებით, 1825 წელს ერმოლოვი ბესარაბიისა და ნოვოროსიის მხარის მმართველად ახლად დანიშნული ვორონცოვის მდგომარეობას თავისას უდარებს, მას შენატრის და წერს, რომ „რა თქმა უნდა, შენ შრომას შედეგი ექნება... ოდესა თავისი ვაჭრობით მაცოცხლებელი წყაროა რუსეთის სამხრეთი ოლქებისათვის და უამრავ მოწმეს იზიდავს, საქართველოს კი მის შესახებ დარხეული ხმების გამო ყველა უფრთხის. ვგონებ ჩვენ, რუსები, მის წინააღმდეგ ვართ შეთქმულნი, ვინაიდან არ არსებობს სისაძაგლე, რომელსაც მის შესახებ არ ყვებოდნენ. ... ივერია უწინ სულაც არ ყოფილა ცნობილი, ძნელი დასაჯერებელია, რომ ძველადაც ის ოდნავ მაინც უკეთესი ყოფილიყო ახლანდელზე. ამის გამო ყველა მოგზაური აღმოსავლეთის საუნჯეს უფრო მოშორებით ეძებს... ჩემს აღფრთოვანებას იწვევს შენს მიერ აღწერილი ყირიმი, შენ კარგად იცნობ საქართველოს და ალბათ დამეთანხმები, რომ ყირიმის სანაპიროს მსგავსი სილამაზის ადგილები ძალიან ცოტაა"[138]. როგორც ვხედავთ, ერმოლოვმა საქართველოს მთავარმართებლად ყოფნის დროს ვერც თავისი თანამდებობა დააფასა და საქართველოშიც კარგი ვერაფერი დაინახა. თუმცა, აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ თანამდებობიდან

---

[136] А. П. Ермолов в его письмах к кн. М. С. Воронцову 1816—1852 гг. — Русская старина, 1885, месяцы XI—XII, с. 527—529.

[137] А. П. Ермолов. Письма. — Махач-Кала, 1926, с. 18.

[138] А. П. Ермолов в его письмах..., с. 546—548.

განთავისუფლების შემდეგ, მთელი თავისი ხანგრძლივი სიცოცხლის განმავლობაში, იგი გაფაციცებით ადევნებდა თვალყურს საქართველოში მომხდარ მოვლენებს, შეძლებისდაგვარად ცდილობდა თუნდაც რჩევა-დარიგების გზით რაიმე მონაწილეობა მიეღო მის მართვაში და სინანულით იხსენებდა აქ გატარებულ დღეებს. ნათქვამის საილუსტრაციოდ მოვიტანთ ნაწყვეტებს ერმოლოვის მიერ, უკვე 1830 წელს, საქართველოს ყოფილ სამოქალაქო გუბერნატორისადმი მიწერილი წერილებიდან: „... რა მადლობელი ვარ თქვენი, რაღაცას მაინც რომ მწერთ საქართველოს შესახებ, ყოველთვის სიამოვნებით ვიხსენებ ქვეყანას, სადაც 10 წლის განმავლობაში ჩემი კეთილი თანამშრომლების წყალობით ბევრი სასიამოვნო დრო გამიტარებია...“[139], ან „... გთხოვთ არ შეწყვიტოთ ჩემთან მიმოწერა, რადგანაც თქვენ წერილებზე უფრო სასურველს მე არაფერს ვიღებ. არც თუ სიამოვნების გარეშე ვიხსენებ ქვეყანას, სადაც ჩვენი ცხოვრების საკმაოდ ხანგრძლივი მონაკვეთი გავატარეთ...“[140] მაგრამ საქართველოს ამგვარი შეფასება ერმოლოვის მიერ მოხდა მისი სამხედრო სამსახურიდან გადადგომის მერე; ამჟამად კი საქართველოში ახლად ჩამოსული მთავარსარდალი და მთავარმმართებელი ერთობ შეუპოვრად იყო განწყობილი და როგორც თვითონ აცხადებდა, სულაც არ აპირებდა თავისი წინამორბედი მთავარმართებლების მსგავსად აჯანყებული ალექსანდრე ბატონიშვილის, ან საქართველოს მოსაზღვრე სახანოების მიმართ რაიმე დათმობაზე წასვლას. მართლაც ერთადერთი წერილი, რომელიც მან ჩამოსვლის უმალ მისწერა ალექსანდრე ბატონიშვილს, შემდეგი შინაარსისა იყო: „ადამიანი, რომელიც ცნობილია თავისი გახრწნილი ცხოვრებით, სისულელით და სიმხდალით, რომელიც ახალგაზრდობიდანვე მტერთან გაქცევის გამო მოკლებულია მამის ლოცვა-კურთხევას, ჩემთვის არავითარ საშიშროებას არ წარმოადგენს. მსგავსი ადამიანის არც სიცოცხლისა და არც სიკვდილისათვის ყურგახვრეტილ გროშსაც კი არ გავიმეტებ“[141]. ასევე გადამჭრელი მოქმედებებისათვის მზადყოფნას ამჟღავნებს ერმოლოვი ყოლისშემძლე ჯარისკაცის არაჩვეულებრივ მიწერილ წერილში, სადაც იგი აკრიტიკებს რა თავისი წინამორბედი მთავარმართებლების შემრიგებლურ პოზიციებს, რაც მას გაუთავებელი აჯანყებების მიზეზად მიაჩნია, წერს: „...არაჩვეუ-

---

139 Письма А. П. Ермолова к Р. И. Ховену, Русская старина, 1876, т. XVII, с. 235.

140 იქვე. გვ. 236.

141 Записки А. П. Ермолова во время управления Грузиею, с. 16.

ლებრივ სიმკაცრეს გამოვიჩენ თავნება, ურჩი, თავისუფლად მოაზროვნე პირების მიმართ, რომლებიც თავისი აღმაშფოთებელი შეგონებებით ხელისუფლების წინააღმდეგ განაწყობენ ხალხს. მე არ მიეღებ სუსტ ზომებს, რომელსაც ჩვენთვის ზიანის მოტანის მეტი არაფერი შეუძლია... ჩემი საქციელი სულ სხვაგვარი იქნება. მე კანონის ძალის გარდა სხვა არაფერი ძალაუფლება არ გამაჩნია, მაგრამ ვიღებ პასუხისმგებლობას, რომ კანონის ძალას გამოვიყენებ სრულიად განურჩეველად, ყველას მიმართ; ვიღებ პასუხისმგებლობას, რომ ძალიან მალე უჩუმრად დამემორჩილებიან. აქ ყველას ისე ჰგონია, რომ საყოველთაო უკმაყოფილება, რომელიც, როგორც წესი, აჯანყებაში გამოიხატება, ძალიან საშიშია. მსგავსი ამბებით აშინებდნენ მთავარმართებლებს და აიძულებდნენ დათმობაზე წასვლას. მე არაფრის არ მეშინია და უდრტვინველად ვაღიარებ, რომ მსგავსი შემთხვევები ან სრულიად აღარ იქნება, ან იქნება ძალიან იშვიათად"[142]. შემდეგ ერმოლოვი არაკჩეევს მფარველობას თხოვს და სწერს; „მე თავს ნებას ვაძლევ დაგარწმუნოთ, რომ არაფერს ისეთს არ ჩავიდენ, რომ თქვენი დახმარების ღირსი არ ვიყო, განსაკუთრებით მნიშვნელოვან შემთხვევებში კი ყოველთვის წინასწარ ვიკითხავ თქვენს ნებართვას. მაგრამ რაც უნდა სასიამოვნო იყოს ჩემი მდგომარეობა, მე მირჩევნია საერთოდ უარი ვთქვა მასზე, ვიდრე ვიყო უსარგებლო და სუსტი, ვინაიდან მე ძალიან მტკიცედ ვიცავ ჩემს წესებს"[143].

ერმოლოვის მოსვლით იმიერ და ამიერკავკასიის სახანოების შემოერთების საკითხშიც ახალი ერა დაიწყო. მოსყიდვა-მოქრთამვის ნაცვლად, რომელსაც საკმაოდ ხშირად მიმართავდნენ მისი წინამორბედი მთავარსარდლები, ამ სახანოების იარაღით დაპყრობისა და სამუდამოდ შემოერთების ერა დაიწყო, რომელსაც ერმოლოვმა მთელი თავისი ამოუწურავი ენერგია შეალია. ერმოლოვის პოლიტიკის მიზანი დროებითი, მერყევი მშვიდობა კი არ იყო, არამედ სრული გამარჯვება, ამა თუ იმ სახანოს რუსეთისათვის სრული დამორჩილება, მისი სრული დაპყრობა. ჯერ კიდევ საქართველოში ახლად ჩამოსული ერმოლოვი ამიერკავკასიაში არსებული სახანოების შესახებ ვორონცოვს სწერდა, რომ აქაური სახანოების კეთილმოწყობა მხოლოდ იმ შემთხვევაშია შესაძლებელი, თუ ხანებს გავწყვიტავთ და მათი ძალაუფ-

---

142 Александр Ермолов — Алексей Петрович Ермолов, 1777—1861 гг. СПБ, 1912, с. 93.

143 იქვე, გვ. 94.

ლების ნაცვლად რუსულ მმართველობას დავამყარებთ. ჩემი წინამორბედების მიერ მათთვის მეტად ხელსაყრელი ტრაქტატები არის დადებული, რომელიც თავიდან აუცილებლობით იყო ნაკარნახევი, შემდეგში კი ადგილობრივმა ხანებმა და ბეგებმა უნიჭო და უნებისყოფო მმართველებს გამოსტაცეს ხელიდან. „ყველა პირუტყვს შორის გამორჩეულმა გრაფმა გუდოვიჩმა, ციციანოვის სიძულვილის გამო, თავის შოვალეობად მიიჩნია ყველაფერი მის საწინააღმდეგოდ ეკეთებინა. მან სპარსეთში გაქცეული კაცი უკან მიიღო და შაქის ხანად დასვა. ყარაბაღის ავადმყოფი ხანი უშვილოდ აპირებდა გადაგებას, რტიშჩევმა კი, როგორც უნიჭოების განსახიერებამ, მას მემკვიდრე დაუნიშნა — ჯაფარ-ყული-აღა, თავის დროზე სპარსეთში გაქცეული, ჩვენს წინააღმდეგ სპარსულ ჯარს რომ შემოუძღვა და ერთი ბატალიონი გაგვიწყვიტა. რტიშჩევმა კაცი გაუგზავნა სპარსეთში, დაითანხმა დაბრუნებულიყო, აპატია დანაშაული და ხელმწიფის სახელით ხანის მემკვიდრედ გამოაცხადა. და აი ორი შესანიშნავი და უმდიდრესი პროვინცია დიდი ხნით დაკარგულია რუსეთისათვის. მთავარმართებლების მარტო სისულელე რომ იყოს მიზეზი კიდევ რა უშავდა, მაგრამ აქ გაცილებით უფრო მდაბალი მიზეზებია ჩარეული. რტიშჩევი კეთილი თვისებებისა და განზრახვების კაცი იყო, მაგრამ მისი არამზადა, გახრწნილი და ანგარებიანი ცოლი და მის გარშემო შემოკრებილი თაღლითები, აშკარა მძარცველები, ატრიალებდნენ მას თავის ჭკუაზე და აი სუსტმა და შეიძლება არც თუ ისე სავსებით უმანკო ქმნილებამ ჩაიდინა აშკარა უკანონობა“[144]. იმავე ხანებში მიწერილ მეორე წერილში ერმოლოვი კვლავ უბრუნდება სახანოების საკითხს და წერს: „... ძალიან მაწვალებს სახანოები, რომლებიც თავისი არსებობით გვარცხვენენ. სახანოების მმართველობა პირველყოფილი საზოგადოების შექმნის გამოხატულებაა. ეს არის მაგალითი ყოველგვარი უაზრობის, ბოროტი თვითნებობის და ყოველგვარი გახრწნილებისა, რომელიც კაცობრიობას განადგურებით ემუქრება. — სპარსეთიდან დაბრუნებისთანავე შევცვალე მათი მმართველობის ფორმას. ყარაბაღის მმართველს, კეთილ, მაგრამ სუსტ ადამიანს, საბედნიეროდ უშვილოს, მემკვიდრე აღარ ეყოლება, რა თქმა უნდა, მის შემდეგ სახანო აღარ იარსებებს. შაქის სამფლობელოს ხანი, საშინელი და ბოროტი ქმნილება ჯერ კიდევ ახალგაზრდაა, დიდი ხანი არაა რაც დაქორწინდა მშვენიერ ახალგაზრდა ქალზე. ეგ გაიძვერა გააჩენს ბევრს ბავშვებს და ელოდე მერე

[141] А. П. Ермолов в его письмах..., с. 528—529.

უამრავ მემკვიდრეს. მე განზრახული მაქვს ლოდინში დრო არ დავკარგო. მდიდარი და დოვლათიანი სამფლობელო მისი, ჩემი სპარსეთიდან დაბრუნების უმალ, რუსეთის ოლქი გახდება. მსგავსი საქმეები ნებართვის უკითხავად ერთბაშად გადაწყვეტას მოითხოვს. მე ჩავატარებ ცდას, რომელიც უეჭველია ხელისუფლებასაც მოეწონება»[145]. როგორც ჩვენ მიერ მოყვანილი წერილებიდან ჩანს, ერმოლოვისათვის სახანოების გაუქმებისათვის ბრძოლაში მთავარი მამოძრავებელი მიზეზი ამ მდიდარი და დოვლათიანი პროვინციების რუსეთთან უშუალო შეერთება იყო და არა კაცთმოყვარეობის პრინციპები, რომელსაც წარუმატებლად ცდილობს იგი ამოეფაროს. მაგრამ სახანოების გაუქმებამდე ერმოლოვი სპარსეთში საგანგებო ელჩობის მეთაურად უნდა გამგზავრებულიყო.

სპარსეთში გაგზავნილი საგანგებო მისიის მთავარი დანიშნულება იყო გულისტანის ტრაქტატით გათვალისწინებული საზღვრების საბოლოო დაზუსტება და რაც მთავარია, სპარსეთთან მეგობრული ურთიერთობის განმტკიცება. როგორც ცნობილია, გულისტანის ზავით ირანი რუსეთს უთმობდა ყარაბაღის, შაქის, შირვანის, განჯის, დერბენდის, ყუბის, ბაქოს და თალიშის სახანოებს, მაგრამ ამ სახანოების დაკარგვა სპარსეთისათვის მეტად მძიმე დანაკლისი იყო და შაჰი ყველა ღონეს ხმარობდა იმისათვის, რომ ალექსანდრე I რაიმე დათმობაზე დაეყოლიებინა. ერმოლოვის მეთაურობით გაგზავნილ საგანგებო ელჩობას ევალებოდა: 1. გამოერკვია, ხომ არ იქნებოდა შესაძლებელი თალიშის, ან ყარაბაღის სახანოს ზოგიერთი მიწების დაბრუნებით დაეკმაყოფილებინათ სპარსელების მოთხოვნა და ამის შედეგად რაიმე ახალი მოგებისათვის მიეღწიათ; 2. ასტრაბადსა და ენზელში გაეხსნათ სავაჭრო კანტორები; 3. აბას-მირზას ტახტის მემკვიდრედ გამოცხადების საკითხში ინგლისის პოლიტიკა გაეზიარებინათ, რომელიც მართალია, ოფიციალურად სცნობდა აბას-მირზას მემკვიდრეობას, მაგრამ ამ საკითხის გადაჭრისათვის არავითარ ვალდებულებას არ იღებდა; 4. სპარსეთთან დაედო ისეთი ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც რუსეთის სრული ნეიტრალიტეტი იქნებოდა გათვალისწინებული; 5. სპარსეთის კარზე ინგლისის გაძლიერებული გავლენა დაესუსტებინა და საბოლოოდ განედევნა; 6. სპარსეთი განეწყო რუსეთისადმი მშვიდობიანად; 7. შეეგროვებინა სრული ცნობები ამ სახელმწიფოს შესახებ და 8. თეირანში დაეარსებინა მუდმივი მისია. რაც მთავარია,

[145] А. П. Ермолов в его письмах..., с. 530—531.

იმპერატორი სპეციალურად აფრთხილებდა ერმოლოვს, რომ მისი მთავარი მოვალეობა იყო სპარსეთთან მეგობრული ურთიერთობის შეძლებისდაგვარად განმტკიცება[146]. მაგრამ ერმოლოვი ამ შემთხვევაშიც ისეთსავე შეუპოვარ პოზიციებზე იდგა, როგორც სახანოების მიმართ და არავითარ დათმობაზე წასვლას არ აპირებდა. იგი პირდაპირ უცხადებდა შაჰს, რომ „მას ხელმწიფისათვის უკვე მოხსენებული აქვს, რომ არავითარი შესაძლებლობა არ არსებობს დაუბრუნონ სპარსეთს დათმობილი ოლქების უმცირესი ნაწილიც კი და ამის შემდეგ სიზმარშიც კი რომ ნახოს სპარსეთისთვის მიწების დაბრუნება, ურჩევნია საერთოდ აღარ გაიღვიძოს"[147]. ერმოლოვმა თავისი მიზნის მისაღწევად, როგორც შემდეგში თვითონ არაერთგზის აცხადებდა, თავისი შთამბეჭდავი გარეგნობა, შეუპოვრობა და ბოხი ხმა იმ რიგად გამოიყენა, რომ შაჰი იძულებული გახდა, საბოლოოდ შერიგებოდა გულისტანის ტრაქტატით გათვალისწინებული მიწების დათმობას. „მე არ დამირღვევია ჩემთვის დავალებული პუნქტები, — სწერდა სპარსეთიდან დაბრუნების შემდეგ ერმოლოვი თავის მეგობარს, იმპერატორის სტატს-სეკრეტარს პეტრე ანდრიას ძე კიკინს, — არ გადამიბიჯებია საზღვრისათვის, მაგრამ უნდა ვაღიარო, რომ უკიდურეს ზღვარზე ვიდექი, მთლად საზღვარზე რომ არ გავჩერებულიყავი, ეს უკვე იმას ნიშნავდა, რომ ჩემივე თავს ზევით მევლო. ნუთუ რუსი სპარსეთის შაჰის ტახტის წინაშე მიწაზე უნდა განერთხას და დამცირებულმა, ჩვენი სისხლით მოპოვებული ოლქები ხარკად მიართვას მას. სპარსელებს წარმოდგენაც არ ჰქონდათ რუსეთის ძლიერებაზე და ჩემი წინამორბედების მსგავსს მოელოდნენ, რომელთა ზომიერებასაც გადაჭარბებულად აქებდნენ. სპარსული ქედმაღლობა ჩემგან მდაბალ მაამებლობას მოელოდა. ყველაფერი კი იმით გათავდა, რომ თვითონ შაჰი ტრაბახობდა ჩემი ყურადღებით..."[148] კიდევ უფრო შეურიგებელი პოზიციები დაიჭირა ერმოლოვმა აბას-მირზას ტახტის მემკვიდრედ ცნობის საკითხში. მან კატეგორიული უარი განაცხადა, ეცნო შაჰის ოფიციალურ მემკვიდრედ აბას-მირზა, რითაც სამკვდრო-სასიცოცხლოდ გადაიმტერა იგი და როგორც მოვლენების შემდგომი მსვლელობიდან დავინახავთ, ეს გარემოება და საერთოდ, მისი კავკასიის სახანოებისადმი დამოკიდე-

---

146 А. П. Берже. Посольство А. П. Ермолова в Персию в 1817 г. — Русская старина, т. XIX, с. 255—274.

147 А. П. Берже. Посольство А. П. Ермолова..., с. 410.

148 Письма А. П. Ермолова к П. А. Кикину. — Русская старина, 1872, № 11, с. 503—504.

ბულება იყო ერთ-ერთი მთავარი მიზეზი 1826—1828 წლების რუსეთ-სპარსეთის ომის გაჩაღებისა.

1817 წლის 10 ოქტომბერს დაბრუნდა ერმოლოვი სპარსეთიდან თბილისში და ფაქტიურად ამ თარიღიდან ენერგიულად შეუდგა მისთვის ჩაბარებული ქვეყნის მართვას. იგი ერთგული დარჩა ვორონცოვისადმი მიწერილ წერილებში გამჟღავნებული თავისი ზრახვებისა და როგორც კი ამის შესაძლებლობა მიეცემოდა, ზედიზედ აუქმებდა ამიერკავკასიის სახანოებს და ამ პროვინციებს უშუალოდ უერთდება რუსეთის იმპერიას. კერძოდ, 1819 წლის 24 ივლისს, შიქის იზმაილხანის სიკვდილის შემდეგ საბოლოოდ იყო შემოერთებული ეს სახანო. ასევე მოექცა იგი შირვანის (1820 წ.) და ყარაბაღის (1822 წ.) სახანოებს, რომელთა ხანებმა მუსტაფამ და მეხტი-ყულიმ სპარსეთში გაქცევა ამჯობინეს.

იმიერკავკასიის დამორჩილება ერმოლოვმა ჩეჩნეთიდან დაიწყო. მის მიერ აგებული პირველი ციხე-სიმაგრე „გროზნაიასათვის“ სტრატეგიული თვალსაზრისით იმდენად ხელსაყრელი ადგილი იყო შერჩეული, რომ ციხე-სიმაგრეს კავკასიის ხალხების დაპყრობისათვის წარმოებული ხანგრძლივი ბრძოლის განმავლობაში თავისი მნიშვნელობა არ დაუკარგავს. ყუმუხების დაპყრობის საქმეში ასეთივე როლი ითამაშა მის მიერვე აგებულმა ციხე-სიმაგრე „ვნეზაპნაიამ“. ერმოლოვმა იმიერკავკასიის ხალხების დასაძორჩილებლად პირველმა გამოიყენა ტყეების კაფვის სისტემა, რაც ფართო გზას უხსნიდა რუსის ჯარებს იმიერკავკასიაში შესაჭრელად.

დაღესტანში ერმოლოვმა 1818 წელს გაანადგურა მეხტულა და გადააქცია რუსულ საბოქაულოდ, შემდეგ წელიწადს დაიპყრო ტაბასარანი და მთელი ყარაყაიტაღი; ლავაშასთან ბრძოლამ კი საბოლოოდ გადაწყვიტა ჩრდილოეთ დაღესტნის (აკუშინელების) ბედი. ერთი წლის შემდე უკვე აღარ არსებობდა ძლიერი ყაზი-ყუმუხის სახანო.

ჩეჩნეთისა და დაღესტნის დამორჩილების შემდეგ ერმოლოვმა დაიპყრო ყაბარდო და ამის შემდეგ რუსეთის მფლობელობას ჩრდილოეთ კავკასიაში ისეთი ძლიერი საფუძველი ჩაეყარა, რომ 1825 წლის ჩეჩნეთის და ყაბარდოს ისისხლიანმა აჯანყებამაც კი ვეღარაფერი დააკლო მას. იმიერკავკასიის ხალხების დამორჩილებისას ერმოლოვმა განსაკუთრებული სიმკაცრე გამოიჩინა. ერმოლოვის არაადამიანურ საქციელს ვერ მალავს თვით მისი უახლოესი მეგობარი გრაბე. 1834 წელს კავკასიის მთავარმართველობიდან განთავისუფლებული ერმოლოვი გრაბესთან ცხოვრობდა სოფელ ვოზნესენსკოეში. აქ ერმოლოვ-

თან ხტუმრად მოსულ საზღვაო ოფიცრისაგან შეუტყვია გრაბეს, რომ ერმოლოვის მთავარსარდლობის ქამს, მისი ბრძანებით, საზღვაო ოფიცერს 16 კაცი, იმიერკავკასიის ხანების ოჯახის წევრები, დაუხრჩვია კასპიის ზღვაში... „შემეშინდა უფრო უარესი რამ არ გამეგო და ამიტომ შევწყვიტე გაძოკითხვაო“... დასძენს გრაბე[149]. აღსანიშნავია, რომ ერმოლოვს ამ საკითხზე უთანხმოება ჰქონია თვით იმპერატორ ალექსანდრე I-თან, რომელიც მთიელების დაწყნარების უფრო ჰუმანური მეთოდების მომხრე ყოფილა[150].

ერმოლოვის ერთგული თანამშრომელი, მასთან ერთად საქართველოში ჩამოსული ახალგაზრდა გენერალი ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე მურავიოვი[151] იმდენად შეუძრავს ერმოლოვის სისასტიკეს, რომ თავის ჩანაწერებში, სადაც დაწვრილებით აქვს აღწერილი ერმოლოვთან სამსახურის წლები, მრავალგზის უბრუნდება ამ თემას. აი რას მოგვითხრობს ივი 1820 წელს დერბენდში დაბანაკებული ერმოლოვის საქციელის შესახებ: „მრავალი ოფიცერი პირადი შურისძიების მიზნით ერმოლოვთან ასმენდნენ თათრებს და მოღალატეობას სწამებდნენ მათ. ერმოლოვი იმდენად თავდავიწყებამდე ბრაზდებოდა, რომ აქვე, თავისი ხელით სჯიდა საცოდავ მოსახლეობას. მთავარსარდლის მიერ გასული წლის განმავლობაში ჩადენილი სისასტიკე სავსებით არ შეესაბამებოდა ადრე მისთვის დამახასიათებელ გულკეთილობას. მარტო შაქის ბმაილ-ხანის მოწამვლა, რაც მან მადათოვის ხელით განახორციელა, ყველას შეაძრწუნებს“[152]. შემდეგ მურავიოვი კიდევ უბრუნდება ამ თემას და წერს: „31-ში (1820 წლის იანვარში) მე საღამო გავატარე ბარონ ვრედესთან[153], რომელიც მთელი საღამოს განმავლობაში ალექსი პეტრეს ძის მიერ დერბენდის უდანაშაულო მოსახლეობის მიმართ ჩადენილ სისასტიკესა და წამებაზე მესაუბრებოდა“[154].

განსაკუთრებული სისასტიკე გამოიჩინა ერმოლოვმა 1819—1820 წლების იმერეთის აჯახყების ჩაქრობის დროს. როგორც ცნობილია, ეს აჯანყება ძირითადად 1817 წელს ვარლამ ერისთავის ნაცვლად გა-

---

149 Граббе Л. Х. Из памятных записок. — М., 1879, с. 24.

150 Кавтарадзе А. Г. Генерал Ермолов. — Тула, 1977.

151 მურავიოვი ნ. 1854—1856 წლებში საქართველო-ამიერკავკასიის მეფისნაცვალი იყო.

152 Записки Николая Николаевича Муравьева-Карсского — «Русский архив», 1887 г. вып. III, с. 397.

153 ვრედე გენერალ-მაიორი დერბენდის ბრიგადის უფროსი.

154 Записки Н. Н. Муравьева..., 1887, вып. III, с. 400.

მოგზავნილი ახალი ეგზარქოსის, თეოფილაქტე რუსანოვის მოქმედებებით იყო გამოწვეული. პირველი, რაც მან ჩამოსვლისთანავე გააკეთა, თბილისის სიონის ტაძარში რუსული მღვდელმსახურების შემოღება იყო, რის გამოც ივანე ჯავახიშვილი გულისტკივილით წერდა: „ამგვარად, საქართველოს რუსეთთან შეერთებიდან 16 წლის შემდეგ ქართველებს მოესპოთ საშუალება საქართველოს დედაქალაქის კათედრალურ ტაძარში ღვთისმსახურება თავის მშობლიურ ენაზე მოესმინათ, იმ ენაზე, რომელზეც 1400 წლის განმავლობაში განუწყვეტლივ მხურვალე ლოცვა აღევლინებოდა. არც სპარსელებს, ცეცხლთაყვანისმცემლებსა და მაჰმადიანებს, არც არაბებს, არც წარმართ მონღოლებს, არც თურქებს არ გაუკეთებიათ ქართული ქრისტიანული მართლმადიდებლური ეკლესიისათვის ის, რაც გაუკეთა რუსულმა მმართველობამ და მათმა ეგზარქოსმა!“[155] თეოფილაქტე რუსანოვი ამ ღონისძიებით არ დაკმაყოფილებულა და ენერგიულად შეუდგა ქართული კლესიის რუსულ ყაიდაზე გარდაქმნას. მის მიერ შედგენილ და უწმიდესი სინოდის დამტკიცებული გეგმის მიხედვით გადაწყვეტილი იყო საეპისკოპოსოთა გაერთიანება, ეკლესიების შემცირება, საეკლესიო მამულების გადაცემა ხაზინის გამგებლობაში, საეკლესიო გლეხების გადასახადების გაზრდა და სხვ. საეკლესიო რეფორმები უნდა შეხებოდა გურია-სამეგრელოს სამთავროებსაც, რომლებიც საშინაო ავტონომიით სარგებლობდნენ. აღმოსავლეთ საქართველოში ცვლილებებმა შედარებით უმტკივნეულოდ ჩაიარა. 1819 წლის მაისში ეგზარქოსი იმერეთში ჩავიდა და უშუალოდ მოჰკიდა ხელი საეკლესიო რეფორმის ხელმძღვანელობას, მაგრამ მისმა მოღვაწეობამ საყოველთაო უკმაყოფილება გამოიწვია. რეფორმის გატარებას წინააღმდეგობას უწევდა არა მარტო სასულიერო წოდება, არამედ თავადაზნაურობაც და გლეხობაც. სულ მალე მოძრაობამ ორგანიზებული ხასიათი მიიღო. იგზავნებოდა მოწოდებები იმერეთიდან რაჭაში, გურიაში, სამეგრელოში, ერთმანეთს უთანხმდებოდნენ, რომ წინააღმდეგობა გაეწიათ თეოფილაქტეს მიერ დაგზავნილი მოხელეებისათვის, არ მიეცათ არავითარი ცნობები, ხოლო უკვე შევსებული ნუსხები წაერთმიათ. იმერლებს განსაკუთრებით ის გარემოება აღაშფოთებდათ, რომ თუ კი ებრაელთა, სომეხთა და კათოლიკეთა რწმენა და ეკლესია ხელშეუხებელი რჩება, ჩვენ რატომ უნდა ვიყოთ გამონაკლისი, რა დავაშავეთ, ეკლესიებს რომ გვიხურავენ და ეპისკოპოსებს გვართმე-

---

155 ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი ი ვ., ქართველი ერის ისტორია, წიგნი მეხუთე, გვ. 111.

ვენა[156]. აღელვებულმა ხალხმა მოითხოვა, თეოფილაქტეს დაუყოვნებლივ დაეტოვებინა იმერეთი. იმერეთის მმართველი კურნატოვსკი ყვირილის საგუშაგოსთან შეკრებილ აჯანყებულებთან თვითონ გამოცხადდა და მოლაპარაკებით ცდილობდა მათ დამშვიდებას, მაგრამ ვერაფერს გახდა და იძულებული იყო, თეოფილაქტე გაძლიერებულ დაცვით თბილისში გამოეგზავნა. ეგზარქოსის წამოსვლამ და საეკლესიო ყმა-მამულის აღწერის შეწყვეტამ საქმეს ველარ უშველა, რადგანაც, როგორც საქართველოს მმართველის, ველიამინოვის დაზვერვამ დაადგინა, აჯანყებას გაცილებით უფრო ფართო ხასიათი მიეღო; იმერეთის ეკლესიის დამოუკიდებლობის შენარჩუნებისათვის ბრძოლა იმერეთის სამეფოს აღდგენისათვის ბრძოლის სამზადისში გადაზრდილიყო და აჯანყების ხელმძღვანელობა სათანადო ზომებს იღებდა. მოციქულები სამეგრელო-გურიის გარდა ქართლ-კახეთშიც იგზავნებოდა; კავშირის დამყარებას ცდილობდნენ დაღესტანთან და ირან-თურქეთთანაც; იმერლები გამალებით ისხამდნენ იარაღს, იმარაგებდნენ ტყვია-წამალს, ფიცს სდებდნენ, რომ თავდადებით იბრძოლებდნენ რუსული მმართველობის გასაუქმებლად და დამოუკიდებელი სამეფოს აღსადგენად, ეპისკოპოსები ლოცვა-კურთხევას არ აკლებდნენ სამშობლოსათვის თავგასაწირად გამზადებულ ხალხს; ასახელებდნენ მეფობის კანდიდატებსაც: ზურაბ წერეთელს და ივანე აბაშიძეს. თუმცა ივანე აბაშიძე სოლომონ I-ის უშუალო ჩამომავალი იყო (დედამისი, დარეჯან ბატონიშვილი, სოლომონ I-ის შვილი იყო), ივანეს მაძა, ქაიხოსრო აბაშიძე და ორი ძმა სოლომონ II-ის მომხრეები, 1811 წელს რუსის ჯართან ბრძოლაში დაიღუპნენ, მაგრამ როგორც ეტყობა, მოსახლეობის უმეტესობას მაინც ბაგრატიონთა სახლის უშუალო წარმომადგენლის, საქართველოს დამოუკიდებლობისათვის დაუღალავი მებრძოლის, ალექსანდრე ბატონიშვილისთვის მიუნიჭებიათ უპირატესობა, მოციქულები გაუგზავნიათ და იმერეთის სამეფო ტახტი და აჯანყების მეთაურობა შეუთავაზებიათ[157].

მკაცრი და გადამწყვეტი ზომების მოყვარულმა ერმოლოვმა ასეთ პირობებში იმერეთის მმართველად „ლიბერალი" კურნატოვსკის დატოვება მიზანშეუწონლად მიიჩნია, იგი ხანდაზმულობის საბაბით სამსახურიდან გადააყენა და მის მაგივრად ახალგაზრდა პოლკოვნიკი პუზირევსკი დანიშნა, რომელსაც შემდეგნაირად ახასიათებდა: „...პოლკოვნიკი პუზირევსკი ყოველმხრივ სცვლის კურნატოვსკის, იმ გან-

[156] АКАК, т. VI, с. 391.

[157] АКАК VI, ч. I, с. 534—540, 564, 566—567, 569—570.

სხვავებით, რომ შეუდარებლად უფრო ეხერგიულია და იმერეთში მისი როგორც ცეცხლის, ისე ეშინიათ, რაც აუცილებელი თვისებაა იმერელი თავადაზნაურობის მეამბოხე და მოღალატური ხასიათის გამო... იგი არის ჭკვიანი, ყოჩაღი და შეუძლია ხალხს ჩაუნერგოს ჩვენი ხელისუფლების პატივისცემა... ასეთი ჩინებული ოფიცერი ძალიან საჭირო იქნება შემდგომშიაც"[158]. ერმოლოვის ასეთი დახასიათება პუშირევსკიმ იმით დაიმსახურა, რომ ერმოლოვის ბრძანება, მომავალი აჯანყების მათთვის ცნობილი მეთაურების დაპატიმრებაიმერეთიდან გამოყვანას რომ ითვალისწინებდა, დიდის გულმოდგინებით შეასრულა. „ყოჩაღმა და ჭკვიანმა" პოლკოვნიკმა არაფრის წინაშე უკან არ დაიხია და მოტყუებით, მოღალატეობითა თუ ძალადობით, მათი უმეტესობა დააპატიმრა. მისი გულმოდგინება იქამდისაც კი მიდიოდა, რომ გადაწყვეტილი ჰქონდა, ტყვეები: საყოველთაოდ პატივცემული ეპისკოპოსები ექვთიმე გენათელი და დოსითეოს ქუთათელი, ხანდაზმული მანდილოსანი ბატონიშვილი დარეჯან და სხვები, თუ კი გზაზე იმერლები დაესხმოდნენ თავს, დაეხოცა და მდინარეში გადაეყარა, გზაში კი წუნარად რომ ყოფილიყვნენ, ერთმანეთი არ დაენახათ და ვერც ადგილობრივ მოსახლეობას შეეცნო, თავზე ტომარაჩამოცმულები და კისერთან და წელთან თოკშემოკრულები წამოეყვანა[159]. პუშირევსკის ამ გადაწყვეტილებას ველიამინოვიც კი შეუშფოთებია და თამამი პოლკოვნიკისათვის ურჩევია, გზაში ტყვეების დახოცვა თუ გახდა საჭირო, მდინარეში არ ჩაყაროთ, თორემ წყალმა რომ გამორიყოს და მოსახლეობამ იცნოს, შეიძლება დიდი არეულობა მოჰყვეს ამ ამბავს, ჯობია მოზდოკამდე მაინც ატაროთ გვამები და იქ დაფლათო[160].

მართალია, ტყვეების გამყოლ ბადრაგს გზაზე არავინ დასხმია, მაგრამ დატყვევების დროს წინააღმდეგობის გაწევის გამო ხიშტებით საფუძვლიანად დაჩხვლეტილმა და ცხენზე ძალით დაკრულმა დოსითეოს ქუთათელმა სურამსა და გორს შუა დალია სული[161]. ველიამინოვის მითითებით, თანახმად, მისი სიკვდილი ჯარისკაცებისათვისაც კი არ გაუგებინებიათ, ერთ ხანს ასე უტარებიათ და ანანურში დაუფლიათ მალულად. ექვთიმე გენათელმა კი, რომელიც თავიდან საქართველო-რუსეთის ურთიერთობის აქტიური მომხრე იყო და სოლომონ

158 Ермолов А. П. Письма — Махач-Кала, 1926, с. 13.

159 АКАК, т. VI, ч. I, с. 578.

160 Потто, Утверждение... т. III, с. 509—513.

161 Записки И. П. Дубецкого. — Русская старина, 1895, апр., с. 121.

II-ის რუსულ ხელისუფლებასთან შერიგებას შუამდგომლობდა, ნოვგოროდამდე მიაღწია. როგორც 1921—1927 წლების კათოლიკოს-პატრიარქი ამბროსი ხელაია სასამართლო პროცესზე წარმოთქმულ საბოლოო სიტყვაში მოგვითხრობს, იმპერატორ ალექსანდრე I-ს მოუწადინებია ექვთიმე გენათელის ნახვა და მასთან ჩაყვანილ ეპისკოპოსს დიდი ზეიმითა და პატივით შეხვედრია, მაგრამ ოდესღაც რუსული ორიენტაციით განთქმულ ეპისკოპოსს, თავისი სამშობლოსა და ხალხის წამების გამო იმპერატორისათვის „ახალი ნერონი“ უწოდებია და განრისხებულ იმპერატორს იგი ოლონეცკის გუბერნიაში, სვირის მონასტერში გადაუსახლებია[162]. წარმატებით თავბრუდახვეულ პუზირევსკის მაინც გულს აკლდა, რომ შეთქმულების მეთაური, დარეჯან ბატონიშვილის ვაჟი, ივანე აბაშიძე და მისი მოკავშირენი ვერ შეეპყრო, მაგრამ სულ მალე ქაიხოსრო გურიელის სასახლეში (სოფ. შემოქმედში) მიაკვლია „ავაზაკთა ბუდეს“. მათი განადგურების იდეით შეპყრობილი პუზირევსკი ჯარით შეიჭრა გურიაში, მაგრამ „მამაცი“ პოლკოვნიკი სწორედ იმ დღეს გამოასალმეს წუთისოფელს შემოქმედის ციხესთან, როცა ერმოლოვი ზემოთ მოყვანილ სიტყვებს წერდა: პუზირევსკი... „ბევიანია, ყოჩაღია და შეუძლია ხალხს ჩვენი ხელისუფლების პატივისცემა ჩაუნერგოს“.

პუზირევსკის მკვლელობის შემდეგ აჯანყებამ უკვე აშკარად იფეთქა გურიაში. დავით ერისთავმა ჩოხატაურის საგუშაგოზე მიიტანა იერიში, აქ მდგომი რუსული რაზმი ამოჟლიტა და შენობას ცეცხლი წაუკიდა. გურულებმა სასტიკად დაამარცხეს პოდპოლკოვნიკ ზგორელსკის რაზმიც. ამავე დროს რაჭაში, აჯანყებულებმა მეფედ გამოაცხადეს ვახტანგ ბაგრატიონი და ქუთაისისკენ დაიძრნენ. მთელ რაჭა-იმერეთ-გურიაში აჯანყების ცეცხლი გიზგიზებდა. მართალია, სამეგრელოსა და გურიის მთავრები რუსების აშკარა წინააღმდეგობას ვერ ბედავდნენ, მაგრამ ამ სამთავროების მოსახლეობის უმეტესი ნაწილი ქაიხოსრო გურიელისა და გიორგი დადიანის ხელმძღვანელობით ანტირეჟიმულ აჯანყებაში იყო ჩაბმული. პუზირევსკის მკვლელობით გაბოროტებულმა ერმოლოვმა შემდეგი შინაარსის ბრძანებით მიმართა პოლკს: „მამაცო ამხანაგებო! თქვენ დაკარგეთ მეთაური, რომელიც გამოირჩეოდა დიდებული ხელმწიფისათვის გულმოდგინე სამსახურით და სამაგალითოდ ზრუნავდა თქვენზე. თქვენთან ერთად ვწუხვარ, რომ

---

[162] ხ ე ლ ა ი ა ა. „მე შევასრულე ჩემი მოვალეობა“. — მნათობი, 1988, № 10, გვ. 152.

დაიღუპა იგი უნამუსო მოღალატეების ხელით, თქვენთან ერთად ვფიქრობ, როგორ უნდა მიუზღათ მათ, ღირსეული მეთაურის საზარელი მკვლელობისათვის. მე განახებთ თქვენ ადგილს, სადაც ცხოვრობდა ყაჩაღებს შორის გამორჩეული ქაიხოსრო გურიელი; ქვა ქვაზე არ დატოვოთ ბოროტმოქმედთა თავშესაფარში, მისი ბილწი თანამზრახველებიდან ერთიც არ დატოვოთ ცოცხალი...«[163] რაღა თქმა უნდა, ასეთი ბრძანებით წაქეზებული ჯარისკაცები ძალ-ღონეს არ დაიშურებდნენ გურიის სოფლების გასანადგურებლად და მართლაც, გენერალ ველიამინოვის 3 200 კაციანმა რაზმმა უწყალოდ ჩეხა ბაღ-ვენახები, გაანადგურა სოფლები, დაწვა სახლები და ნაცარ-ტუტად აქცია იქაურობა. იმერეთის ახალი მმართველის გორჩაკოვის მეთაურობით ჯარები შეიჭრნენ რაჭაში, სადაც ქვა ქვაზე არ დატოვეს. ყველაფერზე მძიმე კი ის იყო, რომ რუსებმა ვერაგული ხერხებით შეძლეს აჯანყებულთა ერთ-ერთი დაჭრილი თავკაცის, ლომკაც ლეჟავას საშუალებით, ხელში ჩაეგდოთ მეტად მნიშვნელოვანი დოკუმენტი — იმერეთის დამოუკიდებლობის აქტი, რომელზეც ხელი მოწერილი ჰქონდა აჯანყების ყველა სამხედრო და პოლიტიკურ ხელმძღვანელს. მათი უმრავლესობა რუსულ სამხედრო სამსახურში ირიცხებოდა, მაღალი სამხედრო ჩინები ჰქონდა მიღებული და ხელისუფლებას ლოიალურად აჩვენებდა თავს. რუსულ ხელისუფლებას, რაკიღა ასეთი საბუთი ჰქონდა ხელთ, მათი მუხანათურად ხელში ჩაგდება აღარ გასჭირვებია. გორჩაკოვთან სადარბაზოდ მოწვეულ წარჩინებულ საზოგადოებას სრულიად მოულოდნელად ალყა შემოარტყეს და გამოუცხადეს, რომ დაპატიმრებულნი იყვნენ. შეთქმულებმა ხმლები იშიშვლეს, მაგრამ ორმაგი ალყის გარღვევა ვეღარ შეძლეს. ზოგი მათგანი ადგილზევე დაეცა მკვდარი, უმეტესობა კი ციმბირში გადაასახლეს, მათი სასახლეები და ციხეები მიწასთან გაასწორეს, ყმა-მამული კი ხაზინახ გადასცეს[164]. დამწვარ-გადაბუგული ქვეყანა, როგორც ერმოლოვი აცხადებდა, კიდევ მრავალ წელიწადს ვერ აღიდგენდა თავის პირვანდელ მდგომარეობას, უკიდურესი სიღარიბე იქნებოდა მისი სასჯელი.

ერმოლოვმა საქართველო-კავკასიის მთავარმართებლად 11 წელიწადი დაჰყო, აქედან 5 წელიწადი იმიერკავკასიის მთიელებთან ბრძოლას მოანდომა. იგი თავის ჯარისკაცებთან ერთად იზიარებდა

---

[163] Кавказские военачальники в их приказах. — Русская старина, 1886, т. 50, с. 375.

[164] Записки И. П. Дубецкого.

სამხედრო ექსპედიციების ყველა ძნელ და უსიამოვნო მხარეს, ჯარისკაცებს უჩვენებდა სიმამაცისა და გულადობის მაგალითებს. თითოეული ლაშქრობა რამდენიმე თვე და წელიწადიც კი გრძელდებოდა, რომლის განმავლობაშიც ერმოლოვს თავის ჯარისკაცებთან თანაბარ პირობებში, სამხედრო ბანაკში უხდებოდა ცხოვრება. ცხოვრების ასეთი ნირით ერმოლოვმა კავკასიის 40 000-იანი კორპუსის ისეთი უსაზღვრო ერთგულება დაიმსახურა, რომ მისი ჯარისკაცები მზად იყვნენ, მასთან ერთად უყოყმანოდ გადაელახათ ყოველგვარი სიძნელეები.

თვით თბილისშიც ერმოლოვის საცხოვრებელი სამხედრო ბანაკს უფრო წააგავდა, ვიდრე ჩვეულებრივ სახლს. იგი მუდმივად სამხედრო პირებით იყო გარშემორტყმული და მის მმართველობასაც აშკარად გამოხატული სამხედრო ხასიათი ჰქონდა. იმდროინდელი რუსეთის პროგრესულმა მოღვაწემ ალექსანდრე ტურგენევმა, ერმოლოვის სახელის გარშემო ატეხილი ხოტბა-დიდების მიუხედავად, შეძლო სავსებით სამართლიანად დაეხასიათებინა იგი. „აქ ჩამოვიდა ერმოლოვი. მე ჯერ არ მინახავს იგი ... დაიწყებს ბრეჭას მინისტრების წინაშე და თავისი დიდებით ტრაბახს, რასაც არც საქართველოსთვის, არც რუსეთისათვის არავითარი სარგებლობა არ მოაქვს. მისი კორპუსი საქართველოს საცოდავ მაცხოვრებლებს აწევს თავზე და მშვიდობიანი, თუნდაც ხანგრძლივი მოქმედება სამოქალაქო მმართველობისა იქ არ არსებობს, ერთადერთი სამხედრო ძალა ყველაფერს თრგუნავს და ყველაფერს ამსხვრევს. ყველაფერი გათვლილია მთავარსარდლის პირადი დიდების ყალბი ბრწყინვალებისათვის, მოქალაქეობასა და მასთან ერთად მოქალაქეობრიობას აქ ახლოსაც არ გაუვლია«[165], — სწერდა ტურგენევი კიაზემსკის.

საქართველოში ჩამოსვლისთანავე ერმოლოვს ყოფილი მთავარმართებლების: ტორმასოვის, პაულუჩისა და რტიშჩევის მიერ შედგენილი საქართველოს სამოქალაქო მმართველობის პროექტები გადასცეს და მისი დასკვნა მოსთხოვეს. ამ საკითხის შესახებ ერმოლოვი შემდეგ მოსაზრებას გამოთქვამდა: „არ შემიძლია არ დავეთანხმო, რომ ამ მხარეში სამოქალაქო მმართველობა მართლაც ძირეულ გაუმჯობესებას მოითხოვს, მაგრამ იმისათვის, რომ ახალი მმართველობა მყარ საფუძველზე იყოს დამყარებული და ყოველი ახალი მთავარმართებლის მოსვლასთან დაკავშირებით მუდმივი ცვლილებები ავიცდინოთ

---

165 ციტირებულია ნ. მახათაძის სადოქტორო დისერტაციის ავტორეფერატიდან «Очаг грузинской культуры в Петербурге», Тбилиси, 1970, с. 16.

თავიდან, საჭიროა ხანგრძლივი დრო, ყველა წერილმანის დაკვირვებით გათვალისწინება და არა ზედაპირული დასკვნა«[166]. მაგრამ ერმოლოვმა საქართველოში ყოფნის 11 წლის განმავლობაში ვერ, ან არ გამონახა დრო ამ საქმისათვის. როგორც უკვე აღვნიშნეთ, იგი თვეობით იმყოფებოდა დაღესტანში სამხედრო ბანაკებში და მთელი ენერგიით იბრძოდა იმიერკავკასიელი მთიელების დასამორჩილებლად. სამოქალაქო საქმეების მართვას, განსაკუთრებით კი სამოქალაქო მმართველობის ახალი პროექტის შედგენას, რასაც მართლაც დიდი ცოდნა, გამოცდილება, მომზადება და ხანგრძლივი შრომა ჭირდებოდა, საკმაოდ უხალისოდ ჰკიდებდა ხელს. როგორც ნიკოლოზ მურავიოვი გადმოგვცემს, თბილისში მისი სახლი მუდამ სავსე იყო სამხედრო მოხელეებით და მთავარსარდალი მათთან ერთად, თითქმის მთელი დღე, გვიან ღამემდე კარტისა და ბილიარდის თამაშში ატარებდა დროს[167]. ბოლოსდაბოლოს ერმოლოვმა ისე დასტოვა კავკასია, რომ არავითარი ახალი პროექტი, ან დასკვნა უკვე შედგენილი პროექტების შესახებ არ გადაუცია. საქმოქალაქო მმართველობის მხრივ მის მთავარ საზრუნავს ცოტად თუ ბევრად კეთილსინდისიერი და ასე თუ ისე განსწავლული მოხელეების შერჩევა წარმოადგენდა.

საქართველოში ამ მხრივ, მართლაც რომ საგანგაშო მდგომარეობა იყო. მოხელეების აღვირაშვებულება იმ ზომამდე იყო მისული, რომ საგანგებოდ დანიშნული პროკურორები, რომელთა მოვალეობა იყო, თვალყური ედევნებინათ და მთავარსარდლისა და იუსტიციის მინისტრისთვის მოეხსენებინათ მოხელეების მიერ კანონის დარღვევის, ან ბოროტმოქმედების შემთხვევები, თვითონ თაღლითობდნენ, ისე რომ, ზოგი მათგანი აშკარა ქურდობასაც არ ერიდებოდა. აქედან უნდა წარმოვიდგინოთ, რა ზნეობისა იქნებოდნენ ჩვეულებრივი მოხელეები. 1822 წელს ერმოლოვი საგანგებოდ მიმართავდა შინაგან საქმეთა მინისტრს და სთხოვდა კანცელარიის მოხელეები შერჩევით გამოეგზავნათ, უმთავრესად უნივერსიტეტისა და სასულიერო სემინარიების კურსდამთავრებულები. წინააღმდეგ შემთხვევაში, თუ კვლავ განაგრძობდნენ განურჩევლად, შემთხვევითი მოხელეებით მისი კანცელარიის დაკომპლექტებას, იგი წესრიგის დაცვასა და საქმის წარმატებით წარმოებაზე უარს იტყოდა[168]. როგორც საარქივო საქმეებიდან ჩანს, ერ-

---

166 АКАК, т. VI, ч. 1.

167 Записки Н. Н. Муравьева. Русский архив, 1888, вып. 1, с. 74.

168 სცსა, ფ. 2, ან. I, საქ. 1174, ფურც. 145—152.

მოლოვს ხელისუფლების მიერ სპეციალური გამოძახების გარეშე, თავისი ნებით ჩამოსული მოხელეების მიღება, რაც არ უნდა მაღალი ჩინის ყოფილიყვნენ ისინი, საგანგებო გამოცდის გარეშე აკრძალული ჰქონდა[169].

მოხელეების შერჩევის მხრივ ყველაზე კარგი, რაც გააკეთა ერმოლოვმა — ეს იყო 1822 წელს მისი ინიციატივით საქართველოს პროკურორად იაგორ ჭილაშვილის დანიშვნა. იაგორ ჭილაშვილის მამა გაბრიელ (გლახა) ჭილაძე, ვახტანგ ბატონიშვილის ერთგული ამილახვარი, პეტერბურგს გაჰყვა გადასახლებულ ბატონიშვილებს და შვილებსაც სათანადო განათლება იქ მიაღებინა. პეტერბურგში განსწავლული იაგორი, რუსული და ქართული ენების შესანიშნავი მცოდნე, ქართულ ყოფაცხოვრებასა და ზნე-ჩვეულებებსაც ზედმიწევნით იცნობდა და რეალური სარგებლობის მოტანა შეეძლო. მით უმეტეს, რომ თვით ერმოლოვიც, დარწმუნებული იაგორის კეთილსინდისიერებასა და განსწავლულობაში, ყველა მის წამოწყებას აქტიურად უჭერდა მხარს. უკვე 1822 წლის თებერვალში იაგორ ჭილაშვილი თხოვდა ერმოლოვს, ეშუამდგომლა იუსტიციის მინისტრის წინაშე, რათა საქართველოში დაეარსებინათ საპროკურორო ზედამხედველობა. საქართველოში ასეთი ინსტიტუტის არარსებობის გამო, ადგილებზე მოხელეებისათვის თვალყურის დევნება, რომ სწორად ეწარმოებინათ სასამართლო საქმეები, დავალებული ჰქონდათ სამაზრო და საოლქო სასამართლოების მდივნებს. მდივნები კი, როგორც ჭილაშვილი აცხადებდა, თვითონ იყვნენ პასუხისმგებელნი სასამართლოში წარმოებულ საქმეებზე და, რა თქმა უნდა, არც უფროსების და არც საკუთარი თავის საწინააღმდეგოს არაფერს შეატყობინებდნენ პროკურორს; მით უმეტეს, რომ ადგილობრივი მოსახლეობის მიერ რუსული ენის უცოდინარობისა და უფროსების მიერ ქართულის არცოდნის გამო ყოველგვარი ბოროტმოქმედების მიჩქმალვა არ გაუჭირდებოდათ[170].

უკვე 1822 წლის 30 ივლისს, ერმოლოვის დაჟინებით შუამდგომლობის შედეგად[171], საქართველოში დაარსდა საპროკურორო ზედამხედველობა 2 საგუბერნიო და 4 სამაზრო ვექილის შემადგენლობით[172]. ჭილაშვილისავე დიდი ხელშეწყობით საგანგებო კომისიამ,

169 სცსსა, ფ. 2, ან. I, საქ. 1436, ფურც. 32—33.
170 სცსსა, ფ. 2, ან. I, საქ. 1174, ფურც. 40—41.
171 სცსსა, ფ. 2, ან. I, საქ. 1174, ფურც. 67—68.
172 Полн. Собр. зак. т. XXXVIII, № 29—095.

რომელსაც საქართველოს გუბერნატორი ხოვენი თავმჯდომარეობდა, 1824 წელს დაამთავრა ვახტანგის კანონების სრული თარგმანი. 1825 წლიდან უმაღლესად დამტკიცებული საგანგებო კომიტეტის მითითების მიხედვით, სენატს საქართველოდან მოსული სააპელაციო საქმეების გადაწყვეტის დროს ვახტანგ VI-ის კანონმდებლობით უნდა ეხელმძღვანელა[173].

1822 წლის 2 მარტს ჭილაშვილმა ერმოლოვს მოხსენებითი ბარათი წარუდგინა, სადაც წერდა, რომ დავალიანებული მემამულეები კრედიტორისათვის ვალის გადახდის მიზნით იძულებული არიან საჯარო ვაჭრობაზე გამოიტანონ თავიანთი ყმა-მამული, მაგრამ ხშირად სამგზის და უფრო მეტჯერ პუბლიკაციის შემდეგაც კი ყმა-მამულის შესყიდვის მსურველი არავინ ჩნდება და იგი ჩალის ფასად რჩება კრედიტორს, რადგანაც, როგორც წესი, მისი წინასწარი შეფასება ნამდვილ ღირებულებაზე გაცილებით უფრო ნაკლებია. ჭილაშვილი სთავაზობდა ერმოლოვს თვით საჯარო ვაჭრობაზე გასასყიდი გლეხისათვის მიეცათ ნება მიეღო მონაწილეობა ვაჭრობაში და თავისა და მამულის გამოსასყიდად გადაეხადა ის თანხა, რომელიც საბოლოო იქნებოდა, ან თუ შესყიდვის მსურველი არავინ გამოჩნდებოდა, შეფასებული თანხის გადახდის შემდეგ გასასყიდი გლეხი გადაეყვანათ სახელმწიფო უწყებაში[174]. საჯარო ვაჭრობაზე გამოყვანილი გლეხისათვის თავგამოსყიდვის გაადვილების მიზნით ჭილაშვილი თხოვდა ერმოლოვს ხაზინას გამოეყო დასახმარებლად თანხა 5 ათას მანეთამდე რაოდენობით[175].

ერმოლოვმა ჭილაშვილის მოხსენებითი ბარათის პირი იუსტიციის მინისტრს დმიტრი ივანეს ძე ლობანოვ-როსტოვსკის გაუგზავნა და თავის მხრივ დაურთო, რომ მისი ღრმა რწმენით, მოსახლეობა იმიტომ არ იღებს მონაწილეობას საჯარო ვაჭრობაში, რომ კრედიტორები მის შესახებ წინასწარ უთანხმდებიან მათ, რათა ჩალის ფასად დაინარჩუნონ გასაყიდად გამოტანილი ყმა-მამული. ასე რომ, საქართველოს პროკურორის ჭილაშვილის მიერ შემოთავაზებული ღონისძიება კრედიტორების მზაკვრობასაც მოუღებს ბოლოს და რაც მთავარია, ხაზინისათვისაც ერთობ სასარგებლო იქნება, რადგანაც საბატონო გლეხები თავის გამოსასყიდ თანხას თვითონ გადაიხდიან და სახელმწიფოს

---

173 Полн. Собр. зак. т. XI, № 30, 272.

174 სცსსა, ფ. 2, ან. I, საქ. 1190, ფურც. 1.

175 იქვე.

მხრიდან ყოველგვარი ხარჯის გარეშე გადაირიცხება სახაზინო უწყებაში[176].

სახელმწიფო საბჭოზე ამ საკითხის განხილვის შემდეგ გამოვიდა უმაღლესად დამტკიცებული 1824 წლის 22 თებერვლის ცნობილი კანონი, რომლის თანახმადაც: 1. გასაყიდ გლეხს უფლება ეძლეოდა გადაეხადა საჯარო ვაჭრობაზე დადგენილი საბოლოო ფასი, ან თუ საჯარო ვაჭრობა არ შედგებოდა, გადაეხადა ის თანხა, რომლითაც გასაყიდი ყმა-მამული წინასწარ იყო შეფასებული; 2. მიწიანად თავგამოსყიდული გლეხი იღებდა პირად თავისუფლებას, მიწას საკუთრებაში და თავისუფალ მხვნელ-მთესველთა კატეგორიაში გადაირიცხებოდა ყველა იმ უფლებით, რომელიც ამ კატეგორიას 1803 წლის ბრძანებულებით ჰქონდა მინიჭებული. აქვე აღნიშნული იყო, რომ 1824 წლის კანონის მოქმედება მხოლოდ საქართველოს ტერიტორიით შემოიფარგლებოდა[177].

1824 წლის კანონის მიღების შემდეგ თავგამოსყიდვის ასეთივე უფლებების მიღება მოინდომეს, საჯარო ვაჭრობით გასაყიდი გლეხების გარდა, იმათაც ვინც მემამულეების კერძო გარიგებით იყიდებოდნენ.

პროკურორ ჭილაშვილისა და ერმოლოვის შუამდგომლობის შედეგად ეს საკითხი დაისვა სახელმწიფო საბჭოში[178] და მისი განხილვისა და უმაღლესად დამტკიცების შემდეგ გამოიცა 1831 წლის 25 ოქტომბრის დებულება, რომლის მიხედვითაც კერძო გარიგების საფუძველზე ყმა-მამულის გაყიდვის შემთხვევაშიც გლეხებს თავის გამოსყიდვის უფლება ეძლეოდათ, თუკი ისინი გაყიდვის გამოცხადების დღიდან 30 დღის განმავლობაში სათანადო თანხას შეიტანდნენ.

საქართველო-კავკასიის საშინაო მმართველობის თვალსაზრისით ყველაზე მნიშვნელოვანი ღონისძიება, რომელიც ერმოლოვის შუამდგომლობითა და მისი დიდი მეცადინეობის შედეგად გატარდა — ეს იყო შეღავათიანი ტარიფის დაარსება. 1821 წლის 8 ოქტომბერს, ერმოლოვის შუამდგომლობის შედეგად იმპერატორმა ხელი მოაწერა ბრძანებულებას, რომლის ძალითაც ევროპის ქვეყნებიდან ამიერკავკასიაში შემოტანილ საქონელზე მისი ღირებულების მხოლოდ 5% ბაჟს ახდევინებდნენ და რედუტ-კალედან ირანში გაიხსნებოდა უბაჟო ტრანზიტი. ამიერიდან ამიერკავკასიის ტერიტორიაზე ოდესა-რედუტ-კალე-თბილისი-ჯულფის გზით უნდა წარმართულიყო ევროპის ვაჭ-

---

176 სცსსა, ფ. 2, ან. I, საქ. 1190, ფურც. 2—3.

177 იქვე, ფურც. 8—13.

178 იქვე, ფურც. 37—38.

რობა აზიასთან. შეღავათიანი ტარიფისა და ამიერკავკასიაზე უბაჟო ტრანზიტის დაწესების შედეგად თბილისი, როგორც ტრანზიტული ვაჭრობის საკვანძო ქალაქი, უნდა გადაქცეულიყო მსოფლიო მნიშვნელობის სასაწყობო ცენტრად. შეღავათიანმა ტარიფმა, რომლის მოქმედება 10 წლით იყო განსაზღვრული, მნიშვნელოვანი ბიძგი მისცა საერთოდ ამიერკავკასიისა და, კერძოდ, საქართველოს ვაჭრობის განვითარებას; იგი არღვევდა ადგილობრივი ბაზრების კარჩაკეტილობას და ამიერკავკასიას მსოფლიო საქონელბრუნვაში აბამდა.

რაც შეეხება ერმოლოვისა და დეკაბრისტების ურთიერთობას, როგორც უკვე აღვნიშნეთ, თანამედროვე ისტორიოგრაფიაში გავრცელებულია მოსაზრება, რომელიც შესაძლებლად სცნობს კავკასიის კორპუსში ერმოლოვის მეთაურობით ფარული ორგანიზაციის არსებობას[179].

როგორც ცნობილია, დეკაბრისტების სამხრეთის საზოგადოების ე. წ. „თეთრი ეკლესიის გეგმა“ («Белоцерковский план»), რომელიც ითვალისწინებდა 1825 წელს საზაფხულო სამხედრო ბანაკის სამეფო დათვალიერების დროს ალექსანდრე I-ის მოკვლას და ჯარების დაძერას კიევისა და მოსკოვისაკენ ძალაუფლების ხელში ჩასაგდებად, დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა, როგორ პოზიციებს დაიკავებდა ერმოლოვი და მისდამი უსაზღვრო ერთგული კავკასიის კორპუსი. თუკი კავკასიის კორპუსი მეფის ერთგული დარჩებოდა, მას ადვილად შეეძლო მოსკოვისაკენ დაძრული აჯანყებული ჯარებისათვის გამანადგურებელი დარტყმა მიეყენებინა და სამხრეთისა და ჩრდილოეთის ძალების შეერთებისათვის ხელი შეეშალა. თუ კი პირიქით: ერმოლოვი აჯანყებულთა მხარეს დაიჭერდა და თავისი კორპუსით მათ დასახმარებლად გამოვიდოდა, დიდად შეუწყობდა ხელს გამარჯვების მოპოვებას.

თანამედროვე ისტორიოგრაფიაში გავრცელებული მოსაზრების მიხედვით, ამ გეგმის ერმოლოვისათვის გაზიარება დეკაბრისტებს გრიბოედოვისათვის უნდა ჰქონოდათ მინდობილი[180]. ქვემოთ ჩვენ შევეცდებით განვიხილოთ, რა საბუთებს ემყარება ეს ზემოაღნიშნული მოსაზრებანი და რამდენად რეალურად შეიძლება მივიჩნიოთ ერმოლოვის დეკაბრისტობა.

მოსაზრება ერმოლოვის დეკაბრისტობის შესახებ, უპირველეს ყოვლისა, ემყარება ალექსანდრე I-ის მიერ საკუთარი ხელით დაწე-

---

179 Нечкина М. В. Следственное дело А. С. Грибоедова, М., 1932.

180 Нечкина М. В. Следственное дело А. С. Грибоедова, с. 74—77.

რილ ბარათს, რომელიც მისი გარდაცვალების შემდეგ მის კაბინეტში აღმოაჩინეს და რომელიც 1824 წლით თარიღდება. აი რა ეწერა ამ ბარათში: „ხმები დადის, რომ თითქოს თავისუფალი აზროვნების, ანუ ლიბერალიზმის სული გავრცელებულია, ან უკიდურეს შემთხვევაში ძალიან მძლავრად იკიდებს ფეხს ჯარებს შორისაც; რომ ორივე არმიაში, ისევე როგორც ცალკეულ კორპუსებში მოქმედებს საიდუმლო საზოგადოებები, ანუ კლუბები, რომელთაც თავისი პარტიის გასავრცელებლად ჰყავთ სერიოზული მისიონერები: ერმოლოვი, რაევსკი, კისელევი, მიხეილ ორლოვი, დიმიტრი სტოლიპინი და მრავალი სხვა გენერალი, პოლკოვნიკი, პოლკის უფროსი და მათ გარდა კიდევ შტაბისა და ობეროფიცრების უმრავლესობა“[181]. ეს ბარათი სავსებით საკმარისი იყო იმისათვის, რომ ნიკოლოზ I ერმოლოვის ერთგულებაში დაეჭვებულიყო და დიბიჩისათვის დაევალებინა, რომ ერმოლოვზე განსაკუთრებული მეთვალყურეობა დაეწესებინათ. „არ დაგავიწყდეთ შემატყობინეთ მე ყველაფერი, რაც თქვენთან, ან თქვენს გარშემო ხდება, განსაკუთრებით ერმოლოვის შესახებ. მასთან რაიმე საბაბის მომიზეზებით საჭირო იქნება ვინმეს გაგზავნა, მაგალითად, გერმანის მსგავსი კაცისა; მაპატიეთ, მაგრამ ყველაზე ნაკლებად მე მას ვენდობი“[182], სწერდა ნიკოლოზ I დიბიჩს 1825 წლის 12 დეკემბერს.

გარდა ამისა, არსებობს დეკაბრისტ ს. ვოლკონსკის მოხსენებითი ბარათი, საიდანაც ირკვევა, რომ დეკაბრისტები ოფიცერ იაკუბოვიჩის ჩვენებით ხელმძღვანელობდნენ, როდესაც ერმოლოვს თავისი მოქმედების გეგმაში გარკვეული ადგილი მიუჩინეს და დროებითი რევოლუციური მთავრობის კანდიდატურებს შორის დაასახელეს. სხვა რამ ცნობა ერმოლოვის ფარული მოღვაწეობის შესახებ მათ არ ჰქონიათ. შემდეგში კატორღაში ერთად ყოფნის დროს, იაკუბოვიჩის ახლოს გაცნობის შედეგად ვოლკონსკი დარწმუნდა, რომ მონათხრობი კავკასიის ფარული საზოგადოების არსებობის და მის ხელმძღვანელად ერმოლოვის გამოცხადების შესახებ მთლიანად იაკუბოვიჩის მიერ იყო შეთხზული და მხოლოდ და მხოლოდ მისი ფანტაზიის ნაყოფს წარმოადგენდა[183].

სხვა რაიმე მამხილებელი საბუთი ერმოლოვის დეკაბრისტობის შესახებ საგამომძიებლო კომისიის საქმეებში არ მოიძებნება, მაგრამ

---

181 Шильдер Н. К. Император Александр I. Его жизнь и царствование. СПБ., 1888, т. 4, с. 330.

182 Шильдер Н. К. — Николай I, с. 251.

183 Записки С. Г. Волконского., СПБ, 1902, с. 414—416.

როგორც მ. ნეჩკინა ვარაუდობს, საგამომძიებლო კომისიამ ნიკოლოზ I-ის დავალებით ამ მიმართულებით ძიება განგებ შეწყვიტა. იმიტომ კი არა, რომ ერმოლოვი უდანაშაულოდ სცნო და კავკასიის კორპუსში ფარული საზოგადოების არარსებობა დაიჯერა, არამედ იმიტომ, რომ ერმოლოვი პოლიტიკურად მეტისმეტად დიდი ფიგურა იყო, იგი რევოლუციური მთავრობის წევრების კანდიდატურებს შორის ერთადერთი პირი იყო, რომელსაც რეალური სამხედრო ძალა გააჩნდა. ყოველივე ამის გამო ნიკოლოზ I-მა მასთან აშკარა ბრძოლა სახიფათოდ მიიჩნია და დაამუშავა გეგმა შემდგომში მისი სრული დისკრედიტაციისა და სამხედრო სამსახურიდან გადაყენების შესახებ. ამავე მიზეზის გამო აღარ ჩათვალა საჭიროდ გრიბოედოვის დაკითხვის გაგრძელება და მის სრულ გამართლებას დაუჭირა მხარიო, წერს მ. ნეჩკინა[184].

კავკასიის კორპუსში ფარული საზოგადოების არსებობა და ამ საზოგადოების მეთაურად ერმოლოვის გამოცხადება ჩვენ სარწმუნოდ არ მიგვაჩნია, რადგანაც ერმოლოვის მსჯელობა რევოლუციის, გლეხობის განთავისუფლების და ფარული საზოგადოებების შესახებ, რომელიც მას თავის მეგობარ გენერალ ზაკრევსკისადმი მიწერილ ბარათებში აქვს გამოთქმული, სავსებით გამორიცხავს იმის შესაძლებლობას, რომ მას მეფის საწინააღმდეგო რაიმე ფარული მოღვაწეობა მიეწეროთ. მოვიყვანთ ზოგიერთ ადგილს ამ წერილებიდან: „მე, როგორც აზიაში მცხოვრები, გესაუბრებით თქვენ აჯანყების შესახებ. თქვენ, განათლებული ევროპელები, იგივეს აკეთებთ, ოღონდ სიტყვა **აჯანყებას** სცვლით **რევოლუციით**. არ მესმის, ასე უფრო კეთილშობილურად რატომ უნდა ეღერდეს... ესპანეთში მღელვარება დაიწყო ჯარში, მას მიემხრო ხალხი და იმას, რაც მართებული იყო გამოეთხოვათ მეფისთვის, ძალით ართმევენ. შესანიშნავი ხერხებია! ... როგორი უგუნური საქციელია, შეურაცხყო ის პიროვნება, რომელიც მმართველობის შეცვლის შემთხვევაშიც მაინც პირველი უნდა დარჩეს. ამას ხომ საკუთარი თავის განადგურებისაკენ მივყავართ! მითხარით გეთაყვა, რა გაიძულებთ თქვენ ყველა ეს სისაძაგლე ბეჭდოთ რუსულ გაზეთებში. ნუთუ გეშინიათ, რომ გახრწნილებაში არ ჩამორჩეთ სხვებს. ჩვენ გვირჩევნია, რაც შეიძლება გვიან მოვიდეს ჩვენამდე მსგავსი ტვინის ჭყლეტა, რომელიც მართალია, ჩვენთან ვერას გახდება, მაგრამ მსგავსი სისულელეებით ახალგაზრდობის თავების გამოტენაც ვერა-

[184] Нечкина М. В. — Следственное дело А. С. Грибоедова, с. 90—91.

ფერ სარგებლობას მოგვიტანს"... „გავბედავ ვთქვა, რომ აზრი გლეხობის განთავისუფლების შესახებ სრულიად უდროოა. შეიძლება ეს აზრი ძალიან მოდაშია, მაგრამ ხომ უნდა განესაზღვროთ, შეეფერება კი იგი ჩვენ ვითარებას და დროს. მე რომ მდიდარი კაცი ვიყო, ჩემი მსჯელობა შეიძლება ვინმეს საეჭვოდ მოჩვენებოდა, მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ ასეთ შემთხვევაში მე არაფერს ვკარგავ, მაინც ძალიან შორსა ვარ იმისაგან, რომ დავეთანხმო მსგავს მოსაზრებას და საკუთარი თავით გავამრავლო გამანთავისუფლებლების ბრძენი საზოგადოება". „... მე არ მომწონს ფარული საზოგადოებები, რამე თუ ისეთი სულელი ვარ, რომ არ მჯერა, კეთილი საქმეების კეთებას დაფარვა სჭირდებოდეს"...[185] როგორც ამ ამონაწერებიდან ვხედავთ, ერმოლოვი სულაც არ იყო განწყობილი ხელისუფლების საწინააღმდეგო მოქმედებებისათვის მხარის დასაჭერად.

ამასვე ამოწმობს ერმოლოვის საქმიანობა ისეთ კრიტიკულ მომენტში, როგორიც ნიკოლოზ I-ის კორონაციის დროს შეიქმნა: ალექსანდრე I-ის გარდაცვალების შესახებ უწყება ერმოლოვმა ეკატერინოგრადში 1825 წლის 22 ნოემბერს მიიღო. 8 დეკემბერს კი პეტერბურგიდან ჩამოსულმა ფელდეგერმა ეკატერინოგრადში ჩამოიტანა სენატის 27 ნოემბრის ბრძანება კონსტანტინე პავლეს ძის ერთგულებაზე დაფიცების შესახებ. ერმოლოვმა გაითვალისწინა, რომ ამიერკავკასიის პეტერბურგიდან დაშორების გამო ამ ბრძანების მიღება შესაძლებელია დაგვიანებით მომხდარიყო და კონსტანტინე პავლეს ძის ერთგულებაზე დაფიცების დასაჩქარებლად, სამხედრო მინისტრის მიერ მისთვის გამოგზავნილი ბრძანების ასლები გადააღებინა და გამოუგზავნა საქართველოს მმართველს ველიამინოვს, რომელსაც უბრძანებდა, სასწრაფოდ დაეფიცებინა მის განკარგულებაში მყოფი ჯარები, სამოქალაქო მოხელეები და საქართველოს მცხოვრებლები[186].

ამასობაში ტაგანროგიდან, სადაც უკვე დეკემბრის პირველ რიცხვებში იცოდნენ კონსტანტინე უფლისწულის მიერ ტახტზე უარის თქმა და რაღაც შეთქმულების არსებობა, კავკასიაშიც დაიწყო ხმების გავრცელება. როგორც ირკვევა, ერმოლოვი საერთოდ არ ყოფილა საქმის კურსში და ნოვოროსიისკის გუბერნატორს მიხეილ ვორონცოვს თხოვდა გაერკვია იგი გავრცელებული ხმების სისწორეში.

26 დეკემბერს ერმოლოვმა სტანიცა ჩერვლენაიაში მიიღო ნიკოლოზ I-ის ტახტზე ასვლისა და მის ერთგულებაზე ჯარების დაფი–

---

185 Ермолов А. С. Пiсьма, с. 24, 34, 35.

186 სცსსა, ფ. 2, ან. I, საქ. 1682, ფურც. 1.

ცების მანიფესტი, რომელიც სამხედრო მინისტრის მიერ 14 დეკემბერს იყო გამოგზავნილი. ამ დროისათვის საქართველოს მაზრებსა და ამიერკავკასიის სხვა პროვინციებში ჯარებს ჯერ კონსტანტინეს ერთგულებაზე დაფიცება არ ჰქონდათ დამთავრებული და ასეთ პირობებში განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ერმოლოვის პირად საქციელს. თვით ნიკოლოზ I-ს, რომელიც გვარდიის ოფიცრების მხრიდან წინააღმდეგობას წააწყდა, ეშინოდა, რომ ერმოლოვი საერთოდ უარს იტყოდა ფიცის მიღებაზე, მაგრამ სწორედ ერმოლოვის წყალობით ნიკოლოზის ერთგულებაზე დაფიცებამ ამიერკავკასიაში სავსებით მშვიდობიანად, ყოველგვარი ექსცესების გარეშე ჩაიარა. ერმოლოვმა თავისთან მყოფი ჯარებით იმ დღესვე სრულ წესრიგში მიიღო ფიცი, ხოლო ველიამინოვს გაუგზავნა ბრძანება საქართველოსა და ამიერკავკასიის სახანოებში მყოფი ჯარებისა და სამოქალაქო პირებისათვის, რაც შეიძლება სწრაფად მიეღებინებინათ ფიცი ნიკოლოზის ერთგულ ქვეშევრდომობაზე.

ასეთი ერთგულების გამოჩენის მიუხედავად, ერმოლოვმა ნიკოლოზ I-ის გულის მოგება და მისი სრული ნდობის დამსახურება მაინც ვერ მოახერხა, რისი ძირითადი მიზეზიც, როგორც უკვე აღვნიშნავდით პარაგრაფის დასაწყისში, მათ ხასიათებს შორის არსებული კარდინალური განსხვავება უნდა ყოფილიყო. ნიკოლოზ I სულაც არ იყო საიმისოდ განწყობილი, რომ თავნება გენერლის აზრისათვის გაეწია ანგარიში და ადვილი მოსალოდნელი იყო, რომ ტახტზე ასვლის შემდეგ, პირველსავე ხელსაყრელ მომენტში იგი ერმოლოვს სამხედრო სამსახურიდან გადადგომას მოსთხოვდა. ასეთი მომენტიც სულ მალე დადგა.

თავი II

1840 წლის სამოქალაქო რეფორმის მომზადება და გატარება

1827 წლის 27 მარტს, ნიკოლოზ I-ის ბრძანებით, კავკასიის ცალკეული კორპუსის მთავარსარდლისა და საქართველოს მთავარმართებლის პოსტზე ალექსი პეტრეს ძე ერმოლოვი ივანე თევდორეს ძე პასკევიჩმა შესცვალა. იმისათვის, რომ სწორად შევაფასოთ პასკევიჩის შემდგომი მოღვაწეობა ამ მხარის სამხედრო თუ ადმინისტრაციული მმართველობის სფეროში, საჭიროა დაწვრილებით განვიხილოთ ვითარება, რომელიც მთავარმართებლების შეცვლას უსწრებდა წინ.

1826 წელს ზაფხულში ირანმა ერმოლოვისათვის სრულიად მოულოდნელად და ომის გამოუცხადებლად დაიწყო საომარი მოქმედება. კავკასიაში მყოფი ცალკეული კორპუსის ისედაც მცირერიცხოვანი ძალები, იმიერკავკასიის მთიელების თავდასხმის ასაცილებლად, დიდ ტერიტორიაზე გადაჭიმულ კავკასიის ხაზზე მდებარე საგუშაგოებ'ი იყო გაბნეული. მტერი კი თბილისიდან 150 კილომეტრით იყო დაშორებული და ყოველი მხრიდან უტევდა საქართველოს; იმიერკავკასიის მთიელებმა დაიწყეს თავდასხმები კახეთის მოსახლეობაზე, ერევნის ჰუსეინ-ყული-ხანი შემოიჭრა ბორჩალოსა და შურაგელის დისტანციაში და ააწიოკა იქაური მოსახლეობა; შაჰის ტახტის მემკვიდრემ აბას-მირზამ 60 ათასიანი ჯარით გადმოლახა მდ. არაქსი, დაატყვევა და გაანადგურა მთიან ყარაბაღში მდგომი რუსების რაზმი, დაიკავა თითქმის მთელი ყარაბაღის პროვინცია ქ. შუშის გარდა, რომლის ერთი შეტევით აღება ვერ გაბედა და იძულებული იყო ალყა შემოერტყა. თალიშის ხანმა ისარგებლა სპარსელების შემოჭრით და გააძევა თავისი სახანოდან რუსეთის რაზმი. საერთოდ, როგორც ერმოლოვი ატყობინებდა იმპერატორს, „თითქმის ყველა მაჰმადიანური პროვინცია იარაღდება ჩვენს წინააღმდეგ და ჩვენ საქართველოს გარდა აღარაფერი გვრჩებაო"[1]. თვით თბილისში ზაფხულის მიწურულს მეტისმეტად და-

---

1 სცსსა, ფ. 2, ან. I, საქ. 1800, ფურც. 4—6.

ძაბული ვითარება შეიქმნა. ყოველ წუთს მოსალოდნელი იყო მტრის შემოჭრა. ქალაქის მოსახლეობა, რომელსაც ან გაგონილი ჰქონდა, ან კიდევ თვითონ იყო მომსწრე და ჯერ კიდევ ცოცხლად ახსოვდა 1795 წელს აღა-მაჰმად-ხანის მიერ თბილისის აკლება-აოხრება და მის ვიწრო ქუჩებში მოწყობილი ხოცვა-ჟლეტა, პანიკამ მოიცვა. მათ შიშს განსაკუთრებით აძლიერებდა ის გარემოება, რომ მრისხანებით განთქმული კავკასიის „პროკონსული“ ერმოლოვი გადამწყვეტ მომენტში გაუბედაობამ შეიპყრო. ერმოლოვს არა მარტო გამოეპარა მთელი ის სამხედრო მზადება, რომელიც აბას-მირზას შემოჭრას წინ უსწრებდა, არამედ სპარსეთში მყოფი მისი ელჩის მაზაროვიჩის მიერ მოწოდებული მცდარი ცნობების შედეგად გადაჭარბებული წარმოდგენა შეექმნა სპარსეთის სამხედრო ძლიერებაზე და შედარებით მცირე ძალებით კარზე მომდგარი მტრის წინააღმდეგ გალაშქრებას ვერ ბედავდა. საქართველოს მთავარსარდალს სწორედ ახლა მართებდა სასწრაფო ღონისიძებების მიღება და გაბედული, შეუპოვარი მოქმედება. საჭირო იყო, ვიდრე მტერი არაქსს გადმოლახავდა, სახელდახელოდ შეგროვილი ჯარით სპარსელების მოწინავე რაზმების დამარცხება, რაც თათრული დისტანციების აჯანყებულ მოსახლეობაზე კეთილისმყოფელ გავლენას მოახდენდა და საქართველოს ქრისტიანულ მოსახლეობასაც მომავლის რწმენას ჩაუნერგავდა და საბრძოლველად წააქეზებდა. ერმოლოვი კი, ნაცვლად იმისა, რომ თავი მოეყარა ჯარისათვის, თვითონ ჩასდგომოდა სათავეში და გადამწყვეტი იერიშით დაემარცხებინა მტრის მოწინავე რაზმები, იჯდა თბილისში და მთელ თავის დროს მიწერ-მოწერას ანდომებდა: სთხოვდა იმპერატორს, რაც შეიძლება მალე გამოეგზავნა დამხმარე ძალები. ქალაქის მოსახლეობა დელეგაციას დელეგაციაზე უგზავნიდა ერმოლოვს, მილიციის გამოყვანასა და ყოველნაირ დახმარებას აღუთქვამდა, ოღონდ მას ჯარის პირადი წინამძღოლობა და მტერზე იერიშის მიტანა ეკისრა. ერმოლოვის ასეთი უჩვეულო გაუბედაობის გადასალახავად, როგორც ნიკოლოზ ფალავანდიშვილი (შემდეგში სამოქალაქო გუბერნატორი) გადმოგვცემს, მასთან მთელ ქალაქში პატივცემული მანდილოსანი, ვასილ ოსეფის ძე ბებუთოვის დედა მიუგზავნიათ. ამ უკანასკნელმა ცოცხლად აუწერა მთავარმართებელს, აბას-მირზას ყოველ წამს მოსალოდნელი შემოჭრის გამო თბილისში და მთელ საქართველოში გამეფებული შიშის ძრწოლა. მას ისიც არ დაუმალავს, რომ თავზარდაცემული ხალხი

უკვე აშკარად დრტვინავდა და ჰკიცხავდა ერმოლოვის პასიურ საქციელს[2].

მეტისმეტად უკმაყოფილო იყვნენ ერმოლოვის მოქმედებით პეტერბურგშიც, მეფის კარზე. აქ ომის ძირითად გამომწვევ მიზეზად სპარსეთის შაჰის მემკვიდრის მიმართ ერმოლოვის მედიდური, გამომწვევი მოქმედება მიაჩნდათ. არ მოსწონდათ ისიც, რომ აბას-მირზას ასეთი უეცარი თავდასხმის შედეგად ერმოლოვი პირველ ხანებში სულით დაეცა, გადამწყვეტი ლაშქრობის დაწყებას ვერ ბედავდა და შეტევითი ბრძოლის ნაცვლად თავდაცვითი ღონისძიებების მიღებით კმაყოფილდებოდა. მდგომარეობის გამოსასწორებლად პეტერბურგიდან ერმოლოვისაგან მოითხოვდნენ შეტევითი ომის დაწყებას და მის დასახმარებლად პასკევიჩი გამოგზავნეს.

პასკევიჩი კავკასიაში ჩამოსვლის დროისათვის 45 წლისა იყო და უკვე ბრწყინვალე კარიერა ჰქონდა გაკეთებული. მისი სამხედრო მოღვაწეობა პრეობრაჟენსკის პოლკში პორუჩიკის ჩინით დაიწყო, შემდეგ იგი პავლე I-ის ფლიგელ-ადიუტანტი იყო, აუსტერლიციდან დაწყებული, მონაწილეობა მიიღო ნაპოლეონის წინააღმდეგ წარმოებულ ყველა ბრძოლაში. ნაპოლეონთან ომის გათავების შემდეგ 29 წლის პასკევიჩი უკვე გენერალ-მაიორის ჩინით მსახურობდა გვარდიის პირველი ქვეითი დივიზიის მეთაურად, ამ დივიზიის მეორე ბრიგადის უფროსი კი უფლისწული ნიკოლოზ პავლეს ძე იყო. აქ დაუახლოვდა პასკევიჩი მომავალ იმპერატორს, რომელიც მას სიცოცხლის ბოლომდე „„отец-командир“-ს უწოდებდა. ალექსანდრე I-ის მეფობის ბოლო წელიწადს პასკევიჩმა გენერალ-ადიუტანტობა მიიღო და ოსტზეის I ქვეითი კორპუსის მეთაურად დაინიშნა. აქ გაიგო მან 1825 წლის 14 დეკემბერს პეტერბურგში სენატის მოედანზე მომხდარი ამბავი და სასწრაფოდ დედაქალაქისაკენ გამოეშურა. ნიკოლოზ I-მა იგი დეკაბრისტების გასასამართლებლად შექმნილი უმაღლესი სასამართლოს წევრად დანიშნა, შემდეგში კი პასკევიჩი, როგორც ახალგაზრდა იმპერატორის უახლოესი პირი, მოსკოვში მეფედ კურთხევის ცერემონიის დროს მას თან ახლდა. ამის შემდეგ პასკევიჩის კარიერას უკვე წინ აღარაფერი ედგა. მართალია, ნიკოლოზ I პასკევიჩს კავკასიაში თითქოს ერმოლოვის განკარგულებაში აგზავნიდა, მაგრამ ეს უკანასკნელი მალე მიხვდა, რომ პასკევიჩი კონფიდენციალურად დიდი

[2] ფალავანდიშვილის ეს მოგონება შემოგვინახა ვასილ ანდრეევმა, რომელიც კავკასიის ცალკეულ კორპუსში მსახურობდა და უშუალო მონაწილე იყო რუსეთ-სპარსეთის და რუსეთ-თურქეთის ომებისა. იხ. Кавказский сборник, т. I, 1876, Тифлис, с. 12—13.

უფლებებით იყო აღჭურვილი და ამ მხარის უფროსობის პრეტენზიებიც უნდა ჰქონოდა. ერმოლოვი ადვილად არ აპირებდა თავისი უფლებების დათმობას. თავის მხრივ, პასკევიჩი ერმოლოვს როგორც დაღუპვის პირად მდგარ მეტოქეს, ისე უყურებდა და ბუნებით ისედაც ეჭვიანი და მიუნდობელი ხასიათით დაჯილდოებული, მთავარსარდლის ყველა ბრძანებასა თუ საქციელს ეჭვის თვალით უყურებდა. კიდევ უფრო ნაკლებად ენდობოდა პასკევიჩი მთავარმართებლის გარშემორტყმულ ხელქვეით პირებს. ცნობილია, რომ ერმოლოვი მთელს ამიერ და იმიერ კავკასიაში განსაკუთრებული ავტორიტეტით სარგებლობდა და ჯარისკაცებისა თუ გენერალ-ოფიცრების დიდი სიყვარული ჰქონდა მოპოვებული. პასკევიჩი ყველა გენერალსა და ოფიცერში თავის პირად მტერს ხედავდა და ყველა მათი მოქმედება თავის საწინააღმდეგოდ მიმართულ ინტრიგად ეჩვენებოდა. ერმოლოვისა და პასკევიჩის მტრულ ურთიერთდამოკიდებულებაში მათი სრულიად განსხვავებული, ერთმანეთის საპირისპირო ხასიათიც დიდ როლს ასრულებდა. ერმოლოვი თავისი ქვეშევრდომი ოფიცრებისა და ჯარისკაცებისაგან ამა თუ იმ ბრძანების შეგნებულ, გააზრებულ შესრულებას ითხოვდა. იგი კავკასიის კორპუსის გარეგნულ, პარადულ მხარეს ნაკლებ ყურადღებას აქცევდა და უსარგებლო „მარშიროვკებისა“ და წვრთნის ნაცვლად ამა თუ იმ ნაწილის მუდმივ, ნამდვილად საბრძოლო მზადყოფნას მოითხოვდა. პასკევიჩი კი პირიქით, მისგან განსხვავებით, იმპერატორის ყველა ბრძანების ბრმა შემსრულებლობით გამოირჩეოდა და თავის ქვეშევრდომებისაგანაც ყველა თავისი ბრძანების უსიტყვო შესრულებას მოითხოვდა. იგი ჯარის გარეგნულ, პარადულ ფორმას განსაკუთრებულ ყურადღებას ანიჭებდა და ციციანოვისა და ერმოლოვის მამაცობით განთქმული კავკასიური პოლკები თვითნებურ, ჩამოგლეჯილ ბრბოდ ეჩვენებოდა. მისი აზრით, ამ პირველყოფილ ბრბოს არ შეიძლებოდა, რომ დისციპლინასა და სამხედრო წესებზე რაიმე წარმოდგენა ჰქონოდა და როგორც იმპერატორს მოახსენებდა, შიშით ფიქრობდა იმ მომენტზე, როდესაც მას ამ სამხედრო შენაერთების ბრძოლაში ჩაბმა დასჭირდებოდა. ასეთ პირობებში, როდესაც პასკევიჩი ერმოლოვის ხელქვეითებს ადვილად ვერ ენდობოდა, დიდი გასაჭანი მიეცათ საეჭვო ყოფაქცევისა და არაკეთილსინდისიერ პირებს, რომელთაც თავის დროზე ერმოლოვის სამართლიანი გულისწყრომა ჰქონდათ დამსახურებული. ასეთი მედროვეების ტიპიურ მაგალითად პორუჩიკი ივანე ყორღანოვი გამოდგება, რომლის თაღლითობას ერმოლოვი თავიდანვე მიხვდა, მას მთელ რუსეთში ცნობილი ქურდის,

·ყაჩაღისა და ჯაშუშის ვანკა-კაინის სახელი შეარქვა და რაიმე ოდნავ მნიშვნელოვან თანამდებობაზე არ გაიკარა[3], მაგრამ ყორღანოვმა თავის მლიქვნელობით პასკევიჩზე დიდი გავლენა მოიპოვა და შემდგომში, მისი მართვა-გამგებლობის ,პერიოდში ერთობ უარყოფითი როლი შეასრულა.

პასკევიჩის თბილისში ჩამოსვლის დროისათვის ერმოლოვმა გადალახა თავისი ინერტულობა და ენერგიულად შეუდგა სპარსელებთან შემტევი ომისათვის სამზადისს. როგორც იგი ნიკოლოზ I-ს ატყობინებდა, ამ დროისათვის კავკასიაში შემდეგი ვითარება იყო: ბორჩალოს დისტანციის თათრებმა აჯანყება ვერ მოასწრეს, რადგანაც მისგან გაგზავნილმა ჯარის ნაწილებმა აიძულა მოსახლეობა მომთაბარეობიდან ბინებში დაბრუნებულიყო, სადაც მათთვის თვალყურის დევნება შედარებით უფრო ადვილი იყო; ყაზახის დისტანციის ზემდეგებს, მართალია, ურთიერთობა ჰქონდათ სპარსელებთან, მაგრამ იქ გაგზავნილი ჯარის საშუალებით მათი მორჩილებაში ყოფნა ხერხდებოდა; შამშადილის დისტანცია აჯანყებული იყო, მაგრამ მოსახლეობის უმეტესი ნაწილი რუსების მხარეზე იყო და ერმოლოვს მოღალატეებისაგან დაცვას სთხოვდა; ელისავეტპოლში აბას-მირზას მიერ გამოგზავნილმა უკანასკნელი ხანის შვილმა აჯანყა ხალხი, მაგრამ სომხური მოსახლეობა რუსების ერთგულებას ინარჩუნებდა; ერთ-ერთი პირველი ვინც აჯანყდა, ეს იყო ყარაბაღის სახანო, რომელიც სპარსელებისაგან გამოგზავნილ თავის ყოფილ ხანს უკვე აჯანყებული დახვდა, სპარსელების დიდი ჯარით ყარაბაღში მოსვლამ კი აჯანყებულები ერთმანეთს დააკავშირა. შირვანის პროვინციაში აბას-მირზამ გაგზავნა გაქცეული მუსტაფა-ხანი მძლავრი ცხენოსანი რაზმით, რომელსაც იქაური მაცხოვრებლები მაშინვე შეუერთდნენ. შაქის პროვინციის მცხოვრებლები პარტიებად იყვნენ დაყოფილი. ჯარის თემი აბას-მირზას მითითების თანახმად ძალებს იკრებდა კახეთზე თავდასხმისათვის; გარდა ამისა, აბას-ძირზამ დაღესტანში გააგზავნა ყაზიყუმუხის სურხაი-ხანი თავისი ყოფილი სამფლობელოს — ავარიის სახანოსა და დაღესტნის ასამბოხებლად, სურხაი-ხანისათვის გატანებულ ფირმანში მთიანი დაღესტნის სხვადასხვა თემებს აბას-მირზა ურწმუნოებთან ბრძოლისათვის მოუხმობდა, მაგრამ ლეკები არ აყვნენ აბას-მირზას მოწოდებას, მისი ფირმანი რუსების ერთგულ ტარკის შამხალს გაუგზავნეს და შეატყობინეს, რომ ისინი რუსხელმწიფის ქვეშევრდომობას არ უღალატებ-

[3] კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი, ვეიდენბაუმის ფ., საქ. № 54.

დნენ[4]. დაღესტნის ასეთ პოზიციას ერმოლოვი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა და ამ მხრივ გულდამშვიდებული შესაძლებლად სცნობდა შუშაში ალყაშემორტყმული გარნიზონის გასანთავისუფლებლად ჯარის გაგზავნას. ამ რაზმის მეთაურად დანიშნა მან პასკევიჩი. გენერალ-მაიორ მადათოვს ნაბრძანები ჰქონდა რაზმის ნაწილით წინასწარ დაძრულიყო ელისავეტპოლისაკენ, განედევნა იქიდან სპარსელები და შემდეგ ელისავეტპოლში მოსულ პასკევიჩის ჯარს შეერთებოდა და მის განკარგულებაში გადასულიყო. აქ დასვენების შემდეგ ჯარი უნდა დაძრულიყო ყარაბაღისაკენ შუშის გასანთავისუფლებლად, მაგრამ ერმოლოვი მკაცრად აფრთხილებდა პასკევიჩს შუშის განთავისუფლებით დაკმაყოფილებულიყო და არავითარ შემთხვევაში მტრის დევნა მდ. არაქსის იქით არ გადაეტანა[5].

1826 წლის 2 სექტემბერს მადათოვის რაზმმა შამქორთან სასტიკად დაამარცხა სპარსელები, რომელთაც აბას-მირზას შვილი მეთაურობდა. სპარსელების ცხენოსანმა რაზმმა გაქცევით უშველა თავს, ქვეით ჯარს კი ყაზახებმა და ქართულმა მილიციამ გასაქცევი გზა მოუჭრა და თითქმის მთლიანად გაანადგურა[6]. შამქორთან გამარჯვებული მადათოვი სწრაფი მარშით გაემართა განჯისაკენ, რომელიც 4 სექტემბერს ერთი გასროლის გარეშე დაიკავა, ვინაიდან ძლეული მტერი ისე სწრაფად გარბოდა, რომ განჯაში არც კი გაჩერებულა, ხოლო ქალაქში მყოფმა 15 000-იანმა ჯარმა შამქორთან სპარსელების დამარცხების გაგებისთანავე დატოვა ციხე-სიმაგრე და თავს უშველა[7].

10 სექტემბერს ელისავეტპოლში პასკევიჩიც მოვიდა და აქ დაბანაკებული რაზმების მთავარსარდლობა მიიღო. მან სასწრაფოდ დაიწყო მზადება მათკენ წამოსული აბას-მირზასა და შაჰის სიძის ალაიარხანის შეერთებული ჯარების დასახვედრად. პასკევიჩის მდგომარეობა ძალიან მძიმე იყო. მას უხდებოდა საომარი კამპანიის დაწყება სრულიად უცნობ ქვეყანაში, უცნობი ჯარებით. მისი ხელქვეითი გენერლები, განსაკუთრებით მადათოვი და ველიამინოვი, ცნობილი იყვნენ ერმოლოვისადმი თავისი ერთგულებით, ასეთ პირობებში პასკევიჩისათვის დამახასიათებელმა ეჭვიანობამ კულმინაციას მიაღწია. მას ყველგან თავისი ფარული არაკეთილისმყოფლები ეჩვენებოდა, რომლებიც ხელმწიფის თვალში მის დამცირებას ცდილობდნენ. პასკევიჩი მოს-

---

4 სცსსა, ფ. 2, ან. I, საქ. 1800, ფურც. 16—17.

5 იქვე, ფურც. 18—19.

6 იქვე, ფურც. 19.

7 იქვე, ფურც. 20.

კოვიდან ისე სასწრაფოდ წამოვიდა, რომ მისმა პირადმა ადიუტანტებმა ვერ მოასწრეს მისი თანხლება, შემდეგ კი, გზების უშიშროების უზრუნველყოფამდე, ერმოლოვმა მიზანშეწონილად არ სცნო მათი ელისავეტპოლში გაგზავნა. პასკევიჩი კი დარწმუნებული იყო, რომ ერმოლოვი ასე განზრახ მოიქცა, რათა დაეტოვებინა იგი სანდო პირების გარეშე, თავისი დამჭაშებითა და მსტოვრებით გარშემორტყმული. გადამწყვეტი ბრძოლის მოლოდინში შეშფოთებული პასკევიჩი თავის დღიურში წერდა: „მე მარტოდმარტო ვარ"[8].

პასკევიჩის მთავარი და უპირველესი საზრუნავი უცნობ მხარეში ჯარის სურსათ-სანოვაგით მომარაგება იყო. მადათოვმა, რომელიც ადრე თანახმა იყო თვითონ მოეგვარებინა ეს საკითხი, მისთვის უცნობ მთავარსარდალთან გენერალ-პროვიანტმაისტერობა აღარ მოისურვა. ასეთ კრიტიკულ სიტუაციაში პასკევიჩს მხსნელად მოევლინა ამორალური საქციელით მთელ საქართველოში ცნობილი ივანე ყორღანოვი, რომელმაც სურსათ-სანოვაგით ჯარის მოხერხებულად მომარაგების შემდეგ პასკევიჩის კმაყოფილება და სრული ნდობა მოიპოვა. ყორღანოვმა კარგად გაიგო პასკევიჩის განწყობილება, მისი სუსტი მხარეები და მოხერხებულად გამოიყენა ეს თავისი ამაღლებისათვის და პირად მტრებთან ანგარიშის გასასწორებლად.

13 სექტემბერს ელისავეტპოლთან რუსეთის ჯარმა პასკევიჩის მთავარსარდლობით ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვა აბას-მირზას მთავარ ძალებზე. როგორც თანამედროვეები გადმოგვცემენ, ერმოლოვი ამ გამარჯვებამ ცოტა არ იყოს, შეაცბუნა. იგი მხოლოდ მაშინ მიხვდა, რამდენად მცდარი იყო მაზაროვიჩის მიერ მოწოდებული ცნობები სპარსელების ძლიერების შესახებ. ელისავეტპოლთან ბრძოლის შემდეგ ერმოლოვმა დაიწყო პასკევიჩის საომარი მოქმედებების შეზღუდვა, ჯარების სიმცირ-ს მიზეზით არ მისცა ნება გასდევნებოდა აბას-მირზას არაქსს იქით მაშინ, როდესაც მადათოვი გაცილებით უფრო ნაკლები ძალებით გაგზავნა ამ საქმეზე. მადათოვმა ადვილად გაფანტა აბას-მირზას ჯარი და დიდძალი ნადავლი იგდო ხელთ.

ერმოლოვსა და პასკევიჩს შორის ურთიერთობა თანდათან იძაბებოდა. საქმე იქამდე მივიდა, რომ 1826—27 წლის ზამთარს, საომარი მოქმედებების შეწყვეტის შემდეგ, ნიკოლოზ I-მა პასკევიჩსა და ერმოლოვს შორის ჩაძოვარდნილი უთანხმოების გასარკვევად შტაბის უფროსი დიბიჩი გამოგზავნა. თბილისში არავის ეჭვი არ ეპარებოდა,

---

[8] Щербатов, Генерал-фельдмаршал кн. Паскевич. Его жизнь и деятельность, СПБ, т. II, с. 92.

რომ ამ უთანხმოებაში ყველაზე აქტიურ მონაწილეობას ყორლანოვი იღებდა, რომელმაც ისარგებლა ხელსაყრელი შემთხვევით, რომ ერმოლოვისათვის სამაგიერო გადაეხადა წარსული დამცირებების გამო და დიდის წარმატებით შეეცადა განეწყო პასკევიჩი ერმოლოვისა და მისი ხელქვეითების წინააღმდეგ.

ერმოლოვისათვის თვალყურის სადევნებლად გამოგზავნილი ფლიგელ-ადიუტანტი ნიკოლოზ დოლგორუკი დიბიჩის შეკითხვაზე, რა უნდა ყოფილიყო მიზეზი ამ უთანხმოებისა, პასუხობდა: „... გენერლების ერმოლოვისა და პასკევიჩის შერიგება ყოველად წარმოუდგენელია; მაგრამ მათი უთანხმოების მთავარი მიზეზი იმდენად პირველი მათგანის მეორისადმი მტრული განწყობილება კი არ არის, რამდენადაც გადამატებულად ეჭვიანი ხასიათი გენერალ პასკევიჩისა, რომლის ეჭვიანობას კიდევ უფრო აღვივებს მასთან თარჯიმნად მომუშავე სომეხი პორუჩიკის ცბიერი მოქმედება. ამ პორუჩიკს კი გენერალ-ლეიტენანტ მადათოვისადმი პირადი მტრული განწყობილება ამოძრავებს“[9].

1827 წლის გაზაფხულზე, საომარი მოქმედებების განახლებამდე გარკვეული გადაწყვეტილების მიღება იყო საჭირო ერმოლოვის ან პასკევიჩის სასარგებლოდ. გაცხარებული ომის დროს ისეთი მთავარსარდლის შეცვლა, რომელიც ჯარში განუსაზღვრელი ავტორიტეტით სარგებლობდა და 12 წლის განმავლობაში მართავდა ამ მხარეს, არც თუ ისე ადვილი საქმე იყო, მაგრამ გარდა იმისა, რომ იმპერატორი სავსებით დარწმუნებული იყო პასკევიჩის ერთგულებაში, რაც ამ უკანასკნელმა ნიკოლოზის მეფედ კურთხევის დროს დაადასტურა, მისი პირადი თვისებებიც უფრო შეესიტყვებოდა იმ მოთხოვნებს, რომელსაც იმპერატორი თავის ერთგულ ქვეშევრდომებს უყენებდა. „ნიკოლოზ I-ის პროზაულ მეფობას ესაჭიროებოდა აგენტები და არა თანაშემწეები, შემსრულებლები და არა მრჩევლები, სამხედრო შიკრიკები და არა მებრძოლები“, წერდა გერცენი პასკევიჩის შესახებ[10]. როგორც უკვე აღვნიშნეთ, 1827 წლის 27 მარტს საკითხი პასკევიჩის სასარგებლოდ გადაწყდა. ერმოლოვმა თავისი ხელით დაუგზავნა ბრძანებები თავის ხელქვეითებს ახალი მთავარსარდლის დანიშვნის შესახებ, გადააბარა საქმეები პასკევიჩს[11] და სამუდამოდ დატოვა საქართველო, მაგრამ ასეთმა დაძაბულმა ურთიერთობამ და მტრულმა და-

[9] Щербатов, Генерал-фельдмаршал кн. Паскевич, Его жизнь и деятельность, СПБ, т. II, с. 163.

[10] ციტირებულია ნ. ი. ეიდელმანის მიხედვით: Н. Я. Эйдельман, Грань веков. — М., 1982, с. 19.

[11] სცსსა, ფ. 2, ან. I, საქ. 1919, ფურც. 5.

მოკიდებულებამ სამუდამოდ დააჩნია დაღი პასკევიჩის მმართველობას. პასკევიჩმა თითქმის მთავარ მიზნად დაისახა ყველაფერი, რაც ერმოლოვის მიერ იყო გაკეთებული, ეს იქნებოდა სამხედრო თუ სამოქალაქო მმართველობის სფეროში, იმპერატორის თვალში გაეშავებინა და საპირისპიროდ ემოქმედნა. მრავალი სამხედრო პირი, ვისაც ერმოლოვი ჰკიცხავდა და გმობდა, ან მექრთამეობასა და სახელმწიფო თანხების მითვისებისათვის გასამართლებულნი იყვნენ, პასკევიჩმა გაანთავისუფლა და აღაზევა. ადვილი წარმოსადგენია, რომ მისი ამგვარი მოქმედების შედეგად თუ კი ერმოლოვის მმართველობის დროს სამხედრო, თუ სამოქალაქო მოხელეები ბოროტმოქმედებასა და დარღვევებს არ ერიდებოდნენ, პასკევიჩის დროს ამგვარ მოვლენებს კულმინაციისთვის უნდა მიეღწია.

ამავე დროს არც თუ იშვიათი იყო შემთხვევა, როცა ყოველმხრივ ღირსეული პირები პასკევიჩის ეჭვიანი და უკიდურესობამდე მისული თავმოყვარე ხასიათის გამო იძულებული იყვნენ საქართველოდან წასულიყვნენ. პატივმოყვარე პასკევიჩი გაფაციცებით ადევნებდა თვალყურს თავის ხელქვეითებს, რათა რომელიმე მათგანს თავისი გულადი საქციელით მისი სახელისა და დიდებისათვის ჩრდილი არ მიეყენებინა. მაგალითად, როცა რუსეთ-სპარსეთის ომის დროს გენერალ-ლეიტენანტმა გიორგი ერისთავმა ერთობ ხელსაყრელი მომენტი არ გაუშვა და პასკევიჩის ბრძანების გარეშე, საკუთარი ინიციატივით თავრიზი აიღო, რამაც, სრულიად გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რუსეთ-სპარსეთის ომის ბედი გადაწყვიტა, პასკევიჩისაგან ქების ნაცვლად წყრომა დაიმსახურა. ამ შემთხვევის მერე კი სულ მალე, როცა გულადი გიორგი ერისთავი ივანე ყორღანოვს არ შეეპუა, პასკევიჩმა იგი საერთოდ გაათავისუფლა სამხედრო სამსახურიდან. ასევე უდიერად მოეპყრო პასკევიჩი ალექსანდრე ჭავჭავაძეს და მისი ბრწყინვალედ წარმართული სამხედრო კარიერა დაწყების უმალ შეწყვიტა. საქმე იმაში იყო, რომ რუსეთ-თურქეთის ომის დროს ალექსანდრე ჭავჭავაძემ, რომელსაც ნაბრძანები ჰქონდა ძალიან მცირე ძალებით ბაიაზეთის დაპყრობა, არა მარტო ქალაქი აიღო, არამედ ბაიაზეთის საფაშოს ყველაზე მნიშვნელოვანი ციხე-სიმაგრე თოფრახ-კალეც დაიკავა, რამაც საშუალება მისცა, მთელ საფაშოში გაბატონებულიყო და დიდის წარმატებით ეგროვებინა პროვიანტი ჯარისათვის. მხოლოდ ორი ბატალიონით მტრის ტერიტორიაზე ღრმად შეჭრა ჭავჭავაძის თავდადებულ მამაცობაზე მეტყველებდა, მაგრამ ასეთი ინიციატივისათვის იგი სასტიკად დაისაჯა. „ძორჩილება იყო

საჭირო და არა თქვენი აზრების მიხედვით მოქმედება"[12], განუცხადა მას პასკევიჩმა. ჭავჭავაძეს პოლკი ჩამოართვეს და საომარი თეატრიდან ჩამოშორების მიზნით ერევნის ოლქში უკანვე გაიწვიეს, სადაც იგი სამხედრო გუბერნატორად იყო დანიშნული. მალე პასკევიჩმა თავისი უხიაგი საქციელით თავმოყვარე გენერალი აიძულა, რომ განთავისუფლება ეთხოვა სამხედრო სამსახურიდან, თუმცა ამავე დროს პასკევიჩი ამაყად მოახსენებდა ნიკოლოზ I-ს, რომ ევფრატის ნაპირებზე თქვენი იმპერიის დროშა ფრიალებსო[13].

1827 წლის საომარი კამპანია ერევნისათვის ლაშქრობით დაიწყო, შაგრამ ზაფხულის გაუძლისი სიცხისა და მავნე ჰავის გამო პასკევიჩმა ერევანს ალყა მოხსნა, ეჩმიაძინში მცირე რაზმი დატოვა, თვითონ კი მთავარი ძალებით ნახჭევანისაკენ გაეშურა. 5 ივნისს ჯევანბულახთან სპარსელების დამარცხებისა და აბას-აბადის აღების შემდეგ პასკევიჩი თავრიზის ასაღებად აპირებდა გალაშქრებას, მაგრამ იძულებული იყო ისევ უკან, ერევნისაკენ გაბრუნებულიყო იქ დატოვებული რაზმის საშველად, რომელსაც სპარსელები დაესხნენ თავს. 15 სექტემბერს რუსის ჯარის მიერ აბას-აბადის აღების შემდეგ ჯერი ერევანზეც მიდგა, რომელიც ექვსდღიანი გააფთრებული ბრძოლის შემდეგ, 1 ოქტომბერს დაეცა. პასკევიჩმა ამ ბრძოლაში ერევნის განთქმული ჰუსეინ-ყული-ხანიც იგდო ტყვედ.

ერევნის აღებით გათამამებულმა გენერალ-ლეიტენანტმა გიორგი ურისთავმა, რომელიც მცირე რაზმით ნახჭევანთან იდგა, გადაწყვიტა ესარგებლა მომენტით და ვიდრე შეშინებული აბას-მირზა თავისი ჯარით ხოის ციხეში იყო გამოკეტილი, თავრიზისაკენ გაელაშქრა. ერისთავმა ისე სწრაფად გადალახა არაქსი და მიადგა თავრიზს, რომ მოულოდნელობისაგან დაბნეულმა სპარსელებმა არამც თუ ქალაქის გამაგრება ვერ მოასწრეს, არამედ ყოველგვარი წინააღმდეგობის გაწევის გარეშე მიატოვეს იგი და 13 ოქტომბერს სიმდიდრით განთქმული სპარსეთის მეორე დედაქალაქი მთელი არსენალითა და აურაცხელი ქონებით ჩაბარდა მტერს.

თავრიზის აღების შემდეგ ომის ბედი უკვე გადაწყვეტილი იყო და 1828 წლის 10 თებერვალს თურქმანჩაიში დადებული ზავის მიხედვით რუსეთმა ერევნისა და ნახჭევანის ოლქები შემოიერთა და ვეე-

---

[12] Потто, Утверждение русского владычества на Кавказе, т. IV, часть 2, с. 121—126.

[13] იქვე, გვ. 126.

ბერთელა კონტრიბუციის გადახდა დააკისრა ირანს. მაგრამ ბრწყინვალე გამარჯვებებით გახარებულმა პასკევიჩმა თავრიზიდან თბილისში დაბრუნებაც კი ვერ მოასწრო, რომ გზად მომავალს, ხელმწიფის შიკრიკი დაეწია და იმპერატორის სახელით თურქეთთან ომის დაწყება ამცნო. ახლა ახალი ომისათვის მზადება იყო საჭირო. ნიკოლოზ I-ის მიერ შედგენილი გეგმის მიხედვით, კავკასიის კორპუსს ევალებოდა თურქეთის ძირითადი ძალების თავისკენ გამოტყუება, ახალციხისა და ყარსის საფაშოების დაპყრობა და ფოთი-ანაპის შემოერთება.

1828 წლის 14 ივნისს პასკევიჩის მეთაურობით რუსის ჯარები გუმრიდან დაიძრნენ, გადალახეს არფაჩაი და გაემართნენ ყარსისაკენ. 23 ივნისს პასკევიჩმა იერიშით აიღო ყარსი, ციხეში გარნიზონი დატოვა, თვითონ კი ახალქალაქის დასაპყრობად გაეშურა. სულ მალე რუსის ჯარმა ახალქალაქი და ხერთვისი აიღო, რის შემდეგაც ახალციხისაკენ აღარაფერი ეღობებოდათ.

პასკევიჩმა მოსთხოვა ახალციხელებს, უბრძოლველად დანებებულიყვნენ, მაგრამ მტკიცე უარი მიიღო და 16 აგვისტოს, მედგარი ბრძოლის შემდეგ, რუსის ჯარებმა იერიშით აიღეს ახალციხე. ამ ბრძოლის შემსწრე, ახალციხური ქრონიკების ავტორი მოგვითხრობს, რომ ახალციხისათვის ბრძოლაში ქართველმა მოხალისეებმა განსაკუთრებით ისახელეს თავი: „ორ ადგილას, წნისისაკენ და ტავშანთაფისაკენ დიდი ომი იქნა 6 1/2 საათი, გორის გარს სანგარი იყო შემოვლებული. პირველ მოსვლამდე ბევრი რუსი დაიხოცა. ვერ შეუვიდნენ, მერე უბრძანეს ქართლ-იმერეთის ჯარს შეტევა სატევრებით, დაიხოცა ბევრი თავადაზნაური და კიდევაც გატეხეს თათრები, გარდაცვივდნენ სანგარში, აიღეს გორა. მრავალი ენიჩრები დაიხოცენ და ივლტოდენ“[14], წერს იგი. ახალციხის აღების შემდეგ რუსებმა დაიკავეს არდაგანიც. ამ ბრძოლების პარალელურად ჯარებმა ალექსანდრე ჭავჭავაძის მეთაურობით დაიპყრეს ბაიაზეთის საფაშო[15]. ამით დამთავრდა 1828 წლის საომარი კამპანია კავკასიის ფრონტზე. 1829 წლისათვის იმპერატორი პასკევიჩისაგან უფრო გადამწყვეტ მოქმედებებს მოითხოვდა. განზრახული იყო ერზერუმის აღება.

პასკევიჩი საომარი მოქმედების დაწყებას გაზაფხულამდე არ აპირებდა, მაგრამ თურქეთი ასე ადვილად ვერ შეურიგდებოდა ისეთი მნიშვნელოვანი ციხე-სიმაგრეების დაკარგვას, როგორიც ახალციხე და ყარსი იყო.

---

14 საქ. ცსსა, ფ. 1446, საქ. 679.

15 Акты, т. VII, № 768, с. 767.

1829 წლის 20 თებერვალს აჭარის ბეგმა ახმედმა გადმოლახა აჭარის ქედი ჯარებით და ალყა შემოარტყა ახალციხეს. პასკევიჩი ასე ადრე არ ელოდა საომარი მოქმედების დაწყებას. მდგომარეობა განსაკუთრებით გართულებული იყო იმით, რომ დიდი თოვლის გამო ახალციხესთან კავშირი თითქმის გაწყვეტილი იყო. თვით ციხეში საკმაოდ მცირერიცხოვანი გარნიზონი იდგა. რუსები ახმედ ბეგის ალყას დიდხანს ვერ გაუძლებდნენ. ამავე დროს რუსეთ-სპარსეთის ურთიერთობა მეტად გამწვავებულ ხასიათს ღებულობდა. სპარსეთის შაჰი თურქმანჩაის ზავის რატიფიკაციას საეჭვოდ აგვიანებდა, ასევე აგვიანებდა ამ ზავით გათვალისწინებული კონტრიბუციის გადახდასაც. 1829 წლის 30 იანვარს სპარსელები თავს დაესხნენ რუსეთის საელჩოს თეირანში, საელჩო გაანადგურეს და მისი თანამშრომლები დახოცეს. მათ რიცხვში მოკლულ იქნა რუსეთის ელჩი, დიდი რუსი პოეტი გრიბოედოვი. ამ საქმეებში აშკარად ჩანდა ინგლისის ხელი, რომელიც ყოველმხრივ ცდილობდა სპარსეთიდან რუსეთის გამოდევნას[16]. ეს ფაქტი აგრეთვე იმის გამოხატულება იყო, რომ სპარსეთში ანტირუსულმა ღაჯგუფებამ გაიმარჯვა.

რუსეთის ძალაუფლება კავკასიაში, ყოველივე აღნიშნულის შედეგად, საკმაოდ საეჭვოდ გამოიყურებოდა. თურქეთის მხრიდან საომარი მოქმედების დაწყებისა და სპარსეთში რუსეთის საელჩოს განადგურების თითქმის ერთდროულობა გვაფიქრებინებს, რომ ამ შემთხვევაში თურქეთი და სპარსეთი შეთანხმებულად მოქმედებდნენ. ყოველ შემთხვევაში, აშკარა იყო, რომ სპარსეთ-თურქეთის შეთანხმებული მოქმედება რუსეთის წინააღმდეგ მომავლისათვის რეალურ ხასიათს ღებულობდა. საჭირო იყო სასწრაფოდ ახალციხის გარნიზონისათვის დახმარების გაგზავნა. საჭირო იყო ასევე სასწრაფოდ სპარსეთთან ურთიერთობის მოწესრიგება, რუსეთმაც სპარსეთის მიმართ დათმობაზე არჩია წასვლა. სპარსეთში მომხდარი ამბები ერთთავად გრიბოედოვისა და საერთოდ, რუსი მოხელეების უმსგავსო მოქმედებას მიაწერეს. სპარსეთს თურქმანჩაის ზავის პირობები ოდნავ შეუმსუბუქეს, სახელდობრ, ნაწილი კონტრიბუციისა აპატიეს, ნაწილის გადახდის ვადა გაუგრძელეს და ამ ფასად რუსეთმა სპარსეთთან კვლავ მეგობრული განწყობილების დამყარებას მიაღწია[17].

როგორც ზემოთ იყო ნათქვამი, ახმედ-ბეგს ალყა ჰქონდა შემორტყმული ახალციხისათვის და მის მცირერიცხოვან გარნიზონს დანე-

16 საქ. ცსსა, ფონ. 2, საქ. 2019, ფურც. 18—19.

17 Исторические записки, АН СССР, 1947, № 24, с. III.

ბებას სთხოვდა. ალყა ორი კვირა გაგრძელდა. მარტის პირველი რიცხვებისათვის ციხე თითქმის ყოველმხრიდან იყო დანაღმული და მალე გარნიზონი იძულებული იქნებოდა დანებებულიყო, მაგრამ 4 მარტს ბორჯომის ხეობიდან გამოჩნდა რუსთა დამხმარე ჯარი გენერალ ბურცოვის მეთაურობით. ჯარის დანახვაზე ახმედ-ბეგმა ალყა მოხსნა და უკანვე (აჭარაში) დაბრუნდა[18].

თურქეთი ამ მარცხის შემდეგაც განაგრძობდა ახალციხის დაბრუნებისათვის ბრძოლას. ახმედ-ბეგმა რამდენჯერმე სცადა სერასკირის ჯარებთან ერთად ახალციხის დაბრუნება, მაგრამ ამაოდ.

აპრილის ბოლოსათვის ერზერუმში თურქებს უკვე 60 000-დე ჯარი ჰყავდათ შეგროვილი და ახალციხესა და ყარსს ემუქრებოდნენ. 2 ივნისს, სოფელ ჩაბორიასთან მოხდა დიდი ბრძოლა რუსებსა და თურქებს შორის, თურქები დამარცხდნენ. პასკევიჩმა ჯარის მთავარი ნაწილებით მიატოვა ყარსი და მიიწევდა წინ ერზერუმისაკენ, 19 და 20 ივნისს მოხდა გადამწყვეტი ბრძოლები, რომლებიც რუსების გამარჯვებით დამთავრდა, რის შედეგადაც ერზრუმისაკენ გზა გახსნილი იყო. 27 ივნისს პასკევიჩმა უბრძოლველად დაიკავა ციხე-ქალაქი ერზერუმი.

ერზერუმის აღების შემდეგ პასკევიჩმა ვერც სივაზის და ვერც ტრაპეზუნდის მიმართულებით თურქების წინააღმდეგ წარმატებით შეტევა ვეღარ განახორციელა. 1 ოქტომბერს კი ოფიციალურად ცნობილი გახდა, რომ ქ. ადრიანოპოლში რუსეთ-თურქეთს შორის ზავი დაიდო და საომარი მოქმედებანი შეწყდა.

ადრიანოპოლის ზავის IV მუხლის თანახმად, თურქეთი რუსეთს უთმობდა ახალციხის საფაშოს ნაწილს, 10 სანჯაყს. ამავე ზავის მიხედვით, ყოფილი ახალციხის საფაშოს მცხოვრებლებს ნება ეძლეოდათ სურვილის მიხედვით დარჩენილიყვნენ რუსეთის იმპერიის ფარგლებში, თავის ძველ საცხოვრებელ ადგილებზე, ან გადასახლებულიყვნენ თურქეთში. ასევე თურქეთის ქვეშევრდომ ქრისტიანებს (ერზერუმსა და ყარსის საფაშოში მცხოვრებ სომხებს) შეეძლოთ რუსეთის იმპერიის ფარგლებში გადმოსახლება მთელი ოჯახით და მოძრავი ქონებით. უძრავი ქონების გასაყიდად კი ეძლეოდათ 16 თვიანი ვადა.

პასკევიჩმა გადაწყვიტა, რომ რუსეთის სახელმწიფოებრივ ინტერესებს ყოფილი ახალციხის საფაშოს ერზერუმისა და ყარსის ქრისტიანი სომხებით დასახლება უფრო შეესიტყვებოდა, ვიდრე აწ გამა-

[18] ЦГВИА в Москве, Ф. ВУА, д. 4848, л. 32—35.

ჰმადიანებული ქართველების ყოლა. მით უმეტეს, რომ გადმოსახლებული სომხები მთლიანად რუსული ხელისუფლებისაგან იქნებოდნენ დამოკიდებულნი და რუსეთ-თურქეთის ომის შემთხვევაში არამც თუ თურქებს არ დაუჭერდნენ მხარს, არამედ პირიქით, საზღვრების დასაცავად მათი გამოყენებაც კი იქნებოდა შესაძლებელი. იმპერატორმა მხარი დაუჭირა პასკევიჩის განზრახვას და ზავის დადებისთანავე დაიწყო ახალციხის საფაშოს მკვიდრი მოსახლეობის გადასახლება თურქეთის ფარგლებში. მათ ადგილზე კი სახლდებოდნენ ერზერუმისა და ყარსის საფაშოდან გადმოსახლებული სომხები. გადმოსახლებულებისათვის დაწესეს შეღავათები. ისინი 5 წლის განმავლობაში განთავისუფლებული იყვნენ ყოველგვარი გადასახადიდან, ეძლეოდათ ერთდროული დახმარება: ფული, ხორბალი და სხვა. ასეთი პოლიტიკის შედეგად 1830 წლისათვის ყოფილი ახალციხის საფაშო უმეტეს წილად სომხებით დასახლებული აღმოჩნდა. ამ დროისათვის აქ ორივე სქესის მოსახლეობა უდრიდა 33 730 სულს. აქედან 25 545 სულს (5 109 ოჯახი) სომხები შეადგენდნენ[19].

თურქეთთან ომში მოპოვებული გამარჯვებისათვის პასკევიჩს უმაღლესი სამხედრო წოდება — ფელდმარშლობა უბოძეს. ორი დიდი სახელმწიფოს — სპარსეთისა და თურქეთის ასე ადვილად დამარცხებით ფრთაშესხმული მთავარსარდალი უკვე აღარავითარი დაბრკოლების წინაშე უკან აღარ იხევდა. მან გადაწყვიტა, რომ ხელსაყრელი დრო დადგა იმიერკავკასიის ხალხების საბოლოოდ დასამორჩილებლად, რაც მას ასე ადვილად განსახორციელებელი ეჩვენებოდა. მისი აზრით, საჭირო იყო მხოლოდ ელვისებური სისწრაფით შეჭრა მთებში და ერთდროულად ყველა მიმართულებით მათი გადასერვა ჯარებით. პასკევიჩს უნდოდა ესარგებლა კავკასიის კორპუსის გარდა დამატებითი ორი დივიზიის აქ ყოფნით, რომლებიც რუსეთ-სპარსეთისა და რუსეთ-თურქეთის ომების დროს იყო გამოგზავნილი, და ვიდრე ეს ჯარები უკან დაბრუნდებოდნენ, ერთი დარტყმით აპირებდა იმიერკავკასიის ხალხების საბოლოოდ დაპყრობას. ამ გეგმიდან კარგად ჩანს, თუ რაოდენად ცუდად ერკვეოდა პასკევიჩი ადგილობრივ ვითარებაში. მას წარმოდგენაც კი არ ჰქონდა, რა სიძნელეები შეიძლებოდა შეხვედროდა წინ და ალბათ ვერც ვერასოდეს იფიქრებდა, რომ იმიერკავკასიის მთიელების დაპყრობას ხანგრძლივი, თითქმის სამი ათეული წლის განმავლობაში წარმოებული შეუპოვარი ბრძოლა დასჭირდებოდა. თუმცა

[19] ЦГИА СССР, ф. 1268, д. № 7, приложение II, л. 134—141.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ პასკევიჩს ცოტა მეტი შორსგანჭვრეტის უნარი რომ აღმოჩენოდა, რათა გულისყურით მოკიდებოდა იმიერკავკასიაში ახლად ჩასახული მიმდინარეობის — მიურიდიზმის არსის ჩაწვდენას და დროზე მიეღო სათანადო ზომები, ეს უკანასკნელი ასე მრისხანე ძალად შეიძლება არც კი ჩამოყალიბებულიყო. ასეა თუ ისე, პასკევიჩი შეუდგა თავისი გეგმების განხორციელებას. საბოლოოდ მან გადაწყვიტა, რომ ვიდრე მთიელი ხალხების საყოველთაო დამორჩილებას შეუდგებოდა, ამიერკავკასიის მშვიდობიანობის უზრუნველსაყოფად ჯერ ჰარ-ბელაქანისა და ოსეთის მორჩილებაში მოყვანა იყო საჭირო, ძერე კი, შემოდგომის დამდეგისათვის განზრახული ჰქონდა 40-ათასიანი არმიის შეკრება და ამ მრისხანე ძალით ჩეჩნეთის ყველა მიმართულებით გავლა-დაპყრობა; რაც შეეხება დაღესტანს, პასკევიჩს ლეკების რუსეთისადმი სრულ ერთგულებაში ეჭვიც კი არ ეპარებოდა და ეს მხარე საომარი მოქმედებების გეგმიდან საერთოდ გამორიცხული ჰყავდა. თუმცა კი, როგორც სულ მალე გაირკვა, იმ მძლავრი წინააღმდეგობის კერა, რომელიც რუსეთს იმიერკავკასიაში შეექმნა, სწორედ დაღესტანი იყო.

1830 წლის თებერვალში პასკევიჩმა ალაზნის პირას წმინდა სტეფანეს მონასტერთან დიდძალ ჯარს მოუყარა თავი. ჯარმა პასკევიჩს წინამძღოლობით თებერვლის ბოლოს მუღანლოს გადასასვლელთან გადალახა ალაზანი და ჰარ-ბელაქანს მიადგა. ჰარელები აურაცხელი ჯარის დანახვაზე მიხვდნენ, რომ წინააღმდეგობის გაწევას არავითარი აზრი არ ექნებოდა და ისევ უსიტყვოდ დამორჩილება არჩიეს. ამიერიდან მთელი ჰარ-ბელაქნის ოლქი საბოლოოდ უნდა შეერთებოდა რუსეთის იმპერიას. მაჰმადიანურ მოსახლეობას რელიგიის ხელშეუხებლობის სრული გარანტია ეძლეოდა, სამაგიეროდ ისინი ვალდებული იყვნენ გადაეხადათ სახელმწიფო ბეგარა-გადასახადები, ჩაეყენებინათ რუსული გარნიზონი და მიეცათ მძევლები.

იმავე 1830 წელს პასკევიჩის მიერ იმიერკავკასიაში გაგზავნილმა რაზმებმა სრულ მორჩილებაში მოიყვანეს ოსეთი, მაგრამ ამ ლაშქრობების პარალელურად დაღესტანში დატრიალებულმა ამბებმა ბოლოს და ბოლოს აიძულა პასკევიჩი კარდინალურად შეეცვალა თავისი გეგმა. საქმე შემდეგში იყო: ამ დროისათვის სწრაფად დაიწყო გავრცელება რელიგიურმა მოძღვრებამ — მიურიდიზმმა, რომელიც რელიგიის წმინდად დაცვასთან ერთად ჩრდილო კავკასიის ერთმანეთისაგან განცალკევებულ ხალხებს აერთიანებდა და „ურწმუნო“ დამპყრობლების წინააღმდეგ საშიშ ძალად რაზმავდა. მიურიდიზმის ენერგიული ბელადი

ყაზი-მოლა გამალებული ემზადებოდა კავკასიიდან რუსების გასაყრელად. პირველ რიგში მან თავისი ძალების მოსინჯვა ავარიის სახანოზე სცადა, რომელსაც 1828 წელს რუსეთის ქვეშევრდომობა ჰქონდა მიღებული. 1830 წლის თებერვალში ყაზი-მოლას წინამძღოლობით მიურიდები ავარიის მთავარ ქალაქს ხუნძახს გარს შემოერტყნენ. ავარიის ხანმა ამჯერად მოახერხა მათი დამარცხება, მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ დამარცხებული ყაზი-მოლა იძულებული გახდა მიმალულიყო, საერთო განწყობილება დაღესტანში იმდენად მტრული ჩანდა, რომ ყოველ წამს ახალი აფეთქება იყო მოსალოდნელი. ფელდმარშალის ყურამდე ამ შემთხვევის გარშემო მრავალმა ერთმანეთის საწინააღმდეგო ხმამ მიაღწია და ვითომ ვითარების გასარკვევად მან დაღესტანში ჩვენთვის უკვე ნაცნობი ივანე ყორღანოვი გაგზავნა. სინამდვილეში ყორღანოვს დავალებული ჰქონდა, ყაზი-მოლას მოსყიდვა-გადმობირებას ცდილიყო და თუ ამას ვერ შეძლებდა, დაჭირავებული მკვლელი მიეგზავნა მისთვის. ამ დროისათვის ყორღანოვს პასკევიჩის სრული ნდობა ჰქონდა მოპოვებული, განსაკუთრებულ დავალებათა შესასრულებლად მის განკარგულებაში ირიცხებოდა და იმდენად უფლებამოსილი იყო, რომ დაღესტანში განლაგებული ჯარების გენერლები მის ყოველ ბრძანებას უსიტყვოდ ასრულებდნენ. ერთადერთმა გენერალ-ლეიტენანტმა გიორგი ერისთავმა მოინდომა მისი ალაგმვა, მაგრამ ეს უკანასკნელი თბილისში გაიწვიეს და საერთოდ გაათავისუფლეს სამხედრო სამსახურიდან. ამის შემდეგ ყორღანოვის თვითნებობას საზღვარი აღარ ჰქონდა, იგი დაღესტნის ფაქტიურ მმართველად იქცა. ყორღანოვმა მიურიდიზმსა და ყაზი-მოლას ვერც ვერაფერი გაუგო, ვერც ვერა დააკლო რა. პირიქით, მისმა არაკეთილსინდისიერმა საქციელმა დაღესტანში რუსული მმართველობის ავტორიტეტი საბოლოოდ შეარყია და მოიურიდიზმის კიდევ უფრო სწრაფად გავრცელებას შეუწყო ხელი. განსაკუთრებით უსამართლოდ მოიქცა ყორღანოვი, როდესაც დაღესტნის სამხედრო ხელისუფლებას რუსების ერთგული ტარკის შამხალის შვილის — აბუ-მუსელიმის დაჭერა მოსთხოვა. ამავე ხანებში აბუ-მუსელიმი მიურიდების მიერ აჯანყებულ ყოისუბულელთა დამორჩილება-დაწუნარებაში აქტიურად ეხმარებოდა რუსებს, გენერალი მას ჯილდოზე წარდგენასაც კი ჰპირდებოდა, მაგრამ ყორღანოვის კატეგორიული მოთხოვნის შედეგად იძულებული გახდა აბუ-მუსელიმი დაჯილდოების ნაცვლად საპყრობილეში წაეყვანა. ყველაფერი ეს ახლად გარდაცვლილი შამხალის დაკრძალვაზე დაღესტნის ყველა კუთხიდან მოსული ხალხის წინაშე ხდებოდა. ლეკებმა კიდევ ერთხელ აშკარად

დაინახეს, თუ ერთგული სამსახურის ნაცვლად რას უნდა მოელოდნენ რუსული ხელისუფლებისაგან და საჯარო კრებებზე დაადგინეს, ყველანაირად შეეშალათ ხელი მისი გავრცელებისათვის. ყორღანოვის უკუღმართი მოქმედებით ყაზი-მოლა კარგად სარგებლობდა და მისი მიმდევრების რიცხვი დღითიდღე იზრდებოდა. ბოლოს და ბოლოს ყორღანოვმა თავის მიერ გაბმული ინტრიგების ქსელითა და გაუთავებელი დაბეზღებებით დაღესტნის თითქმის ყველა მფლობელი ხანი აიჯანყა და პასკევიჩიც იძულებული გახდა მოეშორებინა იგი იქაურობისათვის. როგორც პასკევიჩის კავკასიიდან წასვლის შემდეგ ყორღანოვის სასამართლო ძიებაში გადაცემის შედეგად გაირკვა, მისი ასეთი საქციელი ანგარებით იყო გამოწვეული. სახელდობრ, ზემოთ აღწერილ შემთხვევაში ყორღანოვი აბუ-მუსელიმის ძმის, სულეიმან-ფაშას მიერ იყო მოსყიდული და აბუ-მუსელიმის დაჭერით სულეიმანს შამხალის ტახტის მიღებას უადვილებდა. ასეთ, და სხვა მსგავსი დარღვევებისათვის ყორღანოვს პოლიციის ზედამხედველობის ქვეშ კალუგის გუბერნიაში გადასახლება მიუსაჯეს, მაგრამ თავის დროზე დაღესტანში მის მიერ გაფუჭებულ საქმეს უკვე აღარაფერი ეშველებოდა. მიურიდიზმი, რომელიც იმიერკავკასიის ყველა პატარა ხალხებისათვის ადვილად გასაგებ და მტკივნეულ იდეას — „ურწმუნოების“ წინააღმდეგ ბრძოლას ქადაგებდა, დღითიდღე აკავშირებდა იმიერკავკასიის მიუვალ მთებში გაბნეულ ხალხებს და აფართოებდა თავისი გავლენის სფეროს.

1830 წლის ოქტომბერში დაღესტნელი ლეკების მძლავრი პარტიის დახმარებით, ახლად დამორჩილებულ ჰარ-ბელაქანში რუსების წინააღმდეგ აჯანყებამ იფეთქა. მართალია, აჯანყებულებს სასტიკად გაუსწორდნენ, მაგრამ აჯანყების ჩაქრობა მხოლოდ ორივე მხრიდან დიდი მსხვერპლის გაღების ფასად მოხერხდა.

მიურიდიზმმა თანდათანობით ფესვები ჩეჩნეთშიც გაიდგა და 1830 წლის ბოლოსათვის ჩეჩნეთის მორჩილებაში მოსაყვანად პასკევიჩს იქ მძლავრი ექსპედიციის გაგზავნა დასჭირდა, რომელმაც მთელი დაბლობის ჩეჩნეთი მიწასთან გაასწორა.

ამრიგად, ადგილობრივმა ვითარებამ აიძულა პასკევიჩი თავის პირვანდელ გეგმაზე, ერთი დარტყმით იმიერკავკასიის ყველა ხალხის ერთდროულად დაპყრობას რომ ითვალისწინებდა, ხელი აეღო და ცალკეული ექსპედიციებით იმიერკავკასიის სხვადასხვა კუთხეში აფეთქებული აჯანყებების ჩაქრობაზე გადასულიყო.

1831 წლის გაზაფხულზე, პასკევიჩის კავკასიიდან გაწვევის დროისათვის, იმიერკავკასიის ხალხები არამც თუ დამორჩილებული იყვნენ,

არამედ მათი ბელადი ყაზი-მოლა სულ ახალ-ახალ ძალებს იკრებდა და გადამწყვეტი შეტევისათვის ემზადებოდა.

როგორც ვხედავთ, პასკევიჩი საქართველოსა და ამიერკავკასიის მმართველობის პერიოდში 4 წლის განმავლობაში უმთავრესად ლაშქრობით იყო დაკავებული, ეს იქნებოდა რუსეთ-ირანისა და რუსეთ-თურქეთის ომები, თუ იმიერკავკასიის ხალხთა დასამორჩილებელი ბრძოლები. გარდა ამისა, მას თავისი ბუნებითაც არ შეეძლო ზერელედ მაინც გაეთვალისწინებინა კავკასიის ქრისტიანი და მაჰმადიანი მოსახლეობის მრავალგვარი ზნეჩვეულებანი და ადათ-წესები, რომლებიც აგრერიგად განსხვავდებოდა არა მარტო რუსული ყოფისაგან, არამედ ერთმანეთისგანაც. მიუხედავად იმისა, რომ პასკევიჩს არც დრო ჰქონდა და არც სათანადო ცოდნა და გამოცდილება შესწევდა იმისათვის, რომ ქვეყნის მმართველობისა და მართლმსაჯულების ახალი სისტემის შექმნაზე ეზრუნა, მან, როგორც სჩვეოდა, თავისი წინამორბედი მთავარმართებლების საქმიანობა სამოქალაქო მმართველობის სფეროშიც დაიწუნა და მისი ძირფესვიანი გარდაქმნა დაისახა მიზნად.

1829 წლის მაისში იმპერატორისადმი მირთმეულ მოხსენებით ბარათში პასკევიჩი დაწვრილებით აღწერდა მმართველობის და მართლმსაჯულების სფეროში გამეფებულ უწესრიგობას და ბოროტმოქმედებებს, რომელთა აღმოსაფხვრელად და ქვეყნის მმართველობის გარდასაქმნელად საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ დღემდე არ გადადგმულა არც ერთი ნაბიჯიო. იგი ამ უწესობათა გამოსავლენად იმპერატორისაგან რევიზორების გამოგზავნას მოითხოვდა[20].

პასკევიჩმა უმაღლესი ბრძანებულებით გამოგზავნილი კომისიის წევრებს, სენატორებს კუტაისოვსა და მეჩნიკოვს გააცნო თავისი შეხედულება არსებულ მმართველობაზე, რომლის მთავარი უარყოფითი მხარეები იყო მისი აზრით: 1. მმართველობის ფორმების მრავალგვაროვნება, 2. მმართველობის უფლება-ძოვალეობათა განუსაზღვრელობა, 3. რუსული და ქართული კანონმდებლობისა და მაჰმადიანური ადათ-წესების ერთმანეთში ღრეჩა და 4. სხვადასხვა კუთხეებში არათანაბარი ბეგარა-გადასახადების არსებობა და ფინანსების მოუწესრიგებლობა. მმართველობის მრავალგვაროვნების და არასწორი ორგანიზაციის შესახებ პასკევიჩი აღნიშნავდა, რომ თავიდან საქართველოდან შექმნილი იყო გუბერნია რუსეთის გუბერნიების მსგავსი სახელმწიფო დაწესებულებებით და მოხელეებით, მაგრამ მთავარმართებლების ცვლასთან დაკავ-

---

20 სცსსა, ფ. 2, ან. I, საქ. 2275, ფურც. 1—8.

შირებით მმართველობის იერიც თანდათანობით იცვლებოდა და სხვადასხვა დროებითი დაწესებულებების დაარსებამ სავსებით შეცვალა მისი პირვანდელი სახე. ამჟამად საქართველოში რამდენი მაზრაც არის, მმართველობის იმდენივე მოუხერხებელი ფორმა არსებობსო. მაგ., თბილისის მაზრაში საერობო პოლიციის გამგეობის პარალელურად არსებობს სამაზრო სასამართლო, რომელშიც თბილისის მაზრის მოსახლეობის საქმეების გარდა, ირჩევა დუშეთის მაზრისა და ყველა დისტანციის მოსახლეობის საქმეებიც. დუშეთის მაზრაში მხოლოდ საერობო პოლიციის გამგეობაა, სამაგიეროდ გორის მაზრაში სამაზრო სასამართლოსა და საერობო პოლიციასთან ერთად დანიშნულია ოკრუგის უფროსიც; თელავის, სიღნაღის და ელისავეტპოლის მაზრებში ყველა სახელმწიფო დაწესებულება საოლქო სასამართლოშია გაერთიანებული. თათრულსა და თუშ-ფშავ-ხევსურეთის დისტანციებში მართვა-გამგებლობა ყოველგვარი სახელმწიფო დაწესებულებების გარეშე პრისტავების ხელთ არის, მოსახლეობის სასამართლო საქმეები კი თელავისა და თბილისის მაზრებში წყდება.

ასეთი მრავალფეროვნების შედეგად ზოგან თავს იყრის მრავალრიცხოვანი საქმეები, რაც ახანგრძლივებს საბოლოო გადაწყვეტილების გამოტანას, სხვაგან კი სახელმწიფო დაწესებულებების არარსებობის გამო საგამომძიებლო და აღმასრულებელი ფუნქციები ერთი პირის ხელშია გაერთიანებული და ამ უკანასკნელთა თვითნებურ მოქმედებას უწყობს ხელს.

დაახლოებით ასეთივე მძიმე მდგომარეობაა იმერეთშიც, რომლის მართვა-გამგებლობა გამოყოფილია აღმოსავლეთ საქართველოსაგან. მთელ იმერეთის ოლქში არსებობს მხოლოდ ერთი დროებითი საოლქო მმართველობა, რომელშიც გაერთიანებულია ყველა საგუბერნიო და სამაზრო დაწესებულება და რომელსაც მართავს იმერეთში განლაგებული ჯარის უფროსი. გურიას მართავს მისი თავადების საბჭო რუსი სამხედრო მოხელის თავმჯდომარეობით; საშოქალაქო საქმეების გადაწყვეტაში ხელმძღვანელობენ ადგილობრივი კანონმდებლობით დაწესჩვეულებებით, სისხლის სამართლის საქმეებს კი წყვეტს სამხედრო სასამართლო.

მაჰმადიანური პროვინციები ორ ოკრუგადაა გაყოფილი და მათი მმართველობა თითქმის მთლიანად გასამხედროებულია. ოლქის სამხედრო უფროსი არჩევს სასაზღვრო და სისხლის სამართლის საქმეებს, დანარჩენი მართვა კი ჩაბარებული აქვთ ადგილობრივ კომენდანტებს.

სომხეთის ოლქში, შემოერთების შემდეგ დაარსებული იყო დროებითი მმართველობა ოლქის უფროსის თავმჯდომარეობით, მაგრამ ძალიან ბევრი საქმე დატოვებულია ადგილობრივი ნაიბების ხელში, რომელთაც ეხმარებიან რუსი პრისტავები.

პასკევიჩის აზრით, ამიერკავკასიის პროვინციების ასეთი მრავალგვარი მმართველობა თავის თავში შეიცავდა სხვადასხვაგვარი უწესრიგობის წყაროს, რომელსაც კიდევ უფრო მეტად აძლიერებდა ის გარემოება, რომ მმართველი პირების უფლება-მოვალეობანი არ იყო მკაფიოდ განსაზღვრული. განსაკუთრებით მაჰმადიანურ პროვინციებში კომენდანტების უფლებების განუსაზღვრელობამ მათ თვითნებური მოქმედების ფართო ასპარეზი მისცა. ასევე უხერხულობას იწვევს რუსული და ქართული კანონების ერთდროული მოქმედება; ვახტანგის კანონებში ბევრი რამ არ არის ნათელი, ერთსა და იგივე საქმეს რუსული კანონებით თუ მიუდგება მოსამართლე, სულ სხვა გადაწყვეტილებამდე შეიძლება მივიდეს. ასეთ შემთხვევებში მთლიანად მოსამართლეზეა დამოკიდებული საქმის ასე თუ ისე გადაწყვეტა. ახალი ქვეშევრდომებისათვის ძველი პრივილეგიების დატოვებას კიდევ იმ უხერხულობამდე მივყავართ, ამბობდა პასკევიჩი, რომ ამიერკავკასიის პროვინციები რუსეთთან შეერთებამდე წარმოადგენდნენ ცალკეულ, დამოუკიდებელ სამფლობელოებს, ყველა მათგანს ჰქონდა თავისი საფინანსო სისტემა; ერთი მეფის ხელქვეით ამ პროვინციების გაერთიანების შემდეგ კი ზოგიერთი ქვეშევრდომი ორჯერ უფრო მეტად დაბეგრილი აღმოჩნდა, ვიდრე მათ მეზობლად მცხოვრები სხვა ხალხები.

იმის გამო, რომ ყველგან დაწესებულებები დროებით სახეს ატარებენ, განკარგულებების უმეტესობაც დროებითია, მოსახლეობას აღარ სჯერა რუსული მმართველობის გამძლეობისა და სახელმწიფოს მიერ მილებულ ყველა ღონისძიებას ეჭვის თვალით უყურებს. პასკევიჩს შექმნილი მდგომარეობიდან საუკეთესო გამოსავლად მიაჩნდა ამიერკავკასიის უკლებლივ ყველა პროვინციაში რუსული მმართველობისა და რუსული კანონმდებლობის შემოღება ზუსტად ისეთივე საგუბერნიო და სამაზრო დაწესებულებებით, როგორც ეს მთელ რუსეთის იმპერიაში იყო გავრცელებული. იგი მოითხოვდა, რომ ყველა საგუბერნიო და სამაზრო დაწესებულებაში ყველგან და ყველაფერში ეხელმძღვანელათ მხოლოდ და მხოლოდ რუსული კანონმდებლობით და არავითარ შემთხვევაში აღარ დაეშვათ ქართული კანონებით ან მაჰმადიანური ადათებით სარგებლობა. პასკევიჩის აზრით, ასეთი მმართველობის შემო-

ღება შემდეგ სარგებლობას მოიტანდა: 1. დამყარდებოდა ერთგვაროვნება, რაც აგრერიგად საჭიროა წესრიგის დასაცავად. ყველა პიროვნების მოვალეობა კანონით იქნებოდა განსაზღვრული და თვითნებური მოქმედების საშუალება აღარ იქნებოდა; გაადვილდებოდა ზედამხედველობაც; 2. მმართველობის ერთგვაროვნების დროს, საჭიროების შემთხვევაში, ცვლილებების გატარებაც შედარებით უფრო ადვილი იქნებოდა; და რაც მთავარია, 3. ამიერკავკასიის მცხოვრებლები დაუახლოვდებოდნენ რუსეთს, ერთიდაიგივე კანონმდებლობის საფარველ ქვეშ ისინი ნაკლებად იქნებოდნენ განცალკევებულნი სახელმწიფოს სხვა ნაწილებისაგან, ახლა კი, მმართველობის ძველი წესი და რიგი, ძველი ჩვეულებები, ყველაფერი მათ რუსეთის სხვა ხალხებისაგან განსხვავებაზე მიუთითებს და ცალკე, დამოუკიდებელ არსებობას მოაგონებსო[21]. ასე ერთი ხელის მოსმით აპირებდა მთავარმართებელი იმ მინიმალური ადგილობრივი თავისებურებების მოსპობას, რაც რუსული მმართველობის პირველ ეტაპზე იყო შენარჩუნებული. ამგვარად, პასკევიჩმა 10 წლით ადრე მოინდომა იმ რუსიფიკატორული პოლიტიკის გატარება, რაც ცარიზმის თაოსნობით ორმოციანი წლების დასაწყისში განხორციელდა.

სენატორებმა სავსებით მოიწონეს და გაიზიარეს ფელდმარშალის მიერ შემოთავაზებული მიმართულება და მასთან ერთად შეიმუშავეს მომავალი მმართველობის სისტემის პროექტი, რომელიც ორიოდე ვაკანსიის გარდა, რუსეთის საგუბერნიო მმართველობის მსგავსად იყო შედგენილი. მთავარი გამონაკლისი შემდეგი იყო: ამიერკავკასიაში სამსაფეხურიანი, I მთავარი, II — საგუბერნიო და III — სამაზრო მმართველობა იყო გათვალისწინებული. ასეთი მმართველობის აუცილებლობა ამ მხარის რუსეთის მთავარმართველობისაგან დაშორებით იყო გამოწვეული, გარდა ამისა, პასკევიჩისა და სენატორების აზრით, ისეთ ჩამორჩენილ ქვეყანაში, როგორიც ამიერკავკასია იყო, სადაც მოქალაქეობრიობაზე წარმოდგენაც კი არ ჰქონდათ, საჭირო იყო საგუბერნიო მმართველობაზე უფრო მეტად უფლებამოსილი მმართველობის დაარსება, რომელიც სენატის გვერდის ავლით ადგილზევე შეძლებდა სადავო საქმეების საბოლოო გადაწყვეტას. პროექტის მიხედვით ამიერკავკასიის მთავარმართველობას ეძლეოდა ისეთივე უფლებები, როგორც სენატის მოსკოვისა და პეტერბურგის დეპარტამენტებს ჰქონდათ მთელი რუსეთის მიმართ. ამიერკავკასიის მთავარმართველობას

---

[21] სცსსა, ფ. 2, ან. I, საქ. 2500, ფურც. 30—41.

ახალი კანონების გამოცემის ან არსებული კანონიდან გადახვევის უფლება არა ჰქონდა, მას უნდა ემოქმედა მხოლოდ დადგენილი კანონების მიხედვით. სამაგიეროდ, ყველა სააპელაციო და კერძო საქმეების ადგილზევე გადაწყვეტის უფლება ეძლეოდა, გარდა ისეთი საქმეებისა, რომელთა გადაწყვეტაშიც უმაღლესი ხელისუფლების წინაშე წარდგინების გარეშე თვით სენატიც არ იყო უფლებამოსილი[22]. ამიერკავკასიის მთავარმართველობის წევრებს ეძლეოდა სენატორის უფლებები. ისინი ბრძანებებსა და მითითებებს მიიღებდნენ მხოლოდ იმპერატორისა და სენატორისაგან, მინისტრებთან მათ ურთიერთობას კი თანაბარუფლებების ხასიათი უნდა ჰქონოდა. მთავარმართველს უმთავრეს საკითხებში მეფისნაცვლის უფლებები უნდა მინიჭებოდა. ამიერკავკასიის მმართველობის პროექტი პასკევიჩმა 1831 წლის აპრილში წარუდგინა იმპერატორს, რომელმაც ძირითად ხაზებში პროექტი მოიწონა და გადასცა სენატის საკანონმდებლო დეპარტამენტს, მაგრამ ამ დროისათვის პასკევიჩი პოლონეთის აჯანყების ჩასაქრობად გაიწვიეს, იგი პოლონეთში მოქმედი არმიის მთავარსარდლად დაინიშნა. საქართველოს და ასტრახანის გუბერნიების და კავკასიის ოლქის მთავარმართველად და კავკასიის ცალკეული კორპუსის მთავარსადლად 1831 წლის სექტემბერში ინფანტერიის გენერალი ბარონი გრიგოლ ვლადიმერის ძე როზენი გამოგზავნეს.

როზენს სამხედრო ცხოვრების ძალიან მძიმე გზა ჰქონდა გავლილი, 15 წლის ასაკიდან საუკუნის დასაწყისის ყველა ბრძოლაში ჰქონდა მონაწილეობა მიღებული. ნაპოლეონის წინააღმდეგ ბრძოლები მან გენერალ-ადიუტანტის წოდებით დაამთავრა. ნიკოლოზ I-მა ტახტზე ასვლის შემდეგ ინფანტერიის გენერლის ჩინი უბოძა და ლიტვის კორპუსის მთავარსარდლად დანიშნა. ამ ჩინით მიიღო მან მონაწილეობა პოლონეთის ომში, მაგრამ აქ მისი მოქმედება მაინცდამაინც წარმატებული არ ყოფილა. ლიტვის კორპუსის ნაწილი დაიღუპა, ნაწილი კი აჯანყებულთა მხარეზე გადავიდა, ამისდა მიუხედავად, ნიკოლოზ I-მა მაინც ასეთი პასუხსაგები მოვალეობა დააკისრა.

საქართველო და ამიერკავკასიის ქვეყნები როზენისათვის სრულიად უცნობი მხარე იყო, მაგრამ მიუხედავად ამისა, მან შედარებით მოკლე დროში მოახერხა გარკვეულიყო ადგილობრივ ვითარებაში, რამაც საშუალება მისცა სასარგებლო სამსახური გაეწია ამ მხარისათვის. სწორედ როზენის მიერ დაკავებული პოზიციის შედეგი

22 სცსსა, ფ. 2, ან. I, საქ. 2500, ფურც. 50—54.

თუო, რომ მისი მთავარმართველობის პერიოდში ვერ მოხერხდა ამიერკავკასიის მმართველობის რეფორმის გატარება, რეფორმისა, რომელმაც ასეთი უარყოფითი როლი ითამაშა ქვეყნის ცხოვრებაში.

იმის საილუსტრაციოდ, თუ პირველ ხანებში რამდენად არ ჰქონდა წარმოდგენა როზენს, რა ხდებოდა იმ ქვეყანაში, რომლის მთავარმართველადაც ჩამოვიდა, მოვიტანთ ერთ მეტად საინტერესო საარქივო დოკუმენტს. როგორც ჩანს, პასკევიჩს ჯერ კიდევ მთავარმართველად ყოფნის დროს ნიკოლოზ I-თან და ბენკენდორფთან შეთანხმების შემდეგ შეუდგენია საიდუმლო სამხედრო პოლიციის პროექტი, რომლის დაარსება ამიერკავკასიაში უმაღლესად გადაწყვეტილი ყოფილა. საიდუმლო სამხედრო პოლიციის პროექტის იმ მუხლში, რომელიც ამ პოლიციის მიზანს განმარტავდა და მისი დაარსების აუცილებლობის დასაბუთებისადმი იყო მიძღვნილი, პასკევიჩი წერდა: „იმის გამო, რომ საქართველო და ამიერკავკასიის პროვინციები უმეტესწილად რუსული იარაღით არის დაპყრობილი, მის მაცხოვრებლებს შორის მრავლად გვხვდებიან უკუღმართად მოაზროვნეები, რომლებიც დღემდე რუსებს როგორც მფარველებს ისე კი არ უყურებენ, არამედ როგორც დამპყრობლებს და რუსული ხელისუფლებისაღმი მტრულად არიან განწყობილნი. გარდა ამისა, აქ მრავლად არიან გამოგზავნილი ხელისუფლების წინააღმდეგ გამოსვლებში მონაწილეობისათვის ჩამოქვეითებული სამხედრო თუ სამოქალაქო მოხელეები. ეს გარემოება, ამ მხარის განცალკევებული ადგილმდებარეობა და ბოლოს, აქაური მოსახლეობის ხასიათი, რომელიც მუდმივად მზად არის აჯანყებისათვის, ხელისუფლების მხრიდან განსაკუთრებული ყურადღების მიპყრობას მოითხოვს. ამისათვის აუცილებელია ამ მხარეში ყველგან დაარსდეს საიდუმლო სამხედრო პოლიცია“[23]. აქ არ შეგვიძლია გაკვრით მაინც არ აღვნიშნოთ, როგორ უცნაურად მსჯელობს მთავარმართებელი, რომელიც თვითონ აღიარებს, რომ საქართველო რუსული იარაღით იყო დაპყრობილი და ამავე დროს უკუღმართად მოაზროვნეებს უწოდებს იმათ, ვინც რუს ხელისუფლებს, როგორც დამპყრობლებს, ისე უყურებს და არა როგორც მფარველებს. მაგრამ ვინაიდან ჩვენი კვლევის საგანს ამჯერად სულ სხვა გარემოება შეადგენს, ამაზე ყურადღებას აღარ გავამახვილებთ.

საიდუმლო პოლიციის პროექტი კი შეადგინა პასკევიჩმა, მაგრამ მისი დამტკიცება როზენის მთავარმართველობის დროს უწდა მომხდა-

---

23 სცსსა, ფ. 2, ან. I, საქ. 2655, ფურც. 4—5.

რიყო, ამიტომ ბენკენდორფრმა სთხოვა როზენს გამოეთქვა თავისი აზრი ამ პოლიციის შესახებ და ეთანამშრომლა მასთან, რაზედაც როზენი შემდეგს პასუხობდა: „ჩემი აზრით, ამ პოლიციას სარგებლობის ნაცვლად ზიანის მოტანის მეტი არაფერი შეუძლია. ის გაანაწყენებს როგორც ჯარს, ისე მოსახლეობას, მაშინ როცა მათ ეს არ დაუმსახურებიათ, უნდობლობისათვის არავითარი საბუთი არ მოუციათ... რაც შეეხება დიდი ბოროტმოქმედებების აღმოფხვრას, ეს პოლიციის საქმე კი არ არის, არამედ მმართველობის გამუდმებული ყურადღებით თანდათანობით უნდა მოისპოს. ხოლო რაც შეეხება თავისუფალ აზროვნებას (вольнодумство), მადლობა ღმერთს! აქ ამით არავინ არის დაკავებული. სამხედროებს ამის დრო არა აქვთ, ისინი მსახურობენ გულმოდგინედ და ერთგულად; ადგილობრივი მცხოვრებლები თვითნება ხალხია, მაგრამ თავისუფალ აზროვნებაზე არც კი ფიქრობენ, ვინაიდან ამ სიტყვის მნიშვნელობა არც კი ესმით“[24] (о вольнодумстве же не помышляют, ибо значение сего слова им непонятно). ეს სიტყვები დაწერილია 1831 წლის დეკემბრის ბოლოს; სადაცაა გამქრალნდება შეთქმულება, რომელიც დაამტკიცებს, რომ ადვილობრივ მოსახლეობას არამც თუ ესმით „вольнодумство“-ს მნიშვნელობა, არამედ მზად არიან სიცოცხლე შესწირონ მისთვის ბრძოლას.

მართალია, აქ მოღვაწეობის დასაწყისში როზენმა ადგილობრივი ვითარების სრული უცოდინარობა გამოამჟღავნა, მაგრამ პასკევიჩისაგან განსხვავებით, რომელიც ოთხი წლის მმართველობის შემდეგაც აბსოლუტურად ვერ გაერკვა მხარის თავისებურებებში, მან შედარებით ადვილად მოახერხა ალღო აეღო ქვეყნისათვის, რომელსაც მართავდა და შეძლებისდაგვარად შეეშალა ხელი ქართული წყობისათვის სრულიად შეუფერებელი ბიუროკრატიული რეფორმის გატარებისათვის. ჩვენს ყურადღებას იპყრობს შენიშვნები, რომლებიც ერთი წლის მმართველობის შემდეგ გააკეთა ბარონმა როზენმა იმპერატორის ბრძანებულებით მასთან გამოგზავნილ კუტაისოვისა და მეჩნიკოვის კერძო პროექტზე საქართველოს სახაზინო სოფლებში სათემო მმართველობის შემოღების შესახებ. პროექტის შემდგენლები, აღმოსავლეთ საქართველოს თათრულ დისტანციებში, იმერეთის და გურიის სოფლებში ბეგარა-გადასახადების აკრეფის დროს ამ სოფლების პრისტავების, აღალარების და ქევხების მიერ დაშვებული ბოროტმოქმედებების თავიდან ასაცილებლად მოითხოვდნენ სასოფლო-სათემო მმარ-

---

24 სცსსა, ფ. 2, ან. I, საქ. 2655, ფურც. 47—50.

თვალობის დაარსებას. თავის მხრივ, ფინანსთა მინისტრი პროექტის განხორციელებაში ვერავითარ დაბრკოლებას ვერ ხედავდა, მხოლოდ საჭიროდ მიაჩნდა წინასწარ მთავარმართებლის დასკვნა მიეღო ამ საკითხზე. როზენმა ენერგიულად გააპროტესტა საქართველოს სოფელში სათემო მმართველობის შემოღების იდეა. იგი, უპირველეს ყოვლისა, უარყოფდა საქართველოში ბეგარა-გადასახადების აკრეფის დროს ბოროტმოქმედების არსებობას და, ამდენად, ახალი სასოფლო მმართველობის შემოღების აუცილებლობას. აღმოსავლეთ საქართველოს საკუთრივ ქართულ სოფლებში, იმერეთსა და გურიაში, სადაც თვით სენატორების მიერ გადასახადების აკრეფის დროს არავითარი დარღვევები არ ყოფილა შემჩნეული, არ იყო დასახელებული სხვა რამ მიზეზი, რის გამოც საჭირო იქნებოდა სასოფლო მმართველობის შეცვლა, რომელიც, როზენის აზრით, სავსებით შეესატყვისება მოსახლეობის მოთხოვნებსა და ადათებს, მაგრამ კიდევაც რომ ყოფილიყო სათემო მმართველობის შემოღების აუცილებელი საჭიროება, ეს სავსებით განუხორციელებელი იქნებოდა, რადგანაც საქართველოში თათრული დისტანციების გარდა არ არსებობს თითქმის არც ერთი სოფელი, რომელიც მთლიანად ერთ რომელიმე უწყებას ეკუთვნოდეს და დასახლებული იყოს ერთი კატეგორიის გლეხებით. ყველა სოფელში საბატონო, სახელმწიფო და საეკლესიო გლეხები ერთმანეთის გვერდით ცხოვრობენ. არის შემთხვევები, როცა სახაზინო გლეხები საბატონო მიწებზედაც კი სახლობენო. თემების დაარსებას ტერიტორიაც არ უწყობს ხელს. მაგალითად, მთელი გურია რუსეთის გუბერნიის ერთ რომელიმე თემზე ცოტათი მეტი თუ იქნებაო[25].

როზენი წინააღმდეგი იყო თათრულ დისტანციებში არსებული სოფლო მმართველობის სათემო მმართველობით შეცვლისაც. თათრულ დისტანციებში დატოვებული აღალარების ინსტიტუტი სავსებით სამართლიანად, ყოველმხრივ შესაფერისი ეჩვენებოდა მოსახლეობისათვის. „დისტანციებში არსებული მმართველობის ფორმაში უმცირეს ბოროტებასაც ვერა ვხედავ, მე ვთვლი, რომ იგი არა მარტო შეესატყვისება თათრული მოსახლეობის ხასიათსა და მოთხოვნებს, არამედ ამიერკავკასიის სხვა კუთხეებისთვისაც შესაფერისად მიმაჩნია. ეს რომ ვირწმუნოთ, საკმარისია შევადაროთ დისტანციებში საქმეების სწრაფი მსვლელობა სამაზრო სასამართლოებში საქმეების გაჭიანურებულ გადაწყვეტას“, — წერდა იგი[26].

25 სცსსა, ფ. 2, ან. I, საქ. 2939, ფურც. 4—7.

26 იქვე, ფურც. 19—20.

როზენი თავისი წინამორბედი და შემდგომი მთავარმართებლებისაგან განსხვავებით კარგად იყო გარკვეული იმაშიც, რომ თათრული დისტანციების და პროვინციების ბეგ-აღალარების უფლებები მემკვიდრეობითი იყო და რომ ისინი მაჰმადიანური მოსახლეობის დაახლოებით ისეთსავე პრივილეგირებულ წოდებას წარმოადგენდნენ, როგორც ქართველი თავადაზნაურები, და აქედან გამომდინარე, აღალარობის გაუქმებას არ მიიჩნევდა სასარგებლოდ.

შემდეგ როზენი ააშკარავებდა სენატორების არაკეთილსინდისიერებას, რომელთაც თათრულ დისტანციებში გადასახადების აკრეფის დროს მომხდარი დარღვევები გადაჭარბებულად ჰქონდათ წარმოდგენილი და ისეთ ბოროტმოქმედებად დასახული, რომელთა აღსაკვეთად არსებული სასოფლო მმართველობის შეცვლა იყო აუცილებელი. გადაჭარბების ასეთ მაგალითად როზენს მოჰყავდა შამშადილის დისტანციის პრისტავი თარხნიშვილი, რომელიც სენატორებს ბოროტმოქმედად ჰყავდათ წარმოდგენილი, როზენმა კი გაარკვია, რომ თარხნიშვილის გარშემო აღძრული სასამართლო საქმე მთლიანად გაუგებრობას იყო დამყარებული. დისტანციის აღალარების, თათრული და სომხური მოსახლეობის ხელმოწერით წარმოდგენილი ერთობლივი თხოვნიდან ჩანდა, რომ მათ არამც თუ რაიმე პრეტენზიები შეიძლება ჰქონოდათ თარხნიშვილის მიმართ, არამედ მისი მმართველობით დიდად მადლიერნიც იყვნენ. დაბოლოს, როზენის ყველაზე ძლიერი არგუმენტი, რომელიც სენატორების მიერ საქმისადმი ფორმალურ მიდგომას მოწმობდა, შემდეგი იყო: „ნუთუ შეიძლება ვიფიქროთ, — წერდა როზენი, — რომ სათემო მმართველობის შემოღება სოფლის თავკაცებს ბოროტმოქმედების საშუალებას მოუსპობს... რუსეთის გუბერნიებში სათემო მმართველობა ხომ არაკეთილსინდისიერად განწყობილი ისპრავნიკებისა და სხვა საერობო ხელისუფალთა ხელში ხანდახან უპირველეს იარაღად იქცევა ისეთი ბოროტმოქმედების ჩასადენად, რომლის მსგავსი ამ მხარეში არც კი გაუგონიათ“[27].

როზენის ენერგიული პროტესტის შედეგად სახელმწიფო საბჭომ კუტაისოვისა და მეჩნიკოვის კერძო პროექტის განხორციელება — საქართველოში სათემო მმართველობის შემოღება — ამჯერად არ სცნო მიზანშეწონილად, მაგრამ პასკევიჩისა და სენატორების მიერ დაძრული ბიუროკრატიული მანქანა მსვლელობას განაგრძობდა. პასკევიჩისა და სენატორების ერთობლივი პროექტი, რომელიც კანონ-

---

27 სცსსა, ფ. 2, ან. I, საქ. 2939, ფურც. 15.

მდებლობით დეპარტამენტში იყო გადაცემული, განხილვის შემდეგ, ფინანსის ყოველგვარი შესწორების გარეშე (ერთადერთი, რაზედაც დეპარტამენტი ამახვილებდა ყურადღებას, ეს იყო ამიერკავკასიის ორად — ამიერკავკასიის მთავარ სასამართლოდ და ამიერკავკასიის მთავარმართველობად — დაყოფა) გადაეცა სახელმწიფო საბჭოს, რომელმაც მას შემდგომი მსვლელობა მისცა და 1833 წელს პროექტის საბოლოოდ გადამუშავებისათვის დაარსდა „განსაკუთრებული კომიტეტი". ოთხი მინისტრის — სამხედრო, ფინანსთა, შინაგან საქმეთა და იუსტიციის მინისტრის შემადგენლობით. „განსაკუთრებული კომიტეტის" თავმჯდომარედ დანიშნული იყო ჩერნიშევი. კომიტეტმა ორი წლის განმავლობაში ზოგად ხაზებში დაამუშავა პროექტი, რომლის მიხედვითაც ამიერკავკასიის მმართველობას სათავეში უნდა ჩასდგომოდა მეფისნაცვალი მთავარი სასამართლოთი და მეფისნაცვლის საბჭოთი. გათვალისწინებული იყო ამიერკავკასიის ორ გუბერნიად დაყოფა — შავიზღვისპირეთის და კასპიის გუბერნიებად, მთავარი ქალაქებით თბილისითა და ბაქოთი. შავიზღვისპირეთის გუბერნიაში უნდა შესულიყო ქრისტიანებით დასახლებული ყველა ქვეყანა, სოხეთის ოლქი და თურქეთისთვის წართმეული მიწები, დანარჩენი საფლობელოები შედიოდა კასპიის გუბერნიაში. ორივე გუბერნიაში საყოველთაოდ უნდა შემოღებულიყო რუსული კანონმდებლობა და იმპერიაში გავრცელებული მთავარი, საგუბერნიო და სამაზრო მმართველობის მსგავსი დაწესებულებები[28]. „განსაკუთრებული კომიტეტის" მიერ დამუშავებული პროექტის სახელმწიფო საბჭოში განხილვას ესწრებოდა როზენი, რომელმაც განუმარტა სახელმწიფო საბჭოს ამიერკავკასიაში რუსული კანონმდებლობისა და რუსული საგუბერნიო მმართველობის შემოღებასთან დაკავშირებით რა სიძნელეებს შეიძლება გადასწყდომოდნენ, რომ ძალიან ბევრგან რუსული კანონმდებლობა და რუსული მმართველობა ადგილობრივი მოსახლეობის ყოფისათვის სრულიად შეუფერებელი იქნებოდა. იგი შიშობდა, რომ პროექტის გატარება ჯერჯერობით ნაადრევი იქნებოდა და ითხოვდა, რომ პროექტი გადაეცათ მისთვის, რათა ადგილზევე გადაეწყვიტათ მისი განხორციელების საჭიროება. სახელმწიფო საბჭო, რომლის ხელშიც გაიარა კუტაისოვისა და მეჩნიკოვის კერძო პროექტებმა და ამ პროექტებზე როზენის საფუძვლიანმა შენიშვნებმა, მიხვდა, რომ ადგილობრივი თავისებურებებისათვის უფრო მეტი ანგარიშის გაწევა იყო საჭირო და გადაწყვიტა მთელი ეს პროექტი ორად გაეყო. „განსაკუთ-

28 სცსსა, ფ. 2, ან. I, საქ. 4466, ფურც. 4.

რებულ კომიტეტს“ დაევალა ამიერკავკასიის მთავარმმართველობისა და მთავარი სასამართლოს მოწყობის დებულებების შედგენა, როზენს კი დაავალეს მხარის ოლქებად, მაზრებად დაყოფისა და საოლქო და სამაზრო მმართველობის პროექტის შედგენა. როგორც კომიტეტს, ისე როზენს უნდა ეხელმძღვანელათ იმ ძირითადი დებულებებით, რომელიც პროექტში იყო მოცემული[29].

1836 წელს „განსაკუთრებულმა კომიტეტმა“ სახელმწიფო საბჭოში განსახილველად წარადგინა ამიერკავკასიის მთავარმართველობისა და მთავარი სასამართლოს ერთხელ კიდევ გადამუშავებული პროექტი. კომიტეტმა ამჯერად გაითვალისწინა, რომ ამიერკავკასიის მმართველობის ცენტრალური ხელისუფლებისაგან მეტნაკლებად დამოუკიდებელი არსებობა სასარგებლო შედეგს არ მოიტანდა და გადაწყვიტა იმპერიაში მოქმედი მთავარმართველობის მსგავსი პროექტი შეედგინა ამიერკავკასიისთვისაც. ამ პროექტის მიხედვით მთავარმართველობის კომპეტენციაში შედიოდა მთელი ამ მხარის მმართველობისა და შესრულების უმაღლესი ზედამხედველობა, მთავარი სასამართლოს უფლებებში კი — სამოქალაქო და სისხლის სამართლის საქმეების საბოლოო რევიზია. ამიერკავკასიის მთავარმართველობას არ შეეძლო შეეცვალა ან უარეყო სამინისტროების მიერ გამოგზავნილი ბრძანებები. თავის მხრივ, სამინისტროებსაც ახალი ღონისძიებების მიღების დროს წინასწარ უნდა გაეთვალისწინებინათ ადგილობრივი მმართველობის შეხედულებები ამა თუ იმ საკითხზე[30].

სახელმწიფო საბჭოს იმავე სხდომაზე როზენმა წარმოადგინა თავისი მოსაზრებანი ამიერკავკასიის გუბერნიებად, ოლქებად და მაზრებად დაყოფის შესახებ. როგორც ჩანს, როზენი საქართველოს გუბერნიაში გორის, დუშეთის, სიღნაღის, თელავის, თბილისის, ელისავეტპოლის მაზრების, შამშადილის, ყაზახის და ბორჩალოს დისტანციებისა და ოსების, მთიულების, ფშავების, ხევსურების, თუშების საზოგადოებების შეყვანას აპირებდა. ასეთი ადმინისტრაციული დაყოფა მის შემდეგ მოსაზრებებს ემყარებოდა: 5 მაზრა, რომლის მოსახლეობა ქართველები იყო, ერთ ენაზე ლაპარაკობდა, ერთი ზნე-ჩვეულებები ჰქონდა. მოქალაქეობრიობის ერთ საფეხურზე იმყოფებოდა და, ბუნებრიეია, რომ მშართველობაც ერთგვარი ჰქონდათ. შამშადილის, ყაზახის და ბორჩალოს დისტანციები ყოველთვის საქართველოს ეკუ-

29 სცსა, ფ. 2, ან. I, საქ. 4466, ფურც. 6.
30 იქვე, ფურც. 9—10.

თვნოდა, კარგად იყო დაკავშირებული თბილისთან, ბევრ თავადაზნაურობას ამ დისტანციებში ყმა-მამული ჰქონდათ და მისი გამოყოფა საქართველოდან არ იქნებოდა მიზანშეწონილი. რაც შეეხება ელისავეტპოლის ოკრუგს, განჯის სახანო ძველიდანვე საქართველოს გავლენის ქვეშ იმყოფებოდა, ციციანოვმა ის საქართველოს შეუერთა და გარდა იმისა, რომ 30 წლის განმავლობაში მიეჩვიენ საქართველოს ხელისუფლებას, ელიზავეტპოლის, ყაზახის და შამშადილის დისტანციის მცხოვრებლები, რომლებიც უმთავრესად მომთაბარე ცხოვრებას მისდევენ, ზამთარში ცხვარს ალაზანსა და მტკვარს შუა (სიღნაღის მაზრაში) ველზე აბანაკებენ. როზენმა საჭიროდ მიიჩნია, რომ ისინი ზამთარ-ზაფხულ, მომთაბარე ცხოვრების დროს ერთი და იგივე ხელისუფლების ზედამხედველობის ქვეშ ყოფილიყვნენ. მისი აზრით, სჯკუთრივ საქართველოში, ანუ ხუთ მაზრაში მცხოვრებ მკვიდრ ქრისტიან მოსახლეობაში, რომელთაც მოქალაქეობრივი მმართველობა უძველესი დროიდან ჰქონდათ, შესაძლებელი იყო რუსული კანონმდებლობისა და მმართველობის გავრცელება. აძიერკავკასიის დანარჩენ მაზრებში საჭირო იყო ადგილობრივი ვითარების შესატყვისი მმართველობის დამყარება[31]. ამავე დროს როზენი იმერეთის და გურიის ცალცალკე ერთეულად გამოყოფას აპირებდა, რადგანაც ეს სამთავროები დიდი ხნის წინათ ჩამოშორდნენ აღმოსავლეთ საქართველოს და მასთან თანაბარი უფლებების პრეტენზიებს აცხადებენო[32]. ასევე ცალკე აპირებდა მთავარმართებელი ახალციხის მხარის დატოვებას, რადგანაც, როგორც თვითონ აცხადებდა, ყოფილი საფაშოს მოსახლეობას თვალი ჯერაც თურქეთისკენ ეჭირა. გარდა ამისა, როგორც როზენისვანვე ვგებულობთ, ერზერუმიდან გადმოსახლებული სომხებიც ისევ თურქეთის ქვეშევრდომობას არჩევდნენ და ყოველ ხელსაყრელ შემთხვევაში მთელი ოჯახებით უკანვე სახლდებოდნენ. ასეთი მდგომარეობის გამო როზენს საჭიროდ მიაჩნდა ახალციხის მხარეში ისეთი მმართველობა დაეტოვებინა, რომელშიც სამოქალაქო და სამხედრო ხელისუფლება გაერთიანებული იქნებოდა[33].

როზენი პირდებოდა სახელმწიფო საბჭოს, რომ ამიერკავკასიის ადმინისტრაციულ დაყოფას მოკლე დროში დაამთავრებდა, მანამდე კი „განსაკუთრებული კომიტეტის“ მიერ შემუშავებული მთავარმმარ-

---

31 სცსსა, ფ. 2, ან. I, საქ. 4875, ფურც. 85—97.

32 იქვე, ფურც. 73—81.

33 იქვე, ფურც. 95—97.

თველობის და მთავარი სასამართლოს დებულებების განხორციელება მიზანშეწონილად არ მიაჩნდა, რადგანაც როგორც ადმინისტრაციული დაყოფა, ისე მთავარმართველობის პროექტი მხარის საერთო მოწყობას ითვალისწინებდა და მათი ერთდროულად გატარება იყო საჭირო. მოკლედ რომ ვთქვათ, როზენი ყოველმხრივ ცდილობდა, ამიერკავკასიის სამოქალაქო ძმართველობის რეფორმას თავიდან თუ ვერ აიცილებდა, საფუძვლიანად მაინც მოემზადებინა იგი და მისი გატარება რაკ შეიძლება გაეხანგრძლივებინა. სახელმწიფო საბჭომ როზენის მოთხოვნები გაითვალისწინა და ამავე დროს მის დასახმარებლად აგგილზე სპეციალური კომისიის გამოგზავნა გადაწყვიტა. კომისია შედგა სამხედრო, ფინანსთა, შინაგან საქმეთა და იუსტიციის სამინისტროების წარმომადგენლებისაგან, თავმჯდომარედ დაინიშნა სენატორი განი. კომისია მთლიანად ექვემდებარებოდა განსაკუთრებულ კომიტეტს, რომელმაც მისი უფლება-მოვალეობების დეტალური ინსტრუქცია შეადგინა. კომისიას დაევალა გულდასმით შეესწავლა ყველა ის მოსაზრება, რომელიც ამიერკავკასიის მმართველობის შესახებ საბჭოში იყო წარმოდგენილი. ასევე გულმოდგინედ უნდა მოკიდებოდა იგი მთავარმართებლის მიერ შეკრებილ ცნობებს და მის მოსაზრებებს, ადგილზევე შეეგროვებინა დამატებითი ცნობები, ყველაფერი ეს შეეთანხმებინა ერთმანეთში და შეედგინა ყველა დაწესებულების საბოლოო პროექტი, რომელიც მთავარმართებლის დასკვნით შემდეგ გაეგზავნა სახელმწიფო საბჭოში. ინსტრუქციაში სპეციალურად აღნიშნული იყო, რომ კომისიის მუშაობის ხელის შეწყობის მიზნით ადგილობრივ მმართველობას უნდა მიეწოდებინა მისთვის ყოველგვარი ცნობები, მიეცა ყველა საქმის განხილვის ნება, რასაც კი მოისურვებდნენ, მაგრამ ამავე დროს კომისია არ უნდა ჩარეულიყო მმართველობის საქმეებში, რადგან მას ამ მხარის ახლანდელი მმართველობის რევიზია კი არ ჰქონდა დავალებული, არამედ მომავალი მმართველობის პროექტის შედგენა[34]. მაგრამ სენატორი განი სულაც არ იყო დაინტერესებული, რომ მართლაც გულმოდგინედ შეესწავლა ადგილობრივი ვითარება და მისი შესატყვისი პროექტი შეედგინა. მას უნდოდა რაც შეიძლება ადვილად, ნაკლები შრომის დახარჯვით შეესრულებინა ეს დავალება, ამიტომაც ყოველნაირად ცდილობდა თავიდან მოეშორებინა ბარონი როზენი, რომელიც როგორც დავინახეთ, სრული სერიოზულობით უყურებდა ამ საკითხს. სენატორმა კარგად ისარგებლა

[34] სცსსა, ფ. 2, ან. 1, საქ. 4466, ფურც. 28.

1837 წელს ნიკოლოზ I-ის საქართველოში ყოფნით. მან მთავარმართებლის დასწრებით იმპერატორს მოახსენა იმ დარღვევებისა და უწესრიგობათა შესახებ, რომელიც მან ამ მხარის შესწავლის დროს თითქოს და სრულიად შემთხვევით აღმოაჩინა.

როდესაც იმპერატორის პატივსაცემად მადათოვის მოედანზე (ახლანდელი 26 კომუნარის ბაღი) გამართულ პარადზე, რომელსაც მთელი ამიერკავკასიის მმართველობა, ჯარი და საზოგადოება ესწრებოდა, მეფის ბრძანებით გამოიყვანეს როზენის სიძე, ფლიგელ-ადიუტანტი დადიანი და მის პოლკში შემჩნეული დარღვევებისათვის საჯაროდ აჰყარეს ფლიგელ-ადიუტანტის აქსელბანტები[35], აღარავის ეჭვი აღარ ეპარებოდა, რომ როზენის მმართველობის დღეები დათვლილი იყო. მართლაც, ნიკოლოზ I-მა პეტერბურგში ჩასვლის უმალ, 1837 წლის ნოემბერში გაიწვია აქედან როზენი და მის ადგილას გენერალ-ადიუტანტი ევგენი ალექსანდრეს ძე გოლოვინი დანიშნა.

გოლოვინი იმ გენერლების რიცხვს ეკუთვნოდა, რომლებიც თავისი ხასიათითა და მისწრაფებებით სავსებით შეესატყვისებოდნენ ნიკოლოზ I-ის მოთხოვნებს. იგი ყოველგვარი ბრძანების ბრმა შესრულებით, საქმისადმი ფორმალური მიდგომით და საკუთარი ინიციატივის უქონლობით გამოირჩეოდა. ამას თუ დავუმატებთ, რომ მან 1825 წლის 14 დეკემბერს განსაკუთრებული სამსახური გაუწია მომავალ იმპერატორს, — მის ხელქვეით მყოფი ფინეთისა და ეგერთა პოლკები პირველი ჯარის ნაწილები იყვნენ, რომლებმაც მეფის ერთგულებაზე დაიფიცეს, — იმპერატორის მისადმი კეთილგანწყობილება სავსებით გასაგები იქნება. იმდროინდელი რუსი მოხელის მოგონებებში ვკითხულობთ, რომ როცა ნიკოლოზ I-ის არჩევანი საქართველოს მთავარმართებლად გოლოვინის დანიშვნაზე შეჩერდა, ჩერნიშევმა მას მოახსენა, რომ გოლოვინმა ვარშავაში მთელი თავისი გენერალ-გუბერნატორობა ძილში გაატარაო, მეფემ უპასუხა: მით უკეთესი, ახლა უკვე გამოძინებული იქნება და იმედია, აღარ ჩასთვლემსო[36]. რამდენად შეესატყვისება სინამდვილეს ეს საუბარი, ვერაფერს ვიტყვით, მაგრამ ფაქტია, რომ გოლოვინის ხასიათსა და მეფის მისდამი დამოკიდებულებას კარგად ასახავს. რა თქმა უნდა, ისეთ პასუხსაგებ მომენტში, როდესაც მთელი ამიერკავკასიის მმართველობის ძირეული გარდა-

---

35 Исарлов Л. С., Письма о Грузии, Тифлис, 1899, с. 181—184.

36 Зиссерман А. Л., Двадцать пять лет на Кавказе (1842—1867 гг.), СПБ, 1879, часть I, с. 20.

ქმნა ხდებოდა, მთავარმართებლის კანდიდატურის არჩევანზე უფრო მეტი ყურადღების გამახვილება იყო საჭირო.

1837 წლის შემოდგომაზე დანიშნულმა ახალმა მთავარმართებელმა საქართველოში ჩამოსვლა მხოლოდ 1838 წლის გაზაფხულზე — მარტში მოახერხა. ამ დროისათვის განს უკვე დამთავრებული და სახელმწიფო საბჭოში გადაცემული ჰქონდა ამიერკავკასიის მმართველობის პროექტი. განის მიერ მეტისმეტად შრომატევადი და პასუხსაგები ამოცანის ასეთი ელვისებური სისწრაფით შესრულებით დაეკვეხულმა სახელმწიფო საბჭომ 1839 წელს გოლოვინისა და განის თანდასწრებით მოაწყო პროექტის განხილვა. პროექტში ადგილობრივი ცხოვრების თავისებურებების შესწავლისა და გათვალისწინების კვალიც კი არ ჩანდა. იგი მთლიანად უკვე არსებული რუსული მმართველობის სქემების მიხედვით იყო შედგენილი. პროექტი განს დაუბრუნეს და დაავალეს გოლოვინთან ერთად მის საფუძვლიან გადაკეთებაზე ეზრუნა. პროექტის გადაკეთებისას მხედველობაში უნდა მიეღოთ განსაკუთრებული კომიტეტის მიერ მიცემული შემდეგი მითითებები: 1. მაჰმადიანურ პროვინციებში ადგილობრივი ვითარების შესატყვისი მართივი მმართველობის შემოღებაზე ეზრუნათ; 2. იმავე პროვინციებში რუსული კანონმდებლობისა და რუსული სასამართლოების შემოღების ნაცვლად იქ არსებული კანონები და ადათ-წესები გამოერკვიათ და ეს წეს-ჩვეულებები დაედოთ საფუძვლად აქ დაარსებული სიტყვიერი სასამართლოებისათვის; 3. საკუთრივ საქართველოში განსაკუთრებული აუცილებლობის შემთხვევაში ვახტანგის კანონების შეზღუდული მოქმედება გაეთვალისწინებინათ[37]. მაგრამ არც სენატორი განი და არც გოლოვინი ქვეყნის ყოველმხრივი შესწავლითა და ადგილობრივი ცხოვრების თავისებურებებზე ყურადღების გამახვილებით თავის შეწუხებას არ აპირებდნენ. მათ შეადარებით ადვილად დაარწმუნეს სახელმწიფო საბჭო, რომ მაჰმადიანურ პროვინციებში რუსული სასამართლოები თავიდანვე მოქმედებდნენ და რომ მათი გაუქმება და ამ პროვინციებისათვის განსხვავებული მმართველობის შემოღება რუსეთთან დაახლოების ნაცვლად მათ გამოცალკევებას შეუწყობდა ხელს[38]. ყოველივე ამის შემდეგ, უმნიშვნელო შესწორებებით, განმა წარმოადგინა პროექტი, რომელიც 1840 წლის 10 აპრილს უმაღლესად იქნა დამტკიცებული. გოლოვინი და განი გამალებული შეუდგნენ მის გან-

37 სცსსა, ფ. 2, ან. I, საქ. 6660, ფურც. 21—26.

38 АКАК, т. IX, № 23.

ხორციელებას, 1841 წლის იანვარში კი უკვე მოახსენებდნენ სენატს, რომ ამ მხარის მმართველობის გარდაქმნა საბოლოოდ დამთავრებული იყო. ამიერკავკასიის ახალი ადმინისტრაციული დაყოფა სისრულეში იყო მოყვანილი, ძველი დროებითი სამმართველო დაწესებულებები გაუქმებული იყო და ახალი საგუბერნიო და სამაზრო დაწესებულებები იწყებდნენ მოქმედებას.

1840 წლის 10 აპრილის რეფორმის მიხედვით ამიერკავკასიის ადმინისტრაციულ დაყოფაში სავსებით უარყოფილი იყო ეროვნული ნიშანი. ამიერკავკასია იყოფოდა ორ ნაწილად: საქართველო-იმერეთის გუბერნიად და კასპიის ოლქად. საქართველო-იმერეთის გუბერნიაში შედიოდა მაზრები: თბილისის, გორის, თელავის, ბელაქნის, ქუთაისის, ელისავეტპოლის, ალექსანდროპოლის, ერევნის, ნახჭევანის, ახალციხისა და გურიის. თავის მხრივ, მაზრები იყოფოდნენ უბნებად. სულ საქართველო-იმერეთის გუბერნიაში 44 უბანი შედიოდა. კასპიის ოლქი შედგებოდა 7 მაზრისაგან: შირვანის, ყარაბაღის, შექის, თალიშის, ბაქოს, დარუბანდისა და ყუბის მაზრებისაგან. საგუბერნიო ქალაქი იყო თბილისი, საოლქო — შემახია.

ახალი დებულებების თანახმად მყარდებოდა სამსაფეხურიანი მმართველობა: 1. მთავარი (რომელიც მოქმედებდა მთელი ამიერკავკასიის მასშტაბით); 2. საგუბერნიო და 3. სამაზრო. მთავარი მმართველობა შედგებოდა ამიერკავკასიის მთავარმართველის, თბილისის სამხედრო გუბერნატორის და მთავარმართველობის საბჭოსაგან. მთელი ამიერკავკასიის უფროსად ითვლებოდა მთავარმართებელი. იგი განაგებდა ყველა სამოქალაქო და სასაზღვრო საქმეებს, იყო მთავარმართველობის საბჭოს თავმჯდომარე და კავკასიის ცალკეული კორპუსის მთავარსარდალი. უფლებრივად იგი გათანასწორებული იყო რუსეთის გენერალგუბერნატორებთან. მისი მოადგილე იყო თბილისის სამხედრო გუბერნატორი.

მთავარმართველის საბჭოს წევრები იყვნენ მთავარმართველი (საბჭოს თავმჯდომარე), თბილისის სამხედრო გუბრენატორი და უმაღლესად დანიშნული წევრები. საქართველო-იმერეთის საგუბერნიო მმართველობაში შედიოდა: სამოქალაქო გუბერნატორი, საგუბერნიო მმართველობა, სახაზინო პალატა, სახელმწიფო ქონების პალატა, სამოქალაქო და სისხლის სამართლის პალატა, თავადაზნაურობის საკრებულო და საპროკურორო განყოფილება.

ყველაზე დაბალ ინსტანციად ითვლებოდა სამაზრო მმართველობა, რომელიც შედგებოდა მაზრის უფროსებისა და მათი თანაშემწეე-

ბის, უბნის უფროსების, საქალაქო პოლიციის, მაზრის ხაზინადარების, სამაზრო სასამართლოებისა და პროკურორებისაგან.

1841 წლის აპრილში თვითმპყრობელის გრძნობით გამსჭვალული მთავარმართებელი გოლოვინი მოახსენებდა იმპერატორს, რომ „ამიერკავკასიის ახალი მმართველობის შემოღება თითქმის და რაღაც სასწაულებრივ ძალის მეშვეობით, ყოველგვარი არეულობის გარეშე განხორციელდა... ასე, რომ ხელმწიფევ, ამიერკავკასიის საშოქალაქო მოწყობისათვის გაღებული მსხვერპლის დრო ისტორიას ჩაბარდა. ახლოვდება ის დრო, როდესაც ჩვენს მიერ გაწეული შრომის მოსავალი უნდა მოვიმკათ... ამიერკავკასიის მოსახლეობა გასაოცარი მორჩილებით ასრულებს ყველა მოთხოვნას; ქვეყანაში სრული მშვიდობა და სიწყნარე სუფევს, ყველგან მოხელეები ბეჯითად და თავგამოდებით ღვწიან, დანაშაულებათა რიცხვი საამური სისწრაფით კლებულობს, ბეგარა-გადასახადები სრულდება, და ბედნიერი ვარ მოვახსენო თქვენს იმპერატორებით უმაღლესობას, რომ ახალი წყობილება ხალხის მოთხოვნილებებსაც სავსებით შეესატყვისება და სარგებლიანობაც უზრუნველყოფილია“[39]. ასეთ წარმტაც ფერებში უხატავდა გოლოვინი იმპერატორს ამიერკავკასიაში ახალი სამოქალაქო რეფორმის გატარების შედეგებს, მაგრამ მის მოხსენებით ბარათში სინამდვილეს მხოლოდ ერთი ფრაზა შეესატყვისებოდა, მართლაც მოსავლის მომკის დრო ახლოვდებოდა, მაგრამ სულ სხვაგვარი მოსავლის.

1840 წლის რეფორმა, ახლად შემოღებული ინსტანციებით, მეტისმეტად ართულებდა სამართალწარმოებას და საშინელი ფორმალიზმისა და ბიუროკრატიზმის საყოველთაოდ გამეფებას უწყობდა ხელს. უბრალო საქმეზედაც კი უშუალოდ მაზრის უფროსისადმი თხოვნით მიმართვას ვერავინ ბედავდა, თუ ჯერ უბნის ზედამხედველის წინაშე არ წარსდგებოდა. უბნის უფროსი აწარმოებდა ფორმალურ გამოძიებას და საქმეს წარუდგენდა მაზრის უფროსს, მაზრის უფროსი საქმეს განხილვის შემდეგ აგზავნიდა მას სამაზრო სასამართლოში. სამაზრო სასამართლო კრებდა მისთვის საჭირო დამატებით წერილობით ცნობებს და გამოტანილ განაჩენს აგზავნიდა სამოქალაქო და სისხლის სამართლის პალატაში, პალატა დამატებითი ცნობების შეკრების შემდეგ წერდა თავის გადაწყვეტილებას და წარადგენდა გუბერნიის პროკურორთან, პროკურორი საქმეს თავისი მითითებებით უბრუნებდა პალატას, ეს უკანასკნელი თუ საჭიროდ დაინახავდა, პროკურორის მითითე-

39 სცსსა, ფ. 2, ან. I, საქ. 6660, ფურც. 64—67.

ბისამებრ ასწორებდა განაჩენს და დასამტკიცებლად უგზავნიდა გუბერნატორს, გუბერნატორი 6 თვის განმავლობაში ან ამტკიცებდა განაჩენს, ან თუ არ სცნობდა სამართლიანად, თავისი შენიშვნებით უბრუნდებდა პალატას, პალატა ამ შენიშვნების გათვალისწინებით გამოტანილ ახალ განაჩენს ხელახლა უგზავნიდა პროკურორს, მერე კი გუბერნატორს. გუბერნატორი თანახმაც რომ ყოფილიყო ახალი განაჩენისა, უფლება აღარ ჰქონდა დაემტკიცებინა იგი. მას ნაკლებად მნიშვნელოვანი საქმეები დასამტკიცებლად უნდა წარედგინა მთავარმართებლისათვის, მნიშვნელოვანი კი გაეგზავნა სენატში.

ასეთ ბიუროკრატიზმს კიდევ უფრო ამძიმებდა ის გარემოება, რომ ქართული კანონმდებლობა და ადგილობრივი ადათ-წესებით ხელმძღვანელობა სამართალწარმოებიდან სავსებით ამოღებული იყო. ასევე ადმინისტრაციული აპარატიდან საბოლოოდ განდევნილი იყო ადგილობრივი ელემენტი, ხოლო სხვადასხვა ინსტანციების მომრავლების შედეგად არაჩვეულებრივად გაიზარდა ამიერკავკასიაში მომუშავე რუსი მოხელეების რიცხვი, რომელთაც ი'შვიათი გამონაკლისის გარდა, თავის მართვა-გამგებლობაში მყოფი ხალხის არც ენა გაეგებოდათ, არც მათ წეს-ჩვეულებაზე და ცხოვრების ნირზე ჰქონდათ წარმოდგენა და არც არავითარ მონდომებას არ იჩენდნენ, რომ ან ერთი შეესწავლათ, ან მეორე. იმდროინდელი რუსი მოხელის მორალური სახე საყოველთაოდ ცნობილია, მაგრამ, ვფიქრობთ, ინტერესმოკლებული არ იქნება თუ 25 წელიწადი ამიერკავკასიაში ნამსახურევი რუსი მოხელის მოგონებებიდან საკმაოდ ერცელ ამონაწერს მოვიტანთ, რომელსაც მაშინდელი მოხელეების ზნეობის უარყოფითად შეფასებისას არაობიექტურ მიდგომას და გადაჭარბებას ვერ დავწამებთ. აი რას წერს იგი: „მოხელეების კლასი ისე მკვეთრად იყოფოდა მაღალ და დაბალ რანგად, რომ საშუალო ფენა შეიძლება ითქვას, არც კი არსებობდა. სასტუმროები დაბალი რანგის მოხელეებისათვის ხელმისაწვდომი არ იყო. ისინი თავისი შეზღუდული სახსრებით იძულებული იყვნენ კარჩაკეტილად ეცხოვრათ და უმთავრესი დრო ბანქოს თამაშში, ან ღვინის სმაში გაეტარებინათ. ღვინის სმისადმი მიდრეკილებას განსაკუთრებით სამაზრო ქალაქებში განსაცვიფრებელი მასშტაბები ჰქონდა მიღებული. იაფფასიანი ღვინის ჭარბი რაოდენობით არსებობამ შეიძლება თამამად ითქვას, რომ არაერთი წესიერი მოხელეც კი დაღუპა. ლოთობა ათასგვარ სისაძაგლეს წარმოშობდა, რაც განსაკუთრებით თვალში საცემი იყო მკვიდრი მცხოვრებლების ფონზე, რომლებიც ან სავსებით არ სვამდნენ, როგორც მაჰმადიანები, ან სვამდნენ სა-

ქმაოდ დიდი რაოდენობით, როგორც ქართველები, მაგრამ ძალზე იშვიათად ითვრებოდნენ. ქართველებისათვის სიტყვები „რუსი“ და „ლოთი“ განუყრელ სინონიმებად იყო ქცეული... როგორი უნდა ყოფილიყო რუსული მმართველობის მსგავსი წარმომადგენლების მორალური ზეგავლენა, ან რა პატივისცემა უნდა ჰქონოდათ მათ მიმართ ადგილობრივ მკვიდრთ, ძნელი წარმოსადგენი არ არის, მით უმეტეს თუ გავითვალისწინებთ მოჭარბებულ მექრთამეობასაც, რომელიც განსაკუთრებით სამაზრო და პოლიციის მოხელეებს შორის იყო გავრცელებული... ამ მხრივ აქაურმა მოხელემ შჩედრინისა და მისი მიმდევრების მიერ შექმნილ ყბადაღებულ გმირებსაც კი გადააჭარბა. მაზრებისა და უბნების ზოგიერთი უფროსის ოინები დიდხანს ახსოვდათ კავკასიის ძველ მცხოვრებლებს. დღეს ისინი შეიძლება მეტნაკლებად მახვილგონიერულ ანეგდოტადაც კი მოგვეჩვენოს, ძაგალითად ერთი მათგანი იქამდისაც კი მივიდა, რომ ვითომ ხელმწიფის ასულის მზითევისათვის თავის ხელქვეითი უბნის ყველა მაცხოვრებლისაგან რამოდენიმე უზალთუნსაც კი აგროვებდა. ამჟამად მეხსიერება მღალატობს, თორემ მთელი გვერდის შევსება იქნებოდა შესაძლებელი მსგავსი მაგალითებით. სამწუხაროა და საწყენი, მაგრამ ნათქვამია, შუბი ხალთაში არ დაიმალებაო...“[40].

ამაზე უფრო ამაზრზენი სურათის დახატვა ძნელი წარმოსადგენია. თუ როგორ მძიმე ტვირთად აწვებოდა არა მარტო მოსახლეობას, არამედ თვით მმართველობასაც ასეთი დეკლასირებული მოხელეები თავიდან მოცილება, მთავარმართველების გოლოვინისა და ნეიდგარდტის მრავალგზისი მოხსენებითი ბარათებიდანაც კარგად ჩანს, რომელთაც საბოლოოდ გალოთებული, გადაყენებული მოხელეების ამიერკავკასიიდან გასახლებაზეც უნდა ეზრუნათ“[41].

1840 წლის რეფორმამ, გოლოვინის მიერ იმპერატორისათვის წარმტაცი სურათის დახატვის მიუხედავად, ზემოთ ჩამოთვლილი მიზეზების გამო საქართველო-ამიერკავკასიაში საყოველთაო უკმაყოფილება გამოიწვია. გურიის ფართოდ გახმაურებულ 1841 წლის აჯანყებაში აჯანყების გამომწვევ მიზეზებს შორის რეფორმის მახინჯ მხარეებს არც თუ უკანასკნელი ადგილი ეჭირათ. მღელვარებები დაიწყო საქართველოს სხვა რაიონებშიც. ოსეთსა და ბელაქანში გამოსვლებს ჰქონდა

---

[40] Зиссерман А. Л., Двадцать лет на Кавказе, ч. I, (1842—1851), с. 17—18.

[41] სცსსა, ფ. 4, ან. I, საქ. 5.

ადგილი. საყოველთაო უკმაყოფილება სუფევდა სომხეთსა და აზერბაიჯანში, განსაკუთრებით უკმაყოფილო იყო მაჰმადიანური მოსახლეობის ყველა წოდება, რომელთა უფლებები რეფორმამ მეტისმეტად შეკვეცა. მღელვარება-აჯანყებების ფართო რეზონანსით შეშფოთებული ნიკოლოზ I იძულებული იყო განსაკუთრებული ყურადღება მიექცია ამ მხარისათვის. ამიერკავკასიაში ადგილობრივი ვითარების ერთხელ კიდევ შესასწავლად გამოგზავნეს სტატს-სეკრეტარი პოზენი და სამხედრო მინისტრი ჩერნიშევი, რომელთაც იმპერატორს მოახსენეს, რომ 1840 წელს ყოველგვარი ცვლილებების გარეშე შემოღებული რუსული მმართველობის ფორმები ყოვლად შეუფერებელი იყო ადგილობრივი მოსახლეობისათვის. რეფორმის ამა თუ იმ მხარის ადგილობრივ პირობებთან ოდნავ მაინც შესატყვისობაში მოსაყვანად წარმოებული ხანგრძლივი და რთული პროცესი დაიწყო. ჩერნიშევის განკარგულებით მაზრის უფროსებსა და სოფლის მამასახლისებს ნება ეძლეოდათ ადგილზევე გაერჩიათ და გადაეწყვიტათ ზოგიერთი შედარებით ნაკლები მნიშვნელობის საქმეები. კერძოდ, მაზრის უფროსები უფრო მაღალ ინსტანციაში გადატანის გარეშე ადგილზევე წყვეტდნენ ისეთ საქმეებს, რომელთა ღირებულება 200 მანეთს არ აღემატებოდა. ცვლილებები მოხდა ქვეყნის ადმინისტრაციულ დაყოფაშიც. თელავის, თბილისისა და გორის მაზრებში მცხოვრები მთიელებისათვის შეიქმნა სამი ოკრუგი: თუშ-ფშავ-ხევსურეთის, მთიულეთის და ოსეთის ოკრუგები სამხედრო-სამოქალაქო მმართველობით. სამხედრო და სამოქალაქო ადმინისტრაციულ აპარატში მონაწილეობისათვის თანდათანობით გზა ეხსნებოდა ქართველი თავადაზნაურობისა და მაჰმადიანების პრივილეგირებული წოდების წარმომადგენლებს. გადაწყდა სამართალწარმოებაში ვახტანგის კანონების შეზღუდული ზომით კვლავ შემოტანა და სხვ.

მართალია რეფორმა სენატორ განის მიერ იყო შემუშავებული, მაგრამ მისი მიღება-განხორციელება მთავარმართველის თანხმობისა და აქტიური მონაწილეობის გარეშე შეუძლებელი იყო. ამ დროს მთავარმართებლად გოლოვინის ნაცვლად ცოტა უფრო მოქნილი ჰკუაგონების პირი რომ ყოფილიყო, შესაძლებელია ეს რეფორმა თავიდან ბოლომდე უარყოფით მოვლენად არ ქცეულიყო, მით უმეტეს რომ „განსაკუთრებული კომიტეტის“ წევრები რეფორმის გატარების დროისათვის ადგილობრივი ვითარებისათვის გარკვეული ანგარიშის გაწევისაკენ იხრებოდნენ.

კიდევ უფრო ნაკლებად შეძლო გოლოვინმა ხელისუფლების მიერ მასზე დამყარებული იმედების გამართლება მეორე არანაკლებად მტკივნეულ საკითხში, იმიერკავკასიის ხალხთა დამორჩილებას რომ შეეხებოდა. იმიერკავკასიაში ბრძოლამ სწორედ გოლოვინის მთავარმართებლობის პერიოდში მიიღო ისეთი სერიოზული ხასიათი, როდესაც მთელი ბატალიონებისა და დივიზიების გამოყვანა აღარ იყო საკმარისი აქაური მთიულების დასაწყნარებლად.

ჯერ კიდევ 30-იანი წლების დასაწყისში, მიურიდიზმის ბელადძა ყაზი-მოლამ, რომელმაც მოახერხა დაღესტნის მოსახლეობის აჯანყება, იერიშის იერიშზე მიტანა დაიწყო იმიერკავკასიის სიმაგრეებში ჩაყენებული ცალკეული რაზმების წინააღმდეგ. იგი ვლადიკავკაზის აღებას, ყაბარდოსთან შეერთებას და რუსეთისაგან კავკასიის მოწყვეტას აპირებდა. 1832 წელს ყაზი-მოლას აჯანყების ჩასაქრობად დიდი ექსპედიციის მოწყობა გახდა საჭირო. მის წინააღმდეგ ბრძოლას თვით მთავარმართებელი როზენი მეთაურობდა. როზენმა გაილაშქრა მთებში, აღი და მიწასთან გაასწორა მიურიდების ბელადის სამყოფელი აული გიმრი. ამ ბრძოლაში დაიღუპა თვით ყაზი-მოლა, ხოლო მასთან დაახლოებულ მიურიდებს შორის მყოფი შამილი მხარში დაჭრილი, სიკვდილს ძლივს გადაურჩა. ამის შემდეგ როზენმა მიზანი მიღწეულად ჩათვალა და უკან დაბრუნდა. მარცხითა და ბელადის დაღუპვით განადგურებული მთიელები გონს მალე მოეგენ — ყაზი-მოლა ჰამზათ-ბეგმა შესცვალა. მან თავისი მოღვაწეობა იმით დაიწყო, რომ თავს დაესხა რუსეთის ქვეშევრდომ ავარიის ხანს, მოკლა იგი, ამოხოცა მისი ოჯახის წევრები და დაეუფლა ავარიის სახანოს, რომლის მფლობელობასაც ცენტრალური მდებარეობისა და სხვა სახანოებზე გავლენის გამო, დაღესტანში ბატონობისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა. მაგრამ ავარიაშიც ჰამზათ-ბეგის ბატონობა დიდხანს არ გაგრძელებულა. ავარიის ხანისა და მისი ოჯახის ამოხოცვისათვის შური ჰაჯი-მურატმა იძია. მან მეჩეთში ლოცვის დროს მოკლა ჰამზათ-ბეგი და მიურიდები გაყარა ავარიიდან. ჰამზათ-ბეგის მერე მიურიდების მიერ მთავარ იმამად აღიარებულ შამილს კარგად ესმოდა ავარიის სახანოს გადამწყვეტი მნიშვნელობა დაღესტანში გავლენის მოსაპოვებლად და ყველა ღონეს ხმარობდა მის დასაპყრობად, მაგრამ ჰაჯი-მურატი მედგარ წინაღმდეგობას უწევდა. ასევე კარგად ესმოდა ავარიის მნიშვნელობა როზენსაც, რომელმაც 1837 წელს გენერალ ფეზის მეთაურობით გაგზავნა ჯარი ავარიაში. ფეზიმ შეაკეთა ავარიის ხანების რეზიდენციის — ხუნძახის ციხე-სიმაგრე, ხუნძახიდან თემირხანშურამდე გაყვანილ გზაზე ააგო რამდენიმე

საგუშაგო, ჩააყენა შიგ გარნიზონები, ავარიის მმართველად დასვა მეხტულას ახმედ-ხანი, თვითონ კი ტილიტლისკენ დაიძრა, სადაც შამილი თავის მომხრეებით იყო გამოკეტილი. რანდენიმე დღის მედგარი ბრძოლის შემდეგ შამილის განკარგულებაში აულის მხოლოდ მცირე ნაწილიღა რჩებოდა და თითქოს მას აუცილებელი სიკვდილი თუ არა, ტყვედ ჩავარდნა მაინც ელოდა, მაგრამ მისდა ბედად ჯარს სანოვაგე და საჭურველი უთავდებოდა, გარდა ამისა, გენერალმა ფეზიმ ცნობაც მიიღო მის უკან დასახევ გზაზე მომხდარი აჯანყებების შესახებ და ტილიტლის ასაღებად იერიშის გაგრძელების ნაცვლად შამილთან მოლაპარაკება არჩია. ასეთი მოულოდნელი დაბოლოებით გახარებული შამილი მაშინვე დათანხმდა მძევლების მიცემასა და რუსეთის ერთგულებაზე ფიცის დადებაზეც. თავის მხრივ გენერალი ფეზი თავისი მიღწევებით დიდად გახარებული დაბრუნდა და მთავარმართებელს მოახსენა, რომ დაღესტნის მთიულების უმეტესობა მის მიერ საბოლოოდ იყო დაპყრობილი. მაგრამ სინამდვილეში პირიქით მოხდა. ეს მარცხი შამილმა დიდი წარმატებით გამოიყენა ლეკებში თავის გავლენის გაძლიერებისათვის, რომელთაც არწმუნებდა, რომ გამარჯვების პირას მისული რუსები ალაჰმა აიძულა უკან გაბრუნებულიყვნენო. მთელი 1838 წელი შამილმა თავისი ახალი რეზიდენციის, ისედაც მიუვალი კლდის პირას მდებარე ახალი ახულგოს გამაგრებას მოანდომა. მთავარმართებელმა გოლოვინმა კარგად იცოდა შამილის ეს საქმიანობა, მაგრამ რატომღაც მის წინააღმდეგ ჯარი, გენერალ გრაბეს მეთაურობით, მხოლოდ 1839 წელს გაგზავნა, როდესაც ახულგო თითქმის აუღებელ ციხე-სიმაგრედ იყო ქცეული. გრაბეს შეუპოვარი ბრძოლა დასჭირდა ახულგოს ასაღებად, მხოლოდ 2-თვიანი ალყისა და რამდენიმე მედგარი იერიშის შედეგად გახდა შესაძლებელი მისი აღება, მაგრამ შამილი მაინც ვერ ჩაიგდეს ხელში, იგი ოჯახის წევრებთან და რამდენიმე მიურიდთან ერთად საშინელ უფსკრულზე გადაკიდებული თოკებით მდ. ანდის ყოისუზე დაეშვა და წინასწარ მომზადებული ცხენით მოასწრო მიმალვა. რაღაც სასწაულით გადარჩენილმა შამილმა მდ. არღუნის სათავეებში, სოფელ შატაის შეაფარა თავი. ამ მარცხმა ლეკების პანიკური შიში გამოიწვია და შამილის სწრაფად მზარდი ძლევამოსილება საფუძვლიანად შეარყია. ისეთი შთაბეჭდილება შეიქმნა, თითქოს მოურიდიზმის აღსასრული დადგა. დაღესტანი საბოლოოდ დამშვიდებული იყო და რუსეთის ხელისუფლებამაც მიივიწყა შამილი. მაგრამ ჩეჩნეთის საზღვარზე სოფ. შატაიში თავშეფარებული შ-

მილი არ თელემდა. მან აქ რუსული ხელისუფლებით უკმაყოფილების გაღვივებასა, ჩეჩნებში მიურიდიზმისა და ჰაზავათის გავრცელებას ენერგიულად მოჰკიდა ხელი. 1840 წლის გაზაფხულზე უკვე მთელი ჩეჩნეთი აჯანყებული იყო. ზაფხულზე კი შამილმა მის წინააღმდეგ გენერალ მალაფეევის მეთაურობით გამოგზავნილი ძლიერი რაზმი დაამარცხა და თითქმის მთლიანად გაანადგურა. ჩეჩნეთში შამილის ბრწყინვალე გამარჯვების ხმამ დაღესტნელების ყურამდეც მიაღწია და ლეკებმა იწყეს შამილის გარშემო მოგროვება. 1840 წლიდან შამილის ნაძდვილი დიდება დაიწყო, იგი საცოდავი ლტოლვილიდან თითქმის მთელი ჩეჩნეთის ბატონ-პატრონად იქცა. გარდა ამისა, 1840 წელს შამილისათვის მეტად მნიშვნელოვანი ამბავი მოხდა. ჰაჯი-მურატი, რომელმაც ჰამზათ-ბეგის მოკვლითა და ავარიის სახანოს შენარჩუნებით რუსეთს დაუფასებელი სამსახური გაუწია, რუსი სამხედრო მოხელეების უგუნური საქციელის შედეგად შამილს მიუვიდა და მისი ერთგული თანაშემწე გახდა. დაღესტანში შამილის გავლენა დღითიდღე იზრდებოდა. მან არაჩვეულებრივი გამჭრიახობა, ამიერკავკასიის განცალკევებული ხალხების შეკავშირებისა და დარაზმვის უნარი და უტეხი ნებისყოფა გამოიჩინა. ყოველივე ზემოთ აღწერილი ამბების შემდეგ გოლოვინი მიხვდა, რომ შამილის წინააღმდეგ ცოტა უფრო სერიოზული მოქმედება იყო საჭირო. 1841 წელს მნიშვნელოვანი რაოდენობით შეგროვილ ჯარს თვითონ ჩაუდგა სათავეში და გაილაშქრა შამილის წინააღმდეგ. სოფელ ჩირკეისთან პირველივე ბრძოლაში მან დაამარცხა და გააქცია შამილი. მთავარმართებელი დარწმუნებული იყო, რომ ამ გამარჯვებით დაღესტანში სრული მშვიდობა ჩამოაგდო და გულდამშვიდებული დაბრუნდა თბილისში. დაღესტანში განლაგებული ჯარების უფროსი გენერალი კლუგენაუ განუწყვეტლივ ატყობინებდა მთავარმართებელს, თუ რა კრიტიკული მდგომარეობა იყო დაღესტანში, მაგრამ გოლოვინმა მის თხოვნას, მიეშველებია დამხმარე ძალები, არ მიაქცია ყურადღება, ვიდრე 1841 წლის ბოლოს შამილმა ყაზიყუმუხი არ აიღო და ყაზიყუმუხის ოკრუგის უფროსი პოლკოვნიკი სნაკსარევი მთელი თავისი ამალით და მასთან მყოფი გენერალ ფეზის ადიუტანტით ილიკო ორბელიანით ტყვედ არ ჩაიგდო. მალე ამ მარცხს 1842 წლის ზაფხულში იჩკერიის ტყეებში გენერალ გრაბეს ექსპედიციის თითქმის სრული განადგურება მოჰყვა. შამილის მიერ მიღწეულმა გამარჯვებებმა თითქმის მთელი მსოფლიო აალაპარაკა. საგონებელში ჩავარდნილმა რუსეთის ხელისუფლებამ გოლოვინი სასწრაფოდ გაიწვია რუსეთში და მის ადგილას 1842 წლის ნოემ-

ბერში გენერალი ნეიდგარდტი გამოგზავნა, მაგრამ კიდევ უფრო ნაკლებად წარმატებული გამოდგა ნეიდგარდტის მოღვაწეობა. 1843 წელს შეტევაზე გადმოსულმა შამილმა ზედიზედ აიღო თემირ-ხან-შურიდან ხუნძახისაკენ მიმავალ გზაზე მდებარე საგუშაგოები, ამოხოცა აქ მყოფი გარნიზონები, ხელთ იგდო 27 ზარბაზანი, რომლითაც დასაბამი ჩაუყარა თავის არტილერიას, აიღო თვით ხუნძახი და დაიპყრო ავარია. ნეიდგარდტმა ამ მარცხის შემდეგ რუსეთიდან გამოგზავნილი მთელი მე-5 დივიზიის გამოყენებაც კი ვეღარ შესძლო სათანადოდ და 1844 წელს 20 ბატალიონის სათავეში მყოფი ნეიდგარდტი შორიდან უყურებდა ამ აურაცხელი ჯარის თვალწინ როგორ მწყობრად წაიყვანა თავის ჯარები შამილმა საშიში პოზიციებიდან.

კიდევ უფრო უფერული გამოდგა ნეიდგარდტის საქმიანობა ქვეყნის სამოქალაქო მართვის საქმეში და 1844 წელს, როდესაც გაუთავებელი მარცხით შეწუხებულმა მთავარსარდალმა გადადგომა ითხოვა, მის ამიერკავკასიაში ორწლიანი მოღვაწეობის მოსაგონრად მხოლოდ საკმაოდ მახვილგონიერული კარიკატურა დარჩა, რომელზედაც ქალამნებსა და ჯარისკაცის ფარაჯაში გამოწყობილი გუდააკიდებული მთავარმართებელი მარტოდმარტო გადადიოდა კავკასიის ქედს, გუდაზე კი 100 000 მანეთის ეკონომია ეწერა. ეს იყო ერთადერთი, რისი გაკეთებაც მან აქ მოახერხა.

თავი III

მეფისნაცვლობის ინსტიტუტის დაარსება ამიერკავკასია-საქართველოში

1. ვორონცოვის მმართველობის ხანა (1845—1854 წწ.)

1840 წლის 10 აპრილის სამოქალაქო მმართველობის რეფორმამ სრული მარცხი განიცადა. სავსებით ფუჭი გამოდგა რეფორმის მოსამზადებლად წლების მანძილზე გაწეული შრომა. საქმეს ვერც მთავარმართებლების ცვლამ უშველა. მთელ საქართველოსა და ამიერკავკასიის სახანოებში არ იყო მოსახლეობის არც ერთი ფენა, არცერთი წოდება რუსული მმართველობის მადლიერი, რომელზე დაყრდნობითაც შესაძლებელი იქნებოდა ამ მხარის რუსეთის იმპერიასთან ორგანულად შერწყმისათვის საჭირო ღონისძიებების გატარება. 30-იანი წლების ბოლოსა და 40-იანი წლების დასაწყისში ჩრდილოეთ კავკასიაში შამილის გამოჩენამ და საღვთო ომის დაწყებამ რუსეთი კავკასიის დაკარგვის რეალური საფრთხის წინაშე დააყენა. გარდა ამისა, ფრანგი მოგზაურის სიუზანეს წერილებში, რომლებიც საზღვარგარეთ იბეჭდებოდა, უხვად იყო მოტანილი მასალა, რუსი მოხელეების უგვან საქციელს რომ ამზეურებდა და სააშკარაოზე გამოჰქონდა საქართველო-ამიერკავკასიაში ცარიზმის მიერ უხეშად წარმოებული რუსიფიკატორული პოლიტიკის შედეგები. რა თქმა უნდა, ნიკოლოზ I ევროპის ქვეყნებში თავისი პრესტიჟის დაცემას აგრერიგად ადვილად ვერ შეეგუებოდა. კიდევ უფრო ძნელად შეეგუებოდა იგი კავკასიის დაკარგვას, რაც, როგორც უკვე აღვნიშნეთ, მიურიდიზმის აღმოცენებისა და საშიშ ძალად ჩამოყალიბების შემდეგ საკმაოდ რეალურად გამოიყურებოდა. ნიკოლოზ I-სათვის ნათელი შეიქნა, რომ ამ მხარის მართვა-გამგეობაში კარდინალური ცვლილებების მოხდენა აუცილებელი იყო. რაც მთავარია, საჭირო იყო განსაკუთრებული ყურადღება მიქცეოდა საქართველო-ამიერკავკასიის მმართველის შერჩევას.

წინანდებურად მთავარმართებლად შემთხვევითი პიროვნების დანიშვნით ან მხოლოდ სამხედრო საქმეში განსწავლულობის ნიშნით მათი შერჩევით ადვილად ფონს ვეღარ გავიდოდა. საჭირო იყო ისეთი პიროვნების გამონახვა, რომელიც სამხედრო საქმის ცოდნასთან ერთად, განათლებული და სახელმწიფო საქმეებშიც გამოცდილი კაცი იქნებოდა, თავის წინამორბედ მთავარმართველებივითა და რეფორმის შემდგენელ სენატორებივით ჯიქურ კი არ იმოქმედებდა და ერთი ხელის მოსმით კი არ გადაწყვეტდა ამ მხარის გარუსებას, არამედ ადგილობრივი პირობების გაგება-გათვალისწინებას შეძლებდა, გარკვეული დათმობებითა და მოქნილი პოლიტიკის წარმოებით მოახერხებდა აჭარი პრივილეგირებული წოდების მომადლიერება-შემორიგებას და მათზე დაყრდნობით საიმედო საფუძველს ჩაუყრიდა საქართველო-ამიერკავკასიის იმპერიასთან შერწყმასა და ადგილობრივი მოსახლეობის საბოლოოდ გარუსებას. ასეთ პიროვნებად ნიკოლოზ I-მა სავსებით სამართლიანად მთელ რუსეთში ცნობილი სახელმწიფო მოღვაწე, ნოვოროსიისკისა და ბესარაბიის გენერალ-გუბერნატორი მიხეილ სიმონის ძე ვორონცოვი მიიჩნია. მიხეილ ვორონცოვს ჭარბად ჰქონდა მინიჭებული ყოველივე ის თვისება და პირობა, რაც აუცილებელი იყო გამორჩეული სახელმწიფო მოღვაწისათვის. წარმოშობით იგი რუსეთში ცნობილ მდიდარ, ძირძველ, დიდგვაროვან ოჯახს ეკუთვნოდა. მამამისი — სიმონ რომანის ძე ვორონცოვი, 1783 წლიდან 1803 წლამდე რუსეთის სრულუფლებიან მინისტრად იყო მიევლინებული ვენეციაში, 1803 წლიდან კი, გენერალ-პორუჩიკის პატივის მიღების შემდეგ სიცოცხლის ბოლომდე — 1831 წლამდე ცხოვრობდა ლონდონში, როგორც რუსეთის საგანგებო ელჩი[1]. ბუნებისაგან განმჭვრეტი გონებით უხვად დაჯილდოებული მიხეილ ვორონცოვი ევროპის სახელმწიფოებში ამა თუ იმ მეფის კარზე ხანგრძლივი ცხოვრებისა და იქ მიღებული საფუძვლიანი განათლების შედეგად იმდროინდელ რუს სახელმწიფო მოღვაწეთა შორის ერთ-ერთ ყველაზე შესამჩნევ ფიგურას წარმოადგენდა.

მახვილი გონებისა და პრაქტიკული გამოცდილების წყალობით ვორონცოვი არაჩვეულებრივი სისწრაფით სწვდებოდა ყველა იმ სიქმიანი საკითხის მთავარს არსს, რომელთა შესახებ მსჯელობა და გადა-

[1] Щербинин М. П. Биография генерал-фельдмаршала, князя Михаила Семеновича Воронцова. СПБ, 1858, с. 6.

წყვეტა მის კომპეტენციაში შედიოდა, რის შედეგადაც ძალიან ხშირად მისი ხელქვეითი თანამშრომლებისაგან შედგენილი პროექტი სულ სხვა, გაცილებით უფრო სწორ მიმართულებას იღებდა. რაც მთავარია, იგი რუსეთში გამეფებული გაუთავებელი კანცელარიული ფორმალობის სასტიკი მტერი იყო, ბიუროკრატიზმის ყოველგვარ გამოვლინებას შეგნებულად ებრძოდა და საერთოდ, მისთვის მთავარი მნიშვნელობა ჰქონდა ამა თუ იმ საქმის არსს, გარეგნულ ფორმას კი ძალიან ნაკლებ ყურადღებას აქცევდა.

ვორონცოვი ყველას ანცვიფრებდა თავისი თავშეკავების უნარით. როგორც ერთხმად აღნიშნავდნენ მისი მეგობრები თუ ხელქვეითნი, იგი თითქმის არასდროს არ კარგავდა წონასწორობას. ვინც მას ძალიან კარგად იცნობდა, გაღიზიანებას მხოლოდ ხმის აკანკალებასა და წარბების აზიდვაზე ამჩნევდა, მაგრამ თავისთავს არასოდეს ნებას არ მისცემდა, რაც არ უნდა გაბრაზებული ყოფილიყო, ოდნავ მაინც უხეშად მიემართა ვისთვისმეო, იგონებს მისი ერთ-ერთი ადიუტანტი დონდუკოვ-კორსაკოვი[2].

ადამიანებთან ურთიერთობაში ვორონცოვი განსაკუთრებულ ტაქტს იჩენდა და ყველასთან შესაფერი ენის გამონახვა თავისუფლად შეეძლო. ყველას, ვისაც კი მასთან საქმე ჰქონდა, მისი სისადავე და თბილი მოპყრობა თავიდანვე ატყვევებდა. მისი მიღებით ყველა მოხიბლული, კმაყოფილი და იმედებით აღსავსე გამოდიოდა, მაგრამ ვორონცოვის უერთგულესი ადიუტანტიც კი ვერა მალავს, რომ უმთავრესად ასეთი მიღება მხოლოდ და მხოლოდ ვორონცოვისათვის დამახასიათებელი ფარისეველობით იყო გამოწვეული და ძალიან ხშირად უბედურ მთხოვნელს არამც თუ იმედების გამართლება ეწერა, არამედ სამსახურიდან დათხოვნა, ან სასამართლოში მიცემაც კი ელოდა.

ვორონცოვი ნიადაგ მზად იყო ერთი შეხედვით თითქოს გულმხურვალე მონაწილეობა მიეღო თავის ირგვლივ მყოფი ადამიანების საქმე'ში, თახაგრძნობით მოკიდებოდა მათ თხოვნას და საერთოდ მგრძნობიარე და კეთილი ადამიანის შთაბეჭდილებას ტოვებდა, მაგრამ მისი ახლობლებისათვის საკმაოდ ცხადი იყო, რომ ყოველივე ამის გაკეთებას მას გრძნობები კი არ უკარნახებდა, არამედ მისი ასეთი საქციელი წლების განმავლობაში ცივი გონებით გამომუშავებული ჩვევების შედეგი უფრო იყო.

---

2 Дондуков-Корсаков. Князь Михайл Семенович Воронцов. — Старина и Новизна. СПБ, кн. V, 1902, С. 117—154.

ვორონცოვი მთელი თავისი ხანგრძლივი სამსახურებრივი მოღვაწეობის მანძილზე განსაკუთრებული შრომისმოყვარეობით და შრომისუნარიანობით გამოირჩეოდა. თვით ხანდაზმულ ასაკში მძიმედ დაავადებულსაც არ უღალატია შრომისმოყვარეობისათვის. თავის ხელქვეითებისაგანაც ასევე მკაცრად მოითხოვდა სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებას. ვერ იტანდა წინააღმდეგობას, ან სიტყვის შებრუნებას. ამ მხრივ იგი ნამდვილი დესპოტი იყო და მართალია, თავის უკმაყოფილებას ყოველთვის თავშეკავებულად გამოთქვამდა, მაგრამ ასეთი შეპასუხების შემდეგ ამა თუ იმ მოხელეზე შექმნილ უარყოფით შთაბეჭდილებას ძნელად თუ შეიცვლიდა. ისეთ პირებს კი, რომელთაგანაც ამა თუ იმ საქმისათვის რაიმე სარგებლობას მოელოდა, ის დიდად აფასებდა, ყოველნაირად აქეზებდა მათ და მეტისმეტად ყურადღებიანი მოპყრობით იახლოვებდა კიდეც, მაგრამ როგორც კი ამოწურავდა მათ შესაძლებლობებს, ძალიან ადვილად იმეტებდა.

ყოველივე ზემოთ აღწერილს თუ დავუმატებთ, რომ ვორონცოვი მეფის ტახტისადმი უსაზღვრო ერთგულებით გამოირჩეოდა, სავსებით გასაგები იქნება, თუ რატომ შეჩერდა მასზე იმპერატორის არჩევანი. ამ დროისათვის ვორონცოვი საკმაოდ ხანდაზმულ ასაკში იმყოფებოდა, იგი 63 წლისა იყო და სამხედრო თუ სამოქალაქო სარბიელზე დიდი სახელი ჰქონდა მოხვეჭილი. ეს იყო 1812 წლის სამამულო ომში მონაწილეობა, თუ 1814 წლის მერე საფრანგეთში საოკუპაციო კორპუსის უფროსობა, 1828 წელს ვარნას აღება, თუ ნოვოროსიისკის მხარის შექმნა-მმართველობა. ამ დროისათვის მას მემკვიდრეობით მიღებულიც და კეთილშენაძენი ქონებაც ზომაზე მეტი ჰქონდა. თავისივე ჩვენებით ვორონცოვს ხერსონის, კიევისა და ეკატერინოვსკის გუბერნიებში 45 800 სული ყმა ჰყავდა და 47 000 დესეტინა მიწა ჰქონდა. სახლები ჰქონდა პეტერბურგში, მოსკოვში, ოდესაში, სიმფეროპოლში[3]. ყოველივე ამის გამო ნიკოლოზ I-ს ეშინოდა, რომ ვორონცოვი არ დათანხმდებოდა ახალი ვალდებულებების მიღებას და საკუთარი ხელით მიწერილ წერილში ვორონცოვს ათასგვარ შეღავათს ჰპირდებოდა: „მე ვიცი თქვენი მგზნებარე გულმოდგინე დამოკიდებულება სახელმწიფოს სასარგებლოდ მიმართული და ამის გამო ჩემი არჩევანი თქვენზე შეჩერდა. დარწმუნებული ვარ, რომ თქვენ როგორც კავკასიაში მყოფი ჯარების მთავარსარდალი და მთელი მაგ მხარის სამართველად განუსაზღვრელი უფლებებით აღჭურვილი ჩემი ნა-

3 საქ. ცსსა, ფ. 4, ან. 7, საქ. 103, ფურც. 52.

ცვალი, დავალებული საქმის უაღრესად დიდი მნიშვნელობითა და ჩემი თქვენდამი ნდობით გამსჭვალული, არ მეტყვით უარს გაამართლოო ჩემი მოლოდინი"[4]. ნიკოლოზ I, გარდა იმისა, რომ ვორონცოვს კავკასიაში განუსაზღვრელი უფლებებით მეფისნაცვლის პატივს ანიჭებდა, ნოვოროსიისკისა და ბესარაბიის გენერალ-გუბერნატორობის შენარჩუნებასაც პირდებოდა და რაც მთავარია, თავისი ახალი დავალების ვიდად სამ წელიწადს ასახელებდა. „მოუთმენლად ველი თქვენს პასუხს, რომლის მიღების შემდეგ, თუ პირადად არ არჩევთ ჩემს ნახვას, წერილობით დაწვრილებით შეგატყობინებთ საქმის მდგომარეობასა და ჩემს განზრახვას"[5], დასძენდა დაბოლოს იმპერატორი 1844 წლის ნოემბერში მიწერილ წერილში. იმავე წლის დეკემბერში უკვე კავკასიის მეფისნაცვლის პატივში აყვანილმა ვორონცოვმა იმპერატორთან პირადად მოთათბირების შემდეგ პეტერბურგიდან მოსკოვში გამოიარა ერმოლოვის სანახავად და მისგან რჩევა-დარიგების მისაღებად, თუმცა აქვე უნდა დავსძინოთ, რომ საქართველო-ამიერკავკასია მისთვის სულაც არ იყო უცხო მხარე. მისი სამხედრო მოღვაწეობა სწორედ აქ დაიწყო. 1803 წ. მიხეილ ვორონცოვი, როგორც გვარდიის პორუჩიკი, მოვლენილი იყო საქართველოში ციციანოვთან. აქ, განჯისთვის ბრძოლაში მიიღო მან თავისი პირველი საბრძოლო ნათლობა; შემდეგ იყო მონაწილეობდა ჭარბ-ბელაქნის ექსპედიციაში, ერევანთან ბრძოლაში, იმერეთის მეფე სოლომონ II-ის რუსეთის ქვეშევრდომობის მიღებაზე დასაყოლიებელ მოლაპარაკებაში, მთიულეთის აჯანყების ჩაქრობაში. 1805 წელს ვორონცოვი შტაბს-კაპიტნის ჩინით პეტერბურგს გაემგზავრა, და ახლა, 40 წლის შემდეგ, იგი მეფისნაცვლად ბრუნდებოდა იმ ქვეყანაში, სადაც თავისი ბრწყინვალე კარიერის პირველი ნაბიჯები გადადგა.

ვორონცოვი ოდესიდან გემით ჩამოვიდა რედუტ-კალეში, ესტუმრა ზუგდიდში სამეგრელოს მთავარს, დავით დადიანს და მერე, მარტვილის, ქუთაისისა და გორის გამოვლით 1845 წლის 25 მარტს ჩამოვიდა თბილისში. თბილისში უკვე კარგა ხანია ხმა იყო გავარდნილი ვორონცოვის მეფისნაცვლად დანიშვნის შესახებ და როგორც ადგილობრივი მოსახლეობა, ისე რუსი მოხელე-ოფიცრობა მის ჩამოსვლას მოუთმენლად ელოდა. მიუხედავად იმისა, რომ ვორონცოვი თბილისში ღამე ჩამოვიდა, მცხეთიდან დაწყებული თბილისამდე ხალხი ეგებებოდა

---

[4] Щербинин М. П. Биография ген.-фельдм. кн. Воронцова.

[5] იქვე.

მეფისნაცვალს, რომლის გარეგნობაც, თანამედროვეების აღწერით, მკვეთრად განსხვავდებოდა იმდროინდელი სამხედრო თუ სამოქალაქო წარჩინებული პირისაგან მაღალი, წარმოსადეგი ჰაღარა ვორონცოვი სულაც არ იჯგიმებოდა, როგორც ეს მაშინდელ სამხედროებს სჩვეოდათ. მის მეტყველებასა, მანერებში თუ უაღრესად ზრდილობიან მოპყრობაში იმდენი ღირსება და დარბაისლობა გამოსჭვიოდა, რომ ერთის ნახვით ხიბლავდა ადამიანს. საერთოდ, ყველა მის მოქმედებას ბრწყინვალე ინგლისური აღზრდის ბეჭედი ესვა.

ვორონცოვი ჩამოსვლის უმალ, ვიდრე სამოქალაქო მმართველობის საქმეებს მოკიდებდა ხელს, 1845 წლის აპრილში გაემართა კავკასიის ხაზზე, რათა პირადად წასძღოლოდა ჯარს შამილის წინააღმდეგ საბრძოლველად. ამ მოვლენის აღსანიშნავად თბილისის საზოგადოებამ ბრწყინვალე ზეიმი მოაწყო; როგორც თანამედროვეები აღნიშნავენ, ეს რაღაც ფანტასტიური, აღმოსავლური გემოვნებით გამართული სანახაობა იყო. მთელი ქალაქი, განსაკუთრებით კი ბაზრები, თვალისმომჭრელად იყო განათებული სხვადასხვა ფერის ლიფლიფებით, თბილისის შემოგარენის მთაგორები ნავთობიანი კასრებით იყო განათებული. ასევე, მტკვრის სანაპირო და ხიდები ერთიანად იყო აბრიალებული კოცონებით, ყველა დუქნიდან გადმოკიდებული იყო ოქრომკედით ნაქარგი ფარჩის მდიდრული აღმოსავლური ქსოვილები. ქარვასლების იატაკი მოგებული იყო საუკეთესო სპარსული ხალიჩებით, სახლების ბანები სავსე იყო საზეიმოდ გამოწყობილი ხალხით, ყოველი მხრიდან ზურნისა და მუსიკის ხმა გაისმოდა. ქარვასლებსა და ბაზრებში შადრევნებად იღვრებოდა კახური ღვინო. ხალხი გროვად დასდევდა მეფისნაცვალსა და მის მეუღლეს და თავის აღტაცებას გამოხატავდა მომავალი ლაშქრობის გამო.

შამილის წინააღმდეგ 1845 წლის ლაშქრობის მიზანი იყო შეეღწიათ შამილის თავშესაფარში, სოფ. დარგოში, სადაც მანამდე რუსეთის ჯარს ჯერ ფეხი არ დაედგა და ამ მოქმედებით, როგორც მაშინ ფიქრობდნენ, შეერყიათ დიდი იმამისა და მიურიდიზმის გავლენა ჩრდილოკავკასიის ტომებზე. რუსის ჯარი ვორონცოვის ხელმძღვანელობით 31 მაისს ვნეზაპნაიას სიმაგრიდან დაიძრა დიდი ყაბარდოს მიმართულებით. 14 ივნისისათვის ჯარმა შედარებით ადვილად მიაღწია გაუვალ მთებში მდებარე ანდიის მისადგომებს, მაგრამ საქმე იმაში იყო, რომ შამილს კარგად ჰქონდა შეგნებული, რომ რუსის ჯართან პირისპირ შებმა მას ხეირს არ დააყრიდა და 1812 წლის სამამულო ომში კუტუზოვის მიერ გამოყენებული მეთოდის მსგავსად, უკან დახევით ცე-

ცხლს უკიდებდა და ანადგურებდა მთელ სოფლებს, რათა რაც შეიძლება ღრმად შეეტყუებინა მოწინააღმდეგე, რომლისთვისაც ნაცარტუტად ქცეულ სოფლებში ზამთრის გატარება შეუძლებელი იქნებოდა, უკან დაბრუნებისას კი გაუვალი ტყეებით დაფარულ და ხევებით დაღარულ გზებზე შეტაკებებით თუ ვერ დაამარცხებდა, ყოველ შემთხვევაში საგრძნობ ზიანს მიაყენებდა მას. ასევე დამწვარ-გადაბუგული დახვდა რუსის ჯარს ანდის თემში შემავალი სოფლებიც. ანდიაში რაიმეს დაარსება და იქ ხანგრძლივად დაყოვნება ყოველად შეუძლებელი იყო. აქ მოსასვლელი ერთადერთი გზა შემოდგომა-ზამთრისათვის სრულიად გაუვალი გახდებოდა, მაგრამ ვიდრე მთებში ღრმად შეჭრილი ჯარი უკან დაბრუნდებოდა, საჭირო იყო შამილის ადგილსამყოფელის, სოფ. დარგოს განადგურება. „მაგრამ მთაში ღრმად შეჭრილი ჯარის გამოყვანამდე აუცილებელი იყო დაგვეპყრო და გაგვენადგურებინა ყაჩაღის ბუდე — დარგო. მთელი რუსეთი ამას მოელოდა ჩვენგან და ჩვენც ამ საქმის შესრულებამდე დაბლობზე სირცხვილით ვერ გამოვჩნდებოდით“[6], სწერდა 1845 წლის ლაშქრობის დამთავრების შემდეგ მეფისნაცვალი ერმოლოვს. რუსეთში დარგოს აღება განსაკუთრებით აუცილებლად მიაჩნდათ 1842, 43, 44 წლებში, შამილთან ბრძოლებში რუსის ჯარის სამარცხვინო მარცხის გამო რუსეთის სამხედრო ძლიერების შერყეული რეპუტაციის აღდგენისათვის. შამილს ხომ მთელი არტილერია, საომარი ჭურვები, იარაღი და სამხედრო მარაგი 1843 წელს ავარიაში რუსებთან ბრძოლაში ჰქონდა მოპოვებული და ახლა მათივე იარაღით უმასპინძლდებოდა. საჭირო იყო ამ მარცხისაგან მიღებული შთაბეჭდილების გაქარვება.

ანდიდან დარგომდე 5—6 კმ თუ იქნებოდა, მაგრამ მთელი ეს გზა იჩკერიის დაბურულ ტყეში, ღრმა ხევებით დაღარულ ტერიტორიაზე გადიოდა. ისედაც ძნელად გასავლელ გზაზე მტერს 23 მიწაყრილი ჰქონდა უშველებელი მორებითა და ერთმანეთში გადახლართული ტოტებით გამართული. რუსის ჯარმა ამ უმნიშვნელო მანძილის გავლას მთელი დღე და ღამე მოანდომა, ვინაიდან მტრის ტყვიები ზუზუნით ცვიოდა ყოველი მხრიდან. შამილის მეომრები ხშირი ფოთლებით დაბურულ ტყეში ყოველ ნაბიჯზე ხის ტოტებზე, ბუჩქებში, ორმოებში სათითაოდ იყვნენ ჩასაფრებული. მტერი უჩინარი იყო, მაგრამ მისი არსებობა ყოველ ნაბიჯზე იგრძნობოდა. რუსის ჯარს დიდი მსხვერ-

[6] Письма кн. М. С. Воронцова к А. П. Ермолову Русс. Архив, 1890, кн. I, с. 167.

პლის გაღება დასჭირდა იმამის ცნობილ ადგილსამყოფელამდე — დარგომდე მისაღწევად, რომელიც ისევე, როგორც ანდის თემის სოფლები, ხანძარში გახვეული დახვდათ. თვით შამილმა კი თავისი რაზმით მდ. აკსაი გადალახა და შორი-ახლო დაბანაკებული შიგა და შიგ ზარბაზანს ესროდა რუსების ბანაკს.

ვორონცოვმა მხოლოდ დარგოში გაითვალისწინა მთელი თავისი სიგრძე-სიგანით ის სიძნელე, რაც მას დაატყდა თავს, ძირითადი ძალებიდან ძნელად გასასვლელი გზებით კარგა დიდ მანძილზე მოშორებულს. ჯარს სურსათ-სანოვაგე აკლდებოდა, მის ანდიადან მოწოდებას კი გადაულახავი დაბრკოლებები ეღობებოდა. საჭირო იყო ყველა ზომის მიღება, რათა დაღლილ-დაქანცული, მრავალრიცხოვანი დაჭრილებით დამძიმებული, შამილის მეომრებით გარშემომდგარი ჯარი რაც შეიძლება მცირე დანაკარგით მშვიდობიანად გაეყვანათ მიუვალი მთებიდან. ამ რთული სიტუაციიდან თავის დაღწევა მთლიანად ვორონცოვის სამხედრო გამოცდილებასა და გონივრულ გადაწყვეტილებებზე იყო დამოკიდებული, აქ პირველად გახდა საჭირო ლაშქრის გადასარჩენად ენერგიული ზომების მიღება. ვორონცოვის განკარგულებით, სურსათ-სანოვაგის ნარჩენები თანაბრად გაუნაწილეს მეომრებს; აუცილებლად საჭირო საგნებს გარდა ყველა ზედმეტი ტვირთი, განსაკუთრებით ოფიცრების ქონება, დაწვეს. ამის მაგალითი პირველად თვითონ ვიცე-ფინანცვალმა მისცა, როცა ბრძანა, რომ მისი ქონებიდან მხოლოდ ერთი საწოლი და ჯარისკაცის კარავი დაეტოვებინათ, დანარჩენი კი დაეწვათ. კავალერიის ნაწილი ცხენებიდან ჩამოსვეს და განთავისუფლებული ცხენები დაჭრილების გადასაყვანად გამოიყენეს. ერთი სიტყვით, 12 ივლისს სისხამ დილით მსუბუქად გამოწყობილი ლაშქარი დარგოდან გამოვიდა. იმ რვა დღის განმავლობაში, რაც ვორონცოვის რაზმს დარგოდან სამშვიდობოს — გერზელ-აულამდე მისვლისათვის დასჭირდა, იყო მომენტები, როდესაც შამილი დარწმუნებული იყო, რომ დამშეულ-დაქანცული რუსის ჯარი ვერსად გაექცეოდა და მთლიანად მისი მსხვერპლი გახდებოდა, მაგრამ მეფისნაცვლის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მან ამ საქმის შესრულებას ბრწყინვალედ გაართვა თავი. მან ცრუ მანევრებით მოატყუა შამილი, აუბნია მიმართულება, რითაც დიდად შეუწყო ხელი ჯარის მშვიდობიანად გასვლას. ვორონცოვს თვით ურთულეს ვითარებაშიც კი არ დაუკარგავს სულის სიმშვიდე. იგი თავის ჯარისკაცებთან ერთად იზიარებდა მთელ იმ სიძნელეებს, რომელიც ამ ლაშქრობას თან სდევდა და თავისი მაგალითით ამხნევებდა მეომრებს. მისი ხუთი ადიუტანტიდან 1 მოუკლეს, 4 კი

დაიჭრა. ამ მძიმე გზის ერთ-ერთ მონაკვეთზე მეფისნაცვალს თავადაც კი დასჭირდა ხმლის გაშიშვლება და გზის გაკაფვა. აი, რას წერდა იგი ამ ეპიზოდის შესახებ ერმოლოვს: „შენ, რა თქმა უნდა, გესმის, რომ მე პირადად ჩემთვის არ ვეძებდი ზედმეტ საფრთხეს; ასეთი მოქმედება არ იქნებოდა შესაფერისი არც ჩემი ასაკისათვის, არც ჩემს მიერ დაკავებული თანამდებობისათვის, თუმცა მეორეს მხრივ არ შემეძლო არ მეგრძნო (ისევე როგორც ჩემს ადგილზე შენც გრძნობდი, და არაერთხელ საქმითაც დაგიმტკიცებია), რომ ოფიცერისა და ჯარისკაცისათვის სასიამოვნო და მოსაწონია, როცა მთლად უფროსი არც თუ ისე შორს იმყოფება მათგან. ხელჩართული ბრძოლის დროს, ასე ვთქვათ, ძმურ დამოკიდებულებას მხედართმთავარსა და ჯარს შორის, ძირითადად ისეთ ჰოლკებში, როგორც კავკასიისაა, არ შეიძლება არ ჰქონდეს კეთილისმყოფელი მოქმედება; ამიტომაც მართალია მე ამას განზრახ არ ვეძებდი, მაგრამ ძალიან მოხარული ვარ, რომ ეს ასე მოხდა და რომ ეს ყოველმხრივ სასარგებლო და სასიამოვნოა ჩემი აქ სამსახურისათვის“[7].

მართლაც, დარგოს ლაშქრობამ ვორონცოვს კავკასიის ოფიცერ-ჯარისკაცებს შორის დამსახურებული ნდობა და სამუდამო პოპულარობა მოუპოვა. ამ ლაშქრობის შემდეგ მისი არაკეთილმოსურნეებიც კი ვერ უარყოფდნენ ვერც მის პირად გულადობას და ვერც მისი გონივრული ენერგიული გადაწყვეტილებების გადამჭრელ მნიშვნელობას ამ ბრძოლაში.

ნიკოლოზ I განსაკუთრებით კმაყოფილი იყო დარგოს ბრძოლის შედეგებით. ვორონცოვისადმი გამოგზავნილ რესკრიპტში იგი წერდა, რომ „როდესაც მე თქვენ მოგანდეთ კავკასიის მხარის მთავარმმართველობა და კავკასიის ცალკეული კორპუსის მთავარსარდლობა, მე დარწმუნებული ვიყავი, რომ თქვენ სამშობლოსათვის არ დაიშურებდით იმ მგზნებარე გულმოდგინებას, რომლითაც ყოველთვის გამოირჩეოდა თქვენი ხანგრძლივი და ღირსსაქებარი სამსახური. დღემდე მიუვალად ცნობილ დაღესტნის მთებში შეღწევით თქვენ საესებით გაამართლეთ ჩემი მოლოდინი“...[8] და ა. შ. ამავე რესკრიპტით იმპერატორმა განსაკუთრებული დამსახურებისათვის ვორონცოვსა და მის შთამომავლობას თავადის წოდება უბოძა. კიდევ უფრო მეტ საქე-

[7] Письма кн. М. С. Воронцова..., с. 180.

[8] Щербинин М. П. Биография генерал-фельдмаршала кн. М. С. Воронцова.

ბარ სიტყვებს იმეტებდა იმპერატორი მთავარსარდლისა და კავკასიის კორპუსის დასახასიათებლად ვორონცოვისადმი მიწერილ კერძო წერილში: „პატივი და დიდება თქვენ და თქვენ მამაც ჯარებს, რამეთუ შეუძლებელი — შესრულებულია. ყოველგვარ გაჭირვებაში ჩავარდნილ ჯარის ვაჟკაცობაზე, შეუპოვრობასა და მოთმინებაზე ბევრს ალარ ვილაპარაკებ, რადგანაც ისინი თქვენ გიყურებდნენ, თქვენ მოგყვებოდნენ, თქვენთან ერთად იტანდნენ გაჭირვებას და ისინი რუსები არიან. გულითად მადლობას გითვლით თქვენი გმირობისათვის. ვე ამას მოველოდი თქვენგან, თქვენ ეს შეასრულეთ...“[9].

თბილისში მეფისნაცვლის დაბრუნება ნამდვილ სახალხო ზეიმად იქცა. ღართისკარიდან დაწყებული თბილისამდე მისასალმებელი სიტყვებით ეგებებოდნენ ყველა წოდების მიერ საგანგებოდ წარგზავნილი დეპუტატები, მთელ გზაზე ფრიალებდა ამქრების ნიშნები, გაისმოდა სიმღერა და ზურნის ხმა, ყოველი მხრიდან მოედინებოდა გახარებული ხალხი, რათა თავიანთი ხმაც შეეერთებიათ საყოველთაო მისალმებისათვის.

მაგრამ 1845 წლის დარგოს ექსპედიცია სინამდვილეში რუსული იარაღის გამარჯვებას სულაც არ მოასწავებდა. მართალია, ამ ლაშქრობით ვორონცოვმა და კავკასიის კორპუსმა ცხადყვეს რუსი ჯარისკაცი ოფიცრების სიმამაცე და თავგანწირვა, დაანახვეს ყველას, რომ შეუვალად მიჩნეული დაღესტნის სიღრმეში შეღწევა შესაძლებელი იყო, მაგრამ ეს მათ დაახლოებით ხუთი ათასი კაცის სიცოცხლის ფასად დაუჯდათ, მთავარი მიზანი კი, ადგილობრივი მაცხოვრებლების დამორჩილება, არამც თუ მიუღწეველი დარჩა, არამედ მათი საცხოვრებლის განადგურებით კიდევ უფრო მეტად გააღვივეს მათი ფანატიზმი, რითაც მოხერხებულად ისარგებლა შამილმა.

ერმოლოვი, რომელიც კავკასიაში მომხდარ ამბებს დიდის ინტერესით ადევნებდა თვალყურს და ვორონცოვთან გამუდმებული მიწერ-მოწერა ჰქონდა, შეუფარავად ჰკიცხავდა მას ამ ლაშქრობისათვის. აი, რას სწერდა იგი: „საკმაოდ დიდი ხანია, რაც შამილის წინააღმდეგ ჩვენი მარცხიანი მოქმედებების გასამართლებლად წარმოვადგინეთ იგი არაჩვეულებრივ ადამიანად, გენიოსად, რომლის წინააღმდეგაც აუცილებელია განსაკუთრებული ზომების მიღება. ასეკე დარგოს, ამ ყაჩაღის თავშესაფარს, სინამდვილეში სრულიად უმნი-

---

[9] Щербинин М. П. Биография генерал-фельдмаршала кн. М. С. Воронцова, с. 248.

შენელო სოფელს, რომლის მსგავსი ამ მთიან მხარეში ყოველ ნაბიჯზე გვხვდება, სახელი გავუთქვით, როგორც რაღაც მნიშვნელოვან რეზიდენციას და დაიბადა აზრი დარგოს აღების აუცილებლობის შესახებ. დარწმუნებული ვარ, შენ თავისთავად ასე არასოდეს არ შეცდებოდი, დარგოს აღება არასოდეს არ იქნებოდა შენი მიზანი! სადამდის მიგვიყვანს რეზიდენციის განადგურება? შამილს ჭკუას ასწავლის, რომ აიოჩიოს უფრო ძნელად მისასვლელი ადგილი. იმისათვის, რის მოცემასაც ის ჩვენთვის არ მოისურვებს, თავისუფლად მონახავს მიუვალ ადგილს, უაჩალის ყველა სოროში ხომ არ შევძვრებით! რა მოვიპოვეთ დარგოში ლაშქრობით? ერთი უძრავი ზარბაზანიც კი არ ჩაგვიგდია ხელში"[10].

მართლაც, უდიდესი მსხვერპლის გაღებით დარგოს აღება, რომლის შენარჩუნება ყოვლად შეუძლებელი იყო, არაფრით არ იყო გამართლებული, მაგრამ საქმე იმაში იყო, რომ იმპერატორ ნიკოლოზ I-ის კავკასიაში მოგზაურობის მერე, კავკასიის დასაპყრობად და დასამორჩილებლად წარმოებული ყოველწლიური ბრძოლების გეგმები პეტერბურგში, სამხედრო მინისტრის კანცელარიაში მუშავდებოდა. აქ შედგენილ პროექტებს ამტკიცებდა იმპერატორი, რომელიც დარწმუნებული იყო, რომ ამ მხარის ერთი თვალის გადაველების შემდეგ ის ყველა სიტუაციაში საუცხოოდ ერკვეოდა და მის აზრს შეიძლებოდა გადამჭრელი მნიშვნელობა ჰქონოდა. პირად ინიციატივასა და დამოუკიდებლობას მოკლებული კავკასიის კორპუსის მაშინდელი მთავარსარდლები გოლოვინი და ნეიდგარდტი ყოველისშემძლე სამხედრო მინისტრის გავლენით იძულებული იყვნენ ბრმად შეესრულებინათ ზევიდან გამოგზავნილი პროგრამა; თითქმის არასოდეს მათ პროტესტს არავითარი ყურადღება არ ექცეოდა. ამ დროისათვის პეტერბურგში გამეფებული იყო აზრი, რომ მთიულებში მიურიდიზმის გავრცელების გამო მათ გამაგრებულ თავშესაფრებში შეღწევა, მათი სრული განადგურება, შამილის მომხრე მოსახლეობის მკაცრი დასჯა იყო აუცილებელი, რათა დაემტკიცებინათ მათთვის, რომ რუსების ხმალს ვერსად გაექცეოდნენ. მაგრამ აჯანყების ცენტრები იცვლებოდა, რუსის ჯარი მეფის კარზე დასახული პროგრამის შესრულების შემდეგ დიდად დაზარალებული ბრუნდებოდა, დაღესტნის სიღრმეში მათი ხანმოკლე იერიშები კი ოდნავაც ვერ არყევდა შამილის ძლიერებას და მის გავლენას ჩრდილო კავკასიის მთიელებზე. დარგოს ექსპე-

---

[10] Письма кн. М. С. Воронцова..., с. 172.

დიცია უკანასკნელი ხარკი იყო ომის წარმოების ამგვარი პოლიტიკისა. ჯერ კიდევ დარგოდან ახლად დაბრუნებული ვორონცოვი სწერდა ერმოლოვს, რომ „ახლა უკვე დადგება დრო უფრო სისტემატური ბრძოლისა, რომელიც მართალია ნელა, მაგრამ საიმედოდ გამოაკეთებს ჩვენს მდგომარეობას"[11]. დარგოს ექსპედიციით გათამამებულმა შამილმა კიდევ უფრო მეტ ხალხს მოუყარა თავი და 1846 წლის აპრილში მთებიდან დაეშვა ჩეჩნეთის ვაკესა და ყაბარდოში, რათა აეჯანყებინა ყაბარდოელები და გადაეკრა საქართველოს სამხედრო გზა. შამილმა გადალახა მდინარე სუნჯა, მიაღწია მდ. თერგამდე და შეჩერდა ჭარის ხეობაში, საიდანაც მოუწოდა ყაბარდოელებს აჯანყებისაკენ. შამილის ამ მოულოდნელმა შემოჭრამ ფეხზე დააყენა მთელი რუსის ჯარი. ამიერკავკასიიდან ვლადიკავკავისაკენ მიისწრაფოდნენ თავისუფალი რეზერვები; აქეთკენ გაეშურა შემახიაში მყოფი მეფისნაცვალიც, რომლის ყურამდისაც აღწევდა მღელვარე ხმები რუსეთის მიერ კავკასიის დაკარგვის შესაძლებლობის შესახებ. მაგრამ შამილის მოლოდინი ყაბარდოში საყოველთაო აჯანყების მოწყობის შესახებ არ გამართლდა და ჯარის მოახლოებით შეშინებული, იგი იძულებული გახდა 25 აპრილს გადაელახა თერგი და სუნჯის გავლით უკანვე გაბრუნებულიყო.

ამ შემოსევამ საბოლოოდ დაარწმუნა ვორონცოვი, რომ შამილის წინააღმდეგ ნელი, სისტემატური, დაჟინებული მოქმედება და დაკავებული პუნქტების ერთხელ და სამუდამოდ შენარჩუნება იყო საჭირო, რისთვისაც ეს პუნქტები დაკავების შემდეგ სამუდამოდ უნდა გაემაგრებინათ. ვორონცოვს თავისი უფლებების, ავტორიტეტისა და ენერგიული მოქმედების წყალობით არ გასჭირვებია დაერწმუნებინა პეტერბურგის მმართველი წრეები თავისი მეთოდების სისწორეში. ამ დროიდან მეფისნაცვლის მიერ შემუშავებული საბრძოლო სისტემის განხორციელების შედეგად შესაძლებელი გახდა მკვეთრი შემობრუნება შამილის ძალაუფლების დასუსტებისა და მიურიდიზმის გარდაუვალი განადგურების საქმეში.

ვორონცოვის მიერ შემუშავებული საბრძოლო სისტემა შემდეგში მდგომარეობდა: ჩეჩნეთის დაბურულ, გაუვალ ტყეებში დაიწყეს ფართო ზოლების გაკაფვა, რათა ჯარს საშუალება ჰქონოდა წელიწადის ნებისმიერ დროს ყველა მიმართულებით ადვილად ემოძრავა. „პირველს შენ მოგივიდა აზრად და პირველმა შენ დაამტკიცე ჩეჩნეთის

[11] Письма кн. М. С. Воронцова..., с. 171.

ძნელად გასავლელ გზებზე ტყეების განადგურების აუცილებლობა, მაგრამ შენს შემდეგ ამ საქმისათვის ხელი არავის მოუკიდია, — სწერდა ვორონცოვი ერმოლოვს, — ახლანდელი ჩვენი მოწინააღმდეგე კარტილერიით არის შეიარაღებული და უწინდებურად თოფის ორი გასროლის სიგანეზე ტყის გაკაფვა აღარ არის საკმარისი. უნდა გაიკაფოს ზარბაზნის ორი გასროლის სიგანეზე მაინც. გიხინის ტყის განადგურებისა და ფორტანგზე სიმაგრის აშენების შემდეგ პატარა ჩეჩნეთის მდგომარეობა სავსებით შეიცვლება და იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ საბოლოოდ დაგვემორჩილება“[12]. ასწლოვანი ჯადრებისა და კაკლის ხეების ბარბაროსული გაკაფვით და სტრატეგიული თვალსაზრისით მოხერხებულ ადგილებში სიმაგრეების აგებით, რამდენიმე წლის განმავლობაში პატარა ჩეჩნეთმა სავსებით იცვალა სახე. მრავალი აული განადგურებული იყო, გადარჩენილი აულები კი საბოლოოდ დამორჩილებული ჩანდნენ. 50-იანი წლების დასაწყისისთვის დამორჩილების პირი უჩანდა დიდ ჩეჩნეთსაც. სხვა სტრატეგიით მოქმედებდა ვორონცოვი დაღესტნის მიმართ. ამ კუთხის მდებარეობის თავისებურებების საგულდაგულოდ შესწავლის შემდეგ მან მოახერხა ზუსტად განესაზღვრა ის ადგილები, რომლებიც „... არასოდეს ჩვენს მიერ არ უნდა იყოს დაკავებული და ადგილები, რომლებიც ჩვენ უნდა დავიცვათ“[13]. კერძოდ, ვორონცოვმა კარგად დაინახა, რომ მთების გულში ღრმად შეჭრა, ღუნიბისა და ავარიის დაპყრობა ჯერჯერობით ნაადრევი და დამღუპველი იქნებოდა რუსეთის არმიისათვის. „აქ ჩამოსვლამდე მე, ისე როგორც სხვები, გატაცებული ვიყავი აზრით, რომ ჩვენთვის რუგჯისა და ღუნიბის აღება სასარგებლო უნდა ყოფილიყო. ეხლა მე აშკარად ვხედავ, რომ ეს სავსებით მცდარი აზრია. რაც შეეხება ავარიის სახანოს, ღმერთმა მიუტევოს იმას, ვისაც მისი დაკავება ჰქონდა განზრახული და ამის მიხედვით მოქმედებდა. რა თქმა უნდა, ჩვენ მუდმივად უნდა გვქონდეს იმის შესაძლებლობა (და ეს ძალიან ადვილია), რომ თუ საქმის ვითარება ამას მოითხოვს, მოვახერხოთ ავარიასა, ან ტილიტლიზე, ან რომელიმე სხვა პუნქტზე თავდასხმა; მაგრამ ფიქრი იმაზე, რომ ამ წყეული მთების სიღრმეში რომელიმე პუნქტი სამუდამოდ დავიკავოთ ყოველგვარი წინასწარი მომზადების გარეშე, ჩემი აზრით, სრული სიგიჟეა, რომ არაფერი ვთქვათ იმის შესა-

---

12 Письма кн. М. С. Воронцова..., с. 182.

13 Бобровский П. О. Успехи в борьбе с мюридизмом на Восточном Кавказе. при кн. М. С. Воронцове — Военный сборник, с. 20.

ხებ, რომ ამ პუნქტების დაკავება მთელი ჩვენი რეზერვების გამოყენებას მოითხოვს და რომ მთიულების აჯანყების შემთხვევაში, ჩვენ რეზერვებს უკვე ვეღარაფრით ვეღარ მივეხმარებით"[14]. ერმოლოვი, რომელიც ზედმიწევნით იცნობდა იმიერკავკასიის ტომების განლაგებასა და ტოპოგრაფიულ პირობებს, დიდად იწონებდა ვორონცოვის გეგმას და სწერდა, რომ „ორი წლის განმავლობაში შენ შესანიშნავად გაეცანი ამ მხარეს და მოახერხე იმის დანახვა, რაც სხვებმა წლების მანძილზე ვერ შეძლეს"[15].

რამდენიმე წლის მანძილზე გერგებილისა და სალთის დაპყრობის შემდეგ რუსეთის ჯარები საიმედოდ განმტკიცდნენ დაღესტნის შუა ნაწილში, რითაც შამილს საბოლოდ ააღებინეს ხელი ყაზიყუმუხის, ყოისუსა და ყარაყოისუს ქვედა დინების გასწვრივ პურით მდიდარ ადგილებზე. იმამის ხელში დარჩა მხოლოდ მთიანი დაღესტანი და ავარია, რომელთა გარშემო რუსული ჯარების რკალი თანდათან ვიწროვდებოდა, მაგრამ ყირიმის ომის დაწყებამ შამილის საბოლოო დამორჩილება რამდენიმე წლით გადადო. შამილის დასუსტებაზე მეტყველებდა ის ფაქტიც, რომ მან ვერ მოახერხა თავისთვის აგრე რიგად ხელსაყრელი ყირიმის ომის გამოყენება და კავკასიისათვის ვერავითარი ცოტად თუ ბევრად მნიშვნელოვანი ზიანის მიყენება, გარდა 1853 წლის ხანმოკლე ექსპედიციისა, ვერ შეძლო.

კავკასიაში სამეფისნაცვლოს დაარსებით ნიკოლოზ I განსაკუთრებულ ნდობას უცხადებდა და მეტისმეტად ფართო უფლებებს ანიჭებდა ვორონცოვს. როგორც ვიცით, 1840 წლის ახალი სამოქალაქო მმართველობის შემოღების მსვლელობაზე ზედამხედველობისათვის ამიერკავკასიის მხარის მომწყობი „განსაკუთრებული კომიტეტი" იყო დაარსებული, რომელსაც სამხედრო მინისტრი ჩერნიშევი ხელმძღვანელობდა, კანონმდებლობითი საქმეები კი თავმოყრილი იყო „იმპერატორის დროებით VI განყოფილებაში". მინისტრები თავთავიანთ სფეროში გარკვეულ გავლენას ინარჩუნებდნენ ამიერკავკასიის საქმეებზე.

ვორონცოვის მეფისნაცვლად დანიშვნის შემდეგ, სურათი ძირფესვიანად შეიცვალა. ვორონცოვის მოთხოვნით გაუქმდა იმპერატორის კანცელარიის დროებითი განყოფილება. ამიერიდან ნიკოლოზ I-ის ბრძანების თანახმად ყველა ის კანონმდებლობითი და ადმინის-

---

14 Письма кн. М. С. Воронцова.

15 Бабровский П. О. Успехи в борьбе с мюридизмом..., с. 17.

ტრაციული საქმე, რომელიც სცილდებოდა მინისტრის კომპეტენციას, წარდგენილი უნდა ყოფილიყო კავკასიის კომიტეტში. ვორონცოვს ენიჭებოდა მინისტრის უფლებები, ხოლო დანარჩენი მინისტრების გავლენა ამიერკავკასიის საქმეებზე სავსებით უქმდებოდა. ყველა იმ საქმის გამო, რომლებიც მეფისნაცვლის უფლებებს სცილდებოდა და უზენაესი ხელისუფლების გადაწყვეტილებებს საჭიროებდა, მას უნდა მოეთათბირა მხოლოდ და მხოლოდ კავკასიის კომიტეტის თავმჯდომარესთან. 1845 წლიდან მეფისნაცვლის მიერ წარდგენილი ყველა საქმიდან ისეთებს, რომელთაც კოლეგიალური მსჯელობა და იმპერიის ზოგად, საერთო დადგენილებებთან შეთანხმება სჭირდებოდა, წინასწარ განიხილავდნენ კავკასიის კომიტეტში. განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეებს კი მეფისნაცვალი უშუალოდ წარუდგენდა იმპერატორს.

რადგან მეფისნაცვალს საშუალება არ ჰქონდა პირადად დასწრებოდა ყველა საკითხის გარშემო გამართულ მსჯელობას და კამათის დროს თავისი მოსაზრებები სათანადო საბუთებით შეემაგრებინა, მისი წარმომადგენელი და შუამავალი როგორც უზენაესი ხელისუფლების წინაშე, ისე კავკასიის კომიტეტში იყო კავკასიის კომიტეტის თავმჯდომარე.

ამრიგად, სამეფისნაცვლოს ყველა საქმე, როგორც კანონმდებლობითი, ისე ადმინისტრაციული, რომლებიც მანამდე, საერთო საიმპერატორო დადგენილებების თანახმად, სახელმწიფო საბჭოსა და მინისტრთა კომიტეტებში განხილვას ექვემდებარებოდა, ამოღებულ იქნა მათი გამგებლობიდან[16].

ნიკოლოზ I იმდენად დარწმუნებული იყო ვორონცოვის უქვეშევრდომილეს ერთგულებაში, რომ როდესაც ასეთი ფართო უფლებებით მოსავდა მას, ერთი წუთით ეჭვიც კი არ ეპარებოდა, რომ იგი ამ უფლებებს ბოროტად არ გამოიყენებდა. მართლაც, როგორც ცარიზმის ოფიციალური ისტორიკოსი ივანენკო აფასებდა ვორონცოვის მოღვაწეობას, „მას კარგად ესმოდა, რომ იმ დროს რუსეთის მთავარი ინტერესი მდგომარეობდა მხოლოდ იმაში, რომ რაც შეიძლება მშვიდობიანად დაეკავშირებინა თავისთან ეს ახალი ქვეშევრდომები, დაეცვა მათთვის თვისტომთა სახელმწიფო და შეეყვარებინა კეთილ-

---

16 Эсадзе С. Историческая записка об управлении Кавказом — Тифлис, 1907, т. II, с. 1—10.

განწყობილი, მზრუნველი მმართველობა რუსი მონარქისა"[17]; ვორონცოვი ყოველნაირად ცდილობდა ამ განაპირა მხარის იმპერიასთან მჭიდროდ დაკავშირებასა და შერწყმას, მაგრამ წინამორბედ მთავარმართებლებისაგან განსხვავებით ვორონცოვს მიაჩნდა, რომ რუსული კანონმდებლობის, რუსული სამართალწარმოებისა და მართვის რუსული წესების ნაადრევი შემოღება საჭირო არ იყო; რომ ახალი წესების შემოღება, რომლებიც საუკუნეების განმავლობაში გამომუშავებული ადათჩვეულებების ცვლილებებს იწვევს, უდიდეს სიძნელეებთან არის დაკავშირებული..., რომ ძალდატანებითი ზომები არამც თუ სიკეთეს არ მოიტანს, არამედ დამღუპველიც კი იქნება[18]. ამ ნიშნით ვორონცოვის ხანა მკვეთრად განსხვავდებოდა მისი წინამორბედების მართვა-გამგებლობისაგან.

1845 წელს დაღესტნის ექსპედიციიდან თბილისში დაბრუნებულ მეფისნაცვალს სამოქალაქო საქმეები არეულ-დარეული, მოხელეები კი უმეტესწილად არაკეთილსინდისიერი დახვდა. „სამოქალაქო მმართველობის სფეროში უმეტესობა არამზადები არიან"[19]. „... ორი კვირის წინ, აქ ჩამოსვლის უმალ, გავიტანჯე არა მარტო მიმდინარე და მიტოვებული საქმეების ქაოსით, არამედ რამდენიმე დღე ზედიზედ იძულებული ვიყავი სამხედრო სამინისტროში გასაგზავნ ხარჯთაღრიცხვების შედგენაზე თავაუღებლივ მემუშავა და ნამდვილი ომი გამომეცხადებინა სხვადასხვა დარგში მომხდარ საშინელ ბოროტმოქმედებათა წინააღმდეგ"[20], — სწერდა ვორონცოვი ერმოლოვს. მან ჩამოსვლის უმალ ამ მხრივაც დაუცხრომელი საქმიანობა გააჩაღა და ხანდაზმული ასაკის მიუხედავად თავის შრომისმოყვარეობისათვის აქაც არ უღალატია. როგორც მისი უახლოესი თანამშრომელი გადმოგვცემს, მეფისნაცვლის სამუშაო დღე დილის 7 საათზე იწყებოდა. შვიდიდან ცხრა საათამდე დროს ის კერძო წერილების წერას და მრავალრიცხოვანი ჟურნალ-გაზეთების გაცნობას ანდომებდა, ვინაიდან იგი გულმოდგინედ ადევნებდა თვალყურს ყველაფერს, რაც რუსეთში, ან ევროპაში ხდებოდა. 9 საათიდან იწყებოდა მისი ოფიციალური მოღვაწეობა: კანცელარიის უფროსების, შტაბის უფროსების და სხვათა მოხსენებები.

---

[17] Иваненко В. И., Гражданское управление Закавказьем. Утверждение русского владычества на Кавказе. Тифлис, 1901, т. XII, с. 343.

[18] АКАК, т. X, № 843.

[19] Письма кн. М. С. Воронцова..., с. 165.

[20] Там же, с. 175.

ვორონცოვს ჩვეულებად ჰქონდა ყოველი ექსტრაფოსტით გაეგზავნა კერძო წერილები კავკასიის კომიტეტის თავმჯდომარესთან, რომელთაც ეს უკანასკნელი იმპერატორს აჩვენებდა. ამ წერილებში ვორონცოვი საოცარი ოსტატობით, სიფრთხილითა და დიპლომატიური ხერხებით გამოთქვამდა ისეთ აზრებსა და მოთხოვნებს, რომელთა გამოთქმაც ოფიციალურ მიმოწერაში შეუძლებელი იქნებოდა.

ნეიდგარდტისაგან განსხვავებით, რომელიც უმკაცრესი პუნქტუალობით უნიშნავდა მიღების საათებს თავის თანამშრომლებს და ორიოდე წუთის დაგვიანებისათვისაც კი სწყვეტდა მიღებას, ვორონცოვი არაჩვეულებრივად ადვილად ხელმისაწვდომი იყო თავის ხელქვეითებისა თუ გარეშე მთხოვნელებისათვის. ოფიციალურად დაწესებული ორი მისაღები დღის გარდა მეფისნაცვალი ყოველდღე იღებდა ყველას, ვისაც კი მასთან რაიმე საქმე ჰქონდა.

როგორც ვორონცოვის კერძო მიმოწერიდან ვგებულობთ, საქმის წარმოების ასეთი ხასიათი მას ბოლომდე შეუნარჩუნებია. აი, რას ვკითხულობთ ამის შესახებ მის წერილებში: „...თბილისში დაბრუნების შემდეგ, პირველი კვირეების განმავლობაში ისე ვარ ჩაფლული ჩემი აქ არ ყოფნის დროს დაგროვებული ქაღალდების განხილვაში, რომ აღარაფერი ვთქვათ მიმდინარე საქმეებზე, ურიცხვ თხოვნებზე, პრეტენზიებზე, პირადი შეხვედრების მოთხოვნებზე, ახსნა-განმარტებებზე და სხვა და სხვა, რომ სამხედრო ბანაკში ყოფნა, ამასთან შედარებით შეიძლება სიბარიტულ ცხოვრებად მოგეჩვენოს“, ან „უნდა ვალიარო, რომ თავისუფალი დრო თბილისშიც ნაკლებად მრჩება, რაგანაც მიმდინარე საქმეების გარდა მე უნდა ვიზრუნო სამოქალაქო მმართველობის უამრავ პროექტზე, რომლებზეც ფიქრიც მხარის ამა თუ იმ კუთხეში მოგზაურობის დროს ყოველად შეუძლებელია“[21].

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მხარის უკეთ გაცნობის მიზნით ვორონცოვს არ დაუტოვებია არც ერთი კუთხე, სადაც პირადად თვითონ არ ემოგზაუროს. უკვე 1849 წლისათვის, თავისი მმართველობის ოთხი წლის თავზე იგი წერდა, რომ „თავისუფლად შემიძლია ვთქვა, რომ მთელ ამ მხარეს ვიცნობ და ყველგან ნამყოფი ვარ დაწყებული ლენქორანიდან ანაპამდე და ოზურგეთიდან ვიდრე ალექსანდროპოლამდე და ყიზლარამდე“[22].

---

[21] Письма кн. М. С. Воронцова..., с. 199, 342.

[22] Там же, с. 350.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, 40-იანი წლების დასაწყისში რუსული ხელისუფლების მიერ გატარებული სამოქალაქო მმართველობის რეფორმის შედეგად ამიერკავკასიაში არ იყო არც ერთი წოდება, რომელიც ასე თუ ისე კმაყოფილი იქნებოდა რუსული ხელისუფლებისაგან. მაგრამ განსაკუთრებით უკმაყოფილო მაჰმადიანური მოსახლეობის პრივილეგირებული წოდება — ბეგები, აღალარები და მელიქები იყვნენ, რომელთა პრივილეგიები ჯერ კიდევ ერმოლოვმა შეარყია, ხოლო 1840 წლის რეფორმამ სავსებით გააუქმა.

მიურიდიზმის დღითიდღე გაღვივების ხანაში თუ რამდენად სარწმუნო იყო ამიერკავკასიის მაჰმადიანური მოსახლეობის პრივილეგირებული წოდების უკმაყოფილება, ეს კარგად ჩანს ელისუს სულთნის დანიელბეგის მაგალითზედაც. 1840 წლის რეფორმამდე დანიელ სულთანი გენერალმაიორის ჩინით მართავდა ელისუს სასულთნოს, რომელიც ნუხის პროვინციასა და ჭარის ოკრუგს შუა მდებარეობდა. დანიელბეგი თავის ქვეშევრდომებს შორის დიდი გავლენით სარგებლობდა და დიდის მონდომებით ემსახურებოდა რუსეთის ხელისუფლებას; ძალიან ხშირად ლეკეთის საკორდონო ხაზზე დანიელბეგი თავისი ხალხით რამდენიმე რაზმის მაგივრობასაც კი სწევდა. 1840 წლის რეფორმით ელისუს სასულთნო ჭარბ-ბელაქანის ოლქს შეუერთდა როგორც ერთ-ერთი უბანი, დანიელმა კი სულთნობის ნაცვლად უბნის უფროსობა მიიღო. უბნის უფროსის ხარისხში იგი დაუქვემდებარდა შტაბის ოფიცერს, ვინმე ლაც-ბეკ-კოკუნს. მან თავისი უტაქტო, მედიდური მოპყრობით იმდენად გააღიზიანა და დაამცირა დანიელის ღირსება, რომ გაგულისებულმა დანიელმა 1844 წელს მეჩეთში შეკრებილი ხალხის წინაშე მოიძრო გენერლის ეპოლეტები, გადააგდო რუსული მუნდირი და აჯანყებული, თავისი ხალხით შამილს მიუვიდა. ამის შემდეგ სიკვდილამდე დანიელს ხმალი აღარ ჩაუგია ქარქაშში და, როგორც რუსეთის უბოროტესი მტერი, აურაცხელ ზარალს აყენებდა ლეკების საკორდონო ხაზზე მყოფ ჯარს.

რა თქმა უნდა, ვორონცოვის უპირველესი საზრუნავი განაწყენებული ბეგლარ-აღების შემორიგება იყო, რათა მათ შორისაც არ მოეკიდა ფეხი მიურიდიზმის მოძღვრებას. ამ საკითხის შესწავლა და სათანადო პროექტის შედგენა ვორონცოვმა სამოქალაქო მმართველობის უფროსს ლადინსკის დაავალა.

ბეგების, აღალარების და მელიქების უკმაყოფილების მთავარი მიზეზი ის იყო, რომ ჯერ კიდევ ერმოლოვის დროს მათი, როგორც

მიწათმფლობელთა უფლებები საეჭვოდ იქნა მიჩნეული და მთელი მიწები სახელმწიფო საკუთრებად იქნა გამოცხადებული, 1840 წლის რეფორმით კი აღალარები, რომლებიც ამა თუ იმ დისტანციას მემკვიდროებით მართავდნენ, სამოქალაქო მოხელეებმა, უბნის უფროსებმა შეცვალეს.

ლადინსკიმ სპეციალურად შეისწავლა საკითხი და დაასკვნა, რომ აღალარების, ბეგების და მელიქების მიწები და სოფლები, რომლებსაც ისინი მართავდნენ, მათ მემკვიდრეობით საკუთრებას წარმოადგენდა. 1846 წლის 6 ივნისს ვორონცოვისათვის წარდგენილ ვრცელ მოხსენებაში იგი აღნიშნავდა, რომ ბეგების, აღალარების და მელიქების უფლებები თითქმის არაფრით არ განსხვავდებოდა ქართველი მებატონეების უფლებებისაგან და რომ მათ მიწათმფლობელობას სამუდამო ხასიათი ჰქონდა მიღებული, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ მამიდან შვილზე გადასულ მემკვიდრეობას საბუთების ფორმალური განახლება სჭირდებოდა. ამ უკანასკნელმა გარემოებამ შეიყვანა შეცდომაში ერმოლოვი, რომელმაც უკიდურესად შეზღუდა მაჰმადიანური პრივილეგირებული წოდების უფლებები; კიდევ უფრო შორს წავიდნენ განი და გოლოვინი, რომელთაც აღალარები პოლიციის ყველაზე დაბალი ჩინის მოხელეებად წარმოედგინათ და ადვილად მიიჩნიეს მათი თანამდებობის გაუქმება და მის ნაცვლად უბნის უფროსის თანამდებობის დაწესება. ამ ზომებმა მთელი მაჰმადიანური მოსახლეობის მღელვარება გამოიწვია და დიდად შეუწყო ხელი მიურიდიზმის განვითარებას. ეს ღონისძიება, დასძენდა ლადინსკი, ჩვენთვის მეტად არახელსაყრელი გამოდგა პოლიციური თვალსაზრისითაც, ვინაიდან 1840 წლის რეფორმის შემდეგ აღალარების უბნის უფროსებით შეცვლის შედეგად ყველა თათრულ დისტანციაში არაჩვეულებრივად გაიზარდა წესრიგის დარღვევის შემთხვევებიო. ამ უკმაყოფილების აღძოსაფხვრელად ლადინსკის საჭიროდ მიაჩნდა ყველა ის მიწა, რომლებსაც რუსული მთავრობის დამყარებისას ფლობდნენ ბეგები და აღალარები, მათ საკუთრებად გამოცხადებულიყო და მისცემოდათ საშუალება რუსულ სამხედრო სამსახურში შესვლისა[23].

ვორონცოვმა სავსებით გაიზიარა ლადინსკის წინადადება და მისთვის ჩვეული ენერგიით შეუდგა ლადინსკის შედგენილი პროექტის დამტკიცებისათვის ბრძოლას. იგი მოახსენებდა იმპერატორს, რომ „აუცილებელია დაუბრუნოთ აღალარებსა და ბეგებს მიწები, რომ-

---

[23] АКАК, т. X, № 7.

ლებიც შეცდომითა და ჩვენთვის დიდად საზიანოთ ჩამოერთვათ მათ. ყოვლად მოწყალეო ხელმწიფევ, თქვენს ნება-სურვილზეა დამოკიდებული ბოლო მოეღოს იმ საგანგაშო მდგომარეობას, როგორშიც წლების განმავლობაში იმყოფებიან საუკეთესო და უმდიდრესი მაჰმადიანური პროვინციები"[24].

მინისტრების პანინის, ბლუდოვისა და კისელიოვის პროტესტების მიუხედავად, 1846 წლის 1 ივლისისათვის, ლადინსკის მიერ წარმოდგენილი მოხსენების ერთი თვის თავზე, ეს საჭირბოროტო საკითხი ფაქტიურად უკვე გადაწყვეტილი იყო მეფისნაცვლის სასარგებლოდ. აი, რას წერდა ამის შესახებ კერძო წერილში ვორონცოვი: „მაჰმადიანური უმაღლესი წოდების უფლებების შესახებ საქმის მიმდინარეობა ფრიად დამაკმაყოფილებელია. როგორც ცნობილია, ბარონ განის განკარგულების შედეგად მათ ჩამოერთვათ ყოველგვარი უძრავი საკუთრება. ხელმწიფემ უკვე ინება ამ საქმის დამტკიცება და აღალარებს უკვე გამოუცხადეს, რომ ამიერიდან მათ მფლობელობაში მყოფი მიწები სამუდამო, სამკვიდრო საკუთრებაში გადაეცემათ; ახლა საქმე შეეხება ზოგიერთი დეტალის დაზუსტებას, კერძოდ იმ გადასახადების დადგენას, რომელიც უნდა გადაუხადონ ამ მიწებზე მცხოვრებლებმა ბეგებსა და აღალარებს. პროექტი ამის შესახებ გაიგზავნა პეტერბურგში. ჩვენ მოგვთხოვეს ზოგიერთი ახსნა-განმარტებანი ამ საკითხის გარშემო და სულ მალე გამოვა დადგენილება; მე ვიმედოვნებ, რომ ამ საქმის საბოლოო გადაწყვეტა დაამყარებს მშვიდობას და უზრუნველყოფს მაჰმადიანების უმაღლესი წოდების ჩვენდამი ერთგულებას, რომელთაც დიდის მადლიერებით მიიღეს ყოველივე ეს"[25]. მართლაც, 1846 წ. 6 დეკემბერს გამოიცა უმაღლესი რესკრიპტი, რომლითაც „ხანებს, ბეგებს, აღალარებს და მაჰმადიანური უმაღლესი წოდების სხვა პირებს განსაკუთრებული წყალობისა და კეთილნებობის ნიშნად" შემდეგი უფლებები ენიჭებოდათ: 1. ყველა ის მიწა, რომლებსაც ბეგები, აღალარები და მელიქები ფლობდნენ რუსეთთან შეერთების დროს და რომლებიც ამჟამადაც მათ მფლობელობაში ითვლებოდა, ცხადდებოდა მათ საკუთრებად; 2. პრივილეგირებულ წოდებას, 1840 წელს ადმინისტრაციული წესით ჩამორთმეული დასახლებული თუ დაუსახლებელი მიწები უბრუნდებოდა როგორც საკუთრება; 3. ის მიწები, რომლებიც პრივილეგირებული წოდების წარმომადგენლებს რუსული ხელისუფლების მიერ ჰქონდათ ნაბოძები მათი

[24] АКАК. т. X, № 15.

[25] Письма кн. М. С. Воронцова..., с. 197.

დამსახურების მიხედვით უმტკიცდებოდათ სამკვიდროდ, ან დროებით მფლობელობაში. 4. მათ ნება ეძლეოდათ ყველა ეს მიწა მოეხმარათ თავისი სურვილის მიხედვით — გაეჩუქებინათ, ან გაეყიდათ, მხოლოდ იმ შეზღუდვით, რომ დასახლებული მიწები არ მოხვედრილიყო არაპრივილეგირებული წოდების ხელში; 5. ამ მიწებზე მოსახლე დაბალი წოდება, გადარიცხული სახელმწიფო გლეხების კატეგორიაში, იქნე რჩებოდა; 6. მიწით სარგებლობისათვის გლეხები ვალდებული იყვნენ მიწის პატრონებისათვის ეძლიათ ბეგარა-გადასახადები, მიწის მფლობელს კი მათ მიმართ ენიჭებოდა საპოლიციო უფლებები.

ამ რესკრიპტით ეკორონცოვმა საბოლოოდ შემოირიგა მაჰმადიანური მოსახლეობის პრივილეგირებული წოდება, მაგრამ იმისათვის, რომ მეფის ხელისუფლებას მთელ ამიერკავკასიაში გაეჩინა მტკიცე სოციალური დასაყრდენი, საჭირო იყო გარკვეული ღონისძიებების ჩატარება ქართველი თავადაზნაურობის მიმართაც.

უპირველეს ყოვლისა, საჭირო იყო პასკევიჩის მმართველობის დროს სენატორების — კუტაისოვისა და მეჩნიკოვის მიერ გაბერილ და გაჭიანურებულ საქმეს — ქართველი თავადაზნაურობის წოდებრივ უფლებებში დამტკიცებას დასდგომოდა საშველი. ამისათვის ეკორონცოვმა თბილისსა და ქუთაისში ორი სპეციალური კომისიის დაარსების ნებართვა ითხოვა. კომისიები შედგებოდა სახელმწიფო მოხელეებისა და რჩეული თავადაზნაურობის წარმომადგენლებისაგან. მათ ევალებოდათ 3 წლის განმავლობაში შეედგინათ ქართველ თავად-აზნაურთა სიები, სადაც მითითებული იქნებოდა, თუ რა საფუძველზე იყო თითოეული მათგანი მოხვედრილი პრივილეგირებულ წოდებაში.

3 წლის განმავლობაში კომისიებმა მართლაც შეადგინეს ასეთი სიები და წარადგინეს მთავარმართებლის საბჭოში. საბჭომ მოიწონა კომისიის მუშაობა და მათ მიერ შედგენილი სიები დაჰყო 5 თანრიგად. პირველში შევიდნენ ისეთი თავად-აზნაურები, რომელთა წოდებრივი უფლებები არავითარ ეჭვს არ იწვევდა; მეორეში — ისეთები, რომლებიც თავიდან, მართალია, ცოტად თუ ბევრად საეჭვო ჩანდნენ, მაგრამ დამატებითი საბუთების წარდგენის შემდეგ შეძლეს თავიანთი უფლებების დამტკიცება; მესამე თანრიგში მოხვედრილი თავადაზნაურების უფლებები შემდგომ კვლევა-ძიებას საჭიროებდნენ; მეოთხეში შევიდნენ იმერეთისა და გურიის ის სათავადო აზნაურები, რომლებიც ჯერ კიდევ არ იყვნენ გამიჯნული თავადებისაგან, და ბოლო, მეხუთე თანრიგში მოხვედრილ პირთა უფლებები თავადაზნაურულ წოდებაზე

არ იქნა ცნობილი სამართლიანად. ასეთები აღმოჩნდა აღმოსავლეთ საქართველოში 677, იმერეთსა და გურიაში კი — 668 გვარი[26].

პირველი ორი თანრიგის ნუსხა ვორონცოვმა გეროლდიის დეპარტამენტის გვერდის ავლით, უშუალოდ წარუდგინა იმპერატორს, ეს ნუსხები დამტკიცებულ იქნა 1850 წლის 6 დეკემბერს. დანარჩენ თანრიგებში მოხვედრილ პირებს კი უფლება ეძლეოდათ თავადაზნაურთა საკრებულოს საშუალებით განეგრძოთ აზნაურობის წოდების ძიება. ამით ვორონცოვმა ბოლო მოუღო იმ გაურკვეველობას, რომელიც საქართველოს მაღალი წოდების უფლებათა დადგენის საკითხში არსებობდა და რომლის აღმოფხვრასაც ამაოდ ცდილობდნენ წლების განმავლობაში მისი წინამორბედი მთავარმართებლები. ამავე დროს მეფისნაცვლის შუამდგომლობით დასავლეთ საქართველოს პრივილეგირებული წოდებისათვის ქუთაისში დაარსდა ისეთივე სათავადაზნაურო საკრებულო, რომელიც თბილისში დიდი ხანია მოქმედებდა.

მართალია, დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს თავადაზნაურობის წოდებაში დამტკიცებითა და ქუთაისის სათავადაზნაურო საკრებულოს გახსნით მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა თავადაზნაურთა უფლებრივი მდგომარეობა, მაგრამ ქართველი მაღალი წოდების სასარგებლოდ მიმართული ვორონცოვის მოღვაწეობა ამით არ ამოწურულა. ქართველი თავადაზნაურობის უკმაყოფილების ერთ-ერთი მთავარი მიზეზი იყო გლეხების გაძლიერებული მისწრაფება თავისუფლების ძიებისაკენ, რასაც თავადაზნაურობა მთლიანად რუსულ ხელისუფლებას მიაწერდა. ვორონცოვმა ამ საკითხის შესწავლაც ლადინსკის დაავალა, რომელმაც 1845 წელს შემდეგი მოხსენება გააკეთა: როგორც საქმეებიდან ჩანს, გლეხების მიერ თავისუფლების ძიების შემთხვევები ჩვენი მმართველობის დაწყებამდე საქართველოში ცნობილიც კი არ ყოფილა. თითქოს ჩვენი მმართველობის შემოღების შემდეგაც არ უნდა გაჩენილიყო ასეთი მისწრაფება, ვინაიდან აქ რუსული მმართველობის დამყარებისთანავე აიწერა მეფის და მისი სახლეულის ქონება და გადაეცა სახელმწიფო უწყებას, სახელმწიფო გლეხების ძალით მითვისების ფაქტებს კი საერთოდ არ ჰქონია ადგილი, მაგრამ მიუხედავად ამისა, თავისუფლების ძიების საქმეები იმ მომრავლდა, რომ მემამულეების მატერიალურ ზარალზე რომ აღარაფერი ვთქვათ, ძლიერ მორალურ ზეგავლენას ახდენს თავადაზნაურო-

[26] АКАК, т. X, № 44.

ბაზეო[27]. ჯერ კიდევ საქართველოს პროკურორი იაგორ ჭილაშვილი თავისუფლების ძიების მომრავლების მიზეზად გლეხისა და ბატონის ურთიერთობაში პოლიციის მოხელეების აქტიურ ჩარევას და გლეხობისათვის მხარდაჭერას მიიჩნევდა. 1826 წელს იგი აღმასრულებელ ექსპედიციას უცხადებდა, რომ ზოგიერთი ოკრუგის უფროსი და ისპრავნიკი აქტიურად ერევა მემამულის საქმეებში მაშინაც კი, როცა ამ უკანასკნელის გლეხები არც კი ფიქრობენ თავისუფლების ძიებას. მემამულეს ოკრუგის უფროსის ნებართვის გარეშე უფლება არა აქვს ფულადი გადასახადის გაწერის და აკრეფისა; ხშირად ოკრუგის უფროსები და ისპრავნიკები საერობო ბეგარის შესასრულებლად, მებატონის გვერდის ავლით, უშუალოდ საბატონო სოფლის მამასახლისთან ამყარებენ ურთიერთობას, რაც გლეხებს უადვილებს მებატონის სრული დამოკიდებულებიდან თავის დაღწევაზე ზრუნვას. რუსი მოხელეების ასეთი საქციელი, გადახლართული სხვა მრავალ დარღვევასთან, მემამულეების საყოველთაო, მაგრამ იდუმალ უკმაყოფილებას იწვევსო[28].

ამ საკითხის თავადაზნაურობის სასარგებლოდ გადასაწყვეტად საქართველოს მთავარმართველი ბარონი როზენი 1835 წელს სენატს სთხოვდა: 1. საქართველოს ყველა კატეგორიის გლეხი დაეტოვებინათ იმ უწყებაში, რომელზედაც მიწერილი იყვნენ უკანასკნელი კამერალური აღწერის მიხედვით; 2. იმ გლეხებისათვის, რომლებიც დღემდე სასამართლოს ძალით ჩამორთმეული იყვნენ მებატონეებისაგან, შეენარჩუნებინათ თავისუფლება, მიუხედავად იმისა, კამერალური აღწერილობით მიწერილი იყვნენ მებატონეზე თუ არა; 3. ამ დადგენილებამდე აღძრული თავისუფლების ძიების საქმეები ძველ წესების მიხედვით ეწარმოებინათ, დადგენილების შემდეგ აღძრული საქმეების გადაწყვეტისას კი კამერალური აღწერის ცნობები მიეღოთ საფუძვლად; 4. კამერალურ აღწერებში გამოტოვებული გლეხები ერთხელ და სამუდამოდ ჩაერიცხათ სახელმწიფო უწყებაში[29]. სენატმა განიხილა ეს საქმე და სრულიად საწინააღმდეგო დასკვნამდე მივიდა, რომლის უმაღლესად დამტკიცების შემდეგ მივიღეთ 1836 წლის ცნობილი კანონი, რომლის მიხედვითაც, ყველა გლეხს ეძლეოდა უფლება,

---

27 სცსსა, ფ. 4, ან. I, საქ. 401, ფურც. 204.

28 იქვე.

29 იქვე, ფურც. 207—208.

თუ კი მის მფლობელობაზე მებატონეს კანონიერი საბუთი არ აღმოაჩნდებოდა, თავისუფლების საძიებლად აღეძრა საქმე.

1842 წელს ქართლ-კახეთისა და იმერეთის უკმაყოფილო თავადაზნაურობამ, საქართველოში რევიზიისათვის ჩამოსულ სამხედრო მინისტრ ჩერნიშევსა და პოზენს თავისი წინამძღოლის ხელით წარუდგინა თხოვნა, სადაც აღნიშნავდა, რომ თავისუფლების ძიების საქმეებით გადავსებულია ყველა სასამართლო დაწესებულება. გლეხობის სასარგებლოდ კანონით დაწესებული შეღავათები, როგორიცაა უსამართლოდ აღძრული სარჩელის გამო ჯარიმისაგან და სააპელაციო გადასახადისაგან და საერთოდ, სასამართლო ხარჯებისაგან განთავისუფლება, მათ სასარგებლოდ საგუბერნიო პროკურორის შუამდგომლობა, მაზრების პროკურორების წაქეზება არის იმის მიზეზი, რომ თავისუფლების ძიებას თითო-ოროლა კომლი კი არ იწყებს, არამედ ამ საქმეს ერთბაშად ჰკიდებენ ხელს მთელი სოფლები. გლეხობას თავისუფლების ძიება იმითაც უადვილდება, რომ მათ თავისი სარჩელის სიწორის დასამტკიცებლად არავითარ წერილობით საბუთს არა სთხოვენ. საკმარისია მოწმის დადასტურება, რომ ესა თუ ის გლეხი ამა თუ იმ მებატონის ყმა არასოდეს ყოფილა და მას ძალად ჰყავს მითვისებული. ასეთ მოწმეებად მათ მოჰყავთ მეზობელი სოფლების გლეხები, რომლებიც ან თვითონვე ეძიებდნენ უკვე თავისუფლებას, ან მომავალში აპირებდნენ ამ საქმის დაწყებას. მთელი ზარალი მებატონეებს აწვებათ კისერზე, რადგანაც, გარდა იმისა, რომ სასამართლოს წარმოების ხარჯებს მათ ახდევინებენ, ბევრი მათგანი გამოუცდელობისა და რუსული კანონმდებლობის უცოდინარობის გამო ხშირად აგებს საქმეებს.

თავადაზნაურობა გლეხების ამ გაძლიერებული ტენდენციის შესაფერხებლად ხელისუფლებას შემდეგი ზომების მიღებას სთხოვდა: 1. უკანასკნელი კამერალური აღწერილობა მიეღოთ მებატონეზე გლეხის მიმაგრების საფუძვლად; 2. გლეხის მიერ სარჩელის აღძვრისთანავე არ დაეწყოთ თავისუფლების ძიებისათვის საჭირო საქმის წარმოება, არამედ შეემოწმებინათ კამერალური აღწერა და თუ აღმოჩნდებოდა, რომ აღნიშნული გლეხი უდავოდ იყო მებატონის მფლობელობაში აღრიცხული, უარი ეთქვათ საქმის აღძვრაზე; 3. ისეთ გლეხებს, რომლებიც კამერალური აღწერით მებატონის მფლობელობაში იქნებოდნენ აღწერილი, მაგრამ იქვე ჰქონდათ მიწერილი, რომ პრეტენზიას აცხადებენ თავისუფლებაზე, ერთი წლის განმავლობაში სარჩელის აღძვრის ნება მისცემოდათ.

კავკასიის კომიტეტის თავმჯდომარემ ჩერნიშევმა საქართველო-იმერეთის სამოქალაქო გუბერნატორს და კასპიის ოლქის უფროსს დაავალა მიეღოთ უმკაცრესი პოლიციური ზომები იმისათვის, რომ საბატონო გლეხები მორჩილებაში ჰყოლოდათ და ბატონის წინააღმდეგ სარჩელის აღძვრის საბაბი არავითარ შემთხვევაში არ მიეცათ, თხოვნა კი დასკვნისათვის საქართველოს მაშინდელ მთავარმართებელს, გოლოვინს გადასცა, რომელმაც სავსებით სამართლიანად მიიჩნია თავადაზნაურების საჩივარი და მხარი დაუჭირა მათ მიერ შემოთავაზებული ღონისძიების მიღებას.

საქართველოს თავადაზნაურობის თხოვნა გოლოვინის დასკვნით გადაეცა იმპერატორს, მაგრამ ნიკოლოზ I-მა გლეხთა ბატონებზე მიმაგრების საფუძვლად კამერალური აღწერის მიღება არ მიიჩნია მიზანშეწონილად და მთავარმართებელს მიუთითა საკითხი უფრო დაწვრილებით შეესწავლა, მანამდე კი თავისუფლების ძიების შესაფერხებლად და გლეხების მორჩილებაში ყოლისათვის კვლავ საპოლიციო ღონისძიებების გაგრძელება ბრძანა. მაგრამ, როგორც ლადინსკი აღნიშნავდა მოხსენებაში, არც ერთ აქამდე მიღებულ ღონისძიებას შედეგი არ ჰქონია, რადგანაც თავისუფლების ძიება სულ უფრო და უფრო მრავლდებოდა. ამას განსაკუთრებით ის გარემოება უწყობს ხელს, რომ ცუდი ყოფაქცევის გამო სამსახურიდან დათხოვნილი მოხელეები, როგორიც აქ მრავლად იმყოფებიან, აქეზებენ გლეხებს და გარკვეული გასამრჯელოს მიღების ფასად უწერენ საჩივრებსო. ჩვენი მმართველობის დაწყებიდან განვლილი 45 წელი სრულიად საკმარისი დრო უნდა ყოფილიყო იმისათვის, რომ უკანონოდ დაყმევებულსაც კი მოეხერხებინა თავისი უფლებების აღდგენა. ამის გამო სავსებით მართებულად მიმაჩნია თავადაზნაურთა თხოვნა და ვთვლი, რომ ამ მხარის მდგომარეობა მოითხოვს თავისუფლების ძიების წინააღმდეგ გადამჭრელი ზომების მიღებას, რათა დამშვიდდნენ როგორც თავადაზნაურობა, ისე გლეხებიო, აცხადებდა ლადინსკი. მართალია, კამერალური აღწერილობანი არ არის ისეთი ზუსტი, როგორიც რუსეთში ჩატარებული რევიზიები იყო, რის გამოც ნიკოლოზ I-მა არ სცნო შესაძლებლად თავისუფლების ძიების საფუძვლად კამერალური აღწერის მონაცემების მიჩნევა, მაგრამ ასეთი საფუძველის აუცილებლობის შემთხვევაში მათი გამოყენება მაინც შესაძლებელიაო. ლადინსკი მოითხოვდა, რომ: 1. 1846 წლიდან იმ გლეხებს, რომლებიც 1842 წლის კამერალური აღწერის მიხედვით ამა თუ იმ მებატონის მფლობელობაში უდავოდ იყვნენ აღრიცხულნი, აკრძალვოდათ თავისუფლების ძიება.

2. წინაღმდეგ შემთხვევაში თავისუფლების ძიებას მისცემოდა მხოლოდ იმის შემდეგ, როდესაც მაზრისა და გუბერნიის ხელისუფლება გლეხის სარჩელის დასაბუთებას დამაჯერებლად მიიჩნევდა და მთავარმართველობა ნებას დართავდა სასამართლოს წესით თავისუფლების ძიებას.

3. 1846 წლის 1 იანვრამდე დაწყებული საქმეები გადაწყვეტილიყო იმჟამად არსებული წესის მიხედვით.

ვორონცოვმა სავსებით გაიზიარა ლადინსკის მოსაზრება და მთელი ეს მსჯელობა კავკასიის კომიტეტის თავმჯდომარეს გაუგზავნა ხელმწიფის წინაშე წარსადგენად. მაგრამ კავკასიის კომიტეტმა არ დაუჭირა მხარი ვორონცოვის შუამდგომლობას. 1846 წლის 24 აგვისტოს კომიტეტის სხდომაზე დაადგინეს, რომ 1842 წელს შედგენილი კამერალური აღწერილობა მასში დაშვებული უზუსტობისა და შეცდომების გამო არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება გლეხების ბატონებთან მიმაგრების გარდაუვალ საბუთად მიეიჩნიოთ და მასზე დაყრდნობით ავუკრძალოთ გლეხებს აღძრან თავისუფლების ძიების საქმე. საერთო კანონებიდან ასეთი გამონაკლისის — ერთი კლასის სასარგებლოდ მეორის ჩაგვრის დასაშვებად საჭიროა რიცხვობრივი მაჩვენებლების მოტანა, რათა ნათელი შეიქნას, იზრდება თუ არა და როგორ იზრდება ყოველწლიურად თავისუფლების მაძიებელთა რიცხვი. როგორც იუსტიციის მინისტრის მიერ წოწოდებული ცნობებიდან ჩანს, ამ მხარეში ჩვენმა 45-წლიანმა მმართველობამ ვერ შეაჩერა მებატონეების მხრიდან გლეხების ძალად დაყმევების შემთხვევები, რომლებიც 1843 წელს მთელი იმპერიის მასშტაბით წარმოებული მსგავსი საქმეების 1/20-ს შეადგენდნენ, 1844 წელს კი — 1/18-ს. არაფრით არ იქნება გამართლებული, რომ მებატონეების მოთხოვნები დავიცვათ ისეთი საეჭვო სიზუსტის აქტით, როგორიც კამერალური აღწერაა, გლეხებს კი იმის საშუალებაც არ მივცეთ, საჩელი აღძრან ხელისუფლების საგანგებო ნებართვის გარეშე და ბოლოს, კავკასიის კომიტეტის ჟურნალში ისიც კი იყო ნათქვამი, რომ „საქმის არსის მიხედვით საკითხი შემდეგნაირად დგას: საჭიროა კი ახლა ხელი შეეუწყოთ საქართველოში ბატონყმობის განმტკიცება-გავრცელებას, თუ უმჯობესი იქნება აქაც მივსდიოთ შიდა გუბერნიებისათვის მიღებულ კურსს და ბატონებსა და გლეხებს შორის სწორი, ორივე მხარისათვის სასარგებლო ურთიერთობის დამყარებით, პირიქით შევამსუბუქოთ ბატონყმობა“[80].

---

[80] სცსსა, ფ. 4, ნ. I, საქ. 401, ფურც. 217.

ასეთი უარის მიღების შემდეგ ეორონცოვმა ეს საკითხი ახლა მთავარმართველობის საბჭოში დასვა, რათა აქ განხილული და სათანადოდ დასაბუთებული, კვლავ წარედგინა ნიკოლოზ I-თვის დასამტკიცებლად.

მთავარმართველობის საბჭოს სხდომის ოქმში პირდაპირ იყო ნათქვამი, რომ ბატონისა და ყმის ურთიერთობაში ადგილობრივი პოლიციური ხელისუფლების აქტიური ჩარევისა და გლეხობის წაქეზების გარეშე, რის წინააღმდეგ თავის დროზე საქართველოს პროკურორის მიერ ოფიციალური პროტესტიც კი იყო გამოთქმული, საქართველოში თავისუფლების ძიება ან საერთოდ არ იქნებოდა, ან თუ იქნებოდა, ძალიან უმნიშვნელო რაოდენობით. რუსეთთან შეერთებამდე საქართველოში მოქმედ კანონმდებლობაში არ იყო არც ერთი მუხლი, რომელიც კერძო მებატონის მიერ სახელმწიფო ანუ სამეფო ყმების მითვისებაზე მიუთითებდა. მემამულეების მხრიდან სახელმწიფო ყმების მითვისებას ადგილი არ ჰქონია რუსული მმართველობის დამყარების შემდეგაც. „მაშასადამე თავისუფლების ძიების სარჩელების აღძვრას მხოლოდ და მხოლოდ ახალი მმართველობის მოხელეთა მხრიდან ხელისშეწყობა განაპირობებს"[31]. მართალია, თავისუფლების ძიების საქმეების უმეტესობა გლეხობის სასარგებლოდ თავდება, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს, რომ სასამართლოს ყველა გადაწყვეტილება სწორია. თუ გავითვალისწინებთ, რომ მემამულე ვალდებულია ამა თუ იმ გლეხზე თავისი უფლების დასამტკიცებლად სასამართლოს საბუთი წარუდგინოს, ასეთი საბუთი კი იმ გაუთავებელი შემოსევების შემდეგ, რომელსაც საქართველო განიცდიდა, ძალიან იშვიათად ვინმეს თუ შერჩა. საბუთის არარსებობის შემთხვევაში კი გლეხისათვის საკმარისია მოწმეების ზეპირი ჩვენება, რომ მან თავისუფლება მოიპოვოს, ცხადი გახდება, რომ საქართველოში ბატონის მიერ სახელმწიფო გლეხის მითვისება საერთოდ არ არსებობს. არსებობს მხოლოდ ისეთი ყმა-მამული, რომელზედაც თავისი უფლების დასამტკიცებლად სახელმწიფო მემამულეს არარსებულ საბუთებს სთხოვს[32]. დაბოლოს მთავარმართველობა დასძენდა, რომ 1843, 1844, 1845 და 1846 წლებში საქართველოში თავისუფლების ძიების საქმეები აღრიცხული იყო 771, ამავე წლებში ბატონის მიმართ ყმის ურჩობის შემთხვევები დადასტურებული იყო 133[33]. ამის გამო მთავარმართველობა მიიჩნევდა,

31 სცსსა, ფ. 4, ან. I, საქ. 401, ფურც. 273.

32 იქვე, ფურც. 279.

33 იქვე, ფურც. 278.

რომ ქვეყანაში მშვიდობიანობის და კეთილდღეობის დასამყარებლად და მომავალში უწესრიგობის თავიდან ასაცილებლად აუცილებელია გადამწყვეტი ზომების მიღება გლეხობის მიერ თავისუფლების ძიების აღსაკვეთად[34].

ბოლოს და ბოლოს ვორონცოვმა 1849 წლის აგვისტოში მიაღწია იმას, რომ გამოიცა უმაღლესად დამტკიცებული დებულება, რომლის მიხედვითაც, „საბატონო გლეხს თავისუფლების ძიება შეეძლო მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ კი თვითონ ის წარადგენდა თავისი, თავისი მამის ან პაპის თავისუფლების დამამტკიცებელ საბუთს". საქმის საბოლოოდ გადაწყვეტამდე იგი ვალდებული იყო ბატონის სრულ მორჩილებაში ყოფილიყო[35]. რა თქმა უნდა, 1836 წლის კანონის ამგვარი შეცვლით გლეხს თავისუფლების ძიების ყოველგვარი შესაძლებლობა ესპობოდა.

ჩვენს მიერ მოტანილი საარქივო საქმე, გლეხობის მიერ თავისუფლების ძიებას რომ შეეხება, მრავალმხრივ არის საყურადღებო. აშკარად ჩანს და თვით ხელისუფლების წარმომადგენლებიც ვერ ახერხებენ იმის დამალვას, რომ საქართველოს რუსეთთან შეერთების დღიდან 40-იანი წლების დამლევამდე აქ გატარებული აგრარული კანონმდებლობა, კანონიერი თუ უკანონო გზებით სახელმწიფო ყმა-მამულის გამრავლებას ისახავდა მიზნად. თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ასეთი კანონმდებლობა ობიექტურად ქვეყნის შემდგომ სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას უწყობდა ხელს, ვინაიდან საბატონო გლეხის სახელმწიფო უწყებაში გადასვლა სრული თავისუფლებისაკენ გადადგმულ ნაბიჯს წარმოადგენდა.

ვორონცოვის ენერგიული მოღვაწეობის შედეგად მიღწეული 1849 წლის კანონი თავისუფლების ძიების შეწყვეტასა და გლეხობის თავადაზნაურობის მორჩილებაში ყოლას უზრუნველყოფდა, მაგრამ ქართველი თავადაზნაურობა გლეხობის ურჩობას კი არ უჩიოდა მხოლოდ, არამედ 1842 წელს მათი წინამძღოლის მიერ პოზენისადმი მირთმეულ თხოვნაში უკმაყოფილების ერთ-ერთი პუნქტი ისიც იყო, რომ ხაზინა ჯერ ისედაც დიდად ავიწროებდა მემამულეებს, ხოლო 1840 წლის 10 აპრილის რეფორმის თანახმად, სახელმწიფო ქონების პალატების დაარსების შემდეგ ამ პალატების ძირითადი საქმიანობა თავად-

---

34 სცსსა, ფ.4,ან. I, საქ. 401, ფურც. 274.

35 АКАК, т. X, № 41.

აზნაურობასთან ყმა-მამულის გარშემო ატეხილი დავის წარმოება არის, რითაც დიდ ზარალს განვიცდითო[36].

ვორონცოვის მიერ შემუშავებული პროექტის საფუძველზე, 1849 წლიდან თბილისისა და შემახიის სახელმწიფო პალატების ნაცვლად დაარსდა თბილისის სახაზინო ჭონებათა ექსპედიცია, რომელიც მეფისნაცვლის საერთო უფროსობას ექვემდებარებოდა და რომლის საქმიანობის სფეროც ერთხელ და სამუდამოდ მტკიცედ იყო განსაზღვრული.

ვორონცოვი, მართალია, კერძო მემამულეთა ჭონებას იცავდა ხაზინის მხრიდან ხელყოფისაგან, მაგრამ იგი არანაკლებ ზრუნავდა სახელმწიფო ყმა-მამულის მომრავლებაზეც. 1853 წელს საეკლესიო ყმა-მამულის სახელმწიფო უწყებაში გადაცემა, რის შედეგადაც ხაზინას შეემატა 46 150 სული და 72 053 მანეთის შემოსავალი, ვორონცოვის ინიციატივისა და ენერგიული მოქმედების შედეგი იყო.

დაბოლოს, საქართველოს მაღალი წოდების უკმაყოფილების მთავარი მიზეზი ის გარემოება იყო, რომ 1840 წლის 10 აპრილის რეფორმით ადგილობრივ სამმართველო აპარატში ქართველი მოხელეების რიცხვი უკიდურესად შეზღუდული, თითქმის სავსებით გაძევებული იყო. ქართველი თავადაზნაურობა 1842 წელს წარდგენილ თხოვნაში აცხადებდა, რომ ჯერ კიდევ ეკატერინე II-მ თავის მფარველობაში მიღების შემდეგ ქართველი თავადაზნაურობა ყველა უფლებასა და უპირატესობაში გაუთანაბრა რუსეთის მაღალ წოდებას. შემდეგში ეს პავლე I-სა და ალექსანდრე I-ის მანიფესტებითაც იყო დამტკიცებული. ყველა მათგანში უმთავრესი არის თავადაზნაურობის უფლება აირჩიოს თავისი წრიდან ღირსეული მოხელეები ამა თუ იმ თანამდებობაზე სამსახურისთვის. ქართველი თავადაზნაურობა ამ უფლებით სარგებლობდა მაშინაც კი, როდესაც მათ წრეში ძალიან ცოტა ვინმე თუ იცოდა ხეირიანი რუსული და რუსული საქმის წარმოებისა და სამართალწარმოებისა არაფერი გაეგებოდა რა. 1840 წლის რეფორმით კი ჩვენი ეს უმთავრესი უფლება უკიდურესად შეზღუდულია, რის გამოც უდიდეს ზარალს განვიცდითო[37]. ვორონცოვი, პასკევიჩისა და სხვა წინამორბედ მთავარმართებლებისაგან განსხვავებით, ყველაფერს აკეთებდა იმისათვის, რომ ადგილობრივი თავადაზნაურობა ფართოდ ჩაება სამოქალაქო თუ სამხედრო სამსახურში და კულტურულ

36 საქ. ცსსა, ფ. 7, ან. I, საქ. 401, ფურც. 2—21.
37 იქვე, ფ. 4, ან. 1, საქ. 401, ფურც. 2—4.

საქმიანობაში. ამ მიზნით ის მოსკოვში, პეტერბურგსა და იმპერიის სხვა ქალაქებში ყოველწლიურად სულ უფრო მეტი რაოდენობით აგზავნიდა წარჩინებული გვარის, თუ მდიდარი ვაჭარ-მოქალაქეების შვილებს, სახელმწიფო ხარჯზე უმაღლესი განათლების მისაღებად. 1851 წლისათვის ასეთ ახალგაზრდათა რიცხვი უკვე 160-ს უდრიდა[38]. იმპერიის უმაღლეს სასწავლებლებში სწავლადამთავრებული ახალგაზრდობის სამსახურში მოწყობა ხელისუფლების მოვალეობას შეადგენდა და XIX საუკუნის 50-იანი წლებისათვის საქართველოს ადმინისტრაციულ აპარატსა თუ კავკასიის კორპუსში მრავალი რუსი მოხელე ადგილობრივმა მკვიდრმა შესცვალა. მეფისნაცვალი გულმოდგინედ ადევნებდა თვალყურს მათ საქმიანობას და დროდადრო ხელმწიფეს აწვდიდა ცნობებს მათ შესახებ. იმის საილუსტრაციოდ, თუ როგორ უყურებდა ვორონცოვი ადგილობრივი თავადაზნაურობის სამსახურს სამოქალაქო თუ სამხედრო სარბიელზე, ვფიქრობთ, ინტერესს მოკლებული არ იქნება მოვიტანოთ რამდენიმე ნაწყვეტი მისი კერძო წერილებიდან. აი, რას სწერდა ვორონცოვი 1846 წელს ერმოლოვს: „... შენ წერილში გაოცებასა და აღშფოთებას გამოსთქვამდი გიორგი ერისთავის გენერალ-ლეიტენანტის ჩინზე წარდგენის გამო და მეკითხებოდი თუ რატომ მოვიქეცი ასე. უნდა ვაღიარო, რომ მე წარვადგინე იგი და მზადა ვარ კიდეც გიპასუხო, რატომ გავაკეთე ეს. ერისთავი ხანდაზმული და პატივცემული მსახურია რუსხელმწიფისა. ის საქართველოს ერთ-ერთი პირველი გვარისშვილია, ღმერთმა უწყის, უკვე რამდენი წელია მსახურობს გულმოდგინედ და მამაცად (ის პოლკოვნიკის ჩინში მე ჯერ კიდევ 1803 წლიდან მახსოვს), დამსახურებული აქვს საყოველთაო პატივისცემა, უკვე რამდენი წელიწადია, გენერალ-ლეიტენანტად წარსადგენ სიაში პირველია და ყოველ წელიწადს გვერდს უვლიან. მის მაგივრად ისეთებს აწინაურებენ, რომლებიც მასთან შედარებით გუშინდელი ბავშვები არიან და რომელთა დამსახურება არავისთვის არ ჭირს ცნობილი: როცა აწინაურებენ ვინმე ბიბიკოვს, რომელიც 10 წლის განმავლობაში ავიწროვებს და აჩანაგებს სამ გუბერნიას, ან როცა აწინაურებენ შუბერტს, რომელიც 30 წლის განმავლობაში საერთოდ არაფერს არ აკეთებს, რატომ ჭრ უნდა დავწინაუროთ პატივცემული მოხუცი თავადი ერისთავი. განა მხოლოდ იმიტომ, რომ ერთი შენი კეთილი ნაცნობი (იგულისხმება პასკევიჩი. — ე. ო.) გაბრაზებულია მასზე თავრიზის აღების გამო. არა, ჩემო

[38] АКАК, т. X, № 897.

კარგო ალექსი პეტრეს ძევ, მე მიმაჩნია, რომ ასეთი წარდგინების დროს ერისთავისათვის გვერდის ავლა უსამართლობა იქნებოდა, რომ მისი დაწინაურება სასიამოვნო იქნება მთელი საქართველოსათვის, მთელი არმიისათვის"...[39] კიდევ უფრო საინტერესოა ვორონცოვის მიერ ერმოლოვისათვის მიწერილი წერილი, სადაც მოხსენებული არიან გენერალ-ლეიტენანტი ჭილაშვილი, პოლკოვნიკი ერისთავი, გენერალი არღუთინსკი და გრიგოლ ორბელიანი. აი, ეს ნაწყვეტიც: „ბევრი საქმე მქონდა ლეკის ხაზის ახალ უფროსთან, გენერალ-მაიორ ჭილაშვილთან და ცენტრის უფროსთან პოლკოვნიკ ერისთავთან. ეს უკანასკნელი ძალიან ახალგაზრდაა იმისათვის, რომ შენ იცნობდე. იგი ყოველმხრივ შესანიშნავი ადამიანია და დიდსა და პატარა ყაბარდოს ასეთი უფროსი ჯერ არა ჰყოლია. თავად არღუთინსკის რაც უფრო ვეცნობი, მით უფრო ვაფასებ მის მიერ მხარის ზედმიწევნით ცოდნასა და მის ნიჭს როგორც სამხედრო, ისე ადმინისტრაციულ საქმეებში. საშოქალაშო მმართველობის ხაზით მას ჰყავს კარგი თანაშემწე, დარუბანდის გუბერნატორი, ყოფილი ჩემი ადიუტანტი თავადი გაგარინი, სამხედრო ხაზით კი შარშან მის რამდენიმე საუკეთესო პოლკოვნიკს გენერალ-მაიორობა უბოძეს, მე ვთვლი, რომ მათ შორის ყოველმხრივ პირველი არის თავადი გრიგოლ ორბელიანი"[40]. გრიგოლ ორბელიანის პიროვნება არავითარ კომენტარს არ საჭიროებს, ამ ნაწყვეტში მოხსენებული პოლკოვნიკი ერისთავი კი გიორგი იესეს ძე ერისთავის შვილი ზაქარია ერისთავი, დიდად განათლებული პიროვნება გახლდათ, რომელიც ორმოციანი წლების დასაწყისში ზაქარია ფალავანდიშვილთან, დიმიტრი ყიფიანთან და მიხეილ თუმანიშვილთან ერთად ზრუნავდა თბილისში კერძო საჯარო ბიბლიოთეკის დაარსებისათვის[41]. 1849 წელს კი, როგორც ამ წერილიდან ჩანს, იგი უკვე ყაბარდოს უფროსია და ვორონცოვის ქება აქვს დამსახურებული. სამწუხაროდ, ზაქარია ერისთავი უკვე 1850 წელს, ლეკებთან შეტაკებაში დაიღუპა, რაზედაც ვორონცოვი დიდ გულისტკივილს გამოთქვამდა[42].

ასეთი მოპყრობითა და ზემოთ ჩამოთვლილი კანონების განხორციელების შედეგად ვორონცოვმა ქართველი თავადაზნაურობის უდიდესი ნაწილის მადლიერება დაიმსახურა.

---

39 Письма кн. М. С. Воронцова..., с. 194—195.

40 იქვე, გვ. 342—343.

41 მ. ბერძენიშვილი, მასალები XIX ს-ის პირველი ნახევრის ქართული საზოგადოებრიობის ისტორიისათვის, თბილისი, 1980, გვ. 75, 228.

42 Письма кн. М. С. Воронцова..., с. X.

არანაკლები ყურადღება მიაქცია ვორონცოვმა საქართველოში კაჭრობის განვითარებასა და ვაჭართა ფენის უფლებების მოგვარების საკითხს. ვორონცოვის მეფისნაცვლად დანიშვნის პერიოდში ამიერკავკასიაში, ისევე როგორც მთელს იმპერიაში, ამკრძალავი, პროტექციონისტული ტარიფი მოქმედებდა, მაგრამ ამ ხანისთვის უკვე აშკარა იყო, რომ ამკრძალავი ტარიფის შემოღებით რუსეთმა სასურველ შედეგს ვერ მიაღწია. მან ამიერკავკასიის ბაზრები თავისთვის „ჩაკეტა“, მაგრამ მრეწველობის განვითარების დაბალი დონის გამო ამ ბაზრების თავისი საქონლით უზრუნველყოფა ვერ მოახერხა და ეს უკანასკნელი კონტრაბანდული და ირანული საქონლით გაივსო, რუსეთ-ირანის ვაჭრობა კი თითქმის სავსებით შეწყდა. კონტრაბანდული ვაჭრობის გავრცელებას მხარისათვის მავნე შედეგი მოჰქონდა. ვაჭრობა უმთავრესად წვრილი სპეკულანტების ხელში გადადიოდა, გაძნელდა ფულადი კაპიტალის დაგროვება და სხვა. ყოველივე ამის გამო 40-იანი წლების დასაწყისში მეტროპოლიაში მწვავედ იდგა ამიერკავკასიის სავაჭრო სისტემის გადასინჯვის საკითხი.

ახლადდანიშნულმა მეფისნაცვალმა ამიერკავკასიის სავაჭრო სისტემის საკითხის გარშემო გამართულ კამათში სრულიად შეურიგებელი პოზიციები დაიჭირა. იგი საერთოდ თავისუფალი ვაჭრობის მომხრე იყო, მას თავის დროზე ოდესაში პორტო-ფრანკო ჰქონდა დაწესებული და ამიერკავკასიაში ვაჭრების სრული თავისუფლების გარეშე ამ მხარის პოლიტიკური მშვიდობისა და სანიტარული უშიშროების უზრუნველყოფა შეუძლებელად მიაჩნდა. იგი აღნიშნავდა, რომ მფარველობითმა ტარიფმა სულაც არ დაუახლოვა ამიერკავკასიის მხარე რუსეთს. სავსებით ჩამოაშორა იგი ევროპას და მჭიდროდ დაუკავშირა მეზობელ მაჰმადიანურ ქვეყნებს და ეს მაშინ, როდესაც შამილს აღმართული აქვს წინასწარმეტყველის დროშა დაღესტანში, როცა მაჰმადიანები ღელავენ ამიერკავკასიის სამხრეთ ოლქებშიც. აქ საშიშია არა ევროპული თავისუფალი აზროვნება, არამედ აზიური უმეცრებაო[43]. დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ვორონცოვი ტრანზიტის გახსნასაც, რა თქმა უნდა, ამიერკავკასიაში ტრანზიტის გახსნისთანავე ტრაპიზონში წარმოებული ვაჭრობა აქეთ არ გადმოინაცვლებდა, მაგრამ რედუტკალე-თბილის-თავრიზის გზა იმდენად უფრო მოსახერხებელი იყო ტრაპიზონ-ერზერუმის გზასთან შედარებით, რომ იგი რწმენას გამოსთქვამდა, რომ ადრე თუ გვიან ამ ვაჭრობის ნაწილი აუცილებლად დაუბრუნდე-

[43] ЦГИА СССР, ф. 560, оп. 22, д. 112, л. 220—223.

ბოდა ამიერკავკასიას. ვორონცოვი დარწმუნებული იყო, რომ ამიერკავკასიაში მოქმედ მფარველობით ტარიფს ზიანი მოჰქონდა თვით იმპერიის მრეწველობა-ვაჭრობისათვის; მით უმეტეს მავნებელი და ძნელად შესასრულებელი იყო იგი ამიერკავკასიაში, რომლის თურქეთ-ირანთან საზღვრების დაცვა ისე, რომ აქედან კონტრაბანდა და მასთან ერთად საშიში გადამდები დაავადებანი არ შემოჭრილიყო, საერთოდ შეუძლებელი ჩანდა. იგი მოითხოვდა 1821 წელს დაწესებული შეღავათების აღდგენას ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე. ვორონცოვი აღნიშნავდა, რომ შეღავათებმა გამოაცოცხლა ქვეყანა, ამაღლდა მისი კეთილდღეობა, გაუმჯობესდა პირობები მოსახლეობის ყველა კლასისათვის და თუ მრეწველობა ვერ დაწინაურდა, ამის მთავარი მიზეზი ის იყო, რომ ასეთი ღონისძიებების მხოლოდ 10 წლით განსაზღვრა თავისთავად ხელისშემშლელი გარემოება იყო რაიმე მნიშვნელოვანი სავაჭრო, ან სამრეწველო საქმეების წამოსაწყებადო.

ვორონცოვი აღნიშნავდა, რომ ამიერკავკასია რუსეთიდან წლიურად მხოლოდ 2,5 მილიონ მანეთის საქონელს იღებდა. შეღავათების დაწესების შემდეგ მრავალი რუსული საქონელი ისევ შემოვიდოდა და იმპერია სულაც არ დაზარალდებოდა. ამჟამად კი კონტრაბანდული ვაჭრობის გაფართოების წყალობით კავშირი მოსკოვსა და ნიჟნი-ნოვგოროდთან შესუსტებულია. გამქრალია საუკეთესო სავაჭრო სახლები, ვაჭრობა უმთავრესად კონტრაბანდისტების ხელში არის გადასული. კონტრაბანდული ვაჭრობა, გარდა იმისა, რომ ნორმალურ სავაჭრო ბრუნვას უშლის ხელს, ეპიდემიური ავადმყოფობების გავრცელებას საშიშროებას ქმნისო. ამ უკანასკნელ ფაქტორს ვორონცოვი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა, მით უმეტეს, რომ ამიერკავკასიაში შავი ჭირის შემოჭრის შემთხვევაში იმპერიის შიდა გუბერნიებიც არ იყო დაცული ამ ავადმყოფობის გავრცელებისაგან. ვორონცოვის აზრით, ამიერკავკასიის მდგომარეობა ძოითხოვდა არსებულ სავაჭრო სისტემის ძლიერ, კარდინალურ ცვლილებებს და არა ნაწილობრივს. ვაჭრობის გასანვითარებლად იგი საჭიროდ სცნობდა ამიერკავკასიაში შემოტანილ ყოველგვარ უცხოურ საქონელზე ბაჟი დაეწესებინათ მისი ღირებულების მხოლოდ 5%-ის რაოდენობით და მთავარი საბაჟო ხაზი თერგ-ყუბანზე გადაეტანათ. მეფისნაცვალს ღრმად სწამდა, რომ შეღავათების აღდგენის შედეგად საქართველოს ვაჭრობა სწრაფად აღორძინდებოდა, აღებ-მიცემობა კვლავ საიმედო ხელში გადავიდოდა, რუსული საქონლის გასაღება თითქმის სრულებით არ შეფერხდებოდა, ამიერკავკასია გამოცოცხლდებოდა და გამდიდრდებოდა, დამყარდე-

ბოდა ყველგან კანონიერი ვაჭრობა, რაც ხელს შეუწყობდა ამ მხარის საერთო კეთილდღეობას, ვინაიდან ადგილობრივი მოსახლეობის მოქმედებებსა და მისწრაფებებს სავაჭრო და მშვიდობიანი ურთიერთობისკენ მიმართავდა. წინააღმდეგ შემთხვევაში, სავაჭრო სისტემის უცვლელად დატოვებით, ან სანახევრო ღონისძიებების მიღებით ვერ მიაღწევდნენ ვერც ერთ სასურველ შედეგს. ვაჭრობა კვლავ სპეკულანტების ხელში დარჩებოდა, კონტრაბანდა გაძლიერდებოდა, ხოლო რუსული ნაწარმის გასაღება თანდათან უფრო უმნიშვნელო შეიქმნებოდა და რაც მთავარია, უკანონო ვაჭრობას მიჩვეული მოსახლეობა, განსაკუთრებით სასაზღვრო მაჰმადიანური პროვინციებისა, სულ უფრო და უფრო შეეჩვეოდა კანონების შეუსრულებლობას და კიდევ უფრო მეტად დაივიწყებდა მშვიდობიან ჩვეულებსა და მორჩილებას[44].

ამიერკავკასიის სავაჭრო სისტემის შესახებ ვორონცოვის ამგვარმა პოზიციამ პეტერბურგისა და მოსკოვის ვაჭარ-ბრეწველებს შორის დიდი შეშფოთება გამოიწვია. „შენმა სურვილმა დააარსო ამიერკავკასიაში თავისუფალი ვაჭრობა, აქ დიდი შეშფოთება გამოიწვია; შენი კანცელარიის დირექტორის პეტერბურგში ჩამოსვლითაც კი შეშინდნენ. რადგანაც ყველა დარწმუნებულია, რომ არამც თუ შენ წარდგინებას, არამედ შენ აზრებსაც კი არასოდეს უმცირესი წინააღმდეგობაც არ ხვდება“[45], სწერდა ვორონცოვს ერმოლოვი. მაგრამ ამჯერად ვორონცოვმა არამც თუ ევროპის ქვეყნებთან თავისუფალი ვაჭრობის დაწყებას, არამედ მფარველობითი ტარიფის საგრძნობლად შემსუბუქებასაც კი ვერ მიაღწია. მთავარი არგუმენტი, რომელიც საქართველო-ამიერკავკასიაში თავისუფალი ვაჭრობის დაწესების მოწინააღმდეგეებმა გამოიყენეს, ძირითადი საბაჟო ხაზის თერგ-ყუბანზე გადატანა და, მათი აზრით, აქედან გამომდინარე შედეგი — ამ მხარის იმპერიისაგან საზღვებით ჩამოშორების საშიშროება იყო. იმპერატორისადმი მირთმეულ მოხსენებით ბარათში, სადაც ჩამოთვლილი იყო ამიერკავკასიაში თავისუფალი ვაჭრობის დაწესებიდან გამომდინარე უარყოფითი მხარეები, ზემოხსენებული არგუმენტის გასწვრივ ხელმწიფემ საკუთარი ხელით მიაწერა: „С этого следовало начать[46]. ამის გამო 1845 წლის 14 დეკემბერს გამოსული დებულებით, მართალია, ევროპული საქონლის უბაჟო ტრანზიტი რედუტ-კალე-სოხუმის ნავსადგურებით თბილის —

---

44 სცსსა, ფ. 4, ან. 5, საქ. 168, ფურც. 352.

45 Письма кн. М. С. Воронцова..., с. 202.

46 სცსსა, ფ. 4, ან. 3, საქ. 167, ფურც. 155—156.

ნახევანის გავლით ირანში და პირუკუ ნებადართული იყო, მაგრამ თვით საქართველო-ამიერკავკასიაში შემოტანილ ევროპულ საქონელზე ბაჟი ისეთი უმნიშვნელო რაოდენობით იყო შემცირებული, რომ ამ დებულებას არავითარი გავლენა არ მოუხდენია ამიერკავკასიის საგარეო ვაჭრობაზე. მაგრამ ვორონცოვს ამის შემდეგაც არ დაუყრია ფარხმალი და მისი ენერგიული მოღვაწეობის შედეგად 1850 წელს მთელს რუსეთში შემოღებული ანტიპროტექციონისტული საიმპერიო ტარიფი ამიერკავკასიაში დამატებითი შეღავათებით გატარდა.

1850 წელი საქართველოს ვაჭრობის გარდატეხის ხანაა. ამ დროიდან ბაჟების შემცირებამ არა მარტო ევროპული საქონლის იმპორტი გააძლიერა, არამედ ექსპორტის ზრდასაც შეუწყო ხელი და საქართველო თავისი ნედლეულით თანდათანობით მსოფლიო საქონელთბრუნვაში ჩააბა.

ვაჭრობის განვითარებისათვის ხელშეწყობის მიზნით ვორონცოვი სავაჭრო-სამიმოსვლო გზების შეკეთებაზეც დიდად ზრუნავდა. მან პირველ რიგში განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია თბილისის რედუტკალესთან და სოხუმთან დამაკავშირებელი გზის შეკეთებას, რაც თბილის-ოდესის სავაჭრო გზის გახსნას ნიშნავდა. მეფისნაცვლის თბილისში ჩამოსვლის დროისათვის ეს გზა იმდენად სავალალო მდგომარეობაში ყოფილა, რომ როგორც თვითონ ვორონცოვი აღნიშნავდა, ოდესიდან ოქტომბერში გამოგზავნილ მის ნივთებს, დიდად დაზიანებულს, აპრილში ძლივს მოუღწევია თბილისამდე. „თუ ჩემი ნივთების ჩამოტანა ასე გაჭირდა, წარმომიდგენია, რა დღეში უნდა იყვნენ კერძო პირები და ვაჭრები“[47], დასძენდა იგი.

მის დროს მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა საქართველოს სამხედრო გზა, გაყვანილ იქნა ახალი შოსე გუდამაყრის ხეობაში ჯვრის უღელტეხილის მოვლით, დაიწყეს ოსეთის გზის გაყვანა, რომელიც ქართლს უშუალოდ აკავშირებდა იმიერკავკასიასთან, თერგზე აგებდნენ ხიდებს და სხვ.

თბილისის მოსახლეობისა და სავაჭრო ოპერაციების სწრაფი ზრდის შედეგად აუცილებელი შეიქნა სასამართლოს დაარსება, რომელიც ვაჭრებისა და ვაჭრობასთან დაკავშირებულ საქმეებს განიხილავდა და ასე თუ ისე მოაწესრიგებდა ვაჭრების უფლება-მოვალეობებს, 1853 წელს ვორონცოვის მოთხოვნის შედეგად თბილისში გაიხსნა კომერციული სასამართლო, რომელსაც თამასუქების და სავაჭრო ხელ-

---

47 Письма кн. М. С. Воронцова.., с. 197—198.

შეკრულებების ირგვლივ აღძრული საქმეები უნდა განეხილა. სასამართლოს თავმჯდომარესა და უფროს წევრს მთავრობა ნიშნავდა, სამ წევრს კი ვაჭრები ირჩევდნენ თავიანთი წრიდან. კომერციული სასამართლო ადგილზევე საბოლოოდ სწყვეტდა 2000 მანეთამდე სარჩულის საქმეებს, უფრო მეტი თანხის საქმეებზე კი მომჩივანს სენატში კასაციის უფლება ეძლეოდა.

ვორონცოვი დიდ ყურადღებას უთმობდა მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის განვითარებასაც. მის დროს, მისი დიდი მზრუნველობის შედეგად აღმოჩენილი იყო ტყიბულის ქვანახშირის საბადო და დაიწყო მისი დამუშავება; სოფლის მეურნეობის განვითარების მიზნით მეფისნაცვალი საზღვარგარეთიდან იწერდა სანიმუშო სასოფლო-სამეურნეო მანქანა-იარაღებს; მარცვლეულის მეურნეობაში ფეხი მოიკიდა ნოვოროსიისკიდან ჩამოტანილმა ხორბლის ჯიშმა — არნაუტკამ; მებაღეობა-მევენახეობის განვითარებისათვის ხელის შესაწყობად გაშენებული იყო სახელმწიფო სანერგეები სოხუმში, ბიჭვინთაში, გაგრაში, ოზურგეთში, ფოთში, ქუთაისში, თბილისში და სხვ. სანერგეებში მუშაობდნენ სპეციალურად განსწავლული დაქირავებული მებაღეები. ზღვის სანაპირო ზოლში მდებარე სანერგეებში აშენებდნენ ტრაპიზონიდან გამოწერილ ციტრუსოვან კულტურებს, ეგზოტიკურ მცენარეებს. ყველა სანერგეში მუდმივად ჰქონდათ და მსურველებს უფასოდ ურიგებდნენ ვორონცოვის მიერ ყირიმში გაშენებული ბაღ-ვენახებიდან ჩამოტანილ საუკეთესო ჯიშის ვაზებს და სხვ.

მაგრამ საქართველოს შემდგომი განვითარებისათვის ყველაზე დიდი მნიშვნელობა ჰქონდა კულტურულ-საგანმანათლებლო სფეროში ვორონცოვის მოღვაწეობას. მას ღრმად სწამდა, რომ იმ მიზნის განსახორციელებლად, რომელსაც მეფის რუსეთი ავალებდა საქართველოში მოვლენილ მეფისნაცვალს — ქვეყნის ათვისებისა და იმპერიასთან საბოლოო შერწყმისათვის — გადამწყვეტი მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა მოქნილი პოლიტიკის წარმოებას: ადგილობრივად დაარსებულ სკოლებში, თუ იმპერიის ორივე დედაქალაქსა და სხვა ქალაქებში გაგზავნილი ქართველი ახალგაზრდობის რუსულ ყაიდაზე აღზრდას და მათ ფართოდ ჩაბმას სამსახურსა და კულტურულ საქმიანობაში; იგი დარწმუნებული იყო ქართველი ხალხის გულის მოსაგებად და საბოლოოდ გადმოსაბირებლად ისეთი ღონისძიებების გატარების აუცილებლობაში, როგორიც იყო გაზეთების, თეატრის, ბიბლიოთეკის და სხვა მსგავსი დაწესებულებების დაარსება-გახსნა. ამ მხრივ მიმართული საქმიანობის ჟამს მეფისნაცვალს ერთი წუთითაც კი არ დავიწყებია ის მთა-

ვარი მიზანი, რომელსაც მეფის ხელისუფლება უსახავდა მას. აკი სამსახურიდან გადადგომის ჟამს მოახსენებდა კიდეც ვორონცოვი ხელმწიფეს, რომ მე გულმოდგინედ შევასრულე ყველა თქვენი დავალება იმისათვის, რომ მრავალერიანი კავკასიის შერწყმა და შესისხლხორცება რუსეთთან განხორციელებული ყოფილიყო[48]. ეს გარემოება არც მაშინდელ ქართველ საზოგადოებას დარჩენია შეუნიშნავი. საინტერესო დახასიათებას აძლევს ვორონცოვსა და მის ხანას 1832 წლის შეთქმულების ერთ-ერთი აქტიური მონაწილე ალექსანდრე (პუპლია) ორბელიანი: „დრო ვარანცოვისა საქართველოში... სულ სხვაგვარი მოსატყუებელი დრო იყო ჩვენი ვარანცოვისაგან. ბევრის კაიკაცობის ალერსითა მითომ კაიკაცობას გვიჩვენებდა, ნამდვილად... ვინც რუსეთის ინტერესებზე იქცეოდა, ამასთან ხელგაშლილი, ჩინებს და სხვა ჯილდოს იძლეოდა, თან ბევრი შექცევა და განცხრომა ჰქონდა ხოლმე, სადაც აღტაცებულის სიხარულით თ. გიორგი ერისთავის კომედიებს წარმოადგენდნენ თვით გიორგი ერისთავის ზედამდეგობით და ქართულ ჟურნალსა „ცისკარსაც“ გიორგივე გამოსცემდა და კიდევ რამდენი რამ ძოიგონა ვარანცოვმა ჩვენი ძოსატყუებელი. ქართველებს ასე ეგონათ საქართველოში სულ ეს ამბავი ასე დარჩებოდა. იმისთანა ჯილდოები, იმისთანა განცხრომა-შექცევანი, იმისთანა თიატრ-ლიტერატურობა, იმისთანა თავისუფლებანი და ამიტომ ვარანცოვის სახელს ადიდებდნენ — ეს რა ღვთიური კაცი მოგვივიდაო“[49]. მაგრამ ასეთი დახასიათების მიუხედავად, ვორონცოვის „განმანათლებლურ“ პოლიტიკას ობიექტურად არ შეიძლებოდა დადებითი შედეგებიც არ მოჰყოლოდა და იმდროინდელი საზოგადოების პროგრესული ნაწილის ეროვნული თვითშეგნების ჩამოყალიბება-განვითარებაზე კეთილისმყოფელი გავლენა არ მოეხდინა. მარტო ის რათა ღირს, რომ თბილისში, ვორონცოვის კარზე, რომელიც სიძველეების დაცვა-აღდგენისა და მეცნიერების ამა თუ იმ დარგის მეცნიერებას ჩემულობდა, მუდმივად იმყოფებოდნენ იმ დროისათვის ისეთი გამოჩენილი მეცნიერ-ხელოვანნი, როგორიც იყვნენ: საქართველოს საეკლესიო ძეგლების შესახებ ცნობების შესაგროვებლად ჩამოსული ანდრია ნიკოლოზის ძე მურავიოვი, ცნობილი ორიენტალისტი ნიკოლოზ ვლადიმერის ძე ხანიკოვი, პრო-

---

48 АКАК, т. X, № 875.

49 ციტირებულია მ. ბერძნიშვილის ნაშრომის მიხედვით: „ნასალები XIX საუკუნის პირველ ნახევრის ქართული საზოგადოებრივობის ისტორიისათვის“, წიგნი II, გვ. 128.

ფესორი აბიხი, ნუმიზმატი ივანე ალექსის ძე ბარტოლომეი, რუსი მწერალი გრაფი სოლოგუბი, თავადი გრიგოლ გაგარინი, შემდგომში საჭხატერო აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, მან ნაწილობრივ აღადგინა და ნაწილობრივ ახლად მოხატა თბილისის სიონის ფრესკები, მავრიტანულ სტილში მოხატა ახლად აგებული თეატრის შესანიშნავი შენობა, რომელიც, სამწუხაროდ, მალე დაიწვა. ვორონცოვის აქტიური ხელშეწყობით გახდა შესაძლებელი მარი ბროსესათვის უკვე 17 წლის მანძილზე განუხორციელებელ ოცნებად ქცეული მოგზაურობა საქართველოში[50]. ვორონცოვმა არა მარტო დააკმაყოფილა მარი ბროსეს თხოვნა გორის მაზრის მოხელე ვინმე დიმიტრი მეღვინეთხუცესიშვილის თბილისის, გორის და სიღნაღის მაზრებში ისტორიულ სიძველეთა გარშემო ცნობების მოსაგროვებლად გაგზავნის შესახებ, არამედ მტკვრისა და ჭოროხის სათავეებში არქეოლოგიური კვლევა-ძიების საწარმოებლად თანხებიც კი გამოყო[51]. შემდგომში, როცა ვორონცოვი გაეცნო მეღვინეთხუცესიშვილის წარმოდგენილი მოგზაურობის ანგარიშს, მსგავსი დავალება უკვე თვითონაც მიუცია. კერძოდ, როგორც მეღვინეთხუცესიშვილი სწეოდა მარი ბროსეს, უფლისციხის ნახვით აღფრთოვანებულ მეფისნაცვალს დიმიტრისათვის ამ ღირსშესანიშნავი ძეგლის აღწერილობის შედგენა და მისი ხედების გადაღება დაუვალებია, რომელიც შემდეგ მეცნიერებათა აკადემიის ბიულეტენში დაიბეჭდა[52].

დიმიტრი მეღვინეთხუცესიშვილსაც დაავალა ვორონცოვმა დახმარებოდა გიორგი ერისთავს ქართული თეატრის მოწყობაში, რომლის აღორძინებაც, რა თქმა უნდა, მეფისნაცვლის აქტიური ხელშეწყობის გარეშე წარმოუდგენელი იყო[53]. აი, როგორი აზრისა იყო ვორონცოვი ქართული თეატრის აწმყოსა და მომავალზე: „პირველი რუსული თეატრალური წარმოდგენა 1750 წლის იანვარში შედგა, თამაშობდნენ კადეტები; ქართული კი ზუსტად ასი წლის შემდეგ, მაგრამ იმ განსხვავებით, რომ რუსული თეატრი თავისი დაარსების დღიდან 50 წლის შემდეგაც ძალიან ცუდი იყო, მხოლოდ დიდი ხანი არაა, რაც გადაიღგა სწრაფი ნაბიჯები მსახიობების თამაშის გაუმჯობესებისაკენ. ქართული თეატრი კი სულ თავიდან არამც თუ კარგი, არამედ საუკეთესო არ შეიძლება არ განგვაცვიფროს აქაური უმაღლესი გვარიშვილების

---

[50] Г. Буачидзе, Мари Броссе — Тбилиси, 1983, с. 176.

[51] იქვე, გვ. 246, 250.

[52] Г. Буачидзе, Мари Броссе; მ. ბერძნიშვილი, მასალები XIX ს-ის..., წიგნი II, გვ. 103.

[53] იქვე.

არაჩვეულებრივმა ნიჭიერებამ, მათ მიერ ყველა როლების გაგებამ და შესრულებამ. ეს საქმე სწრაფად წავა წინ და ძალიან სასარგებლო იქნება მორალური თვალსაზრისითაც"[24].

ვორონცოვის დროს მჩქეფარე ცხოვრებით გამოწვეული ცვლილებები განსაკუთრებით თბილისს დაეტყო. როგორც თანამედროვეები აღნიშნავდნენ, თბილისი მათ თვალწინ დღითიდღე იცვლიდა გარეგნულ იერს და სულ უფრო და უფრო ემსგავსებოდა ევროპის ქალაქებს. ტალახიანსა და ულაზათო ერევნის მოედანზე, რომელიც მანამდე მორების საწყობად იყო გამოყენებული, ელვის სისწრაფით წამოიმართა არაჩვეულებრივად კოხტად მოწყობილი თეატრისა და მაღაზიების ორსართულიანი შენობა. ამ თეატრში რუსული სპექტაკლების გარდა იტალიურმა ოპერამაც დაიდო ბინა და პირველი ქართული დასიც აქ ჩამოყალიბდა. მოხდენილი შენობები აშენდა თბილისის საქალაქო პოლიციის, მთავარმართველობის საბჭოს, საჯარო ბიბლიოთეკის და მეფისნაცვლის კანცელარიის ტიპოგრაფიისათვის. ქალაქის გარეუბნებთან — კუკიასა და ავლაბართან დამაკავშირებელი ხიდის აგების შემდეგ, რომელსაც ვორონცოვის პატივსაცემად „მიხაილოვსკის" ხიდს უწოდებდნენ, მტკვრის მარცხენა სანაპიროზე მთელი უბნები გაშენდა ევროპულ ყაიდაზე მოწყობილი სახლებით. ერევნის მოედნიდან დაწყებული, ზევით, სოლოლაკის ხევის გასწვრივ გაშენებული დიდებული ბაღები უღვთოდ იკაფებოდა. მათ ადგილს ორ-სამ სართულიანი საცხოვრებელი სახლები იჭერდნენ. უწინდელი ბანიანი სახლები, საიდანაც ყოველ საღამოს გაისმოდა ზურნა-დუდუკისა და ცეკვა-თამაშის ხმები, კრამიტითა და თუნუქით გადახურულმა სახლებმა შესცვალა. ასევე იცვლიდა იერს სახლების შინაგანი მორთულობაც. ფარდაგადაფარებული, მუთაქიანი ტახტების ადგილს ოდესიდან ჩამოტანილი საზღვარგარეთული ავეჯი იკავებდა. თანდათანობით იცვლებოდა ჩაცმულობაც: ქართველი ქალების თავსაკრავებს, ლეჩაქებსა და ქართულ გულისპირიან კაბებს აღარ სჯერდებოდნენ და ოდესიდან და პარიზიდან ჩამოსულ „მოდისტკებთან" ევროპულ ყაიდაზე იმოსებოდნენ[55].

ვორონცოვის მეუღლის მიერ მოწყობილ ბალ-მასკარადებზე, რომლებიც კვირაში ერთხელ იმართებოდა, მართალია, მეფისნაცვალი პარადად იშვიათად ესწრებოდა, მაგრამ მარიამ ერისთავისა და მანანა

---

[54] Письма М. С. Воронцова..., с. 354—355.

[55] Дондуков-Корсаков. Воспоминания..., кн. V, с. 212, кн. VI, с. 167—168; Щербинин М. П. Биография.., с. 258—259.

ორბელიანის სალონებში თითქმის ყოველდღიურად დადიოდა, რაც მას საშუალებას აძლევდა ქართველი თავადაზნაურობის განწყობილება მუდმივად სცოდნოდა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საერთოდ ვორონცოვს ქართულ წარჩინებულ საზოგადოებასთან მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდა და ყოველნაირად ცდილობდა მათ გულის მოგებას.

1854 წლის დამდეგს მძიმედ დაავადებულმა მეფისნაცვალმა შერყეული ჯანმრთელობის გამოსასწორებლად რამდენიმე თვით სამსახურიდან განთავისუფლება ითხოვა, მაგრამ მალე მიხვდა, რომ მუშაობას საერთოდ ვეღარ შესძლებდა და საბოლოოდ გადადგა. „... შენ ალბაღ კარგად გაიგებ იმ ღრმა მწუხარებას, რომელიც მე დამეუფლა ჩემთვის აგრერიგად საყვარელ საქართველოსთან განუსაზღვრელი დროით, ან ვინ იცის, სამუდამოდ განშორების გამო“, სწერდა იგი თავისი კანცელარიის გამგეს[56].

X

როგორც ვხედავთ, 40-იანი წლებისათვის მეფის რუსეთი იძულებული იყო გარკვეულ დათმობებზე წასულიყო ქართველ თავადაზნაურობასთან. ეს დათმობა ერთი მხრივ შამილის გამოჩენითა და შიურიდიზმის აღმოცენებით იყო გამოწვეული, მეორე მხრივ, კი აშკარა გახდა, რომ საქართველოს უმაღლესი წოდება ისეთ ძალას წარმოადგენდა, რომლისთვისაც ანგარიშის გაწევა იყო საჭირო.

საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ 40-იან წლებამდე ხელისუფლების მიერ გატარებული აგრარული პოლიტიკა ზღუდავდა თავადაზნაურობის უფლებებს და გლეხობას უადვილებდა თავისუფლების ძიებას, 40-იანი წლებიდან აგრარული კანონმდებლობა ბატონყმობის განმტკიცებისკენ იყო მიმართული.

40-იანი წლებიდან მეფის რუსეთი იძულებული გახდა უარი ეთქვა უხეშად წარმოებულ აშკარა რუსიფიკატორულ პოლიტიკაზე და იმავე მიზნის მისაღწევად ფარული, მოქნილი ხერხებისათვის მიემართა. ამ მხრივ ვორონცოვის მმართველობა გარდატეხის ხანას წარმოადგენდა. მისი მმართველობის პერიოდში, ერთიმეორის მიყოლებით, ზედიზედ იყო გაუქმებული ყველა ის უხეირო ღონისძიება, რასაც 1840 წლის 10 აპრილის სამოქალაქო რეფორმა ითვალისწინებდა. ამიერკავკასიის სავაჭრო სისტემაში ვორონცოვის მიერ გატარებული ცვლილებების

[56] Щербинин М. П. Биография..., с. 311.

შედეგად საქართველო თანდათან უფრო მჭიდროდ უკავშირდებოდა ევროპის ქვეყნებს, რაც მის ეკონომიკურსა თუ კულტურულ განვითარებაზე კეთილისმყოფელ გავლენას ახდენდა.

და ბოლოს, ერთხელ კიდევ ვიმეორებთ, რომ ვორონცოვის მიერ რა მიზნითაც არ უნდა ყოფილიყო გახსნილი სკოლები, დაარსებული გაზეთები, საჯარო ბიბლიოთეკა, თეატრი და სხვა ამგვარი დაწესებულებები, ამ ღონისძიებებს ობიექტურად არ შეიძლება დადებითი შედეგი არ მოჰყოლოდა საქართველოს საზოგადოების პროგრესული ნაწილის ეროვნული თვითშეგნების ჩამოყალიბებისათვის.

2. მურავიოვის (1854—1856) და ბარიატინსკის (1856—1862) მმართველობის ხანა

საქართველოსა და კავკასიაში მეფისნაცვლობის ინსტიტუტის შემოღების შემდეგ 60-იანი წლების მიწურულამდე ადმინისტრაციული მმართველობის სისტემას ძირეული ცვლილებები აღარ განუცდია, მაგრამ ვინაიდან თითოეულ მთავარმართებელსა თუ მეფისნაცვალს ადმინისტრაციულ მმართველობაში ნაწილობრივი ცვლილებები შეჰქონდა და ყოველი მათგანი თავისი პირადი თვისებებისა და მისწრაფებების შეხატყვისად გარკვეულ დაღს ასვამდა ამ მხარის მართვა-გამგეობას, შევეცდებით მოკლედ მაინც დავახასიათოთ ვორონცოვის მომდევნო მეფისნაცვლების — მურავიოვისა და ბარიატინსკის პიროვნება და მოღვაწეობა.

როგორც ვიცით, 1854 წელს მძიმედ დაავადებულმა ვორონცოვმა ხაქართველო-კავკასიის მმართველობა მეფისნაცვლის მოვალეობის შემსრულებელს გენერალ რეადს გადასცა და თვითონ სამკურნალოდ საზღვარგარეთ გაემგზავრა, მაგრამ თურქეთთან გაცხარებული ომის დროს, როცა იმიერკავკასიიდან შამილის შემოჰრაც ყოველ წუთს მოსალოდნელი იყო, ქვეყანას სრულუფლებიანი, სამხედრო საქმეებში გამოწვრთნილი ბატონ-პატრონი ესაჭიროებოდა და არა დროებითი მმართველი. 1854 წლის მიწურულს ვორონცოვმა სამსახურიდან საბოლოოდ გადადგომა ითხოვა და ამჯერად მეფის არჩევანი გენერალ-ადიუტანტ მურავიოვზე შეჩერდა.

ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე მურავიოვი, დეკაბრისტების — ნიკიტა მურავიოვისა და სერგეი აპოსტოლ-მურავიოვის ახლო ნათესავი, თვითონაც ისტორიულად ცნობილი ოჯახიდან იყო. მამამისი, მართალია,

ხელმოკლე თავადი იყო მაგრამ თავის ხარჯზე დაარსებული ჰქონდა სკოლა, რომელსაც წლების განმავლობაში უანგაროდ სწირავდა თავის ცოდნა-გამოცდილებას. მის მიერ განსწავლული მოწაფეები საარტილერიო საქმის ზედმიწევნით ცოდნით გამოირჩეოდნენ. მით უმეტეს, შვილებისათვის სათანადო განათლების მისაცემად მას არ დაუშურებია ძალ-ღონე და, როგორც თანამედროვეები ერთხმად აღნიშნავდნენ, ნიკოლოზ მურავიოვი არა მარტო ღრმად განათლებული პიროვნება იყო, არამედ მეცნიერული მუშაობისადმი მიდრეკილებასაც ამჟღავნებდა, რაც ასე იშვიათ გამონაკლისს წარმოადგენდა მაშინდელ გენერლებს შორის.

მურავიოვს საქართველო-ამიერკავკასია ზედმიწევნით უნდა სცოდნოდა, რადგანაც თავისი ახალგაზრდობის წლები აქ ჰქონდა გატარებული. პირველად იგი საქართველოში პოლკოვნიკის ჩინით ერმოლოვთან ერთად 1816 წელს ჩამოვიდა. 1818—1819 წლებში, როგორც აღმოსავლური ენების მცოდნე, ხივა-ბუხარის ხანებთან რუსული გავლენისა და ურთიერთობის დასამყარებლად ელჩად იყო გაგზავნილი. შემდეგ, როგორც თვითონ წერდა, „იყო მოწმე ერმოლოვის დამხობისა და პაპკევიჩის არზევების, ნახა მეფის ნებას შემსრულებელი დიბიჩის მოქმედება, აღმატებულ ხარისხში იხილა სიძულვილი, სისუსტე, მამაცობა, სიგიჟე, მსახურებდა სამივე უფროსის ხელქვეით, დროდადრო თითოეული მათგანისაგან ისმენდა მათ აზრს ერთმანეთზე, წუხდა დათრგუნვილი სამართლიანობის გამო, იმ ადამიანის შეცდომების გამო, რომელიც დიდებულ პიროვნებად მიაჩნდა; წუხდა ბრიყვის აღზევებას, უნდოდა გასცლოდა ყოველივე ამას, მაგრამ არ გაუშვეს, დარჩა და ასრულებდა თავის მოვალეობას“[57]. 1826—1828 წლებში მონაწილეობა მიიღო ომში, სადაც კავკასიის ცალკეული კორპუსის მთავარი შტაბის უფროსის მოვალეობას ასრულებდა და გენერალ-მაიორის ჩინს მიაღწია, 1828—1829 წლების რუსეთ-თურქეთის ომში კი ბრიგადის უფროსად იბრძოდა. 1830 წელს იგი კავკასიიდან გაიწვიეს ფელდმარშალ დიბიჩთან და ლიტვის კორპუსის სარდლად დანიშნეს. 1831 წელს ვარშავასთან ბრძოლაში მონაწილეობისათვის გენერალ-ლეიტენანტობა და 24-ე ქვეითი დივიზიის მხედართმთავრობა მიიღო.

1837 წელს მურავიოვი ნოვოროსიისკის გუბერნიაში განლაგებული მე-5 ქვეითი კორპუსის უფროსად დანიშნეს, მაგრამ ამაჟე წლის ბოლოს ნიკოლაევსა და სევასტოპოლში გამართულ ჯარების ე-

---

[57] Из записок Н. Н. Муравьева, 1826, РА, 1888, в. II, с. 399.

შვალიერებაზე ნიკოლოზ I-ს არ მოეწონა მურავიოვის ხელქვეითი პარისკაცების გაწვრთნილობა, ყველასათვის მოულოდნელად ძალიან უხეშად მოექცა მურავიოვს და ეს უკანასკნელი იძულებული იყო სამსახურიდან გადადგომა ეთხოვა, მიუხედავად იმისა, რომ მისთვის ასეთი გადაწყვეტილების მიღება არც თუ ისე იოლი საქმე იყო. აი, რა ჩაწერა ამის შესახებ მან თავის დღიურში 1838 წლის 16 იანვარს: 15-ში მივიღე უმაღლესი ბრძანებულება, რომლის მიხედვითაც განთავისუფლებული ვარ სამხედრო სამსახურიდან. მართალია, ამ ცნობას მოუთმენლად მოველოდი, მაგრამ მაინც ჩემზე მძიმე შთაბეჭდილება მოახდინა. იოლი საქმე ხომ არ არის, სამუდამოდ დათმო წოდება, რომელშიც მთელი სიცოცხლე გაატარე, მაგრამ როცა ვიხსენებ ყველა იმ უსიამოვნებას, რომლის გადატანაც მიხდებოდა, როგორ მექცეოდნენ ხანგრძლივი სამსახურის დროს, ვფიქრობ, რომ ჩემს მიერ მიღებული ზომები საფუძველს მოკლებული არ იყო[58].

1849 წელს უნგრეთის ომის დროს, მეფისგან შერისხულმა მურავიოვმა კვლავ სამხედრო სამსახურში აღდგენა ითხოვა. მეფემაც დაუბრუნა გენერალ-ადიუტანტის წოდება და პოლონეთში განლაგებული კორპუსის სარდლად დანიშნა.

და აი, 1854 წელს მურავიოვი კავკასიაში მეფისნაცვლად გამოგზავნეს. ერთი შეხედვით, დემოკრატიული ტრადიციების ოჯახის წევრი, ღრმად განათლებული, ჭკვიანი, უაღრესად პრინციპული, შეუდრეკელი ნებისყოფის ადამიანი — მურავიოვი — ამ ადგილზე თითქოს საუკეთესო კანდიდატურა უნდა ყოფილიყო. ვორონცოვი მეფისნაცვლის კანცელარიის დირექტორს, შჩერბინინს კიდევაც სწერდა, რომ „ამ პირობებში, როდესაც აუცილებელია მთავარსადლად ენერგიული, სამხედრო საქმის სრულყოფილად მცოდნე პირის დანიშვნა, უკეთესი, უფრო ბედნიერი არჩევანის გაკეთება ყოვლად შეუძლებელია“[59]. მაგრამ მურავიოვი მეტად რთული, წინააღმდეგობრივი ბუნების კაცი იყო. აი, როგორ ახასიათებს მურავიოვს მის მიმართ კეთილად განწყობილი ერთ-ერთი თანამედროვე: „ყველა თავის კეთილშობილურ თვისებებთან ერთად მურავიოვი ენისმიმტანების მიმართ გულგრილი არ იყო, ხალისით იძლეოდა პირმოთნეობისა და გადაჭარბებული შექების ნებას. ერთი სიტყვით, მის ხასიათში უმაღლეს ქველობასთან ერთად

---

58 Из записок Н. Н. Муравьева, 1838, РА, 1894, I, вып., с. 23.

59 Щербинин М. П. Князь М. С. Воронцов и Н. Н. Муравьев, Р. С. 1874, № 11, с. 107.

ყოვლად გაუგებრად შერწყმული იყო ისეთი სუსტი მხარეები, რომლებიც არავითარ შემთხვევაში ქებას არ იმსახურებდნენ; ყველაზე ფართო შეხედულებების პრაქტიკაში გამოყენების დროს იგი როგორღაც მათ არაჩვეულებრივად დავიწროებას ახერხებდა, და სულაც არ არის გასაკვირი, რომ მის შესახებ ერთმანეთის საწინააღმდეგო აზრები იყო გავრცელებული"[60].

პირქუში, ასკეტური ცხოვრების მოყვარული, ანგარიშიანი მურავიოვი არაჩვეულებრივად მკაცრ, თავშეკავებულ ცხოვრებას ეწეოდა, არავითარი საზოგადოებრივი გართობა მისთვის არ არსებობდა, მთელი მისი დრო უკლებლივ სამსახურს ეკუთვნოდა, მის პედანტიზმს საზღვრები არ ჰქონდა და თავისი ქვეშევრდომებისგანაც ასევე, უმცირესი გამონაკლისის გარეშე, დავალებების ზედმიწევნით ზუსტად შესრულებას მოითხოვდა. მურავიოვის ბუნების უკეთ გასაგებად ქვემოთ მოვიყვანთ ზოგიერთ ადგილს მისი დღიურებიდან, რომლებშიც 20-იან წლებში მისი კავკასიაში სამსახურის პერიოდი საკმაოდ დეტალურადაა აღწერილი. როგორც დღიურიდან ჩანს, მურავიოვი ქართველების მიმართ იმთავითვე არ ყოფილა კეთილად განწყობილი. ერთ ადგილას, როდესაც იასე ფალავანდიშვილზე ლაპარაკობს, იქვე შენიშნავს, რომ „იგი ჭკვიანი კაცია, რაც ერთობ იშვიათია ქართველებს შორის"[61]. მეორე ადგილას კი ქართველები საერთოდ სულელ ხალხად ჰყავს მოხსენიებული[62]. კიდევ უფრო უარყოფითად იყო განწყობილი მურავიოვი ქართული ცხენოსანი მილიციის მიმართ. აი, რას წერს იგი მათ შესახებ: „ამ მილიციის სრულყოფილად წარმოსასახავად არ შეიძლება არ გავიხსენო ის წარმოდგენა, რომელიც ჩვენ გვაქვს ჯვაროსნების შესახებ. უამრავი თავადაზნაურობა, ანუ ხალხი, რომელიც თავის თავს თავადაზნაურობას უწოდებს, თავისი მსახურებით, ყველა ჰაიჰარად შეიარაღებული, სრული განუკითხაობა, ანუ არავითარი წესრიგი და უფროსებისადმი მორჩილება, საგვარეულო შუღლი, ლოთობა... გაუთავებელი ღვინის აღლები, ჭეშმარიტი სურათი ამ ჯარისა"[63]. „მათგან მთავარი სარგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ სპარსელების შემოსევის დროს ეს ქართველები არ შემოგვიბრუნდნენ ჩვენ და არ მოახდინონ შინაგანი არეულობა"[64]. მეორე ადგილას კი პირდაპირ წერს: „ეს ბრბო

[60] Щербинин М. П. დასახ. ნაშრომი, გვ. 110.

[61] Из записок..., 1826, Р. А. 1889, в. I, с. 581.

[62] Из записок... 1827, Р .А. 1889, в. III, с. 76.

[63] Из записок... 1826, Р. А. 1889, в. I, с. 592—593.

[64] Из записок..., 1826, Р. А. 1889, в. I, გვ. 581.

(этого сброд!) საკუთარი ზედმეტი იყო და უფრო გვაწუხებდა, ვიდრე სარგებლობა მოჰქონდა"[65]. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ მოგვიანებით, ყირიმის ომის დროს, როცა დუნაიზე და ყირიმში რუსის ჯარის მარცხი მარცხს მისდევდა, კავკასიის ფრონტზე კი რამდენიმე ბრწყინვალე გამარჯვება აღინიშნა, რომელთა მიღწევაში ქართულ მილიციასაც მიუძღოდა მნიშვნელოვანი როლი და როცა მისი დამსახურება საყოველთაოდ იყო აღიარებული, მურავიოვმაც კარდინალურად შეიცვალა აზრი მილიციის შესახებ და კიდევ უფრო მეტი, დასავლეთ საქართველოს დაცვა თითქმის მთლიანად მას მიანდო, მაგრამ თვითონ, დამოუკიდებლად ვერ მოახერხა ვერაფერი დადებითი თვისება დაენახა არა მარტო ქართულ მილიციაში, არამედ ქართველ ხალხშიც. თუმცა, რა გასაკვირია მისი ასეთი აზრი ქართველების შესახებ იმასთან შედარებით, რაც ერმოლოვზეა ნათქვამი ამ დღიურებში. მურავიოვი, როგორც თვითონ არაერთგზის აღნიშნავდა, პატივს სცემდა ერმოლოვს მისი მაღალი ღირსებებისათვის, და დიდად დაახლოებული იყო მასთან, მაგრამ წერდა, რომ „ეს ჩანაწერები, დაწერილი ალექსი პეტრეს ძის მიმართ კეთილად განწყობილი და ახლობელი კაცის მიერ, ჰეშმარიტებას ვერ უღალატებენ"[66]. ჰეშმარიტების ძიების და მიუკერძოებლობის საბაბით ერმოლოვის დასახასიათებლად ამ დღიურებში ისეთი ინტერპრეტაცია არის მოცემული, რომ დაბოღმილი და ყველასადმი არაკეთილადგანწყობილი ადამიანის ფსიქოლოგიას უფრო ამჟღავნებენ, ვიდრე ჰეშმარიტების მაძიებლისას. უკვე თავისთავად ასეთი განწყობილების კაცისათვის მეფისნაცვლის უსაზღვრო უფლებების მინიჭება კარგს არაფერს უქადდა მის ქვეშევრდომებს. გარდა ამისა, მურავიოვი დარწმუნებული იყო, რომ 1837 წლის მეფის უმიზეზო რისხვა, რომელიც ასე მოულოდნელად დაატყდა თავს და რომელსაც მისი 12 წლიანი შერისხვა მოჰყვა, ვორონცოვის, ვიტესა და პასკევიჩის ხელშეწყობით მოხდა. „ყველაფერზე ეტყობა, რომ ამ შემთხვევაში ესენი იყვნენ მთავარი მონაწილეები, მაგრამ თვითონ არ მოელოდნენ ასეთ შედეგს და ახლა ეშინიათ, რომ არ გამჟღავნდეს მათი საქციელი. ისე იქცევიან, როგორც ეს ანდაზაშია ნათქვამი: „ქურდს ქუდი ეწვი-

---

[65] იქვე, ტ. II, გვ. 544.
[66] Из записок... 1826, Р. А. 1889, в. I, с. 589.

ხო". ყოველ მიზეზ გარეშეა, რომ ისინი მონაწილეობდნენ ამ საქმეში", წკითხულობთ მურავიოვის 1837 წლის 8 ოქტომბრის დღიურში[67].

ყოველივე ამის შემდეგ სავსებით გასაგებია, რომ მურავიოვი წინასწარ მტრულად იყო განწყობილი ყველაფერ იმის მიმართ, რაც მისი წინამორბედი მეფისნაცვლის — ვორონცოვის გაკეთებული იყო კავკასიაში.

როგორც თანამედროვეები აღნიშნავდნენ, კავკასიაში მეფისნაცვლად მურავიოვის დანიშვნის ცნობამ თითქმის ყველაზე მძიმე შთაბეჭდილება მოახდინა. სამხედრო თუ სამოქალაქო მოხელეები ყველა ერთიანად შიშით მოელოდა მის ჩამოსვლას. მართლაც, სულ მალე, კავკასიაში მურავიოვის პირველივე ნაბიჯებიდან დადასტურდა, რომ მათი შიში საფუძველს მოკლებული არ იყო.

1855 წლის იანვრის პირველ რიცხვებში მეფისნაცვალი უკვე სტავროპოლში იყო. აქედან იგი გაემგზავრა კავკასიის ხაზის მარჯვენა ფრთისაკენ. მივიდა ვლადიკავკაზში, შემდეგ კი მარცხენა ფრთა — ციხე-სიმაგრეები ვნეზაპნაია და გროზნაია მოინახულა. გზადაგზა მას არ გამოუტოვებია პატარა, უმნიშვნელო ციხე-სიმაგრეებიც კი. ყველგან ამოწმებდა ჯარის მდგომარეობას, რეალურად არსებული ჯარისკაცების რიცხვს უდარებდა სიებს და სხვა წვრილმან საქმიანობას ეწეოდა. ერთი სიტყვით, ისე იქცეოდა, თითქოს იგი ერთი რომელიმე ბრიგადის, ან თუნდაც კორპუსის მეთაური იყო და არა მეფისნაცვლის უსაზღვრო უფლებებით მოსილი, თითქმის 150 ათასიანი არმიის მხედარმთავარი, რომლის მთავარი მიზანი თურქეთის წინააღმდეგ ლაშქრობა უნდა ყოფილიყო. როგორც ეტყობა, მისი ასეთი საქციელის ძირითადი მიზეზი ის გარემოება გახლდათ, რომ მურავიოვი, წინასწარ უარყოფითად განწყობილი თავისი წინამორბედი მეფისნაცვლის საქმიანობის მიმართ, დარწმუნებული იყო, რომ კავკასიაში საყოველთაო, უკიდურესობამდე მისული უწესრიგობა და ბორტმოქმედება დახვდებოდა გამეფებული და, უპირველეს ყოვლისა, მისი აღმოფხვრა იქნებოდა საჭირო.

ციხე-სიმაგრე გროზნაია მურავიოვის ჯერ კიდევ პირველად აქ ყოფნის დროს, 1818 წელს, მის თვალწინ, ერმოლოვის დროს იყო დაარსებული. მაშინ ამ სტრატეგიულად მნიშვნელოვან, ძნელად მისასვლელ ადგილას სულ რამდენიმე მიწური ქოხი იყო გალავან-შემორტყმული, მაგრამ მას შემდეგ 37 წელიწადი გავიდა, ციხე-სიმაგრე თან-

[67] Из записок... 1837, Р. А. 1894, в. III, с. 537.

დათან აშენდა, ოფიცრებისათვის ევროპული კომფორტის შესაბამისად მორთული სახლები და ჯარისკაცებისათვის საკმაოდ კეთილმოწყობილი ყაზარმები მომრავლდა. ციხე-სიმაგრე თანდათანობით ქალაქად გადაიქცა და წარსულის მოსაგონრად მხოლოდ ის მიწური ქოხი დარჩა, რომელშიც თავის დროზე ერმოლოვი ცხოვრობდა. სპარტანული ცხოვრების მოყვარული მურავიოვი გროზნოს ასეთმა სახე-ცვლილებამ ტკივილურად გააღიზიანა. მან კავკასიის ჯარების მიმართ საყვედურებით აღსავსე წერილი მიწერა ერმოლოვს. იგი აქ მყოფ ჯარებში გმრული სულის დაცემას, კეთილმოწყობაზე გადაჭარბებულ ზრუნვასა და ფუფუნებისაკენ მიდრეკილებას უჩიოდა. წერილი მალე გახდა ჯარისათვის ცნობილი და ძალიან ცუდი სამსახური გაუწია მურავიოვს. წერილის მრავალრიცხოვანი ასლები ხელიდან ხელში გადადიოდა და ყოვლად დაუმსახურებელი საყვედურის გამო საყოველთაო აღშფოთებასა და მხედართმთავრით უკმაყოფილებას იწვევდა. მეფისნაცვლის უხეში მოპყრობისა და მრავალრიცხოვანი საყვედურის შედეგად ბევრი სამხედრო, თუ სამოქალაქო მოხელე ტოვებდა სამსახურს და კავკასიიდან მიდიოდა.

თებერვლის ბოლოს მურავიოვმა, როგორც იქნა, გადმოლახა მთები და მარტის დასაწყისისათვის თბილისში მოვიდა. შემდეგ იგი დასავლეთ საქართველოში გაემგზავრა, შეამოწმა „გურიის რაზმის“ უფროსის გენერალ ივანე მუხრან-ბატონის მიერ დაკავებული პოზიციები და ქუთაის-თბილისის გავლით საქართველო-თურქეთის საზღვრისაკენ გაეშურა, რათა გენერალ ბებუთოვისაგან მხედართმთავრობა გადმოებარებინა და ჯარები ყარსის ასაღებად წაეყვანა. მაგრამ აქაც ერთი მეტად უსიამოვნო ინციდენტი მოხდა, რომელსაც სახელგანთქმული ნიჟეგოროდის პოლკის მეთაურის, გენერალ იასონ ჭავჭავაძის სამხედრო სამსახურიდან გადადგომა მოჰყვა. საქმე შემდეგში იყო: ჯერ კიდევ 1828—1829 წლების რუსეთ-თურქეთის ომში, როდესაც მურავიოვი ქვეითი ჯარის ბრიგადას სარდლობდა, მას შეტაკება მოუხდა მაშინ ჯერ კიდევ ახალგაზრდა პორუჩიკ იასონ ჭავჭავაძესთან. ბაიბურთისათვის ბრძოლაში, პასკევიჩის ბრძანებით მურავიოვის გრენადერთა ბრიგადას ზედ ქალაქის წინ მტრის კარგად გამაგრებულ პოზიციაზე უნდა მიეტანა იერიში. მის დასახმარებლად მარცხენა ფრთიდან ნიჟეგოროდის პოლკის ცხენოსან ესკადრონებს უბრძანეს წამოწევა, რომელსაც მოულოდნელად მტრის კავალერია გადაეღობა. ვიდრე მოწინააღმდეგე ცხენოსანი რაზმები ერთმანეთის ძალებს ზვერავდნენ, ერთის შეხედვით თითქოს და უმნიშვნელო სცენა გათამაშდა, რომელმაც გადაწყვიტა ბრძო-

ლის ბედი. თურქ ცხენოსნებს გამოეყო ერთი ოფიცერი, მოეჭრა ნა-
ქეგოროდელ დრაგუნებს და ლამის ზედ ცხვირწინ დაახალა რევოლ-
ვერი, მაგრამ მან გაბრუნებაც ვერ მოასწრო, რომ პირველი ესკადრო-
ნის პირველი ოცეულის მეთაური იასონ ჭავჭავაძე მათრახშემართული
მივარდა. თურქმა ოფიცერმა სასწრაფოდ თავისიანებისკენ გააქანა ცხე-
ნი, იასონ ჭავჭავაძეც უკან მოუხედავად გაედევნა. ოცეულმა რა დაი-
ნახა, რომ მათი მეთაური აშკარა საფრთხეში იგდებდა თავს, ერთგუ-
ლად გაედევნა. ოცეულს მთელი ესკადრონი მიჰყვა, პირველ ესკა-
დრონს მეორე და სულ რაღაც წამების განმავლობაში, ყოველგვარი
ბრძანების გარეშე, თურქების გამაგრებული პოზიციებისაკენ ექვსი ეს-
კადრონი მიაწენებდა ცხენებს. მათ გადათელეს თავის წინ მდგარი მტრის
კავალერია, მაგრამ თავხედი თურქი ცხენოსანი და იასონ ჭავჭავაძე
კვლავ წინ მიჰქროდნენ. თურქების გამაგრებულ პოზიციებს რომ მიუა-
ხლოვდნენ, იასონ ჭავჭავაძემ მხოლოდ ერთი წამით შეაყენა ცხენი, რათა
დეზი ეკრა მისთვის, ჩიტივით გადაუფრინა მოწინააღმდეგის სანგრებს და
მტრის ბანაკის შუაგულში შეიჭრა. გაოცებულმა თურქებმა გონს მო-
სვლაც ვერ მოასწრეს, რომ იასონ ჭავჭავაძეს პოლკოვნიკ ივანე ანდრო-
ნიკაშვილის (შემდეგში ცნობილი გენერლის) მეთაურობით ნიჟეგორო-
დის პოლკი მიჰყვა, რომელმაც სასწრაფოდ ხელთ ჩაიგდო თურქების
ზარბაზნები და მისივე იარაღით გაუმასპინძლდა მტერს. სულ რაღაც
წუთების განმავლობაში ქალაქის მთელი გამაგრებული ხაზი თავისა
რედუტებითა და ბატარეებით დაეცა. ამის შემდეგ ქალაქის ქუჩებში
ბრძოლა დიდხანს აღარ გაგრძელებულა, ბაიბურთი ჩაბარდა რუსების
ჯარს. პოლკოვნიკი ანდრონიკაშვილი თავისი დრაგუნებით მტრის გაქ-
ცეულ ძალებს გამოედევნა, ჭავჭავაძეს კი უბრძანა ქალაქში გაფანტული
ეჩკადრონი სასწრაფოდ შეეგროვებინა და დასწეოდა პოლკს, მაგრამ
ჭავჭავაძეს გზაზე მურავიოვი შემოეყარა თავისი გრენადერთა ბრი-
გადითა და მისი ესკადრონით ქვეითი ჯარის თანხლები უბრძანა. ჭავ-
ჭავაძემ, რომელიც პოლკის საშველად წასვლას ეშურებოდა, თავი შორს
დაიჭირა. უარით გაფიცხებულმა, ისედაც უხეში ბუნების მურავიოვმა
საყვედური ვერ მოზომა და სულ რაღაც რამდენიმე საათის წინ გათა-
მაშებული ბრძოლის უმაგალითო გმირს მუქარით ცხვირწინ თითი უქ-
ნია. ჭავჭავაძემ, მართალია, სიტყვა არ შეუბრუნა, მაგრამ ორიოდე ნა-
ბიჯით უკან დაიხია და ხელი უნებურად ხმლის ვადაზე დაიდო. ამ
ჟესტის დანახვისთანავე მურავიოვმა თავის შეკავება არჩია, რითაც
ისარგებლა ჭავჭავაძემ, ცხენს მოახტა და თავისი პოლკისკენ გაქუსლა.
მეორე დღეს მურავიოვმა მოხსენებითი ბარათი მიართვა პასკევიჩს,

როშელშიც ჭავჭავაძის სამხედრო-საველე სასამართლოსათვის გადაცემასა და უმკაცრესად დასჯას მოითხოვდა. პასკევიჩმა ბაიბურთისათვის ბრძოლას ქალაქის მახლობელი ბორცვიდან საკუთარი თვალით უყურა და რაღა თქმა უნდა, ამ უჩვეულო იერიშის გმირი დასახვრეტად ვერ გაიმეტა, მაგრამ ჭავჭავაძეს მის მიერ აშკარად დამსახურებული წმინდა გიორგის ჯვრის მაგივრად წმინდა ანას მეორე ხარისხის ორდენი უბოძა, მურავიოვს კი მოხსენებითი ბარათი უკან დაუბრუნა. ამის შემდეგ 26 წელიწადი გავიდა, მაგრამ როგორც ჩანს, მურავიოვს შეურაცხყოფა დავიწყებული არ ჰქონდა და ახლაც, ყარსისაკენ მიმავალი ჯარების დათვალიერების დროს, უკვე ნიკეგოროდის პოლკის მეთაურს, წმინდა გიორგის ჯვრით გულდამშვენებულ სახელგანთქმულ გენერალს, იასონ ჭავჭავაძეს ყველას თვალწინ, საგანგებოდ უხეშად მოექცა, სამხედრო აღლუმზე კი ნიკეგოროდის პოლკს საერთოდ არ მიესალმა. იასონ ჭავჭავაძემ, ვიდრე მეფისნაცვალმა ასეთი საქციელისათვის ბოდიში არ მოიხადა, პოლკი ადგილიდან არ დაძრა, მაგრამ ამის შემდეგ მურავიოვის ხელქვეით მისი სამსახური აღარ შეიძლებოდა და მანაც პოლკი პოლკოვნიკ დონდუკოვ-კორსაკოვს გადააბარა.

1855 წლის მაისის ბოლოს მურავიოვმა თავისი ჯარებით რუსეთ-თურქეთის საზღვარი გადალახა და ყარსისაკენ გაეშურა. ყირიმის ომში ყარსის აღებას გადამწყვეტი მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა, ვინაიდან მისი აღებით რუსებს მცირე აზია-ანატოლიისკენ გზა გახსნილი ექნებოდათ. ამიტომაც მურავიოვმა თავისი ძალების უდიდეს ნაწილს სწორედ აქ მოუყარა თავი; შავი ზღვის მხრიდან თურქების მოულოდნელი შემოსევის შემთხვევაში დასავლეთ საქართველოსა და თბილისის დასაცავად კი ჯარების შედარებით მცირე ნაწილი რჩებოდა და ქვეყნის დაცვისათვის ადგილობრივი მოსახლეობის თავდადებას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა. როგორც უკვე აღვნიშნეთ, გარკვეული მიზეზების გამო, ადგილობრივი მილიციის შესახებ მურავიოვს კარდინალურად შეცვლილი ჰქონდა აზრი და თუ 1828—1829 წლების ომის დროს, სამხედრო საქმეში გამოცდილი ქართველი თავადაზნაურობისაგან შედგენილი ასეულები შემთხვევით თავმოყრილ ბრბოდ ეჩვენებოდა, ახლა, თბილისის დასაცავად მოქალაქეების მარშალაც რომ ჰყოლი მასისაგან შედგენილ ლაშქარზე დიდ იმედებს ამყარებდა და მის შესახებ ხელმწიფეს სწერდა, რომ „ეს ლაშქარი იმდენად არის სამშობლოსადმი თავდადების გრძნობით გამსჭვალული, რომ თბილისის გარნიზონის (სამი ბატალიონის) დახმარებით თავისზე გაცილებით უფრო მრავალრიცხოვან მტერს გაუმკლავდება და ამ მხრივ თბილისი შეიძ-

ლება უზრუნველყოფილად ჩავთვალოთ"[68]. ასეთსავე იმედებს ამყარებდა მეფისნაცვალი დასავლეთ საქართველოს მოსახლეობაზე და რეგულარული ჯარის უდიდესი ნაწილი (25 ათასი ჯარისკაცი) ყარსის ბლოკადად მიჰყავდა.

თავის მხრივ ოსმალეთმაც კარგად იცოდა, ყარსის აღებით როგორი საფრთხე მოელოდა და კიურიკდარასთან მარცხის შემდეგ ყარსის ციხე-სიმაგრე საგანგებოდ გაამაგრეს. საფორტიფიკაციო სამუშაოებს ინგლისიდან საგანგებოდ ჩამოსული კომისარი გენერალი ვილიამსი ხელმძღვანელობდა. ვილიამსმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია იმ გარემოებას, რომ ქალაქი ყარსი გარშემორტყმული იყო მაღლობებით, რომელთა ხელში ჩაგდების შემდეგ მტერს სულ ადვილად შეეძლო ქალაქის აღება. 1829 წელს სწორედ ამით ისარგებლა პასკევიჩმა და ამ მაღლობებიდან დაშენილი ცეცხლით ადვილად აიღო ყარსი. ვილიამსმა ყარსის გარშემო მდებარე შორახის, ჩახმახისა და ყარადაღის ზეგანები ციხე-სიმაგრის ფარგლებში შეიტანა, თითოეულ მათგანზე რამდენიმე ზარბაზანი დადგა და ყარსი მრისხანე, მიუვალ ციხე-სიმაგრედ აქცია. ქალაქის გარნიზონს, რომელიც რიცხვობრივად მურავიოვის ჯარს არ ჩამოუვარდებოდა, ვილიამსის მიერ მოყვანილმა სპეციალისტებმა სათანადო წვრთნა ჩაუტარეს, საუკეთესო, თანამედროვე, დაკუთხულლულიანი თოფებით შეაიარაღეს; ასე რომ, ქალაქი ამჯერად ყველაზე მრისხანე იერიშსაც კი ადვილად გაუმკლავდებოდა. მაგრამ ასე საგულდაგულოდ გამაგრებულ ციხეს ერთი სუსტი მხარე აღმოაჩნდა: გადასაზიდი საშუალებების სიმცირის გამო ვილიამსმა ვერ მოასწრო ციხის სურსათ-სანოვაგით უზრუნველყოფა და მის მიერ მომზადებული უშველებელი მარაგი სოლანლუღის ქედის მეორე მხარეს მოწყობილ საწყობებში დარჩა. მურავიოვმა კარგად ისარგებლა ამ სუსტი მხარით. მან თანდათანობით ისეთი ალყა შემოარტყა ქალაქს და ისე საიმედოდ ჩაკეტა ყარსისა და ერზერუმის დამაკავშირებელი ყველა გზა, რომ ყარსის ციხე-სიმაგრე მარყუჟში მოქცეული აღმოჩნდა და გარნიზონისათვის სურსათ-სანოვაგის მიწოდების ყველა საშუალება მოესპო.

ოსმალეთი ყარსის ალყამ ძალზე შეაშფოთა. იგი ევროპელი მოკავშირეებისაგან დაუყოვნებლივ მოითხოვდა ყარსის გადასარჩენად გადამწყვეტი ზომების მიღებას, ბაგრამ ინგლის-საფრანგეთი სევასტოპოლის აღებამდე არ აპირებდა მაშველი არმიის გამოგზავნას.

---

[68] Потто Ц. Воспоминания о Кавказском походе 1855 г. Кавказский сборник, XXXII, с. 28—29.

ოსმალთა ჯარების სარდლობამ გადაწყვიტა მრავალრიცხოვანი არმიის გადმოსხმა საძეგრელოში. ამით რუსებს ძლიერ მუქარას შეუქმნიდნენ და იძულებულს გახდიდნენ, მოეხსნათ ყარსის ალყა.

ოსმალთა ჯარების გადმოსხმა საქართველოში მხოლოდ სევასტოპოლის აღების შემდეგ გახდა შესაძლებელი. 1855 წლის 2—4 სექტემბერს ბათუმში 8 ათასიანი ჯარი გადმოსხეს, მთელი სექტემბრის განმავლობაში ბათუმში, ყულევსა და ტრაპიზონში გრძელდებოდა ოსმალთა ჯარების გადმოსხმა. ჯარების მთავარსარდალმა ომერ-ფაშამ ყარსისკენ გაჭრა სცადა, მაგრამ ეს მოსატყუებელი მანევრი უფრო იყო. ომერ-ფაშას სავსებით არ შესწევდა ძალა, რომ ბათუმიდან ყარსამდე უამრავი დაბრკოლებით აღსავსე მანძილი გადაელახა და ალყაშემორტყმული ყარსის გარნიზონს მიშველებოდა. მით უმეტეს, რომ ყარსის ციხე-სიმაგრისა და მისი გარნიზონისთვის ნამდვილი დახმარების აღმოჩენა სულაც არ შედიოდა ომერ-ფაშას და მისი ევროპელი შეფების ანგარიშში. მათი ყურადღების ცენტრში ამიერიდან საქართველოსა და ამიერკავკასიის დაპყრობისა და დანაწევრების პრაქტიკული ამოცანები იდგა.

ცნობები ომერ-ფაშას მოქმედებისა და სევასტოპოლის დაცემის შესახებ ალყაშემორტყმულმა ყარსის გარნიზონმა თითქმის ერთდროულად მიიღო, რამაც ისინი სულიერად გაამხნევა, მურავიოვმა კი გადაწყვიტა თურქთა დამხმარე კორპუსისათვის დაესწრო და იერიშით აეღო ყარსის ციხე-სიმაგრე. წარმატების შემთხვევაში იგი შეძლებდა არდაგანის გზით ბათუმისკენ გალაშქრებას და თურქეთის მეორე არმიის განადგურებას. რაც მთავარია, მეფისნაცვალი მონდომებული იყო გაეფანტა ის მძიმე შთაბეჭდილება, რომელიც რუსეთში სევასტოპოლის აღებამ მოახდინა. იგი ისე გაიტაცა ამ იდეამ, რომ ყურად არ იღო კაზაკთა გამოცდილი გენერლის ბაკლანოვის რჩევა, რომელიც სპეციალური მოწყობილობების გარეშე, მათ განკარგულებაში მყოფი ძალებით ყარსზე იერიშის მიტანის სასტიკი წინააღმდეგი იყო. იგი დარწმუნებული იყო, რომ იერიშს ტყუილუბრალო მსხვერპლის შეტი არაფერი მოყვებოდა, მით უმეტეს, რომ ზედმეტად მიაჩნდა ეს ოპერაცია, რადგანაც ადრე თუ გვიან, გამოუვალ პირობებში ჩავარდნილი ყარსის გარნიზონი იძულებული იქნებოდა უბრძოლველად ჩაებარებინა ციხე. მაგრამ მეფისნაცვლის დაყოლიება ადვილი როდი იყო. 17 სექტემბერს ყარსის გარშემო განლაგებულმა ჯარებმა იერიში მიიტანეს ციხეზე. მიუხედავად იმისა, რომ რეგულარული არმია და მილიცია თავდაუზოგაეად და შეუპოვრად იბრძოდნენ, ყარსის აღება ვერ მო-

ზერხდა. იერიში განსაკუთრებით სისხლისმღვრელი გამოდგა რუსებისათვის. ბრძოლაში დაჭრილი და მოკლული იყო 4 გენერალი, 248 ოფიცერი და 7226 ჯარისკაცი. 17 სექტემბრის იერიშმა, მართალია, ძალიან შეასუსტა რუსების არმია, მაგრამ მურავიოვს ყარსის აღებაზე ხელი არ აუღია. კავკასიის არმიის ყველა ბრძოლისუნარიან რაზმს ყარსთან მოუყარეს თავი, გურიის რაზმი კი, რომელიც ყოველ წუთს მოელოდა გურია-სამეგრელოს მხრიდან მტრის ძლიერი დესანტის თავდასხმას, მაშველი ჯარების მიღების ყოველგვარ შესაძლებლობას მოკლებული აღმოჩნდა.

როგორც მეფისნაცვლის მიერ სამოქალაქო მმართველობის უფროსთან ვასილ ოსეფის ძე ბებუთოვთან მიწერილი წერილებიდან ჩანს, მურავიოვს ერთი წუთითაც კი არ უფიქრია მაშველი ჯარი გაეგზავნა დასავლეთ საქართველოში და ეს მხარე მთლიანად მცირერიცხოვანი ჯარისა და ადგილობრივი მილიციის ანაბარა იყო დატოვებული. აი, რას სწერდა ამის შესახებ იგი ბებუთოვს 24 სექტემბრით დათარიღებულ წერილში: „რაც შეეხება ბათუმის დესანტს, ეს ალბათ თქვენ ჩემზე უკეთ მოგეხსენებათ; ჩემი აზრით, 10—12 ათასის მეტი არ უნდა გადმომსხდარიყო; შესაძლებელია, მათ მოინდომონ გურიის სიღრმეში შეჭრა, მაგრამ ამისთვის არსებობს მუხრანბატონი და მრისხანე მრავალრიცხოვანი მილიცია გურიისა და სამეგრელოსი“[69]. კიდევ უფრო საკვირველია მეფისნაცვლის დამოკიდებულება ასეთი სერიოზული საკითხის მიმართ, რაც ჩანს 16 ოქტომბრის წერილიდან. აი ისიც: „...არა მგონია, რომ ომერ-ფაშას წინ წასვლის შესაძლებლობა ჰქონდეს: წელიწადის გვიანი დრო, ცუდი გზები და ტალახი, რომლის შესახებაც სხვათა შორის, ჯერ კიდევ არა მაქვს დადებითი ცნობები, — არც თუ მნიშვნელოვანი ძალები, რომელიც მის განკარგულებაშია, გადამწყვეტი შეტევის წამოწყების საშუალებას არ მისცემენ მას. კიდევაც რომ გადალახოს ენგური, იმედია მუხრანბატონი სათანადო წინააღმდეგობის გაწევას მოახერხებს. ასევე ერთი ინგლისური წერილის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, რომელშიაც სრულიად გარკვეულად ნათქვამია, რომ ომერ-ფაშას მოქმედება მიმართული იქნება ყარსიდან ჩვენი ჯარების გამოსატყუებლად არა უშუალოდ, არამედ არაპირდაპირი ხერხებით, მაშინ უნდა ვიფიქროთ, რომ ყოველივე ეს წარმოადგენს ომერ-ფაშას მხრიდან დემონსტრაციას, რათა გამოგვიტყუოს ყარსიდან“[70]. ასეთი მსჯელობით გულდაშვიდებულ მურავიოვს დიდად აღარ აწუხებდა

[69] Берже А. П., Н. Н. Муравьев во время его наместничества на Кавказе 1854—1856 гг., Р. С. 1873, т. VIII, с. 620.

[70] იქვე, გვ. 626.

ივანე მუხრანბატონის ცნობა თურქეთის ჯარების პირველი ეშელონის კოდორისაკენ წამოსვლის შესახებ და საბოლოოდ ასკვნიდა, რომ „ყარსის დატოვებას მე არ ვაპირებ ჯერ ერთი იმიტომ, რომ ასეთი მოქმედებით ამ პუნქტის ხელში ჩაგდების იმედს სამუდამოდ დავკარგავ და მეორე — ჩემი მიახლოებით, რასაც საკმაოდ დიდი დრო დასჭირდება, შტერი მიაღწევს რა მთავარ მიზანს, უკან დაიხევს, ასე რომ ასეთ შემთხვევაშიც არ უნდა გვქონდეს რაიმე მნიშვნელოვანი შედეგის იმედი“[71]. როგორც ეხედავთ, მურავიოვი თავის თავსაც არწმუნებდა და ცდილობდა ბებუთოვიც დაერწმუნებინა, რომ ომერ-ფაშას მხრიდან ივანე მუხრანბატონის რაზმსა და დასავლეთ საქართველოს რეალური საფრთხე არ ემუქრებოდა, მაგრამ სინამდვილეში სულ სხვა მდგომარეობა იყო. 16 ოქტომბერს, როდესაც ეს წერილი იწერებოდა, საქართველოში უკვე ეჭვი არავის ეპარებოდა, რომ ომერ-ფაშას საქართველოში დიდი ძალებით შემოჭრა დღე-დღეზე იყო მოსალოდნელი, მით უმეტეს, რომ ცუდი ამინდები, რომელზედაც ასე დიდ იმედებს ამყარებდა მურავიოვი, იმ წელიწადს ძალიან გვიან დაიწყო და ხანგრძლივი გვალვების გამო ენგურის გადმოლახვა არავითარ სიძნელეს არ წარმოადგენდა. მართლაც, 25 ოქტომბერს მოხდა ენგურის ცნობილი ბრძოლა, რომლის შედეგადაც ივანე მუხრანბატონი იძულებული იყო გურიის საზღვრებისაკენ დაეხია და სამეგრელო თურქებისათვის დაეტოვებინა. მთელი საქართველო სახიფათო მდგომარეობაში ჩავარდა. ასეთ პირობებში, როცა მეფისნაცვლის მხრიდან არავითარი დახმარება არ იყო მოსალოდნელი, ოსმალთა განდევნის საქმეში უდიდესი როლი შეასრულა ადგილობრივმა მოსახლეობამ, რომელმაც ნამდვილი პარტიზანული ომი გაუმართა თურქ ოკუპანტებს.

ამავე ხანებში ყარსის ციხე-სიმაგრის აღებისათვის წარმოებული ბრძოლა დასასრულს მიუახლოვდა. ყარსში მომწყვდეულ თურქების ჯარებსა და მათ მთავარსარდალს ვილიამსს ომერ-ფაშასაგან დახმარების მიღების იმედი აღარ ჰქონდათ. გარსშემორტყმულმა რუსეთის არმიამ კი გენერალ ბაკლანოვის ხელმძღვანელობით სრულიად დაუხშო გარნიზონს გარესამყაროსთან ურთიერთობის ყოველგვარი საშუალება. თურქეთის ჯარს გამოელია სურსათი, წყაროებისა და მდინარეების გაყინვის გამო სასმელი წყლის კრიზისსაც განიცდიდნენ. გავრცელდა ეპიდემიური დაავადებანი.

1855 წლის 12 ნოემბერს ყარსის გარნიზონის უფროსმა მეშირმა ვასიფ-ფაშამ და ინგლისელმა გენერალმა ვილიამსმა შემოუთვალეს

---

[71] Б е р ж е А. П. Н. Муравьев..., с. 626.

მურავიოვს, რომ წინააღმდეგობის გაწევას აღარ აპირებდნენ და თანახმა იყვნენ დანებებულიყვნენ. უკვე მეორე დღესვე მურავიოვი ამაყად წერდა ბებუთოვს, რომ „ყარსი კი არ იქნება ომერ-ფაშასაგან დამოკიდებული, არამედ ომერ-ფაშა ყარსისაგან"[72]. მართლაც, ყარსის გარნიზონის კაპიტულაციის შემდეგ, რაც 1855 წლის 14 ნოემბერს მოხდა, ომერ-ფაშამ გასცა განკარგულება საექსპედიციო ჯარების უკან დახევის შესახებ.

ყარსის აღებას არა მარტო საქართველო-ამიერკავკასიისათვის ჰქონდა გადამწყვეტი მნიშვნელობა, არამედ ყირიმის ომის მთელი შემდგომი მსვლელობისათვის. ყარსის ხელში ჩაგდების შემდეგ რუსეთს ანატოლიის გავლით კონსტანტინოპოლისაკენ ეხსნებოდა გზა, რაც აიძულებდა მოკავშირე ქვეყნებს საზავო მოლაპარაკება დაეჩქარებინათ და ყარსის საკომპენსაციოდ რუსეთისათვის ყირიმი და სევასტოპოლი დაებრუნებიათ.

ყარსის აღება მურავიოვის დიდი დამსახურება იყო, მაგრამ აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მას ბებუთოვი რომ დაეტოვებინა მთავარსარდლად. ადვილი შესაძლებელია, ის ტყუილუბრალო მსხვერპლი აეცილებია თავიდან, რომელიც 17 სექტემბრის წარუმატებელ იერიშს მოჰყვა.

ადმინისტრაციული მართვა-გამგებლობის სფეროში კიდევ უფრო რელიეფურად გამოჩნდა მურავიოვის მძიმე და უხეში ხასიათი, მით უმეტეს, რომ ამ საქმიანობაში მას გამოცდილებაც ნაკლებად ჰქონდა. ვფიქრობთ, ინტერესს მოკლებული არ უნდა იყოს მურავიოვის დახასიათება მეფისნაცვლის კანცელარიის დირექტორის შჩერბინინის მიერ, რომელიც კანცელარიას ჯერ კიდევ ვორონცოვის დროს განაგებდა, იყო უშუალო მონაწილე და მოწმე იმისა, თუ როგორი წესრიგი დაამყარა ვორონცოვმა ადმინისტრაციულ საქმეებში და როგორ მარტივად და სწრაფად წყვეტდა იგი ურთულეს საქმეებს.

აი, რას წერდა იგი მურავიოვის შესახებ: „ადმინისტრაციულ საქმეებში ძეტად შეზღუდულ გამოცდილებასთან ერთად მურავიოვი იყო უკიდურესად წვრილმანი, შარიანი, უზომოდ მომთხოვნი და მეტისმეტად ეჭვიანი ხასიათის კაცი, რომელიც საქმის გარეგნულ ფორმას უფრო მეტ ყურადღებას უთმობდა, ვიდრე მის არსს. მივიდოდი ხოლმე მასთან სამოქალაქო მმართველობის ყველა დარგის აურაცხელი საქმეებით დატვირთული, მაგრამ მთელი დღის მუშაობის შემდეგ ამ

---

[72] Берже А. П., Н. Н. Муравьев..., с. 628.

საქმეების მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილის გადაწყვეტა თუ ხერხდებოდა. ეს კი საქმის წარმოების შეჩერებასა და მიწერ-მოწერის გართულებას იწვევდა"[73].

საქმისადმი ასეთ დამოკიდებულებას ის გარემოებაც ართულებდა, რომ როგორც უკვე არაერთხელ აღვნიშნეთ, მეფისნაცვალი თავისი წინამორბედისა და მისი მოხელეების საქმიანობის მიმართ წინასწარაღებული უარყოფითი აზრით მოვიდა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მურავიოვის უნდობლობა არა მარტო მისი ბრძანებების შემსრულებელ თანამშრომლებზე ვრცელდებოდა, არამედ საკუთარ შეხედულებასაც მხოლოდ მკაცრი შემოწმება-კონტროლის შემდეგ თუ მიიჩნევდა მართებულად.

ყარსზე გასალაშქრებლად წასულმა მეფისნაცვალმა სამოქალაქო საქმეები მთავარმართველობის უფროსს ვასილ ოსეფის ძე ბებუთოვს გადააბარა, რომელიც, ადმინისტრაციული საქმიანობის სფეროში დიდ გამოცდილებასთან ერთად ამ მხარისა და ხალხის ზნე-ჩვეულებების ზედმიწევნით ცოდნით, გამჭრიახი ჭკუა-გონებითა და დაუღალავი შრომისუნარიანობით გამოირჩეოდა. აურაცხელმა დაგროვილმა საქმეებმა მის ხელში შეუჩერებელი მსვლელობა მიიღო, მაგრამ საბოლოოდ დასამტკიცებლად მურავიოვთან გაგზავნილი მათი უმეტესობა კრიტიკული შენიშვნებითა და შეკითხვებით აჭრელებული ბრუნდებოდა უკან. ყოველივე ამასთან ერთად მურავიოვის მმართველობა განსაკუთრებული მომჭირნეობით გამოირჩეოდა. ამისაკენ, ბუნებით ანგარიშიან მურავიოვს ხელმწიფის სიტყვებიც უბიძგებდა, რომელმაც მისი გამომგზავრების წინ უკმაყოფილოდ განუცხადა; „კავკასიაში თავი იმით მოაჩვენო, რომ ხაზინას არ უფრთხილდებიან".

მეფისნაცვალს თავის დიდ დაშსახურებად მიაჩნდა, რომ თურქეთთან ომის პირობებში მან სამხედრო და საშინაო ხარჯებისათვის არა მარტო იკმარა მისთვის განკუთვნილი ბიუჯეტი და დამატებითი თანხები არ მოუთხოვია, არამედ თავის განკარგულებაში მყოფი თანხებიდან ვორონცოვის მმართველობის დროინდელი ნახევარი მილიონი ვალი შეავსო და აქედან წასვლის წინ 1 მილიონი მანეთი ეკონომია ჩააბარა ხაზინას.

ვორონცოვის მიზანს მართლაც ხაზინისაგან მიღებული განსაკუთრებული თანხის შენახვა-გაფრთხილება სულაც არ წარმოადგენდა. იგი ამ ფულს მხოლოდ და მხოლოდ ისეთი სასარგებლო საქმეებისათ-

---

[73] Щербинин М. П., Князь М. С. Воронцов и Н. Н. Муравьев Р. С., 1874, т. 11, с. 108.

ვის მოიხმარდა, როგორიც იყო სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის ზომების მიღება, სამიმოსვლო გზების შეკეთება, ხიდების აგება, რიონსა და მტკვარზე სანაოსნო მიმოსვლის დაარსება, იტალიური ოპერის მოწვევა, ქართული და რუსული თეატრის დაარსება, საჯარო ბიბლიოთეკის გასახსნელად პეტერბურგის უნივერსიტეტის ყოფილი რექტორის, პროფესორ დეგუროვის ბიბლიოთეკის შესყიდვა და სხვა მრავალი.

სპარტანული და პირქუში ცხოვრების მოყვარულ მურავიოვს კი, რომელსაც თავის უმთავრეს მიზნად ხაზინის ხარჯების ეკონომია დაესახა, ზემოთ ჩამოთვლილი ღონისძიებების უმრავლესობა სრულიად უსარგებლო საქმედ მიაჩნდა. როგორც საქართველოსა და ამიერკავკასიაში გაჩაღებული კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობის ერთერთი მოამაგე, ბერჟე იგონებს, როდესაც მურავიოვს საიმპერატორო გეოგრაფიული საზოგადოების ამიერკავკასიის განყოფილების მიერ ახლად გამოცემული ტომი უჩვენეს, მან გულგრილად განაცხადა, რომ ასეთ საქმეებზე ფიქრი ჯერჯერობით ძალიან ადრეაო[74]. პირველი ღონისძიება, რაც საქართველოში ჩამოსვლის უმალ მიიღო მურავიოვმა, ეს ვორონცოვის მიერ მოწვეული იტალიური ოპერისა და ახლად დაარსებული ქართული თეატრის გაუქმება იყო. როგორც საბუთებიდან ირკვევა, ვორონცოვს კავკასიის კომიტეტში მიუმართავს და უთხოვია, რომ მის მიერ დაარსებული მაუდისა და თუჯის ქარხნებისათვის და თეატრისათვის მურავიოვს განსაკუთრებული ყურადღება მიექცია და მეფისნაცვლის განკარგულებაში მყოფი საგანგებო თანხებიდან დახმარების მიცემა არ შეეწუხებინა. თხოვნის განხილვის შემდეგ მეფე მოითხოვდა მურავიოვისაგან შეემოწმებინა ეს დაწესებულებები და თუ მათ რაიმე სარგებლობა მოჰქონდათ, დაესახა ზომები მომავალში მათი არსებობისათვის. აღმოჩნდა, რომ ამ თეატრების შენახვაზე უმაღლესად ასიგნებული 12 ათასი მანეთის გარდა 124 463 მანეთი იყო დახარჯული. ომიანობის პირობებში, როდესაც მურავიოვის აზრით, ყველაფერი სამხედრო მოთხოვნილებების შესრულებას უნდა დამორჩილებოდა, ასეთი თანხების ხარჯვა მან სრულიად ზედმეტად მიიჩნია. თეატრისათვის ასიგნებული 12 ათასი მანეთი მურავიოვმა რუსული დასის განკარგულებაში გადასცა, იტალიური დასის წევრებს გარკვეული თანხა გამოუყო სამშობლოში დასაბრუნებლად, ხოლო ქართულ დასს სავსებით შეუწყვიტა სახელმწიფო სუბსიდიები. უსასყიდ-

---

[74] Берже А. П., Н. Н. Муравьев..., с. 615.

ლოდ მუშაობაზე თანახმა ქართული დასი ხელისუფლებისაგან დეკორაციების თხოვებასა და კვირაში ერთი-ორი დღით თეატრის შენობის დათმობას იხვეწებოდა, მაგრამ ამაზედაც უარი ეთქვათ. ასე გაუქმდა დიდის ამბით დაარსებული ქართული თეატრი, რომელსაც ვორონცოვი ბრწყინვალე მომავალს უწინასწარმეტყველებდა[75]. საერთოდ მურავიოვი მთელი თავისი არსებითა და ცხოვრების ნირით გარშემომყოფებზე დამთრგუნველ გავლენას ახდენდა და მისი მეფისნაცვლად ყოფნის პერიოდში ახლო წარსულში აგრერიგად გამოცოცხლებული თბილისის ცხოვრება სავსებით ჩაკვდა.

სახელმწიფო თანხების უკიდურეს ეკონომიასთან ერთად, მურავიოვი სამხედრო პირების იშვიათი დაჯილდოების მომხრეც იყო. თანდათანობით მან საერთოდ უარი თქვა დაჯილდოებაზე, რითაც სამხედრო მოხელეების წყრომაც დაიმსახურა.

როგორც საარქივო საქმეებიდან ჩანს, მურავიოვი მთავარმართველობის გარდაქმნასაც აპირებდა, რისთვისაც გადაიდგა კიდევაც სათანადო ნაბიჯები. კერძოდ, მურავიოვის მიერ პეტერბურგიდან ჩამოტანილი პროექტის განხილვისა და მითითებებისათვის გაცხოველებული მიწერ-მოწერა გაჩაღდა ბებუთოვსა და მურავიოვს შორის, რის შედეგადაც შედგა წინასწარი ზოგადი პროექტი, რომლის საფუძველზე ბებუთოვის მიერ გამოყოფილ კომიტეტს უნდა შეედგინა დაწვრილებითი დებულება. მურავიოვის აზრით, მმართველობის ცვლილებების ძირითადი არსი უნდა გამოხატულიყო იმაში, რომ ჯერ ერთი, მთავარმართველობის დაწესებულებები გაემართათ იმპერიის დანარჩენი გუბერნიების სათანადო დაწესებულებების შესატყვისად, და მეორე — გაბერილი შტატების შემცირების ხარჯზე მაქსიმალურად დაეცვათ ეკონომია. პროექტი ითვალისწინებდა თბილისში სამხედრო გენერალ-გუბერნატორობის დაარსებას, რომელსაც დაემორჩილებოდა თბილისის, ერევნის, შემახიის გუბერნატორები და ჭარ-ბელაქნის ოლქის უფროსი. მეფისნაცვლის არყოფნის, ან ავადმყოფობის შემთხვევაში მას შეცვლიდა თბილისის გენერალ-გუბერნატორი. საგენერალგუბერნატორო უნდა დაარსებულიყო სტავროპოლშიც, რომლის გუბერნატორი ამავე დროს კავკასის ხაზზე განლაგებული ჯარების მთავარსარდალიც იქნებოდა. მეფისნაცვლის არყოფნის შემთხვევაში ისიც თბილისის გენერალ-გუბერნატორს ემორჩილებოდა. ერთი სიტყვით, თბილისის გენერალ-გუბერნატორი იქნებოდა საშუალო ინსტანცია სხვა სახელმწი-

---

75 АКАК, т. XI, с. 923—936.

ფო დაწესებულებებსა და მეფისნაცვალს შორის[76]. პროექტით სხვა ცვლილებებიც იყო გათვალისწინებული, მაგრამ მისი განხორციელება აღარ მოხერხდა, ვინაიდან მურავიოვი იძულებული იყო სამსახურიდან გადადგომა ეთხოვა, 1856 წლის 22 ივლისს მისი თხოვნა დააკმაყოფილეს და კავკასიის მეფისნაცვლად ალექსანდრე ივანეს ძე ბარიატინსკი დანიშნეს. მურავიოვის სამსახურიდან განთავისუფლების მიზეზებზე დაწვრილებით ქვემოთ გვექნება საუბარი, ახლა კი ორიოდე სიტყვით ბარიატინსკის პიროვნებას დავახასიათებთ.

ალექსანდრე ივანეს ძე ბარიატინსკი რუსეთის ერთ-ერთ ძირძველ დიდგვაროვანთა ოჯახის, ჩერნიგოვსკების შთამომავალი იყო. გვარი ბარიატინსკი მათ ბარიატინსკის თემის ფლობის შედეგად მიიღეს. ახლად დანიშნული მეფისნაცვლის ბევრ წინაპარს ჰქონდა სახელი მოხვეჭილი სახელმწიფო სამსახურში[77]. ალექსანდრე ბარიატინსკიმ ბავშვობიდანვე მძლავრი მიდრეკილება გამოიჩინა სამხედრო სამსახურისაკენ. 1831 წელს იგი პეტერბურგში გვარდიის იუნკერების სკოლაში ჩაირიცხა, რომელიც სულ 2 წლის შემდეგ, 1833 წელს, კორნეტის ჩინით დაამთავრა. ამით აძღიწურა ბარიატინსკის სპეციალური განათლება. შემდეგ, როგორც მისი ბიოგრაფები გადმოგვცემენ, ევროპაში მგზაურობისა თუ რუსეთში ყოფნის დროს ცდილობდა შეევსო განათლების ხარვეზები, ბევრს კითხულობდა, სხვადასხვა უნივერსიტეტებში ესწრებოდა ლექციებს, მაგრამ სისტემატური კურსი არცერთ დარგში არ გაუვლია. 1835 წელს ბარიატინსკიმ გატჩინთა კირასირების პოლკიდან, სადაც ის 2 წლის განმავლობაში მსახურობდა და უმთავრესად ქეიფსა და დროსტარებას უნდებოდა, კავკასიაში გადაყვანა ითხოვა. ამ დროისათვის იმიერკავკასიაში შავი ზღვის სანაპირო ზოლის დასაკავებლად წარმოებულ ბრძოლებს ველიამინოვი სარდლობდა, რომელმაც ბარიატინსკი შავი ზღვის ცხენოსანი პოლკის კაზაკებს მიამაგრა. იმავე წლის 21 სექტემბერს ბარიატინსკი ყაბარდოს პოლკის კაზაკთა ასეულებით მთიულებთან შეტევაში მძიმედ დაიჭრა. ჭრილობა საკმაოდ საშიში აღმოჩნდა და როგორც კი შესაძლებელი შეიქნა, იგი უკანვე პეტერბურგში გაამგზავრეს. ნიკოლოზ I-მა განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია მას, პორუჩიკის ჩინი მიანიჭა და ტახტის მემკვიდრის ალექსანდრე ნიკოლოზის ძის ადიუტანტად დანიშნა. ამ დროიდან ბარიატინსკის

---

76 სცსსა, ფ. 8, ან. I, საქ. 6148, ფურც. 39—82.

77 Зиссерман А. Л., Фельдмаршал князь Александр Иванович Барятинский (1815—1879), Москва, 1888, т. I.

სწრაფი აღზევება იწყება. 1839 წელს მან მიიღო შტაბროტმისტრობა, 1840 წელს — როტმისტრობა და 1845 წელს — პოლკოვნიკობა.

1838—1839 წლებში ბარიატინსკი ევროპის ქვეყნებში სამოგზაუროდ წაასულ ტახტის მემკვიდრეს თან ახლდა და დიდად დაუახლოვდა მას, რამაც რა თქმა უნდა გარკვეული გავლენა მოახდინა მისი კარიერის აღმავლობაზე. 1845 წელს ბარიატინსკიმ, შამილის წინააღმდეგ წარმოებულ ბრძოლაში მონაწილეობის მისაღებად, კვლავ კავკასიაში გაგზავნა ითხოვა, სადაც ვორონცოვის მიერ მოწყობილ დარგის ცნობილ ექსპედიციაში ყაბარდოს პოლკის მესამე ბატალიონის მეთაურად მიიღო მონაწილეობა. აქ ანდიის მაღლობის დასაკავებლად წარმოებულ შეტევაში ბარიატინსკიმ უმაგალითო გმირობა გამოიჩინა და როგორც შემდეგში თვითონ იგონებდა, ეს იყო მისი საბრძოლო ცხოვრების დიდებული მომენტი და უბედნიერესი დღე[78]. შეტაკებაში გამარჯვებისათვის ბარიატინსკიმ მე-4 ხარისხის წმინდა გიორგის ორდენი მიიღო, რომელსაც მუდმივად ატარებდა.

ბრძოლაში შედარებით მსუბუქად დაჭრილი ბარიატინსკი კვლავ პეტერბურგში თავისი საპატიო მოვალეობის, ტახტის მემკვიდრის ადიუტანტობის მოვალეობის შესრულებას დაუბრუნდა, მაგრამ კავკასიის მეფისნაცვლის ვორონცოვის გამჭრიახ თვალს არ გამოპარვია, რომ პეტერბურგის უმაღლესი საზოგადოების ეს ბრწყინვალე წარმომადგენელი სერიოზულ სამხედრო მოღვაწედ შეიძლებოდა ქცეულიყო და 1847 წელს კავკასიის ჯარში მამაცობით სახელგანთქმული ყაბარდოს პოლკის მეთაურობა შესთავაზა. ამ დროიდან ბარიატინსკიმ ენერგიულად მოჰკიდა ხელი პოლკის მართვას და როგორც თანამედროვეები ერთხმად აღნიშნავდნენ, შეუდრეკელი ნებისყოფა, დიდი პასუხისმგებლობის გრძნობა, თანდაყოლილი ტაქტი, ადამიანების ცნობისა და მათი გამოყენების არაჩვეულებრივი უნარი გამოავლინა. 1848 წელს როგორც პოლკის მეთაურმა, მან მონაწილეობა მიიღო გერგებილისათვის ბრძოლაში, დიდად შეუწყო ხელი მის აღებას და გენერალ-მაიორის ჩინიც დაიმსახურა.

1850 წელს ბარიატინსკი მარცხენა ფრთის, ანუ ჩეჩნეთში განლაგებული ჯარების უფროსად დანიშნეს. ეს თანამდებობა მას დამოუკიდებელი მოქმედების მეტ საშუალებას აძლევდა. თუ კი აქამდის, იმის გამო რომ ჩეჩნეთი უმთავრესად გაუვალ, დაბურული ტყეებით იყო

---

[78] Записки В. А. Инсарского, Русская Старина, 1895 июнь, ч. II, XXX, с. 25—86.

დაფარული, აქ საომარ მოქმედებას და ტყეების კაფვას მხოლოდ ზამთრობით იწყებდნენ, ბარიატინსკიმ ჩეჩნეთის აულებზე თავდასხმები ზაფხულშიც მოაწყო, რითაც მტერს მოსავლის აღებისა და ზამთრისათვის მარცვლეულისა და თივის მარაგის გაკეთების საშუალება მოუსპო. ბარიატინსკი ღრმად იყო დარწმუნებული, რომ შამილის დამორჩილება მხოლოდ უკიდურეს ზომას — შიმშილს შეეძლო. მთიანი დაღესტნის გამოსაკვებად კი ჩეჩნეთის სახნავ-სათიბ ადგილებს განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა. ამის გამო იგი მეფისნაცვლისაგან დაჟინებით მოითხოვდა შამილთან ბრძოლაში ჩეჩნეთის დამორჩილებისათვის სხვა კუთხეებთან შედარებით, უპირატესი მნიშვნელობა მიენიჭებიათ და სხვა მხედართმთავრების განკარგულებაში მყოფი ჯარები მისთვის დაეხმარებიათ, რაზედაც ვორონცოვმა შეიძლება ითქვას, წინასწარმეტყველური პასუხი გასცა. აი რას სწერდა იგი: „თქვენმა ბრწყინვალე სამსახურებრივმა სარბიელმა, რომელიც თქვენ ბოლომდის უნდა გაიაროთ, დიდებამ, რომლისკენაც თქვენ ჯერ კიდევ მიისწრაფვით და რომელიც არ შეიძლება თანდათანობით არ გაიზარდოს, ყველაფერმა ამან თქვენ უნდა განგაწყოთ იმისათვის, რომ უფრო მთელს ჩვენ მოვალეობაზე, საერთოდ მთელ საქმეზე იფიქროთ, ვიდრე ერთი რომელიმე პუნქტის ინტერესებსა და მიღწევებზე, რაც არ უნდა მნიშვნელოვანი და მაცთუნებელი იყოს ის. ამჯერად თქვენ ეგ პუნქტი უფრო მეტად გაინტერესებთ, ვიდრე სხვა რომელიმე, მაგრამ თქვენ ხომ კარგ გზაზე დგახართ და მალე სამსახურებრივი მოვალეობისამებრ ბრძანებების გაცემა უფრო მოგიხდებათ, ვიდრე შესრულება, თქვენ განკარგულებაში იქნება დიდი მეთაურობა და მე დარწმუნებული ვარ, რომ ჩემი ამჟამინდელი თანამდებობა რამდენიმე წელიწადში თქვენი იქნება, შეიძლება ეს გაცილებით უფრო ადრე მოხდეს, ვიდრე ახლანდელი ვითარება ჩვენ ამის დანახვის საშუალებას გვაძლევს“[79]. რა თქმა უნდა ისეთი გამოცდილი და წინასწარგანჭვრეტის ალღოთი დაჯილდოებული კარისკაცისათვის, როგორიც ვორონცოვი იყო, ცხადი იყო, რომ ტახტის მემკვიდრის ახლო მეგობარი, რომელსაც ამ თანამდებობისათვის საჭირო მონაცემებიც ჭარბად გააჩნდა, ადრე თუ გვიან მისი საქმის გამგრძელებელი იქნებოდა და როგორც მისი და ბარიატინსკის მიმოწერიდან ჩანს, დეტალური მითითებებით შეძლებისდაგვარად ცდილობდა ეს

---

[79] Зиссерман А. Л., Фельдмаршал.., т. I, с. 279.

უკანასკნელი თავის თანამოაზრედ და თავისი იდეების შემსრულებლად გამოეზარდა.

1850—1853 წლებში კავკასიის მარცხენა ფრთის მთავარსარდლობის პერიოდში, ამ კუთხის საბოლოოდ დამორჩილების თვალსაზრისით, ბარიატინსკიმ ბევრი რამის გაკეთება მოახერხა. ამ ხანებში, 1840 წლის ჩეჩნეთის აჯანყების შემდეგ რუსის ჯარებმა პირველად გაიარეს დიდი ჩეჩნეთი ერთი ბოლოდან მეორემდის, გაკაფეს უღრანი ტყეები და გზადაგზა ციხეები და საგუშაგოები ააგეს. ამ მოქმედებების შედეგად შამილის მთავარი საყრდენი ჩრდილო კავკასიაში — დიდი ჩეჩნეთი რუსებისათვის წელიწადის ყველა დროს გახდა ხელმისაწვდომი, იმამის ძალაუფლება ამ მხარეში კი შესამჩნევად შეირყა. მისი მოქმედებებით კმაყოფილი ვორონცოვი სამხედრო მინისტრს სწერდა, რომ ბარიატინსკის „ნიჭი აქვს ყოველთვის გაცილებით იმაზე მეტი გააკეთოს, რისი მოლოდინიც შესაძლებელი იყო რომ გვქონოდაო“[80].

გროზნოსა და სხვა პუნქტებში დამორჩილებული ჩეჩნების განუწყვეტელი მოსელა და დასახლება შამილის გავლენის შემცირების გამომხატველი იყო. მარცხენა ფრთის უფროსის მოვალეობაში საომარი მოქმედების გარდა დამორჩილებული მოსახლეობის ადმინისტრაციული მოწყობაც შედიოდა. ბარიატინსკის მიერ დაარსებული სახალხო სასამართლოები, რომლებშიც მომჩივან-მოპასუხის სურვილის თანახმად ადათისა, ან ყორანის მიხედვით მიმდინარეობდა სამართალწარმოება, ჩეჩნებისათვის იმდენად შესაფერისი აღმოჩნდა, რომ ხშირად ამ სასამართლოებში ურჩი მოსახლეობაც კი მოდიოდა.

მარცხენა ფრთის უფროსობაში მიღწეული წარმატებებისათვის ბარიატინსკიმ 1852 წლის დამდეგს გენერალ-ლეიტენანტობა, ხოლო იმავე წლის დეკემბერში გენერალ-ადიუტანტობა მიიღო.

1853 წელს, ყირიმის ომის დაწყების პერიოდში, ვორონცოვის მიერ ორგზის წარდგინების შემდეგ ბარიატინსკი კავკასიის ცალკეული კორპუსის მთავარი შტაბის უფროსად დანიშნეს. ასეთ პასუხსაგებ თანამდებობაზე სპეციალური განათლების გარეშე ბარიატინსკის დანიშვნას ვორონცოვი შემდეგნაირად ასაბუთებდა: „ასეთ მძიმე და მნიშვნელოვანი ამოცანის შესრულებისათვის საჭირო უნარი რომ ჰქონდა ბარიატინსკის, ეს ჩემთვის პირველად რომ წარვადგინე იგი ამ თანამდებობაზე, მაშინვე იყო ცნობილი. ახლა თურქეთის ამბებთან დაკავშირებით მან ხელახლა დამიმტკიცა, რომ ამ წოდებისათვის აუცილე-

---

[80] З и с с е р м а н А. Л. Фельдмаршал..., т. I, с. 150.

ბელი ყველა ღირსება გააჩნია. მან დაუღალავი შრომითა და მოქმედებით შესძლო სწრაფად და საფუძვლიანად შეესრულებინა ყველა ჩემი მითითება, რომლებიც შეეხებოდა საზღვარზე მოქმედი ჯარების ფორმირებასა და უზრუნველყოფას, სასაზღვრო სიმაგრე-საგუშაგოების თავდაცვით მდგომარეობაში მოყვანას და სხვ.“[81]

1854 წელს კიურუკ-დარასთან თურქეთზე ბრწყინვალე გამარჯვებაში ბარიატინსკისაც მიუძღოდა წვლილი, რომელსაც მხოლოდ შტაბის უფროსის მოვალეობის შესრულება არ აკმაყოფილებდა და ამ ბრძოლაში უშუალოდ მიიღო მონაწილეობა.

მურავიოვის მეფისნაცვლად დანიშვნის შემდეგ კი ბარიატინსკი საქართველოში დიდხანს აღარ გაჩერებულა. მართალია, მათ აშკარა უსიამოვნება არ მოსვლიათ, მაგრამ სრულიად განსხვავებული ხასიათების გამო მათ შორის მეტისმეტად დაძაბული ურთიერთობა ჩამოყალიბდა. 1855 წლის აპრილში ვორონცოვისათვის გაგზავნილ წერილში ბარიატინსკი წერდა, რომ ის უხეში მმართველობა, რომელიც მურავიოვის ჩამოსვლის შემდეგ აქ დამყარდა, ყველა კარგსა და პატიოსან გრძნობას თრგუნავს, რის გამოც კავკასიასთან ასე შეთვისების მიუხედავად, ახლო მომავალში სამხედრო სამსახურის და ამ მხარის სამუდამოდ დატოვებას ვაპირებ. იქნებ მეფემ რუსეთის რომელიმე გუბერნიის გენერალ-გუბერნატორობა მიბოძოს, რომ სამოქალაქო მმართველობის ათვისებაც შევძლო[82]. როგორც ჩანს, ასეთი გადაწყვეტილების მიღებისაკენ მას ისიც უბიძგებდა, რომ ნიკოლოზ I-ის გარდაცვალების მერე ტახტზე ალექსანდრე II უნდა ასულიყო, რომელთანაც მას ახლო ურთიერთობა აკავშირებდა. მართლაც, იმავე წლის 9 მაისს ბარიატინსკიმ შტაბის უფროსის მოვალეობისაგან განთავისუფლება ითხოვა და პეტერბურგს გაემგზავრა. მაგრამ, როგორც მის მიერ მეფის კარზე გაჩაღებული მოღვაწეობიდან ვასკვნით, იგი კავკასიის სამუდამოდ დატოვებას სულაც არ აპირებდა, პირიქით ყველაფერი გააკეთა იმისათვის, რომ მურავიოვის გადაყენება დაეჩქარებინა.

1855 წლის ივნისში ბარიატინსკი უმაღლესი ბრძანებით უკვე განთავისუფლებული იყო შტაბის უფროსის მოვალეობისაგან და განსაკუთრებული დავალებების შესასრულებლად მეფესთან ირიცხებოდა. 1856 წელს კი ვინაიდან რუსეთ-თურქეთის ომი კვლავ გრძელდებოდა, გვარდიის სათადარიგო ქვეითი კორპუსის ფორმირებას შეუდგნენ, რომლის უფროსადაც ბარიატინსკი დაინიშნა. მისი უახლოესი თანა-

---

[81] Зиссерман А. Л., Фельдмаршал..., т. I, с. 290.

[82] იქვე, გვ. 390—391.

მშრომელი და თანამზრახველი, რომელიც ამ ხანებში გამუდმებით მის გვერდით იმყოფებოდა, ვასილ ინსარსკი, გადმოგვცემს, რომ „ბარიატინსკის გამოჩენამ პეტერბურგში დიდი ენებათა ღელვა გამოიწვია, მას უყურებდნენ, როგორც ყოვლისშემძლე მედროვეს, რომელსაც დიდი გავლენა ექნებოდა რუსეთის მომავალზე. მაგრამ თვითონ მას, საეჭვოა, რომ მხოლოდ და მხოლოდ თავისი საყვარელი კავკასიის გარდა, რომლის საბოლოოდ ხელში ჩაგდებასაც აპირებდა, რაიმე სხვა მიზანი ჰქონოდა მხედველობაში[83]. ინსარსკის სრულიად ეჭვგარეშე მიაჩნდა ის ამბავი, რომ ბარიატინსკი ყველა ღონეს ხმარობდა მურავიოვის გადძოსაგდებად. ამ საქმეში მას დიდი დახმარება გაუწია კავკასიის კომიტეტის ყოვლისშემძლე საქმეთა მწარმოებელმა ბუტკოვმა. ამ უკანასკნელმა თავისი უტყუარი ალღოთი ბარიატინსკის პიროვნებაში სასწრაფოდ ამოიცნო კავკასიის მომავალი მეფისნაცვალი და უსიტყვოდ მიემხრო მას. ბუნებრივი ნიჭით დაჯილდოებულ ბარიატინსკის სამოქალაქო მმართველობის არც ცოდნა და არც გამოცდილება არ გააჩნდა და ბუტკოვთან კავშირი მისთვის მეტად სასარგებლო უნდა ყოფილიყო. არავის ისე სწრაფად და ნათლად არ შეეძლო მისთვის კავკასიის საქმეებს გარდა უმაღლესი ადმინისტრაციის სამყაროს გაცნობა, როგორც ბუტკოვს. თავისი განზრახვის სისრულეში მოსაყვანად ბარიატინსკის ის ხმებიც დიდად დაეხმარა, რომელიც მეფის კარზე კავკასიაში მურავიოვის მმართველობით უკმაყოფილო მოხელეებისა და ადგილობრივი მოსახლეობისაგან გამუდმებით მოდიოდა. მით უმეტეს, რომ არცერთი საქმე, რომელიც კავკასიას შეეხებოდა, ბარიატინსკის აზრის გათვალისწინების გარეშე არ წყდებოდა. ერთ-ერთი ასეთი ე. წ. ივანე მუხრანბატონის საქმე იყო.

1855 წლის ივლისში ივანე მუხრანბატონს, როგორც გურიის რაზმის მეთაურს, თავისი უშუალო უფროსის, კავკასიის კორპუსის მთავარსარდალ ბებუთოვისათვის წერილობით უთხოვია, რომ საქართველოსათვის ამ უთანასწორო ბრძოლაში ჯარისა და მილიციის დაჯილდოება არ შეემცირებიათ. მოგვიანებით ეს მოხსენება მეფისნაცვალს ჩავარდნია ხელში. მურავიოვი კი გარდა იმისა, რომ საერთოდ გულუხვად დაჯილდოების მომხრე არ იყო, მუხრანბატონზე გაღიზიანებულიც იყო, რადგანაც მან ომერ-ფაშასთან ბრძოლაში უკან დახევის დროს რუსის ჯარისათვის მომზადებული პურის უზარმაზარი მარაგი გაანადგურა. გაბრაზებულმა მურავიოვმა, როგორც ჩანს, მუხრანბატონის საგანგებო დასჯა გადაწყვიტა და მისი თხოვნა შეურაცხმყოფელი შენიშვნე-

[83] Записки Василия Антоновича Инсарского, ч. II, РС, 1895, Июль, с. 41.

ბით თანდართული, საგანგებო ბრძანებით კავკასიის კორპუსის მთელ ჯარებში გამოაქვეყნა. უკიდურესად შეურაცხყოფილი გენერალი მეფის მართლმსაჯულებას მიმართავდა და სწერდა, რომ „თუ კი მე რაიმე არასწორად მოვიმოქმედე, მეფისნაცვალს ეს უნდა გამოერკვია და სასამართლოსთვის გადაეცა, მაგრამ მთელი ჯარისა და ჩემი თანამემამულეების წინაშე შეურაცხყოფის მოყენებამ ყოველგვარ დაუმსახურებელ უბედურებას გადააჭარბა“[84]. მეფემ საქმე გადასაწყვეტად ბარიატინსკის გადასცა და როგორც ინსარსკი იგონებს: „ჩვენ მჭევრმეტყველი მოხსენება შევადგინეთ, სადაც ვირწმუნებოდით, რომ მუხრანბატონი ჯილდოს ღირსი იყო და არა საყვედურისა, რადგანაც ომერფაშას საქართველოში სურსათ-სანოვაგე რომ დაეგულებინა, მთელ კავკასიას დაიპყრობდა“[85].

ჯერ კიდევ ყირიმის ომის მსვლელობის დროს გენერალ-მაიორმა დიმიტრი მილიუტინმა, რომელიც რუსეთის სამხედრო-მეცნიერულ წრეებში სამხედრო სტატისტიკის კურსის შექმნით იყო ცნობილი, წამოჭრა საკითხი იმის შესახებ, რომ კავკასიაში დამხმარე ჯარების ყოფნით ესარგებლათ, შეედგინათ დაწვრილებითი გეგმა იმიერკავკასიის მთიულების საბოლოო დაპყრობისა და ომის დამთავრებისთანავე მის შესასრულებლად გადაედგათ სათანადო ნაბიჯები. მილიუტინის მოხსენება განსახილველად და თავისი მოსაზრების გამოსათქმელად მურავიოვს გაუგზავნეს. როგორც აღმოჩნდა, მეფისნაცვალი არამც თუ ჯარის და ფულადი სახსრების მომატებას არ ითხოვდა, არამედ ცდილობდა დაემტკიცებინა, რომ მინიმალური სახსრებით გაართმევდა თავს ამ ამოცანას. მისი გეგმით კავკასიის საბოლოო დაპყრობა ათეული წლების მანძილზე თანდათანობით უნდა მომხდარიყო და ეს მაშინ, როცა რუსეთში ყველას კარგად ესმოდა, რომ ეს საკითხი რაც შეიძლება მალე უნდა გადაწყვეტილიყო, რათა თურქეთთან ახალი ომის დაწყების შემთხვევაში ამ მხრივ ხელები გახსნილი ჰქონოდათ.

მურავიოვის მოსაზრება განსახილველად ბარიატინსკის გადასცეს, რომელმაც ასეთი კურსი, რა თქმა უნდა, კატეგორიულად უარყო.

გარდა ამისა, მეფე მურავიოვით იმის გამოც იყო უკმაყოფილო, რომ იგი მისი მითითების მიუხედავად შავი ზღვისპირის ციხე-სიმაგრის ანაპის დაკავებასაც აჭიანურებდა. რა თქმა უნდა, ყოველივე ამას ხელი

---

[84] Зиссерман А. Л., По поводу воспоминаний о Н. Н. Муравьеве, РА, 1892, вып. 4, с. 516.

[85] Записки В. А. Инсарского, РС, 1895, июль, с. 45.

უნდა შეეწყო მურავიოვის დათხოვნისა და ბარიატინსკის დანიშვნისათვის და კიდევ ერთმა ინციდენტმა მურავიოვს საბოლოოდ ააღებინა ხელი მეფისნაცვლობაზე. საქმე შემდეგში იყო. ვორონცოვის დროიდან მურავიოვს მეფისნაცვლის კანცელარიის დირექტორად შჩერბინინი შემორჩა, რომელიც შემდეგში ვორონცოვის შუამდგომლობით სენატორად გადაიყვანა, კანცელარიის მართვა კი მეფისნაცვლის საბჭოს საქმეთა მწარმოებელს დიმიტრი ყიფიანს ჩააბარა. ამავე კანცელარიაში ვიცე-დირექტორად ბარიატინსკის ახლო მეგობარი კრუზენშტერნი მსახურობდა. მალე ყიფიანის მუშაობით კმაყოფილმა მურავიოვმა კანცელარიის დირექტორის თანამდებობაზე დასამტკიცებლად ყიფიანი წარადგინა. თითქოს მისი დამტკიცებისათვის ხელი არაფერს უნდა შეეშალა. მაგრამ ბარიატინსკი და ბუტკოვი ამ საქმეშიც ენერგიულად ჩაერივნენ. კრუზენშტერნისათვის გვერდის ავლა ვითომ უხერხულად მიიჩნიეს და ყიფიანს დირექტორობა გააპროტესტეს. ამაოდ იწერებოდა მურავიოვი, რომ მას ყიფიანი უნდოდა კანცელარიის დირექტორად, რომ თვითონ კრუზენშტერნს არავითარი სურვილი არ ჰქონდა დირექტორობისა, არაფერშია უშველია. ახლა კი ძიხვდა მურავიოვი, რომ ასეთ პირობებში მისი გაჩერება კავკასიაში აღარ შეიძლებოდა და მეფისნაცვლის თანამდებობიდან განთავისუფლება ითხოვა[86].

უკვე 1856 წლის 15 ივლისით დათარიღებულ წერილში, რომელიც ვორონცოვისათვის იყო გაგზავნილი, ბარიატინსკი წერდა: „ჰორიზონტი თითქოსდა იწმინდება: ამბობენ, რომ ფელდეგერმა გუშინ ხელმწიფეს წერილი ჩამოუტანა, რომლითაც მურავიოვი განთავისუფლებას თხოულობს, მაგრამ რადგანაც ხელმწიფე რამდენიმე დღით სხვაგან არის წასული, ეს ამბავი 16—17-ზე ადრე არ გაირკვევა“[87].

1856 წლის 22 ივლისს კი ბარიატინსკი უკვე კავკასიის მეფისნაცვლად და მთავარსარდლად იყო დანიშნული.

ბარიატინსკიმ, როგორც უკვე აღვნიშნეთ, კავკასიაში გაიარა თავისი სამსახურის ყველა საფეხური და ყველა მათგანზე, დაწყებული კაზაკთა ასეულის მეთაურობიდან, ბატალიონის, პოლკის, ბრიგადის, დივიზიის, კავკასიის ხაზის მარცხენა ფრთისა თუ შტაბის უფროსობის დროს თავისი გულადობით, ენერგიული საქმიანობით, ხელგაშლილობით, ქვეშევრდომ ჯარისკაცებზე ზრუნვით თუ კეთილი მოპყრობით განსა-

86 Записки В. А. Инсарского, РС, 1895, июль, с. 50; Зиссерман А. Л. По поводу воспоминаний о Н. Н. Муравьеве, с. 521.

87 Зиссерман А. Л., Фельдмаршал князь Александр Иванович Барятинский, 1815—1879, Москва, 1890, т. II, с. 11—12.

კუთრებული პოპულარობა და სიყვარული მოიხვეჭა. ამიტომაც, ცნობას მისი დანიშვნის შესახებ კავკასიის კორპუსში დიდი აღტაცებით შეხვდნენ. ასევე გახარებული იყო ქართველი თავადაზნაურობა, რომელიც ახალ მეფისხაცვალში ვორონცოვის საქმეების გამგრძელებელს ხედავდა. ჯერ კიდევ 1854 წ. მურავიოვის მეფისნაცვლად დანიშვნით შეშფოთებული გრიგოლ ორბელიანი ბარიატინსკის სწერდა, რომ „საქართველოს ბედი გადაწყვეტილია. ახალი მთავარსარდალი დანიშნეს, მაგრამ ნუთუ მე ვერ გიხილავთ თქვენ კავკასიის პროკონსულად, თუ ამისათვის აუცილებლად 60 წლის ასაკია საჭირო“[88].

1856 წლის 1 აგვისტოს კი მიხეილ შარვაშიძე ერთ-ერთი პირველი ატყობინებდა ბარიატინსკის იმ შთაბეჭდილებას, რომელიც მისი დანიშვნის ცნობამ გამოიწვია თბილისში; „მე მინდოდა კიდევ ბევრი რამ დამეწერა და მომეყოლა თქვენი ბრწყინვალებისათვის, მაგრამ ახლა შემოვიფარგლები მხოლოდ იმის მოყოლით, თუ როგორ ილხენდა და ზეიმობდა 31 ივლისის საღამოს მთელი ქალაქი, ამბავი მით უფრო სასიამოვნოა ყველა ჩვენთაგანისათვის, რომ ასე მოულოდნელად და სწრაფად მოხდა“[89].

მაგრამ ყველაზე უფრო გახარებული, რაღა თქმა უნდა, თვითონ ბარიატინსკი იყო, რომლის იდუმალი ოცნება განხორციელდა. მან 41 წლის ასაკში ისეთი თანამდებობა მიიღო, რომელიც უკიდურესად პატივმოყვარე ადამიანსაც დააკმაყოფილებდა. აი, როგორ აგვიწერს მის მდგომარეობას ამ პერიოდში მუდმივად მის გვერდით მყოფი, მისი სამგზავრო კანცელარიის უფროსი, ოფიცერი რომანოვსკი: „ასეთი თანამდებობა, მით უმეტეს, როცა ამ თანამდებობაზე დანიშვნა მათსავე სურვილის თანახმად ხდება, ყოველთვის აბედნიერებს ადამიანს, მაგრამ რაც მე დავინახე და შევამჩნიე ბარიატინსკის, არაფრით არ შეიძლება გაუტოლდეს როდისმე, ადრე ან გვიან, ჩემს მიერ ნანახს. თავადი თითქოს წინასწარ გრძნობდა იმ ბრწყინვალე სამხედრო მიღწევებს, რომლიც მას კავკასიაში ექნებოდა“[90].

მეფისნაცვლად დანიშვნის შემდეგ ბარიატინსკი დიდხანს შერჩა პეტერბურგსა და მოსკოვში, სადაც იგი ალექსანდრე II-ს მეფედ კურთხევის ცერემონიალს ესწრებოდა. მან ენერგიულად მოკიდა საქმეს

---

88 Зиссерман А. Л., Фельдмаршал..., т. I, с. 383.

89 Зиссерман А. Л., Фельдмаршал..., т. II, с. 41.

90 Романовский Д. И., Генерал-Фельдмаршал кн. Ал. Ив. Барятинский и Кавказская война 1815—1879 гг., Р. С. 1881, январь, с. 395.

ხელი და პეტერბურგსა და მოსკოვში ყოფნის დროს წინასწარმოსამზადებელი სამუშაოები წარმატებით ჩაატარა.

ერთ-ერთი მთავარი საკითხი, რისი მოგვარებაც მას აქ საჭიროდ მიაჩნდა, ეს იყო მთავარი შტაბის უფროსის საკითხი. ბარიატინსკიმ კარგად იცოდა, რომ მისი ერცელი გეგმებისათვის, ახლო მომავალში კავკასიის საბოლოო დამორჩილებას რომ ითვალისწინებდა, აუცილებლად საჭირო იქნებოდა არმიის საფუძვლიანი სამხედრო-ადმინისტრაციული გარდაქმნა, რისთვისაც უახლოესი თანაშემწის, შტაბის უფროსის თანამშრომლობას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭებოდა. მისი არჩევანი დიმიტრი მილიუტინზე შეჩერდა, რომელიც ხანგრძლივი მოლაპარაკების შემდეგ, დიდის გაჭირვებით დაითანხმა. როგორც შემდეგში გაირკვა, ბარიატინსკი თავისი მიზნების შესრულების მხრივ ამ არჩევანში არ შემცდარა. ბარიატინსკის გეგმა კავკასიის არმიის რეორგანიზაციისა შემდეგში მდგომარეობდა: მთელი კავკასია უნდა დაყოფილიყო 5 სამხედრო ნაწილად: მარცხენა და მარჯვენა ფრთა, კასპიისპირა მხარე, ლეკების საკორდონო ხაზი და ქუთაისის საგენერალ-გუბერნატორო. ყველა ამ ნაწილის უფროსი უშუალოდ მთავარსარდალს ექვემდებარებოდა. თითოეულ მათგანს ჰყავდა თავისი შტაბი და თავის ნაწილებში მყოფი ჯარი მათ ემორჩილებოდათ. აი, ამ გეგმის განხორციელება მილიუტინმა სულ მოკლე ხანში მოახერხა. მან ერთ წელიწადში შეადგინა სამხედრო-ადმინისტრაციული გარდაქმნის დეტალური პროექტი და უმაღლესადაც დაამტკიცებინა იგი. შემდეგში, როდესაც მილიუტინი უფრო დიდ თანამდებობაზე — სამხედრო მინისტრის ამხანაგად წაიყვანეს, ბარიატინსკიმ შემდეგი შინაარსის ბრძანება გამოაქვეყნა: „ვშორდები რა გენერალ-ადიუტანტ მილიუტინს, მინდა მთელი არმიის წინაშე გამოვხატო ჩემი მადლიერება. 4 წლის განმავლობაში მთავარი შტაბის მმართველობის დროს ის იყო ჩემი თანაშემწე და მეგობარი, რომელსაც არასოდეს არ დავივიწყებ"[91].

მოსკოვში, მეფის კურთხევის ცერემონიაზე ყოფნის დროს ბარიატინსკი თითქმის გამუდმებით ეთათბირებოდა მეფეს, რის შედეგადაც იმაზე უფრო ფართო უფლებების მიღება მოახერხა, ვიდრე ეს თავის დროზე ვორონცოვს ჰქონდა. მეფესთან თათბირის დროს ჩაუყარა მან საფუძველი კავკასიის არმიის სამხედრო რეორგანიზაციას; აქ მიაღწია მან ყველა მინისტრისაგან სრულ დამოუკიდებლობას; მისი ერთადერთი უფროსი — ხელმწიფე უნდა ყოფილიყო, რომელსაც კავკასიის

---

[91] Романовский Д. И., Ген. Фельдмаршал.., с. 306.

კომიტეტის საშუალებით დაუკავშირდებოდა, და ბოლოს, აქ მიიღო მან ნებართვა მეფისნაცვლის მთავარმართველობა მთლიანად ახლებურად, თავისი შეხედულებისამებრ მოეწყო. მაგრამ ყველაზე უფრო საშურ საქმედ ბარიატინსკის კავკასიის საბოლოო დამორჩილება მიაჩნდა. ძირითადად ამ მთავარი მიზნის განსახორციელებლად სჭირდებოდა მას ის განუსაზღვრელი უფლებები, რომლებიც ასე გულუხვად მიიღო მეფისაგან.

ერთი მთავარი იდეით, კავკასიის საბოლოოდ დამორჩილების იდეით შეპყრობილი ახალი მეფისნაცვალი თბილისისაკენ ნიჟნინოვგოროდის, ასტრახანის, პეტროვსკოეს, თემირხანშურას, დერბენდის, ბაქოს, ნუხისა და ზაქათალას გავლით გამოეშურა. გზადაგზა, პეტროვსკოედან თბილისამდე, ადრევე გაცემული განკარგულებებით მას დაბარებული ჰყავდა სხვადასხვა სამხედრო ნაწილების უფროსები, რომლებსაც ამ იდეის შესაბამის მითითებებს აძლევდა.

პირველ რიგში აღმოსავლეთ იმიერკავკასიის მთიულების დამორჩილება იყო საჭირო. რელიგიური ფანატიზმით მჭიდროდ შეკავშირებულმა სხვადასხვა ტომებმა საქართველოს სამხედრო გზის მახლობლად ერთიანი პოლიტიკური სხეული შექმნეს, რომლის არსებობა, განსაკუთრებით საგარეო მტერთან ომის დროს რეალურ საფრთხეს უქმნიდა რუსეთს გარდა ამისა, მათ მაჰმადიანურ მოსახლეობას შორის ცენტრალური ადგილი ეკავათ და ყოველთვის მოსალოდნელი იყო იმ მოსახლეობის აჯანყებაც, რომელიც რუსეთს უკვე დამორჩილებული ჰყავდა.

შავი ზღვის პირას მცხოვრებ დასავლეთ იმიერკავკასიის მთიულებს ადიღეებს (ჩერქეზებს), ბართალია, შეეძლო გარეშე მტერს დაკავშირებოდნენ, მაგრამ ქრისტიანული მოსახლეობით გარშემორტყმულნი, ადვილად ვერავის აჯანყებდნენ, ამიტომაც შამილის შეპყრობამდე მათ წინააღმდეგ ჯარის მხოლოდ მინიმალური რაოდენობა იყო დატოვებული.

მოსკოვში, მეფესთან თათბირზე, ბარიატინსკიმ მიაღწია იმას, რომ რუსეთ-თურქეთის ომის დროს კავკასიის კორპუსის დასახმარებლად გამოგზავნილი მე-13 და მე-18 დივიზიები შამილის შეპყრობამდე კავკასიაში დაეტოვებიათ. ასე რომ, ბარიატინსკის განკარგულებაში დიდი რაოდენობით ჯარმა მოიყარა თავი და განუწყვეტელი სამხედრო მოქმედებისათვის აღარავითარი დაბრკოლება, არც ჯარის რაოდენობის მხრივ და არც უფლებების მხრივ აღარ არსებობდა.

ბარიატინსკის გეგმის მიხედვით მთიულებზე მთავარი იერიში ჩრდილოეთის მხრიდან, ჩეჩნეთიდან უნდა მიეტანათ, მაგრამ ამავე დროს შეტევა ყველა სხვა მიმართულებითაც უნდა ეწარმოებინათ.

1857—58 წლების განმავლობაში მარცხენა ფრთაზე საომარი მოქმედებები ზამთარ-ზაფხულ არა წყდებოდა. ჩეჩნეთში უწყალოდ იკაფებოდა გაუვალი, უღრანი ტყეები. ოდესღაც მიუვალი ადგილები ისეთი ფართო ნაკაფი ზოლებით ისერებოდა, რომელზედაც ჯარისა და არტილერიის გავლას ხელს აღარაფერი უშლიდა. განუწყვეტლივ ნადგურდებოდა ნათესი მინდვრები, რის შედეგადაც ურჩი მოსახლეობა იძულებული ხდებოდა დამპყრობლის წინაშე ქედი მოეხარა. მარცხენა ფრთის მხედართმთავარმა ევდოკიმოვმა 1857—58 წლებში ბარიატინსკის მითითებების ზუსტი შესრულებით შესძლო აუხის საზოგადოების მყარად დაკავება, საომარი მოქმედების მცირე ჩეჩნეთში გადატანა, და რაც მთავარია, 1858 წელს არღუნის ხეობაში შეჭრა. დაიწყო ანდიის ქედის განშტოებებზე ტყეების უწყალოდ კაფვა, რის შედეგადაც იჩქერიისა და ვედენის ზურგში იხსნებოდა გზა. შამილი ხვდებოდა, რომ მის მეოთხედსაუკუნოვან ბატონობაზე საბედისწერო დარტყმა ახლოვდებოდა.

თავის მხრივ, კასპიისპირა ნაწილის ჯარებმა ჯერ გრიგოლ ორბელიანის და შემდეგ გენერალ ვრანგელის სარდლობით დაიკავეს სალათავია და აქ გადმოიტანეს შტაბი, რითაც საიმედოდ დაუკავშირდნენ მარცხენა ფრთის ჯარებს. სალათავიის ექსპედიციის ერთდროულად ლეკეთის საკორდონო ხაზის ჯარებმა კავკასიონის ქედი გადმოლახეს, ანკრატალისა და დიდოს სოფლები გაანადგურეს და ცალკე პატარა რაზმით ხევსურეთიდან არღუნზე გზის კეთება დაიწყეს ევდოკიმოვის შესახვედრად.

1859 წლის 1 აპრილს კი შამილის წინააღმდეგ ბრძოლის გადამწყვეტი მომენტი დადგა; ევდოკიმოვის ჯარებმა, 14 წლის განმავლობაში შამილის ძალების მთავარი თავშესაყრელი პუნქტი, ვედენი აიღეს. ვედენის აღებამ ჩეჩნეთზე შამილის ბატონობას ბოლო მოუღო. აპრილისა და მაისის განმავლობაში ჩეჩნეთისა და სალათავიის რაზმებმა ანდიის ქედის ჩრდილოეთით მცხოვრები ყველა თემი რუსეთის ქვეშევრდომად გახადეს და შამილის ხელქვეით აღარც ერთი ჩეჩენი აღარ დატოვეს.

ჩეჩნეთის დამორჩილებამ ძირფესვიანად შეცვალა დაღესტნის დაპყრობის გეგმა. აღმოსავლეთიდან და სამხრეთიდან დაღესტანი კავკასიის ქედითა და ციხესიმაგრეებით (გერგებილი, სალთა, ჩოხი და სხვ.)

ისე იყო გამაგრებული, რომ თითქმის მიუვალი ჩანდა. ჩეჩნეთის დაპყრობის შედეგად კი იხსნებოდა მესამე გზა, ჩრდილოეთიდან, თავისი ბუნებრივი მდებარეობით უფრო ადვილად მისასვლელი და ციხეებითაც ნაკლებად გამაგრებული.

ბარიატინსკიმ, მიუხედავად იმისა, რომ შამილის განკარგულებაში ჯერ კიდევ მნიშვნელოვანი ძალები და არაჩვეულებრივად გამაგრებული ციხეები რჩებოდა, ხელსაყრელ სტრატეგიულ მდგომარეობაზე დაყრდნობით გადაწყვიტა მკვეთრად შეეცვალა ომის სისტემა, რომელსაც აქამდე ერთგულად მისდევდა და თანდათანობითი, მეთოდური მოქმედებების ნაცვლად, სამივე რაზმით სწრაფ შეტევაზე გადასულიყო, რათა ერთის დარტყმით საბოლოოდ შეერყია შამილის ძალაუფლება. ამ გეგმის თანახმად ზაფხულის დასაწყისში მარცხენა ფრთისა და კასპიისპირა ზოლის ჯარები ერთ ხაზზე, დაღესტნის ახლად გახსნილ ჩრდილოეთ მხარეზე იყრიდნენ თავს. ჯარები სამი მხრიდან — სალათავიიდან გუმბეტისაკენ, ვედენიდან ანდიისაკენ და ლეკების ხაზიდან დიდოს გავლით ანდიის ყოისუს სათავეებისაკენ ერთდროულად უნდა დაძრულიყვნენ, მაგრამ ვიდრე გადამწყვეტ საომარ მოქმედებას დაიწყებდა, ბარიატინსკი, შეცვლილი საომარი გეგმის მეფესთან შესათანხმებლად პეტერბურგს გაემგზავრა. ჩრდილო კავკასიაში მისი მიღწევებით კმაყოფილი ხელმწიფე ყველაზე ადვილად დაითანხმა და თავის წარმატებებში სავსებით დარწმუნებულმა ბარიატინსკიმ ისიც კი განაცხადა, რომ სულ მალე, ტყვედ შეპყრობილ შამილს პოლკოვნიკ ტრამპოვსკის თანხლებით გამოგზავნიდა პეტერბურგში და ამ დამსახურებისათვის ტრამპოვსკის გენერალ-მაიორის ჩინით დაწინაურება წინასწარ ითხოვა.

პეტერბურგიდან დაბრუნებული ბარიატინსკი შამილის წინააღმდეგ ლაშქრობას პირადად ჩაუდგა სათავეში. მან ჯერ დამორჩილებული ჩეჩნეთი მოიარა და შემდეგ სამივე რაზმს დაწვრილებითი მითითებები მისცა, რომლის მიხედვითაც ჩეჩნეთის რაზმს მისი და ევდოკიმოვის წინამძღოლობით ჩრდილოეთიდან ანდიის ყოისუზე უნდა მიეტანათ შეტევა, ლეკეთის საკორდონო ხაზის ჯარი, გენერალ მელიქიშვილის მეთაურობით, დიდოსა და ილანთ ხევის გამოვლით იმავე ყოისუზე სამხრეთის მხრიდან უნდა წამოსულიყო, ხოლო კასპიისპირა მხარის რაზმს, ბარონ ვრანგელის ხელმძღვანელობით, ანდიის ყოისუზე გადმოსასვლელი უნდა ხელთ ჩაეგდო და შემდეგ ბეთლის მაღლობი დაეკავებინა. ბუნებრივად ძნელად გადასალახავი ანდის ყოისუს ნაპირები გადასასვლელებში შამილს საგანგებოდ ჰქონდა გამაგრებული.

ვრანგელის რაზმისათვის ამ ოპერაციის შესრულება რომ გაეადვილებინა, ბარიატინსკი ყველაფერს აკეთებდა იმისათვის, რომ შამილის ყურადღება თავისკენ მიეპყრო, რის შედეგადაც ვრანგელმა შედარებით ადვილად შესძლო ყოისუს გადალახვა და ბეთლის მაღლობის დაკავება, რასაც სრულიად მოულოდნელად, მთელი დაღესტნის ნებაყოფლობითი დამორჩილება მოჰყვა. პირველად მორჩილება ავარიამ გამოაცხადა, შემდეგ ყოისუბუმ, ჩოხმა, ულიკალმ, ირიბმა. ასევე ერთმანეთის მიყოლებით ქედმოხრილი ცხადდებოდნენ მეფისნაცვალთან შამილის ისეთი უძლიერესი ნაიბები, როგორიც იყვნენ დანიელ-ბეგი, კიბიტ-მაგომა და სხვები. ამგვარად, დაღესტნის შუა გულში სამი მხრიდან კონცენტრული მოძრაობის და ვრანგელის რაზმის ყოისუზე დროულად გადმოსვლის შედეგად, შამილის მიმდევრების წინააღმდეგობა ერთბაშად გატყდა. თვითონ შამილმა დაინახა, რომ რუსების ჯარს ადვილად ვერ გაუმკლავდებოდა, მიატოვა ყოისუზე გამაგრებული გადასასვლელი და ერთი მუჭა ერთგული მიურიდების თანხლებით ღუნიბის მთას შეაფარა თავი.

13 აგვისტოდან 22-მდე ბარიატინსკიმ პირადად შემოიარა დამორჩილებული მხარე. იყო კარატში, თლოხში, იგალში, ახულგოში, გიმრში, უნცუკულში, ხუნძახში, ტილიტში, ჩოხში, მივიდა ყოველმხრივ ალყაშემორტყმულ ღუნიბთან და რადგანაც მშვიდობიანი მოლაპარაკებით შეთავაზებულ პირობებზე შამილი დამორჩილებას არ დათანხმდა, 25 აგვისტოს თითქმის მიუვალ ღუნიბზე ყოველის მხრიდან მიიტანეს იერიში. 26 აგვისტოს შამილი იძულებული გახდა ტყვედ ჩაბარებულიყო. აქედან შამილი ცხენოსანი დივიზიით გარშემორტყმული გაგზავნეს თემირხანშურაში, სადაც ბარიატინსკის მიერ სპეციალურად ამ მიზნისათვის ადრიანად მოსკოვში შეკვეთილ ეტლში ჩასვეს და პეტერბურგში გაისტუმრეს, ბარიატინსკი კი თბილისში დაბრუნდა.

მთავარსარდალს ჯერ კიდევ გზა და გზა ხვდებოდა დელეგაციები ადრესებითა და მილოცვებით. 5 სექტემბერს თბილისის შეხვედრამ კი ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა: ავლაბარში სპეციალურად აგებულ ტრიუმფალურ თაღთან უამრავი ხალხი იყო თავმოყრილი. თეთრ სამოსში შემოსილი ქალიშვილები მეფისნაცვალს ფეხთით ყვავილებს ფიანდაზად უფენდნენ. აღტაცებული ვაშა, ზურნის, დუდუკის ხმა, ზარების რეკვა და მცხეთის კოშკიდან ზარბაზნის ქუხილი ერთმანეთში ირეოდა. საღამოთი თბილისის გარშემო მთები საგანგებოდ იყო განათებული, თეატრში გალა-წარმოდგენა გამართეს. მეორე დღეს მეფისნაცვალს მუშტაიდის ბაღში ქართველმა თავადაზნაურობამ მოუ-

წყო შეხვედრა და გულაჩუყებულმა კახელმა თავადებმა, აქამდე სა-
ლოებით შენახული ერეკლე მეორის თოფი, რომელსაც მეფე გვერდი-
დან არ იშორებდა, შამილის შემპყრობ მთავარსარდალს მიართვეს.

ასევე ენერგიულად მოკიდა ხელი ბარიატინსკიმ სამოქალაქო მმართველობასაც. მურავიოვისაგან განსხვავებით მან ისეთი სწრაფი მსვლელობა მისცა საქმეებს, რომ სულ რაღაც ერთი თვის წინ ჩამოსულ მეფისნაცვალს კავკასიის კომიტეტის კანცლერი ბუტკოვი სწერდა: „გვაოცებს თქვენი ენერგიული მოქმედება. სულ მოკლე ხანში იმდენი საქმეები მოგვაყარეთ, რომ ლამის არის, დაგვახრჩოთ. თუმცა, მაინცდამაინც არც ჩვენ ჩამოგრჩებით. 4 დეკემბერს კომიტეტის სხდომა გვქონდა და 28 საქმე გადავწყვიტეთ. სულ ყველა ეს საქმე კამათისა და მსჯელობის მიუხედავად, თქვენი აზრის შესაბამისად გადაწყდა“[92].

ახალი მეფისნაცვალი მურავიოვისაგან მარტო ენერგიული მოქმედებით როდი განსხვავდებოდა. შეიძლება ითქვას, რომ იგი სრულიად საწინააღმდეგო თვისებებს ამჟღავნებდა. უპირველეს ყოვლისა, მურავიოვის უკიდურესი ხელმომჭირნეობისაგან განსხვავებით, ბარიატინსკის უკიდურესი გულუხვობა და, რაც მთავარია, ფუფუნებისკენ მიდრეკილება ახასიათებდა. ჯერ კიდევ ალექსანდრე II-ს მეფედ კურთხევის ცერემონიაზე მოსკოვში ყოფნის დროს, როდესაც ახლად დანიშნული მეფისნაცვალი კავკასიიდან ჩამოსულ დელეგაციას ჩაუდგა სათავეში, აღმოსავლური გემოვნების მიხედვით ძვირფასი ხალიჩებითა და იარაღით საგანგებოდ მორთული მისი აპარტამენტები ისევე გამოირჩეოდა სხვებისაგან, როგორც საზეიმოდ მორთული, ოქროთი მოვარაყებული ეტლების დაუსრულებელ მწკრივში — საქართველოს დელეგაცია, რომლის შესახებაც დამსწრენი წერდნენ, რომ „მდიდრულად მორთულ ცხენებზე ოქროში ჩამჯდარ მხედრებს შორის კავკასიის დეპუტატები: ქართველი, მეგრელი, იმერელი თავადები, უმთავრესად ახალგაზრდები და ლამაზები, თავის ფანტასტიურ კოსტუმებში ისეთივე იშვიათ სანახაობას წარმოადგენდნენ, როგორც საუცხოოს“[93].

უზომოდ უფლებისმოყვარულ მეფისნაცვალს უკიდურესი ხელგაშლილობა და საერთოდ მდიდრული ცხოვრების ბრწყინვალება უფლების გამოსახატავად და თავისი ნების განსამტკიცებელ ერთ-ერთ საუკეთესო საშუალებად მიაჩნდა და ამის გამო იყო, რომ პეტერბურგიდან, ჩრდილო კავკასიის ნახევრად დამორჩილებულ სოფლებზე გზად

---

[92] Записки В. А. Инсарского, Р. С. 1895, август, с. 9—10.

[93] იქვე.

შიმავალი ოქროსა და ვერცხლს პეშვით აბნევდა[94], თბილისში ჩამოსვლისთანავე კი ყველაფერი, რაც მურავიოვის მიერ იყო გაუქმებული, პირველ რიგში იტალიური ოპერა, სასწრაფოდ აღადგინა. ბარიატინსკის სასახლეში მდიდრული მიღებები, მუსიკალური საღამოები და გაუთავებელი მეჯლისები ცვლიდა ერთმანეთს, განსაკუთრებული ზეიმით იმპერატორისა და მისი სახელობის დღეს (30 აგვისტოს) აღნიშნავდნენ. ამ დღისათვის მეფისნაცვალი სადაც არ უნდა ყოფილიყო, თავისი ამალით წინასწარ ჩამოდიოდა. დილით თბილისის მთელი საზოგადოება ლოცვაზე სიონში იყრიდა თავს, აქედან კი სალოცავად მეფისნაცვლის სასახლისაკენ მიემართებოდნენ. ამ მსვლელობას განსაკუთრებულ საზეიმო ელფერს ზურნითა და დოლით წინწამძღვარებული, თავთავიანთი დროშების ქვეშ დარაზმული ქალაქის ვაჭარ-ხელოსანთა მრავალრიცხოვანი ამქრები აძლევდნენ. საღამოს მთელი ეს საზოგადოება თავის ამქრებიანად სასახლის ვრცელ ბაღში გამართულ ქეიფზე ილხენდა[95].

გულუხვად დაჯილდოების მომხრე ბარიატინსკი მუდმივად მრავალრიცხოვანი ამალით იყო გარშემორტყმული. საკმარისი იყო მის ბრწყინვალე ამალას რომელიმე სამხედრო, ან სამოქალაქო მოხელე, ახლად ჩამოსული, თუ ადგილობრივი საზოგადოების წევრი აბუჩად აეგდო, მისი საქმე კარგად ვეღარ წავიდოდა, რადგანაც თუმცა მეფისნაცვალი თავისი ამალის არცერთი ცალკეული წევრის არავითარ გავლენას არ განიცდიდა, მაგრამ საერთო აზრს დიდის ინტერესით ადევნებდა თვალყურს. კიდევ უფრო მეტიც, ბარიატინსკი არა მარტო თავისი ოფიცრებისა და ადიუტანტების აზრს უწევდა ანგარიშს, არამედ ერევნის მოედანზე თამამშევის ქარვასლის ირგვლივ ტროტუარზე გამართულ ე. წ. სალაყბოზე ამა თუ იმ ახლად ჩამოსული პიროვნების შესახებ გამოტანილ განაჩენსაც უგულისყუროდ არ ტოვებდა და ხშირად ამ განაჩენით შეფარვით ხელმძღვანელობდა კიდეც; მით უმეტეს, რომ იშვიათი შემთხვევა იყო მრავალჭირნახულ თბილისის მოსახლეობას ვინმეზე მცდარი შეხედულება გაჰოეთქვაო, გადმოგვცემს ჩვენს მიერ უკვე ნახსენები ინსარსკი.

მეფის გარდა, იშვიათად რომელიმე მოხელეს შეიძლებოდა ყოლოდა ისეთი ბრწყინვალე ამალა, როგორიც ბარიატინსკის იყო. პეტერბურგის არისტოკრატიას შამილთან რომანტიული ელფერის ბრძოლებში მონაწილეობის მიღება და სწრაფი დაწინაურების პერ-

---

94 Романовский Д. И., Генерал-фельдмаршал..., с. 308.

95 Записки В. А. Инсарского, Р. С., 1898, март, с. 607—634.

სპექტივა იზიდავდა. მართლაც, მრავალი მათგანი ორიოდე იერიშში მონაწილეობის მიღების შემდეგ უხვად დაჯილდოებულნი და ჯვარმედლებით გულდამშვენებულნი ბრუნდებოდნენ დედაქალაქში. ამის გამო იყო, რომ ამალის შემადგენლობა მუდმივად იცვლებოდა. განსაკუთრებით ბევრი ბედისმაძიებელი 1859 წლის გადამწყვეტი ლაშქრობის წინ მოაწყდა თბილისს.

ბარიატინსკის გარშემორტყმულ თამამ ახალგაზრდობას, როცა საქმე ამა თუ იმ მოხელის შეფასებაზე მიდგებოდა, „ნიჰილისტებისა“ და „პროგრესისტების“ სახელი ჰქონდა მოხვეჭილი, მაგრამ თითქმის უსაზღვრო ძალაუფლებით შემოსილი მეფისნაცვლის წინაშე, რომელსაც არაჩვეულებრივი ნიჭი ჰქონდა, მაქსიმალური ბრწყინვალება შეემატებინა თავისი ძალაუფლებისათვის, ვერც ერთი მათგანი არამც თუ მისი საწინააღმდეგო აზრის გამოთქმას ვერ ბედავდა, არამედ ყველა ერთმანეთს ეჯიბრებოდა პირფერობაში.

ბარიატინსკის ამალასავით მუდმივ მიმოსვლაში იყო თბილისის საზოგადოებაც. ნაირნაირი პრინცები, ლორდები, მარკიზები თუ ვიკონტები განუწყვეტლივ ცვლიდნენ ერთმანეთს. თბილისში თითქმის ყოველდღიურად ეწყობოდა ბანკეტები და ქეიფები რომელიმე მათგანის შესახვედრად ან გასაცილებლად, და როგორც ამ გაუთავებელი შეხვედრებისა და გაცილებების ერთ-ერთი უშუალო მონაწილე აღნიშნავს, „ეს ქეიფები, თავისი პოეტური გარემოთი, ბრწყინვალე, მზით განათებული კავკასიონის მთებით გარშემორტყმული, კახური ღვინით, ზურნითა და ლეკურით, დაუვიწყარი იყო იმათთვის, ვინც ერთხელ მაინც იგემა იგი“[96].

ბარიატინსკის ხელგაშლილი ცხოვრების შესახებ ხმამ მეფის კარამდეც მიაღწია და 1857 წლის ზაფხულში მეფისნაცვალმა დიდი მთავრის კონსტანტინე ნიკოლოზის ძის საყვედურებით აღსავსე წერილი (1857 წ. 24 ივნისით დათარიღებული) მიიღო. კონსტანტინე, აღწერდა რა ყირიმის ომის შემდეგ რუსეთის უკიდურეს ფინანსურ გაჭირვებას, ბარიატინსკის ატყობინებდა, „რომ ჩვენ აღარ გვაქვს უფლება მომავალშიც განვაგრძოთ ჩვენი თავის მოტყუება და უნდა გამოვტყდეთ, რომ სხვა დიდ სახელმწიფოებს არა მარტო მატერიალური საზსრებით ჩამოვრჩებით, არამედ გონებრივადაც გაცილებით უფრო დაბლა ვდგავართ. განსაკუთრებით ეს ჩამორჩენა ადმინისტრაციული მმართველობის სფეროში გვეტყობა. შენ, როგორც მეფისნაცვალი, მთელ სამეფოს მართავ და შენი მნიშვნელოვანი ისტორიული როლის

[96] Записки В. А. Инсарского, 1897, ноябрь, гл. VIII, с. 415.

შედეგად არავითარი უფლება არა გაქვს მხოლოდ საკუთარი თავის განდიდების მიზნით კავკასიაში ახალი მიწების დაპყრობაზე იზრუნო, რისთვისაც საჭირო მრავალრიცხოვანი არმიის შესანახი ფული ჩვენ ნამდვილად არ გაგვაჩნია. შენი უპირველესი მოვალეობაა საშინაო მმართველობის სრულყოფის შედეგად კავკასიაში თანდათანობით სრული წესრიგისა და კმაყოფილების დამყარება. დიდი თანხების გარეშე კავკასიის მმართველობა მომჭირნეობისა და კეთილდღეობის მაგალითად უნდა აქციო. ამისათვის კი არც მრავალრიცხოვანი ჯარის შენახვა, არც ძვირფასი ნაგებობები, მით უმეტეს არც ფადიშახის ბრწყინვალე კარია საჭირო"[97]. ბარიატინსკი მიხვდა, რომ ამ წერილში მარტო დიდი მთავრის აზრი კი არ იყო გამოთქმული, არამედ ამასვე იზიარებდა მეფე, მინისტრები და საერთოდ, სასახლის კარი, ამიტომ საპასუხო წერილში შეეცადა ყოველმხრივ დაესაბუთებია თავისი პოზიციები. იგი ახლო მომავალში აღმოსავლეთის ახალი ომის გაჩაღებას წინასწარმეტყველებდა და ამასთან დაკავშირებული სიძნელეების თავიდან ასაცილებლად, ფინანსური გაჭირვების მიუხედავად, კავკასიის საბოლოო დამორჩილებას აუცილებელ პირობად მიიჩნევდა. რაც შეეხება ხელგაშლილ ცხოვრებას, იგი წერდა, რომ მის ხარჯებს შემოსავლისა და ჯამაგირისათვის არასოდეს გადაუჭარბებია, რომ ფადიშახის ბრწყინვალებას კი არ ეჯიბრებოდა, არამედ მისი სახლის კარი მუდმივად ღია თუ იყო, ამით იგი სახელმწიფოებრივი მიზნის განხორციელებას, ადგილობრივი და რუსი ხალხის შერწყმას ემსახურებოდა, და რომ იტალიური ოპერაც ამავე მიზნით იყო მის მიერ აღდგენილი, სადაც სხვადასხვა ეროვნებები რუსულ საძოქალაქო ცხოვრებას ეზიარებოდნენ[98]. როგორც ჩანს, მეფე დაკმაყოფილდა ამ ახსნით და ფინანსური გაჭირვების მიუხედავად, როდესაც სამხედრო და ფინანსთა მინისტრები ყველასაგან ხარჯების შემცირებას მოითხოვდნენ, დამხმარე ჯარი, რომლის შენახვაც მართლაც დიდ ხარჯებთან იყო დაკავშირებული, შამილის შეპყრობამდე ბარიატინსკის განკარგულებაში დატოვა. კიდევ უფრო მეტიც: საყოველთაო გაჭირვების მიუხედავად მეფისნაცვალმა მთავარმართველობის სრული გარდაქმნა განახორციელა, რაც, რა თქმა უნდა, დამატებით ხარჯებს მოითხოვდა. ჯერ კიდევ მეფისნაცვლად დანიშვნის წინა დღეებში ბარიატინსკი ვორონცოვს სწერდა, რომ „მე ძალიან ბედნიერი ვიქნები, კავკასიაში თუ მოვხვდი, აღვადგინო თქვენი დაწესებულებები და თქვენ მიერ შემოღებული

---

[97] Зассерман А. Л., Фельдмаршал..., т. II, с. 108—109.

[98] Зиссерман А. Л., Фельдмаршал..., т. II, с. 409—410.

ბრძნული ზომები, ჩემი სამსახურის მტკიცე მიზანი იქნება შევინარჩუნო თქვენი მმართველობის სული...“[99]. ვორონცოვს, როგორც აღვნიშნეთ, ამიერკავკასიაში მთავარმართველობის ბიუროკრატიული აპარატი მინიმუმამდე ჰყავდა შემცირებული და საქმის წარმოება შეძლებისდაგვარად გამარტივებული, მის დროს სამოქალაქო მმართველობის უფროსი წყვეტდა მიმდინარე საქმეებს, მაგრამ იმ საქმეებს, რომლებიც მის უფლებებს აღემატებოდა, კანცელარიის საშუალებით საგანგებოდ წარუდგენდა მეფისნაცვალს. გარდა ამისა, მთავარმართებლობის საბჭო, რომლის თავმჯდომარე იყო სამოქალაქო მმართველობის უფროსი, განიხილავდა მეფისნაცვლის, ან თავმჯდომარის მიერ გამოგზავნილ ყველა მნიშვნელოვან საქმეს. ამ საბჭოს არსებობა ვორონცოვს განსაკუთრებით საჭიროდ მიაჩნდა, რადგანაც ხშირად, როცა იგი ამა თუ იმ მიზეზით თბილისში არ იყო, საბჭო განიხილავდა საქმეს, ხოლო შემდეგ განხილვის დავთარს მეფისნაცვალს წარუდგენდა, რომელსაც მასზე თანხმობა, ან უარყოფა უნდა მიეცა[100]. მთავარმართველობის ასე მოწყობის შედეგად არც საქმის წარმოება ჭიანურდებოდა და მეფისნაცვალიც ყველაფრის კურსში იყო.

ბარიატინსკის, რომელსაც დიდმა მთავარმა კონსტანტინემ კარგად შენიშნა ძალაუფლებისა და დიდების გადაჭარბებული სიყვარული, ასეთი მმართველობა ვერ დააკმაყოფილებდა. როგორც აღვნიშნავდით, მან დანიშვნისთანავე, ჯერ კიდევ პეტერბურგში ვორონცოვზე მეტი უფლებები და, შეიძლება ითქვას, სრული დამოუკიდებლობა მიიღო. მან უარი თქვა რუსეთის უმაღლეს სახელმწიფო დაწესებულებებთან თანამშრომლობაზე და გადაწყვიტა თბილისში დაეარსებინა კანონმდებლობითი, უმაღლესი ადმინისტრაციული და სასამართლო დაწესებულებები, რის შედეგადაც მხარის მმართველობა ძირფესვიანად იცვლებოდა.

ახალი მმართველობის დებულების პროექტის დამუშავება სპეციალურად ამ საქმისათვის ჩამოყალიბებულ კომიტეტს დაევალა, რომელსაც 1858 წლის ბოლოსათვის უნდა წარმოედგინა საბოლოო, ყველა დეტალით გათვალისწინებული დებულება, რათა 1859 წლის 1 იანვრიდან ახალ დაწესებულებებს დაეწყო მუშაობა. მართლაც, 1858 წლის 21 დეკემბერს ბარიატინსკიმ უმაღლესად მიღებული უფლების თანახმად დააძტკიცა „დებულება კავკასიის მეფისნაცვლის საბჭოსა

---

[99] Зиссерман А. Л., Фельдмаршал..., т. II, с. 11—12.

[100] АКАК, т. X, с. 92—100.

და მთავარმართველობის საბჭოს შესახებ". ამ დებულების თანახმად მეფისნაცვლის კანცელარიისა და სახელმწიფო ქონების ექსპედიციის ნაცვლად თბილისში შინაგან საქმეთა, იუსტიციის, ფინანსთა და სახელმწიფო ქონების სამინისტროების მსგავსი დაწესებულებები არსდებოდა. სახელდობრ, შინაგან საქმეთა სამინისტროს როლს ასრულებდა საერთო საქმეთა დეპარტამენტი. აქ უნდა მოეყარა თავი სასწავლო, საფოსტო, სამედიცინო, საბაჟო-საკარანტინო და სხვა იმ ნაწილების შესახებ განკარგულებებს, რომლებიც სხვა დეპარტამენტების კომპეტენციაში არ შედიოდა. დეპარტამენტის დირექტორი უნდა ყოფილიყო მეფისნაცვლის აწ გაუქმებული კანცელარიის ყოფილი დირექტორი — კრუზენშტერნი.

შემდეგი იყო სასამართლო საქმეთა დეპარტამენტი, სადაც თავს მოიყრიდა ის სასამართლო და საპოლიციო საქმეები, რომელთა გადაწყვეტა მეფისნაცვლის კომპეტენციაში შედიოდა. გარდა ამისა, დეპარტამენტს უზენაესი ზედამხედველობა უნდა გაეწია საერთოდ სასამართლო ნაწილისათვის. დეპარტამენტის დირექტორი იქნებოდა გიორგი მუხრანბატონი, რომელსაც სპეციალური განათლება ჰქონდა მიღებული და ადრე მთავარმართველობის საბჭოში სასამართლო საქმეს განაგებდა. შემდეგ ამას მოსდევდა ფინანსთა დეპარტამენტი. აქ უნდა მოეყარა თავი ამიერკავკასიის ფულადი შემოსავალ-გასავლის ანგარიშწარმოებას; მას ხელი უნდა შეეწყო საშინაო და საგარეო ვაჭრობისა და საფაბრიკო-მანუფაქტურული წარმოების განვითარებისათვის. დეპარტამენტის დირექტორი იყო სახაზინო პალატის ყოფილი თავმჯდომარე — ხარიტონოვი, რომელიც ერთადერთი პროფესიული ფინანსისტი იყო ამიერკავკასიაში.

სახელმწიფო ქონებათა დეპარტამენტში თავი უნდა მოეყარა სახელმწიფო მიწებისა და საერთოდ სახელმწიფო ქონების გამგებლობას და სახელმწიფო გლეხებზე მზრუნველობას. დირექტორი იქნებოდა გაუქმებული სახელმწიფო ქონებათა ექსპედიციის ერთ-ერთი განყოფილების ყოფილი გამგე.

ცოტა მოგვიანებით, 1859 წლის ბოლოს დაარსდა კიდევ საკონტროლო დეპარტამენტი, რომელსაც უნდა შეემოწმებინა მეფისნაცვლისადმი დაქვემდებარებული დაწესებულებების ანგარიშები სახელმწიფო ხაზინის ადგილობრივი შემოსაელიდან შემოსული თანხების დახარჯვის შესახებ. დეპარტამენტის დირექტორი იყო სახელმწიფო კონტროლის საკმაოდ უმნიშვნელო მოხელე ხრისტინიჩი.

დეპარტამენტებთან დაარსებული იყო კიდევ სოფლის მეურნეობისა და ამიერკავკასიაში უცხოელ კოლონისტთა საგანგებო სამმართველო[101].

დეპარტამენტები ერთმანეთისაგან სავსებით დამოუკიდებლად მოქმედებდნენ, მაგრამ საერთო გადაწყვეტილების მიღების საჭიროების შემთხვევაში მათი გაერთიანებისათვის უნდა ეხელმძღვანელა და მათი მოქმედება წარემართა მთავარმართველობის უფროსს. დეპარტამენტების დირექტორების ურთიერთობა მეფისნაცვალთან მთავარმართველობის უფროსის საშუალებითვე უნდა განხორციელებულიყო, მაგრამ მთავარმართველობის უფროსად დანიშნული იყო ბარიატინსკის ახლო მეგობარი, მართალია, განათლებული და კეთილსინდისიერი, მაგრამ საქმეში გამოუცდელი, უინიციატივო და სუსტი მოხელე კრუზენშტერნი, რომელსაც ასეთი რთული ფუნქციის შესრულება, რა თქმა უნდა, გაუჭირდებოდა.

გარდა ამისა, არსდებოდა კიდევ სამოქალაქო მოწყობის დროებითი განყოფილება, რომელიც ზემოთ ჩამოთვლილი დეპარტამენტებისაგან განსხვავებით, მთავარმართველობის შემადგენლობაში კი არ შედიოდა, არამედ მეფისნაცვლის უშუალო ზედამხედველობითა და ხელმძღვანელობით მოქმედებდა. დროებით განყოფილებას დეტალურად უნდა დაემუშავებინა ბარიატინსკის ყველა ის მრავალრიცხოვანი კანონ-პროექტი, რომელიც მმართველობის სხვადასხვა ნაწილებს შეეხებოდა და ქვეყნის სახალხო კეთილდღეობის განვითარებას ითვალისწინებდა[102]. განყოფილების მმართველად დანიშნული იყო ინსარსკი, ცნობილი როგორც ბარიატინსკის პროექტების ლიტერატურული და კოდიფიკაციური დამმუშავებელი და ხორცშემსხმელი. ამ განყოფილებას შემდეგში ბარიატინსკის ამალამ ხუმრობით „პროგრესის სამინისტრო“ შეარქვა.

მთავარმართველობის ამრიგად მოწყობის შედეგად, როდესაც მმართველობის ამა თუ იმ დარგს სპეციალური დეპარტამენტები განაგებდა, მთავარმართველობის საბჭომ დაკარგა წინანდელი ფუნქციები. ახალი დებულებით მას მეფისნაცვლის საბჭო ეწოდა და მის კომპეტენციაში მხოლოდ იმ საკითხების განხილვა შედიოდა, რომლებიც უპირატესად კანონმდებლობით საქმიანობას შეეხებოდა და რომელთა გადაცემას საბჭოსათვის მეფისნაცვალი ჩათვლიდა საჭიროდ. მსგავსი საკითხები, რა თქმა უნდა, შედარებით იშვიათად იყო და ვორონცო-

---

101 სცსსა, ფ. 8, ან. I, საქ. 804, ფურც. 285—295.

102 იქვე, ფურც. 285—295.

ვის მიერ აგრერიგად გამოყენებულ საბჭოს, რომელიც ზემოთ ჩამოთვლილი დეპარტამენტების საქმეს წარმატებით ასრულებდა, მმართველობის რეორგანიზაციის შედეგად თითქმის აღარავითარი სარგებლობა აღარ მოჰქონდა. საბჭოს თავმჯდომარედ დანიშნული იყო გრიგოლ ორბელიანი, ხოლო ძველ წევრებს: ბარონ ნიკოლაის, ფადეევს და გიორგი მუხრანბატონს შეემატნენ ახლები: ვიტე, ინსარსკი, ხარიტონოვი და დიმიტრი ყიფიანი.

აქვე არ შეგვიძლია არ მოვიხსენიოთ ერთი ინციდენტი, რომელიც მმართველობის რეორგანიზაციის დროს გათამაშდა და გამოაელინა მეფისნაცვლის დამახასიათებელი თვისება — თავისი იდეის სასწრაფოდ განხორციელებისათვის არაფერს მორიდებოდა. რეორგანიზაციამდე სამოქალაქო მმართველობის უფროსად და მთავარმართველობის საბჭოს თავმჯდომარედ იყო ყირიმის ომში სახელგანთქმული გენერალი, ბაშკადიკლარისა და კიურუკდარას გამარჯვებების გმირი, სამოქალაქო საქმეებშიაც გამოცდილი და ყველასაგან დაფასებული მოხელე ვასილ ოსეფის ძე ბებუთოვი. მმართველობის რეორგანიზაციის დროს ის უკვე ძძიმედ იყო დაავადებული და მისი მორჩენის იმედი აღარავის ჰქონდა. ბარიატინსკი ისე იყო დაინტერესებული ბებუთოვის ადგილის განთავისუფლებით, რომ არაფერს მოერიდა, მომაკვდავი ბებუთოვი რუსეთის სახელმწიფო საბჭოს წევრად წარდგენაზე დაითანხმა და, რაც მთავარია, ხელმწიფესთვის გაგზავნილი წარდგინებაც იმით დაასაბუთა, რომ ბებუთოვი მომაკვდავია და სახელმწიფოს დიდხანს აღარ დასჭირდება მისთვის ჯამაგირის მიცემაო.

და ბოლოს, 1857 წლის დამლევს, ბარიატინსკიმ თბილისში საგენერალ-გუბერნატორო დააარსა იმ მიზნით, რომ თბილისის გენერალ-გუბერნატორი მისი თანაშემწე ყოფილიყო და მისი არყოფნის დროს მეფისნაცვლის მოვალეობა შეესრულებინა. უმეტესობა მოელოდა, რომ ამ თანამდებობაზე ბარიატინსკი გენერალ ვრანგელს დანიშნავდა, მაგრამ მისი არჩევანი გრიგოლ ორბელიანზე შეჩერდა. გრიგოლ ორბელიანს თავისი თვისებებით რუსი სამხედრო თუ სამოქალაქო მოხელეებისგან სიყვარული ჰქონდა მოპოვებული. აი, როგორ ახასიათებს მას ინსარსკი: „მე მასთან ახლო ურთიერთობაში ვიყავი და ჩემ მოვალეობად მიმაჩნია მთელი კავკასიის კვალად გავიმეორო, რომ იგი ჭეშმარიტი ქართველის ტიპი იყო მთელი თავისი ბრწყინვალებით. მამაცი, კეთილი, თავაზიანი, მხიარული და მომლხენი. თავად გრიგოლ ორბელიანს ყველა აღმერთებდა. კავკასიის ომის ისტორიაში მას ბევრი სასახელო საქმე ეკუთვნის. სასახელო იმ გაგებით, რომ იგი რო-

გორც ყველა ქართველს ჩვევია, ბრძოლის დროს არაფრის წინაშე უკან არ იხევდა და შეუპოვარი და თავდადებული მამაცობით იმას აღწევდა, რაზეც ვერავითარი ტაქტიკური და სტრატეგიული ხერხებით ვერ მიაღწევ კავკასიაში"[103]. გრიგოლ ორბელიანი მარტო გულადობით როდი იყო ცნობილი. მან 1856 წელს ბარიატინსკის ვრცელი და კარგად დასაბუთებული მოხსენება წარუდგინა დერბენდის მაზრის ადმინისტრაციული დაყოფის შესახებ, რომელმაც მეფისნაცვლის დიდი მოწონება დაიმსახურა. საერთოდ, გრიგოლ ორბელიანის აზრს ანგარიშს უწევდნენ და საფიქრებელი უნდა ყოფილიყო, რომ ამ თვისებების გამო მისცა უპირატესობა ვრანგელის წინაშე ორბელიანს ბარიატინსკიმ, მაგრამ, როგორც ირკვევა, მეფისნაცვალი ორბელიანის თავის თანაშემწედ დანიშვნის დროს უმთავრესად სხვა მოსაზრებებით ხელმძღვანელობდა. აი, ინსარსკის გადმოცემით როგორ მსჯელობდა ბარიატინსკი ამ საკითხზე: „ბევრი მამტყუნებს მე, რატომ არ დავნიშნე ვრანგელი ორბელიანის ნაცვლად, იმათ არაფერი ესმით, მე კი კარგად ვიცი, რას ვაკეთებ. ქართველი აქ არასოდეს არ შეიძლება გახდეს მეფისნაცვალი. ამის გამო არც თვითონ ორბელიანი, არც მისი მეგობრები და ახლობლები არასოდეს არ იფიქრებენ ამ ადგილზე ოცნებასაც კი. ბარონი ვრანგელი სულ სხვა საქმეა. თვითონ ის ისეთი კეთილშობილი კაცია, რომ ჩემ წინააღმდეგ ინტრიგებს არ დაიწყებს, მაგრამ მისი ახლობლები და საერთოდ მთელი კავკასია მასში მომავალ მეფისნაცვალს დაინახავს. ამის ირგვლივ მისდა უნებურად შეიქმნება პარტიები, დაიწყება ინტრიგები და საქმე იმით გათავდება, რომ ერთმანეთს წაგვაჩხუბებენ"[104]. ინსარსკის ამ სიტყვებს დამაჯერებლობას მატებს მთავარმართველობის უფროსის კრუზენშტერნის წერილი ბარიატინსკისადმი, სადაც ის დაწვრილებით აღწერს რა მეფესთან თავის საქმიან შეხვედრას, წერს: „შემდეგ ხელმწიფემ მკითხა, გაყავთ თუ არა თქვენ ვინმე ბებუთოვის შემცვლელი, და მე, თქვენი მითითებების თანახმად, ვახსენე გრიგოლ ორბელიანი, თანაც დავუმატე, რომ თქვენ ამ ადგილზე ისეთი კაცი გინდათ, რომელიც ვერავითარ შემთხვევაში ვერ ჩათვლის თავს თქვენ კონკურენტად. მისმა უდიდებულესობამ გამოთქვა სინანული, რომ პირადად არ იცნობს ორბელიანს"[105]. ამრიგად, 1857 წელს გრიგოლ ორბელიანი დაინიშნა თბილისის გენერალ-გუბერნატორად და შეუდგა თავისი მოვალეობის შესრულებას.

---

103 Записки В. А. Инсарского, Р. С., 1897, ноябрь, гл. VII.

104 Записки В. А. Инсарского, Р. С., 1897, ноябрь, гл. VII, с. 436.

105 Зиссерман А. Л., Фельдмаршал..., т. III, с. 82.

ბარიატინსკის სახელთანაა დაკავშირებული თბილისის მოქალაქეების უფლებების დამტკიცება. ჯერ კიდევ ვორონცოვის მიერ აღძრული საქმე თბილისის პირველი ხარისხის მოქალაქეებისათვის საპატიო მოქალაქის წოდების მინიჭების შესახებ ბარიატინსკიმ წარმატებით დაამთავრა და 1859 წელს უმაღლესად დამტკიცებული ბრძანების თანახმად თბილისის მოქალაქეების 79 კომლმა საპატიო მოქალაქის წოდება მიიღო.

ვორონცოვის დაწყებული პოლიტიკა განაგრძო ბარიატინსკიმ ვაჭარ-ხელოსანთა ამქრების საკითხშიც. თავის დროზე ვორონცოვმა ამქრების ინსტიტუტის გაუქმება მიზანშეწონილად არ მიიჩნია, მაგრამ ამქართა მონოპოლიის შესაზღუდად და ვაჭრობა-ხელოსნობის თავისუფალი განვითარების მიზნით გამოსცა ბრძანება, რომლითაც ყველა მსურველს შეეძლო, სათანადო ამქარში ჩაუწერავად, საკმაოდ უმნიშვნელო გადასახადის გადახდისა და მეფისნაცვლის კანცელარიიდან ბილეთის აღების შემდეგ ნებისმიერი დარგის ხელოსნობა-ვაჭრობისათვის მოეკიდა ხელი. ბარიატინსკიმაც ეს გზა აირჩია, და, გამოაცალა რა ასეული წლების წინ დაარსებულ ამქრულ წყობას მონოპოლიური უფლებები, ხელი შეუწყო თავისუფალი, ამქარგარეშე ვაჭარ-ხელოსნობის განვითარებას.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ბარიატინსკის ღვაწლი მიწების გამიჯვნის საკითხში. აგრარული ურთიერთობის ბურჟუაზიული მიმართულებით განვითარების ერთ-ერთი მძლავრი შემაფერხებელი ფაქტორი მიწების თითქმის საყოველთაო გაუმიჯნაობა იყო. ბარიატინსკის მიერ მოწონებული და 1861 წელს უმაღლესად დამტკიცებული ახალი დებულება, ამიერკავკასიის მიწების გამიჯვნას რომ ეხებოდა, შეძლებისდაგვარად გამარტივებული და ადგილობრივი თავიხებურებების გათვალისწინებით იყო შედგენილი. ამ დებულებების მიხედვით, გამიჯვნის მთელ საქმეებს ხელმძღვანელობდა ამიერკავკასიის მიწების გასამიჯნი პალატა, რომელსაც უმაღლესი სასამართლო ინსტანციის უფლებები ჰქონდა მინიჭებული და უშუალოდ მეფისნაცვალს ემორჩილებოდა. ახალი დებულება მაქსიმალურად ამცირებდა მიწების გამიჯვნის დროს წარმოქმნილი დავის გადაწყვეტის ვადას და ამა თუ იმ მამულის საბოლოო საზღვრების დადგენას აადვილებდა.

ბარიატინსკი თვლიდა, რომ ამიერკავკასიაში სამართალწარმოება სრულ რეორგანიზაციას საჭიროებდა. იგი შეეცადა მოსახლეობის მოთხოვნილებისა და ადგილობრივი თავისებურებების გათვალისწინებით ახლებურად მოეწყო მთელი სასამართლო ნაწილი, მაგრამ რადგანაც

ასეთ სამუშაოს ხანგრძლივი დრო სჭირდებოდა, მან 1860 წლის ბოლოს სამართალწარმოების ნაწილობრივი გაუმჯობესების დროებითი პროექტი წარადგინა, რომლის მიხედვითაც მოითხოვდა, მეფისნაცვლის უფლებები სასჯელის შემსუბუქებას რომ ითვალისწინებდა, გაეფართოებინათ, მიეცათ მეფისნაცვლისათვის უფლება ციმბირში გადასახლება შეეცვალა სხვა რაიმე სასჯელით, მიეცათ უფლება ზოგიერთი სისხლის სამართლის საქმე საერთო სასამართლო უწყებიდან ამოეღო და მათ გადასაწყვეტად დაეარსებინა სიტყვიერი სასამართლოები და ბოლოს, ყველა საგუბერნიო და სამაზრო სასამართლოებში შემოეღოთ ისეთი გამარტივებული სამართალწარმოება, როგორც ეს თბილისის კომერციულ სასამართლოში იყო.

იუსტიციის მინისტრმა გააპროტესტა ყველა ეს მოთხოვნა და მხოლოდ უკანასკნელი, საგუბერნიო და სამაზრო სასამართლოებში გამარტივებული სამართალწარმოების შემოღებას რომ ითვალისწინებდა, დამტკიცდა უმაღლესად 1863 წ. ისიც მაშინ, როცა ბარიატინსკი უკვე აღარ იყო მეფისნაცვლად.

აქვე უნდა აღვნიშნოთ აგრეთვე 1862 წელს სტატისტიკური კომიტეტის დაარსება. მანამდე სტატისტიკური მასალის საჭიროების შემთხვევაში პოლიციის მოხელეები კრებდნენ და მასალა მუშავდებოდა მხარის უფროსის კანცელარიაში. სტატისტიკური მასალის შეკრების ასეთი წესი ვერ უზრუნველყოფდა მის სიზუსტეს და აფერხებდა ამა თუ იმ ღონისძიების გატარებას. 1862 წელს კი ბარიატინსკის შუამდგომლობის შედეგად დაარსდა სპეციალური სტატისტიკური კომიტეტები.

ჩვენს მიერ უკვე ნახსენებ სამოქალაქო მოწყობის დროებით საბმართველოში დაგროვდა ბარიატინსკის უამრავი ფანტასტიკური თუ ნახევარფანტასტური პროექტი, რომლებისთვისაც მისი წასვლის შემდეგ ყურადღება აღარავის მიუქცევია. მათ შორის იყო ორი განუხორციელებელი პროექტი, რომლებიც თავისი მნიშვნელობის მიხედვით ყურადღებას იმსახურებენ. ერთი მათგანი ამიერკავკასიაში რკინიგზის გაყვანას შეეხება, მეორე კი შეღავათიან ტარიფს.

ბარიატინსკი იყო პირველი, ვინც ამიერკავკასიაში შავი ზღვიდან კასპიის ზღვამდე, ფოთიდან თბილისის გავლით ბაქომდე რკინიგზის გაყვანის საკითხი დააყენა. ეს რკინიგზა მას პირველ რიგში სამხედრო მიზნებისთვის სჭირდებოდა, ვინაიდან ყირიმის ომის შედეგად შავ ზღვაზე განუყოფელი ბატონობის დაკარგვის შემდეგ კავკასია რუსე-

თისაგან თითქმის საესებით მოწყვეტილი აღმოჩნდა. რუსეთის მხრიდან ბუნებრივი ქედით გამოყოფილი ამიერკავკასია სხვა ქვეყნებისთვის გახსნილი იყო და ბარიატინსკის მიაჩნდა, რომ ამიერკავკასიის შენარჩუნებისათვის აუცილებელი იყო ყველა ვითარების შესატყვისი ძალები შუდმივად მზადყოფნაში ყოლოდათ. ამის განხორციელება კი შესაძლებელი იქნებოდა იმ შემთხვევაში, თუ ამიერკავკასიის ცენტრი რუსეთის სახელმწიფო ცენტრს მოსახერხებელი და სწრაფად მისასვლელი გზით დაუკავშირდებოდა. სამხედრო თვალსაზრისით ამიერკავკასიის უარყოფითი მხარეები არ მოისპობოდა, ვიდრე რუსეთთან დამაკავშირებელი ერთადერთი გზა იქნებოდა ღრმა უფსკრულის ძირას, უშველებელ კლდეებში გაკვალული საცოდავი ბილიკი.

პროექტში განხილული იყო, თუ რა სარგებლობის მოტანა შეუძლია ამიერკავკასიის რკინიგზას ეკონომიკური თვალსაზრისითაც. ნათქვამი იყო, რომ დარიალის ხეობაში გამავალი გზა ისევე აბრკოლებდა ვაჭრობას, როგორც ჯარის მოძრაობას. პროექტის შემდგენელი კომიტეტის წინასწარი გამოანგარიშებით, 830 ვერსიანი სიგრძის რკინიგზა დაახლოებით 60 მილიონი მანეთი უნდა დაჯდარიყო, და რა თქმა უნდა, სახელმწიფოს მხარდაჭერის გარეშე მისი მშენებლობა წარმოუდგენელი იქნებოდა. ეს დახმარება ძირითადად სახელმწიფოს გარანტიაში უნდა გამოხატულიყო, რაც კაპიტალის დამბანდებლების ნდობის მოსაპოვებლად იყო საჭირო. საკითხის მრავალგზის დაყენების მიუხედავად, პროექტის განხორციელება ვერ მოხერხდა, მაგრამ თავისთავად მისი წამოწყება იმის თავმდები იყო, რომ ამ საკითხს თანდათანობით მეტ ყურადღებას მიაქცევდნენ და ახლო მომავალში რკინიგზის მშენებლობა შესაძლებელი გახდებოდა, ამჯერად კი ბარიატინსკიმ მთელი თავისი ენერგია საქართველოს სამხედრო გზის მშენებლობაზე მიმართა. მან საზღვარგარეთ მიავლინა ინჟინრები სტატკოვსკი და ბოგუჩევსკი, მაღალმთიან რაიონებში საგზაო მშენებლობის შესწავლის მიზნით. 1858 წელს უკვე დამტკიცებული იყო სტატკოვსკის პროექტი და მშენებლობისათვის გამოყოფილი იყო 1 მილიონი მანეთი. სულ მოკლე ხანში კი 1858—61 წლების მანიძლზე დარიალის ხეობაში სამაგალითო შოსე გზა იყო გაყვანილი, რომელზედაც წელიწადის ყველა დროს შესაძლებელი იყო მოძრაობა.

დაბოლოს, რაც შეეხება საგლეხო რეფორმას, ბარიატინსკიმ მართალია განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია საგლეხო რეფორმისათვის მოსამზადებელ მუშაობას, მაგრამ ამ საქმეში უშუალო მონაწილეობა მხოლოდ დასაწყის პერიოდში მიიღო. ამ მიმართულებით მუ-

შაობის დაწყებიდან ერთი თვის შემდეგ (1861 წლის 3 აპრილს) იგი იძულებული იყო საზღვარგარეთ წასულიყო სამკურნალოდ, საიდანაც საგლეხო რეფორმის მოსამზადებელი მუშაობისათვის თვალყურის დევნებას მაინც ახერხებდა. იგი 1862 წლის 14 სექტემბრის წერილში მთავარმართველობის უფროსს კრუზენშტერნს ატყობინებდა, რომ „ამიერკავკასიაში საგლეხო-საკითხის მოგვარების დროს წარმოქმნილი სიძნელეების გადასალახავად ხელშეწყეს 2 მილიონი შანეთი გამოვთხოვე. ამ კაპიტალზე მე ნება მომრთეს, მაგრამ როგორ ფიქრობთ თქვენ საკმარისი იქნება ეს თანხა? ყოველ შემთხვევაში ეს ამბავი საიდუმლოდ შეინახეთ. გამეღავნება თავადაზნაურობის მხრიდანაც მეტ მოთხოვნებს გამოიწვევს“[106].

1862 წლის 6 დეკემბერს კი ოფიციალური ვერსიის მიხედვით ავადმყოფობის გამო ბარიატინსკი იძულებული იყო მეფისნაცვლის თანამდებობიდან გადადგომა ეთხოვა.

ბარიატინსკი ალექსანდრე II-ის მიერ დასახულ მთავარ მიზანს: „კავკასიის დამშვიდება-დამორჩილებას და მის საბოლოო შერწყმას იმპერიის დანარჩენ ნაწილებთან“ ენერგიულად ახორციელებდა. სულ რაღაც სამიოდე წლის განმავლობაში მან შამილის წინააღმდეგ წარმოებული, თითქმის ნახევარსაუკუნოვანი ომის დამთავრება და აღმოსავლეთ იმიერკავკასიის მთიელების დამორჩილება მოახერხა. აგრეთვე საფუძველი ჩაეყარა დასავლეთ იმიერკავკასიის საბოლოო დამორჩილებასაც. გარდა ამისა, მან ჩამოსულისთანავე გადამწყვეტი ზომები მიიღო დასავლეთ საქართველოში სამეფო-სამთავროების ლიკვიდაციისათვისაც. 1857 წელს სამეგრელოში შემოღებული „დროებითი“ რუსული მმართველობა ფაქტიურად სამეგრელოს ავტონომიის გაუქმებას ნიშნავდა. 1859 წელს სადადეშქელიანო სვანეთის ავტონომიაც გაუქმდა და იქაც რუსული მმართველობა დამყარდა. აფხაზეთის სამთავროს გაუქმება კი დასავლეთ იმიერკავკასიის საბოლოო დამორჩილებამდე გადაიდო.

რუსებთან ქართველი ხალხის საბოლოო შერწყმის განხორციელებას ორი მეფისნაცვალი: მურავიოვი და ბარიატინსკი ერთმანეთისაგან აბსოლუტურად განსხვავებული მთავარმართველობის დამყარებით ცდილობდა. მურავიოვი ერმოლოვის დროინდელ ნახევრად სამხედრო მმართველობაზე ოცნებობდა და საქართველოში რუსეთის იმპერიის

---

[106] Зиссерман А. Л., Фельдмаршал князь Александр Иванович Барятинский (1815—1879), М., 1891, т. III, с. 62.

დანარჩენი გუბერნიების მსგავსი მმართველობის შემოღებას აპირებდა.

ბარიატინსკის მიერ განხორციელებული მთავარმართველობის რეორგანიზაცია მეფისნაცვლის მაქსიმალური დამოუკიდებლობისაკენ იყო მიმართული. მთავარმართველობის საბჭოს ნაცვლად სამინისტროების მსგავსი დეპარტამენტებისა და სამმართველოების შემოღებით ბარიატინსკი ადგილობრივი მოსახლეობის რუსული სამოქალაქო ცხოვრებისათვის ზიარებას ცდილობდა.

მურავიოვს მმართველობის თავისი პროექტის განხორციელება არ დახცალდა. ბარიატინსკის დეპარტამენტები კი მის მიერ მეფისნაცვლის თანამდებობის დატოვების უმალ იყო გაუქმებული და რუსეთის ხელისუფლება „ამიერკავკასიის სამოქალაქო დაწესებულებათა დაუყოვნებლივ, ერთდროულ და საერთო რეორგანიზაციას“ შეუდგა. ბოკლად, რუსეთის ხელისუფლებამ ნახევარი საუკუნის მანძილზე არათუ ადგილობრივი მოსახლეობის შესატყვისი მმართველობის დამყარება ვერ მოახერხა, არამედ უმაღლესი რუსული ხელისუფლების თვალსაზრისით მოსაწონი მმართველობაც ვერ განახორციელა.

УТВЕРЖДЕНИЕ РУССКОГО ПРАВЛЕНИЯ В ГРУЗИИ

(первая половина XIX в.)

Резюме

Рубеж XVIII—XIX веков оказался для Грузии роковым: она потеряла государственную независимость, которую веками берегла в борьбе с иноземными захватчиками, и династия Багратиони, беспрерывно царствовавшая в Грузии на протяжении 1200 лет, прекратила существование.

После оккупации Россией Восточной Грузии (1802) там одним росчерком пера были упразднены законы и обычаи, близкие и понятные грузинскому народу. Потеря государственной независимости и введение нового, совершенно чуждого стране правления, даже если это последнее осуществляется на сугубо правовой основе, ни для какой страны не может быть положительным явлением, в конкретном же случае положение усугублялось произволом, злоупотреблениями, взяточничеством и безнравственностью русских чиновников. Все это делало новое правление совершенно неприемлемым для всех слоев населения Грузии. Отныне верховным правителем Восточной Грузии объявлялся главнокомандующий дислоцированными на Кавказе войсками, т. н. главноуправляющий, которому подчинялись все присутственные места и чиновники верховного правительства Грузии. Во всех новообразованных, крупных или мелких учреждениях начальниками назначались русские, главным образом военные чиновники, членами же учреждения или советниками могли быть представители грузинского дворянства. В уездных судах при уголовном судопроизводстве руководствовались русскими государственными законами, а при решении гражданских дел принимались во внимание законоуложение грузинского царя Вахтанга VI и народные обычаи.

Таким образом, учрежденная в Грузии полувоенная оккупационная власть в виде особой льготы допускала

участие в управлении страной местного элемента лишь на второстепенных ролях, а в судопроизводстве в некоторых случаях учитывала грузинское законодательство.

На протяжении первой половины XIX века Россия, стремившаяся к полному обладанию Черным и Каспийским морями, планомерно завоевывала Кавказ, т. к., по чистосердечному признанию автора знаменитых «Писем с Кавказа» Р. А. Фадеева, «государство, упирающееся в Черное и Каспийское моря, не может быть равнодушно к тому, что происходит на кавказском перешейке, который, в полном смысле слова, командует этими морями»[1]. В таких условиях главноуправляющие подбирались среди генералов, прошедших военную школу угнетения национальных меньшинств и отличившихся преданностью престолу. Большинство из них не только неспособно было установить гражданский порядок в управляемой стране, но и не отличалось нравственностью.

Среди главноуправляющих 1-й трети XIX века общим образованием, знанием военного дела, усердием и энергией выделялись П. Д. Цицианов (1802—1806) и А. П. Ермолов (1816—1826). Цицианов оказал Российской империи неоценимую услугу, максимально упрочив новую власть в Грузии. За три с половиной года правления, имея в распоряжении минимальное количество войск (не более 4—5 тысяч человек), он сумел не только сохранить России имеющиеся у нее на Кавказе владения, но и значительно раздвинуть границы и без того обширной империи. Цицианов, несмотря на свое происхождение из древнего грузинского аристократического рода, не пощадил членов грузинского царского дома и со свойственной ему решительностью сослал их одного за другим в Россию, лишив тем самым всенародную войну за возвращение независимости Грузии объединяющего стержня.

Ермолов был назначен главноуправляющим Грузии в такое время, когда все европейские государства признавали мощь Российской империи и ничто не препятствовало утверждению русского владычества на Кавказе. Ермолов с таким воодушевлением принялся покорять горцев Северного Кавказа, упразднять ханства и непосредственно присоединять их к империи, что ему было не до преобразования гражданского правления. Однако что хорошего мог сделать главноуправляющий для вверенного ему народа, о котором он писал: «Этот народ не создан для кроткого правления Александра,

---

[1] Фадеев Р. А. Письма с Кавказа. — Собр. соч., Спб., 1890, т. I, ч. 1, с. 100.

для него надобен скипетр железный. Прочие здесь народы гораздо лучше. Они знают свое невежество. Не в претензии быть людьми»[2].

После победоносного окончания русско-иранской войны 1826—1827 годов и русско-турецкой 1828—1829 годов и непосредственного присоединения всех провинций Закавказья русская верховная власть решила, что настала пора полного слияния народов Закавказья с Российской империей. Главноуправляющий Грузией И. Ф. Паскевич (1827—1831), окрыленный победой в войне, задался целью коренным образом преобразовать в стране систему правления и правопорядка, хотя не имел для этого ни времени, ни должной подготовки и опыта. Согласно составленному им проекту, в правлении страной следовало полностью ликвидировать те оглядки на местные особенности, которые были допущены на первом этапе русского правления и, по его мнению, препятствовали окончательному обрусению местного населения. Паскевич предполагал ввести вместо существовавшего в Грузии полувоенного правления такое же гражданское, губернское правление, какое действовало по всей России, но не успел осуществить свой замысел, т. к. его срочно отозвали для усмирения польского восстания. Заменивший Паскевича Г. В. Розен (1831—1837), в отличие от него, сумел понять, насколько не соответствовала духу грузинского народа готовившаяся бюрократическая реформа, и всячески задерживал ее осуществление. Однако 10 апреля 1840 года реформа гражданского правления Грузии все-таки вступила в силу. Ее разработали и осуществили сенатор Ган и главноуправляющий Е. А. Головин (1837—1842). Ни один, ни другой не дали себе труда хоть чуточку согласовать новое правление с понятиями, верованиями, обычаями и образом жизни населения. Оно полностью было построено по схемам русского правления; в административном делении Закавказья совершенно игнорировалась национальная принадлежность, и вся реформа со своими вновь образованными инстанциями способствовала повсеместному распространению формализма и бюрократизма. Местный элемент окончательно был устранен от управления страной, а учреждение множества разных инстанций повлекло сильное увеличение количества русских чиновников, большинство которых, не говоря об их моральном облике, не понимало и не желало понять ни языка, ни обычаев, ни образа жизни народа, которым управляло. Вследствие

[2] Ермолов в его письмах к кн. М. С. Воронцову. 1816—1852 гг. Русская старина, 1885, XI—XII м-цы, с. 528.

этого в Грузии и в бывших ханствах Закавказья вспыхнули восстания. Не было ни одного слоя, ни одного сословия населения, довольного русским правлением. Всеобщее недовольство вынудило царскую власть отстранить Головина[3] от управления страной и позаботиться о смягчении некоторых, совершенно неприемлемых сторон реформ. Кроме того, к концу 30-х и началу 40-х годов мюридизм, во главе с Шамилем, стал грозной силой, поставившей России перед реальной опасностью потери Кавказа. В этих условиях самодержавие отказалось от грубых методов русификаторской политики. Для Николая I стало ясно, что необходимы кардинальные перемены в управлении Кавказом.

Первым долгом следовало подобрать подходящую личность на пост главнокомандующего, который сумел бы привлечь на свою сторону привилегированное сословие и, опираясь на него, создать прочную основу для слияния Грузии и всего Закавказья с Российской империей. От нового управляющего требовалось не только знание военного дела, но и способность и опыт гражданского правления, умение вести гибкую политику. Такой личностью, совершенно справедливо, был признан М. С. Воронцов, известный во всей России как военной доблестью, так и опытностью в гражданских делах. На этот раз Николай I не удовлетворился только тщательным подбором главнокомандующего, а пошел на важные преобразования в порядке высшего управления Кавказом и назначил Воронцова (1844—1854) наместником царя на Кавказе и главнокомандующим Отдельным кавказским корпусом. Таким образом, повысив звание главного начальника края до степени наместника, император расширил права Воронцова по управлению гражданской частью.

Среди всех главноуправляющих и наместников первой половины XIX в. Воронцов выделялся как своим интеллектом, так и блестящим образованием. Несмотря на его безграничную преданность престолу, несмотря на то, что вся его деятельность была направлена на полное слияние местных народов с Россией, правление Воронцова все-таки имело положительные последствия для Грузии. Он очень скоро понял суть особенностей, характерных для местных народов, и, обладая

---

[3] Здесь же следует отметить, что Головина впоследствии назначили губернатором в Балтийском крае, где, вследствие проводимой им грубой русификаторской политики, он заслужил такую непримиримую ненависть эстов и латышей, что вскоре вынужден был покинуть и этот край.

широкими полномочиями в гражданском правлении, старался учитывать их при принятии важных решений, даже если иногда приходилось обойти закон. «Если бы здесь нужно было только исполнять законы, Государь прислал бы сюда не меня, а Полный Свод Законов»[4], — говаривал он в таких случаях. Будучи заклятым врагом бюрократического правления, Воронцов до минимума сократил аппарат главноуправления и по возможности упростил делопроизводство. Он не только восстановил участие местного элемента в управлении страной, но широко открыл дорогу местной молодежи в высшие учебные заведения России и по возвращении на родину привлекал их на государственную службу, отдавая ей предпочтение перед русскими чиновниками. Этим Воронцов старался достичь главной своей цели — полного слияния Грузии с Россией. Этой же цели служила и его деятельность в культурно-просветительской сфере: учреждая журналы и газеты, открывая театры, школы и библиотеки, Воронцов рассчитывал расположить к себе грузинский народ и привлечь его на сторону империи.

Одного только не рассчитал благоразумный наместник: в стране такой древней культуры, с древними традициями государственности, какой была Грузия, вся его деятельность объективно могла иметь и другой результат, а именно — способствовать пробуждению национального самосознания.

После окончания Крымской войны 1854—1856 годов царизм решил направить все свои силы на усмирение горцев Северного Кавказа, которые в течение десятилетий под руководством Шамиля успешно сопротивлялись грозным силам огромной империи и до окончательного покорения которых «...русское владычество на Кавказе было не владычеством, а только временным занятием до первой неудачи»[5]. Россия спешила привести в повиновение воинственные народы Северного Кавказа, т. к. ей все труднее становилось утверждать во всех дипломатических сношениях, что военные действия на Кавказе суть ее домашнее дело, в которое никто вмешиваться не должен.

Покорение кавказских гор, как восточных, так и западных, требовало большого таланта, необычайной энергии, мужества и опыта со стороны руководителей. Всеми этими качествами в избытке обладал И. А. Барятинский (1856—1862), который всю свою военную карьеру, начиная с капитанского чина до

---

[4] Воспоминания Г. И. Филипсона. — Русский архив, 1884, с. 379.

[5] Фадеев Р. А. Письма с Кавказа, с. III.

генеральского, провел в войне с горцами Кавказа. Под его руководством было начато 7-летнее беспрерывное сражение, во время которого Барятинский, пленив в 1859 году Шамиля, покорил Восточный Кавказ и заложил основу для покорения Западного Кавказа.

Обожавшего власть и блеск славы Барятинского не удовлетворял созданный Воронцовым скромный управленческий аппарат. Он, по особому разрешению императора, принялся за коренное преобразование главного управления с тем, чтобы обеспечить наместнику максимальную независимость. С 1859 года, согласно положению, утвержденному Барятинским, вместо канцелярии наместника и казенной экспедиции в Тифлисе были учреждены, наподобие министерств империи, департаменты внутренних дел, юстиции, финансов и государственного имущества, что, по мнению наместника, должно было приблизить местное население к русскому образу жизни. Однако департаменты, учрежденные Барятинским, не оставили в стране никакого следа, они были упразднены сразу после его отставки, и царское правительство принялось за «незамедлительную, одновременную, общую реорганизацию гражданских учреждений Закавказья».

Таким образом, на протяжении полустолетия Россия не сумела осуществить в Закавказье правление, не то что более или менее подходящее для местного населения, но и приемлемое с точки зрения самой империи.

შინაარსი

1. შესავალი 3

2. თავი I. რუსული მმართველობის დამყარება XIX საუკუნის პირველ შეოთხედში 13

1. რუსული მმართველობის პირველი წლები 13
2. ციციანოვის მმართველობა (1802—1806 წწ.) 24
3. გუდოვიჩის მმართველობა (1806—1809 წწ.) 52
4. ტორმასოვის მმართველობა (1809—1811 წწ.) . . . 61
5. პაულუჩის (1811—1812 წწ.) და რტიშჩევის მმართველობა (1812—1816 წწ.) 86
6. ერმოლოვის მმართველობა (1816—1827 წწ.) . 103

3. თავი II. 1840 წლის სამოქალაქო რეფორმის მომზადება და გატარება 132

4. თავი III. მეფისნაცვლობის ინსტიტუტის დაარსება საქართველო-ამიერკავკასიაში 173

1. ვორონცოვის მმართველობის ხანა (1845—1854 წწ.) . . 173
2. მურავიოვის (1854—1856 წწ.) და ბარიატინსკის (1856—1862 წწ.) მმართველობის ხანა 213

Утверждение русского правления в Грузии (первая половина XIX в.) (Резюме) 253

Орджоникидзе Этери Александровна

УТВЕРЖДЕНИЕ РУССКОГО ПРАВЛЕНИЯ В ГРУЗИИ

(первая половина XIX века)

(на грузинском языке)

ТБИЛИСИ
«МЕЦНИЕРЕБА»
1992

დაიბეჭდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის
სამეცნიერო-საგამომცემლო საბჭოს დადგენილებით

სბ 4564

გამომცემლობის რედაქტორი ლ. კოტრიკაძე
მხატვარი ნ. კვინიკაძე
მხატვრული რედაქტორი გ. ლომიძე
ტექრედაქტორი ნ. შოვნაძე
კორექტორი ლ. შაბურიშვილი
გამომშვები ლ. მაისურაძე

გადაეცა წარმოებას 1.3.1991; ხელმოწერილია დასაბეჭდად 30.2.1992;
ქაღალდის ზომა 60×90 1/16; ქაღალდი № 2; ბეჭდვა მაღალი;
გარნიტურა ვენური; პირობითი საბეჭდი თაბახი 15.35;
საღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 13.09;
ტირაჟი 1000; შეკვეთა № 1298;

ფასი 5 მან. 30 კაპ.

გამომცემლობა მეცნიერება, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19
Издательство «Мецниереба», Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

საქართველოს მეცნ. აკადემიის სტამბა, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ. 19
Типография АН Грузии, Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19